ტარტაროზი

კვირა 16 სექტემბერი 1928 წ. № 170

წელიწადი მეხუთე

ფასი 15 კაპ.

# ტოლსტოის იუბილეზე

მოსკოვში ტოლსტოის იუბილეზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაცია, როგორც ხედავთ, სურათზე დაუტევლობის გამო, ამჟამად თქვენს წინაშე წარმოდგენილია მხოლოდ თავიანთი. წინა ნაწილებით, ანუ მუცლებით. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილებს, ვეცდებით მოვათავსოთ ისინი შემდეგ ნომერში.



დელეგატები გავგზავნეთ: ქვით „ორთან", სხვა „სამასო!
ერთი შარვალს ვერ იმაგრებს და მეორე—ქამარსო,
იმას „ყვავილები" მიაქვს, მილოცვები —ამასო!.

# ხ უ მ ა რ ა

— მოდიხარ ამეღამ?

შეეკითხა ქარხნის მუშა, წყალობა თვითცნობიერაშვილი თავის ამხანაგს, გახა უმიაშვილს, თავისი ინდიფერენტული განწყობილებით რომ გაირჩეოდა თითქმის ყველა იმ საკითხისადმი, რომლებიც ქარხნის მუშა-თანამშრომელთა ღია კრებებზე კი დაისმებოდა ხოლმე.

— არ ვიცი, ვნახოთ...

ჩაილაპარაკა თავის გაქნევით გახამ.

— რა ვნახოთ? რას ითრევ ფეხს? განა, ამეღამაც ინდუსტრიალიზაციის სესხის საკითხია რო...

— მა, რა?

— რა და ქარწისქვილი... ტოლსტოის საღამოა, გესმის, დიდი მწერალი ვიღაც ყოფილა. მოხსენებას წაიკითხავს ჩვენი „კულტკომი".

გახას გულს კომისრის წყალობასავით მოხვდა წყალობას განცხადება.

და მართლაც, თუ სესხის ან სხვა ამისთანა საკითხების გარეშემო გამართულ კრებებს ვერ დააკლდება, რაღომ არ უნდა მოვიდეს, ვსთქვათ, ასეთ კრებაზე გახა? მით უფრო, რომ კრება საღამოს არის დანიშნული.

ადგილკომის რწმუნებულის განცხადებაც სწორეთ, ასეთი იყო; გახას ახლა მოაგონდა — „ლიტერატურული საღამოაო" — რომ სთქვა, რწმუნებულმა.

თუმცა იშვიათად, მაგრამ გახა მაინც დასწრებია ასეთ საღამოებს. იქ ის ერთხანს ისმენდა ხოლმე შემდეგ კი ლაზათიანადაც გამოიძინებდა იქვე რბილ სკამზე. მე შენ გეტყვი და გაღვიძება და გამოფხიზლება არ ყოფილიყვეს უზრუნველყოფილი. მოსწონდათ თუ არ მოსწონდათ მოხსენება თუ სხვა რამ, რასაც სცენაზე კი ჰქონდა ადგილი, გათავების ჟამს ისეთ ტაშსა და ყრიამულს ასტეხდენ მაყურებლები, რომ, „ას ფუთიანი ძილიც" რომ სდგომოდა კაცს თავზე, იმასაც კი კურდღელივით დააჭყეტინებდენ თვალებს.

უფრო მეტად ცხარობდენ ახალგაზრდები. თუმცა მათ არც სხვები ჩამორჩებოდენ ამ საქმეში.

ტაშის დაკვრა ორატორისა თუ სცენაზე მოთამაშისათვის ერთ ნაირი შეგნების მაჩვენებელიც იყო და ყოველი მუშა ცდილობდა ასეთი შეგნების გამოჩენას და მით მოწონების „დამსახურებას" მაყურებელთა თვალში.

ქარხანაში თითქმის მარტო გახა ითვლებოდა ისეთ ჩამორჩენილად, რომელსაც მოქმედებისა, თუ მოხსენების დროს ძილი აპყრობდა ხოლმე. ამიტომ მათი დასასრული მას თითქმის მუდამ ეპარებოდა და ვერც აპლოდისმენტოვაციებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას.

„პასივი ხარო" — რომ ეტყოდენ გახას, მას რაღაცნაირი ირიბული ღიმილი გადურბენდა ხოლმე სახეზე.

გახას არც კი ესმოდა კარგათ სიტყვის — „პასივის" მნიშვნელობა. მხოლოთ ისევ ექვით თუ გრძნობდა, რომ მაინცა და მაინც დიდათ საქებური და სახარბიელო ეპიტეტი არ უნდა ყოფილიყვეს ეს რაღაც „პასივია".

— შეგიძლია ოჯახის წევრებიც მოიყვანო თან, აი..,

დაატანა აქამდის საერთო გზიდან განზე გადახვევის ჟამს თვითცნობიერაშვილმა.

გახას ვინ ჰყავს ოჯახში? მარტო ცოლი. თუ ქარხანაში და საერთოდ ამხანაგებში გახა ისე ჩამორჩენილ დამცირებულად გრძნობს თავს, რასაც ასე თუ ისე კიდეც ურიგდება და უდრტვინველად იტანს, ცოლთან, პირიქით, ამაყად უჭერია თავი და თავის თავმოყვარეობის შელახვას ბუზსაც კი არ შეარჩენს, არა თუ სხვას ვისმე, რომელსაც ამაზე მეტად მოეთხოვება პასუხი. ფიზიკური ძალით გახას ასე თუ ისე შეუძლია დაკვეხნა და პასუხის მოთხოვნაც ხომ უმეტესად ამ უკანასკნელზე ჰკიდია.

— მოდი, ამეღამ სოფუაც წავიყვანო თან!.. გაუელვა თავში ფიქრმა, როცა თვითცნობიერაშვილი მიიმალა.

— ი რაღაც „კალმათია" თუ მისი ჯანდაბა, ამეღამ, ხომ არ იქნება, რახან საღამო „ლიტერატურულია"..

გული მოიმედიანა გახამ, რადგან რამდენ ლიტერატურულ საღამოსაც კი დასწრებია ის, ყოველთვის მოხსენებას ლექსებისა, მოთხრობებისა, თუ სცენების კითხვა მოსდევდა, ხოლო ერთხელაც არ ახსოვს, რომ ასეთ საღამოზე კამათი გამართულიყოს.

გახას ზედმიწევნით ეჯავრებოდა ყოველგვარი მსჯელობა კრებებზე, რადგან თვითონ თითქმის ვერას დროს ვერ ღებულობდა მასში მონაწილეობას, ხოლო თუ იშვიათად რამე წამოცდენია, ჯერ არ ახსოვს, რომ ასეთ მის გამოსვლას სიცილი და ქოქოლა არ მოჰყოლოდეს ამხანაგების მხრით.

— ამეღამ კი „კალმათი" არ იქნება, მაშასადამე, შეიძლება სოფუას წაყვანაც!..

გაიფიქრა გახამ და სახლში მისულმა აცნო ცოლს თავისი ასეთი გადაწყვეტილება.

სოფუას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან, როცა გახა საღამოობით სახლიდან სადმე გადიოდა, ქალი ერთთავად სულ სახლში იჯდა და, ასე ვსთქვათ, მარტოობაში, „სული ამოსდიოდა". სოფუასთვის თითქმის

## ტარზანი და ტოლსტოი

(მეგობრული)



— შეგიძლია თავი ყველასთან ამაყად გეჭიროს, ხოლო ჩემთან კი ნურას უკადრავათ: ტოლსტოი რომ ხარ, „ტოლსტი"-„ტოლსტი" წიგნები კი გაქვს, მაგრამ ოცდაოთხ ტომს მაინც ვერ გადააშორე. მე კი.. მე სამოცდამეცხრე წიგნი უკვე გამოვეცი და ჯერი ახლა სამოცდამეათეზეა!..

არ იყო არც საზაფხულო აგარაკი, არც სასეირნოდ გავლა-გამოვლა და არც ქალებისათვის ჩვეულებრივი „ჭორაობა“. ერთავად სულ სახლში იჯდა და ქმრის მცირე ხელფასს თავის საშინაო მუშაობასაც ზედ უმატებდა, რომ „პური“ მაინც უზრუნველი ჰქონოდათ.

ამელამ კი სოფუა დიდ დღესასწაულზე მიმავალსავით მოირთო, მოიკაზმა და დანიშნულ დროს წინ ყოჩივით მიმავალ გახას უკან აჩრდილივით აედევნა, რითაც არა ერთი გამვლელის ყურადღებაც კი მიიპყრო ქუჩაში.

საღამოს რვა საათიდან ქარხნის კლუბის ვეებერთელა დარბაზი უკვე გაჭედილი იყო ხალხით.

გახა და სოფუა თუმცა მოგვიანებით შევიდნენ დარბაზში, მაგრამ ცოლის თანხლებით წაქეზებულმა გახამ მაინც მოახერხა ერთად წყვილი სკამის მომარაგება და ზედ ახლად ჯვარწერილებივით მწკრივად წამოსკუპება.

ტრიბუნაზე „კულტკომის“ გამოჩენას მქუხარე ტაში მოჰყვა დარბაზში. გახამ პირველმა ასტეხა ტაში და ღრიანცელი, რითაც ბევრი ამხანაგის ღიმილ - შერთული ყურადღებაც კი დაიმსახურა.

მაგრამ გახა „ვერდენივით“ იჯდა თავისი ცოლის გვერდით, შენიშვნებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და განაგრძობდა ცოლის წინაშე შეგნებული მოდარბაზის როლის თამაშს.

„ადგილკომი“, რომელიც, გახას აზრით, აქამდის ზედმეტად, ასე ვსთქვათ, „უბრალო ფორმისათვის“ ესკუპა მომხსენებლის გვერდით, უცბათ წამოდგა, გასწორდა წელში და კრებას მოუწოდა: „აბა, ვის სურს მოხსენების ირგვლივ თავიანთი აზრის გამოთქმა“-ო..

გახას, ცოტა არ იყოს, არ იამა კრების ასეთი მიმართულება, მაგრამ გულში მტკიცედ გადასწყვიტა: „რაც უნდა მოხდეს, კრინტსაც არ დავსძრავ. სხვების აზრებს გულდასმით დავიხსომებ და ჩემი ვითომც და განზრახ აქ გამოუთქმელი მსჯელობით ცოლს ისევ შინ მოვაწონებ თავსო“..

მაგრამ „კაცი ბჭობდა, ხოლო ტარტაროზი კი იცინოდაო“, ნათქვამია. აკი გახასაც გაუწყრა ღმერთი და ვიღაცას მიერ ტოლსტოის ნაწერების ჩამოთვლას ყური არ მოჰკრა!.. გაიგო თუ არა—ტოლსტოის „აღდგომა“ დაუწერიაო, მაშინვე ჰოხეარხებულმა აზრმა გაურბინა გულში:.

„არა, რაღა სახლამდის ვიმახსოვრო ამდენი სხვების ნათქვამი? მარტო ეს ერთი მომენტი სავსებით საკმაოა სხვების თვალშიც თავის ამაღლებლად, არა თუ შედარები თშეგნებული სოფუას გასაბიაბრუებლადო!“...

ამხანაგო თავმჯდომარევ, — დაიწყო გახამ და მკერდი კიდევ უფრო ამაყად გასწია წინ, რა კი შენიშნა, რომ თითქმის მთელი დარბაზი გამოუთქმელი ცნობის მოყვარეობით მას მისჩერებოდა..,

— მე მხოლოთ იმას ვიტყვი, რომ ტოლსტოისთანა შეუგნებელი მწერლები ჩვენ არ გვესაჭიროება. იგი ხუცების და ბერების მწერალი იყო და არა მუშების და გლეხების, როგორიც უნდა იყვნენ საბჭოთა პატიოსანი მოქალაქეები. მან, როგორც ვიცით, დასწერა ისეთი ყოვლად უვარგისი თხზულება, როგორიც არის „აღდგომა“..

და გახას უნდოდა აღდგომის ირგვლივ მართლაც რომ ყოვლად აღმაშფოთებელი მრისხანე სიტყვათა კორიანტელის დაყენება, რომ უცბათ სრულიად მოულოდნელად თვითონ გაეხვია ზღვა სიცილისა და სასტიკი დაცინვის კორიანტელში.

დარბაზში დიდხანს არ შეწყვეტილა გულიანი ხარხარისა, თავჩარგული ხითხითისა თუ კბილებ-დაკაპიწებული ჰისკისისა და ჟრიამულის დაუსრულებელი ქუხილი.

„სიცილი გადამდებია“-ო, ნათქვამია და ამ ნათქვამის აზრი იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ თვითონ გახასაც კი გადაედო ეს საერთო სიცილი. მიხვდა, რომ

# რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. გოცირიძე

(მეგობრული შარჟი)



— ამ მომავალ სეზონში არშაკ მინაიჩის საქმეს „პლოხათ“, თორემ ლიჩნათ ჩემი — ჰიი, ძალიან კარგათ!.

რაღაც სისულელე წამოროშა, და თუმცა მოკვეთილივით დაეშვა სკამზე, მაგრამ დანარჩენ საღამოს განმავლობაში თავი ისე ეჭირა, თითქოს განგებ, ხალხის შესაჩოჩქოლებლად წამოისროლა ხუმრობაო.

— ძალიან არ ვაცინე, ქალო, ხალხი? ამაყად ეკითხებოდა ოთახში დაბრუნებული გახა თავის ცოლს..

თუმცა სოფუასთვის სულ ერთი იყო: აცინა გახამ ხალხი თუ ხალხმა იცინა გახაზე. ფაქტია მხოლოდ ის, რომ, თუ აღნიშნულ საღამოს სოფუაც დაესწრო, ეს მოხდა მხოლოდ გახას მეოხებით და, მაშასადამე, გახა ჭკვიანიც არის, კეთილიც და, თუ გნებავთ,—ხუმარაც.

ონისიმე.

# ჩვენი დროის ჰამლეტი

„სახელი ჩემი—სოლომონ, გვარი—მეჯღანუაშვილი. რაც ქვეყანაში კაცად გამოვედი, მეთაკილებოდა ჩემი გვარი და ამიტომ ვცდილობდი როგორმე შემეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თუმცა სხვანი კარგად ახერხებენ“.

თქვენ გაგახსენდათ, ალბათ, გულდათუთქული სოლომონ მეჯღანუაშვილი.

ნამდვილი სახელი და გვარი იმ ჰმირისა, რომლის გადმოცემა ამ ფელეტონის მიზანს შეადგენს, ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია.

დროებით მივიღოთ ის სახელი, რომელსაც მას პროსტიტუტკა ქალები ეძახიან—„ვანლერიკო“, თუმცა მისი ნამდვილი სახელი „ლადუში“ არის.

ძველი რეჟიმის დროს ვანლერიკოს მამა ერთი მეზობელი ქვეყნიდან საქართველოში გადმოსახლდა, რადგან სხვადასხვა თაღლითურ საქმის გამო იქ აღარ ედგომებოდა: ერთ-ერთ მუშათა რაიონში სამიკიტნო ჰქონდა და იქამდის მიიყვანა საქმე რომ მუშებმა მოკვლა დაუპირეს.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში გახსნა მან თავისი საყვარელი სამიკიტნო და თავის საყვარელ შვილს: „ლადუშას“ სამიკიტნოში იხმარიებდა, მაგრამ გაუჭირეს საქმე რუსის ჟანდარმებმა, ჩავიდოდნენ სამიკიტნოში, სვამდენ, სჭამდენ და დანახარჯს ყინულზე სწერავდენ.

აქედან ჩაისახა „ლადუშში“ „რევოლიუციონური სული“, სიძულვილე ჟანდარმებისადმი.

დრო მიდიოდა, „ლადუშ“ ცოტა არ იყოს წამოიზარდა და სამიკიტნოს საქმეებში ძალიან „ტალანტლივი“ გამოდგა (ამ სიტყვას ხმარობდა ხოლმე მისი მამა, როდესაც შვილის ქებას დაიწყებდა), „ჩემი „ლადუში“ ძალიანი „ტალანტლივი“ ბიჭი გამოდის“.

და, მართლაც, „ლადუშის“ პროექტის თანახმად, მამამ თავისი გვარი რუსულ გვარად გადააკეთა, თუმცა სიტყვის ძირად რატომღაც ილია ჭავჭავაძის ცნობილი გმირი—ლუარსაბი აიყვანა.

ამის შემდეგ, როგორც კი წაიკითხავდა რომელიმე ჟანდარმი, სამიკიტნოს აბრაზე წარწერას—„გილდიი კუპეც ლუარსაბოვიო“, იტყოდა ხოლმე: „ნაშა სობაკა და ეშჩო კუპეც“-ო და გზას აუხვევდა ხოლმე, ასე გადარჩებოდა ზედმეტ ნალოგებს და ჟანდარმების მუქთად გაძღომას. ამ გამოგონებისათვის მამამ შვილს არლანი უყიდა. ალრიტინებდა შვილი არღანს, მამა კი ვაჭრობდა.

ნიკოლოზი რომ ტახტიდან გადმოპინტრიშდა, ჭამაშვილი კინაღამ ჭკუიდან შეიშალნენ, მაგრამ ყველაფერი მათთვის ისევ კარგად დატრიალდა: საქართველოში მენშევიკები გამეფდენ. ახლა უკვე დიდი ფიქრი აღარ დასჭირებიათ: გვარს ქართული დაბოლოვება გაუკეთეს.

შვილი ჩვეულებრივად ალრიტინებდა არღანს, მამა კი ვაჭრობდა.

ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მოინდომეს გვარი ისევ რუსულ დაბოლოებით გადაეკეთებიათ, მაგრამ დარწმუნდენ, რომ ისინი ეროვნებებს არ ერჩიან, ამიტომ გვარი ისევ ქართული დაბოლოვებით დარჩა.

ვინც იცნობდა, მეარღანე ლადუშს, ეკითხებოდა:

— შენი გვარის დაბოლოვება უწინ ასეთი იყო, ეხლა კი ასეთია, როგორ მოხდა ეს?

— ამხანაგო, შოვინისტურ და ნაციონალისტურ მიდრეკილებებს დროა თავი დავანებოთო.

როგორც ხელოვნების დარგში მომუშავეს, უყვარს დისპუტებზე სიარული, სადაც ირჩევა ხელოვნების საკითხები; ზის კუნძივით და მის ფუნქციებს შეადგენს მოხსენებელს პაპიროსი, წყალი და სხვ. მიაწოდოს, თავმჯდომარეს კი უშველოს ზარის დარეკვა, როცა კი ეს საჭირო აღარ არის, თავს მაგიდას ამოაფარებს ხოლმე და უხეირო რეპლიკებს ისვრის.

არც დისპუტზე და არც არავითარ კრებაზე ბოლომდის არ დარჩება დროს უქონლობის გამო, რადგან ზოგჯერ ერთი თვის განმავლობაში პირს ვერ იბანს, ტანის დაბანვაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

მუსულმანების უბანში სხვადასხვა საქმეების გამო ხშირად უხდება სიარული. მიუხედავად ამისა, არ იცის, სად არის ტფილისში აბანოები. ისე კი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით დაგიწყებთ ლაპარაკს მუშათა მასების კულტურულ დონის ამაღლებაზე. „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილი ფელეტონის ტიპი—„აგიტატორი მიშა“ პირდაპირ ზედგამოჭრილია ჩვენი ვანლერიკოსთვის, იმის გამოკლებით, რომ ამ უკანასკნელ მოხსენების გაკეთების შნო არა აქვს. სამაგიეროდ, დიდი რომანტიკოსია. ერთხელ რომანტიულ ნიადაგზე ნერვებ - აფორიაქებულმა ვანლერიკომ, გასამხედროების მიზნით, 900 მილიმეტრის მანძილზე მოჰკლა.., დიახ, მოჰკლა ხვადი კატა, რომელიც ეარშიყებოდა მათ საკუთარ დედალ კატას, ძალიან „რევნივი“ სულიერია ჩვენი გმირი. ამ მხრივ მამას ძალიანა ჰგავს....

10—11 საათის შემდეგ თქვენ ვანლერიკოს ვერსად ნახავთ. ამ დროს სისხლის სამართლის სამძებრო მილიციასაც კი გაუძნელდებოდა მისი მოძებნა. იგი რომელიმე ორ-აბაზიან პროსტიტუტკასთან არის სადმე ქალაქგარეთ, რომ არ შეამჩნიონ ისეთებმა, რომლებიც მას ჯერ-ჯერობით კიდევ კარგად უყურებენ.

თუ სახლში დარჩა, გაშლის სუფრას ღვინით, არყით, დასდგამს ზედ ორ ჭიქას, ორ თეფშს და მაგიდასაც ორ სკამს შემოადგამს... ერთი სიტყვით, ყველაფერი ორ ადამიანისათვის. ერთ სკამზე თვითონ დაჯდება, მეორეზე კი.... როდესაც ალკოგოლისგან თავში „ჰოპოპები“ გაუჩნდება, მოფრინდება ხოლმე ცისფერ ტანთსაცმელში, ფრთებიანი ქალის ლანდი... და ჰამლეტივით აცახცახებული ვანლერიკოც ესაუბრება ლანდს... თანაც დრო გადასულ პამიდორის ფერ სისხლით დაწერილ სტრიქონებს მღერის:

„ჰეი სო მნოი, პარშივაია
სუკა! პეი სო მნოი“...—

რომ შეეკითხოთ, თუ რად შერება ყველა იმას, გიპასუხებთ:—„ყველა კარგ მწერლებს არანორმალური საქმეების ჩადენა ახასიათებდათ და ეს თვისებები მეც გამომაჩნდაო“.

მართალი არის პროლეტპოეტი ფრიდონ ნაროუშვილი თავის სტრიქონებში რომ ამბობს:

„შემოვა სახლში, ესენინიდან
მღერის, ერთობა იმ სტრიქონებით,
რომელიც ერთხელ თვითონ აგინა...
ადგება დილით „მახვილ გონებით“,
ისევ სწერს წერილს ცნობილ თემაზე:
ამოვსწვათ შანთით ყველამ ეს სენი,
„მოვსპოთ ლოთობა და ესენინი“!.

**გიორგი ზარიძე.**

# ქრონიკა

**დავკარგე:** საავარაკო მატარებლით მოგზაურობის დროს ცოლი. მპოვნელს ვსთხოვ: ტანსაცმელი დამიბრუნოს, რომლის ვალი დღესაც არა მაქვს გადახდილი, და ქალი კი თითონ დაიტოვოს.

**დავკარგავ:** ძალიან მომწონს ჩემი თანამდებობა, მხოლოდ ვგრძნობ, რომ მომავალ საბჭოთა არჩევნებზე—მას უეჭველად დავკარგავ.

**ვიპოვნე:** კოოპერატივი, რომლის თაღები ისე გამოცარიელებულიყვნენ, როგორც მისი თავმჯდომარის.. („თავი“ რომ ვსთქვათ, ვაი თუ ვინმემ იფიქროს, რომ თავიანი თავმჯდომარე ყოფილაო!..).

**ვიპოვნი:** არ გიკადრებ, თორემ, რამდენი რწყვილიც გნებავთ, იმდენ ბიუროკრატს ვიპოვნი ზესტაფონიდან საჩხერემდე.

**გოლოზა.**

# თავაზიანი კინო მაყურებელი



— არ შეიძლება ეს თქვენი „კეპი“ მოიხადოთ? და-
ნახვას მიშლის...



— აჰა, ინებეთ!..
— არა, არა, ღვთის გულისათვის, ისევ დაიხურეთ!..

# უბედური შემთხვევა

შენ დგეხარ ისევ..
ხედავ და ისმენ:
აქ პინკი-პონკი“, იქ „ტირი“-სტირის“ და ამას, აჰა,
სროლაც მოჰყვა...
საბილიარდოდანაც გამოისმის შარების როკვა...
ეგვიპტის სფინქსებს მოგაგონებს მოჭადრაკენი
და სფინქსებრ სდუმან (ალბათ ჭანტაკულათა არის
მათი საქმენი), —
ოზივატელშჩინა დასეირნობს „მოდნი“ კაბებით:
დააქვთ „სიმოკლე“ დატვირთულებს „გრძელ-
გრძელ“ ზრახვებით.
მეორე მხრიდან შემოგესმება ჩემანალა
კონფერანსიეს.
კაცს ისედაც მოგბეზრდა კონფერენცია...
— ეხლა მორიგი კონცერტიული განყოფილება
აცხადებს იგი, და ხალხში ბრინჯივით იპნევა
კმაყოფილება,
უკანა რიგებში ტაშიც დაჰკრა „პატარა“ ჰიჰებმა,
ერთი ლუარსაბ თათქარიძეთაგანი ყველის ვაჭარი-
ვით იკრიჭება,

(ალბათ უხარია,
რომ ცოცხალია!).
ფარდის ახდისას აზმახი და ოჩოპენტე ბარიტონი,
(იქნება იგი დიაკონსე თუ ხარიტონი),
დუროვის მხეცივით შემოიჭრება სცენაზე,
და თვალები აქვთ გადმოცვანაზე,
(თქვენ არ გეგონოთ დოლონაძე ან ვენაძე),
პაუზა ერთ-მეოთხედი საათის.
(ჩვეულებრივი არტისცტული სენი ფასონისათვის!...).
რის შემდეგ, მიიღებს სახის ლირიულ მეტყველ
მიმიკას

და ჯვარედინათ გულზე მიიკრავს
ტრაგიულათ განწყობილ ხელებს.
ერთ ორჯერ კიდევაც ჩაახველებს,
დადგება ბეგემოტივით
და იწყებს ქართულ სიმღერას „ჩინურჩინებურ“
მოტივით:

„დამისხი დამალევინე ეგ ღვინო ოხერ ტიალი,
ეგების წალმა მეჩვენოს ქვეყნის უკულმა ტრიალი?!..
ხომ ხედავთ: ესეც ქვეყნის წალმა ტრიალზე
ზრუნავს!..
თუმცა დალევის შემდეგ ყველაფერი უკულმა
ბრუნავს!..
შემდეგ „აპოლონს“ შესცვლის ქიზიყელი
„აფროდიტა“.
(მასაც, როგორც სხვა „პევიცას“ თავი მოაქვს
დიდათ).
აჰა, უკვე იწყო აკომპანიმენტი პორტოპიანმა.
მასაც ამოხდება ყელიდან „ფორტე“ ან „პიანო“:
„ტააავო ჩემო, ფეტვი არ გიცერიაა-ა-ა-ა.
რატგან ვქედავ: ხველა ზავკლუბი შტერიაააა!...
ტავო ჩემო-ო-ო“ და დააყივლა პეტუხი.
— ავაი ქე არ გააფუჭა „ვოზდუხი“!..
წამოიყრიანტელა არა მკითხე მოამბემ უკანა
სკამიდან.

ჩვენ დებიუტანტკასაც იმავე წამიდან,
„ჩაფლავების“ ქარები დაუვლის ტანში.
მაგრამ, სწორეთ ამ დროს იგრიალებს ტაში
და დაარღვევს გამეფებულ მყუდროებას,
რის შემდეგ მაკარონის ფეხები საზოგადოებას
მეშჩანურ რევერანსით მორცხვათ უმასპინძლდება.
მაგრამ აი, კონფერანსიემ გამოსვლა ისევ ინება:
— „კრასნი სატირიკ, კუპლეტი ნაზლობუ დნია“ —
აცხადებს ისევ ეს მომაბეზრებელი ძია.
და შენ კი გულში
დღესაც ისე, როგორც გუშინ
აგინებ, ესტრადის მომგონს.
და ცალი თვალით „სმოტრავ“ „პატარა“ გოგოს,
რომელიც რომ ატკრივაეტ როტ,
ი კუშაეტ სვეჟი ბუტერ-ბროდ!..
(პრადალჟენიე სლედუეტ)

**დონ-კიხოტი.**

## ზოგი გარჯა თავის გასჯაა

„ვისაც პოლონეთში აქვს ან ჰქონდა მამული, თუ სხვა რაიმე ქონება, შემოიტანონ ამის შესახებ განცხადებანი“...

(თემაღმასკომებში თვალსაჩინო ადგილს გასაკვრელად მისულ განცხადებიდან)..



— კაცო, ამ დროს აქ რა გინდა, რატომ ყანაში არ მუშაობ?!

— მე ამხანაგო, თავმჯდომარევ, იმის მოსახსენებლად გიახელი, რომ პოლონეთში მე არც სახლი მაქვს, არც კარი და არც ყანა მითესია!..

## აგარაკი წყალტუბო

(სასადილოს ავკარგი)

ხა- ხა, ხა-ხა, ხა-ხა; ხა,ხა...
ეს კი არის სასაცილო;
ნუ თუ ძაღლებისთვის გახსნეს
აქაური სასადილო?!.

—:—

თქვენ შიგ ნახავთ ძაღლთა ხროვას
გაგაოცვიფრებთ მათი ქცევა:
სამზეცეში იგრძნობს თავსა,
სასადილოთ ვინც აქ შევა..

—:—

დატრიალებს სუფრას მუდამ
ზრდილობით და არა ურჩად,
ზანტად ზვერავს მოსადილეთ
სტოლზე თუ რამე გადაურჩათ!..

—:—

მოქალაქე კი არ ირჩენს
არც ქათმისა საკენკავსა,
მიდის ძაღლი, თხოვნის ნიშნად,
კალთაში დაუდებს თავსა!..

—:—

თითქო ასე ეუბნება:
„დამიტოვე, კაცო, ცოტა“.
ასეთ პოლიტიკით სცხოვრობს,
აქ ძაღლების მთელი როტა!..

**პატარა ანკესი.**

## მე და მუზა

(უძლვნი ბევრს... ძალიან ბევრს..)

მე ცნობილი პოეტი ვარ,
ძლიერი, ვით ევგენ დვალი;
ახალ ქვეყნის მშენებლობის
უსათუოდ მე ვარ თვალი!.
სხვა პოეტებს მე არ ვგევარ,
თმებ-დიდა და ჭკუა თხელებს,
მე ჩემთვის ვარ, არ ვეკუთვნი
არც „ყლანწებს“, არც „შემარცხვენლებს“...

წინ მიმაფრენს ჩემი მუზა
(თუმცა ხშირად ვფიქრობ ქალზე).
ვიცი, მამა ახლა ჩემზე
გაბრაზებულია ძალზე!
იწერება: „შვილო, შენმა
პოეტობამ დამაქცია!“..
იცის ჩემი საიდუმლო
მხოლოთ ერთმა რედაქციამ...
იცის, თუ ვით ვჯღაბნი ლექსებს,.
რედაქტორი ვით მისწორებს,
დაბეჭდილი დედანს არ გავს
და ეს გულით დარდს მაშორებს.
თუმცა მაინც გავხდი ბიჭი,
ვევნე დიდათ და ვეწამე...:
იცის ჩემი საიდუმლო,
იცის კიდევ ერთმა ღამემ,
როცა დაღლილ დაქანცული
ტახტზე ვიყავ გაგდებული
და გარეთ კი საღამოს დრო
იყო სუფთა, დიდებული...
კარზე კაკუნს ყური მოვკარ
წამოვპრაწე ორივ თვალი;
გავალე და ჩემს წინ იდგა
საუცხოვო თეთრი ქალი.
სიცოცხლეო! მე ჩემს დღეში
არ მინახავს უკეთესი,
მის თვალებში კრთოდა დარდი
მისტიური, ცეცხლის მთესი...
და ბუროსში გავეხვიე,
უცებ კალამს ვსტაცე ხელი;
თანასწორად მომეჩვენა:
ტყე, მდინარე, მთა და ველი...
და დავსწერე მე პირველი
სატრფიალო სტრიქონები...
ის გულწრფელი ლექსი იყო,
ბრიყვი ნურვის გეგონები.
რა ვუყოთ რომ დღეს მოდიდან
გადავიდა გრიშაშვილი,
სიყვარული ისევ მეფობს,
იმედივით ფრთა გაშლილი.
ვატეხე ღამე და დილას კი
მე ჩემს კარებს დავეძგერე
და ის ლექსი, მე პირველად
სასოებით რომ დავსწერე,
გაუწოდე წინ მდგომარე
ჩემს ღვთაებას..
— ანგელოზო!...
— შენ, ყმაწვილო, რას სულელობ;
ხომ არ გინდა რომ გაგროზგო?!.
გამოვერკვი... რა მომსვლია
ჩემო ძმაო ნულარ მკითხავ:
ქალი თურმე მერძევეა
და ცალისთვის მომაკითხა,..
.. და იმ დღიდან პოეტობამ
ხშირად წამაიგიმიქნა.;;
მაგრამ ყველა დამეთმობა,
თუ კი ვინმემ წამიკითხა...

**იანო.**

# ლოტოს მსხვერპლნი



— საიდან, ზატო-ჯან?!

— ლომბარდიდან... ქა, იცი? ესენი ლოტოს გულისათვის სულ იქა მქონდა... და წუხელის აკი მოვიგე... შენ საით-ღა, ფეფიკო?!

— ლომბარდში, ქალო, ლომბარდში მე სულ წამი. ვიდა ხელი...

## ნაგომარი

მინდა ვეწვიო ნაგომარს,
ავახმაურო სტივრია,
გაულახავი წახვიდე —
ფეხები მარდი გქირია!..
აქ შალვა თავმჯდომარეა —
ყვირილი მისი ნიჭია,
სერაპიონსა მიუხდა.
ვერ შეაშინა ბიჭია.
უყვარს ღვინის სმა, ქეიფი,
ამხანაგათ ჰყავს ტარასი,
ფარმაცევტობით ხმობილი,
ბიუროკრატი ხალასი!
გლეხობას მისი შიში აქვს,
კაცია მეტად მძუქანი,
კინაღამ მტვერად აქცია
მან ვალოდიას დუქანი...
საგლეხო ბანკში შევიდეთ,
ვუთხრათ ნანინა ტკბილია:
ფულები გამოლევიათ
და შეჰპარვიათ ძილია!..
ვინაც კი ფული წაიღო
უკან არავინ აბრუნა,
და იმის ანგარიშობამ,
მუჯირი დააძაბუნა!..
დათიკოც კი დავისმაროთ
ამ მესტვირულის მღერაში,
თმები რომ გათეთრებია
ძველი დავთრების წირაში!..
კაპიტოს უთხრათ: პრიჩოსკის
ისევ განაგრძოს კეთება
ტარტაროზმა თუ მოუსწრო,
მაშინ იკითხოს ფეთება!..
„სახ. დაზღვევაში“ შევიდეთ,
ვნახოთ ანთიმოზ ჩვენია,
რომელსაც მარად ამშვენებს
რაშისებური ცხენია.
ვალსა და სესხში უთქმელად
არც „კოოპერატივს“ დავრჩებით,
რომელიც არის შემკული
ჭაბდეულით და ფარჩებით!
იქვე ბაზარში იხილავთ
გოგელიას სამიკიტნოს,
მისთვის უკეთესი არის,
ბუკნარში რომ კიტრი ჰყიდოს!..
წითელი ჯვრის საწადილო
ჩაუვარდა ძველ ჩარჩს ხელში,
ფიქრობს მარად ხალხის ცოცხნას,
როგორც თაგვი ძვრება ხვრელში!..

ძმათა ხლუსტები

# ტარტაროზს

ოქტომბრის ქარი ისევ ქანაობს,
კვდება სამყარო, შავი და ძველი.
მინდა, რომ ლექსი მოგიძღვნა, ძმაო,
კარგის დაწერა ვერ შევიძელი.
გული თბილია, როგორც ბუხარი,
ცაში ნავარდი სულს არ უნდება,
ზოგს თუ სიმართლე პირში უთხარი,
განზე გადგება, გაიბუტება.
ხშირად გიცქერენ თვალები ავი,
მაგრამ ჩასაფრვა შენც იცი დროზე.
ბევრსა გაამვრე კისერზე ტყავი,
მაგრამ ბევრია სატარტაროზე...
ოქტომბრის ქარი ჩვენს მხარეს იძვრის,
ბევრი გადაყვა თავ-დავიწყებას;
გიძლევნი ლიპიან გამგეთა რიგებს
და ბუჰგალტრებიც ჩოთქიან წყებას.
უკმაყოფილო ბევრია, ვიცი,
და ბევრნი განზე იგრეხენ ცხვირებს.
გამიგონია: გვარზე ხტის-კვიცი;
რა უნდა უთხრათ დღე-განაწირებს?!..
გავსწიოთ წინ, წინ!... ვიყვეთ უცვლელი!
გზაში არავინ დავიგვიანოთ;
მოგესალმები ტარტაროზელი
ეიცი მეგობარს. მიცნობ.

ჩან[illegible]

# ჭირი იქა, ლხინი აქა

(ზღაპარი ზოგ სინამდვილეზე)

იყო თუ რა იყო:
ასილო და გიგო,
მეზობელი ქალი, ვაჟი,
და არც თუ ურიგო.
რიგიც მიდის, რიგი მოდის
სიყვარულის გზაზე...
შეუყვარდა გიგოს ქალის
შნო და სილამაზე!..
არც ასილოს სძულდა გიგოს
ფხა, უნარი, ნიჭი,
გიგოც საქმის კაცი გახლდათ,
დარდიმანდი ბიჭი.
ჰო და... ასეთ პირობებში
რაა გასაკვირი?
ვაჟს ქალი სურს, ქალს სურს ვაჟი.
თითქოს შესთქვეს პირი.
ვაჟის დედა სწყრება ვაჟზე,
ქალის დედა—ქალზე,
შეტევაზეც გადავიდენ,
დადგენ, რაღა, ძალზე!..



აქეთ ეს სწევს, იქით—იგი.
ლამის გაწყვიტეს ჩარა:
თითქოს ომს აზავებენო,
„დატრიალდა ჯარა"!..



მაგრამ ასაკს გააქვს თვისი,
ვერ აჩერებს, ვერა:

დახეთ, როგორ შეხმატკბილდა
ორი „გაიძვერა"
და ერთ დილით „მმაჩისაკენ"
ვით გაითქვეს პირი!..
ორი მოწმეც გზაში ჰპოვეს,
ესეც... „ღობეს—ჩხირი"!..
„მმაჩის" გამგემ გადმოიღო
„ანკეტა" და „ბლანკი",
სქელი წიგნიც გადმოშალა,
როგორც თვითონ, ტლანქი.




მოაწერა ხელი სიძემ,
სასძლომ, მოწმეებმაც.
გარს კედლებმა გაიცინეს
და კედლებში—ქვებმაც!..
მოდის სიძე... „ბატი მოყავს"...
მაგრამ გაჩნდა „ტურა":



აქეთ ქალი, იქით ვაჟი
გადგენ უკმაყურად!
გაიბუტენ... გასწყრენ... ასტყდენ...
თვით ეზოში მმაჩის!
ჩაიშალა მყის ერთობა
გუდის და ქამანჩის!..
შედგა სტვირი!.. დადგა ვირი!..
ისევ—უკან, „მმაჩში"!..
ამოგვწერეთ! აღარ გვინდა!
და კვლავ—უკან, სახლში!..

უკან, მარა... წინ გიგო და
მის უკან—ასილო,
მოწმეების ხვედრიც კიდევ
უფრო სასაცილო!
— ასე უცბათ? როგორ მოხდა?
— ჰი, ჰი!..—ხა-ხა!..—კის-კის!..
არც ქალს უნდა სახლში წასვლა
იმდენადვე—არც ბიჭს..
მაშ საით-ღა?!—იცი, გიგო?!.



— ასილო-ჯან, იცი?!.
ისევ—„მმაჩი“!.. ხელის წერა!..
ერთგულობის ფიცი!..
და „მმაჩიდან“ შინ დაბრუნდა
შენაუღლი წყვილი,
ერთი კვირა ტკბილად იყვნენ,
ჩუმად, როგორც რწყილი!..
გიგოს დედა თავის ზახალს
ხელს ხვევს ყელზე ტკბილად
და ყოფნის დღე ორ ოჯახში
მიჰქრის კმაყოფილად...
მიჰქრის, მაგრამ ამ კავშირს ქმნის
ნეფე-დედოფალი,
თუ მათ შორის ზავი სუფევს,
მტერს უდგება თვალი!
მაგრამ... ეშმაკს არ ეძინა,
ტარტაროზიც სთვლემდა...
სთვლემდა, მხოლოდ გულში კი ძლიერ
ეჭვის ურო სცემდა!
და იმედი არ ქრებოდა,
რომ ხან-მოკლე იყო,
რასაც ახლა ზავად რაცხდენ
ასილო და გიგო!
და ერთ დილით თუ საღამოს
აკი „გასწყრა ზეცა“:
ქალი ვაჟს და ვაჟი კი ქალს
ყელში მტრულად ეცა!
ეცა!..—„მაცა“!—„მომიცადე“!.
გაჩნდა თმების ქიჩვა...
ეს ზახალიც, ის ზახალიც,
ორივ წამს იქ იშვა!..
— ხელი ამას!—ხელი იმას!..
გაწყტა, რალა, ჩარა...
ამას—იმას—იმას—ამას..
დატრიალდა ,ჯარა!..

ვინ ვინ ჰქოჩრა, ვინ ვინ ჰფორჩხა
და ვინ რა აქეთა...



რძალის დედა იქით წვალობს
და სიძის—აქეთა...,
მხოლოდ უკან კი არ სწევენ,
წინ დენიან ახლა:
სჩანს, გაუტკბათ იმათ ყოფნა
ერთმანეთის ზახლათ!
მაგრამ „ვირი გაჯიუტდა“,
წინ არ იძვრის სამგლე:
სამხელ ჩხუბი დააწყნარეს
და კვლავ ასტყდენ სამხელ...
მეოთხეზე... „დადგა თხლეზე
სანაქებრო ღვინო“!
სჩანს, რომ ზავი არ დადგება,
რაც არ ულიტინო..
და დაადგენ კვლავ „მმაჩის“ გზას
ახლა საბოლოოდ,
მოწმეებიც კი შეწუხდნენ:
— „იქნებ დავაზავოთ!“...
მაგრამ, ზავის ჩანაცვალოთ,
„გატყდა ლობეს ჩხირი“: .




გიგო—ასილოს ცოლქმრობამ —
ჭამა თქვენი ჭირი!..

ჰაზირა.

## პირი ტფილისისაკენ...
### ანუ მასწავლებელთა შემოტევა.



— თქვენც აქ გინდათ მასწავლებლის ადგილი?!.
— დიახ, თორე აწი, სადაც არის, სოფელში გზა სულ გაუვალი ტალახით აივსება ხოლმე!..

## კ უ ლ ა შ ი

ტარტაროზ-ჯან, გეხვეწები, ძამია,
გვინახულე, არ შეწუხდე ძალიან.
სიბინძურემ მოგვსპო, გაგვანადგურა,
სამკითხველო, ვხედავ, დაისადგურა.
ამ ამბავს გეტყვი მე დაწვრილებით:
შიგ რომ შეხვალთ, აივსებით რწყილებით.
მასთან იქ სდის საძაგელი სუნია,
გამგეობას თავი დაუღუნია.
იქ თავს იყრის ცხვრები ბევრი თხებია,
ხშირათ ისმის მაყრულის ხმებია.
გამგეობა აღარა გვყავს, თორემა
არც ძვირია საქმის გამოსწორება.
კომისია მადლობისა ღირსია:
ჩაატარეს წარმოდგენა ნისიათ!
მე მინდოდა, რომ მენახა ყველათ.
ვწუხვარ, ვსტირი, რომ სცენაზე ბნელა..
არტისტები იყვენ გვარიანიო..
რომ შეგვსწროდა ღამე მთვარიანიო..

ცხრათვალა.

# ვ ა ი, ჩ ე მ ო დ ღ ე ო!..

უი, დასწყევლოს ღმერთა ამ კომუნისტების თავი, რა ყორისფელს უცნაურს აგენი მეიგონებენ! მაინც და, რომ არაფერი გამოეპარებათ! რაცხას ჩხიკინებენ, რაცხას ეძებენ და სულ ღდინში ჩაყობიან კაცს! ამას წინათ, რაცხა ეშმაკად ეზოში ყორეს ვაშენებდი და ერთიც ვნახოთ, საცხაიდან გამოძვრა ჩვენი იორდანე ჯლამაძე და თლათ ჯანდარაში გამართნია კაცი! „ამ ყორეს რომ აშენებ, „მშენებელთა“ კავშირის წევრი თუ ხარო?“ დედაია, გედევირიე კაცი! რა კავშირი, რის კავშირი, ყორის აშენებას რა კავშირი უნდა, შენ ხომ არ შეიშალე-თქვა! „ვინ მოგცა შენ პრავა, რომ არა კავშირის წევრმა ყორე ააშენოვო! არც კოლექტიური ხელშეკრულება, არც კავშირის წევრობა.... მე შენ გაყურებიებ სეირსო!“. გამეიძრო ღლიავიდან ძველი მეშოკიდან შეკერილი რაცხა პორტმანივით, გახსნა და მაჩვენა ქაღალდები. „ახლავე მოვახსენებ მთავრობას, რომ შენ კანონს გარეშე მუშაობო!“. ჟილო კალანდაში და რაცხაის წერა დაიწყო!.. შევეხვეწე: „ჩემო იორდანე, მაპატიე, შეუგნებელი გლეხი ვარ, არ ვიცი, რაშია საქმე, თვარა მთავრობის ზაკონის წინაალმდეგ რავა დავბერავ სულს-თქვა“ და სახლში შევაპატიჟე საზაკუსკოთ. ვიფიქრე, იქნება პურ-მარილმა გასჭრას და ხლაფორთს ავცდე-თქვა. რავაც შევაღე თუ არა სახლის კარები, უცებ შეჩერდა იორდანე და გაკვირვებულმა მკითხა: „ვინაა ეს ქალი, რას აკეთებსო?“. ბიჭო, ჩემი ცოლია—ტერეზია და ლობიოს ხარჩავს-თქვა. „კი, მარა „ჭამა-ყლაპის“ კავშირის წევრი თუ არისო?“. დედაია, გედევირიე კაცი! ლობიოს მოხარშვას რა წევრობა და ბოდიში უნდა-თქვა,—ვუთხარი, მარა შენც არ მომიკვდე, ერთი შემომიბღვირა კურო მოზვერივით და რაღაცა ჩეინიშნა წიგნში, ვიფიქრე, ნამდვილათ გლახათაა ჩემი საქმე-თქვა და დოუწყე ბოდიში.—„აგი ვინააო?“—შემეკითხა. აგი, შენი ჭირიმე, ჩემი ქალიშვილი გახლავთ—სიფიდამი-თქვა, მოვახსენე. „კი, მარა, რას აკეთებსო?“. აგი, ჩემო ბატონო, საცვალიზა არშიას იქსოვს-თქვა. „რაიო, რაიო? მერე და ფეიქართა კავშირის წევრი თუ არისო?“. არა, ბატონო, არა, ერთი არშიის მოქსოვას რა კავშირი უნდა, მარტვაც მოქსოვს-თქვა, ვუთხარი, მარა ვინ დაგიჯერა, იყვირა უშველებელი და აგი ჩემი სიფიდამიც ჩეინიშნა კნიღაში. გულმოსული შემოტრიალდა და დაინახა დედაჩემი, რომელიც მამალს აყვერულებდა. „რაია ეს, ვინაა ეს დედაბერიო?“. ეს დედაჩემი გახლავთ და მამალს აყვერულებს-თქვა—უთხარი. „ესე იგი ხიროურგობს.. „მედსანშრომის“ წევრი თუ არისო?“. არა-თქვა, ბატონო, არა; ქალი მის მამალს კოდავს და ამას რა წევრობა უნდა-თქვა, მოვახსენე. „არავითარი წესი, არავითარი კანონი, არ ყოფილა შენს ოჯახშიო. არა, როგორა ჰბედავ, რომ მთავრობის კანონის წინაალმდეგ მიდიხარო?“. შევაბრალე თავი: „უსწავლელი გლეხი ვარ და არ ვიცი, რავა უნდა მოვიქცე-თქვა და ის იყო რაღმე მოვალბე კაცი, მარა ამ დროს, ჩემდა საუბედუროთ, ჩემმა ბიჭმა, ამბროსიამ სალამური დააფშვიტინა! „აგი ვინააო?—შემეკითხა იორდანე. ეს ჩემი შვილი გახლავთ—ამბროსია და სალამურს უკრავს, რავარც მოგეხსენებათ, ბავშვი-თქვა.. „კი, მარა, „რაბისის“ წევრი თუ არის, რომ უკრავსო?“. არა, ბატონო, არა, რა წევრობა უნდა რაცხა სალამურის ფშვიტინს-თქვა და მივპატიჟე საზაკუსკოთ, მარა მისთანა იყვირა, რომ მე თელათ დააქცია იჭაურობა! „ახლავე ჩადით ქალაქში და ყველა მის-მის კავშირში ჩაეწერეთ, თვარა მიდღემჩი ციხიდან ვერ გამოყოფთ თავსო!“.. იყვირა, ჩაგვნიშნა აგი მთელი ოჯახი ყნიღაში და წვვიდა.

რალას ვიზამდი, მეორე დღეს დოუყარე თავი მთელ ჩემს ოჯახს და ჩამოვიყვანე ქალაქში. დავარონიებ ამ ჩემს ხიზნებს და ვკითხულობ კავშირებს.... ღვთის წინაშე, ჩემი ამბროსიას ჩაწერა არ გამჭირებია, რადგან ყოველ ქუჩაზე, ყოველ სამიკიტნოში ბუზებივით ირეოდა რაბისის წევრები. მომასწავლეს კავშირი და ჩავაწერიე ამბროსია. ჩემი ტერეზიას კავშირი ხომ სულ არ გამჭირებია, რადგან „ჭამა-ყლაპის“ კავშირის წევრები ყველა ყოფილა: დიდი და პატარა. მინუთში მივაგენი და ჩავაწერივ ჩემი ტერეზია. რავაც იქნა, „მედსანშრომის“ და ფეიქართა კავშირიც ვიპოვე და მოვაწყვე დედაჩემი და ჩემი ქალიშვილი—სიფიდამი. დავრჩი მარტვა მე უბედური უკავშიროთ, რადგან არ იქნა და ვერსად ვენახე მშენებლები, სუყველა „ჭამა-ყლაპის“ წევრები ყოფილან. სადაა, ხალხნო მშენებლები, ჯამაგებიეთ, რომ ჩავეწერო, თვარა, გადევირიე, ესაა!..

გოგია.

## უადგილო მზრუნველობა



— რათ ეწევით თამბაქოს, ნუ თუ არ იცით, რომ წევა გულს გაგიგანიერებსთ?!..

— მით უკეთესი თქვენთვის! ამდენი ხნის ამაო ლოდინის შემდეგ, იქნება ბოლოს მაინც ეღირსოთ შიგ ადგილს!...

## ბ ა ლ დ ა თ ი

ტარტაროზო, სიჩუმისთვის
მაპატიე, ძმაო,
რომ ბაღდათზე ამდენ ხანში
არა ითქვა რაო.
  აღმასკომში ფინაგენტი
ვალიკოა, ბიჭი.
ღარიბ გლეხებს არ ენდობა,
კულაკს — მისი ნიჭი!
ობიექტის აღწერები
ვინაც მას მიანდო,
ტარტაროზო, შეიძლება,
შენ მაინც მიაგნო!
მჟავანაძე, ლოთი ბიჭი,
ფოსტაში რომ იყო,
სულ შესანსლა კურთხეულმა,
რაც „კასაში“ იყო.
სამი ათას ხუთას მანეთს
სადღაც უკრა თავი.
ცოლი — სახლში, თვით — გამსახლში,
საქმე — გულ-საკლავი!..
მილიციას შეუყვარდა
ლუქი და „ფეჩატი“
და „ეპოს“ მაღაზიებსა
ბეჭდავს ყოველ წამში!
საკრედიტოს დაავიწყდა,
პარტია, კავშირი,
კულაკებთან გამგეობამ
ლამის შეჰკრას პირი!
თავმჯდომარის მოადგილე
სავლე გორგოძეო,
კულაკი და მევახშეა,
ცხოვრობს გემოზეო!
თაბაქარი თევზით ვაჭრობს,
„კტო ნე ზნაეტ ეტო“.
სავლე ფულებს მიასახებს:
ნაჟივაიტ ვ ეტომ!
ჩიქვინიძე მღვდელი იყო,
ფული ჭამა „ეპოს“,
საკრედიტო მის მარანში
განა, აღარ ენდოს?
ას ოც მანეთს თვეში აძლევს
ჯამაგირსა კარგსა,
დახე: „წყეულ“ პროკურორსა:
აგზავნის გამსახლსა!
კიკო.

## ძ ი რ უ ლ ა.

წვიმამ რომ მოიმატა, მოსეირნე ხალხმა სადგურში შეიყარა თავი.

ის იყო მატარებელი უნდა გამოსულიყო მეზობელ სადგურიდან.

წამსვლელმა მგზავრებმა რიგი დაიკავეს.

სალაროსთან ხმაურობა შეიქნა.

— ხურდას რათ არ იძლევით თქვენ, ქალბატონო?!— ყვიროდა გამწარებული შუახნის გლეხი.

— უკაცრავათ, ბიძია... დაწყნარდით... ჰა, მიირთვით!.

— ორი შაური მერგება, ქალბატონო, ხურდათ?! — წყნარათ უთხრა ვიღაც გალსტუკიანმა მოლარე ქალს.

— უკაცრავათ, ბატონო... ჰა, მიირთვით!..

— ამხანაგო კასირშა! ზესტაფონამდი რა ღირს ბილეთი?

— ოცდა შვიდი კაპიკი!..

— მერე და ეს რაა!.. მანეთიანი მოგართვით და ოცდა შვიდ კაპიკს მე მაძლევთ ხურდათ?! ეს, როგორ შეიძლება?!..

— უკაცრავათ, ახალგაზრდა, უკაცრავათ... გადამცდით... ჰა, მიირთვით...

— ჰმ! გადაცდა!.. ყოველთვის?!.. ხ

— გადაცდება, მა რა დაემართება, დღე და ღამე...— სიტყვა ჩაყლაპა ვიღაც მოსეირნე კაცმა და ჩემ გვერდით დადგა.

მატარებლის მოსვლამდის ჩხუბი და საყვედურები მგზავრებსა და მოლარე ქალს შორის არ გათავებულა. მატარებელი გავიდა. მე დამაინტერესა იმ ვაჟის დაუთავებელმა წინადადებამ „დღე და ღამე“ რომ მოსწყდა პირიდან. განვიზრახე გამომეკვლია, თუ ამ „დღე და ღამეში“ რა ხდებოდა და მართლაც ყველაფერი დაწვრილებით გამოვიძიე.

თურმე ამ პატარა სადგურში ოთხი მოლარე ყოფილა: ორი ძუთ და ორიც ხვალათ.

დღე და ღამე, როგორც უსაქმონი, არშიყობის მეტს არაფერს არ აკეთებენ. (მოხუცებული მოლარეს გამოკლებით). სიყვარულში გახვეულებს თურმე ბილეთების გაყიდვის დროს ანგარიში ისე ებნევათ, როგორც სიმონ ბლალოჩინს მიცვალებულისათვის „წესის აგება“.

ჩემი აზრით, შეიძლება მართლაც „სიყვარულის“ბრალი იყოს ბილეთების გაყიდვის დროს ხურდას მიუცემლობა, მაგრამ მე ამას კი ვიტყვი: „ასეთი მოლარეები სალაროს ვერვის შეაყვარებენ“.

ძირულელი ქალა.




— რაშია საქმე, კაცო ამ კოოპერატივში მთელი ოჯახობით მსახურობთ თუ!..

— რას იზამ, ამხანაგო მოვალენი ვართ, კოოპერატივში „ჩავაბათ“ არა მარტო ოჯახის წევრები, არამედ ახლო ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებიც კი!.

## ტყიბულის მაღაროები

ამ ტყიბულის მხარეს.
ბევრი რამე ხდება—
მაგრამ წახდენილი
ადვილად არ ჩნდება.
ბევრი იმალება,
კანონი ირღვევა
დამზღვევ კასის ფინანსება,
სულ ყველა იბნევა..
სამუშაოდ იპარება —
ხალხი სულ ბევერი,
პენსიონერნი ხდებიან,
გაისარებს მტერი.
არ გაიარს ორი დღეც კი
ექიმს მიადგება,
ჯანზე მყოფის მუშის ადგილს
იგი რისთვის დგება?!.
მოუნდით ჩვენ ოთხმოცი წლის
მკურნიას და ვარდენს,—
რას აკეთებს ეს ბებრები?
მხოლოდ საქმეს ახდენს!..
სამოცი წლის ბებრუხანებს
მიუჩინოთ ბინა,
რომ კაპიკი მშრომელების —
არ დავკარგოთ ტყვილა!..

„დარია“.

## გურული სცენა

(კვირა დღეა — ნაშუადღევი, მეზობელი მეზობელს ხმა მაღლა უძახის):

— დიმიტრი, უ, კაცო, დეიქცა ქვეყანა და შენ გძინავს?!

— პავლე ხარ? აგაშენა ღმერთმა და ბუნებამ, შენი ხმაი რომ გევიგონე, გინდა ბაბაი გამცოცხლებოდეს და მისი ლარღილა გამეგონოს. გძინავსო, რომ მიჩივი, ყბას მიქცევ თუ მეყაშმიერები?

მძინავს კი არა, შიშით სული როგას ამომხდება, არ ვიცი: აზლიპინდა ბაღნები, ატირდა ქალი, აზლუქვინდა ნენაი... დაწევი კაცოო, დაწევი მიწაზეო. კიდევ გავარდა ჩქიფთეთ, ზალპია, ზალპია... ბობაც კი გეისროლოეს... სეით არის, თუ მოისენთე?!...

— საცხა არის, ძმავ, კი აადუღეს ყორიფელი და... ერთი ოჯახი კი არა, მთელი სოფელი იქნება ამოკვინკვილებული... გეყურება? კიდევ გავარდა... ჩააქუხა ყორიფელი... ფირალებს თუ დაეცენ თავზე!.. ამდენი ტყვია-წამალი, მგონია, ციხის ძირის აღებაზე არ დახარჯულა!.. რაცხა ფიშმანილი ვარ, ფირალებთან არ უნდა იყოს შეტაკება. კიდევ გამოსვლა თუ მოაწყვეს და ჩვენი ამოგდება მეინდომეს, ვინცხამ ნამუსათ მაინც რეიზა არ გამანდო?!.. რავაც მევიფხარი აგი სროლა ქალაქზე ახლოს უნდა იყოს. თუ ქალაქის ჩერთაში არ არის, კვირიკეთში ან ბოხვაურში მაინც კი უნდა იყოს... იქნება ციხე გასტეხეს, ტყვეები გეიქცა და იმას მისდევენ, მაგრამ გაქცეულ სროლას რომ არ გავს — სულ ერთ ადგილას ისურება... იქნება მართლა შეემწყვდიეს ფირალები და გარდაგიდან უშენენ — ღამე არ გაგვეპაროსო, გათენდება და მაშინ გაძლაბვლენ ყველას!.. აგი თუ ასე იქნა, ამელამდელ შიშის ჭამას ვინ ჩივა!..

— შენ რა გიჭირს, ძამიავ, ცოლი არ გიტირას და შვილი, ერთი ლევენდრი კაცი ხარ... მე გადავყევი ბაღანების მალვას, ორი ბუხარში შევაძვრინე, სხვებს ამ გაგანია სიცხეში საბნები და ლები გადავაყარე თავზე. კიჭუნიამ მითხრა, წითელ არმიაში ნაყოფი რომაა, ბამბაში და მატყლში ტყვია ვერ ატანსო... მარა რომ არ წყნარდება? კიდევ ჩააქუხეს!..

—ნუ გეშინია, დიმიტრი, „რაც მოხდება, სოფელს გადახდებაო“. მე წავალ შინ, კაცი ყორიფელს შიეჩოვა, მეც შიეეჩვიე მაგ სროლას... გათენდეს დილა.

### მეორე დღეს

— მოდექი, დიმიტრი, აგერ ალაგზე და დაგიკაკლავ წუხანდელი სროლის ამბავს.

— არიქა, მიშველე, თუ ხარ კაცი, მახარობელი და თუ მშვიდობაა, შენს პირს შაქარი!..

— ნუ გეშინია, ყორიფელი მშვიდობითაა! ისე ზარალი დიდია. მოკლულიც ბევრია, მარა არც ერთ ნატყვიარი არ აჩნია, სულ ყველაი დანით და ნაჯახით დაუხოციენ...

— ნუ ჩამატკლიცე ფირფიტაი, წალმა მითხარი, ვინ მეუკლავენ?!

— მოკვლით არა და დაკვლით კი ბევრია: ძროხა, გოჭი, ინდაური, ქათამი, ბატი და იხვი...

— ვისი ოჯახი მოთხარეს, ნეტაი, ასე საშინლათ? დიდი ზარალი მოსვლია საცოდავს. აწი ვეღარც კი წამოუდგება ფეხზე!..

— ბახვაურში კვაშალის ქალი შეურთავს ერთ ახალგაზრდას და, თურმე, ჩვენ რომ ქვეყანა დეიქცა, გვეგონა, აგი ქორწილის სროლა ყოფილა და მეტი აფერი...

— კი, მარა მთავრობას ისე მაგრათ რაფერ დაეძინა, რომ ყურის ძირში ქვეყანა დააქციეს სროლით და აგი გამოეპარა?! ამას ვერ დევიჯერებ...

— რა ვიცი, ძამიავ, მე რავაც ვიყიდე, ისე ვყიდი, არც ვუკლებ და არც ვუმატებ; ასე მითხრეს და მეც ასე გეუბნები, რომ მთავრობის კაცები და პარტიულები იქინე ქეიფობდენო. ჰო და თოფიც იგენს აქვს და მაუზერიც... უპარტიო ყველაი ფეხზე იდგა და ემსახურებოდაო... მოსამსახურე კაცს კი ხელში მარტუაი დოქი და საინი აქ და აგენი რავარც იცი, არც ერთი არ ვარდება... ისე „ახლა თვითკრიტიკის დროია“-ო, იძახიან და ნახოთ მაინც რავარ თვითკრიტიკას უზამენ თავის თავს.

ნიღაბი.



**გამოცდებში ჩაჭრილი სტუდენტი** **ტარტაროზში**



**სახლისკენ ჰერი!!! ერი!..**

მ.რბის, მიფრინავს უგზო უკვლოდ ჩემი—„ორები“,
უკან მომჩხავის ეთალ-ბნედითი პროტექტორები...
—გასწით, „ორებო“! თქვენს ჰენებას მიეცით საზღვარი.
სად მამიჩემის ვენახში სდგას რთველი მღელვარი!..



**ტარტაროზი**

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა-ვიწრო ვერცა კლდოვანი“,
ვერც ჩააბარებს გამოცდებს მოწაფე სუსტ აზროვანი...
ვინც არც კი იცის, თუ დარგის რომლის შეიქნეს მწდოვანი,
მან თავსაც ავნოს და სახლშიც სტანჯოს მშობლები მცხოვანი!..

## ვაჰ, წყალსადენო!

ეხლაც იქ ვდგევარ ქაღალდით ხელში,
სადაც ყოველთვის, მუდამ თვის სწორზე..
ბუღგალტერს ვაწვდი მას მოწიწებით.
ჰა, „გამოსწერე, თუ ძმა ხარ, დროზე“.
შემომიყვირა: „სიცხე ხომ არ გაქვს?
ტროიკა ცოტა ტრპუუ, ამხანაგო!“.
თან კი თვის გვერდით მდგომ ქალსა ჰკითხა::
—„სკაჟი, ნინოჩკა, ჩტო ტებე ნადო?!“.
ქალმა ოთახში შეიტყუილა:
—„შენთან საქმე მაქვს ოჩენ სეკრეტნი“.
მე მის ლოდინში იქვე ჩამოვჯექ,
სიცხისგან თავში დამესხა რეტი!
შემდეგ, როს, ალბათ, „ხოში“ მოღალა,
ორ საათიან არშიყობაში,
მოვიდა ყვირის: „შე ჩემანალა“,
აქ რასა დგეხარ, გასწი კასაში!
გავიდა ასე, ხუთმეტი წუთი,
მას საათებიც უკან მიჰყვება,
კასის წინ ვდგევარ, უცდი ჩემ ქვითარს
ის „უნამუსო“ კი არსით ჩნდება.
ვდგევარ და უცდი და თანაც ვფიქრობ:
(შიგ ყანყრატოში მომაწვა ჯავრი).
იქნებ მოუხდა მას კატასტროფა
ან თავს დაესხა ხულიგანთ ჯარი.
სწრაფად ავარდი მაღლა სართულში,
და გავახსენე, — „რას შერები, ძმაო?“.
— „იქნება მალე, ასე, ოც წუთში!
„რაღა გაყვირებს შე ვირისთაო!“!.
კვლავ იქა ვდგევარ, კასის წინაშე,
აჰა, გამოჩნდა ჩემი ქვითარიც..
— „თუ შეიძლება, ფული მიიღეთ!“.
მე მოწიწებით კასირს ვუთხარი:
— „ხელს მიშლი კ ჩორტუ! გაცხარდა კაცი,
თურმე საყვარელს წერილსა სწერდა.
მომიჯახუნა ზედ ცხვირწინ კარი,
რომ ჩემთან მას დრო არ დაჰკარგოდა.
გამოვტრიალდი ნაცემ ვირივით
ვამბობ: „მაზალო საქმე რამეა,
ჰამ ფულსა ვაძლევ, ჰამაც ყვირიან,
ეს სადაური სამართალია?!“.
ვთქვი: გადავშინჯავ ამ ჩემსა ფულებს
რომ არ იღებენ, იქნებ ყალბია,
ვიქექავ ჯიბეს, ხელს ვაფათურებ,
რას ეძებ შიგ, რა დაგიკარგია?

ჭეგარდელი.

# შმენ-დე-ფერი

შენც ტფილისში ხეტიალობ
და მე რაღა გაგიმარტო?
უსათუოთ თქვენც გსმენიათ
ეამფლანგველთა ბაღი არტ-
შიგ რომ მუდამ სეირნობენ
შემჩნეული ნატო... კატო...
უსათუოდ თქვენც გსმენიათ.
მე მინდა, რომ რაც იქ ხდება
ნათლად თვალწინ დაგიხატო.
მას სახელი შეუცვალეს,
„ჟოკეი კლუბს“ ეძახიან...
შეხვალ შიგ და გაკოტრდები
და, განა, ეს საძრახია?!
აქეთ — „პტი-შვო“, იქეთ—ლოტო,
კუთხეში კი შმენ-დე-ფერი;
მიდი იქ და ითამაშე
თუ გეცვალოს გინდა ფერი!..
დარბის... დარბის უდარდელად
ეს პატარა „ელექტრიკი“,
მისი გამგე გრიშუნია
გაბერილა, როგორც ტიკი!
აქ თავმოყრილს მუდამ ნახავთ
ჯიბგირებს და პროსტიტუტკებს,
სხვის „სტავკებს“ რომ ითვისებენ,
თუ რამ ჰკადრე, თავშიც გთუთქებს!
მუდამ აყალ - მაყალია
და მოლარეც ასე წვალობს;
ერთი მილიციელიც აქ
ხომ პატივით დაპრუალობს:
სათამაშოდ ჩამიტყუეს,
ჩერვონეცი მქონდა მხოლოდ
იტრიალა „პარავოზმა“
და მოელო ჩემ ფულს ბოლო!
დარდით სავსე ორ საათზე
ღამით შინას მივადექი,
ჩემს ცოლს კრძალვით მოვახსენე:
„მეგობრებთან ვიყავ მეთქი“!.
მან შემატყო მღელვარება,
ყურებმა კი მორთეს რეკა.
— წააგებდი! მითხრა მკვახედ:
და დამიწყო ჯიბის ჩხრეკა.
ვერ იპოვა ათიანი,
გულ-მოსულმა მცემა ბევრი..
მთელი ღამე მაბოდებდა:
„ელექტრიკი“, შმენ-დე-ფერი!“..

იანო.

# წითელ სასადილოში



—ეი, შენ, გესმის? ღვინო!..

— ერთი ბოთლი უკვე მოგართვით. მეტი კი აქ აღარ შეიძლება. გადაბრძანდით სხვა მაგიდაზე და იქ მოითხოვეთ.

— რას ამბობ; მე უკვე ყველა მაგიდა შემოვიარე... ახლა ისევ თავიდან ვიწყებ...

# „სკანდალიადა“

საკონსულტაციო ბარათი ამხანაგ ტარტაროზს.

მე ამ წერილს ვწერ, ძმაო, სრულიად სერიოზულად.
დიდი ხანია მყუდრო ბინას ქვეყნად ვეძებდი,
მაგრამ ცხოვრება გვეკიდება პირშავი მტრულად
და დღეს, ტარტაროზ, მეც დამჭირდა შენი რეცეპტი!
ვიცი, არა ხარ „ვენატდელი“, რომ ბრალი დამდო,
არცა ხარ კიდევ სასამართლო სამოქალაქო,
მაგრამ მე მინდა ჩემი სევდა შენ ერთს გაგანდო,
და ჩემი სულის ტრაგედია გადმოვალაგო.
მცირე ხანია, ჩემს ცხოვრებას რაც მოევლინა,
ჩემი სიცოცხლის იადუნი და სულის ტოლი,
გულის სიმშვიდე, ხმანარნარი, თვალებ-ციმციმა,
ჩემი ნუგეში, სიხარული. ედემი... ცოლი...
მე ეს სიტყვები: „იადონი“, „ედემი“, და სხვა
განგებ ბრჭყალებში რომ არ ჩავსვი, ალბად,
ჰკვირდები:
შენ სულ სხვა აზრით გესმის ცოლის იადონობა,
მაგრამ სხვაგვარად ღელავს ჩემი სულის ზვირთები.
ნუ თუ, ტარტაროზ, ზღაპარია ოჯახი მყუდრო,
და ნუ თუ ისე წამხდარია ჩვენი დროება,
რომ, თუ მოგვეწყინდა მარტოობა, უნავთსაყუდრო,
უნდა დავკარგოთ სიხალისე და მყუდროება?!..
რომ არ მქონია—ვის გაუყოფ მემკვიდრეობას?
და არვისადმი გულში არ მაქვს მტრობა და შური,
მსურს მეგობართან ფრთა გავხსნა სილაღის გრძნობა,
მაგრამ გვაწუხებს კინკლაობა რაღაც ბავშური.
მე ოცნებებში ხშირად ვხედავ ყვითელ ქიმერებს,
ჩემს სულს უყვარდა ლაღ გრძნობათა ოცნების სფერო,
მაგრამ ცხოვრება გულს მიკაწრავს, მაცდობს,
მაჯავრებს,
რომ არსებობენ კონფლიქტები საბედისწერო...
ანეგდოტებში, ძმაო, ხშირად გამიგონია,
რომ „მუხას ვაშლი აბია“-ო—ამბობდა ცოლი,
ამას სკანდალი მოყოლია!.. ჩემი ფერია,
ვფიქრობ, აროდეს არ იქნება იმ ქალის ტოლი!
მაგრამ, როდესაც ვესალმები ერთგულ მეგობარს,
(სალამით დედას ვინ აგინებს?) ის ხდება მწყრალი.
ვამშვიდებ, კიდევ უფრო წყრება ან იცრემლებს
თვალს
და ჩემს „ედემში“ ხშირად მეფობს „ტკბილი“
„სკანდალი“!..
არაფერსა ვყოფთ: უთავბოლო აყალ-მაყალში,
გადის დღეები სიცოცხლისა და შავი ღამე,
წოიკვდება მუზი, რა გავაწყო, რა მეშველება?—
ჩემო ძვირფასო ტარტაროზო, მირჩიე რამე!..

კიკო.

# ქ რ ო ნ ი კ ა

### საფირჩხიის ქრონიკა:

ადგილობრივ სამკითხველოს გამგეს გადაუწყვეტია: კვირაში ერთხელ გაალოს სამკითხველო. ეს იმ მოსაზრებით, რომ მუშა-მოსამსახურეებს მეტი კითხვისაგან თვალები არ ეტკინოს.

### საპროტესტო მიტინგი

კუპრაშვილების სახლის წინ ტბის დაშრობის გამო, მაყაყუებმა საპროტესტო მიტინგი გამართა ალმასკომის საწინააღმდეგო, რომელმაც აღნიშნული ტბა დააშრო და რიონის რიყის ქვით მოკირწყლა, რითაც უბინაოთ დასტოვა რამოდენიმე ათასი სული. მიტინგმა მშვიდობიანად ჩაიარა.

### მსოფლიო დამრტყმელი

პიპინია ქვარიანმა ყბაში გარტყმის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან ერთი დაკვრით სამჯერ ყირაზე გადაატრიალა სოფლის გლეხი. ამისათვის საჭიროა პინია შესაფერისად დაფასება ორდერებით, რომ შემდეგში კიდევ უფრო ენერგიულად განაგრძოს თავისი საყვარელი საქმე.

კირილე საფირჩხიელი.

## ფოსტის ყუთი

### მარიეტა-ს

ცხემლის ხიდის კარტობანისტებზე იმდენი ვწერეთ, რომ ვშიშობთ ხიდი სულ არ ჩატყდეს და ის ხალხი წყალმა არ წაიღოს. ამდენი „სიმძიმის" ატანას „ცხემლის" კი არა, ჯავშან—ღულაბის ხიდი უნდა.

### ბურკა-ს

„პ. ობოლს მიცლა არ აქვსო", გვწერთ. ჩვენი დაკვირვებით, ეს მართალი არ არის. კვირა ერთია და მაგის „ჩოლოქის სიგრძე" ფელეტონები ათობით მოგვდის. მარტო მაგის ნაწერების გადმოზიდვას უნდება ჩვენი ერთად-ერთი საბარგო ავტომობილი. ტარტაროზს ის უკვირს, თუ საიდან შოულობს ამდენ თავისუფალ დროს. ეჰ, უწინ რა მოკლეთ და სხარტლად იცოდა ისედაც მარტივი აზრების გამოთქმა!.. წავიდა ის ნეტარი დრო... ეხლა ობოლზე ასეთი აზრია შემდგარი ჩვენს რედაქციაში: „კაცი, რომელიც ებრძოდა ბიუროკრატიზმს, თვითონ დასნეულდა წერის გაჭიანურების სენით".

### სოროტ-ს

გვითხარ, რა ძალას ვუმადლო,
რომ გაგაჩინათ „სოროტათ",
ლექსით რომ თავბედს იწყევლით,
ნატაშამ გაგაბოროტათ?!
ნეტავ ივლიტეს ელპიტიც
ბახმაროს არ წაჰყოლოდათ..

### კუკური-ს

მათხოვრის ავ-კარგს ასე ათავებთ:
„ეხლა აქა გავათავებ,
შემდეგ იყოს გაგრძელება,
და წერილსა კიდევ მოგწერ,
ჩემმა მუზამ თუ ინება"-ო.
ნუ, ღვთის გულისათვის, ნუ ინებენს.
ძალიან სთხოვეთ ჩვენს მაგიერ.

### ირმისელი-ს

ერთმა მხატვარმა ლომი დახატა, მაგრამ,რა კი თითონაც დარწმუნებული იყო, რომ ნახატი ცუდი გამოუვიდა, ამიტომ ქვეშ მოაწერა: „ძაღლი არ გეგონოთ, ლომია"-ო.

ასე გემართებათ თქვენ. თუმცა თქვენ დიდ პოემას ქვეშ მიგიწერიათ: „ნაწერი იუმორისტულია-"ო, მაგრამ ტარტაროზმა არა თუ იუმორი, აზრის ნასახიც კი ვერ აღმოაჩინა შიგ.

### ეკალ-ვარდი-ს

ვიკითხეთ თქვენი პოემა:
„გალაქტიონ და მანანა",
თქვენ წერა, სჩანს, არ გბეზრდებათ,
კითხვამ ჩვენ ბევრი გვანანა!..

### ცირა-ს

შივიღეთ თქვენი ლექსიც და მოთხრობაც: „ხათრით", ხათრით მათი დაბეჭდვა არ მოხერხდა, ხოლო სხვა მხრით არ გამოგვადგა.

### ხვლიკს

„არ მინდა რომ ვთქვა ყოველი,
რასაც ვიხილავ თვალითა"-ო, გვწერთ.
ამაზე ტარტაროზმა ასეთი რეზოლიუცია წააწერა:
— „ძალა არ დაატანოთო".

### „სამნი არიან"-ს

თქვენი გამოცანის საინტერესო ადგილი ტარტაროზმა ჩაიწერა თავის უბის წიგნში:

„მისი ფული ვისაც მართებს,
ასზე მეტი კი აქვს სია;
როცა სვამს, ლასა ჰქვია,
როცა „ქაფავს",—ლასასია"-ო.

დანარჩენი ყოფილი მიკიტნიდან კი არა, უფრო სუფთა ადამიანიდან აღარაა გასაკვირი.

### ვახტანგ პატარქალაშვილს

მივიღეთ თქვენი აბდა-უბდა. მისი ბოლომდის კითხვით თვალები ამოგვეტყემლა. თურმე გწყინთ, რომ უმუშევარი ხართ. არა, ამის დამწერ კაცს, განა, ვინმე მიიღებს სამსახურში? ერთად-ერთ „ტარტაროზს" შეუ.ლია ასეთი „რისკის" გაწევა და ისიც „ცნობათა მიღებაში" ჩასაგდებად. კარგია, თქვენი დასჯის მიზნით, მაინც რომ შეგვეძლოს ამ ნაროშავის ჩვენს ჟურნალში დაბეჭდვა, თანახმად თქვენი დაჟინებითი თხოვნისა.

### თედორე გულიას

„ამხანაგო ტარტაროზო, გთხოვთ ეს ნახატი გამიტაროთ ჟურნალ „ტარტაროზი"-ს ახლო ნომერში.

გამოგზავნილი მაქვს კიდევ სამი ნახატი, მაგრამ არაფერი არ არის: არც პასუხი და არც ნახატი"-ო, გვწერო.

ჰოდა, შე კაი კაცო, ველარ მიხვდით რაშიც არის საქმე?!.

ერთ ყრუ-მუნჯსა და ბრმა კაცს თურმე ცოლი მოუკვდა. შეწუხდენ,—„როგორ გავაგებინოთო". ერთმა კი ასე ანუგეშა დანარჩენები: გვერდში რომ არ მოუწვება, ველარ გაიგებს, რომ მკვდარიაო?!.

# ქართული ნაბიჯების რუსულად გაზომვა



დიდი ეშმაკები კი უნდა იყვენ ეს ქართველები: როცა ბუნებრივ კულტურის წარმომად-გენლებზე მიდგა საქმე, ისეთი მსხვილ-მუცლებიანი ხალხი მოგვაჩეჩეს, რომ გეგონებოდათ: ღვინით დატენილ რუმბების ექსპორტიაო; ხოლო, როცა ფიზიკურ კულტურაში გვქონდა შეჯიბრი, ერთი იმისთანა „კვანწია" ბიჭი გამოგვიგზავნეს, რომ ფეხებს სულ ალადასტურის ვაზივით ჰგრეხავდა...

პოლიგრაფტრესტის მე-[illegible]-ე სტამბა, კამოს ქ. № [illegible]

კვირა 23 სექტემბერი 1928 წ. № 171 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ნიანგი

## ინდივიდუალურ „ზედგავლენისათვის“



კრიტიკა „ზევიდან“

# „ოპეკუნობის“ როლში დაჭერილი „კუდახარები“

„პიტი-პუტის“ ადგილკომის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერის შესახებ. დაწესებულება უმთავრესად მოსამსახურეული იყო და ეგრედ წოდებულ „ტეხნიკური თანამშრომლებით“ ერთობ ღარიბი.

ადგილკომის ამოცანას შეადგენდა სესხის განაღდება დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა შორის. მართალია, იმ საინფორმაციო მოხსენებიდან, რომელიც ადგილკომის თავმჯდომარემ გააკეთა სხდომის შესავალშივე და აგრეთვე გაზეთებში მრავლად დაბეჭდილ ცნობათაგან უკვე ცხადზე უცხადესად ირკვეოდა, რომ მუშები ამ სესხს ყველგან დიდის ენტუზიაზმით ხვდებოდენ და ხელს აწერდენ ორი, სამი და ზოგან ოთხი თვის ხელფასის რაოდენობით, მაგრამ „პიტი-პუტის“ თანამშრომლები, რაღაც შინაგან მიზეზთა გამო, მოკლებულნი იყვნენ არა მარტო ასეთი აღფრთოვანების გრძნობას, არამედ თავიანთ უბრალო მოვალეობათა შეგნებასაც კი. თვით ადგილკომის შემადგენლობაც არ იყო თავისუფალი დაწესებულების ამ შინა-განწყობილების გამომხატველ ელემენტებისაგან.

ადგილკომის თავმჯდომარის მოხსენებას თითქმის არც ერთ დამსწრეზე არ მოუხდენია სასიამოვნო შთაბეჭდილება. მოისმინეს მშრალად და, რომ ივაკი პირამტეხაშვილი არა, აშკარა იყო, გამოიტანდენ ისეთსავე მშრალსა და უგულო გადაწყვეტილებას, როგორც სჩვევიათ: „მოისმინეს — დაადგინეს“.

მაგრამ ივაკიმ, მცირე ყოყმანისა და ადგილზე რაღაც უსიამოვნო შეშმაშურების შემდეგ დაიწყო ნელი, შემპარავი ხმით:

„პირადათ მე თუმც არ მეძნელება, მაგრამ საერთოდ მაინც მე ცოტა არ იყვეს, მეშინია ამ „კამპანიისა“... ჩვენი დაწესებულება, როგორც მოგეხსენებათ, უმთავრესად მოსამსახურეთაგან შესდგება. მუშები აქ სრულებით არ არიან. ის თითო-ოროლა „ტეხნიკური თანამშრომლები“, რომლებიც ჩვენ გვირევია, ძალიან მცირე ჯამაგირს ღებულობენ და ვაი, თუ გაუჭირდეთ მთელი თვის ხელფასის რაოდენობით სესხზე ხელის მოწერა!.. მე დანამდვილებით შემიძლია ვსთქვა, რომ ისინი უარს იტყვიან მთელი თვის ჯამაგირის ამ მიზნით გაღებაზე და ჩვენც ჩავფლავდებით ჩვენის გადაწყვეტილებით!“

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი სიმტკიცით იყო თქმული, რომ ადგილკომის სხდომაზე ერთ წამს უიმედობის რაღაც მძიმე ატმოსფერა ჩამოწვა. ივაკი პირამტეხაშვილს ყველა იცნობდა. დაწესებულებაში ყოველგვარი „უკმაყოფილებისა“ და „პროტესტის“ სულის ნამდვილი ბარომეტრი სწორედ ის იყო. ამიტომ ყველას, თითქოს დამბლა დაეცათო, ჩაუვარდათ ენა. ერთად ერთ ადგილკომის თავმჯდომარეს არა ჰქონდა სასო წარკვეთილი, მაგრამ ისიც კი მერყეობდა თუ განგებ ფეხს ითრევდა: სასურველი იყო სხვებს გაეცათ პასუხი „პანიკიორ“ პირამტეხაშვილისათვის.

ოდნავ მოლიბერალო იქითურაქეთურიძემ სცადა პირამტეხაშვილის პასუხის გაცემა: ჯერ დაეთანხმა, შემდეგ წინააღმდეგ ილაპარაკა, მეორედ ისევ დაეთანხმა, ისევ წინააღმდეგი სთქვა და ბოლოს ასე დაათავა: „თუ ერთი თვის ჯამაგირის გაღება გაგიძნელდება, ჩემი წინადადება იქნებოდა, გამოგვეტანა გადაწყვეტილება ჯამაგირის ნახევარის, ან მისი სამი მეოთხედის, ან ოთხი მეხუთედის, ან ბოლოს—ხუთი მეხუთედის შესახებ“.

სხდომაზე ატყდა ერთი დაუსრულებელი სიცილი და ჟრიამული.

— ხუთი მეხუთედი! ძალიან არ სთქვა... ეს ხომ იგივე მთელი არის, შენ ჭკუის კოლოფო!... იქვე დაურიდებლად შეახალა პირში „ავყია“ სიკომ.

— ამხანაგებო! განაგრძო სიკომ: თქვენ კარგად იცით, თუ როგორის ერთსულოვნობით ჩატარდა ამ სესხზე ხელის მოწერა ფაბრიკა-ქარხნებში! მუშები არაფერს არა ზოგავენ, უკანასკნელ გროშებს იმეტებენ და ნუ თუ ჩვენ, რომელთა მდგომარეობა არც იმდენად უნუგეშოა, გამოვეთიშებით ამ საერთო ფერხულს?!

— ფერხული აქ არაფერ შუაშია, ცოტა ხმის აწევით ირგო სიტყვა მეორედ ამ არევ-დარევით წათამამებულმა ივაკი პირამტეხაშვილმა:

— საქმე ფულის გადახდაა, რაც უფრო ძნელი შესასრულებელია, ვიდრე ფერხული!

— იძულებით არც ფერხულის დავლა შეიძლება! დიპლომატიურად გამოჰკრა თავის მხრით იქითურაქეთურიძემ.

ადგილკომის თავმჯდომარემ ხელმეორედ დაუსურათა კრებას ის უპირატესობანი, რომელიც ამ სესხის განაღდებასთან არის შეკავშირებული.

— სხვა რომ არა იყოს, ჩვენ ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეთათვის მცირეოდენ დაზოგვასაც კი. ჰო და, აი, უებარი საშუალება ამ მომჭირნეობადაზოგვისა სწორედ ეს სესხია. კოლექტიურ ხელის მომწერლებისათვის, როგორც იცით, ივლისი უკანასკნელი თვეა; ამ თვეში, ე. ი., ზაფხულში, ყველა ხელზე მიიღებს თავის ობლიგაციას, რომელიც მას შეუძლია დააგიროს, შეუძლია გაყიდოს და სხ.

ეს იყო უკანასკნელი „კოზირი“ ურწმუნოთა დასარწმუნებლად. მაგრამ არც ამან გასჭრა და გადასწყვიტეს: მომავალ ღია კრებაზე გამოვიდენ რჩევით, რათა „პიტი-პუტის“ თანამშრომლებმა შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები, თვითეულმა — ნახევარი თვის ხელფასის რაოდენობათ ღირებული.

ადგილკომის თავმჯდომარე და „ავყია“ სიკო აღმოჩნდენ უმცირესობაში, მაგრამ ისინი, განსაკუთრებით სიკო—მაინც გულს არ იტეხდენ და თავიანთ აზრის გატარებას ფიქრობდენ თანამშრომელთა ღია კრებაზე.

ადგილკომის გადაწყვეტილება ამ საკითხზე თითქმის ყველამ წინდაწინ იცოდა და ყველა დარწმუნებულიც იყო, რომ ამ აზრს, როგორც სხვა მეზობელ დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ ამავე საკითხზე გამოტანილ დადგენილებებთან შედარებით „პიტი-პუტის“ თანამშრომლებთათვის უფრო ხელსაყრელს, ყველა უდაოთ და უყოყმანოდ მიიღებდა.

სიკო და ადგილკომის თავმჯდომარე ემზადებოდენ საბრძოლველად და თავიანთ აზრის გასატარებლად. მათ იმედი ჰქონდათ იმისა, რომ ეს აზრი იყო არა მარტო მათი, არამედ ყველა პატიოსანი მუშისა და მოსამსახურის აზრი მთელ საბჭოთა კავშირში და, მაშასადამე, ამაზე მეტი ავტორიტეტის პოვნა არც კი შეიძლებოდა.

მაგრამ არც ერთი ეს „გაიცადენი“ საჭირო არ დარჩა. გაიხსნა თუ არა ღია კრება და თავმჯდომარემ გააცნო თუ არა დამსწრეთ საერთო მდგომარეობა, რომლის გვერდით ამაყად წამოასკუპა ადგილკომის „ცალგვერდა“ გადაწყვეტილება, უცბათ სიტყვა აიღო პიტი-პუტის დამლაგებელმა ქალმა, მარიკა თვითცნობიერაძემ და კრებას ასე განუცხადა: „ჩემის მხრით მე დიდ მადლობას მოვახსენებ ადგილკომს, რომელსაც ასეთი „ოპეკუნობა“ გაუწევია ჩემთვის, როგორც „ტეხნიკურ თანამშრომელისათვის“. მაგრამ ადგილკომი, რომელსაც მხედველობიდან გამოეპარა ის გარემოება, რომ მთელ საბჭოთა კავშირში სწორეთ „ტეხნიკური თანამშრომლები“ და ფიზიკური მუშები იჩენენ განსაკუთრებულ ინტერესს ინდუსტრიალიზაციის ამ სესხის განაღდებაში, თვითონ ყოფილა „საოპეკუნო“. რაც შეეხება სესხს, ზოგიერთი აქ „ბრძანებულები“ კუდა-ხარებივით თავიანთ დიდ-დიდ ჯამაგირებს თუ იცავენ, თორემ მე მისთვის სრულიადაც არა მშურს ჩემი ერთი თვის ხელფასი, მით უფრო, რომ თუ ამისაგან დიდი ნივთიერი ხეირი არ მექნება, რაც სრულიადაც არ არის მოულოდნელი, ყოველ შემთხვევაში დაკარგვით მაინც არაფერი დამეკარგება“-ო.

—მართალს ამბობს მარიკა, მართალს! ჩვენც მას ვეურთდებით! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან კრებაში გაბნეულმა „ტეხნიკურმა მუშაკებმა“.

ადგილკომის თავმჯდომარე სიხარულისაგან ისე გაშრა, რომ ნერწყვსაც ვეღარ პოულობდა ყელში გადასატანად.

მხოლოდ სიკო არ დაბნეულა. დაათავეს თუ არა მარიკამ და მისმა ამხანაგებმა, მან პირველმა შემოჰკრა ტაში...

და კრების დარბაზი ერთ წამს მოიცვა ტაშისა და „ვაშას“ დაუსრულებელმა გრიალმა...

ივაკიამ პირველმა დასტოვა კრება. მას გაჰყვა კუდამოძუებული იქითურაქეთურიძე. ადგილკომის დანარჩენი წევრები კი იდგენ დარცხვენილები და ისე ილიმებოდენ, როგორც ტკბლეულის ქურდობაზე დაჭერილმა პატარა ქურდებმა იციან ხოლმე ხშირად თავიანთ „დამჭერთა“ გულის მოსალბობათ.

ონისიმე.

## ალ. წუწუნავა



— ეჰ, წავაგე ჰკუა! „ჯანყი გურიაში“ რომ გადავიღე, აგერ „ჯანყი „გოსკინპრომში“ გადამეღო, ის არ მერჩია?!

## დედის წერილი

გადამეკიდა დედა, უნდა შეირთო ცოლი,
ჯერ ღარიბი ვარ მე და არცა მაქვს დასაწოლი.
ვეფიცავარ მე თქვენ ძმობას, დავდივარ ქუჩა-ქუჩა
და ამ ჩემ უბინობას, ვხედავ, ბოლო არ უჩანს.
მოდი და ასეთ კაცმა ცოლი შეირთო, გინდა,
ყოფნა იქნება ჯვარცმა, თუ დღე არ გაგიფრინდა.
წერილიც აქ მაქვს თანა (მეზობლის გოგომ მომცა,
ვილაცას მოეტანა, შინ არ ვიყავი როცა):
—„პირველად, შვილო გრიშა, გისურვებ ჯანმრთელობას,
ჩვენ ქე ვართ, — არა გვიშავს, ვით შეჰფერს დღევანდლობას.
რათ დაგვივიწყე ასე, გელოდით დამლევ მაისს,
შე ჩემო ცოდვი თსავსევ, ქაღალდს მოგვწერდი მაინც.
რა გაგიჭირდა, ბიჭო, ორი შაურის მარკა!
(ფულს რომ არ ხმარობ „ქიპოთ“, ესეც ქე ვიცი კარგათ!)
მარა თუ ამდენს ბოდავ და ყველაფერზე წერავ,
ერთხელ, რა იქნებოდა, ჩვენთვისაც მოგეწერა?!..
ლოდინით ვდნები აქ მე. (თუ არ გვკადრულობ ქე თქვი),
თუ რომ ბევრი გაქ საქმე, საყვედური არ გვეთქმის
მარა მანდ შენ იქნება ქუჩაში უქმათ დახვალ..
ნუ თუ არ გეფიქრება შენი მშობლების ნახვა?!..
ვიცი არა ხარ ავათ (სული მიჭირავს კბილით)
ამოდი სანახავათ ერთი— ან ორი კვირით!
რა ამბავია მტრის თავს,—მოგვწერე, იქნეს როგორც...
მართლა, შენი ძმა ირთავს პავლიე „კროჭის“ გოგოს!..
გრცხვენოდეს, ამბობს ყველა: უმცროსი ჯობნის უფროსს!
(შენსას და ჩვენსას, ყველას, მგონი, ის დაეუფლოს!)
ბიჭო! რა გითხრა იცი? მოდი შეირთე შენაც
კაი ვირი ხარ, ბიძი: ქე შესძლებ ქალის რჩენას!..
შენთვის ძლაბი მყავს ერთი, ანგელოზივით ჩეილი,
იგია ერთად ერთი სოფლის თვალი და ჩინი!
იმფერი არის, რომე სოფელში ტოლიც არ ჰყავს
საქმეს სალომე ჩვენი, ბუთქაძე, გაგიჩარხავს!..
კრასავიცაა ქალი, ქე სჯობს ვაჩნაძე ნატას:
მაყვალს მიუგავს თვალი, ლოყები — მწიფე ატამს!..
ვერ აგიწეროს ენამ მაგათი მამულები
მზითვი აქვს იმოდენა, ვერ ზიდავს ცხრა ურემი!..
მამა ყავს სპეკულიანტი, ფულებს ჩეჩქივით ხვეტავს.
ოქრო და ბრილიანტები იმათ ზანდუკებს ხეთქავს... /
რა გინდა აპა მეტი, სიმდიდრე და სახელი.
ძაღლის გქონია ბედი და არ შეუშვა ხელი!..
შეირთე შვილო, ჰოდა მეისხი ჩვენი მადლი,
თვარა, თუ გაგითხოვდა, დაჯე და ჩეჩე მატყლი!
პასუხისათვის შენთან ამოვა რომანოზე:
თუ იმას შობი, ბარემ, ქე იმასქენი დროზე!..

დონ-კიხოტი.

# იქნებ ამიხდეს

ახლოვდება თვის პირველი და მიხარია, რადგანაც მოვაწერ ჯამაგირის ფურცელს ხელს და ჩერვონცებით გავივსებ ჯიბეს.

თვის დამლევს, როგორც ყველა ოჯახში, ჩემი ოჯახიც მოუთმენლად ელოდა ჯამაგირის აღებას.

— მამილოჯან, ხვალ პირველია, არა? „ბუცებისთვის“ ფულს მომცემ?

მეკითხება ჩემი „ფიზკულტურნიკი“ ბიჭი.

— მე კი, მამილო, ოპერის აბონემენტი უნდა შევიძინო და ფული მჭირდება“ — მეტყოდა ხოლმე ჩემი „ოპერისტკა“ ქალი.

— მგონი! თითქოს არ ვიცოდი, ისე ვუპასუხებდი მეც. მგონი კი არა, ხვალე ნამდვილად პირველია და ჯამაგირსაც მიიღებ.

კატეგორიულად დაადასტურა ჩემმა მეუღლემ და შეიქნა ანგარიში: ურია ყობოსი ჩულქებისა — 8 მანეთი, მეპურეს—ამდენი, დუქანში—ამდენი, ბიჭს „ბუცები“ უნდა. გოგოს—აბონემენტისა და ფეხსაცმელებისათვის—ამდენი, ნავთი საყიდელია, ფლანი, ფსტანი... ერთი სიტყვით, როცა თვიური ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდა, ერთი „პატარა სავეცკის“ ფასიც აღარ დამრჩა.

ამიტომ თქვენ წარმოიდგენთ ჩემი ოჯახის სახფინკომის (ჩემს ცოლს აქვს ეს თანამდებობა ჩაბარებული) მდგომარეობა, როცა ჩვეულებრივ 35 მანეთს ამ თვეში 5 მანეთი დააკლდა. მთელი ჩვენი ხარჯთაღრიცხვა დაინგრა და აირევა. მერე ვინ იყო აფორიაქების მიზეზი არ იკითხავთ? ამ ტრაღედიის მიზეზი გახლდათ ჩემი კარგი ამხანაგი და „პირის ზიარება“ მიშა. მიშას ვინ არ იცნობს? ჰოდა, ამიტომ ზედმეტია მისი ბიოგრაფიის გადმოცემა. სხვათა შორის მიშა ძალიან ატეხილი და ახირებული ხასიათის კაცია. ამიტყდა: გინდა თუ არა, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები უნდა შეიძინოო.

— რას ამბობ, ყმაწვილო, სახლში პურის ფული არა გვაქვს და სახლემწიფოს ფული ვასესხო? სადაური ჭკუაა? მაგრამ რას იზამ. დროს და ამხანაგებს ვერ ჩამორჩები. მით უმეტეს მიშას: თაფლიანი ენა: „ფული შეგენახება, სარგებელს მიიღებ, შეიძლება მოიგო კიდეც დიდი თანხაო და რაც უმთავრესია: „დაეხმარები სახელმწიფოს“!

ეს მარტივი, უბრალო დებულებები ისე ააფერადა, რომ დამავიწყდა მეუღლე, პური, მევალე, მომავალი ცივი ზამთარი და დავთანხმდი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე სხვა მოსაზრება მქონდა, როცა თანხმობა განვაცხადე, ჯამაგირის მიღებამდე 5 დღე კიდევ აკლდა. ვიფიქრე მიშას გადაავიწყდება მეთქი. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი „თავზარის დაცემა“, როცა ჯამაგირის მიღებისას ჩამაბარეს 5 მან. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია. თურმე ნუ იტყვით, მუშათა საერთო კრებას უკვე დაუდგენია ერთხმად მოაწერონ ხელი ინდუსტრალიზაციის სესხის ობლიგაციას. მე კი ეს არ ვიცოდი.

მივდივარ შინ, მაგრამ ფეხები უკან მრჩება. რა პასუხი მივსცე „მაქთალანას“ (ასე ვეძახი შინაობაში ჩემს მეუღლეს — სახფინკომს).

ცოლი შინ არ დამიხვდა, ვისარგებლე შემთხვევით და გავსწიე შვილების წინაშე აგიტაცია. ობლიგაციის გარეგანმა შეხედულებამ მათზე დიდი გავლენა იქონია... საქმე კარგად მიდიოდა, რომ უცბად „მაქთალანა“ არ შემოსულიყო. გამოცდილი და სტაჟიანი ეკონომისტი უცბად მიხვდა, რომ „ერთა ლიგაში ყველაფერი არ არის რიგზე“. სიტყვა გამეკვეხა ყელში, ისე ავირიე. გამოვაცხადე სრული კაპიტულიაცია და ჩემი თავი დამნაშავეთ ვაღიარე, მაგრამ კრიზისი უფრო გამწვავდა. ჩემმა ცოლმა ფულები თავზე გადმომაყარა და გადადგა სახფინკომის პოსტიდან.

— რაკი თქვენ დაიწყეთ განაწილება, დაასრულეთ კიდეც! კატეგორიულად გამომიცხადა მან.

გავიდა მთელი თვე და ზავი არ იყო.

არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანდა ასეთი განწყობილება ჩვენს ოჯახში, რომ არ მომხდარიყო ერთი არაჩვეულებრივი ამბავი.

ერთ დღეს სამსახურში თავჩაღუნული მივედი.

შესვლისთანავე მეცა ამხანაგი ესტატე და უსიტყვოდ დამიწყო ჯიბეების ჩხრეკა, სხვები კი სიცილითა და ხმაურით შემოგვცქეროდენ.

შეშინებული და პირდაღებული შევყურებდი ესტატეს მოქმედებას. თანაც ვფიქრობდი: „ეს ოჯახქორები ამ დილა უზმოზე რა მასხრობის გუნებაზე არიან მეთქი?“

— ამოიღე ობლიგაცია! მეცა ცუგრუმელა მაშინისტკა თინა, რომელიც წინათ ხმასაც კი არა მცემდა. ამასობაში ესტატემ უკვე ამოიღო ჩემი ჯიბიდან ობლიგაცია და გაფაციცებით დაუწყო ნომრებს ცქერა. — 077365, სასწრაფოთ გადაიკითხა და წამოიყვირა: „მოიგო, მოიგო!“ ესტატეს ყველამ ერთხმად ბანი მისცეს და შეიქნა ერთი ამბავი.

— „მოიგო, მაღარიჩი, ვაშა, „მალადეც“ და ვინ იცის კიდევ რას არ ყვიროდენ.

მე არაფერი არ მესმოდა და ვიდექ ერთ ადგილზე მუმიასავით. ბოლოს გამაგებინეს, რომ ჩემმა ობლიგაციამ მოიგო 25.000 მანეთი.

ახლა თქვენ წარმოიდგენთ რა ამბავი იქნებოდა ჩემს ოჯახში! — „მაქანთალაჯან“! წამოვიყვირე სიხარულით და... გამომეღვიძა. თვალები დაჭყეტილი დამრჩა. სიზმარი ცოლს ვუამბე და გადავსწყვიტეთ: კიდევ 6 მანეთიანი ობლიგაციის შეძენა.

იქნებ ეს ტყუილი სიზმარი მართლაც ამიხდეს!..

**მეფისტო.**

# უსაზღვრო გულკეთილობა




— კაცო, ამ „ტარაკანშიც“ ფული უნდა გადვიხადო?!

— რასა ბრძანებთ! ეს ისე, უფასო დამატება გახლავთ.

# შავკანიანის სალი მსჯელობა



— როგორ თანდათან მცირდება განსხვავება ჩემსა და ამ თეთრკანიანს შორის

# ჭიათურა

„გრუზგოსტორგ“ და ალმასკომი.
დაძმობილდნენ, შეკრეს პირი,
და იეპფიცეს, რომ ძმურად,
შუა გაეყოთ: ლხენა-ჭირი.
ქალაქისა შუაგულში
გახსნეს დიდი მაღაზია:
დუხ-პუდრები ჰქონდათ, მაგრამ
არც ჩითი, არც ბამბაზია.
ხორბლეულზე და სიმინდზე
ლაპარაკიც არის მეტი,
წაიკიდნენ: ნოქარ-გამგე,
და დაატრიალეს კეტი!
ძაღლი პატრონს ველარ სცნობდა,
ჩავარდა მათში შურია,
ნებიერიძეს ყრონტში სწვდა,
„ბიჭი, ანდრო ცქიფურია!
ამ ქიჩვაში და ჭიდილში,
საქმემ იწყო უკან ხევა,
და ალმასკომმაც იკადრა
მაშინ საქმეში ჩარევა.
დაუნიშნა კომისია,
საქმის ჩქარი გამომკვლევი,
რათა სწრაფად მოენახათ,
ამ ინტრიგის გამომწვევი.
ალმასკომმა ეს საკითხი
საბჭოს კრებას მოახსენა,
სამ სექტემბერს ორატორთა
იწყო უხვი „რეჩთა“ დენა!
კომისიამ კრებას „ტოჩ-ტოჩ“
დაუყაპა ყველაფერი,
გამოირკვა, მაღაზიას
არ ყოლია ბუჰლალტერი!
„გრუზგოსტორგის“ გამგემ კრებას
თვისი აზრი მოახსენა:
„ბუკეტი“ ვარ „ვაჭარ-სპეცი“,
არა სპეცი შეაჩვენა.
საქმე მესმის და ურჩ ნოქრებს,
სულერთია გამოვრეკავ.
ჩეკებს ვსინჯავ და იცოდეთ,
ამ საქმეს მე გამოვჩხრეკავ!“..
და როს მორჩა მოხსენებას,
ნებიერიძე ჩვენია,
ტყემალაძემ რეჩი იწყო.
მთლათ შეარყია ბჭენია!
— მე ვარ ბიჭი შავ ულვაშა,
ჯიბით დამაქვს მჟავე ფხალი,
სამაზრო პლენუმის წევრი,
მაქვს ბრწყინვალე მომავალი!
„ბეზ მენია“ „ადინ“ კრება,
„ნე“ „მოჟეტ“ „ბიტ“ გამართული,
„ია“ „ზნაიმ“ „კაკ“ „პრადავატ“
პუდრი, დუხი და მავთული.
„ტრინაცატი“ „ჩესლომ“ „ვსეგდა“
„ია“ „სმოტრიმ“ მაღაზია,
„მი“ „საპოჟნიკ“, „კოჟა“ „ნადა“,
„ნა“ „ქჩორტუ“ „ვაშ“ ბამბაზია! —
შეაჩერა თავმჯდომარემ
ეს ჩერჩეტი მორუსულე:
„საქმეზე ილაპარაკე,
მორჩი მალე, დაასრულე!“..
— „კაკ“ „ვი“ „სმეიტ“ პირს
მიბორკავ,
„ჩლენსა“ პლენუმისასო,
„ზნაიმ“ „მი“ „კუდი“ „პაიდომ“,
თავს დაგატეხ რისხვასო!
თავმჯდომარე ზარას რეკავს,
ხალხში ისმის: ყვირილ-სტვენა,
იგინება „ორატორი“,
არ სურს მიატოვოს სცენა!
ჩამოვიდა ძირს, პარტერში,
როს გინებით იძლო გული,
რაც კი ჰქონდა შენახული,
მთლათ დახარჯა მან რუსული!
კრებაზე მკვახეთ მიაყვირა,
დააჯინა სკამს რქიანი
და შემდეგ კი მან მსჯელობა,
იწყო ერთობ საქმიანი.
ალმასკომმა მოითხოვა
„გრუზგოსტორგის“ გამოყოფა,
სამწუხაროდ, ასე უცებ
ჩაჰქრა მათი ძმური ყოფა!..

ია.

# დანანებული დაუდევრობა



— როგორ თქვენ ჩემს დაწესებულებაში მსახურობთ და ისიც მე-8-ე კატეგორიაზე?!. მერე, სად იყვენ აქამდის ჩემი თვალები?!.

# სატირალი სატირები

(ყველას საყურადღებოდ)

სოკოებივით გამრავლდა
„თეატრები სატირის“,
იმათ მუშათა კლუბების
„კასები“-ლა დატირის!..

სხვა ენებზე არრას ვიტყვი—
(მათზე საკმაოდ ითქვა...)
მხოლოდ ქართულ სატირებზე
იქნება ჩემი სიტყვა!..

გვახსოვს სატირა ქართული
იყო ლურჯი ხალათი,—
სახელად: „წითელი შოლტი“.
ყველა მტერთა ჯალათი.

—:—

სამი წელი იარსება—
მოვლო მთლად საქართველო,
(მისი დაშლით კავშირმა ჰქნა
საქმენი, „სასახელო!“.).

—:—

მისი მიბაძვით დაარსდა,
ეხლანდელი „დასები“..
(ცოტა არვის არ გეგონოთ—
არის თითქმის ასები!..)..

—:—

ერთმანეთს ეჯიბრებიან:—
მე ვარ, მე, პირველიო..
მაყურებელი კი ამბობს:
„თქვენგან კარგს არ ველიო!..

—:—

სამტროდ ნუ ჩამომართმევენ
მეგობრულ გაფრთხილებას;
(ჰხამს მოყვარეს, რომ გაუძლოს
ისევ პირში მხილებას!)..

—:—

სატირა სულ არა ნიშნავს
სცენის გამასხარებას..
(ასე საქმის დაყენება—
იწვევს მტრის გახარებას!..)..

—:—

კავშირო და შენც კულტგანო,
შეისმინეთ ეს რჩევა:
თუ სატირა კარგი გინდათ,—
უნდა კარგი შერჩევა!..

ტარზანი.

# ლანჩხუთიდან შუხუთამდე

**ესიკა:**—გლახუნავ! რაღას უყურებ? არ ხედავ ყორიფელს ცეხლი ეკიდება? მეც კი მინდოდა რაცხაის ყიდვა, მარა...

**გლახუნა:**—რაღა მარა გინდა, რამდენი ფარა გინდა, რომ თუ გინდა ერთი ფუთი სიმინდი მაინც იყიდო? სტორეთ ამ სიმინდის გულიზა გადმოვარდი დღეს აქეთ მეც... შინ ქალიზა და ბაღანაიზა ერთი კნეტა ფქვილი არ დამიტიებია... დღეს ვიყიდი პარასკეობაში მეთქი, ვჩიოდი, მარა რა გინდა შენ, დღეს ისე უუწევიან სიმინდიზა ფასი, რომ ერთი ფუთიზა რომ მქონდა წამოღებული, ახლა ნახევარ ფუთს არ ყიდულობს.

**ესიკა:**—აბა, ჩვენ გლეხები თუ ვუწყობდეთ ერთიმეორეს ხელს, მაშვინ რა გიჭირს... მარა სტორეთ ჩვენ ვართ ერთმანეთის მტერი.

**გლახუნა:**—მართალს ჩივი, ჩემო ესიკა! ასე, რომ არ იყოს, ერთი ფუთი სიმინდი ხუთი მანათი მოსწრია ჯერ კაცს!! რავაც გეიგეს კოპერატიაში დეილია სიმინდიო, მაშეინათე უუწიეს სიმინდს ფასი.

**ესიკა:**—ასეა, კოოპერატივმა დიდი სიკეთე გვიქნა და კიდო მეტს გვიზამს მომავალში, მარა ყველამ კიდო არ იცის რაფერი საუნჯეა ჩვენდა კოოპერატივი.

**გლახუნა:**—კოპერატიე რომ კაია, დიდი ხანია ვიცი! კოპერატივი თუ ძლიერი გვექნა, ჩვენც ძლიერი რომ ვიქნებით არც ამასუნდა ფიცი. არა ძმია, კოპერატივის წევრი თვარ გავხდი, ისე აღარ მინდა თავი, სიღარიბეს დუუდგეს თვალები, თვარა—რახანია მინდოდა კერძო ვაჭრებიდან დამეხსნა ტყავი. ახლა რავაც ჩამომივარდება ფული ხელში,—წევრი და მისი ჯანი...

**ესიკა:**—ყველაი თუ წევრი გახდებოდეს, მაშვინ ჩვენი საქმე რომ წალმა წავა—ამას არ უნდა გოგიეს ლაპორტი. მერე აქანაი ვერსად ვერ ნახავ კერძო ვაჭრების დუხს. ჩვენი ბედი ჩვენ უნდა გამოვჭედოთ. სხვისი იმედი ნუ გვექნება ტყუილათაი...

**გლახუნა:**—აგერ გამოჭედვაზე გამახსენდა: ესიკავ, არ გიკვირს ბიჭო აი ქედლები რომ გაფარშივდა თლა?! გააკეთებიებ რამეს, მარა რათ გინდა, აფერს არა მოჭრის. გუშხამ გავაკეთებიე ავთანდილას ნაჯახი, მარა რათ გინდა, თლა „ლუგაა“, აი ღდინ გაღლეტილი სულ არ უშობა, მგონია, ფოლადს.

**ესიკა:**—პაწაი რომ უქნას რას ეყოფა... უი, აგინმა შეიტეხა კისერი, (ფეხი გადაუცდება თხრილში და წაბორძიკებს). რავა დააქციეს გზაის საქმე. მთელი ლანჩ-

# ბუნების საკვირველება



— ეგრე გაფაციცებით რას ჰკითხულობ, ბები?!

— მეორეთ მოსვლის ამბავს, შვილო: მე ჯერ კიდევ შენოდენა ვიყავი, საბავშო თეატრზე რომ ყველა თავისუფლად ლაპარაკობდა. ახლა კი, აი, აგერ ძლივს დაუწერიათ: „საბავშო თეატრი დაარსესო“!..

## შარადა

დავიწყოთ შარადისათვის
პირველი სიტყვის მოძებნა,
ერთხელ ამ სითხის დალევით
„ნოესაც“ აზრი დაებნა.
მის შემდეგ ეხლაც ბევრი სვამს,
არვის უნახავს ხეირი:
ამ სიტყვას ბოლო მოესწყვიტოთ,
სხვას კი ვუჩვენოთ სეირი.
ეს ბოლო ორი ასოთი
შემოვინახოთ. გვჭირდება,
ეხლა სხვის ძებნას შევუდგეთ,
აქ მოცდა არ დაგვჭირდება.
არის საგანი, რომლითაც
დაქროლავს დიდი „ზავები“,
(თუ, რომ უსაქმოდ იზმარონ,
იმათ ვაუხმეს თავები!..)
ჩვენ გაქროლება არ გვინდა,
ამ საგნის გვინდა სახელი,
ამისიც ბოლო გვჭირდება.
სხვას კი მოუკვდეს მნახველი.
თავში თუ ორი დაგვჭირდა,
აქ ორჯერ მეტი გვჭირდება.
ამისი „მათემათიკა“
არავის გაუჭირდება.
რომ შეაერთებ, არ ვარგა:
ის არ იქნება, რაც გვინდა,
სულ ბოლო ხმოვანი ასო
უდროოდ გადაგვიფურჩინდა...
მაშ, მოვიცადოთ, მის ნაცვლად
ისევ მოვსძებნოთ ხმოვანი,
ქართულსა ქრონიკონში
ხუთს ნიშნავს ეს ახოვანი.
მუსოლინისა ჯინაზე,
უკვე მზათ არის შარადა,
ნაოსნები და თითონაც
„კრასინმა“ იხსნა ყინვაზე!..

ტარიელა.

ხუთი რომ დეიარო, ვერსად ერთ ხეირიან გზას ვერ ნახავ.. აბა ჩიბათისკენ თუ მიხვალ თავი დაზღვეული უნდა ქონდეს. ნეტაი მაცოდინა, რას ფიქრობს ლანჩხუთის ადმინისტრაცია!

**გლახუნა:**—რას ფიქრობს და დაქცევაზე, ყველა კაი ბიჭი იყო, მარა ახლა ყურწაგდებულია... გზების გაფართოება რომ შემოვიდა მოდაში, აგინმაც შეასრულა აი მოდა, მარა გაკეთებაც რომაა მოდაში, აი ქე დაავიწყდათ!..

**ესიკა:**—სადაც კაი თავი არაა, იქინე ყველგან ასეა...

**გლახუნა:**—რაფერ ჩივი ესიკა! აგინს ვითამ არ აქ თავი თუ! თავი აქვენ კიარა—ხაბურზაკის სისხო, შით რა ყრია, თვარა.

**ესიკა:**—ყველაის თავს, თავი ხომ არ ქვია!. შენ იი მითხარი: ხილს თუ ესხა წროულს რამე! წროულს ბევრი ხილი შეიყიდა შუხუთის სპეკულიანტებმა.

**გლახუნა:**—რათ მინდა, ძამია, მერე! აი დედა გაგლეჯილები კარს არ მიცივებდენ: ლაფიერს აქვსენტიეი ეცილებოდა, ამას კასიანი, იმას კიდო სხვაი. ერთი სიტყვით, ყველაი ეისვარა წყალ და ღვინოსავით. მე რა მქონდა მარა; რაცხა პაწაი მქონდა იი ადრე გადავყარე, „ნიორთა ნაქურჩალათ“.

**ესიკა:**—აი ბიჭო, ივარგებდეს და ითავებდეს ვინმე და აქანაი შუხუთში „კანსერვის ქარხანას“ გახსნიდეს, კაი იქნება ჩვენდა, ამ სპეკულიანტებსაც მევიცილებთ თავიდან, და სარგებლობასაც მოგვიტანს, მერე მეხილეობას უფრო ფართოდ მოკიდებენ ხელს. თუ ითავებს ჩვენი „გლეხკომი“ თვარა...

**გლახუნა:**—თვარა რას ქვია ესიკავ! თუ კი არის რამე საშვალება ამის გზაიც უნდა მოვნახოთ. გავატაროთ გაზეთში და შეიძლება ვინმემ მოგვიწყოს ხელი.

**ესიკა:**—რომელ გაზეთში? ჩვენი (შუხუთის) კედლის გაზეთი რომ იყო, იმას ხომ არ ჩივი! იმან რახანია მოგჭამა ჭირი. პირველ მაისს მერე სძინავს. მისით ველარ ილვიძებს, სხვაი თუ გაალვიძებს, არ ვიცი!

**გლახუნა:**—რა დღიზა გვინდა ჩვენი „რადიო“ ახლა თვერ მევიხმართ. „რადიოთ“ დუუძახოთ, და ეგება ქე გეიგონოს ჩვენი მწუხარება.

**ესიკა:**—ისე ჩვენი მტერი დაყრუვდა და ჩაუკავდა ენის ძირი, რავაც ჩვენი რადიოა დაყრუებული... ახლა კი არა, წელიწადნახევარია რადიოს ლაპარაკი აღარ გაგვიგონია. ყველაი მოხელე გამოდგა, დუუწყეს ჩხიკინი, კიტინი და გაფუჭდებოდა, აბა, რას იზამდა. ალისტრახო ჯერ არ ფიქრობს „შეპაჩინკებას“.

**გლახუნა:**—ხაი, ხაი, ჩემო ესიკავ! „ვინცხას ქმარი ემადლებოდაო, და „რაცხა“ რომაა, იი ენატრებოდაო“ სტორეთ ისეა ჩვენი საქმე!.. უჰ! დღეს კი გავძეხი შენთან მუსაიფით... ახლა მშვიდობით.

**ესიკა:**—მშვიდობა მოგცა, ძამია, ახალმა ღმერთმა..

„ეშმაკის ფეხი“.

# ნიკო და გიგო

ცმუკავს, მიხტის ორთქლმავალი
და ზანზარებს ლიანდაგი,
სურს ჩახეთქოს მიწა, მხოლოდ
უმკლავდება ნიადაგი...



მატარებლის ერთ ვაგონში
ზის კუპეში ჩვენი ნიკო,
ის სოფლიდან ტფილისისკენ
წამოვიდა, როგორც იყო.
„როგორც იყო“ — არ ეხება
არც სამგზავრო ფულს, არც ბილეთს,
ნიკოს მამის ქონება აქ,
ერთი ეყვის თუნდაც მილეთს!
მხოლოთ ცოტა ცოდნის მიმართ
ეხინჩება ნიკოს გული,
ძველი დრო ხომ აღარ არის,
რომ „დაყაჰოს“ მამამ ფული,
და „იყიდოს გამომცდელი,
და მოქრთამოს ესა, ისა...
ძნელია ეს, თორემ მამის
გადასწვდება ამას ქისა!



ჰა ტფილისიც! ბარგ-ქვეშ მუშით
და წიგნებით იღლიაში,
მიდის და უნივერსიტეტს
ჩაუარა განგებ გზაში!
ხვალ აქ ნიკოს გამოცდა აქვს,

გამოცდა აქვს ნიკოს, მარა...
ღელოს ისე ვერ გაიტანს,
თუ ვინმე არ დაეხმარა...
ნიკოს ბიცო, გიგოს ცოლი...
(თვითონ გიგოს არ ეცალა,
მაგრამ, როგორც „ატვესტვენი
კაცის ცოლ'ში), — იყო ძალა!
და ნიკომაც სთხოვა... ან კი
აქ ეს თხოვნა ვის უნდოდა?
ბიცოს გული მოყვრის კი არ,
მოყვასისთვის მუდამ თრთოდა...
ჰო და დილით, როცა ნიკო
საგამოცდოთ გამოცხადდა,
გამომცდელთ წინ სათითაოდ
წინ წარმოსდგა გიგოს „მადამ“!



ხელზე — პროშტი- ყურში — „ფოშტი“:
— „გიგო-ნიკო... ნიკო-გიგო“..
და ამ ქალის ეს „რადიო“,
ვინ იყო, რომ ვერ გაიგო.
საზეპირო გამოცდებზე
მიდის გიგო, როგორც ყორი!



— თუ სწერ, მალე, თუ არა და
გაათავე, საქმეს მორჩი!
რომ სხვამ ვინმემ ამ შენს ნაჩხრეკს
არ შეასწროს უცბათ თვალი,

და ნიშნების ავან-ჩავანს
არ შეუგნოს გზა და კვალი...
თუ კითხვებზე ზეპირ მსჯელობ,
მოკლეთ მოსჯერ! მოსჯერ სხარტათ!



არხეინად წინ წამოდექ,
გატრიალდი უკან მარდათ...
თუ საწერზე მოკალათდი,



უნდა გეპყრას ხელში „შნური“,
რომ „შპარგალკით“ გარედმიდან
გაგიწიონ სამსახური!
ამ რჩევა — ამ დარიგებებს
მტკიცედ მიჰყვა ჩვენი ნიკო
და საძნელო გამოცდებიც
„გამოაცხო“, როგორც იყო!
მთელი ერთი-ორი კვირა
ნიკომ ასე იხადილა
და მხოლოთ-და ამის შემდეგ
დამშვიდებით ისადილა...
დილით ნიკო და საღამოს
ბიცო იყო ამ ქაპანში,
და სანაცვლოდ, სულ „ოთხ-ოთხ“
„დაიჭირა“ ცხრა საგანში!
და როდესაც გამოცხადდა
გამოცდების დანასკვენი,



გამოკრული სიაც გახლდათ
ნიკოს გვარით დანაშვენი!
მიდის ნიკო... ღელავს ქუჩა..
იგრიხება ნიკო წელში!.
კაცმა ასე დაიჭიროს
გამოცდები ყველა ხელში,
და ის კაცი წელში მაინც
ასე აღარ დაიწმაწნოს,
მაშინ ნიკოს გამარჯვების
ისტორია ვინ ვის აცნოს.
ან ამ ტკბილი განცდებისთვის
ნიკოსავით ვინ იწოდეს
და ეს, თუ ის რა გმირია,
ვინ იცოდეს? ვინ იცოდეს?!..



გიგოს ცოლის პირისფარეშს
ერთს თუ ესმის ის ამბავი,
რაც აქ პუდრი დაიხარჯა
და წითელი საღებავი!..

ჭაზირა

# თავმჯდომარე თავისი თანამშრომლებით

სამი წლის განმჟვლობაში ძლივს მოვესწარი ისეთ დღეს, როცა ქორწილში დამპატიჟეს. ვიჯექი სუფრაზე და დინჯათ შევექცეოდი საჭმელს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება, ვიდრე სასმელმა. მე არც კი გამიგია, თუ როგორ აირჩიეს უფროს თამადათ სხვა მმართველობა. უცბად ეზოში შემოჯირითდა ალმასკომის თავმჯდომარე მისი ცხენით, პლატონ სამანიშვილის ცხენივით მოჭქროდა; ცოტა მოშორებით კი მთელი შტატი მოსეირნობდა. მიესალმენ კამპანიას თუ არა, შეიქნა შესასწრების სმა. ალმასკმოის თავმჯდომარის მახვილმა მხედველობამ ადვილად შეამჩნია ჩემში ერთი ახალგაზრდა, რომელიც არ სვამდა ღვინოს და არც მისი შესწრებისთვის შეუწუხებია თავი.

— ეგ არის კონტრევოლიუციონერობა. მიაძახა თავმჯდომარემ — რას ჰქვია, შენ თავმჯდომარის შესასწრებს არ სვამ? მე ვარ მთავრობის წარმომადგენელი ამ კამპანიაში, იცი შენ ეს, თუ არა?

— ეს, ამხანაგო, ჩემი ნებაა. შენ არც კი გესმის წარმომადგენლობა რას ნიშნავს, თორემ არც მაგას იტყოდი. შეიძლება მე ღვინო დამელია, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ ვიყო, ჩემი სიმთვრალით კი მე ხალხის საქმეს არ წავახდენ.

— გამიშვით!.. გააგდეთ კარში!.. არ მომაკვლევიოს თავი... გაიწია თემის პატრონმა.

— ამხანაგო თავმჯდომარე, მე ვარ ამ სუფრის უფროსი და, თუ დამნაშავეა ის კაცი, მე ვიცი და იმან. მიმართა სუფრის თამადამ.

— ამ თემში მე ვარ უფროსი, შენ ეხლავე გამოგცვლი!.. ამხანაგებო, ამიერიდან მე ვარ სუფრის უფროსი და ხელი წამოავლო ყანწს. ახლა თამადა გაჭირვეულდა, ხოლო თავმჯდომარე ახალმა თანამდებობამ დაამშვიდა და თავისებური სადღეგრძელოები წამოიწყო.

— ეს, ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენს თემკომის მდივანს. მე და ის, უკვე კარგა ხანია, რაც ვაწარმოებთ ასეთ შეერთებულ მუშაობას. თითქმის ყოველ კვირაში მივდივართ კამპანიის ჩასატარებლად და ამ კამპანიებში ჩვენ ვართ მოწინავენი, თანამშრომლები კი უკან მოგვდევენ. გაუმარჯოს ჩვენს პარმენს! რეჩს მოჰყვა რამდენიმე ტყვიის სროლა, რითაც თავმჯდომარემ გააგებინა ხალხს, რომ იქ უბრალო ვინმე არ ქეიფობდა. საზოგადოთ მთელმა შტატმა ამ კამპანიაში გამოიჩინა ძლიერი სამხედრო მომზადება: შექეიფიანებული თავმჯდომარე გადმოდგა აივნიდან და აუტეხა სროლა ქათმებს. რამდენიმე ტყვიის სროლის შემდეგ: უკვე ერთი დედალი სასიკვდილოდ დასჭრა. მაგრამ დახე, უბედურებას! დედალს თავში ჰქონდა მოხვედრილი, ალმასკომის, თავმჯდომარეს კი სწორედ ქათმის თავი ყვარებოდა და მაინც იერიში მიიტანა მეორეზე, რომელიც მალე მოართვეს შემწვარი.

ბოლოს მან ადღეგრძელა მასპინძელი და უსურვა, რათა ყველა გლეხებს ესწავლოს პატივისცემა და ასე სახელოვნად დაეპატიჟოს ალმასკომის შტატი.

ჩვენ თქვენი ვართ. ჩვენი ხელისუფლება გვიკარნახებს — მტკიცე კავშირი ღარიბ და უღარიბეს გლეხობასთან. და აი, ჩვენც მტკიცეთ უკავშირდებით; მოგეხსენებათ, რომ ღვინის სმის დროს უფრო ეგუებიან და უკავშირდებიან ადამიანები ერთმანეთს. შორს ჩემგან „კულაკები"! ღარიბი გლეხის ახალი ქათამი მირჩევნია კულაკის შემწვარ გოჭს!.. დაათავა რიხით ძალად მაცხონე თავმჯდომარემ.

კამპანია მეორე დღესაც გაგრძელდა. ალმასკომის შტატს არც კი მოუფიქრებია წასვლა, მხოლოდ მდივანმა გაიწია ალმასკომისკენ.

— რა მიგარბენიებს, ამხანაგო? ამისთანა პურ-მარილს მოგართმევენ იქ? რას გეშინია, „კულაკები" კი არ ვართ, ღარიბი გლეხია, კაი დღეზე ქე გვიშლიან წასვლას და ქორწილში მაინც ეიქეიფოთ. თუ სადმე საქმე აქვს ვინმეს, აქ მოვიდეს, ბეჭედი აგერ მაქ, ჯიბაში და შენც აგერ შეგიძლია დაწერა. მე ყველგან თავმჯდომარე ვარ: ქორწილშიდაც და სახლშიაც.

რა თქმა უნდა, ყველა თემს არ ჰყავს ასეთი თავმჯდომარე, მაგრამ მაინც იშვიათ თემში ასეთი იშვიათი თავმჯდომარეც ხშირი მოვლენაა...

ძგუნტი.

# სანაჩალნიკო ნაჩალნიკი

(ყურმოკრული)

— ტ. ტ. რ. რ. რ. რ. ნიგოითი... ნიგოითი... სად ეშმაკში წავიდნენ ახლა იგი ყურუმსაღები, ა? ნიგოითი, ეეე... უ უ უ? კაცო, ტელეფონში ხმაური ისმის და პასუხს არავინ არ იძლევა!... ალბათ, ეხლა სამორიგო ოთახში არის ანეგდოტები და ერთი ამბავი... ნიგოითი... აგი ვირის თავიანები ნუთუ ისე ხმა მაღლა ლაპარაკობენ, რომ ჩემი ამდენი წვალება არ ესმის? ნიგოითი! ნიგოითი! მადლობა ღმერთს, ვიღაც შევიდა ჩემს მდგომარეობაში... —ჰო! ჰო! ვინცხა ვარ, რა შენი საქმეა?!..—შენ ვინ ხარ? —მეისრე!... —ხა! ხა! ხა! ტელეფონში რაღაც კაცის ხმად ისმოდა, ხოლო ნამდვილად კი მეისრე ყოფილა!.. ბიჭო, გესმის? სადგურის უფროსს გადაეცი, ეხლავე მოვიდეს ტელეფონთან. რაო? სამორიგო ოთახს ვერ დატოვებ? რავა, შენს მეტი არავინაა მაქანე? სადილის საჭმელად წევიდენ?... შენც ვერ წაყევი, შემაიმუნო?!.. შენ რა ომში გამომადგები? მატარებლის კვერთხს მისცემ თუ ისარს გადოუტრიალებ? რაო? ასე გიბრძანა ნაჩალნიკმა? შენი ნაჩალნიკიც ისეთი სულელია, როგორც შენ. მე შენ გიბრძანებ: ეხლავე მიაკეტე სამორიგო ოთახი და ნაჩალნიკი მომიყვანე ტელეფონთან. რაო? ვინ ვბრძანდები? ვინ ვბრძანდები და სადგურ საჯევახოს უფროსი, ჩაჩავა. რაო? მეისრე —ზამბახიძე, გეიგონე? მაგით შენ თავს ვერ იმართლებ. შენ კარგათ იცი, რომ მეისრეები და ისეთი ხარახურა ხალხი ჩემს სადგურში ტელეფონთან ვერ მიბრძანდება? რაო? ბოდიში!... წადი იქით, შენ ქეციანო, ვის უნდა შენი ბოდიში? რაო? ჰო, ჰო... წადი დაუძახე სადგურის უფროსს და გაპატიებ. აბა, შენ იცი, რა მალე შეასრულებ. (ჩამოკიდებს ტელეფონის მილს) კაცო, მიდიენ საქეიფოთ და ხან სულ მიატოვებენ სამორიგო ოთახს და ხან ვიღაც მეისრეს დასტოვებდენ საპასუხისმგებლო ადგილას. მეც ხშირათ მიხდება სამორიგეო ოთახის მიტოვება. მარა ქემაინც შორს არ მივდივარ და, საქმემ რომ მოითხოვოს, მაშინვე იქ გავჩნდები, გუშინ ასე უპატრონოთ დაეტოვებიენ ტელეფონი და მთელ საათს გამიჩერენ მატარებელი, რომელსაც მოძრაობის დარგის უფროსი თან მიყვებოდა. (ისმის ზარის ხმა) მოიცა, ჯერ წავალო, როგორც მე მაწვალე ისე. ჰო, ჰო.. მე ვინ ვარ და კასიანე!... გამარჯობა! გამარჯობა!... ბიჭო, გესმის? ხვალ სანადიროთ მივდივართ. მე, ფოსტის უფროსი, სადგურის მოლარე და მორიგე აგენტი. სალამომდე ქე ვინადირებთ და სალამოს ალეგრა ყოფილა მაქ და იქ დროს გავატარებთ, გესმის? ვინ შეგატყობინა ალეგრა არისო? ვინ და ჩვენმა ბილეთის მოლარემ მოიტანა ამბავი დღეს...

რაო? სადგურში ვის ვტოვებ და მეისრეს, რავა შენ ნახევარჯერ მეისრეს არ ასრულებინებ შენს თანამდებობას?!.. მე რომ ერთს დღეს შევასრულებიო დიდი საქმეა? რაო? არ მოგატყვილო?!... რა შენი ჭკუის მნახე ბიჭო, რომ მოგატყუილო? რავა, ლხინი ვის მოწყენია?.. ჰო, ჰო... აბა, შენ იცი, რაფერ აჩაინათ მოვაწყობთ საქმეს!.. კი, კი, უკლებათ წამოვალთ ყველა!...

პირცეცხლი.

# „ხმის" მქონე



— აბა, ამ ჩვენს მედუქნეს შეხედეთ, ხალხნო, ერთი რასა ჰყვირის ასე თავ-გატეხილივით?!.

— „ ხალხნო! ალმასკომის თავმჯდომარე მეუბნება: „ხმა არ გაქვსო". განა ამაზე მეტი ხმა კიდევ შეიძლება?!.

# ტელეფონისტკები

(ქუთაისი)

ტარტაროზ-ჯან, ჩემო კარგო,
მოისმინე ესა:
წყეულიც იყოს ტელეფონი
ვინც რომ დააწესა;
ატრიალებ არღანივით
ტელეფონის ქორწას..
(ფიზკულტურა არის ხელის,
გეფიცებით ძმობას!)
თუ ალმასკომს დაურეკავ,
შეგაერთებს პარტკომს,
ან და სულ არ გიპასუხებს.
სჩანს, ბიუროკრატობს!..

—:—

მეც გაუგე მათ იშკილი.
ჰო, თუმცა კი გვიან.
რა ქნას იმან, ვინც ეს „შტუკა"
ჯერაც არ იციან!

—:—

თუ „ექსტრენათ" გინდათ ვინმე
რომ გამოიძახოთ,
ტარტაროზ-ჯან, სულ სხვა შანსი
უნდა გამონახოთ:

—:—

შეხვალთ გამგის კაბინეთში,
თუ შიგ არვინ არი,
ან და გამგე თუ კი არის
შენი მეგობარი!

—:—

მხოლოდ ერთხელ ჩამორეკ
ტელეფონის ზარი,
ჰო! იმ წამსვე გიპასუხებს,
თუგინდ იყოს მკვდარი!

—:—

ალბათ, ქალის სამართველო,
ამ უსტარს რომ პოებს,
იგი ჩვენს ტელეფონისტკებს,
ნაზს და უმანკოებს,

—:—

მისცემს მუდმივ შეებულებას,
ეტყვის ნაზათ „წადი!
—„ვშიშობ, რომ არ გაგიფუჭდეთ
ყურის აპარატი!".

შაკო.

# ქუთათური დიალოგი

(ლევარსი და სიმონი)

**სიმონ:**—გამარჯვება ლევასრსი! სად მირბისარ, კაცო, ამ დილას, ცხვირ-პირის მტვრევით პჩ-ვ.-ს დრეზინასავით?

**ლევარსი:** ერთი კვირეა მალიარს დავეძებ და ვერ მიპოენია.

**სიმონ:** იმე! შე კაი კაცო, ჩემი ცოლისთანა მალიარი და მხატვარი ქე სად შეიძლება მთელ ქუთაისში?

**ლევარსი:** შენი ცოლი და მალიარი?..

**სიმონ:** კი, შენ ნუ მომიკვდები, მალიარი, და რავარი მალიარი? მხატვარს სჯობია! ამ 50 წლიან დამანჭულ-დახაზულ სახეს ისე შეიღებავს და დააშპაკლოვკებს, რომ გეგონება—14—15 წლის ქორფა გოგონაო.

**ლევარსი:** კარგი მოგცეს ბუნებამ, მაგრამ მე სახლის სახურავი მაქვს შესაღებავი, მოწვიმს თუ არა, ისეთი ტბა დადგება ჩემ სახლში, რომ გეგონება—ბალახვანის მოედანი არისო.

**სიმონა:** შეიშალე, კაცო?... სახლებს ართმევენ და შენ ახლა ღებავ?...

**ლევარსი:** ნეტავი, კი მომაშორებდენ და უკეთეს ბინაზე მაცხოვრებდენ თუ არა, ახლავე გადაულოცავ თავრობას; მაგრამ შენი ხლამი ვის რათ უნდა?!..

**ხიმონ:** კი მაგრამ, კერძო საკუთრება მქონის სხვა სახელი აქვს.

**ლევარსი:** თუ ლენინს კერძო საკუთრება არ ქონდა, შენმა სიცოცხლემ, ბაბუაშენისთანა სახელი დარჩა; აი! კი მაგრამ, შენ რა ეშმაკმა აგაყენა ასე ადრე?

**სიმონ:** მოწმობამ, ძმაო, მოწმობა უნდა ავიღო. მილიცია არ მიჯერის, რომ მე ცოლ-შვილიანი ვარ, და მოწმობას არ იძლევა.

**ლევარსი:** რის მოწმობას?..

**სიმონ:** რომ ჩემი ცოლშვილი ჩემი სარჩენია, 12 კაცი მომთხოვეს. 4 დღეა დავრბივარ და ვერ მოვუყარე თავი, ძლივს შვიდ-რვა კაცს მოვაგროვებ, ზოგი გზაში დამეთესება, ზოგიც მილიციიდან გაიპარებიან. იმისთანა დღეში ვარ ჩავარდნილი, რომ ქუთაისის ხანძრის დროს ადგილობრივი მეხანძრეთა მდგომარეობა მომაგონდება.

**ლევარსი:** კი მაგრამ, შე კაცო, 12 კაცის მოძებნას, აწი ერთი მილიციელი შევიდეს და ადგილობრივად მოახდინოს მოწმეების დაკითხვა; უკეთესი არ იქნება?!

**ხიმონ:** იმე, კარგი მოგცეს ღმერთმა, კარგი რჩევა მაგ იყოს, მაგრამ ასეა პრიკაზი მე-3-მე უბნის მილიციის და რას იზამ?

**ლევარსი;** სამსახური ავალებს, ბაბა, **სამსახური!** ვერ ხედავ?... სადგ. გელათის უფროს ქორქოლაძეს არ ავალებენ, მაგრამ, როგორც კეთილშობილი კაცი, ხარჩავს სხალს, კომშს, ჰყინტ სიმინდს, ამჟავებს კიტრს და წავხდი კაკალი კაცი, დამეხვია ხალხი, მარიგებენ, მაგრამ, განა, რა შეიცავს მასში აღებული შაურები, იმ სამ-

## ყარსუბანის „აფთიაქარი“



— ვიშ, ქა-ა-ა, სად მიბრძანდები. შენი ჭირიმე, წამალი, წამალი მოგვაშველე, სამი დღეა დაგელოდები!..

— ჯერ მში-ა-ან... მში-ა-ან... მში-ა-ან.. ბევრი მში-ა-ან... მოიტათ: ქათმები, გოჭები, ინდაურები!!!

## „ძ Ღ Ვ Ე Ნ Ი“

(მუხიანიდან)

დიდი ხანია, ტარტაროზ,
არ მოგიძღვნია მე ლექსი,
რადგანაც, რაც გამოგგზავნე,
პასუხიც ზედ არ გამეცი.
ამავე დროს შენი საკბილო
ჩვენსა სოფელში ბევრია,
ნაწილი, რასაც ეხლა გწერ,
ის მთელთან არაფერია.

მივიღეთ მასწავლებლები:
ვარლამ, ბაბუცა; ნადია,
ჩვენი სოფლისთვის ესენი,
ვფიცავ, ზედმეტი ბარგია!
კულტმუშაობას სოფელში
რომ გაურბიან განზედა,
ჯიხვივით დანავარდობენ
„მტრის“ ქინად მთა და ბარზედა!..

ჩანგალსაც თუ კი მომაწვდი,
კერძსა მოგართმევ სასურველს,
ყმაწვილსა, „გრიგოლ ლამაზსა“,
სიტყვით ყველაფრის შემძლებელს!
ასი მანეთი ჩასანსლა,
საღამოს შემოსავალი,
ავიო-უჯრედს მოვუწყვეთ,
ფულს დაუბნია გზა-კვალი..
როგორც გავიგეთ, პასუხს სთხოვს
ავიო-ქიმის ბიურო,
როდის ავიღებთ შეკმულ ფულს,
მანამდის უნდა ვუყუროთ!..

—:—

სასოფლო - სამეურნეო,
ბანკშიაც შევიაროთა,
სილის ყუთები რომ გაქრა,
ნეტავ ვის დავაბრალოთა?

—:—

კედლის გაზეთის ხელმძღვანელთ,
აბა, მითხარით რა ვუთხრა?
ექვსი თვე სოროში სძინავთ,
ამან მე გული დამთუთქა!..
ნოე, ოლია, შალიკო,
მათთან, ნადია ილია!
გამოიღვიძეთ გენაცვათ
გეყოფათ აწი ძილია!..
ეხლა მივადგეთ „სადგურსა“,
ნეტავ, იქ რა ამბავია
უსუფთაობა გვაწუხებს,
ნეხვი შიგ უამრავია!..

„ჭიუკენ“.

---

სახურთან შედარებით, რომელსაც ის უწევს მგზავრებს?..

სიმონ: ქორქოლაძეზე გამახსენდა, საირეში რომ მიწა მქონდა, ქე არ ამაშვლიპეს; ვინც შრომობს, მიწაც იმას ეკუთვნისო!. მომედვა ცეცხლი, გავაშანშხალე თხოვნა და შოუჯექი „დაბა ძველის“ პლატფორმაზე მატარებელს. თურმე გამომყოლია ქალი: თავს არაფერი ხლაფორთი წაკიდოსო! ჩამეიარა მებილეთემ, მოვახვიე ერთი და დოუთვალე 18 კაპიკი. სტაცა ჩემმა ცოლმა ბილეთს ხელი, გადახედ-გადმოხედა და მორთო ღრიალი: „მიშველეთ, ქმარი მტოვებს, საზღვარ-გარეთ იპარება, ქორდანიასთან მიდის. მომეხმარეთ, არ გაუშვათ-ო“!.., წავხდი კაკალი კაცი. დამეხვია ხალხი, მაგრამ მათი ლაპარაკი როგორც ფრანგული ენა, ისე არ მესმის. რავარც იყო, გამოირკვა: „დაბა ძველ ხრესილი“-ს ბილეთების უქონლობის გამო, მოუცია მებილეთეს „სურახან პინაჩადი“-ს ბილეთი,—ბოშო, შენ თვალდამდგარო, ქორდანიასთან მისვლა რომ 18 კაპიკად შეიძლებოდეს, მე კი არა, მთელი გაკოტრებული ვაჭრები და ფლავ-დახეული ჩინოვნიკები იმასთან გეიქცეოდენ მეთქი! ძლივს დავაწყნარე და მივადექით ჩემი თხოვნით ხრესილის სასამართლოს; მაგრამ დახეიღბალს, სასამართლო წინა დღით ქე არ გოუპარტახებიათ: „მოსამართლე ქუთაისშია და მისი მდივანი თავის ცოცხალი ინვენტარით კი ჩეკაშიო“! ევიძურწე და მოუსვი! საბჭოების კონკურსის დროს გაზეთში რომ ეწერა საწირის ალმასკომის მიღწევები: „გავაშენეთ მეორე სასამართლო, ვინაიდან გლეხებში დიდი ლტოლვაა სასამართლოსაკენო“. მივედი, მაგრამ რას მიხვალ? მოსამართლეს ერთი სხდომაც ვერ მოუსწრია, ისე აუყირავებია ქარს სასამართლოს შენობა! გეგონება საკა მედროგის ცხენისათვის წელკავს გაუვლიაო! ალბათ, ფაციას ენა იმასაც შეეხო.

ლევარსი: ეს ფაცია ვინ არის?..

სიმონ: განა, არ იცი?.: მდგმურებს, რომ ენით აუპატიურებს; ამას წინად ერთ მის მდგმურთაგანს ეთქვა: „შენი ქმარი ორპირში მიკიტანთან ამხანაგათ არის და ამავე დროს კი გემოკვების კავშირის წევრიაო“. ამისთვის ფაცია გაკაპასებულა და კანდუქტორები ენით გაუუპატიურებია. მაგის შესახებ ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ ჯერ ერთი „მალიარი“ მოვნახო...

ლევარსი: მეც ქე არ გადამავიწყდა მილიცია და მისი მოწმობა; სად მოვნახო დღეს 12 კაცი? არა და ისე მოწმობაზე არ მამასუნებიაბენ...

ყოსტაიდუ.



სოფ. აკეთის ზემოდ ქვემო უბანი გამწვავებულ ქიშ-და სად ააგონ სასწავლებელი, რომლის ირგვლივ გაერთია ფლებამ. პობა-გაწამაწიაშია, არ იციან, თუ სად წაიღონ ეკლესია ნების კატეგორიული წინადადება მისცა მათ ხელისუ-

## მათ ეწვიათ ტარტა-როზი



არადანი, მარადანი,
დაიქცეს თქვენი მადანი:
მოდით აგერ და შეერთდით,
მოსპეთ ეგ უქმი ყაყანი!..

## დღე ჩამოდგა ავტაროსი



— მე არ ვიყო ნიკოიე, თუ არ წავიღო...
— მოგიკვდეს სიკოიე, თუ გაგატანოს...

„ალლო“.

---

## ორი დაჩა--„კოჟორი“ და „კისლა-ვოცკა“

— „ვალა, დოლრუ დეირამ, ეი ფოხუ, ია პრავდუ გოვორიმ: მე როგორც აბანოების გამქე, სოლი-შვილი გაგზავნებ ქოჟორში დაჩაშიდ, მე და?.. წავალთ ქისლავოსკაში ჩემი ოთპუსკში, სოტა დაისვენოს კაცო, თორემ ხომ იცის, როგორ ბევრსა მუშაობს-.. ჩემი შავ დვალა ხანუმა ქოჟორში სავიდეს, ის დასვენოს, მე და?.. პწუ. თეთრი ხალა, რუსალკაც იქ ძავიდეთ!.. როგორც რომ ოცნებობდა ქალ. ალმასკომის აბანოების გამგე, ისეც მოიქცა და გასჭრა მისმა ოცნებამ: გაგზავნა ცოლ-შვილი დაჩათ კოჯორში, თვითონ კი მორიგ შვებულებაში კისლავოდსკში ამოყო თავი, ერთ-ერთ თანაშმრომელ ქალთან. ბედნიერებაა, ღმერთმანი! „ბედი მომეც და სანეხვეზედ გადამაგდეო“, სწორეთ ეს არის! ერთ დაჩას არა კმაყოფილდებიან, ორ ალაგას იკავებენ დაჩებს და ისიც ვისთან?

პ. ლიახველი.

## ქრონიკა

— **დაჯახება.** რუსთაველის გამზირზე დარიკო ფშუტაძეს დაეჯახა უცნობი ყმაწვილი. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ქონია.

— **მსხვილი ქურდობა.** გაქურდეს ეფროსინე ბერბეტაძე—წაღებულია ქვედა საცვალი, ღირებული 14 შაურად. მიღებულია ზომები ბოროტმომქმედის ამოსაძვრენად.

---

— გაქურდვის მიზნით, 30 ივლისს ბოროტგამზრახველები გადაიპარენ ჭყუპაძის ბინაში, მაგრამ ვერაფერი ნახეს მოსაპარავი და ისევ უკან გამოვიდნენ.

— **თავის მოკვლა.** სამსონა ლიეერიანმა შურისძიების ნიადაგზე რევოლვერით მოჰკლა თავისი თავი. ლიევერიანი დაპატიმრებულია.

— **გაფლანგვა.** მათე პუმპულოვმა რესტორან „აჯამსანდალში“ გაფლანგა თავისი ჯამაგირი 80 მანეთი. მიღებულია ზომები მის ასანაზღაურებლად.

# ო ზ უ რ გ ე თ ი

(დეპეშები)

მიმდინარე წლის ზაფხულში, ქალაქის სასიტარულ კომისიას შეტაკება მოუხდა ბაზრის „ანტი-სანიტარულ რაზმთან“, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა სანიტარულ კომისიის რამოდენიმე წევრი.

ასწრაფოდ მოწვეულ იქნა დამკრძალავი კომისია, მოქ. მაშკას, ბეკეკას და ყურშავას შემადგენლობით: დახოცილთა გვამები ბაზრიდან წაასვენეს ალმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილებისაკენ. კუბოს თან ახლდა საპატიო ყარაულები და ამშვენებდა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიძღვნილი გვირგვინები. სამარესთან წარმოთქმულ იქნა რამოდენიმე სიტყვა, რის შემდეგ, კუბო დახოცილთა გვამებით სამარეში ჩაუშვეს.

ამის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაკრეს დუქნის კარებზე შემდეგი შინაარსის ბრძანება: „ვინაიდან სანიტარული კომისია ჩვენს რაზმთან ბრძოლაში დამარცხდა, ამისათვის ის გადავაქციეთ „ანტი სანიტარულად“, რომელსაც სათავეში ჩაუდექით ჩვენ. წინადადებას ვაძლევთ ყველა **ორ ფეხა** ცხოველებს არ ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელის შემშლელნი (სისხ. სამ. კოდ. 91 მუხლის თანახმად) მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში. **ხელს** აწერს ბაზრის ოთხ ფეხთა რაზმის შტაბი“.

ოზურგეთის **„ერთი მოყოლა“** საზოგადოება უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამს და იზიარებს ტ. თ-ის, ტ. ჩ-ის, ს. ს-ის, ვ. ფ-ის და ქად-ის მწარე ხვედრს, რომ მათი **კაპუეტები,** სისტემატიური წვიმების გამო, სამარცხვინო შიმშილობას განიცდიან და დუქნების წინ (ქანდარებზე) აკლავენ თავს. ასეთი სამძიმრის დეპეშა გაეგზავნა დ. ერისთავს—ბათუმში და ვიქტორ შარ-ძეს ტფილისში

აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკაშიც ასეთი შინაარსის განცხადებაა გაკრული: „დიდი ხანია გსურდათ ჩემი დაჯენა ქონიან ნიჩაბზე და ამ მიზნით ამიკლეთ გაზეთებით და თქვენს სურვილსაც, როგორც იქნა, მიაღწიეთ, მაგრამ ჯერ მაინც არ წავალ, თუ გინდ რომ პარავოზიც მომაბან წელზე. ამისათვის მოუწოდებ ყველას, ვისაც კი შეუძლია, მეტი სითავხედის გამოჩენა და სახეზე თვითკრიტიკის ნიღაბის აფარება, სწერონ კიდევ, რამდენიც შეუძლიათ: რვა დღის განმავლობაში, რადგან ჩემს მიერვე აოხრებულ ბუხგალტერიის გამოსწორებას კიდევ მოვუნდები რვა დღეს. ბუხგალტერი **პაიჭაძე.**

გაზეთ „კომუნისტში“ „სმალის“ წერილის გამოქვეყნებისთანავე ოზურგეთის სასამართლომ იმ წუთშივე სისრულეში მოიყვანა მრავალი შეუსრულებელი განაჩენი და ყველა ბრალდებული „გაბაწრული“ გაატარა გამსახლისაკენ.

ხმებია გავრცელებული, რომ თითქოს დამცველთა კოლეგიის წევრებს ჯიბეში მორიელი გასჩენოდეს. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა თურმე **მანასე**, რომლის სახლეში ერთი წელია რაც გლეხებს ფინჩხაც არ გადაუგდია.

ხალხში მითქმა-მოთქმა დადის იმის გამო, თუ ისეთ „ჭკუიან“ კაცს, როგორიც სერგოა, როგორ მოუვიდა აზრად, რომ პირუტყვთა დაზღვევის დროს ხელი **„დაეფარებია“** იმ 17 კვიციან ჭაკი-ცხენისათვის, რომლებიც ტრაგიკულად დაიღუპნენ გასულ ზამთარში.

**ამ** გარემოებით სერგოს გული გაუგანიერდა და მას აქიმობს სპ. თუმანოვი. ამასთან დაკავშირებით სახ. დაზღვევის ოზურგეთის განყოფილება დიდ მადლობას უცხადებს პ-ლ სერგოს, რომლის „ღრმა“ მოსაზრებითა და მოხერხებული მოქმედების წყალობით დაზღვევას გადარჩა 10 ცხენი და მან მხოლოდ 7 ცხენის ფასის ანაზღაურებით მოიხადა თავისი მოვალეობა სერგოს წინაშე.

კინო-სურათების დადგმის დროს, **ყოველივე ტაშის** ცემით გამოწვეულ ხმაურობის თავიდან აცილების მიზნით, კინოს ადმინისტრაციას განზრახული აქვს: კინოს „მოყვარულ“ **საზოგადოებას, დარბაზში შესვლის დროს,** ხელები შეუკრას.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ თითქოს ოზურგეთშიც არსებობდეს „ტუჩკავშირი“ და ქალებს ამ კავშირის წევრებს, თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს (საღამოს ცხრიდან) ხშირად გულზე სვლა მოსდით თურმე და მათ მამაკაცები ვალერიანი კაპლით აფხიზლებენო. მამაკაცებს კი, რომლებიც კავშირის დანიშნულებას ბოროტათ გამოიყენებს, ანუ აღთქმის შესრულებაზე უარს განაცხადებენ, ქალები მათ ქეზაფის შესხმით ემუქრებიანო. აი, სწორედ ეს გარემოება ყოფილა იმის მიზეზი, რომ ოზურგეთის აფთიაქში ქეზაფისა და ზევით აღნიშნულ კაპლის კრიზისია.

**ჩანძოლინი**

# ნ ი გ ვ ზ ი ა ნ ი

ო, განგებავ, გევედრები, თუ გაქვს ძალა-მეთქი,
ხაჯალიის სკოლის გამგეს მიწა გაუხეთქე!
მასთან. მათი კოლეგებიც კისრის ტეხით მიჰყვეს,
ნუ მოაკლებ საიქიოს, რაც მათ იმ დღეს მიყვეს!..
ჩემმა ცოლმა იქაც დასწვას ისეთ ცეცხლით, რომა,
ვით მე მიჭირს, იმათ გამო, ადგომა და ჯდომა.
რა, ჯანდაბათ მოიგონეს ის საღამო, ვახშმით,
რამაც სკოლა გადააგდო გამოუხსნელ ვალში?!
მაგრამ სკოლას ვინღა ჩივის, გვერდი მქონდეს მთელად,
(მე კი არა ჩემს ბედშია ვინც იქ იყო, ყველა!..).
ცუდს ვერ ვიტყვი: მოწყობილი იყო კარგზე კარგად,
თვით მომწყობი კომისიაც მსახურებდა მარდად!
სკოლის ეზო შემკობილი იყო ისე, ისე,
რომ იტყოდით: „აქ ჰყვავისო სრული სიმაისე!““
ყველა სუფრას ამშვენებდა ყვავილების წყება..
ო, მის მნახველს აღარ ძალუძს მისი დავიწყება!..
გასართობათ: ფოსტა, ბანქო, ლატარია, ნარდი.
რა უყოთ, რომ ზოგს აქედანც გაყვა ცოტა დარდი?!.
სასმელ-საჭმელს იქ არ აკლდა სირაქლემას კვერცხიც.
(სუფრა მქონდა გადაშლილი, მგონი, ნომერ მეცხრე!)
ვსვამდით ღვინოს, სადღეგრძელო სცვლიდა სადღეგრძელოს,
თურმე ბოლოს დაიკვეხე, რომ გახვიდე ლელოს.
სალხი შეთვრა: ატყდა დავა და კრიტიკა სმაში!
სუფრა სუფრას შეეჯახა, გაჩნდა ხელი თმაში!..
ბოთლმა შუბლზე გაიელვა, სარმა კიდევ — თავში!..
ეხ, ვინ იცის ან ვინ მოსთვლის, ვინ ვის ცემდა მაშინ!..
და მეც მომხვდა, მომხვდა მაგრად: ზურგზე, თავზე, გვერდზე...
მწამს, მომკლავენ თუ არ ვილაცს გავეთრიე ბედზე!..
ნატამალიც აღარ დარჩა საინის და ჭიქის,
აბა, თქვენ სთქვით: ველურობა წავა ამას იქით?!
ანდა სკოლას დარჩებოდა სარგებელი რამე,
როცა იქ მთელს ვერ ნახვიდით ვერც „სტოლს“ და ვერც სკამებს?!..

**ჩახუნდარიძე.**

# წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო ტარტაროზ, ჩემი გულწრფელი სალამი და მოკითხვა! გარდა ამისა, იმედია, რომ ზემოსვანეთის მშრომელი გლეხობის ჭირ-ვარამის შესახებ რასმე იკითხავთ. მადლობელი არიან ის გლეხები, რომლებიც ფეხქვეშ გაიგდო და სიკვდილის პირს მიაყენა დიდმა „კომუნისტმა“, აღმასკომის თავმჯდომარემ, სილიბისტრო ნავერიანმა. ამ „კომუნისტს“ 15 გლეხ-კაცი ყავს გალახული ერთ წლის განმავლობაში, ხოლო მათგან 2 კაცი კი—მოხუცი. მაგალითისათვის შემიძლია მიგითითო შემდეგ გალახულებზე: 1) გიგო გიოს ძე კახიანი, რომელმაც ცხენი არათხოვა სათამაშოთ; ჩამოაგდო ცხენიდან, ფეხ ქვეშ გაიგდო და ძლივს გამოიყვანეს მხეცურ ცემიდან; 2) რატიან რატიანი, 75 წ. კაცი სულ უდანაშაულოთ ჩაიგდო ფეხ ქვეშ და ძლივს დააშორეს. რატიან რატიანი ერთ თვეს ვერ იდგა ფეხზე. აი ასეთ დღეს აყენებს უდანაშაულო გლეხებს. ძალიან კარგი იქნება, რომ ასეთ გმირს ტარტაროზმა გამოუწეროს გლეხების გალახვისათვის წითელი ორდენი!

**გლეხი.**

# ბოდბისხევის კულტ-ნაგადი



— ეი, შე „ჩემანალავ“, რატომ ბოდბისხევის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას არ მოსდის გაზეთი?

— რათ უნდა გაზეთი? ქალალდი გაჩნდება და ბავშები პაპიროსის წევას დაეჩვევიან...

## ხ ო ნ ი

მე ხონის მილიციაზე
ბევრ რამეს მეუბნებიან,
რა ვქნა, თუ გლეხთა გოდება,
ჩემს გულის ცენტრში დნებიან!
—:—
აქ მილიციის უფროსი
გვარათ, რომ კაკაბაძეა,
ვფიქრობ, გლეხთადმი მიცგომა
მისი არ მისაბაძეა.
—:—
იგებ ახსოვდეს ეხმიელა,
კუხალაშვილი გვარადა,
ორჯერ ხალა, რომ გააწნა,
ნეტავი, რისთვის და რათა?!.
—:—
იმან ეჩიკლა, თვით იცის,
ჩააკრეს ოქმი საქმეში,
და მეგობარი, მე ვგონებ,
გამოადგება ამ დღეში!
—:—
ნათესაური კავშირი
საქმეა ძოუქონის, მგონია,
თორემ ეს საქმის ბოგინი
ამდენ ხანს გაჭიგორია?!.
—:—
გავშეღა ლექსის დაწერა
დე, მეც გამლახოს, ახია,
თუ გული პან გაშერილი,
კალამს არ წანოახია!..

შიხლინსკი ბომბ

---

# [illegible] ფოსტა

### „მნათობ“-ს

სადგურ მუხიანის ტელეგრაფისტის ცოლი შესაძლებელია მართლაც სატარტაროზე იყვეს, მაგრამ თქვენი სცენა კი არ არის „სატარტაროზო“ ნაწარმოები. აღნიშნულ შემთხვევას უფრო გაზეთში შვენოდა აღნიშვნა იმ ფორმით, რა ფორმითაც ამას თქვენ ჩვენ გვაწვდით. ჩვენმა თანამშრომლებმა უნდა შეითვისონ, რომ საჩვენო მასალები უფრო სასაცილო ხასიათისანი უნდი იყვნენ, ვიდრე სერიოზულნი ან, რაც უარესია —ღვარძლიანნი.

### გამოხვავდა-ს

ხაჟალიას ჩანგალს უღერთ
მაგრამ, აი, ხანია
სამხედ-სტოლთა ხელმძღვანელებს
ეცა რისთვის, რათა?!.

### მოსკოველ-ს

მოსკოვიდან წერილსა გვწერ,
ჩემო ძმაო, ბასილაკე,
„ტარტაროზს“ თუ არ ღებულობ:
ანტონი რათ გაგვილანძღე?!.
ამაშია დამნაშავე
ან ფოსტა და ან კანტორა,
პასუხს მოვსთხოვთ ერთ-ერთს, საქმე
თუ რომ არ გამოასწორა!.

### ტუზ-ს

თქვენი ტემპერამენტიანი აღელვება სრულიად უადგილოა. შენიშვნებს ჩვენ იმისთვის ვაძლევთ ჩვენს თანამშრომლებს, რათა ისინი გასწორდენ. თქვენ კი... ფსევდონიმი გამოიცვალეთ, თუ ჩვენი „შენიშვნა“ არ მოგეწონათ. გირჩევთ „ტუზის“ მაგივრად დაირქვათ „კუზი“, რადგან „კუზიანს“... დანარჩენი მაინც მიხვდით.

### არჩილ გურულს

სცენა მამლის ქურდის შესახებ ერთობ მოძველებულია: რაც შეეხება თვექნი მამლის ქურდს, მიმართეთ, სადაც ჯერ არს. ჩვენი რედაქცია ასეთ საკითხებს ვერ გაარჩევს.

### მეფისტოს

უნდა შემოიაროთ რედაქციაში ზოგი რამ გაუგებრობის გასაფანტავად თქვენსავე ნაწარმოებში.

### ბურკა-ს

მართალი ხართ: ჩვენმა პირველმა შენიშვნამ, ალბათ, გასჭრა, რომ შარადა ახლა მართლაც მოკლე დაგიწერიათ, მაგრამ მარტო სიმოკლით რომელიმე საგნის „ქკუა“, აბა, ვის გაუზომავს?!.

# ინდივიდუალურ „დამსახურებისათვის“



კრიტიკა „ქვევიდან“

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქ. №

კვირა 30 სექტემბერი 1928 წ. № 172 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## დიდი სიმჩატის დიდი სიმძიმე



— აი, წიგნი, რომელიც საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიურ ანგარიშგებით მძიმედ იკითხება...

# კვიმატი სიტყვები „კვიმატ“ აბრებზე

მიყვარს ხოლმე აბრების თვალიერება. გამიგონია: ვიღაცამ წერა-კითხვა აბრებზე შეისწავლაო.

დღევანდელი აბრებისა და მათზე არსებულ წარწერების შემხედვარე, მე ვერც იმ დროინდელ ხალხსა და ვერც იმ აბრებს დავემდურები. ქება და დიდება—მათ ურთიერთ პირნათელი სამსახურისათვის.

მე კი...

მაგრამ ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. ერთ ჩვენს დაწესებულებაში გეახელით. ის იყო, კარის შეღებას ვაპირებდი, რომ შიგ ჩასმულ მინაზე შევნიშნე ქართული წარწერა: „შესავალი“.

ერთი ანეკდოტი უნდა მოგაგონოთ: ქართლელი ტეტია ეწვია თურმე სტუმრად თავის ნათესავს ერთ შორეულ ქალაქში. ნათესავმა ტეტია სხვათა შორის სამხეცეშიაც შეიყვანა და ამა მთისა თუ იმ ბარის ცხოველები, რაც კი დედამიწის ზურგზე მოიპოვება, სულ დაათვალიერებინა. ვერც ერთმა იქ ნახულმა ცხოველმა ტეტიაზე თითქმის ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მაგრამ, აი, ბოლოს უცბათ, ნათესავის გასაოცრად, ტეტიამ ერთი მხიარული ყიჟინა დასცა და აუწერელ ექსტაზში შეიჭრა: თურმე მუტრუკი არ დაინახა! სწორედ ისეთი მუტრუკი, აი, თუ გნებავთ, გორსა ან ახალგორში რომ იცის ხოლმე!

არ ვიცი, მეც ტეტიას ექსტაზი მომივიდა თუ რა, ობოლი ქართული წარწერა რომ დავინახე და ისიც „შესავალი“, თითქმის ჩემდა უნებურად წამოვიძახე: „ეს კარგი—შესავალი, მაგრამ თვითონ „რომანი“ სადღაამეთქი?!“

კარებში შემსწრე ერთ-ერთმა თანამშრომელმა ღიმილით მომიგო: „რომანს კი შიგ დაწესებულებაში ჰქონდა ადგილიო“ და შემდეგი გადმომცა:

„გასაბჭოებიდან არც ისე დიდი ხანი იყო გასული, რომ ჩვენი დაწესებულების გამგემ, სწორედ იმად, რომელმაც ეს წარწერა დასტოვა, სხვა დანარჩენ „კვალზე“ რომ არაფერი ვსთქვათ, გახლდათ ერთი დარდიმანდი ახალგაზრდა.

იქვე გვერდით, მეორე ოთახში მშვენიერ მემანქანე ქალს ედგა წინ თავისი „უნდერვუდი“ და ლითონის ასოების წკაპუნით ნერვიულ მდგომარეობაში მოჰყავდა თურმე ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე გამგე.

დიდხანს, სანამ—ეგრეთწოდებული— „პირველყოფილი თვითკრიტიკა“ ჯერ კიდევ თავის კანონიერ ძალაში იყო, ეს მოვლენა საიდუმლოთ რჩებოდა ახალგაზრდა გამგის გულში, რადგან, როგორც საიდუმლო კვლევა-ძიებამ აღმოაჩინა, ყმაწვილი ქალი თურმე ჩვენში ძველად არსებულ მაღალი წოდების ჩამომავლობას ეკუთვნოდა და მოგეხსენებათ, რომ ასეთებთან გამგეები და სხვა ასეთი „მაღალი წოდების“ ხალხი ცოტა ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ იმ „პირველყოფილ თვითკრიტიკის“ ხანაში.

მაგრამ, ერთი, რომ „გული ქვა არ არის“ და, მეორეც— „იმ თვითკრიტიკის ხანას მოჰყვა, ასე ვსთქვათ, „ამ თვითკრიტიკის“ ხანაში გადმომავალი ერთგვარი „საშუალო პერიოდი“, როცა ერთ მშვენიერ დღეს „არა ქვა-გულის პატრონმა“, გამგემ და იმ კიდევ უფრო ფაფუკი მკერდის მატარებელმა მემანქანე ქალმა ხელი მოაწერეს თურმე ეგრეთწოდებულ „მმაჩ“-ში, რომელსაც იმ პირველ ხანებში, როცა, ეგრეთწოდებული, „ნაციონალიზაცია“ ჯერ კიდევ მხოლოდ პროექტში იყო, ყველა „ზაგს“-ად, ანუ, უფრო მოკლედ რომ მოვსჭრათ, — „ზაქსა“დ იხსენიებდა. და აი, მეორე დილით დაწესებულებას მოევლინა გამგე—მემანქანე ქალის უბრალო მეუღლედ, ხოლო მემანქანე ქალი—გამგის „თანაშემწედ“ და, თუ მოვლენას ცოტათი შინაურულ ახსნას მივაკუთვნებთ,—დაწესებულების დიასახლისად!

არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანდა ეს მდგომარეობა, რომ საქმეში არ ჩაშორეოდა ეგრეთწოდებული „რაციონალიზაციის“ ზოლი, რომელმაც დაწესებულებიდან გაიტაცა როგორც მემანქანის მეუღლე, ისე ამ მეუღლის დიასახლისი.

დაწესებულებას კი დარჩა: შიგნით—ეს „რომანი“, ხოლო კარებზე—ეს „შესავალი“ო,—დაათავა მხიარულმა თანამშრომელმა.

მე პირჯვარი გადავიწერე (ვთხოვ საკონტროლო კომისიას ეს ჩემი ფრაზა არ ახსნას ღვთისადმი რწმენის რაიმე ნასახად ჩემში, ვინაიდან პირჯვარს მე ყოველთვის უკუღმა ვიწერ და იმასაც საიდუმლოდ ეშმაკისა და არა ღვთის მიმართ!) და ასეთი დასკვნა გამოვიტანე:

ნათქვამია: „სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავს“-ო... (ფუი, ეშმაკს! აქაც არ წამომცდა?!..).

სწორედ ასეა ქართული სიტყვაც: სადაც არ უნდა და როგორც არ უნდა დასწეროთ ის, თავის შნოსა და იერს, ხოლო, რაც უმთავრესია, თავის შესაფერ მოხდენილობას და „სიკვიმატეს“ მაინც ყოველგან შეირჩენს ხოლმე!..

მიუხედავათ ამისა, დაზღვეული არც იმისაგან ვართ, რომ არ შეირჩინოს ხოლმე!

დაზღვევის ხსენებაზე გამახსენდა!

თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ ეგრეთწოდებული — „დამზღვევი სალარო“, რომელსაც, ცეცხლისა თუ სხვა რაიმე „პირადი მარცხისაგან“ თავის დაზღვევის მიზნით, ალბად, ერთი თავისი ნაწილი ერთ შორეულ ქუჩაზე რომ აქვს, მეორე — მეორე შორეულ ქუჩაზე, მესამე — მესამეზე და ასე დაუსრულებლივ.

დიახ, აი, სწორედ ამ დამზღვევ სალაროში გიახელით (სად, რომელ ქუჩაზე, ამას განგებ არ ვიტყვი, რათა მის ძებნაში თვით ეშმაკმაც კი რომ იღრძოს ფეხი!).

ერთ-ერთ ოთახთან ბევრი ხალხი იყო შექუჩებული და, მოგეხსენებათ, ეშმაკისა და ტარტაროზის მოციქული მუდამ იქ არის, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს ხოლმე. ჰო და მეც სწორედ ამ ოთახის პირდაპირ შევჩერდი, რომ უცბათ ჩემს თვალებს შემდეგი ქართული წარწერა ეცა თვალში (ვიტყოდი: თვალებში-მეთქი, მაგრამ ამაში მარჯვენა თვალი დამნაშავე სრულიად არ არის!). დიახ, აი, ასეთი წარწერა:

„საექიმო საექსპორტო კომისია“.

მე ჯერ კიდევ 1925 წლიდან ვიცოდი, რომ ჩვენში ეგრეთწოდებულ—ექიმების გადაჭარბებულ წარმოებას ჰქონდა ადგილი და ამიტომ სრულიად არ გამიკვირდა წარწერაში სიტყვა „საექსპორტო“. პირიქით, მსგავს შემთხვევაში არა თუ საბჭოთა ხელისუფლება, არამედ ყოველი კეთილგონიერი კაპიტალისტიც კი გააჩაღებდა ამ გადაჭარბებული პროდუქციის „ექსპორტს“. ჩვენ კი ისე გვესაჭიროება ეგრეთწოდებული საზღვარგარეთის ვალიუტა!..

თუმცა ჩვენებური ექიმები რა ვალიუტად უნდა გამოდგეს-მეთქი, გავიფიქრე უცბათ მე, ქვეყნად ყოველგან ეჭვისა და უნდობლობის მთესველმა...

და ერთმა ჩემმა მეზობლად მჯდომმა ახადა ფარდა ყოველივე დაფარულს:

— აქიდან სხვადასხვა კურორტებზე გზავნიან ხალხს— დაიწყო მან: ერთი ჩემი ნაცნობი, მაგალითად, შარშან ზღვაზე გაგზავნეს. ბანაობის დროს ტალღებმა გაიტაცა ის უბედური და ამბობენ: „სტამბოლთან გაიტანა ნაპირასო“...

მე მაშინვე შუბლში ხელი ვიტკიცე და ვსთქვი: „როგორი მიუხვედრელნი, უგონონი და უღონონი ვართ ჩვენ ადამიანები ზოგჯერ, როცა ნაწერში სიტყვა თავისთავად ნათელი და გასაგები არის ხოლმე!..“

ვიტკიცე შუბლში ხელი თუ არა, ფეხებსაც ძალა დავატანე: წამოვხტი, გამოვარდი ქუჩაში და ავუკიდე ქვის ფილაქანზე ერთი დაუსრულებელი „ფხაკა-ფხუკი“. ასე, რომ ძნელი ასახსნელი იყო: ფეხებს ადგა მეტი ჯაფა თუ ფეხსაცმელების ლანჩას, რომ იქვე, ლანჩებით გამოტენილ დარაბას წინ, ვერის აღმართთან უნებლიეთ შევჩერდი. მაღლა რომ ავიხედე, აბრაზე ასეთი რამე ამოვიკითხე: „რეზინის ლენჩები“.

„ლენჩი“, რა თქმა უნდა, აუარებელი მინახავს, მაგრამ რეზინის „ლენჩს“ კი, უნდა გამოგიტყდეთ, მეც დავეძებდი, და შევედი თუ არა დარაბაში, მაშინვე ვიკითხე:

„რომელი ბრძანდებით აქ რეზინის ლენჩი-მეთქი?!“

— უკაცრავად, აქ—ჯერ ერთი—რომ რეზინის არავინაც არა ვართ, რაცა ვართ, სულ ხორცსხმული ადამიანები ვართ,, ხოლო მეორეც—ისა, რომ ლენჩი ზემო სართულში თუ მოგეპოვებათ, თორემ აქ, ქვევით ყველანი ჭკვიანი ადამიანები გახლავართო,—ორ-აზროვნად მიპასუხა, ალბათ, დარაბის, ანუ უკეთ—სავაჭროს მეპატრონემ.

და მართლაც, თითონ ლენჩმა და მოუაზრებელმა რათ არ უნდა ვიცოდე, რომ ლენჩი თუა ვინმე, ისევ „ზემო სართულში“, თორემ აქ, ამ ცოდვილქვემო სართულში ყველანი ძალიან ჭკვიან ადამიანებსა ჰგვანან ხოლმე.

გამოვბრუნდი უკან და, სირცხვილისაგან უზომოთ დამძიმებულმა, დავყევი ვერის დაღმართს...

ეს დაღმართი, იგივე—აღმართი, თანახმად ხალხის ბრძნული თქმულებისა, არც ერთ შემთხვევაში წაღმართად არ ჩაითვლება, რაღა თქმა უნდა. იგი ერთი მიხვეულ-მოხვეული, მიზნექილ-მოზნექილი, მტვრიანი, ტალახიანი და მარცხიანი ქუჩაა. ეს კი არა, ვერის ხიდი ხომ სწორია, ისიც კი მარცხისა და ვაი-უბედურების მთელი უნივერსალია.

—„ვერის ხიდთან მტკვარში ბანაობის დროს წყალმა გაიტაცა და“... „ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა ვიღაც უცნობი“... „ვერის ხიდზე ტრამვაი დაეჯახა ეტლს“... „ვერის ხიდთან, მტკვრის პირად მდებარე სახლში“..

ერთი სიტყვით, დავეშვი თუ არა ვერის დაღმართზე, რამდენსაც უფრო ვალხოვდებოდი ვერის ხიდს, იმდენად უფრო მკაცრად მომდევდა უკან. ტრამვაის შეუწყვეტელ „ვაი“-სთან ერთად, გაზეთებში სხვადასხვა დროს ამოკითხულ ამ შემზარავ განცხადებათა გულსაკლავი მუსიკა.

გამიგონია, „მარცხენა მხარეზე ადამიანს ეშმაკი უზისო“, და ამიტომ მეც სულ მარჯვენით ვიყურებოდი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ერთ აბრაზე თვალი მოვკარ ასეთ წარწერას: „მუსიკის მოხელე“.

— ფუი ეშმაკს!—წამოვიძახე მე და, რადგანაც ყურში ამ დროს სწორედ ის გულსაკლავი მუსიკა მიზუზუნებდა, ხოლო ყველა ამის მიზეზათ ეშმაკს ვსახავდი, რომელსაც მარცხენა მხარიდან განგებ მარჯვენა მხარისკენ ვაღონებდი თვალს, ასოციაციით — მივაყოლე: „ამ შეჩვენებულს მხარე არ უნაცვლებია და ახლა მარჯვენა მხრით არ მომდგომია-თქვა!..“

ბევრი ყოყმანი საჭირო აღარ იყო. იმ წამსვე უკან მოვტრიალდი და თითქმის თვალის დახამხამებაში ვერის აღმართის იმ ადგილს ამოვყავი თავი, სადაც კორგანოვის ქუჩის კუთხესთან შავით თეთრ აბრაზე სწერია: „ქალთა ვაჟების ქუდები“.

მე მაშინვე მოვისაზრე: როგორც სჩანს, ეს ქალთა ვაჟები, ე. ი., ის ვაჟები, რომლებიც ქალებს ძალიან ულტვიან და რომელთა უმთავრეს საჭიროებას უმწვერვალესი საიდუმლოება, ქუჩებში შეუმჩნევლად სვლა უნდა შეადგენდეს, ალბათ, აქ შენაძენ ქუდებს თუ იხურავენ თავებზე, რომ შემდეგ ისე დაუსჯელათ ეწევიან თავიანთ „ბნელ საქმეებს“-მეთქი.

ამის შემდეგ, აღარც მე მიფიქრია ბევრი: შევედი ამ ბრძნეულ ქონთან, დავავლე პირველსავე ქუდს ხელი, ვკითხე ფასი, მყისვე მივუგდე სამი და ორი აბაზი, ელვის სისწრაფით ჩამოვიფხატე ქუდი ტიტველ თავზე (ჩემი ქუდი როგორც მახსოვს, ვერის დაღმართზე დიდი შიშისაგან თმების ყალყზე დადგომის დროს გადმოვარდა) და ესე გაუჩინარებულმა, არხეინად მოვუსვი რუსთაველის პროსპექტისაკენ...

ონისიმე.

# ნ. შიუკაშვილი

(ნ. გოცირიძის მიერ არშაკ მინაიჩის შესახებ გამოთქმულ აზრის გამო).



— ერთიც ამას დამიხედეთ და... არა, თუ ღმერთი გწამდეთ, უარშაკმინაიჩოთ მაგას რა უშავს: კისლავოდსკშიც კი იზაფხულა წელს... ზოგი ეხლა მეცა მკითხეთ, დარდისაგან რომა წარბები-ღა ძლივს შემრჩა გაუჭაღარებელი!.

# უბედური შემთხვევა

(ნეოკლასიკური პოეზია)

თაური მესამე

შევდივარ კინოში, როცა მიდის „ჩასტი ტრეტი“
და ვჯდები სადმე კუთხეში, როგორც მტრედი!
მაგრამ შოვა ადგილის
არ არის მაინც და მაინც ადვილი.
ერთიც ვნახოთ, პატიოსანმა
მანდილოსანმა
შეამოკლა შტატი კაბის
და შემთავაზა კუთხე სკამის!
თანაც მითითებს:
— პაჟალუსტა სადიტეს!..
და მეც ვჯდები თავაზიანი
რომ არ მივაყენო რამე ზიანი!..
მთელ სხეულში ავიშლები,
როცა როიალის კლავიშები
აქვითინებენ ტრაგიულ „პესნებს“!..
ვუსმენ და თანც კონსპირატიულათ ვისწორებ პენს-
ნეს.
რომ იქიდან შეიძლებოდეს, როგორც ზერომ,
ისე მეც ვზვერო.
ჩემს გვერდში მჯდომი ქალი!
ისე რომ მანაც არ მომკრას თვალი..
რადგან ირგვლივ ბნელია,
მეც მივჩოჩავ მისკენ ნელია,
როს დანჯღრეულ სკამებთან
ჩემს გარშემო გამეფდა
ქვეყანა „ანტიური“,
და „გზა“ რომანტიული,
ავამუშავე ენა,
იგი გარდიქცა სმენათ!..
ჯერ დავიწყე პრიმიტივ, სისადავეთი
და შემდეგ კი გადავედი
პირდაპირ შეტევაზე:
გავაჩაღე დიალოგი ეროტიულ თემაზე.
ასე პრტყელ- პრტყელ ფრაზებით
რიტმიულ გაბრაზებით
ვისროდი სიტყვებს, ორ ეტაჟიანს,
(ეპატიება პოეტს, სტაჟიანს!)..
ატმოსფერა იყო ატმისფერი
და სანიტარი სანეტარო სანტიმეტრით
სანტიმეტალობდა,
რადგან იქვე ერთი ობიექტი უშვებდა ქიმიურ გაზს...
ჩემი რომანი კი განაგრძობდა გზას:
და მეც „დიდი ხნის“ ფარულს
ეხლა ვუმჟღავნებდი „სიყვარულს“!
ენა არ ილლება ტკივილების როშვით
და მეც თანდათან შევდივარ „როლში“,
როცა ვადარებდი მის სიტურფეს
(ვზარალობდი თურმე!)
ვენერა მილოსელს!..
ამ დროს გამოჩნდა წარწერა ტილოზე:
დასასრული მესამე ნაწილის,
გოსკინმრეწვ— გრუზია.

დონ—ვიზოტი.

# გამოცდაზე



— აბა ხინთიბაძე! როგორ იქმის რუსულად მამალი?
— პეტუხ!
— მგელი?
— ვოლკ!
— როგორ-და იტყვი: „მამალი—მგელი?!.
— პეტუხ—ვოლკ!..
— ყოჩაღ! ყოჩაღ!..

# ვინა სთქვა, რომ ეს დროება არ ვარგაო

დედა, დედა, რავა მოტყუილდება კაცი! ვინა სთქვა, რომე ახლანდელი დროება არ ვარგაო?! ვაი, ჩემო დღეო, რამდენი დურაქია ქვეყანაზე! აპა, ძველი დროება და ახლანდელი ერთია! ა, ბატონო, ა! თუ გინდა, მარგალიტათ, ქალის თხოვა ევიღოთ. სად ძველებური ქალის თხოვა და სად ახლანდელი! უწინდელი ქალის თხოვა, ბიძია, პირდაპირ „ტიომნი“ კარტის თამაში იყო და მეტი არაფერი. გაეხვეოდა ქალი ის, რაცხა ჩადრიაო, პირი ახვეული ქონდა... ერთი სიტყვით, მისთანა დაკეტილი და თავდაცული იყო, რავარც გინახავს ბორჯომის წყალის ბოთლი! ისტე იყო დაფარული, რომე ნემსი!. ოდენა ჭუჭრუტანა არ ქონდა არსად კაცს, რო შეეხედა სიდანმე. ელამი იყო, ბრუციანი იყო, კაცი იყო, ქაჯი თუ ეშმაკი, რას თხოულობდი, რომ არ იცოდი კაცმა?! აი, ჩემი ზეხათუნი, რომ მაჩვენეს, ბევრი უჭვრიტე: ხან ზევიდან; ხან ქვეიდან, ხან წინიდან, ხან უკანიდან, მარა ვერაფერი ვერ დევინახე! ბოლოს მაინც ცალი თვალით ბრუციანი შემომატყუილეს! მერე, იმ გამომცემელ დასაწვავ ჩემს ზეხათუნს ისტე აქვს ცალი თვალი მოჭუტული, რომე გეგონება: ვინცხას ეარშიყება და „თვალს უშობაო“! არა, რა დროს მისი არშიყობაა, დედეკაცს წელი ვერ მოუღია სიბერით, მარა მე მაინც გულზე ვსკდები და ვექვიანობ.

ა, ახლა უნდა ვიყო დასაქორწილებელი, რომე ნაღდი საქონელი ვითხოვო. გოგოს შევიყვან მისთანას, რავარც ბრეწოულს.

მე შენ გითხრა და ახლანდელ ქალებს ვერ გოუგებ, თუ რა აქვს და რა არა! ეს სახე ხომ იცი და ჩედავ, რაცაა. გულმკერდი თელათ ღიაა და ყორიფელ ! ძარღვებს დოუთვლი ზედ. ახლა ეს მოკლე კაბები რომ შემოიღეს, ფეხებს, არ იტყვი, რავა ვისტავკაზეა გამოტანილი! შავია, თეთრია, მსხვილია, წვრილია, თლად აშკარად გიდგია წინ. კოჭებიდან დაწყებული მუხლის კვირისტავამდე და ზევით კიდე ორი-სამი. ვერშოკი თელათ შენს განკარგუ-

ლებაშია. მოდექი და სულ თითო-თითო დოუთვალე ქი-ლკა-ძარღვები, დამშლელი ვინაა!

აი გიდი, სად იყო უწინდელ დროში ასეთი გულმკერდ-ფეხების ჩვენება, თვარა ქალის ამორჩევაში მე ვინ მა-ჯობებდა! არა, თუმცა-ღა ამორჩევაში არც მე მოვტყუვ-ლებულვარ. ჩემს ზეხათუნს ფეხები კარგი აქვს, რაც მართალია, მართალია, მარა ეს ცალი თვალი რომ ფრან-ციაში მიურბის, ეს კი ვერაა კარგი!

ვაი, დედა ჩემო, რა დროებას მოვესწარით და კიდო გაპოცის, ვინცხა, დურაქი და გეიძახის, რომე: „ახალი დროება არ ვარგაო!". ვაი, მის პატრონს უბედურს! სად ძველი დროება და სად ახალი! ძველებური ქალის თხოვა თვალდახუჭული ვაჭრობა იყო და დღევანდელი კი თვა-ლათ ხაღდია.

რას ამბობ, ბიძია რას! ქალს აშკარათ უყურებ, მისი სახე იცი, კისერი იცი, მკერდი იცი, მკლავები იცი, ფეხის კოჭები იცი, კანჭები იცი, მუხლის კვირისტავი იცი... ერთი სიტყვით, ყორისფელს, რავარც შენს ხელის გულს, ისტე უყურებ! მართალია, ზოგიერთი ნაწილი ქეა დამა-ლული, მარა ის ნარდათ ევილოთ, რაც იქნება, იქნეს! ვაჭრობა რისკია, ბიძია, რისკი!...

გოგია.

# ფრანგული ენის გაკვეთილზე



— შენ, ეი, მარტო ის კი არ კმარა, რომ ხარ პანი, უნდა იცოდე, აგრეთვე პოლიტიკური „ანი", ბანი!..

## სიტყვა და საქმე

### ზოგიერთებს

ვინ არ მიცნობს „თანამგზავრსა"
და კაცს „უპარტიოს",
წინათ ვიყავ და ეხლაც ვარ
კაცი „საპატიო"!
ყველამ იცის და ვატარებ
სახელს „თანამგზავრის",
მაგრამ გულში ღვივის ცეცხლი
შურის, სევდის, ჯავრის...
ვეფიცებით, რომ ერთი გვაქვს
ბრძოლის გზა და ხიდე,
გული კი სხვას მეუბნება:
„ფრთხილათ, დაეჰიდე!".
რომ წითელი ნიღაბი მაქვს,
რა წამხდარა, განა?
(ქარს გავატან, თუ რამ გულში
ქარმა მომიტანა!..).
დღეს მჯერა ეს თქმულება:
„ხერხი ჯობს ღონესო!.
თუ რომ კაცი ჭიომში ვარგა,
რას არ ილონებსო!..
თქვენთან ვივლი „თანამგზავრა",
ვივლი, სანამ მინდა,
თუ „ხელს მაძლევს" და
„სიფათის"
შიში წინ არ მიდგას!
ხან კი უკან დავიხევი,
გადაუხვევ გზასა,
არაფერში მე არ გავცვლი
ქვეყნად თავის თავსა!

წიწაკა.

# დ ღ ი ს წ ე ს - რ ი გ ი

**(ის, რაც იშვიათად არ ხდება)**

სოფლებიდან ჩამოსული პროფმუშაკები თანდათან გროვდებოდენ სამაზრო კონფერენციაზე იმ იმედით, რომ აქ ისინი გამოამჟღავნებდენ მუშაობაში შენიშნულ დე-ფექტებს და მტკივნეულ მხარეებს.

დელეგატებმა მხიარულად დაიკავეს ადგილები, ამო-ირჩიეს პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო კოლეგია და საპატიო პრეზიდიუმი.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა ჩიტირეკიას წაე-კითხა დღის წეს-რიგი. ისიც, თითქოს ამ ბედნიერ წუთს ელოდებოდაო, საჩქაროდ წამოდგა, საყელო გაისწორა, ერთი დიდი ჭიქა წყალი გადაჰკრა, ალმაცერად თვალი მიავლ-მოავლო იქაურობას, თითქოს გულის სატრფოს ეძებსო, და დაიწყო:

— 1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. 2. მოხსენება ერთა ლიგაზე. 3. მოხსენება ჩემბერლენის მტრულ დამოკიდებულებაზე საბჭოთა კავშირთან. 4. მოხსენება ბოლდუინის შეხედულებებზე. 5. მოხსენება მაკდონალ...

— ამხანაგო,—გაისმა ადგილებიდან,—ჩვენი შინაური საკითხები სადღაა?

— გთხოვთ ნუ უშლით ხელს და ადგილებიდან ნუ ლა-პარაკობთ.—გააფრთხილა თავმჯდომარემ.—შინაურ სა-კითხებზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ მაშინ, როცა მიმდი-ნარე საკითხებზე გადავალთ. განაგრძეთ, ამხ. ჩიტი-რეკია!..

— 5. მოხსენება მაკდონალდის ტაქტიკაზე. 6. მოხსენე-ბა შეიდემანის გამყიდველობაზე. 7. მოხსენება... და ჩვიდ-მეტი მოხსენება ჩამოთვალა ჩვენმა ენაწყლიანმა ჩიტი-რეკიამ.

ჩვიდმეტი მომხსენებელიც იქვე ჩამწკრივებულიყო, ხელში უშველებელი პორტფელები ეჭირათ, ხოლო ეს

# არც იმდენად „იშვიათი“ შემთხვევა




**— ალლო! ვინ არის? დამლაგებელი ქალი! სთხოვეთ ტელეფონთან გამგეს!.. რაო, არ არის? არც მისი მოადგილე?.. არც საქმეთა-მმართველი?.. არც საქმის-მწარმოებელი? არც მემანქანე?, არც შიკრიკი?!.. რაშია საქმე: დღეს ხომ უქმე არაფერი არ არის?!**

**— მართალია, მაგრამ დღეს გამგე ცოლს ირთავს და ყველანი, იქ გეახლენ, როგორც მისი ახლო ნათესავები!..**

---

პორტფელები მოხსენებისათვის საჭირო დოკუმენტებით, თეზისებით და ციფრებით იყო სავსე.

პირველმა მომხსენებელმა პატიოსნად განაცხადა:

— საერთაშორისო მდგომარეობა რომ ნათლად წარმოგიდგინოთ, ამისათვის საჭიროა მე ჩემი მოხსენება დავიწყო თაიდან...

მისი მოხსენება გაგრძელდა 3 საათს და 15 წუთს. მოხსენება რომ დაამთავრა, ბოდიში მოიხადა: დრო ცოტა მქონდა და ყველაფრის თქმა ვერ მოვასწარიო.

ამ ხნის განმავლობაში ბევრს კიდეც ჩასძინებოდა და ისეთი ხვრინვა ისმოდა, რომ გეგონებოდათ საერთო თავშესაფარში სძინავს ხალხსაო...

ჯერი მიდგა მეორე მომხსენებელზე.

— ამხანაგებო, მე მოკლეთ მოვჭრი ჩემს სიტყვას, რომ თავი არ შეგაწყინოთ. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ გიორგი სააკაძის დროს იყო პროფმოძრაობის ჩანასახი. რაში გამოიხატებოდა მაშინდელი მოძრაობა? უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ იმ წლებში...

— ამხანაგო!—გაისმა ადგილიდან დელეგატის ხმა, — უკეთესია საქმეზე ილაპარაკო.

თავმჯდომარემ მრისხანედ დარეკა ზარი და მკაცრად წარმოსთქვა:

— მე უკანასკნელად ვაფრთხილებ შეუგნებელ ამხანაგებს, რომ თუ ისინი კიდევ შეუშლიან ხელს დღის წესრიგის ჩატარებას, პროლეტარული ცოცხით ალიგვებიან აქედან. განაგრძეთ, ამხ. ნისკარტაძე!

და მანაც განაგრძო. მას მოჰყვა მესამე, შემდეგ მეოთხე და მეხუთე მოხსენების დროს მთლად „გამოცოცხლდა“ კონფერენცია: ყოველ მხრიდან გაისმოდა ხვრინვა...

მესამე დღეს ამოიწურა ყველა მოხსენება და დელეგატებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს.

— გვეშველა! ეხლა მაინც ვილაპარაკებთ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებზე.—გადულაპარაკეს ერთმანეთს.

თავმჯდომარე გაბრწყინვალებული სახით წამოდგა და განაცხადა:

— „მაშინისტკების“ სახელით მისასალმებელი სიტყვა ეძლევა ამხ. თვალქუჟუნაძეს!

თვალქუჟუნაძის შემდეგ, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ოთხი ბუღალტერი, შვიდი რეგისტრატორი, ცხრა უფროსი საქმის მწარმოებელი და სამიც კანცელარიის უფროსი. ერთმა მათგანმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: „ჩვენ გვწამს, რომ მომავალ წლიდან მაინც ერთი-ორად გაიზრდება შემოსავალ-გასავალ ქაღალდების რიცხვი და ომის წინა დროინდელ დონეს გაუთანასწორდებაო“..

პრეზიდიუმმა დიდის ოვაციებით გააცილა ორატორი. ამის შემდეგ, თავმჯდომარემ განაცხადა:

— მისასალმებელი სიტყვა ახლად დაბადებულთა სახელით ეკუთვნის ამხ. წირპლაძეს.

მისალმებებმა და საზეიმო ცერემონიებმაც ორ დღეს გასტანა და ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა:

— ვინაიდან კონფერენცია ძალიან გაგრძელდა, პრეზიდიუმმა დაადგინა: მიმდინარე საკითხები შემდეგი წლისათვის გადაიდოს...

დელეგატები თვალების ფშვნეტით და მთქნარებით დაიშალნენ...

ვ. თავფქვილაძე.

# განცხადება

ჩვენო უკანასკნელო იმედო და ნუგეშის მომცემო „ტარტაროზ“! ძლიერ გვინდოდა თქვენთვის მეგობრული წერილი მოგვეწერა, მაგრამ მეგობრობით „საქმე მეტად რთული“ არ გაკეთდებოდა და ამიტომ ჩვენც ადმინისტრატიული განცხადების დაწერა ვარჩიეთ. ჩვენი ცოდვით იყეფა სამსონამ და ესტატემ, თორემ რა საჭირო იყო თქვენი შეწუხება! ჩვენზედ უკეთ მოგეხსენებათ, პატივცემულო „ტარტაროზ“, თუ დღეს რამდენი „იზმებია“ ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაზედ. მაგრამ ყველა „იზმებზედ“ საშიშარი ამ ქვეყნათ „ერასტოიზმი“ და „სამსონიზმი“-ა. თუმცა ეს მიმდინარეობა მარტო ჩვენს სოფელშია, მაგრამ, ვექვობ, რომ სხვაგანაც არ იყოს მსგავსი რამე. ღმერთო, შენ დაშიცავი, რავა იმასავით მოგვდის: ერთს თურმე „მამა დაავიწყდა, და მამი ნაცვალს ფიცულობდა“-ო. რა გვეტირება სხვა სოფელი, როცა ჩვენ იმდენი სატირალი გვაქვს.

პატივცემულო „ტარტაროზ“, თქვენც რომ გენახოთ ჩვენი კოოპერატივის, სამკითხველოს და სასწავლებლის ამდენი ქონება ერთად, ხოლო ეხლა კი არც ერთი, განა, ასეთ უბედურების მომსწრეს, ერთი მდუღარე ცრემლი მაინც არ მოგადგება თვალზედ?!

თუმცა ტირილით ბევრი ვიტირეთ მაშინ, როდესაც ჩვენს კოოპერატივს ცეცხლის ალი სწვავდა, მაგრამ იტყვიან: „საქმეს ბოლოს ტირილი არ უშველისო“ და ჩვენც გავჩერდით იმ ნუგეშით, რომ დამწველები ზარალს მაინც გადაგვიხდიდენ. მაგრამ ჰოხ!! ღმერთო, შენ დალოცე დიდი კაცის ძალა!!! დამნაშავე ერასტოს, სიძეო

ერგებოდა და ამის შემდეგ ერასტოს სიძიდან ჩვენ რამე გვერგებოდა?!.. იტყვიან: „ზოგს ბედი სწყალობს და ზოგს უბედობა“-ო. თუმცა ჩვენ კოოპერატივი დაგვიწვეს, მაგრამ დათიკო ორმამიანმა მის ნამწვავზედ სამი ტომარა ნახშირი აკრიფა და დღესაც ალვილვინებს ქურაში!..

ისთე გულ მოსული ვართ, რომ „იზმებზედ“ ლაპარაკი გადაგვავიწყტა თითქმის. ამ მიმართულებების დაწყება უსათუოდ პორთფეს უნდა მივაწეროთ, პროგრამა გენიალურ თავს. თუმცა უნდა ითქვას, რომ „იზმთა“ შორის „ერასტოიზმი“ ყველაზე რადიკალურია, რომელიც ამბობს: რა საჭიროა ჩვენს ჩამორჩენილ სოფელში სამკითხველო, სკოლა ან კოოპერატივი? „სამსონიზმი“ უფრო რბილია, ესე იგი, ლიბერალურ-პატრიოტული, რომელიც სუბიექტიურად უდგება საკითხს და დაასკვნის თავის საპროგრამო წიგნში: „სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები საჭიროა ჩვენში, მარა არა იქ, სადაც ხალხს სჭირია, არამედ ჩემს ეზოსთან ახლოსო.

ამისათვის გთხოვთ თქვენ გვეწვიოთ, რათა ადგილობრივ გამოიკვლიოთ, თუ ჩვენთვის რომელი „იზმი“ უფრო გამოსადეგია: „ერასტოიზმი“, „სამსონიზმი“, თუ ორივე „წაშავდიზმი?!“

მონდობილობით ბეჩი.



ბრიანი: მოდი, ეხლა წყალში კუდს ჩავუშვებ: იქნება თევზი მართლაც მოებას ზედა!..

მიულერი: დასწყველოს რეპარაციების ძალამ და მადლმა: თავი მგლისა აქვს, კუდი კი—მელიის!.. ააა, თავს მოშორებით დავიჭერ, ახლოს არ გავეკარები!..

# გაცრუებული სიყვარული

(ახალი „ქალ-ვაჟიანი“)

### ქალი

ვიღებ კალამს, გაძლევს სალამს,
საყვარელო სოლომანა,
მომენატრე, უშენობით
ველარა ვძლებ მე აქანა.
მეხუთედ გწერ მე ამ წერილს,
შენგან პასუხს ვერ ვღებულობ,
ვაი ჩემ თავს, ავად თუ ხარ,
მანეტანი ვნერვიულობ;
თორემ ვიცი, კარგად იყო
მომწერამდი კიდეც პასუხს
და ამ ჩემ გულს, დაღონებულს,
აამებდი, აქ რომა სწუხს.
ეხლა მოგწერ ახალ ამბავს,
ვიცი; ძლიერ დამიმადლებ,
გუშინ მითხრა ექიმებმა:
სამ თვეში ბიჭს დაგიბადებ!
ამიტომ გთხოვ უსათუოდ:
გამატარე მალე „ზაქსში“;
თორემ მანამ თუ დავბადე,
სირცხვილით ვერ გავალ ხალხში!
ერთი სიტყვით, ამ წერილზე,
მიპასუხე გენაცვალე,
ჩამოვიდე თუ ჩამხოვალ?
უეჭველად შემოთვალე!
აწ მშვიდობით ბავშის მამავ
საყვარელო სოლომანა,
ღმერთმა ნუ ქნას მიღალატო,
თორემ მზად მაქვს ხელში დანა!

### ვაჟი

გადვიკითხე წერილები
მე სუყველა, ეფროსინე,
და პასუხი, მონაწერი,
ეხლა ჩემიც მოისმინე.
იწერები, თითქოს ბავში
მუცელს ჩემგან გაგეჩინა,
მაგისთანა ტყუილს რომ მწერ,
ეფროსინე, არ გრცხვენია?
ჯერ ექვსი თვე თუ იქნება,
რაც ჩვენ ერთად „საქმე გვქონდა“,
და მაკვირვებს: ასე უცფათ
მუცელში ბავშს რა უნდოდა?
მაგრამ, ალბათ, შენ მაქანა
გეიჩინე ვინმე კურო,
და მე კი გსურს სათამაშოდ
გამხადო და მიმსახურო?
უკაცრავად, ქალბატონო,
თუ მიგიხვდი მე ყოველი,
დღეის იქით დეიხსომე:
ჩემ სიყვარულს ნულარ ელი!
და, მაშ, ასე გიმეორებ:
ნუ ახსენებ შენ ჩემს სახელს,
თორემ ძლიერ თუ გავჯავრდი,
შენ ქალობას მოვფენ ნათელს!..
აწ მშვიდობით ბძანდებოდეთ:
შენ მაქანა, მე აქანა,
წერილსა გწერ უკანასკნელს
ტრუაშვილი სოლომანა!..

ცირილე საფირჩხიელი.

# ისევ შეჩვეული ჭირი

„..და შესახებ „ამის იმის“
უნდა ნახოს სიკომ „გამგე“,
დერეფანში „გამგის“ მოსვლას
მან უცადა თერთმეტამდე.
და შორიდან როცა მოჰკრა
ავტოს ზხუილს იმან ყური,
„გამგის“ ოთახს მიაშურა,
„კაბინეტს“, რომ ცავს მსახური!
კარებს იქით კაბინეტში,
ახლა გამგე, ალბათ, არის!
და სიკოს ამ მოსაზრებას
მოწმობს პოზაც ამ მეკარის.
ერთგულად რომ უკავია
გამგის კარის სახელური;
მასთან თუნდაც მდევი იყვე,
გამოჩნდები, ვით უძლური!




სიკოც კრძალვით წარსდგა მის
წინ
და უჩვენებს თითით კარზე:
— შეიძლება?!. მაგრამ აქ ეს
ჯიუტია სდგას უარზე!
— თქვენ ვინა ხართ?!—„ამის
იმის“
საქმეზე ვარ, მინდა ვნახო!
— ცოტა იქით მიიწიეთ,
არ იქნება დგომა ახლოს!..




აბა, შიგნით შეშვებაზე
რომ ამჩნევდა მეტად სიტყვებს,
ალიმართა კედლის გასწვრივ
და გაჩერდა სიკო იქვე,
რომ უეცრად, ვით ალალი,
სადმე ტყის ან მთების ყელში,
შემოიჭრა იმათ შუა
კაცი, „ტყავის ბოხჩით“ ხელში.
მყის მეკარის ხელი დაბლა
ჩამოცურდა თავის თავად,
გზა უტია მან ბოხჩიანს,
მიაძახა: „უკაცრავად!“..
კარიც თითონ გამოუღო
და შეუშვა კაბინეტში,
შემდეგ, კვლავ კარს აფარებულს,
გაარჩევდით ძნელად სვეტში!
სდგას სიკო და ზომავს თვალით:
ხან მეკარეს და ხან კარებს,
მათ ისეთი მცველი ყავთ, რომ
აქ ბუზსაც არ გაატარებს!..
სიკოც ერთი ბუზი არის,




თორემ, აი, მოდის კიდევ!
ეს ამ პორტფელს ვით-ღა ათრევს,
ამ მუცელის გადამკიდე?
— ვინ ბრძანდებით?— დირექ-
ტორი!
მყის გააღო მის წინ კარი,
ის შეუშვა და სიკოს წინ
ალიმართა, როგორც სარი!
თითქოს სიკოს არც კი ამჩნევს:
ვისი ტიკი და ტომარა?
თავის საქმეს, რომ ასრულებს,
სამსახურად ესეც კმარა!
პორტფელიდან დიდ-დიდ კაცებს
გარეგნულად უკვე ატყობს,
იმათ უშვებს და სიკოსთვის
სულ რუსულ ატკაზებს აცხობს!
მაგრამ მარტო დიდ-დიდ
კაცებს?,
აჰა, მოჰქრის მსგავსად შურთხის,
ამ პირ-საღებავიანებს
ქუჩაშიაც სიკო უფრთხის:
მეკარეს კი მისი მისვლა
ამ წუთს ისე გაეხარდა,
რომ გულს ელვა-ნაკრავივით
ორივ ხელით კარს მივარდა,

გამოუღო და, ვით ჩიტი,
შეუფრინა შიგნით გამგეს,




რითაც თავის სამსახური,
მოათავა — იცის—ამ დღეს!
რადგან, სანამ იქ ქალი ჰყავს,
ვის მიიღებს გამგე აწი?
შენც, მეკარევ, ქუდი — თავზე
და შინისკენ გასწი, გასწი!..
და სიკოს წინ აქეთ გაძვრა
ეს მეკარე, სალახანა,
ხოლო იქით კი ავტოთი
გამგემ ტურფა გააქანა...
მეორე დღეს მოდის სიკო,
კარს და მსახურს გაუსწორდა,
და რაც გუშინ, ის სურათი
თავიდანვე განმეორდა.
ისევ სდგას და ისევ ზომავს
იგი კარს და ამ მეკარეს,
რაოდენმა საათებმა
თუ დღეებმა გაიარეს..
არ ეღირსა გამგის ხილვა,
ნახოს:—რაა მაინც სახედ!
და კარებთან დარაჯივით
რომ სდგას იგი, ჩოდით, ნახეთ!..
მაგრამ დრო ხომ მარტო ერთს არ,
არვის სტოვებს გამოუხრავს:
მოდის სიკო ერთ დღეს და დროს
ის მეკარეც არ მოუკლავს!..
და გაჩერდა ჩვეულებრივ
ის კარებთან, როგორც იყო,
საქმისათვის იქ მისული,
მეკარეს ჰგავს ჩვენი სიკო!
და ერთხელ, დიდ ლოდინის
შემდეგ,
რაც იქ იდგა საცოდავი,
უცბათ კარი გამოიღო

და გამოჰყო გამგემ თავი.




და ეღირსა სიკოს ნახვა
ამდენი წლის სასურველის!
მხოლოდ იშტა აღარ იყო
სათხოვნელი საქმის, ძველის...
— აჰ, თქვენც აქ ხართ? ჰკითხავს
გამგე,
რა მეკარედ ის მიიღო,
ასე, შრომის ბირჟის გარედ,
აქ განწესდა ჩვენი სიკო!
აბა, ხომ არ წაიღებდა
გამგე უკან თავის ნათქვამს,
რა მეკარედ მან მიიღო,
უპრავდელიც „ფერატს“ ასვამს!



და ამ დღიდან ხომ ყოველ დღეს
სტკბება სიკოც გამგის ხედვით:
სწევს კარას ხელს, ჰკეტს თუ
აღებს,
კმაყოფილი თავის ხვედრით!..
ასეთია ზოგი ჭორი,
რომ გვეჩვევა, იჭამს ჟანსა,
იგი ერთი სჯობნის ხშირად
შეუჩვეველ ათას ლხინსა!..

ჰაზირა.

# ყურმოკრული



— უი, ქა, რა კარგი ვაჟი შვილი მოსწრებია ფეფიევაანთ ბაბალესა! უმისოდ მთელს დაწესებულებაში თურმე არცერთი საქმე არა კეთდება!..

— მერე და რა არისო ასეთი?

— „შიკრიკია“-ო, ქა!..

# „წისქვილობია“
## ანუ არჩილ ჯაჯანაშვილის გამომცემლობა „შრომა“-ში

დაახლოებით დილის რვა საათი იქნებოდა, როცა არჩილ ჯაჯანაშვილი უცბად თოფნაკრავივით წამოვარდა და შუბლზე ხელი იტკიცა.

— თეკლე! თეკლე ჰაი, თეკლე!

— რა იყო? რა მოხდა? ყველამ ერთხმად მიაყვირეს.

— ჩქარა ახალუხი, ჩოხა, წაღები, ჩქარა ჩქარა!.. მიაყარა სსაპა-სხუპით არჩილმა.

— რა იყო, კაცო, ჯერ რვა საათიც არ არის და შენ ხომ ათ საათზე ადრე არ მიდიხარ სამსახურში?

— მე დღეს სამსახურში სულ არ მივდივარ.

— რატომ?

— დღეს „შრომა“-ში ვარ დაბარებული.

არ გასულა ოცი წუთი, რომ თითქმის სამგზავროდ გამზადებულ არჩილს მეუღლე ახალუხის ღილებს უსკვნიდა.

— არა, ეს მითხარი, რა გინდა, რომ ამ „შრომა“-ში დადიხარ ყოველდღე. აგერ ექვსი თვე გავიდა, რაც შენი ნათარგმნი წიგნი გამოვიდა, და ჯერ ერთი გროში ჰონორარიც არ მიგიღია. უმჯობესია, დროს ნუ კარგამ, სულ დაანებე თავი.

— შენ დარდი ნუ გაქვს, ისე ავიღებ, რომ მზე მაღლა იქნება.

მეუღლემ ღილები შეუკრა. არჩილმა სასწრაფოდ ჩოხა გადაიცვა, ქუდი თავზე მოიგდო, პორტფელს ხელი დასტაცა და გაქანდა.

ტრამვაის ვაგონმა არჩილი ხელად მიიყვანა გამომცემლობა „შრომა“-ს ახლოს და გაჩერდა.

არჩილი გადმოხტა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა მაღაზიისკენ. შეაღო კარები, გაიარა ვიწრო ტოლანი და მიადგა ერთ ოთახს, რომლის კარებზე დიდი ასოებით ეწერა: „სავაჭრო საფინანსო ნაწილის უფროსი და საგამომცემლო განყოფილების გამგე“. ის იყო კარების შეღებას აპირებდა, რომ ვიღაცა ჩოხის კალთაში დაებღაუჭა.

— არ შეიძლება!

— რას მიჭარავ! რა არ შეიძლება?

— არ შეიძლება შესვლა.

— რატომ? თუ კი ამდენხანს თავისუფლად დავდიოდით, დღეს რა ამბავია?

— დღეს ყველანი ჩაფიქრებულები არიან.

— ვინ ყველანი?

— სამივე.

— ჩემთვის სულერთია— არჩილმა ჩოხის კალთა ხელიდან გამოჰგლიჯა და შევარდა ოთახში.

სამ მაგიდას მოსჯდომოდა სამი ვაჟკაცი, თავები ჩაეღუნათ, თვალები ოდნავ დაეხუჭათ და ასე იყვენ გარინდებულნი.

არჩილი ფეხაკრეფით წავიდა ერთი მაგიდისკენ, შორი ახლოს დადგა, მდაბლათ თავი დაუკრა და ტკბილი, მომხიბვლული ხმით მიესალმა:

— შალვას ჩემი გულწრფელი სალამი!

მის ტკბილ სალამზე შალვამ პოზაც კი არ შეიცვალა, ისე იყო გარინდებული.

არჩილი ცოტა შეფიქრიანდა, ჩაცუცქდა მაგიდის წინ და ქვეშიდან თვალებში შეხედა.

შალვას არ ეძინა. არჩილი წამოდგა, ყურებში თითები დაიცო და რაც ძალა და ღონეჰქონდა დასჭყივლა:

— შალვა! ჰაი შალვა! გამარჯობა.

შალვას ერთი კუნთიც არ შენძრევია, ოდნავ თავი მაღლა ასწია, სახეზე რაღაც ღიმილის მაგვარმა გაუთამაშა და თვალები არჩილის ახალუხის ერთ ღილზე შეაჩერა. არჩილს ახალუხის ერთი ღილი შეუსკვნელი დარჩენოდა.

მომენტი უაღრესად საბედისწერო იყო.

არჩილმა იგრძნო ეს მომენტი და საჩქაროდ დაიწყო:

— ამგხანაგო შალვა, ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, პურის ფული არა მაქვს, თქვენთან სიარულიც მეტი აღარ შემიძლიან, არაქათი გამომელია, მოიღე მოწყალება მომეცი რაც მერგება ჰონორარი. მეექვსე თვე უკვე გავიდა.

შალვას სახეზე ისევ რაღაც ღიმილისებურობამ გაითამაშა. მარჯვენა ყბას მარჯვენა ხელი გამოაცალა, საჩვენებელი თითი ასწია და მეორე მაგიდისკენ გაიშვირა. ხელი ისევ ყბას შეუყენა და წინანდელი პოზა მიიღო. არჩილი ხელად მიხვდა რაშიაც იყო საქმე. შალვამ საფინანსო -სავაჭრო განყოფილების უფროსზე აჩვენა, არჩილს იმედით გული აევსო. გაბედული ნაბიჯით შვარცის მაგიდას მიუახლოვდა.

— ამხანაგო, შვარც! გამარჯობათ— კიდევ უფრო მაღლა დაუყვირა.

ახალგაზრდა ფინანსისტი მეტის მეტ გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო, ორივე ყბებზე მაგრად მიერჭო ხელები, შუბლი ძალზე დანაოჭებოდა, ცხვირი ინდაურივით ჩამოეშვა, ხოლო თვალები ციფრებით აჭრელებულ ქაღალდს მიუგავდა.

— გამრჯობათ შვარც! ათრთოლებული ხმით გაუმეორა არჩილმა.

შვარცმა შეხედა.

— ამხანაგო შვარც! მე მერგება ფული. ვკვდები! მიშველეთ რამე.

# ზოგი სტუდენტი და ზოგის სახლის პატრონი




აი, ეს „ოთახი“ მაინც დამითმეთ!..

— ჰო, რატომაც არა, შეიძლება, მხოლოდ ერთი უხერხულობაა: არ ვიცი, ყურშა სად-ღა უნდა მოვათავსო?!.

## უსტარი ტარტაროზს

(ს. ახალდაბიდან)

სასოფლო თეატრს ამშვენებს,
მგალობლიშვილის გვარია,
მოსვლისთანავე ვანიჩკამ
მთელი თეატრი არია.
სცენაზე დედას აგინებს
თეატრის თანამშრომლებსა,
ასეთს რა უნდა სცენაზე,
კულტურის მართლაც მგმობელსა?
წარმოდგენებს სდგამს, თავისთვის,
სხვა მას ფეხებზე ჰკიდია...
გამოიღვიძე, კულტკომო,
თვალზე ნუ გაკრავს ბინდია!
პატარა ახალდაბაში,
იცით, რომ სამკითხველოა,
შიგ იმართება ქეიფი
და დიდი სადღეგრძელოა.
პატრონი არვინ არა ჰყავს.
ფანჯრები ჩაუსმელია,
ერთი კვირის შემდეგ სდგება
გაზეთი დღევანდელია.
სოფელში დანავარდობენ
ჩარჩები, ორივ ძმებია,
წირაძენია გვარადა,
გლეხები მათი ყმებია.
ათროზენ ღვინით ძალზედა,
შემდეგ აძრობენ ტყავსაო,
კაპიკს არ დაუტოვებენ,
ამოუგდებენ სახლსაო.
მათი ალაგმვა აქედგან
ელმასკომს ევალებაო,
აწ კმარა, ზემოთ რაცა ვსთქვი,
კვლავ ხსვას დაუწყოთ ქებაო!..

ტარკორი.

---

— ერასტო გამარჯობა! ისევ შესძახა არჩილმა.

ერასტომ თითქოს გაიღიმა.

— მმმმმ.., გაისმა რაღაც უცნაური ხმა და, თავის დაკვრის მაგიერ, ერასტომ თვალის ქუთუთოები ჩამოაქანა.

— ერასტო! ძველო მეგობარო! მოიგონე პურ-მარილი, გამომიყვანე გაჭირვებიდან. მომეცი, რაც მერგება, ჰონორარი.

— მმმმმ... ისევ გაისმა ეს უცნარი ხმა.

არჩილი ბრაზმა შეიპყრო. გაბედულად მარჯვენა მკლავში ხელი ჩასჭიდა და ძალუმად შეაჯღრია.

— კაცო, მითხარი რამე, მაძლევ ფულს თუ არა?

ერასტომ მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა და თითი შალვას მაგიდისკენ გაიშვირა. ქუდი ისევ ჩამოსწია და განაგრძო ფშვინვა. ეს მეტის მეტი იყო. არჩილი აენთო.

— ეს რა „წისქვილობიაა“? მაგ ოჯახ ამოსაგდებთან ვიყავი, ძლივს გონს მოვიყვანე და თითით შვარცზე მაჩვენა, შვარცმა —შენზე, შენ— შალვაზე. რა ამბავია ეს? გამაგებინეთ მაინც. მაძლევთ ჩემს ჰონორარს თუ არა?

— მმმმმ... გაისმა ქუდის ქვეშიდან.

არჩილი გადახტა, ეცა შალვას და ძალადა თავი აუწია.

— ფული! ფული, მოიტათ ჩემი ჰონორარი!— დასჭყივლა მან.

შალვამ თითი ისევ შვარცისკენ გაიშვირა.

არჩილი შვარცისკენ გადახტა ,ისე ეძგერა, რომ სკამიდან გადააგდო, სკამი წაიქცა ერასტოს ზურგს დაეტაკა, ერასტომ შუბლით ქუდი ასწია, მიიხედ- მოიხედა და ისევ ჩამოსწია).

— ფული! ჰონორარი! მომეცი, თორემ.., დასჭყივლა ზემოდან შვარცს არჩილმა და ორივე მუშტები მოამზადა.

შვარცს შეეშინდა აკანკალებული ხელით ერასტოზე უჩვენა.

არჩილი მზად იყო გაგიჟებულიყო. სასოწარკვეთილი თვალები ოთახს მოავლო და კარებში მთავარ ბუჰღალტერს, სარიდანს, მოჰკრა თვალი.

— სარიდან, თქვენი ჭირიმე, მიშველეთ რამე, ამ ხალხს ვერაფერი შევასმინე, დამეხმარე ამაღებინე როგორმე ფული.

სარიდანმა ეშმაკურად გაიღიმა.

— დღეს ფიქრობენ. ფულს კი ვერ მიიღებთ, თუ ერთ ერთმა მათგანმა განკარგულება არ გასცა.

— რა იხრობას ფიქრობენ? რა აქვთ ამდენი საფიქრალი.

— კვირაში ექვს დღეს ასე ფიქრობენ, მეშვიდე დღეს კი უკვე ისვენებენ.

— მაშ, რა ვქნა? მე უფულოდ წასვლა არ შემიძლია.

— მე შემიძლია ჩემის პასუხისმგებლობით დღეს მხოლოდ ხუთი შაური გამოგიწეროთ.

— რაო? ხუთი შაური? მასხარად მიგდებთ თუ რა არის? სამასი მანეთი მერგება და ხუთი შაური უნდა ავიღო?

— დღეს —ხუთი შაური, ხვალ—ათი, ზეგ—მანეთი და ასე თქვენ სამას მანეთს გაინაღდებთ. დარწმუნებული იყავით, ერთად აღებას ვერ ეღირსებით, ჩვენ პრინციპის ხალხი ვართ. ჰა, გნებავთ, ხუთი შაური გამოვსწეროთ?!

არჩილი ადგილიდან მოწყდა, გზაში სარი-დანიც კი ვერ შეამჩნია, ეძგერა, წააქცია, გადახტა და ქუჩაში გავარდა.

ალმასხან.

# იქ, სადაც ჩა



— აბა, ერთ წამს ეს ჩადრები ჩამოიხსენით, ჩემო ჩიტუნებო, გნახოთ მაინც, ვისთან მქონია საქმე ამდენი ხანია!..

# ექიმთან

(შორაპნის თემისათვის)

ექიმი: — მობრძანდით, რაიყო? რა მოუვიდა ამ ქალს?

ქმარი: — საუბედუროთ, პოლიკარპე სარალიძე დავპატიჟე და მაუზრის სროლისაგან შემიშინა. იქნება რამე მიშველო, შენი ჭირიმე, ექიმო..

ექიმი: — შენ რაღა მოგივიდა, კაცო, რავა დაგრეხილხარ?

— ავადმყოფი:—სოფელ ვარძიაში მიქაიშვილმა დამპატიჟა, იქ დამიხდა ვიღაც პოლიკარპე სარალიძე, იმდენი მირტყა, რომ გვერდეები ახლაც მტკივა.. ვაი.. ვაი... მიშველე, შენი ჭირიმე, ექიმო!..

ექიმი:—რამბავია, მოქალაქე, შენ რა დაგმართია? უკაცრავათ, თქვენი გვარი დამავიწყდა (ექიმი მიმართავს ავადმყოფს).

ავადმყოფი:—მე გახლავართ, ბატონო ექიმო, შორაპნის საყუდის მემანქანე: ტ. ვარდოსანიძე, ჩემი საქმისათვის შევედი შოროპნის სასადილოში ონისიმესთან, იქ ვიღაც პოლიკარპე სარალიძე ქეიფობდა, მოუარა ხოშმა და მესროლა ბოთლი, მომხდა ყურის ძირში და ეს არის, რასაც ხედავთ დასისხლიანებულს. ჩქარა მიშველე, ექიმო, თორემ დევიწურე სისხლისაგან!..

ექიმი:—მობრძანდით. რამბავია ამდენი თავგატეხილი ხალხი? რა იყო? რა დაგემართა, ბიქტორ?

ავადმყოფი (ბოქტორ):—ბატონო, ექიმო, თქვენ კარგათ იცნობთ ჩემს ძმას, პოლიკარპე სარალიძეს. წუხელის ჩემმა მეზობელმა ქათამაძემ დამპატიჟა, მეც გადავედი და ტკბილ მუსაიფში ვიყავით გაპართული. ღამის რვა საათი იქნებოდა, რომ შამოვარდა ყაჩაღივით ჩემი ძმა პოლიკარპე, წაავლო ტაბურეტკას ხელი და მესროლა. შემდეგ ეს არის, რაც მხედავთ, დასისხლიანებულს. მიშველე, შენი ჭირიმე, ექიმო, თორემ ვკვდები კაცი, სისხლისაგან ვიწურები და დემელუპება ჩემი ნაშრომი ოჯახი (ტანსაცმელი მთლად სისხლისაგან არის გასვრილი).

ექიმი:—ამდენ უბედურებას ახდენს ეს ერთი კაცი და რას უყურებს ალმასკომი?

ავადმყოფები:(ერთხმად):— ჯერ ერთი, ის, რომ საქმე აქვს თუ არა, ჩვენი ალმასკომი ყოველდღე ზესტაფონში დადის. მეორე —ის, რომ მას არასფერი არ ტკივა და თავისუფლად გრძნობს თავს. მესამე—ის, რომ, როგორც მოგეხსენებათ ახალგაზრდა კაცია და თემის ბებია-ქალს ყოველ ცისმარე დღე ლექციას უკითხავს, სოფლებში არ გზავნის და ერთი - მეორეს ართობენო..

ჩვენ კი, ბატონო ექიმო, ზოგს მუშტებით, ზოგს მაუზრით, ზოგს კი ბოთლის დარტყმით და ჩხუბით გვართობს შოროპნის თემის ყოჩი, პოლიკარპე სარალიძე.

პიმპილა.

# სცენა ჩიბათის ალმასკომში

(სცენა წარმოადგენს ჩიბათის თემალმასკომის კაბინეტს, შიგ ზის ალმასკომის თავმჯდომარე, მდივანი სადღაც წასულა. კაბინეტის გვერდზე, მეორე ოთახში, ფოსტაა მოთავსებული. იქ გლეხები ელოდებიან ფოსტალიონს. ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტის ფანჯრები ღიაა. მზიანი დარია).

ილიკო:—რა მზიანი დარებია! პირდაპირ ჩემი ნადია ასეთი ამინდები! მთლად გამოხმა დედა მიწის გული

# დრს ატარებენ



— ვიცი, ვიცი!.. საჭირო ალარ არის.. ისევ ჩამოიყარეთ!..

გვალვით. გზები გახიკინებულია. ღმერთი მწყალობს და არ აწვიმებს, თვარა ჩიბათის გზებზე ნავი იქნებოდა საჭირო. ნუ გეშინია, გზების შეკეთებაზე თავი არ შემიწუხებია. ნეტავ, სულ არ გაწვიმდებოდეს მიდღეშჩი! ქე ვიქნები მოსვენებული!.

მარა „გომახურის ღელე"-ზე რომ ხიდია დაპტყალული და გამელელ-გამოვლელი ზედ კისერს რომ იტეხს, იგი თუ არ შევაკეთე,—საშველი და სახიდებელი არაა! რამდენი ხანია იძახიან გლეხები: „ხიდი შეაკეთეთო" და არაფერ ყურადღებას არ ვაქცევ. კაი, თუ გინდა, გლეხებს ბუზა-დაც ნუ ჩააგდებ, მარა გლეხკორებია, თუ რაცხა ჩემი ფეხები, იგენმა გააჭირეს საქმე! ასი გზობა დასწერეს „მუშა"-ში:—„შეაკეთეთ და შეაკეთეთ ხიდიო". სხვას არაფერს არ ვაკეთებ და აი ხიდი თუ არ შევაკეთე, კიდევ დასწერენ და ამდენი გაზეთში წერით ვინცხა ფეხს წამაკვრიებს. ისე, მე მგონია, ფარცაკი რამე არაა ჩემ თავზე. რაამბავია ჩიბათზე ამდენი წერა. გადაშლი „ტარტაროზს" — ჩიბათი, გადმოშლი—ჩიბათი. ახლა გაზეთებს არ იკითხავ? „მუშა"-მ და „ახალ-სოფელმა" ამომილო ნელში! გადაშლი—ჩიბათი, გადმოშლი—ჩიბათი. ვინცხაა იგი „მიშა ჩიბათელი", იმან მომსპო კაცი! „სხანკალამ" მთლად მომწამლა მისი ენით! მაგენის შიშით ეკვდები კაცი! ბიჭი ხარ და ნუ შეგეშინება, არ ვიცი მაგენის ამბავი? ალექსაი რომ იყო უწინ აქ თავმჯდომარედ და კანცელარია რომ გაყიდა და ფული „ჩაბწია", თემი რომ დააქცია და უნდოდა ტყემლის კაკალსავით შერჩენოდა ყველაფერი,—ხომ გამოჭიმეს „ტარტაროზ"-ში! ამის გამო ისეთი პანჩური ამოკრეს ალექსანდრიდან, რომ თხინარში მოადენიეს ლეწა. კიდევ რამდენი ასეთი მაგალითი გინდა მოვთვალო!

ამიტომაა, რომ მაკანკალებს გლეხკორების შიშით. მეშინია, მეც ალექსაივით არ დამემართოს. მოიტანს თუ არა ფოსტა გაზეთებს, გულის ფანცქალით მივირბენ და გადავათვალიერებ კორესპონდენციებს. თუ ჩიბათი არ ვნახე დაწერილი,—გული დამიმშვიდდება. იმ ღამეს ტკბილად მძინავს. თუ ჩიბათია გამოჭიმული, — მუხლები მეჭრება, თვალები მიბნელდება და იქვე ვიკეცები. წუხელის მაინც ნამეტარი ცუდი სიზმარი ვნახე...

**ხმები ფოსტაში**:—გიორგი მოვიდა, ფოსტა მოვიდა! გიორგი, ჩემი წერილია? გიორგი, ჩემი ფულია? გიორგი, მასწავლებლების ფულია?

**გიორგი**:—მაცალეთ, კაცო, ტომრის გახსნა და ყველაფერს გეტყვით! რავა ბუზებივით მესევით? დაიწით უკან!...

**ილიკო** (კაბინეტიდან):—გიორგი, გაზეთები მიმიტანე, თუ ძმა ხარ! (პატარა ხანს მერე გიორგის მოაქვს გაზეთები)—გიორგი, შენ „ახალ-სოფელს" გადახედე, ჩიბათზე არ იყოს რამე და მე „ტარტაროზს" ვნახავ. (ათვალიერებს).

**გიორგი** (წამოიყვირებს):—ა, ბიჭო, ჩიბათი!!

**ილიკო** (აკანკალებული):— სად, კაცო, სადა, მაჩვენე!

**გიორგი**:—ა, კაცო, აგერ! (უთითებს გიორგი და კითხულობს „ახალ სოფელს" № 1163-ს, სადაც გლეხკორი წერს, რომ „ჩიბათის თემის აღმასკ. თავმჯდომარე, ილიკო ჯორბენაძე არაფერს არ აკეთებს, გლეხებს ტუქსავს, ქორწილებში დადის და ქეიფობს და სხვ. გიორგი ათავებს კითხვას).

**ილიკო** (ლონემიხდილი):—ა, წუხანდელი ჩემი სიზმარი! რა მეშველება, დავიღუპე კაცი!

**გიორგი**:—გულს ნუ გაიტეხ, სასამართლოში უჩივლე ავტორს.

**ილიკო**:—უჩივლე, რავა ტყუილი სწერია თუ? ყველა ხედავს, რასაც ვაკეთებ! (ამ დროს კაბინეტში მოდიან გლეხები და დიალოგიც წყდება. გიორგი ფოსტაში გამოდის).

მ. ჩიბათელი.

# წმინდა სამება ანუ გოლგოთის მთა

(სადგ.-ფოთი)

სადგურ ფოთში 1—3 კლასის ბუფეტების მოიჯარადრეთ ითვლება იაგორ კილურაძე, ხოლო მას ქვემოიჯარადრეთ აყვანილი ყავს მიტროფანე ბასილია; ამ უკანასკნელსაც ყავს თავისი ქვემოიჯარადრე—ვალერიანე გაგუა, რომელსაც განზრახული აქვს იყოლიოს კიდევ თავისი ქვემოიჯარადრე. ასე რომ სადგ. ფოთში ქვემოიჯარადრეების შტატი მალე ომამდე არსებულ დონემდე გაიზრდება, თუ დროზე არ მოუსწრო მთელმა 300 პროცენტიანმა შემოკლებამ.

# ფოტოგრაფთან



— აბა ცოტა წინ!.. აი, აი, აი, ნელა, ნელა, თუ ღმერთი გრწამდეს, აპარატი არ გადმომიბრუნო!..

## ჩოხატაურისათვის

საკვირველია დარბაზი
ჩვენი სახალხო „სუდისა"!..
შიგ უამრავი ძაღლების
მარად ჟამს ქნევა კუდისა!..
მწკრივებში სიბინძურისა,
ყოშკებად დანაყუდისა,
რად ვერ გრძნობს, მიკვირს კოლეგია
სუნი რომ გლახა უდისა?!.
აშენდა სოსოს ოჯახი,
ვაჟი რომაა „ვექილი",
ზრდილობიანი.... მოყვასი..
„ნაკლებად" გამოჭექილი!
მიმინოს „ეჟვნის" წკარუნთან,
სხვასაც კი აქვს ჩვენზე ამაგი,
მოგვიწყო სასამართლოში
ძაღლების ფეხისალაგი!!

წაველი.

## ტყიბულისათვის

ენის მიმტან-მომტანის
გაიძვერა მელა-კუდა
ჯერ ჯერობით ძველმა ცოდვამ,
ვერ უწია ვერ გაგუდა!
უფროსებთან თაღლითია
დღეს ერთს აქეზებს,
ხვალ მეორეს—საქმეს მოიმასქნებს
ეფარება ლობე-ყორეს
პირში ყველა ეღიმება,
და პირსუკან უთხრის საფლავს,
დღეს თუ ხვალე გამხილდება
თავის ცოდვა თვითვე ჩაფლავს,
მაშინ ნახოს თუ კარგია
უფროსების ტყვილით ჰკვება
და სხვის უბედურებაზე
თავის ბედის აჰყვავება!

მუშა-ბაქურა.

## წერილი ტარტაროზს

(კასპიდან)

ჯერ სადგურიდან შემოვყვეთ
და გადავხედოთ ხეჩოსა,
მშრომელ ხალხისგან შეძენილს
სახლში რომ ბერტყავს ქეჩოსა,
შემდეგ კი კოოპერატივს
და მისსა ნოქარს, ნიკუშას.
ავხედ-დავხედოთ გვერდებზე
ვითომ ამით რა უშავს??
და ვუთხრათ უმფროს ნოქარსა:
„ღვინოს ბევრს ნუ სვამს ვაჭრებთან!..
რომ გავუწყვიტოთ კავშირი,
მოხეტიალე ჩარჩებთან.
ავყვეთ გზადა გზა სოფელსა,
გავეცნოთ კასპის ქუჩებსა,
მტვერი და ვაი-ვაგლახი
კაცს ხეცით აღარ უშვებსა,
რა არის მის მიზეზი,
რომ გვადგას ბნელი შუქია?
აღმასკომს ეხლა შევკადრებ:
— გეყოფა ბაქი-ბუქია!
აიღე და გააკეთე,
ხომ იცი, შენი ვალია,
გეყოფა, რაც რომ იარე
ქუჩებში მუდამ მთვრალია!
ფოსტალიონსაც მივადგეთ
და სიტყვა ვკადროთ ასეთი:
— სამკითხველოში არ ვნახოთ
დაგვიანებით გაზეთი!
დრამ-წრის ხელმძღვანელს მივმართავ,
გამოიღვიძოს, დრო არი,
და აამღეროს სცენაი,
მეტად ზარმაცი ნუ არი!
მის თანაშემწე კოლიას, —
საქმე, „რეჟისორ", შენია!
„კონტრამარკებსა" ნუ აძლევს
თავის ბიძაშვილ ქენიას!..

მეკარე.

## 3-ე საგრენაჟო სადგური

(ქუთაისი)

ლაბარატორიაში
ივერიკო მსახურობს,
ტარტაროზი, ალბათ, მას
მალე მოინახულებს.
ტარტაროზმა ამგვარი
ხალხი ბევრი გაქაჩა;
აქვე მასთან მსახურობს
ცოლი მისი „ხაფაჩა"!
და რაკი აქ სეზონის
დასაწყისი მოვიდა,
ივერიკო, ხაფაჩა,
ივერიკოს ცოლისდა,
მათ სამთავეს მიეცა
დაჩქარებით ადგილი,
რაც რომ იყო დიდი ხნის
მათი გულის წადილი!
ივერიკომ ამითი
მიაღწია მიზანს,
მალე, ალბათ, ბებიას,
მამიდას და ბიძასა,
მოაწყობენ აქ სადმე,
იცხოვრებენ ძმურათა,
რაშიაც ხელს მოუწყობს
გამგეც „ძმა-ბიჭურათა"!..

შაკო.

## აგროლაურის ბურჯს

გზები ერთობ დანგრეული
ზედ ფრთოსანი მხოლოდ ფრინავს..
და სიზმრებში გადასული
გზის სექციას ტკბილად სძინავს.
აღმასკომო, აგვიხსენი
რათ ჩაგვყარეთ ასეთ დღეში?
სექციები თუ არ ვარგა,
შენ აიღე საქმე ხელში!..

აკ—ლი.

## ძირულა

(შორაპნის მაზრა)

თემსაბჭოდან წამოვიწყებ,
სიტყვას ვკადრებ ამბერკისო:
— მითხარ, რატომ არ აკეთებ
იმ ჩქერმლაზე ხიდსო?
შარა-გზებზე არა ზრუნავ,
ბიჭი ხარ აღმასკომისო,
ქეიფს და კამპანიებში
შუშანაც ვერ შეგედრისო.
მეტი ლაპარაკი შენთან,
ვიცი, აწ კი აღარ ღირსო,
საბჭოს გადარჩევას ველი,
მოვიმარგალიტებ პირსო!
შემდეგ კოოპერატივსაც,
არ დავტოვებ გულნაკლულსო,
მუშის ოფლით ნაზარდია,
ძლივს რომ ლაფავს ახლა სულსო.
შიგ შევალ და სიტყვას ვეტყვი,
მხარს რომ დავკრავ გამგეს ხელსო
„ნავთ-მარილის მიჯნური ვარ,
ვერსად ვამჩნევ საყვარელსო!".
ნაცვლად, ნოქარს დახლზე ვხედავ
ქალთან ყელ-მოღერებულსო.
ხი ხი-ხი-ხი-ხი,... ხა-ხა-ხა-ხა
იცინის და ირთობს გულსო.
მეკიდება ცეცხლი ტანზე,
ველარა ვსძრავ პირში სულსო,
დარცხვენილი გამოვდივარ:
ვაჭარს ვაძლევ „სპიჩქის" ფულსო!

ძირულელი თალ.

# ჩიტი გალიაში
## ანუ
## მგზავრი ბარჯისხევის ბაქანზე




ბიჭი ხარ და გადმოგრძანდი
ბარჯის ხევის ბაქანზედა,
რომ არ გასცე „ხალხს“ პასუხი
ამ უამრავ „საგანზედა!“..

## სპეცი მიხო

ვისაც გინდათ, „სპეცი“ გახდეთ,
მოდით, ნახეთ მიხო „სპეცი“,
ის ისეთი ვინმე არის,
არც კაცია და არც მხეცი!!.
ტანადობით დაბალია,
მოქმედებით — ყველაფერი...
ხან ბრძენია, გენიოსი...
ხან გიჟია და ხან—მტერი!!
მას ვერავინ შეედრება,
(სპეცობაც ხომ ამას ჰქვია!)
ისე დახტის, ისე ხტუნავს,
როგორც ხიდან-ხეზე ტრია.
თუ რაიმე შეეკითხე,
ვაი შენი ცოდვის ბრალი!..
კარი ღია უნდა იყოს,
რომ გახვიდე შიგ ცოცხალი.
თვალებს ისე მოგანათებს
და ჩოგაყრის ისეთ სიტყვებს,
თუ ბოლიშით არ გასცილდი,
არ დაგინდობ, მუშტებს მიგცხებს.
ასეთია „სპეცი“ მიხო,
ამგვარ „სპეცათ“ თავს რომ სახავს,
მიხოს მხოლოდ ის გაიცნობს,
ვინც საქონლის სადგურს ნახავს!..

პოპო.

# ჩვენი ფოსტა

### „დომეცემი ნემსა“-ს

ტარტაროზ-ჯან, ძლვნად მიიღე
ეს პატარა ჩემი ლექსი,
შემდგომისთვის მოგაწოდო,
გეფიცები, წყვილად ექვსი“-ო გვწერთ.

გაფიცებთ ნემსს, არცერთი წყვილი არ გამოგვიგზავნოთ. ხოლო თუ ნემსი არ გეფიცებათ, მაშინ ისევ მახათი მაინც აიღეთ ხელში; ასეთი ლექსის წერას ისევ მახათის ისე სჯობია...

### ოზურგეთელ შინკას

ცომაიას დუქანზე ერთხელ უკვე დავსწერეთ, მეტად კი არა ღირს, მიუხედავათ იმისა, რომ თანახმად თქვენი თქმისა:

„აქეთ ნარდი, იქით ღვინო,
უკან კარტის თამაშია,
ვაჭრობაზე მეტი ფულის
მოსავებიც ამაშია!“..

### სამტრ-გალ-ჯან-ს

თქვენს „აღსარებას“ ტარტაროზმა ასეთი რეზოლიუცია წააწერა:

„ჯან-გალ-სამტრ“,
რაც ნიშნავს:
ჯანდაბის გალავანს სამტრედიამდე!

### ხაშურელ ფარსადან-ს

როგორც ხედავთ: არსად არის!..

### ვ. ბელაგორელს

მივიღეთ თქვენი „რეცეპტი“!
„ერთ მშვენიერ დღეს
როს მუზა თავში,—
ამიტრიალდა როგორათაც ალი
მაშინვე ვინატრე მე ეს „ჟურნალი“
და ამ რითმები სილამაზე მთელი ლექსისა
განიბნა როგორც „ისლარის ქარიო“-ო.

ჰაი, ჰაი, რომ სულ არ განბნეულა და ცოტა ჩვენც კი გვწვდა ამ სიშორეზე!..

### შაკო-ს

საყვედური ნაადრევია, ყველა თქვენი წერილები დასაბეჭდათ განმზადილია და რიგ-რიგზე დაიბეჭდება. ჰონორარს მიიღებთ.

### მარანტლელს

„ვასკამ“ თუ კოოპერატივის ფულები ქალებში შეჭამა, რევიზიას სამაგიეროც მიუზღავს მისთვის. თქვენი იუმორი რაღას ერჩება?

### ვერელ ანგალა-ს

თქვენს იუმორში თქვენვე სწერთ ასე:
„თუმცა ასეთი ამბავი
აბა, რა მოსაწონია“-ო.
ტარტაროზი სავსებით დაგეთანხმათ თქვენ.

### გახჩო-ს

თქვენ თუ დაიჟინებთ და იტყვით, რომ მიხაკოსა და ვასის კონფლიქტი „სესხის ბრალიო“, ჩვენ ამაზე მოგახსენებთ, რომ მიხაკო კარგი ვაჟი, ხოლო ვასასი კარგი ქალია, რადგან მიხაკოს თავი გრაფინით აგუტეხა.

ახლა იმას თუ იკითხავ: იუმორი სადღააო, ჩემო ბახჩო! იმ გრაფინში წყალი იყო, იუმორიც მან დაახრჩო!

# „ყანწიყლაპეს" ანგარიში



— აი, ნამდვილი თანამედროვე ლირიკა!..

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ.

კვირა 7 ოქტომბერი 1928 წ. № 173 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## „კუდა ხარი"

„გრიგოლ ლორთქიფანიძე ასეთ რეცეპტს გვაძლევს:—საჭიროა ა. კ. ფედერაციის გაუქმება და საბჭოთა კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლა, „აქედან გამომდინარე შედეგებით". ეს იმას გულისხმობს, რომ ა. კ. ფედერაცია საჭირო არ არის, ყველა თავათავის სახლში უნდა წავიდ-წამოვიდეს,—საქართველო კი საბჭოთა კავშირში შევიდეს, „აქედან გამომდინარე შედეგებით" მხოლოდ ამ შემთხვევაში აღგვითქვამს მოქ. ლორთქიფანიძე დახმარებას. ჩვენ ამის საპასუხოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მოქ. ლორთქიფანიძის დახმარებაზე უარს ვამბობთ, იგი სრულიად არ გვესაჭიროება, ხოლო ამისა პირებს მოშორებით დავიჭერთ.

ამხ: მ. კახიანის სიტყვიდან ს. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ პლენუმზე.



კუდა ხარი: — შენ, ეი, ვინცა ხარ, აქეთ მოიწი და ბუზებს მოგიგერიებ!

სპილო: — სწორედ შენზე ყოფილა თქმული: „კუდა ხარი ბუზებს სხვებს უგერიებდაო"...

# ვარდენ ღვანკითელი

„კაცმა ჭირი მალა, მარა ჭირმა თავი არ დამალა"-ო, ამბობს ხალხური სიბრძნე.

არც ვარდენ ღვანკითელმა დამალა თავი, თუმცა ჩვენ დიდხანს ვმალეთ ქვევით მოყვანილი მასალები და არ გვინდოდა მათი დაბეჭდვა, რა თქმა უნდა, ისევ ავტორის ინტერესებისათვის.

მაგრამ, სჩანს, რომ ჩვენ უბედურ ვასკვლავზე ვყოფილვართ დაბადებული და ამ ჩვენი უბედურობით სარგებლობს ახლა ბედნიერი ვარდენ ღვანკითელი.

რით არის ბედნიერი ვარდენ ღვანკითელი?

იმითი, რომ სოფელ ღვანკითიდან არის?

აბა, იმითი, რომ მისი სახელი „ვარდენია", რომელიც ბურტყლიანად „შავარდენის" უდიდეს ნახევარს შეადგენს, ხოლო ბურტყლს თუ მოვაშორებთ, შავარდენსაც გადააჭარბებს?!

სრულიადაც არა.

ვარდენ ღვანკითელი ბედნიერია სიდიდით, დიახ, სიდიდით!..

რა არის სიდიდე?

სიდიდეს ჯერ-ჯერობით სამი განზომილება ახასიათებს: სიგრძე, განი და სიმაღლე (წონა და სხვა ასეთები ანგარიშში მისაღები არ არის).

მაგალითად, ყველაზე უგრძესი მდინარე დედამიწის ზურგზე არის მდ. ამაზონკა.

არის თუ არა ვარდენ ღვანკითელი ამ მდინარეზე უგრძესი?

არის! და თუ გნებავთ ამაში დარწმუნდეთ, გაიყვანეთ ის სამხრეთ ამერიკაში, მიიყვანეთ მდინარე ამაზონკის სათავესთან და წამოაწვინეთ ისე, რომ ფეხები მდინარის სათავეს მიაწყოს, ხოლო თავი ჰქნას წყლის მდინარების წინააღმდეგი მიმართულებით.

ამრიგათ, თუ მდინარისა და ვარდენ ღვანკითელის სიგრძეს აიღებთ, ერთად იგი უეჭველად მდ. ამაზონკის სიგრძეზე მეტი აღმოჩნდება.

მაგრამ დამტკიცება შეიძლება სამხრეთ ამერიკაში გაუსვლელადაც.

„ამაზონკას" ეძახიან ქალის ერთგვარ წელქვევით ჩასაცმელს, რომელსაც ცხენზე ჯდომის დროს ხმარობენ ხოლმე.

დააზომეთ ახლა ვარდენ ღვანკითელი რომელი ქალის „ამაზონკასაც" გნებავდეთ და მე წინდაწინ ვიძლევი პატიოსან სიტყვას, რომ ვარდენი ყველა „ამაზონკაზე" უგრძესი აღმოჩნდება.

ვითიცობაა მოხდეს, რაიმე მოულოდნელობის გამო, თუნდაც ერთად ერთი გამონაკლისი. მაშინ გააფინეთ „ამაზონკა" მიწაზე (შეიძლება იატაკზეც ან კიდევ ქვისა გინდ ცემენტის ფილაქანზედ) და მოიქეცით ისე, როგორც მოიქცეოდით მდინარე ამაზონკის სათავეში.

უდავოა, რომ ამის შემდეგ მაინც იფანტება ყოველგვარი ეჭვი ვარდენ ღვანკითელის სიგრძითი უაღრესობაში.

აიღეთ ახლა განი. ყველაზე დიდი განი ჩვენს დედამიწას ეკვატორზე აქვსო, ამბობენ, რომელიც გლობუსზე ხაზის ან სარტყლის სახედ არის ხოლმე გადატარებული.

ეხლა, რომ აიღოთ სარტყელი, შემოუჭიროთ იგი ამ ხაზზე დედამიწას, შემდეგ ეკვატორზე პერპენდიკულიარულად, ე. ი. თავით და ფეხებით პოლიუსებისაკენ წამოაწვინოთ ვარდენ ღვანკითელი, მარტო დედამიწის სარტყელი ახლა მასა და დედამიწას წელზე არას გზით აღარ შემოსწვდება.

მაგრამ ეს ცოტაა.

ყველაზე მაღალი ადგილი დედამიწაზე ევერესტია, კავკასიაში კი— იალბუზი. ჰო და გზის სიმოკლისათვის, ვარდენ ღვანკითელი რომ იალბუზის ზე კაკალ წვერზე დასვათ, თუნდაც იგი იქიდან ბუზის ოდენადაც კი არ მოსჩანდეს, იგი მაინც იალბუსზე უმაღლესი აღმოჩნდება.

ამბობენ: „ჭიაყელა გველს წაეზმანა, გაიწია და გაწყდა"-ო.

ვარდენ ღვინკითელი წელში გაწყვეტას სრულიადაც არა ფიქრობს. მაგალითად: აკაკი წერეთელის იუბილეზე ვარდენმა შემდეგი შესანიშნავი ლექსით მიმართა მგოსანს:

> შენ პოეტი აკაკი ხარ,
> მე— პოეტი ვარდენიო,
> შენ, მგოსანო, არწივი ხარ,
> და მე კი—შევარდენიო!"..

აქ პოეტის პირით, რა თქმა უნდა, ჯერ--ქართული და შემდეგ —პოეტური კდემამოსილება მეტყველებდა, თორემ, ვინც კი ამ წუთს საქართველოს ეს ორი „მნათობი" ერთად იხილა, განსაკუთრებით— ქალები, ყველანი, ერთხმად გაიძახოდენ: „ამ ორში შევარდნათ ისევ აკაკი თუა ჩასათვლელი, თორემ ეს, ვიღაცაა,— მთელი ორბია"-ო.

და ჩვენ ტყუილად კი არ მოგვიყვანია ზევით ის „წაზომების მეთოდი". ეს ცნობილი მეთოდი ვარდენ ღვანკითელის მეთოდი გახლავთ. მან ყოველთვის მოხდენილად იცის ხოლმე შესაფერ შემთხვევაში ამა თუ იმ დიდ მოვლენასა გინდ პიროვნებაზე თავისი თავის „წაზომება".

საინტერესოა, რომ ამ მხრით ვერც ერთი ისეთი გიგანტი გადაურჩა ვარდენ ღვანკითელის კლანჭს, როგორიც არის მაქსიმ გორკი.

ამის შესახებ თვითონ ვარდენი თავისი საკუთარი ხელით შემდეგს გვწერს:

„დიდებული მწერლის, მაქსიმ გორკის ქ. თბილისში შემოსვლისას ამა წლის 23 ივლისს სადგურ ნავთლუღში მიეგება მას ხელში ძვირფასი თაიგულით ვარდენ ყიფიანი, იგივე ღვანკითელი ფსევდონიმით,და მიმართა შემდეგი სიტყვებით". (სიტყვები საინტერესოა, მაგრამ, ვინაიდან ამ სიტყვების მიზეზით მაქსიმ გორკის მიერ დაღვრილი ცრემლი ჟინამუსო მზემ თურმე იმავე დღეს შეაშრო დედამიწას, ხოლო თვით სიტყვის შინაარსი, მიუხედავათ რუსულად დაწერილ ტექსტის ჩვენი რედაქციის კალათში დაცვისა, მაინც ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ, აქ აღარ ვათავსებთ).

რაიცა შეეხება „სიტყვის" შემდეგ პოეტის მიერ ექსპრომტად წარმოთქმულ ლექსს, ამას კი ველარ დავუმალავთ შთამომავლობას ისე, რომ მისი ბოლო ანუ კუდი მაინც არ ვახჭედროთ:

> „გაიხარეთ, რომ ისე კარგათ
> თქვენ გაიტანეთ მწერლობის ღელო,
> რომ არასოდეს არ დაგივიწყებს
> არც სხვა მხარე და არც საქართველო"-ო.

აი, რა სიტყვებით დაასრულა პოეტმა ვარდენ ღვანკითელმა თავისი-გორკის საპატივსაცემლო „ექსპრომტად" წარმოთქმული ლექსი.

მაგრამ სწორედ აქ იჩინა ვარდენ ღვანკითელის გენიამ თავი და ბოლო ეგრედწოდებულ „წაზომების" მეთოდის მომარჯვებაში: ერთის მხრით— იგი მოხდენილად „წაეზომა" მაქსიმ გორკის, ხოლო მეორე ბოლოთი— კიდევ ამაზე უფრო მოხდენილად მოექცა საქართველოს სათავეში, ვინაიდან ნავთლუღი სწორედ ის პირველი სადგური იყო საქართველოს ტერიტორიაზე, საცა ასეთის არაჩვეულებრივი ზეიმით „შეეგებენ" დიდებულს მწერალს.

მაგრამ ჩვენი წერილი ვარდენ ღვანკითელის შესახებ ეგრედწოდებულმა შესავალმა ჩაყლაპა, ხოლო თავი და თავი ფლავი ჯერ კიდევ წინ არის. ეს გახლავთ ვარდენ ღვანკითელის უკანასკნელი წერილი, თავისი მოღვაწეობის შესახებ. საქმის სიიოლისათვის ჩვენ ამ წერილს დაბარათს რედაქციის მიმართ ჟვიღებთ და პირდაპირ მოვათავსებთ, მხოლოთ გზა და გზა ფრჩხილებში გავუკეთებთ ჩვენს მორიდებულ შენიშვნებს.

პატივცემულო გაზეთ „მუშა“-ს რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ ჩემს მოწერილს ლექსს და ამბავს დავით კლდიაშვილის შესახებ, რითაც დიდათ დამავალებთ. ეს მაინც არ არის საწინააღმდეგო.

პატივისცემით ვ. ყიფიანი.

**1928 წ. 28 სექტემბერი.**

ამ პატარა ღია ბარათიდანაც კი დაინახავს მკითხველი, თუ ვარდენ ლვანკითელი, როგორც პოეტი და, მაშასადამე, „პროტესტის სულით“ გაჟღენთილი ტრუბადური, როგორ მოხდენილად არის არა მარტო „წაზომებული“, არამედ პირდაპირ წაკერებული ამ ჩვენში, ე. ი., საქართველოში ანანია გლახასავით შეუსვენებლად მოარულ „პროტესტისა“ და „წინააღმდეგობის“ ჩრდილს ანუ, თუ გნებავთ, ჩრჩილს. ამ რიგათ, აქაც კი, ამ პატარა საქმეშიც კი, როგორც ხედავთ, ის მოსჩანს ყველა ჩრდილსა გინდ ჩრჩილზე უგრძესად!)

მაგრამ გადავიდეთ თვითონ წერილზე.

აი, ისიც (მართლწერა ტექსტში ავტორისაა):

**კეთილი მოგონება**

ამა წლის ივნისის თვე იყო, ქუთაისიდან ვბრუნდებოდი საჩხერეში, აჯამეთის სადგურს რომ გავშორდით, მატარებელში შემხვდა შალიკო გოდაბრელიძე, ცოტა თუ ბევრათ მწერლობაში, „ხვადაბუნელის“ ფსევდონიმით ცნობილი, რასაც შევხედე მატარებლის ფანჯრიდან სოფელ სვიმონეთს, სადაც ჩვენი საყვარელი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი ცხოვრობს, გულმა აღარ მომითმინა, რადგანაც ავათმყოფობა ვიცოდი საყვარელი ბელეტრისტის და შალიკოს უთხარი: თუ ხათრი გაქვს შემწირე ერთი დღე დავრჩეთ ამ სვიმონეთის ბაქანზედ და დავით კლდიაშვილი ვინახულოთ მეთქი.

(ოღონდაც! ალბათ, მწარე ფიქრი არ ასვენებდა პოეტს. „ვაი თუ ხელიდან ისე გამოსხლტეს, რომ ცოცხლისთვის „წაზომება“ ვერ მოვასწრო და შემდეგ, სამწუხაროდ, მიცვალებულზე მომიხდესო წაზომება“-ო!..)

შალიკოს გაეხარდა, მითხრა: კაცო, დავითს ბელეტრისტობითაც პატივი არ ვსცე მკვიდრი ბიძაჩემია, დედიჩემის ძმაო. ჩამოვხტენით და დიდის სიმხიარულით გავემგზავრეთ, მივედით სოფელში სანამ დავითისას მივიდოდით გზაში შეუხვიეთ ჭუმბურიძისას(და ყავს მეუღლეთ შალიკოსი) ჯერ საუზმე მერე სადილი, სამხარი, ლვენეფაძეებმაც დაგვპატიჟეს, ვერ წარმოიდგენს ადამიანი რა პატივი გვცეს.

(უკაცრავათ, ლვანკითელო, არც იმდენად ვართ მოკლებული წარმოდგენას, რომ ვერ შევამჩნიოთ თქვენი „წაზომების“ მეთოდის თანდათანი განვითარება: ჯერ-დავით კლდიაშვილის დისწულისადმი, შემდეგ იმისი სიძის ოჯახისადმი, ხოლო ბოლოს—ჩვენში სახალხო პატივისცემის ზოგად ობიექტისადმი. შეიძლება საზოგადოთ ადამიანს გაუჭირდეს ამის წარმოდგენა, მაგრამ ჩვენ კი წინდაწინ ვაღიარებთ: ვარდენ ლვანკითელის მიღებას ეღირსება საქართველოში .რომელიმე სოფელი გინდ ოჯახი, თუ გნებავთ, და მას აუწერელ პატივს არ სცემენ, ეს მართლაც რომ ვერ წარმოგვიდგენია!)

სამხრობისა მივადექით დათვის სადგომს ბელეტრისტი იწვა, წუხთებოდა ავათმყოფობით, მაგრამ ჩვენმა ნახვამ ძრიელ გაახარა, მაშინ უფრო ალტაცებაში მოვიდა როდესაც შალიკომ უთხრა: ბატონო ბიძია!ეს ვარდენ ლვანკიდელი თქვენი ნიჭის პატივისმცემლებისგან არის გამოგზავნილი რათა ამბავი გაიგოს და დასტკბეს თქვენის ხილვითო.

(ოღონდაც, რომ გაუხარდებოდა! სად დავით კლდიაშვილი და სად ვარდენ ლვანკითელი! დავით კლდიაშვილი არც იმდენად მიუხდენარი კაცია, რომ ვერ გაიგოს ის, თუ როგორ შევადარეთ ჩვენ ლვანკითელი იალბუზს და როგორ გამოვიყვანეთ ის იალბუზზე უფრო მაღლად!).

# მიხეილ და სახელგამ...



„სახელგამით“ მიხეილმა,
ეჰ, ამ წელს ვერ იხეირა!

ძრიელ გვპატიჟა იმ ლამეს არ მოვშორებულიყავით, მაგრამ ვატყობდით ავათმყოფი წუხთებოდა და კიდე იქვე მისმა დისწულებმა ლვენეფაძეებმა არ დაგვაყენეს და იმ ლამეს თავიანთ სახლში წაგვიყვანეს იქვე მეზობლია ძრიელ პატივი გვცეს და ძრიელ ნასიამოვნები წამოვედით.

(ასე, ჩემო ვარდენ, აღარც დისწულები დაუტოვო მაგ კაცს „წაუზომებლად“ ჰო!)

ჩემს სიცოცხლეში სამს რამეს გაუხარებივართ უსამძღვროთ. ერთი როდესაც პირველი ჩემი ლექსი „ძველებული ქართველი დედის ნანინა“ ჟურნალ გ. წერეთლის კვალში გამოვიდა 1893 წ. № 35, მეორე როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ გამანთავისუფლა ციხიდან 1922 წ. მესამე როდესაც ავათმყოფ ბელეტრისტის შუბლს უცქეროდი ლოგინში და მის მოძრაობას 1928 წ.

ვარდენ ყიფიანი.

სადგური კახიასუ. ბაქოს მხარე.

(ლვანკითელი)

აი, ჩვენი ცოდვა კი მიეცა გიორგი წერეთელს, რომ ეს საქმე გვიყო ჩვენ და პირველად აღნიშნული ლექსი „კვალს“ „წაგვიზომა“. ეს რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის, იქნება „წაზომების მეთოდიც“ აღარ წარმოიშობოდა ამ ცოდვილ ქვეყანაზე და ამით ჩვენც,— რაღა თქმა უნდა, ჩვენდა უნებურად აღარ მოგვიხდებოდა მომდურება... უკაცრავარ მომაღლიერება (ტარტაროზი მომაღლიერებას გაურბის, თორემ მომდურებისა არ ეშინია ისეთი კაცისა, როგორიც არის პოეტი, ვარდენ ლვანკითელი, ერის კაცობაში—ვარდენ ყიფიანი.

ონისიმე.

# ვარდენ ღვანკითელი

„კაცმა ჭირი მალა, მარა ჭირმა თავი არ დამალა“-ო, ამბობს ხალხური სიბრძნე.

არც ვარდენ ღვანკითელმა დამალა თავი, თუმცა ჩვენ დიდხანს ვმალეთ ქვევით მოყვანილი მასალები და არ გვინდოდა მათი დაბეჭდვა, რა თქმა უნდა, ისევ ავტორის ინტერესებისათვის.

მაგრამ, სჩანს, რომ ჩვენ უბედურ ვასკვლავზე ვყოფილვართ დაბადებული და ამ ჩვენი უბედურობით სარგებლობს ახლა ბედნიერი ვარდენ ღვანკითელი.

რით არის ბედნიერი ვარდენ ღვანკითელი?

იმითი, რომ სოფელ ღვანკითიდან არის?

აბა, იმითი, რომ მისი სახელი „ვარდენია“, რომელიც ბურტყლიანად „შავარდენის“ უდიდეს ნახევარს შეადგენს, ხოლო ბურტყლს თუ მოვაშორებთ, შავარდენსაც გადააჭარბებს?!

სრულიადაც. არა.

ვარდენ. ღვანკითელი ბედნიერია სიდიდით, დიახ, სიდიდით!..

რა არის სიდიდე?

სიდიდეს ჯერ-ჯერობით სამი განზომილება ახასიათებს: სიგრძე, განი და სიმაღლე (წონა და სხვა ასეთები ანგარიშში მისაღები არ არის).

მაგალითად, ყველაზე უგრძესი მდინარე დედამიწის ზურგზე არის მდ. ამაზონკა.

არის თუ არა ვარდენ ღვანკითელი ამ მდინარეზე უგრძესი?

არის! და თუ გნებავთ ამაში დარწმუნდეთ, გაიყვანეთ ის სამხრეთ ამერიკაში, მიიყვანეთ მდინარე ამაზონკის სათავესთან და წამოაწვინეთ ისე, რომ ფეხები მდინარის სათავეს მიაწყოს, ხოლო თავი ჰქნას წყლის მდინარების წინაალმდეგი მიმართულებით.

ამრიგათ, თუ მდინარისა და ვარდენ ღვანკითელის სიგრძეს აიღებთ, ერთად იგი უეჭველად მდ. ამაზონკის სიგრძეზე მეტი აღმოჩნდება.

მაგრამ დამტკიცება შეიძლება სამხრეთ ამერიკაში გაუსვლელადაც.

„ამაზონკას“ ეძახიან ქალის ერთგვარ წელქვევით ჩასაცმელს, რომელსაც ცხენზე ჯდომის დროს ხმარობენ ხოლმე.

დააზომეთ ახლა ვარდენ ღვანკითელი რომელი ქალის „ამაზონკასაც“ გნებავდეთ და მე წინდაწინ ვიძლევი პატიოსან სიტყვას, რომ ვარდენი ყველა „ამაზონკაზე“ უგრძესი აღმოჩნდება.

ვიწიცობაა მოხდეს, რაიმე მოულოდნელობის გამო, თუნდაც ერთად ერთი გამონაკლისი. მაშინ გააფინეთ „ამაზონკა“ მიწაზე (შეიძლება იატაკზეც ან კიდევ ქვისა გინდ ცემენტის ფილაქანზედ) და მოიქეცით ისე, როგორც მოიქცეოდით მდინარე ამაზონკის სათავეში.

უდავოა, რომ ამის შემდეგ მაინც იფანტება ყოველგვარი ეჭვი ვარდენ ღვანკითელის სიგრძითი უპირესობაში.

აიღეთ ახლა განი. ყველაზე დიდი განი ჩვენს დედამიწას ეკვატორზე აქვსო, ამბობენ, რომელიც გლობუსზე ხაზის ან სარტყლის სახედ არის ხოლმე გადატარებული.

ეხლა, რომ აიღოთ სარტყელი, შემოუჭიროთ იგი ამ ხაზზე დედამიწას, შემდეგ ეკვატორზე პერპენდიკულიარულად, ე. ი. თავით და ფეხებით პოლიუსებისაკენ წამოაწვინოთ ვარდენ ღვანკითელი, მარტო დედამიწის სარტყელი ახლა მასა და დედამიწას წელზე არას გზით აღარ შემოსწვდება.

მაგრამ ეს ცოტაა.

ყველაზე მაღალი ადგილი დადამიწაზე ევერესტია, კავკასიაში კი— იალბუზი. ჰო და გზის სიმოკლისათვის, ვარდენ ღვანკითელი რომ იალბუზის ზე კაკალ წვერზე დასვათ, თუნდაც იგი იქიდან ბუზის ოდენადაც კი არ მოსჩანდეს, იგი მაინც იალბუსზე უმაღლესი აღმოჩნდება.

ამბობენ: „ქიაყელა გველს წაეზმანა, გაიწია და გაწყდა“-ო.

ვარდენ ღვინკითელი წელში გაწყვეტას სრულიადაც არა ფიქრობს. მაგალითად: აკაკი წერეთელის იუბილეზე ვარდენმა შემდეგი შესანიშნავი ლექსით მიმართა მგოსანს:

შენ პოეტი აკაკი ხარ,
მე— პოეტი ვარდენიო,
შენ, მგოსანო, არწივი ხარ,
და მე კი—შევარდენიო!“..

აქ პოეტის პირით, რა თქმა უნდა, ჯერ--ქართული და შემდეგ —პოეტური კდემამოსილება მეტყველებდა, თორემ, ვინც კი ამ წუთს საქართველოს ეს ორი „მნათობი“ ერთად იხილა, განსაკუთრებით— ქალები, ყველანი, ერთხმად გაიძახოდენ: „ამ ორში შევარდნათ ისევ აკაკი თუა ჩასათვლელი, თორემ ეს, ვიღაცაა,— მთელი ორბია“-ო.

და ჩვენ ტყუილად კი არ მოგვიყვანია ზევით ის „წაზომების მეთოდი“. ეს ცნობილი მეთოდი ვარდენ ღვანკითელის მეთოდი გახლავთ. მან ყოველთვის მოხდენილად იცის ხოლმე შესაფერ შემთხვევაში ამა თუ იმ დიდ მოვლენასა გინდ პიროვნებაზე თავისი თავის „წაზომება“.

საინტერესოა, რომ ამ მხრით ვერც ერთი ისეთი გიგანტი გადაურჩა ვარდენ ღვანკითელის კლანჭს, როგორიც არის მაქსიმ გორკი.

ამის შესახებ თვითონ ვარდენი თავისი საკუთარი ხელით შემდეგს გვწერს:

„დიდებული მწერლის, მაქსიმ გორკის ქ. თბილისში შემოსვლისას ამა წლის 23 ივლისს სადგურ ნავთლუღში მიეგება მას ხელში ძვირფასი თაიგულით ვარდენ ყიფიანი, იგივე ღვანკითელი ფსევდონიმით,და მიმართა შემდეგი სიტყვებით“. (სიტყვები საინტერესოა, მაგრამ, ვინაიდან ამ სიტყვების მიზეზით მაქსიმ გორკის მიერ დაღვრილი ცრემლი უნამუსო მზემ თურმე იმავე დღეს შეაშრო დედამიწას, ხოლო თვით სიტყვის შინაარსი, მიუხედავათ რუხულად დაწერილ ტექსტის ჩვენი რედაქციის კალათში დაცვისა, მაინც ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ, აქ აღარ ვათავსებთ).

რაიცა შეეხება „სიტყვის“ შემდეგ პოეტის მიერ ექსპრომტად წარმოთქმულ ლექსს, ამას კი ვეღარ დავუმალავთ შთამომავლობას ისე, რომ მისი ბოლო ანუ კუდი მაინც არ ვახჭედროთ:

„გაიხარეთ, რომ ისე კარგათ
თქვენ გაიტანეთ მწერლობის ღელო,
რომ არასოდეს არ დაგივიწყებს
არც სხვა მხარე და არც საქართველო“-ო.

აი, რა სიტყვებით დაასრულა პოეტმა ვარდენ ღვანკითელმა თავისი გორკის საპატივსაცემლო „ექსპრომტად“ წარმოთქმული ლექსი.

მაგრამ სწორედ აქ იჩინა ვარდენ ღვანკითელის გენიამ თავი და ბოლო ეგრედწოდებულ „წაზომების“ მეთოდის მომარჯვებაში: ერთის მხრით— იგი მოხდენილად „წაეზომა“ მაქსიმ გორკის, ხოლო მეორე ბოლოთი— კიდევ ამაზე უფრო მოხდენილად მოექცა საქართველოს სათავეში, ვინაიდან ნავთლუღი სწორედ ის პირველი სადგური იყო საქართველოს ტერიტორიაზე, საცა ასეთის არაჩვეულებრივი ზეიმით „შეეგებენ“ დიდებულს მწერალს.

მაგრამ ჩვენი წერილი ვარდენ ღვანკითელის შესახებ ეგრედწოდებულმა შესავალმა ჩაყლაპა, ხოლო თავი და თავი ფლავი ჯერ კიდევ წინ არის. ეს გახლავთ ვარდენ ღვანკითელის უკანასკნელი წერილი, თავისი მოღვაწეობის შესახებ. საქმის სიიოლისათვის ჩვენ ამ წერილს დაბარათს რედაქციის მიმართ ავიღებთ და პირდაპირ მოვათავსებთ, მხოლოთ გზა და გზა ფრჩხილებში გავუქეთებთ ჩვენს მორიდებულ შენიშვნებს.

პატივცემულო გაზეთ „მუშა“-ს რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ ჩემს მოწერილს ლექსს და ამბავს დავით კლდიაშვილის შესახებ, რითაც დიდათ დამავალებთ. ეს მაინც არ არის საწინააღმდეგო.

პატივისცემით ვ. ყიფიანი.

**1928 წ. 28 სექტემბერი.**

ამ პატარა ღია ბარათიდანაც კი დაინახავს მკითხველი, თუ ვარდენ ლვანკითელი, როგორც პოეტი და, მაშასადამე, „პროტესტის სულით“ გაჟღენთილი ტრუბადური, როგორ მოხდენილად არის არა მარტო „წაზომებული“, არამედ პირდაპირ წაკერებული ამ ჩვენში, ე. ი., საქართველოში ანანია გლახასავით შეუსვენებლად მოარულ „პროტესტისა“ და „წინააღმდეგობის“ ჩრდილს ანუ, თუ გნებავთ, ჩრჩილს. ამ რიგათ, აქაც კი, ამ პატარა საქმეშიც კი, როგორც ხედავთ, ის მოსჩანს ყველა ჩრდილსა გინდ ჩრჩილზე უგრძესად!)

მაგრამ გადავიდეთ თვითონ წერილზე.

აი, ისიც (მართლწერა ტექსტში ავტორისაა):

**კეთილი მოგონება**

ამა წლის ივნისის თვე იყო, ქუთაისიდან ვბრუნდებოდი საჩხერეში, აჯამეთის სადგურს რომ გავშორდით, მატარებელში შემხვდა შალიკო გოდაბრელიძე, ცოტა თუ ბევრათ მწერლობაში, „ხვადაბუნელის“ ფსევდონიმით ცნობილი, რასაც შევხედე მატარებლის ფანჯრიდან სოფელ სვიმონეთს, სადაც ჩვენი საყვარელი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი ცხოვრობს, გულმა აღარ მომითმინა, რადგანაც ავათმყოფობა ვიცოდი საყვარელი ბელეტრისტის და შალიკოს უთხარი: თუ ხათრი გაქვს შემწირე ერთი დღე დავრჩეთ ამ სვიმონეთის ბაქანზედ და დავით კლდიაშვილი ვინახულოთ მეთქი.

(ოღონდაც! ალბათ, მწარე ფიქრი არ ასვენებდა პოეტს. „ვაი თუ ხელიდან ისე გამოსხლტეს, რომ ცოცხლისთვის „წაზომება“ ვერ მოვასწრო და შემდეგ, სამწუხაროდ, მიცვალებულზე მომიხდესო წაზომება“-ო!..)

შალიკოს გაეხარდა, მითხრა: კაცო, დავითს ბელეტრისტობითაც პატივი არ ვსცე მკვიდრი ბიძაჩემია, დედიჩემის ძმაო. ჩამოვხტენით და დიდის სიმხიარულით გავემგზავრეთ, მივედით სოფელში სანამ დავითისას მივიდოდით გზაში შეუხვიეთ ქუმბურიძისას(და ყავს მეუღლეთ შალიკოსი) ჯერ საუზმე მერე სადილი, სამხარი, ღვენეფაძეებმაც დაგვპატიჟეს, ვერ წარმოიდგენს ადამიანი რა პატივი გვცეს.

(უკაცრავათ, ლვანკითელო, არც იმდენად ვართ მოკლებული წარმოდგენას, რომ ვერ შევამჩნიოთ თქვენი „წაზომების“ მეთოდის თანდათანი განვითარება: ჯერ დავით კლდიაშვილის დისწულისადმი, შემდეგ იმისი სიძის ოჯახისადმი, ხოლო ბოლოს—ჩვენში სახალხო პატივისცემის ზოგად ობიექტისადმი. შეიძლება საზოგადოთ ადამიანს გაუჭირდეს ამის წარმოდგენა, მაგრამ ჩვენ კი წინდაწინ ვაღიარებთ: ვარდენ ლვანკითელის მიღებას ეღირსება საქართველოში .რომელიმე სოფელი გინდ ოჯახი, თუ გნებავთ, და მას აუწერელ პატივს არ სცემენ, ეს მართლაც რომ ვერ წარმოგვიდგენია!)

სამხრობისა მივადექით დათვის სადგომს ბელეტრისტი იწვა, წუხთებოდა ავათმყოფობით, მაგრამ ჩვენმა ნახვამ ძრიელ გაახარა, მაშინ უფრო ეღტაცებაში მოვიდა როდესაც შალიკომ უთხრა: ბატონო ბიძია!ეს ვარდენ ლვანკიდელი თქვენი ნიჭის პატივისმცემლებისგან არის გამოგზავნილი რათა ამბავი გაიგოს და დასტკბეს თქვენის ხილვითო.

(ოღონდაც, რომ გაუხარდებოდა! სად დავით კლდიაშვილი და სად ვარდენ ლვანკითელი! დავით კლდიაშვილი არც იმდენად მიუხდენარი კაცია, რომ ვერ გაიგოს ის, თუ როგორ შევადარეთ ჩვენ ლვანკითელი იალბუზს და როგორ გამოვიყვანეთ ის იალბუზზე უფრო მაღლად!).

# მიხეილ და სახელგამი



**„სახელგამით“ მიხეილმა, მე, ამ წელს ვერ იხეირა!**

ძრიელ გვპატიჟა იმ ღამეს არ მოვშორებულიყავით, მაგრამ ვატყობდით ავათმყოფი წუხთებოდა და კიდე იქვე მისმა დისწულებმა ღვენეფაძეებმა არ დაგვაყენეს და იმ ღამეს თავიანთ სახლში წაგვიყვანეს იქვე მეზობლად ძრიელ პატივი გვცეს და ძრიელ ნასიამოვნები წამოვედით.

(ასე, ჩემო ვარდენ, აღარც დისწულები დაუტოვო მაგ კაცს „წაუზომებლად“ ჰო!)

ჩემს სიცოცხლეში სამს რამეს გაუხარებივართ უსამძღვროთ. ერთი როდესაც პირველი ჩემი ლექსი „ძველებული ქართველი დედის ნანინა“ ჟურნალ გ. წერეთლის კვალში გამოვიდა 1893 წ. № 35, მეორე როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ გამანთავისუფლა ციხიდან 1922 წ. მესამე როდესაც ავათმყოფ ბელეტრისტის შუბლს უცქეროდი ლოგინში და მის მოძრაობას 1928 წ.

ვარდენ ყიფიანი.

სადგური კახიასუ. ბაქოს მხარე.

(ლვანკითელი)

აი, ჩვენი ცოდვა კი მიეცა გიორგი წერეთელს, რომ ეს საქმე გვიყო ჩვენ და პირველად აღნიშნული ლექსი „კვალს“ „წაგვიზომა“. ეს რომ არ მომხადირყო, ვინ იცის, იქნება „წაზომების მეთოდიც“ აღარ წარმოიშობოდა ამ ცოდვილ ქვეყანაზე და ამით ჩვენც,— რაღა თქმა უნდა, ჩვენდა უნებურად აღარ მოგვიხდებოდა მომდურება... უკაცრავარ მომადლიერება (ტარტაროზი მომადლიერებას გაურბის, თორემ მომდურებისა არ ეშინია ისეთი კაცისა, როგორიც არის პოეტი, ვარდენ ლვანკითელი, ერის ყაცუბაში—ვარდენ ყიფიანი.

ონისიმე.

# ჭორები

(სურათი სოფლიდან)

— ქაა, მარო, გაიგე,
ომი დაწყებულაო?!
ანგალი თუ ინგლია
საზღვარს გადმოსულაო?!

—:—

— ეგ რა არის, გოგოჯან,
სუ... იცი, რას ამბობენ?
თურმე ბოლშევიკებსა
დღეს ან ხვალ დაამხობენ..

—:—

— მართლა? მკითხავმა მითხრა:
ჯორდანია მოვაო,
და გვაკმარებს რაც ამათ
სისხლი გამოგვწოვაო...

—:—

— ნეტა, იმან რა კარგი
დღენი დაგვაყარაო?
ყოველ დღე ომი იყო—
ვინ-ღა გაგვახარაო!?.

—:—

— უკრაინის ხალხიო
აუჯანყდა მოსკოვსო,
თურმე პოლშაც მოდის და
ამ დიდ რუსეთს მოსპობსო!.,

—:—

— მღვდელმა მითხრა: საყდრებსა
ისევ აღადგენენო,
და ჩემს შეურაცყოფას
არვის შეარჩენენო...

—:—

— უფრო კარგები მითხრა
ჩვენმა ნათავადარმა:
ალყა შემოარტყაო—
გერმანელების ჯარმა!

—:—

— ჩვენებიანთ კაკოლამ,
დაგვიარა ამ დილას,
და სუყველა ჩუმათა
ყველანი გაგვაფრთხილა:

—:—

— „არაფერი დასთესოთ,—
სახლებს ნუ აშენებთო,
და სოფელს არხით, ხიდით,
ნულარსად ამშვენებთო...

—:—

მიტომ გიწყობთ მთავრობა
ამ თესვაში ხელსო,
მირნახულს წაგართმევს, თქვენ
მოგცემთ ნაცარ - ცხელსაო„

—:—

სახლებს ჩამოგართმევენ,
საქონელსაც ზედაო,
ხალოგებით გაღრჩობენ,
ნუ თუ ვერა ხედავო?!!

—:—

აი, რას გაიგონებთ
ზოგიერთ სოფელში,
სადაც კულაკებს გლეხი
ჩაუგდიათ ხელშია...

—:—

როგორც უნდა აბამენ,
ყველგან ჭორის ქსელებსა,
აფათურებენ გლეხის
გულში ბინძურ ხელებსა.

—:—

# ეშმაკი მოხუცი



— საბინაო საკითხიც გადავწყვიტე, და სასუფეველი დავიმკვიდრე.

ამხანაგო გლეხებო,—
ნურვის დაუგდებთ ყურსა,
ვინც თქვენს ტკბილ ცხოვრებაში
სთესავენ ღვარძლსა და შურსა.

—:—

უფრთხილდით კულაკებს და
ნათავადარს, ვაჭარს, მღვდელს,
არავზადა მკითხავს და
ყველა ჭორების მთესველს.

—:—

ეგ ყოფილი კაცები
ყველა თქვენი მტერია,
ვინც მაგათ დაუჯერებს,
ის ბრმაა და შტერია,..

—:—

გლეხთა თავისუფლებას,
რაქნან, ვერ იხელებენ,
მტრობა რომ არა სთესონ,
ისე ველარ ისვენებენ..

—:—

დღევანდელი მთავრობა
მხოლოდ თქვენი მხსნელია
ყოველი კარგი საქმის
ხელშემწყობი, მშველია...

—:—

მაგათ ნუ დაუჯერებთ,
ყველას გაჰკართ ხელია,
მაგგვარ ხალხს მოუხდება
გულში ტყვია ცხელია..,

—:—

დააგროვეთ სიმდიდრე,
და იცხოვრეთ ტკბილადა,
მთავრობა კი შეხვდება
ამ ნაბიჯებს თბილადა...

—:—

არც ომია, არც სხვა რამ,—
გზა წინსვლად გვაქვს ხსნილია.
ეგ კი ჭორებია და
მაგათ მოგონილია....

—:—

ვერავინ გაუბედავს—
საბჭოთა კავშირს შეხლას,
იმათ კი ეშინიათ,
ჩვენი სიმძლავრის, ეხლა!..
და გადასახადებიც,
ბობოლებს ხვდება მხოლოთ...
ჭორის გამავრცელებლებს,
თვით თქვენ მოუღეთ ბოლო!.

ტარზან.

## სოფელ ახმეტაზედ წყაროს წყალი, ახ. მეტია!

ალმასკომმა რამდენჯერმე მოჰკრიფა სოფ. ახმეტაში წყაროს გამოსაყვანი ფულები, მაგრამ წყალი კი ჯერაც არსადა სჩანს.



— საიდან მოდიხარ, პეტრე?!
— კრებაზედ ვიყავი წყაროს წყალის საკითხს ვარჩევდი.
— თქვენ სულ წყაროს წყალის საკითხს არჩევთ და ჩემს დედაკაცს კი ბაყაყებიანი წყალის ზიდვამ აგერ რიყიდან წელი მოსწყვიტა!..

## თბილის ბათუმი იანოს მოგზაურობა

დამ-დარიდან, დან-დარიდან,
სიცხე მდაგავს ივლისიდან.
და მივქრივარ ბათუმისკენ
თბილისიდან.
აქსად არის დასაჯდომი
და არც დასაწოლი;
რონოდაში დგას შმორი და
პაპიროსის ბოლი...
სიყვარულზე ევედრება
აქ თინიკო—გივის...
სამტრედიის მხარე მოსჩანს...
ოთრქლმავალი კივის...
მწუხარებით, ფეხზე დგომით
გავათიე ღამე;
აქ ქაგნელ ბზიკს მინდა შევხვდე
და ვუამბო რამე...
სამტრედიას „აწიოკებს“
მისი კალმის წვერი...
ვიშ! ვით მიქრის ეს რონოდა,
მთებს ვით მისდევს სერი!..
როგორ ხუჭავს თვალებს ლელი,
როგორ არხევს წვრილ ტანს;
ვესალმები ქობულეთს და
კოხტა აჭარისტანს!
ქობულეთში ყველაფერი
არის თავის „რიგზე“;
შვიდწლედში კი ბაქი-ბუქობს
კოწო თათქარიძე!
უსათუოდ საჩანგლეა
კოწო გაბერილი...
ო, ირხევა ზღვის ტალღები.
და ქრის სიო, გრილი...
დამ-დარიდან, დან-დარიდან,
მესმის თვლების ხმიდან
და მივქრივარ ბათუმისკენ
თბილისიდან.
მოსჩანს მთები, მოსჩანს ნისლი
და ზღვა მონარნარე;
ბევრში არის დასაძრახი
პ. ობოლის მხარე!
დაჟინებით მსურდა—ვნახე
განათლების ხალხი;
ეხლა მიდის დაჯგუფება
და დანიშვნა ახლის.
ძველებურად იგრიხება
მემანქანე ქალი;
და ბერ „დუშკა“ მასწავლებელს
დაგავს ტრფობის ალი.
თმა-ქენჩერა პოეტებსა
აქაც ნახავთ ხშირად:
სიყვარულის ლექსებს თხზავენ
დილობით ზღვის პირად.
ასე „პროლეტ პოეტობენ“,
მთაელიტთან დგას რიგი:
ზოგი პიესებსაც ჯღაბნის,
მოდის წიგნზე-წიგნი.

იანო.

## ეშურებოდა რქებით...

მწველი ზაფხულის სიცხე
დაგავს ტფილისის ქუჩებს,
უყურებს სარკეს მარო
და თან ილებავს ტუჩებს...
შემდეგ თავსა სწევს მაღლა,
მკლავზე იკიდებს ბოხჩას
და ქმარს უძახის წყრომით:
უნდა გაგშორდე, მორჩა!..
ელპიტე, ქეთო, მართა,
აგარაკზეა ყველა,
მე კი რად მინდა ქმარი,
თუ მომკლავს ჰლექი, ხველა?!.
ისმენს მოწყენით, ჩუმად
ცოლის მუქარას ქმარი
და უთამაშებს პირზე
შოთას ღიმილი, მწარი,
სხვა რა უშველის საწყალს
მონაგარიშე შოთას,
იღებს ზაფხულის ავანსს
და ცოლის საქმეს მორთავს...
გამოიფხიკა ჯიბე,
მაგრამ იმშვიდებს სინდისს;
იმისი თვალის ჩინი
წაღვერისაკენ მიდის!
კეჩხობის აგარაკზე,
გაღმა-გამოღმა, ტყეში,
შოთას თვალის ჩინს, მაროს,
აბურთავებენ ხელში!...
არ ეძინება შოთას,
შოთა სიზმარშიც შფოთავს
და მოჩვენება მწარე
აღარ ასვენებს შოთას:
და თავის გულში შოთა
ფიქრობს: „წაღვერის ტყეო,
ჩემი მაროა ე მანდ
და შემინახე მეო!“
და „შეინახა“ მარო
მართლაც წაღვერის ტყემა:
ვიღაც „გლავბუხი“ შეხვდა,
ქალს გულმა უწყო ცემა.
ჩვენი „გლავბუხის“ გულსა
ხელად მოედვა ალი
და, ვით „ბალანსის ციფრებს“,
ქალს ჩააშტერა თვალი.
ნერწყვი მოადგა პირზე
ქალის შიშველის მკერდით,
ვერ მოითმინა:
ხელად გადაუჩოჩდა გვერდით...
ჩამოიშორა „ბუხის“
საპერნიკები ქალმა
და ბუხის გულიც დასწვა
მაროს ტრფიალის ალმა!..
ტყეში, ვაგზალზე მაროს
ის აცილებდა ქებით,
სად ყოველ კვირით ვაგონს
ქმრები მოყავდა რქებით!..
ერთხელ წაღვერში, ღამით
მოვიდა მაროს ქმარი,
მაგრამ მეუღლეს მარომ
აღარ გაუღო კარი!..

. . . . . . .

„გლავბუხი“ მაროს ქცევას
იხსენიებდა ქებით
და თფილისისკენ შოთა
ეშურებოდა რქებით!..

მედუზა.

# ალპინისტი წინ თუ ქისტი!!



— ესენი თუ სამივე შენი ცოლებია, მაშ, მდიდარი ყოფილხარ!..
— ხა-ხა-ხა-ხა!., ვერა ხედავ, ტანზე რა შეულახვე-ლად ვარ? ესენი მუშაობენ, მე კი არხეინად დავდიოდობ, აბა, თქვენ რომ ჩააცივდებით ერთს და სულ იმის ჩაცმა-დახურვაზე ზრუნავთ, ეს კიდევ რა სიცოცხლეა?!.

# შუბლმაგრებს

სიმღერა

არა, მჯერა, უნდა იყოს ჭორები,
ინგლისელებს დაუტვირთავთ ჯორები,
გაანათეს ზღვაში პროჟექტორები,
წინ მიუძღვით შუბლმაგარი „ლორები“!..
ჩემბერლენმა ნოტა შემოგვთავაზა,
ინგლისურათ, კოხტათ გაალამაზა,
ვაშა, ბიჭო! მართლა რა სულელია:
ეგ ხრიკები ჩვენთვის ძველის ძველია!

ემიგრანტებს ეხლა კი შევეხები,
ლორდებთან რო გააბზიკეს ფეხები,
ჯორს დაადგან მათ უკუღმა კეხები,
პროლეტარებს არ უნდათ ეს სეხვები!..
ეგონებ: ხიკსი ავათ გახდა, აციებს,
მისი ხრიკი ევროპას გააცინებს,
გიპნოტიზმით მუშებს ვერ დააძინებს,
ბაქი-ბუქით ვერავინ შეგვაშინებს!
არ ინებეს ჩვენი ყოფნა არკოში?
აყროლდება ჩვენი ნავთი ბაქოში!
„თუ არა-გვცემს პატივს ჩვენი საჩინო“,
მისი მოსვლა სულ არ არის საჭირო!..
ბაყაყივით, ნეტავ, რას იბერება
არა, მკითხე, ყველას რომ ეძგერება.
თუ დასჭირდა, მაშინ მოგეფერება,
თუ არა და პრიკაზებს იწერება!..
მელა კუდა, ჩინეთში რომ შემძვრალა,
ჩანძოლინის ოქროს ეშხით დამთვრალა
ფულისათვის ყველას ხელებს აფარებს,
თუ წააგო, კომუნისტებს აბრალებს.

მუშა ვასო როინიშვილი.

# თითო თითო

(აზრი ალებულია)

სავლე ლოთაძეს ძალიან უყვარდა დალოცვილი ნუა ნუა. ექიმები ურჩევდნენ ხელი აელო ლოთობაზე, მაგრამ ლოთაძე უფრო და უფრო უხშირებდა სმას.

ხშირად ნაშუადღევს თბილისის მიყრუებულ უბნებში ძალზე გალეშილი სავლე შეაჩერდებოდა ელექტრონის ბოძს და ხანგრძლივად ესაუბრებოდა მას.

ერთხელ ნაბახურევ სავლეს მუშაობის გათავებისას, როდესაც სავლე სახლში წასასვლელათ ემზადებოდა, მისმა ამხანაგმა პავლე ყლაპიაშვილმა დაუძახა:

— უჩემოთ არსად წახვიდე, საქმე მაქვს-ო.

მალე ორი მეგობარი სავლე და პავლე უკანასკნელის ბინისაკან მიაბიჯებდნენ მუსაიფით:

— გუშინ ვედრო ნახევარი წითელი ღვინო დავლიეთ ბიჭებმა, დანახარჯი 27 მანეთი მე გადვიხადე, დამრჩა კიდევ ცამეტ მანეთამდე ფული, წავიდეთ და ერთი ლაზათიანათ გადავკრათო, ეუბნებოდა გზა და გზა პავლე.

სავლე სდუმდა, მაგრამ, როდესაც სამიკიტნოში ერთი კვარტი გამოცალეს და მეორეს შეუდგნენ, გადასწყვიტა ეამბა ამხანაგისთვის თავისი გადაწყვეტილება ღვინის სმის აღკვეთის შესახებ.

— ჩემო პავლე, როგორც ვატყობ ჩვენ ამ საოხრო ღვინომ უნდა მოგვიღოს ბოლო, არც შენ გივარგა გული და არც მე რაზე ვიღუპავთ თავს? რაზე ვიმოკლებთ ისედაც მოკლევადიან სიცოცხლეს? მოდი, დავანებოთ ღვინის სმას თავი, ერთხელ და სამუდამოდ ავილოთ ხელი და...

— ერთი მითხარი გულახდილათ, ქარხკომმა ხომ არ გამოგგზავნა საგიტაციოთ?.— მოუჭრა სიტყვა პავლემ,— აბა, რა სისულელეს როშავ? ღვინოზე რა ამაღებინებს ხელს? იმ მოკლევადიან სიცოცხლის, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, დარდში და ვაებაში გატარებას, ლხინით და ქეიფით გატარება არ სჯობია? ან როგორ უნდა ავილოთ ხელი სმაზე ასე უცბათ?!

— უცბათ თუ არა, ნელ-ნელა მაინც გადავეჩვიოთ, აი, თუ გინდა, დღეს ხომ 13 მანეთი უნდა დაგვეხარჯა, მოდი, ნუ დავხარჯავთ ამდენს: დღეს ნახევარი ვიყოფინოთ, დანარჩენი ხვალისათვის გადავდოთ.

— ხვალისათვის ღმერთი მოგვცემს...

— კარგი, რა კი აგრეა, შენ დალიე და მე კი მაინც ჩემსას გავიტან: თითო ჭიქას მაინც გამოვტოვებ. აი, ეხლა შენ დალიე ეს ჭიქა, შემდეგ ერთად დავლევთ, მერმე კიდევ გამოვტოვებ და ასე ნელ-ნელა გადავეჩვევი!..

პავლემ კარგათ იცოდა სავლეს ჯიუტი ხასიათი და ამიტომ დასთანხმდა. მაგრამ, როდესაც მეოთხე კვარტზე გადავიდნენ და შეატყო, რომ სავლე უფრო ფხიზელია, ვიდრე თვითონ, გადასწყვიტა მასაც საველესათვის მიებაძნა.

— რა კი შენ არა სვამ იმდენს, რამდენსაც მე, მეც გადავსწყვიტე ლოთობაზე ხელის აღება: მოდი, ეხლა თითო ჭიქას მე გამოვტოვებ, შენ კი ყველა სადღეგრძელო უნდა გამოსცალო, რადგან წელან არა სვამდი.

— აი, „მალადეც"!!! ეს მომწონს, ყოჩაღ, ჩემო პავლე, „ეტო ია პანიმაიუ". მეგობრობაც ასეთი უნდა, მაინც და მაინც რატომ უნდა დავთვრეთ ისე, რომ პირში ენა აღარა გვქონდეს?

მაშ, ეხლა მე დავლევ და შენ გამოსტოვე, არც შენ დათვრები ძალიან და არც მე.

მეექვსე კვარტზე მეგობრებს ენა აერიათ, მოუხშირეს ხვევნა-კოცნას და მღერას.

— ჩ-ჩ-ჩემო პავლე, ჩ-ჩ-ჩემო პირის ზზზიარებავ, გენაცვალოს ჩჩჩემი თავი, მოდი, ეხლა თითო ჭიქა ერთად გგგამოვტოვოთ!.. ძძძირს ლოთობა!.. „დდდალოი"!!! არ გვინდა, „ნინადა ბოლშე პიანსტვაა"!!!

— შენ კი გგგენაცვალე კარტიჩკა საზეში, პრავილნა გავარიშ: გამოვტოვოთ თითო ჭიქა!..

გამოსტოვეს თითო. მერმე ერთად დალიეს, მერე—კიდევ გამოტოვეს, მერე— ისევ დალიეს და, ნახევარ საათის შემდეგ, სავლე მაგიდის ქვეშ პირქვე ეგდო, ხოლო პავლეს მიებჯინა თავი კედელზე, ერთი ფეხი სკამზე ედო, მეორე კი სავლეს ზურგზე და ორივენი ბეჯითად ხვრინავდნენ...

— ადექით, თქვენ ოჯახქორებო, სახლში წასვლა აღარ გინდათ? შუა ღამეა, დუქანი უნდა დავკეტო— გაიძახოდა მიკიტანი და ხან ერთს ანჯღრევდა, ხან—მეორეს..

პავლე და სავლე ბარბაცით სახლისკენ მიდიოდნენ, გზაში კი ორივეს ერთი და იგივე ფიქრი აწუხებდა: „ყველა სადღეგრძელოს შემდეგ თითო ჭიქას ვტოვებდით და როგორ მოხდა, რომ ასე მაგრად დავითვერით"-ო.

ჭინკა.

# კომბლე და ტარტაროზი სახკინმრეწვში



— ამხ. კომბლე, როგორც ხედავ, კოტე მიქაბერიძეს რეჟისორობა დაუწყია კინოში. უნდა ითქვას, რომ მასზედ დიდ იმედებს ამყარებენ!..

— ჰაი, რატომაც არა, თუ რომელიღაც ზღაპარში „ჭრიჭინამ აქლემის კვერცხი დასდო"!..

თითო-თითო

# „ახალი ამბავი“ ქარხანაში

„ჯლან-მპალ“ ტრსტის ქარხნის მილში
დაუბერა ქარმა მძლავრად,
და ბრძანება ჩამოაგდო,
მოდიოდა რაც რომ მგზავრად,



რომ ამ ქარხნის დირექტორად
ეუწყნა მას მოსვლა ახლის!
(ძველი უკვე ავად გახლდათ,
ბინადარი ან გამსახლის!..)
— ოი!.. ჰოი!.. ო-პო-პო-ი!..
ასტყდა ერთი ბჭობა—დავა
„უპრავდელმა“ რომ დაიწყო,
შიკრიკმა არ მოათავა...
დამლაგებელ ქალის ჩოთქს კი
დარბაზიდან, ვით ნაგავი,
კარით, კიბით თუ დერეფნით
შორს, შორს გააქვს ეს ამბავი...



გადაცურდა დიდ-პატარა,
გადაცურდა დიდ-აპატარა:





და შეიქნა ფაცი-ფუცი,
ასტყდა ერთი „მაცა-მაცა“:
„უპრავდელმა“ საქმე შეჰკრა
და მოლარემ დაჰგვა „კასა“.
მემანქანემ სკამს დაჰფინა
ბალიში და ზედაც—პირი,
ბუჰგალტერმა ჩოთქს თუ წიგნებს
გადაჰფერთხა ყველგან წვირი...
და ფიქრებში დამლაგებელს
წამოედო ჩოთქზე ვედრო,
რაც იქ მოხდა მაშინ, ღმერთო,
გთხოვ: კვლავ არსად შემახვედრო!..
და სიწყნარე რომ ჩამოდგა;
ცას ნისლი რომ გადეყარა,

ბუჰგალტერმა დირექტორი
წინ მკაცრ ვინმედ დაისახა,
ცხვირი განზედ წაუვიდა,
ჩიეწურა ყელში ხახა...
მემანქანეს დირექტორი
წარმოუდგა კოხტა ვაჟად
და ტუჩებზე სალებავი
გადაისვა ვნებით ნაზად!..
დამლაგებელს... ოი, ღმერთო.
ამოაგდე მისი თავი!..
მისგან მოდის ყველა ჭირი,
ყველა სულის სახუთავი...
ახლაც ასე: ჩოთქის ტარით
რომ მოზნიქა ყური ცოტად,



მემანქანა დირექტორი
წარმოუდგა კოსტა ვაჟად



დერეფანში კედლის გასწვრივ
ჩაირაზმა ყველა ერთად.





წარმოუდგა დირექტორი
მთად: სპილოდ თუ ბეგემოტად!.
აღარავინ აღარ დარჩა
ოცნებაში გადუსვლელად,
კვლავ დღე— და აქ აღარავინ
დარჩებოდა შეუშლელად.
რომ უეცრად ქარხნის ბჭის კარს
ჭრიალი არ წამოეწყო
და შიკრიკსაც— „მოდის"!.. „მოდის"!..
დაძახება არ მოესწრო...
დერეფანში კედლის გასწვრივ
ჩაირაზმა ყველა ერთად,
გაინაბენ, გაირინდენ,
შემოსულის შესახვედრად!..
— ვინ? რა? საით? სადაური?
რა სახელი ან რა გვარი?!
ყველა ამ გვარ საკითხებით
იყვენ, იდგენ გულდამწვარი.

რომ კარები შემოაღო,
შემოვიდა ვიღაც „კემპკით",
მოდის და გზას მოითოკავს
იატაკის გრძლა-გრძლად ტკეპნით
მაგრამ... ეს ხომ... ეს ვინ არის?
დირექტორი?!. იქნებ მისი
შიკრიკია ან მდივანი,
წინ-წინ საქმის შემატყვისი?!
მაგრამ... მაგრამ... რისი მაგრამ?
ეგი არის, სწორედ ეგი!
ჯერ ერთი რა ჯუჯა არის?
მერე კიდევ —რა რიგ შლეგი?!.
„უპრავდელი" წინ წამოდგა,
თითქოს უნდა მიესალმოს,
ბუჰგალტერი უკან ჩოჩვით
მიისწორებს ტანისამოსს...
რეგისტრატორს მემანქანეს
აეპრუწათ ორთავ ტუჩი
და იდგენ, ვით საძძიმარზე,
განცვიფრებით განაყუჩი!..
დამლაგებელ ქალს კი მხოლოდ,
ეზიდება ვინც სულ ნაგავს.
არ უკვირდა და გულმშვიდათ
ხვდებოდა ამ „ახალ ამბავს"!..

ჭაზირა.

# კრების გამოცოცხლება

ხელოსანთა ადგილობრივი კავშირის თავმჯდომარემ ჩერჩეტაძემ ასეთი მოწერილობა მიიღო სამაზრო კავშირიდან: „წინადადება გეძლევათ ყოველგვარი ზომები მიიღოთ ადგილობრივ ხარაზების და სხვა ხელოსნების კავშირში შესაყვანად და მათ შორის მუშაობის გამოსაცოცხლებლად“.

— ოღონდ მაგის მეტს ნურას დამავალებთ და გამოცოცხლება ადვილია.— გაიფიქრა ჩერჩეტაძემ და შეუდგა საქმეს.

იმავე დღისთვის ჩერჩეტაძემ დანიშნა საზოგადო კრება და შეუდგა მზადებას. მდივანს უბრძანა: ეშოვა სადმე ჟესტის ძველი ჩაინიკი და მოეყვანა კატა.

ისე ცოცხლად უნდა ჩავატარო კრება, რომ ხალხი სიცილით იხოცებოდეს.— გადულაპარაკა მდივანს და, მასთან ერთად, შეუდგა დღის წესრიგის გამომუშავებას.

— აბა, დაწერე,— უბრძანა მდივანს.— პირველი საკითხი იქნება „მიმდინარე საკითხები“. მეორე—„არა მიმდინარე საკითხები“. მესამე— „მოხსენება ჩვენი კავშირის შესახებ საზოგადოთ“, მეოთხე— „მოხსენება ჩვენი კავშირის შესახებ კერძოდ“. მეხუთე—„ათი-ათასი წყვილი ჩექმის დამზადების და ინგლისში გაგზავნის შესახებ“...

— მოითმინეთ,— შეაწყვეტინა მდივანმა,—ჯერ ერთი, ათი-ათას წყვილ ჩექმას ჩვენი ოცი ხელოსანი როდის დაამზადებს და მეორეც ისაა ინგლისი რა შუაშია?

— სწორეთ მანდ არის საქმე. სწორეთ ეს გამოაცოცხლებს კრებას. ასტყდება აურ-ზაური და ჩხუბი. ზოგი მხარს დაუჭერს, ზოგი წინააღმდეგი იქნება და კრება ცოცხლად ჩატარდება. სამაზრო კავშირიც ამას მოითხოვს ჩვენგან. აი, წაიკითხე,—და თავმჯდომარემ გაუწოდა სამაზრო კავშირის მოწერილობა. მოიწვიეს კრება. ყველა თავის დროზე გამოცხადდა. პირველი ოთხი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა თვით თავმჯდომარემ, რომელიც გაკვირვებული იყო, რომ კრება ასე „ჸულგანაბული“ უსმენდა. მეხუთე მოხსენების დაწყებას აპირებდა, რომ აქეთ-იქიდან ხვრინვა შემოესმა. გადაჰხედა— ყველას ეძინა.

— ეხლავ გამოვაცოცხლებ კრებას!— ჩაილაპარაკა და მდივანს გამოართვა ტომარა.

თვალის დახამხამებაზე ტომრიდან გამოვარდა კატა, რომელსაც კუდზე ჟესტის ჩაინიკი ჰქონდა მიბმული და დაფეთებული ხან ერთ მხარეს ეცა, ხან—მეორეს.

ყველას გამოეღვიძა, ასტყდა ხმაურობა და სიცილი, ვილაცა კატას გამოედევნა დასაჭერად, ერთმა დაიძახა „პაჟარი“ არისო და ათიოდე კაცი გადმოხტა ფანჯრიდან, სანიც ერთი- მეორეს წაეკიდნენ: „შენ იზამდი ამ ოინსაო“.

თავმჯდომარე კმაყოფილი იყო კრების „გამოცოცხლებით“ და მდივანს წინადადებას აძლევდა მეორე დღისათვის სამი კრება დაენიშნა: დილისათვის, შუადღისათვის და საღამოსათვის.— „თუ საჭირო იქნება, შეიძლება მეოთხე კრებაც რიგ გარეშე მოვიწვიოთ შუაღამისათვისაო“...

შოლტი.

# „სახმედვაჭრობიანი“

ამბავი ესე ქართული, თბილისში წარმოშობილი,
„სატარტაროზოთ“ გარდავქმენ, საქმე ვქენ კეთილ-შობილი.
ამბობენ: „პროლეტარებო, შეერთდით, ყველა ქვეყნისა“,
„სახმედვაჭრობის“ „აპტეჩნძ დელოს“ აღარა ელირსა.
ყველგან აერთებენ საქმეს, აქ კი გათიშვები ხდება,
„აფთიაქის სამმართველო“ მალე ოცი შეიქმნება!
თბილისში თუ ერთი იყო, ეხლა მაზრებს მოუნდება
„კახეთიას“ თუ არგუნეს, ალბად, „ეფი დაუჯდება“.
აპარატის შემცირება „გოსმედტორგმა“-ც ჩაატარა,
მაგრამ „სპეცთა“ დათხოვაზე ფარას ფარა დააფარა
საწყობშიდაც შეამცირეს ბევრი ძველი მომუშავე,
ძველ გამგესთან „კარგათ იყვენ“, ალბად, ახალს „დაუშავეს!“
„პროტექციის“ ბარათებმა ახლებიც „წამოაყენეს“
და საწყობის ფართე ეზო შეამკეს და დაამშვენეს.
წარსულ კვირას ადგილკომი ინსპექტორთან საუბრობდა:
ზედმეტ საათებისათვის დამტკიცების დასტურს სთხოვდა.
რეზოლიუცია გულისხმობს ათას ექვსას ზედმეტ საათს,
შემცირებული პირები ატეხავენ აქ მასლაათს.
„გოსმედტორგპრომს“ შეუძლია შეამციროს რწმუნებული,
აქ შეკვეთებს არ მისცემენ თუნდ იყვნენ შეპირებული,
ვაჭრობისთვის ხარჯებისა არვარგია შემცირება,
ამიტომაც საჭიროა მოსკოვში გასეირნობა.
მიავლინეს უკვე კაცი, ერთის ნაცვლად, თურმე —ორი,
ნუ გგონიათ რომ მე გითხრათ ამ საქმეზე რამე ჭორი.
„გლავბუხმაც“ გაისეირნა ამ სეზონის დასაწყისში,
ახალციხე— აბასთუმანს“ მივლინების ანგარიშში.
მისი თუ კი გაატარა სათანადო საბუთებით,
სხვასაც აღარ დაატყვილებს ცოტა ოდენ მოთმინებით
კომპენსაცია იჯიბა „ამხანაგურ მოხერხებით“,
მოვითმინოთ და დანარჩენს მოკლე დროში მოვესწრებით.
აჰა, ამბავი ნამდვილი, ხელი-ხელ საგოგმანები
„ტარტაროზ“, დასცხე ძამია, არა გაქვს „საჭოჭმანები“!

„დააყე ვერანო“.

# ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე

(კახეთის მაზრა).

საღამოა. კლუბის ეზო ელექტრონით ბრწყინავს.
რა ვუყოთ, თუ ეს არ მოსწონს მიშიკოს და ზინას?!
უკრავს დოლი, დაფა-ზურნა დიპლიპიტოს ხმაზე,
წარმოდგენა აქ იწყება ღამის თორმეტ ჟამზე.
შეგიძლია აქვე ნახო ბალეტი და კინო,
ითამაშო ლოტო, ნარდი, შაშკა და დომინო,
რეჟისორი დღეს ერთია, ხვალ კი ველით ახალს,
ვნახოთ, ის თუ მიიზიდავს და გამოსცვლის ამ ხალხს!
აქ ასეთი გემოვნება აქვს მდიდარს და ღარიბს:
ბლომად თუ დაესწრებიან მხოლოდ „აშულ-ყარიბს“!
ვიწრო ეზო ველარ იტევს მოსეირნე წყვილებს,
კონცერტი სულ დაავიწყდათ მოხუცს თუ ყმაწვილებს,
აქ არიან, სხვებთან ერთად, საქულა და გივი,
ხშირად აქვე იმართება დიდი მუშტი-კრივი,
წერწეტი კვასის ბოჭკივით კარაპეტას ქალი,
ისე ცმუკავს და ბაჯბაჯებს, თითქოს იყოს მთვრალი!
სირანუშას უპოვია უკვე მყუდრო ჩრდილი,
თავის რაინდს ეუბნება: „შემიხსენი ლილი!“
ბედი გვწყალობს, როგორც ხედავ, აქ „საკმაოდ ბნელა“
ჩავიძიროთ განცდის ტბაში ჩუმათ, ნელა-ნელა...
განმიკურნე, დაკოდილი გული ისევ მტკივა,
მომეხვიე, გენაცვალე: მცივა, მცივა, მცივა!..“
გული ტოკავს, როცა ვხედავ მე ამნაირ სურათს,
მაგრამ ჩემზე არვინ ზრუნვას და ვარ მარტო, ჩუმათ;
მაგონდება ჩემი ცოლი, მისი გრძელი ხცვირით,
აგარაკზე რომ გაგვგზავნე დატვირთული ვირით.
რაც გამაჩნდა, გაუგზავნე, თვით დავრჩი მშიერი,
მაგრამ მაინც ვერ გავხადე ბედის მადლიერი!
და გულს იქვი გამიკაწრავს, იჭვი საოცარი
ვაჰ! თუ კიდეც მიღალატა, სხვას გაუღო კარი?..
ამ ფიქრებით დათენთილი ოთახისკენ მივალ,
სადღაც ძაღლის ყეფა ისმის და მამალი ყივა...

ლანდელი.

# ძალად მაცხონე



— ჩემო ღვთაებავ, მალე გავტარდეთ „ემაჩ“-ში, მეტის ატანა აღარ შემიძლიან!....

— ჰო, ჩემო სულთამხუთავო!.. (თავისთვის): ეგებ მაშინ მაინც შევსძლო განქორწინება, რომ ცოტათი მოვისვენო ამისაგან!

## ოზურგეთისათვის

ბაზრის ქვემოდ, ჩასავალთან
არის რაღაც ფულის მახე,
ტარტაროზო, თუ არ გჯერა,
მოდი შენ და თვითონ ნახე!
აქ ყოველდღე თავს იყრიან,
ისმის: გაჰკარ, გაჰკარ, ბიჭო!
„შარი ექვსაში გაარტყი
რას უყურებ, შე უნიჭო“?!.
ხშირად ნახავთ სოფლის გლეხებს
აქ წანაგებს და ატირს...
მიკვირს: კოტე გურგენაძე
რად არ ასდევს ამ ხალხს ალვირს!..
„ეპოს“ სასადილო, ძმაო,
კარგად არის მოწყობილი,
კარები აქვს ძლიერ ვიწრო,
ქალამნივით მოკოპწილი...
გამგეც კარგი ბიჭი არის.
ფეხებ-ფხრებში ზორბა და მოხული,
საჩივრის ყუთს თვითონ რომ ხსნის,
ამაზე ვართ გულმოსული!
ქალაქის სამკითხველო ხომ,
ყველა ხედავს, გამოცოცხლდა:
მკითხველები რომ შედიან,
დაიწყება მაშინ „ცოცხვა“.
პასუხს მოგვცემს ქარცივაძე
არ დაგვრჩება, ვიცი მორცხვად!..
პროფკლუბმა კი
(მსურს რომ არ ვთქვა)
მოგვაჩვენა თავი დიდათ:
ქხეირო კინო ლენტი
გაასაღა ერთობ მშვიდად!
(რაც ვერ გადის ქალაქებში,
აქ საღდება იგი ხშირად,
კაკო ელენტი ამ მოვლენას
აღარ აგდებს არცა ჩირად!)
სხვა რაღა ვსთქვა, ტარტაროზო,
ისეც გვყოფნის გასაჭირად!..

იუმორტარკორი.

## სოფელი ჭალა (ოზ. მაზრა)

ტარტაროზჯან! მსურს მივიპყრო, ერთხელ კიდევ თქვენი სმენა
ჩვენი ხალხი სულ გაფუჭდა, დამიკარგა მან მოთმენა.
აქ მყოფ მოხუც ახალგაზრდებს, თურმე ედგათ მაგრად ძირი;
მაგრამ დღეს კი „მოშოდულდენ“, აღარა ჰყავს ქალას გმირი.
მასთან ჩვენ ხალხს აღარ სწყალობს, არც გამჩენი, აღარც ღმერთი;
მუდამ დღეა აქ ყვირილი: „ნარდი“—„ჩაქა“—„ოცდაერთი“.
„ფულის ტრიალს“ თუ იკითხავთ: ჩერვონეცი ცივა მალე;
„კოზირად“ ყველა იძახის: ჰა! დინერი, გენაცვალე!..
ბევრი ყვირის აქეთ-იქით: ვაჰმე, ბიჭო, მე წავაგე,
„ას თუთხმეტი“, რომ გაველი, დავიწვი და დავიდაგე.
ლადიმემ კი დღეს მოიგო, მისი ოფლით ერთი ათი;
მიშამ, ვანომ და ისაკიმ კი წააგეს ოცდაათი!..
ასე ცივა აქ ფულები, როგორც სეტყვა, როგორც ქერი;
მაგრამ ამ ხალხს არ ეცვალა, არც ჯიბე და არცა ფერი.
მწარე ოფლით მოპოებულს კარტში ყრის და ყვირის „ტუზი“;
თუ არ ყოფნის იძრობს ყიდის, შალვარია—ის თუ ბლუზი.
ჯერ ამ ხალხზე არ გაჭრილა არც თხოვნა და არც ბრძანება;
რევოლვერს და თოფის ტრიალს ხომ არ უნდა, აბა ნება!
ტარტაროზჯან, იქნება შენ გაასწორო აგი ხალხი,
თორემ უნდა შევიკეროთ ტანზე ყველამ შავი— თალხი!..

„ქაჟი“.

## ლელვან-მარილისი

მარელისის სატყეოში თანაშემწედ წოდებული,
საქმით ბიუროკრატი, მოღვაწეა ჩინებული.
კაბინეტში ინახულებთ სავარძელში გაჭიმული
გლეხებს ლანძღავს და უყვირის, ხვდება შექანჯალებული,
უცხო ვინმე არ გეგონოსთ ცერცვაძეა ჩვენებური!
საქმეს ისე გაიმასქნის, როგორც დაქიაქებული,
ერთხელ აზრათ მოუვიდა რაღაც საქმე დიდებული,
ღრმად ჩაფიქრდა ჩვენი „კაკო“, შუბლზე ხელებმიდებული,

სწრაფად პლაკატი დასწერა საჯაროთ გაშუქებული,
კვირაში ერთ დღეს მუშაობს თანაშემწედ წოდებული,
გლეხობა შორეული მხრით მოსული ყავს მიგდებული,
ბილეთს სთხოვს კაბინეტის წინ შესცქერის მიკვდინებული.
ცოლს ვერ სტოვებს ჩვენი კაკო, სილამაზით მოხიბლული,
რაიონებს ვერ ნახულობს, არის განადგურებული.
ერთხელ გამგეს წარუდგინა მან თავის ულტიმატუმი:
„სახლი მინდა ავიშენო, ხე-ტყე მომე ჩინებული!“..
ოთხი რონოდა მასალა თბილისს სდღუზა დიდებული.
ასეთი კომბინაციით ზის ჯიბე-გასქელებული.
გამგე სდუმს, რადგან ცოდვები მასაც აქვს ვლინებული,
ამ გმირის ნამოქმედარი არ არის ჯერ მხილებული,
სადაც არის, აღმოჩნდება საქმე გამოჩინებული,
და საზოგადო ქონება მათგან გამოტყვენებული!..

„ულუნი“.

# ეშველა



— საითკენ მიიჩქარი კაცო?
— განცხადება უნდა მივსცე... ჰამქლაპვტრესტის დერექტორს ცოლი გაყრია; ალბად დაითხოვს ყოფილი ცოლის ყველა ნათესავებს, და ადგილი თავისუფალი იქნება!..

## „ზაკტპო"

მე შემთხვევით ძირულაში
ერთი კვირით ჩაველი,
და სახლიდან სადგურის წინ
საქმისათვის გაველი.
ძირულაში სადგურის ახლოს
ბუტკა არის ზაკტპო,
საცოდავათ, უპატრონოთ
დაუკეტავთ მარტო.
გარედ ხალხი ბევრი უცდის
მივემატე მეცა,
მისვლისთანავე წამს თვალებში
განცხადება მეცა.
ზედ ეწერა: ერთ საათით
მე მივდივარ ფოსტაშიო
და მუშტრებო, ტყვილ-უბრალოდ
ნუ დამიცდით მანდ, კარშიო".
ვიკითხე და—„ვინც ეს სწერა,
იმას ქვია კოლიაო,
უყვარს ჯდომა და ქეიფი
სადაც კარგი მოლიაო!.."
და მართლაც რომ არ მოვტყუვდი,
კარგი არის მეტად ესა:
ჩხერიმელას ნაპირიდან
ბარიტონის ხმა მომესმა.
გავიხედე დავინახე:
სამი მეტრი სიგრძით კაცი,
ეტყობოდა უმნიშვნელო
ბახუსისგან მას ბარბაცი.
მაშინ მითხრა იქვე მდგომმა:
„აი, ძმაო, კოლიაო,
ჯერ ასეთი ჩვენ ძირულას
ერთგულიც არ ყოლიაო!..."

საგინ-შტეინ.

## ლანირ-ქუტირი

თემს ლანირ-ქუტირს ბიკენტიმ
წყალი აშხურა, ანამა,
სჯობდეს, არ გყავდეს მესაჭე
ან მოგკლავს ამისთანამან.
გემოზე იცის ცხოვრება,
ჯამაგირების ჭამა მან,
გულში ღიღინებს: „გლეხობა
არჩიოს მხოლოდ ჩალაჰან!".
შვიდი წელია, რაც სკოლას
დაუწყეს თემში კეთება,
მისთვის არავინ არ ზრუნავს,
მითხარი: რა გაკეთდება?
დაობლებული კედლები
საბრალოდ იცრემლებიან,
მაგრამ ქვითინი იმათი
გულში არავის სწვდებიან.
არც გზა, არც სხვა რამ, უნდა
ვსთქვა,
იქ არ კეთდება, ბიძია,
(რუხაძე ჩვენი ბიკენტი
ტანადათ კარგი ბიჭია!).
ვსთქვათ, გლეხი მასთან მივიდა,
სურს ჰკითხოს რამე საქმეზე,
ის მყისვე გარეთ გაპოვა,
სხვას მიადენის სათქმელზე.
ყოველ წელს აგარაკზეა,
საქმე ფუჭდება ძალიან,
(ან იმუშავე, ბიკენტ-ჯან,
ან გადადექი, ძამია!).
იქვე აღმასკომს ამშვენებს
ქონ-სამკითხველო „რჩეული",
თვალი მომიკრავს, იმაში
თხებია შემოჩვეული!
„ზედმეტი კითხვით" გლეხობას
თვალები დაუავადდა,
გამგის ბრალია ეს ცოდვა,
ცხადია, თავის თავადა!
წრეები ერთიც არ არის,
არ არის საბუთიანი,
(გამგეს რომ წელსა უმშვენებს,
ფიშტოა სამ ფუთიანი!).
ეხ! სამკითხველო, ჯანდაბას!
ეს ხომ საქმეა „პატარა",
საქმე ისაა, ნოქარმა,
ზაფხული როგორ ატარა:
იქ კოოპერატივს განაგებს
ჩვენი რუსაძე პართენა,
სინდის ვფიცავ, არ მინდა,
ცუდათ ამ ბიჭის-წახდენა.
გლეხები ძლიერ დაგვიფრთხო,
შესძულდათ კოოპერაცია,
ხონს ვეკითხები ეპოში:
რათ გინდათ თქვენ ეს კაცია?
გაჰკივის როგორც საყვირი,
(სიცხეა, თორემ არ იზავს,
რაა არის აქ გასაკვირი?!).
რევიზია რომ ეახლა,
პართენს ეცვალა ფერია,
გაფლანგვა აღმოაჩინეს,
მაგრამ ეს არაფერია!.
რალაც ოთხასი მანეთი
მითხარ: რა დანაკლისია?
(რათ დაემართა, ნეტავი,
რომ არ უყვარდა ნისია!?).
პართენს გაფლანგვა ეხება,
მითხარ რა ჩემი ბრალია?
სჯობს აფთიაქში შევიდეთ,
ვნახოთ ქვიტირის თვალია!
სალამი, ჩემო ავქსენტი.
როგორ ბრძანდები, პაპაშა,
რათ დააშინე, თუ ძმა ხარ,
ქეთო, პელო და ნატაშა?
ასე ამბობენ, ვითომ შენ
ენა გაქვს მეტად მყრალია,
ლანირ-ქუტირის გლეხობა
რათ არის შენზე მწყრალია?!.
ბოდიშს მოვიხდი, ავქსენტი,
არ გაწყენიებ აწია,
ყურის აწევა რომ გინდა,
ეს შენც ქე იცი პაწია!
კარტის თამაში ქვიტირში,
ეს უძლეველი სენია,
ბაზარში ყველა თამაშობს:
სამსონი, ლექსო, ქსენია.
არ შევაჩერებ სიმღერას,
ბოდიში ლანირ-ქუტირო,
ენა არ მიჭრის, გონება,
რომ უფრო კარგათ გიტირო.
შიხლინსკი ბომბ.



სურათი, რომელიც უწარწეროთაც გასაგებია;.

## ცხადი დანაშაული

მსურს აწი არ გავაჩერო
ჩემი წითელი კალამი
პირველად მინდა რომ გიძღვნა
ტარტაროზ ჩემი სალამი!
პირველად ვნახოთ გიორგი,
ბელთაძე არის გვარათა,
შეძლებულისა შვილია,
ცხადია თავის თავათა!..
შვიდ წლედში მასწავლებლადა,
საბჭოს წევრათაც თემშია,
გლეხკომის მდივანიც არის,
თუ სინდისია ჩემშია!
კომკავშირისა წევრათაც,
მანდატიცა აქვს ხელშია,
გაბმული არის გიორგი
სხვადასხვა საქმის ქსელშია!
ადგილ-მამული ბევრი აქვს,
სახლიც ძვირფასი, ოდისა.
და სამოსახლო ადგილი
კიდევ მას ერგო ფონდისა!
ასეთ შეძლებულ პირებსა
ადგილს აძლევდეს როდისა?
მაგრამ ეს, როგორც თქვენც ატყობთ,
საქმეა „ძმა ბიჭობისა!"
გიორგი მასწავლებელსა,
როგორც რომ საბჭოს წევრია,
მას განცხადება, ზვიადი,
სიდინჯით დაუწერია.
მიწის სექციის სხდომაზედ
გაჩნდა გიორგის „მცველია",
შემდეგ კი საბჭოს გადასცეს,
რაც წესით სასურველია.
მაგრამ გიორგის ძმა-ბიჭთა
გლეხები იცვნეს არიფად,
გიორგი დახასიათდა
საბჭოს წინაშე ღარიბად!
მისცეს გიორგის ადგილი
საბჭოის მითითებითა,
მაგრამ თვითონ კი დასახლდა
სხვაგან თავისი ნებითა!..
გზის პირას წამოიჭიმა
ორ სართულიანი ოდითა,
ხალხშია აურ-ზაური,
არ გჯერათ? ნახეთ, მოიდთა!
წინეთ გლეხები ითხოვდენ
იქა ადგილს სამოსახლოსა,
საინტერესო რამ არის
და თანაც ბაზრის ახლოსა!
გლეხებს არ მისცეს ის მიწა
და უთხრეს ყველას ვარია,
ასეთი უწესრიგობა
ცუდი რამ საწინდარია.
ამიტომ, ძმაო ტარტაროზ,
თუ არ დაჯდება ძვირია,
აუცილებლად ამ მთებსაც
თქვენი ჩანგალი სჭირია!
ეხლა კი, ჩემო ტარტაროზ,
თუ არ მიწოდებს მასხარას,
შემდეგში კიდევ მოგაწვდი
საუკეთესო მასალას!

**შაშიჩარი.**

## საჭამიასერის რაიონი

(გურია)

—:—

ტარტაროზჯან! რაკი ერთხელ
გაიცანი ჩვენი სერი,
უნდა სრულად მოისმინო,
რაც აქ ხდება ყველაფერი.

—:—

თუ აგენტი გამოგზავნო,
სურდეს მას, რომ სერი ნახოს,
მატარებლით წამოსულმა
არ გასცილდეს საჯევახოს.

—:—

კოხნარში ხომ მეც დავხვდები,
დავისვენოთ ცაცხვის ჩრდილში,
მოვიმარჯვოთ ჩანგალი და
მივაღიროთ კოლექტივში!

—:—

აქ ხომ კოლექტივი არის,
სახელწოდებული „ვაზის",
ვხედავ კოლ-მეურნეობას
კულაკების დაღი აზის!

—:—

დღიურ ქირით ამუშავებს
ღარიბ-ღატაკ კერძო პირებს,
მაინც ვაზი, აქ ნამყენი,
გაცოცხლებას არ აპირებს!..

—:—

ამისათვის ჩანგალი ვსცხოთ:
სერგოს, გაბოს და ვალიკოს,
რომ კოლ-მეურნეობაში
კვლავ კულაკი აღარ იყოს!

—:—

ეხლა მარჯვნივ მოვიხედოთ,
დავინახავთ რაღაც კარავს,
ეჰ, ცუდია, რომ მდიდარ თემს
სხვა თეატრი სახლი არ აქვს!

—:—

აქ გვეყოფა დასვენება,
ავდგეთ, შევყვეთ უფრო ზევით.
გავლილ თემთან შედარებით
აღარ გაკვირდებით გზებით!
შევალთ საჭამიასერში,
რომ წამოჭიმულა გორზე.
იქ სტუდენტებს შევეყრებით,
უკეთესებს ბარე ორზე.
მათი საქმე ღვინის სმაა,
ცემა-ტყეპა, მუშტი-კრივი,
საძნელოა მათი ხვედრი
ამ დროში და მიტომ ვჩივი!

—:—

ამ გვარ ქცევით გულ ნატკენი
გლეხი ამბობს: სულს რად
გვწვედიდით?
გინებას და თამადობას
სახლშიაც კი გასწავლიდით"!

—:—

ფოსტაშიდაც შევიაროთ,
ფრთხილად არ დაგვენგრეს თავზედ!
რა ქნას გამგემ, თუ არავინ,
ყურს არ იპერტყს მის თხოვნაზე!

—:—

ფოსტის შემდეგ ორგანოსაც
მოვუღეროთ ჩანგლის წვერი,
აღმშენებლობის ხანაა
და გასწორდეს ყველაფერი!..

**მოსკიტი.**

# ოზურგეთი

(დეპეშები)

### მდგომარეობა ბაზარზე

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ ზაფხულში, აქაურ სანიტარულ კომისიას სათავეში მოექცა ბაზრის ოიხფეხთა რაზმის შტაბი (ანტი სანიტარული კომისია).

ამ დღეებში „შტაბის წარმომადგენელმა“ პრესის უახლოეს თანამშრომელ პ.ი-თან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა: „ამჟამად ჩვენს რაზმსა და ორფეხა ცხოველებს შორის ნორმალური კავშირი არსებობს. მართალია, რამოდენიმე გათავხედებულ მილიციელმა დაარღვია ჩვენი პროგრამა და უხეშად შემოიჭრა ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ ჩვენ მათ იარაღი ავჰყარეთ და ხელწერილი ჩამოვართვით ამხ. ლავრენტის იმის შესახებ, რომ მათი მილიციელებისაგან ჩვენ შემდეგისათვის უზრუნველყოფილი ვიქნებით. ასეთივე ხელწერილი უნდა დავადებინოთ აღმასკომს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მათ ავიკლებთ. ამ მოკლე ხანში განზრახული გვაქვს ვაჭრებთან დავსდოთ ხელშეკრულება, რომლის ძალით სურსათ- სანოვაგისა და ხილეულობის დაცვას და მათ რეალიზაციას ვკისრულობთ ჩვენ. განკარგულება მიეცა ვაჭარ ს. ჯა—ელს, რომ მისი მაღაზია, რომელიც უკვე „**გამოხინკილებულია**“ გადასცეს ჩვენს რაზმელებს საერთო საცხოვრებელ ბინათ. დასასრულ— ამბობს შტაბის წარმომადგენელი— ბაზარზე, რომ ხილეულობის გასაღება ვერა სდგას თავის სიმაღლეზე. ეს იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ მთელი ეს ზაფხული მოვანდომეთ საზამთროს მარაგის გასაღებას, რომელსაც ჩვენს რაზმელებს გარდა, არსად გასავალი არ ჰქონდა.

### პროფბიუროში

ოზურგეთის პროფბიურომ ზედა ბაღში კეგლის ასაგებათ გადასდო 000289 მან. მაგრამ კეგლის კონსტრუქციის შედგენის დროს მხედველობიდან იქნა გაშვებული კეგლზე მისასვლელ ჭიშკრის აგების საკითხი. ეს მდგომარეობამ მოთამაშეებში. განსაკუთრებით— ქალქაში, დიდ უკმაყოფილებას იწვევს, რადგან შეუძლებელია რეშოტკაში გაძრომა ისე, თუ უკანიდან ვინმე მძლავრად არ **გაწვება**.

პროფბიუროს განზრახული აქვს აგრეთვე ახლო მომავლისთვის დაამზადოს „სუნიანი“ გაზის საწინააღმდეგო მარტივად სახმარი ნიღაბი, რომელიც თამაშობის დაწყებისთანავე ყველას უნდა ჰქონდეს გაკეთებული მხოლოდ და მხოლოდ ცხვირზე.

თამაშობა სწარმოებს ყოველდღიურად. შარის სროლაში პირველი ჯილდო მიიღო სიმკოპ-მა, რომელიც ერთ „პრომახს“ არ აკეთებს. მეორე ჯილდო ერგო სოსმას-ს, მესამე კი გიორსალ-ს.

### მინერალური წყლების საკითხები

როგორც გაზეთებში სწერდნენ, ნასაკირალის ხეობაში აღმოჩენილ მჟავე წყლის დირექტორად დანიშნული იყო ამხ. **მიხ-ნიკ-ი.** მაგრამ დირექტორმა ხსენებულ წყლის საქმეში, (ალბათ, იმისათვის, რომ ის მაგარ სასმელებზე იყო უფრო დაჩვეული) დიდი ბიუროკრატობა და გულგრილობა გამოიჩინა, რისთვისაც მას ჯანმრთელობის განყოფილების მიერ გამოეცხადა საყვედური და გადაყენებულ იქნა. დირექტორობის ახალ კანდიდატათ წარმოყენებულია ექ. **გრიშკუნჭი**, რომელსაც მინერალური წყლების საკითხები. დიდათ აინტერესებს და რომელიც მაგარ სასმელებს მაინცა და მაინც არ ეტანება.

### სოფლების წყლისაგან წალეკვის გარშემო

ბოროტი ენები სისინებენ, რომ ქუქის წყალი დორბლებს ჰყრის პირიდან და განრისხებულია ინჟენერ ჩეხოვზეო. თურმე ჩეხოვს დიდი ხნიდან განზრახული აქვს ხელი შეუშალოს მის ნავარდს და აღვირახსნილ თარეშს ახლომახლო მდებარე სოფლებში. ქუქის წყალი ერთხელ და უკანასკნელად მოაგონებს ინჟ. ჩეხოვს, რომ მან ხელი აიღოს ისეთ „საფუძვლიანი“ დამბის კეთებაზე, რომელსაც თითქოს შეეძლოს მისი ალაგმვა, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი განრისხებული ტალღა გადმოქნეული იქნება ჩეხოვის მიმართულებით.

### ქრონიკა:

**დაზღვევა.** ოზურგეთის მემიმინოეთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა სახდაზღვევის განყოფილების წინაშე მათი კაპუეტების დაზღვევის შესახებ, რადგან მოსალოდნელია ჩაზამთრების პირად მათი უგზო-უკვლოდ დაკარგვა ანუ ტრაღიკულად დაღუპვა.

**ტყეების დაცვა.** ძიმით-მამათის ტყეების დასაცავად აღმასკომის თავმჯდომარეს, გიორგი მგელაძეს, წინადადება მიეცა: შეიძინოს რამოდენიმე ათეული ცული და სხვა საჭირო იარაღი აკეთლების და ფაფასკურის ხალხის შესაიარაღებლად.

**ნალების კრიზისი.** ვინაიდან ქალაქში არსებულ სამჭედლოებში დამზადებული ნალები არ ჰყოფნის მილიციის ცხენებს ლეხოურის ქუჩაზე დასაცვეთად, ამისათვის კომუნალურ განყოფილებას მიმდინარე წლისათვის განზრახული აქვს სამჭედლოების რიცხვის გადიდება.

**ფოსტაში.** სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების მიზნით, ოზურგეთის ფოსტის განყოფილებამ ნება არ დართო ფოსტალიონებს, რომ წერილები და გაზეთები კუთვნილისამებრ თავის დროზე ჩააბარონ.

**ტრისტანი.**

## შეურაცყოფილი



— **წამოდი, ისადილე, გეყოფა ვარჯიშობა, ჩემო სპარტაკო!**

— **თუ იმ სპარტაკად მგულისხმობ, რომელიც „ვუფ-კუმ“ თავის სურათში გამოიყვანა,— გაფრთხილებ: მეორედ აღარ მიწოდო ეს სახელი!..**

# მეტიჩარა მიმბაძველი



— ვაშლი!.. ვაშლი!.,
— ჰოუ!.. ჰოუ!.. ჰოუ!..
— ვახ, შე მართლა ვირიშვილო, ან შენ დაიყვირე, ან მე დამაცა! ხომ ხედავ, ხმები როგორ „ერთი ლიგის“ წევრებივით გამოგვდის?!

# ცნობათა მიღება

თქვენ სწერთ თქვენს ლექსში:

„ნავთლუღის ერთ-ერთ ქუჩის პირას მე ვარ,
მეორეს—ჩემი შეყვარებული,
მისი ყურებით ცეცხლში ვიწვები,
ბარაბანივით მირეკავს გული“-ო.

თუ სოლომონ ზურგიელიძის სტილს ახასიათებდა სიბრძნეთა სიღრმე-თქვენს სტილში თავს იჩენს ის უსაზღვრო „ცეცხლში წვა“, რომელზედაც თქვენც ლაპარაკობთ ჩვევით და რომელსაც პროლეტარული ლიტერატურის ერთ-ერთი გენიოსი ეგრედწოდებულ „ემოციონალურ გამოჯვნად“ იხსენიებს. მაგალითისთვის ავიღოთ: „ბარაბანივით მირეკავს გული“-ო რომ ამბობთ. ჯერ ერთი— ბარაბანის თქვენ მიერ ხსენებაზე მე გამახსენდა გურიაში რომ იციან ხოლმე თქმა: „იმდენი გირტყა, რომ შენდონი რუსულ ბარაბანსაც არ მოხვედროდეს“-ო. და ჩემი სურვილი უსაზღვროა ამ წუთს გოგულოთ თქვენ სწორედ ასეთ რუსულ ბარაბანად.

ამას გარდა, ბრიყვი, ვინმე გაიგონებს თუ არა თქვენს გამოთქმას— „ბარაბანივით მირეკავს გული“-ო, უეჭველად იტყვის: „აბა, სად ნახულა ან სმენილა, ბარაბანი რეკდეს“-ო. მაგრამ მოვაგონებ ყველა პატივცემულ „ბრიყვთ“, რომ „რუსული ბარაბანი“ (ამ შემთხვევაში „რუსული“ გულისხმობს მხოლოდ იმ მომენტს, როცა ასეთი ბარაბანი პირველად საქართველოში რუსებმა შემოიტანეს) სწორედ რეკითაც ხასიათდება: ბარაბანს ზემოდან მიმაგრებული აქვს ერთგვარი თეფში, რომელსაც სცემენ მეორე თეფშს, თვითონ პოეტის მოძრავ—უძრავი ყბებივით, და არეკინებენ. „რუსულ ბარაბანს“ აგრეთვე მიკეთებული აქვს ერთგვარი ლითონის სამკუთხედი, რომელსაც შიგნიდან სცემენ ლითონისავე პატარა კეტს, თითქოს პოეტის ყბებში მოქცეული ენააო, და აქიდანაც იბადება რეკის ხმა.

ასე უსაზღვროა „ემოციანალური გამიჯვნით“ თქვენი ლექსის ერთი ტაეპი.

მაშ, რა უნდა იყვეს დანარჩენში?!.

აიღეთ, თუ გნებავთ მეორე ტაეპი:

„ვხედავ: გალმიდან ჩემ სატრფოს ტუჩებს,
ლოყებს და თვალებს როგორ მიელავს,
გადახვევა მსურს, მაგრამ არ ძალმიძს:
შუა ტალახის ზღვა მიმოღელავს“-ო.

აბა, რა შეედრება აქ გამოთქმულ სიმშვენიერის ზღვას!.. ლიტერატურისა თუ რომანიულ წარსულთა ისტორიიდან ჩვენ უამრავი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, როცა სატრფოს სატრფოს თავს ტალახი აშორებს. მაგალითად, აიღეთ აიდა და რადომესი. როცა უკანასკნელს ჰქოლავენ, თქვენ ხედავთ, თუ ტალახი, ქვასა და კირთან ერთად, როგორ აღიმართება მტკიცე კედლად მასა და აიდას შუა. უსაზღვროა მათი ტანჯვა, მაგრამ ყველაფერი ეს ტანჯვის მხოლოდ მკრთალი ანარეკლია „განადგურებ“-ის მსოფლიო ტანჯვასთან შედარებით!

და ჩვენს სიამაყეს საზღვარი არა აქვს, როცა ვითვალისწნებთ, რომ ყოველივე ეს ხდება არა შორეულ ეგვიპტეში, არამედ აგერ „კურიძირში“, ნავთლუღში...

ტარტაროზის რედაქციას მოეპოვება ცნობა, რომ თქვენ თქვენს წერილში:

თქვენ ხელმძღვანელობდით პირად ინტერესებით. შეეცადეთ გაჰფანტოთ ეს ეჭვები. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მიიღებთ შესაფერ შეფასებას თქვენი საქციელისა თვით მათი უტარტაროზისებულებისაგან.

# ვენიზელოსი და მუსოლენი „დამეგობრდენ"...



მეგობრობის შესახებ საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი სოკრატი, ასე ამბობდა:— მითხარი, ვისი მეგობარი ხარ, და მე გეტყვი: ვინა ხარ შენ"-ო.

პოლიგრაფტრესტის მე-ა-ე სტამბა, კამოს ქ. № 8

კვირა 13 ოქტომბერი 1928 წ. № 174 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## კრიტიკის ევოლიუცია

(გადმოღებულია)



კრიტიკა მსოფლიო ასპარეზის მიხედვით.




სრულიად საკავშირო მასშტაბით.




თვითკრიტიკის ფარგლებში

# დაიახლოვა

„ორგფინჩხის“ რეგისტრატორი, ისიხი ივლიანესძე სილაბანდურაშვილი ერთი დამბლა ვინმე იყო: უვიცი, ხეპრე და უნიჭო; დაბაჯბაჯებდა დარეტიანებული ბატივით და საქმეებს, ზოგს სად მიჰყრიდა და ზოგს—სად.

„ორგფინჩხის“ გამგეს ეტყობოდა, რომ ძალიან ებრალებოდა სილაბანდურაშვილი. გულკეთილი გამგე, ასე ვსთქვათ, მხოლოდ „ღვთის გულისათვის“ თუ ითმენდა სილაბანდურაშვილს თავის დაწესებულებაში. გამგე ხანში შესული კაცი იყო, ბევრის ჩნახველი, ბევრის გამონაცადი, მშვენივრად ესმოდა საზოგადოთ ოჯახის მეთაურის მძიმე მდგომარეობა და, თუმცა შენიშვნებსა თუ რჩევა-დარიგებებს არ აკლებდა თავის უხეშ რეგისტრატორს, დათხოვნით მაინც ვერ ითხოვდა სამსახურიდან.

მაგრამ სულ სხვა იყო გამგის მოადგილე, კაუჭ კაკაბისძე კაკაურიძე; მკაცრი, ენა-კვიმატი და ელვასავით სწრაფი, ის იმ თავიდანვე ალმაცერად უყურებდა სილაბანდურაშვილს და მის კაბინეტში რაიმე საჭიროებისთვის შემოხეტებულს, მას მუდამ „სიტყვიერი გაპანღურებით“ თითქმის კარებიდანვე ერეკებოდა გარეთ.

კაკაურიძეს თვალით დასანახავათ ეჯავრებოდა მოუქნელი სილაბანდურაშვილი და რამოდენიმეჯერ საკითხიც კი აღუძრავს მისი დაწესებულებიდან დათხოვნის შესახებ. მაგრამ გამჭრიახსა და მომთმენ გამგეს იგი თითქმის ყოველთვის მოურბილებია, გული უბრუნებია და შეუცვლევინებია მისთვის ამ „ერთი საწყალი კაცის“ ერთი ხელის გაქნევით დაღუპვის შეძლებელი გადაწყვეტილება.

ასე ითმენდენ სილაბანდურაშვილს „ორგფინჩხში“ დიდხანს, იქამდის, სანამ „სიზიფის მოთმინებითა“ და „იობის სულგრძელობით“ აღსავსე გამგეც კი არ აივსო მასზე სრული მოუთმენლობით და არ გამოსთქვა თანხმობა მისი სამსახურიდან გასტუმრების შესახებ.

— ოღონდ საჭიროა დაიცვათ ორი პირობა, ეუბნებოდა გამგე თავის მოადგილეს ერთ ზაფხულის დილას: „ერთი — დათხოვნის აქტი უნდა მოხდეს მაშინ, როცა მე შვებულებაში ან ხანგრძლივ მივლინებაში ვიქნები, ხოლო, მეორეც: დათხოვნა უნდა მოხდეს სილაბანდურაშვილისათვის მისაღებ ფორმებში, ესე იგი მითითებულ უნდა იქნას რაიმე მსხვილ საბაბზე, რაც სრულიად ადვილი საქმეა, და ფულადი კომპენსაციაც სახარბიელო უნდა იქნას მიცემული დაზარალებულისათვის დათხოვნის სიმძიმის შესამსუბუქებლათ“-ო...

ამრიგათ, ყველაფერი თითქოს „ღვთის კანონის“ შესაფერისად იყო წინასწარ გამოანგარიშებულ - მოაზრებული და ზაფხულის ერთ მშვენიერ დილით „ორგფინჩხის“ „ღვთის-ნიერი“ გამგე „ღვთის-ნიერი“ კმაყოფილებით გაემგზავრა თვენახევრის შვებულებაში დასასვენებლად.

კაუჭ კაკაბისძე კაკაურიძე ულვაშის გრეხით, საგანგებოთ ამ დღისთვის გახამებულ პერანგსა და ახალ კოსტიუმში კოხტად გამოწკეპული გამგის ავტომობილით მოადგა დაწესებულებას და თუმცა საქმის ვითარებისთვის ეს სავალდებულო სულაც არ იყო, მაგრამ მაინც გამგის კაბინეტში მოიკალათა და ასე შეუდგა დროებით „ორგფინჩხის“ სრულუფლებიან გამგებლობას.

ამრიგათ, სილაბანდურაშვილის სამსახურიდან დათხოვნის საკითხი ახლა უკვე რეალურად წამოჭიმა მთელი სიგრძე-სიგანით, სწორედ ისე, როგორც მაღალი მთის იქით მზის ჩამავალი სხივებისაგან მთის აქეთ დაბლობზე გაწვება ხოლმე კლდეების წვეტებიანი ჩრდილები.

მაგრამ სწორედ ამ სალამოს შემთხვევით სასეირნოდ გამოსულმა კაკაურიძემ უცბათ კინო—„ომეგას“ წინა დღის სინათლესავით ელექტრონით მორწყულ ადგილას შენიშნა ბატივით მობაჯბაჯე სილაბანდურაშვილი, რომელსაც გვერდს უმშვენებდა კალმით ნახატი ახალგაზრდა ქალი. რამდენად კაკაურიძემ შეატყო, ეს ქალი სოფლიდან ახლად ჩამოსული უნდა ყოფილიყვეს.

— ნუ თუ დავიჯერო, რომ ეს „სამოთხის ვარდი“ ამ „ჯოჯოხეთის ნაშიეფის“ და ან რომელიმე ახლო ნათესავია?!.

გაიფიქრა უნებლიეთ კაკაურიძემ, რომელსაც ვერც კი წარმოედგინა არა თუ ის, რომ ეს ქალი სილაბანდურაშვილის ცოლი იქნებოდა, არამედ ისიც კი, რომ ვინმე ოდესმე იმდენად გაბრიყვდებოდა, რომ სილაბანდურაშვილს საზოგადოთ ცოლად მისთხოვდებოდა. და ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე „ხამი“ იმდენათ ჩაიწვა სილაბანდურაშვილის მშვენიერ „გვერდის დამამშვენებლისადმი“ უსაზღვრო ტრფიალში, რომ იმავ წუთს გადასწყვიტა სურვილიდან პირდაპირ საქმეზე გადასვლა.

მეორე დღეს კაკაურიძემ თითქმის ყველასთვის სრულიად მოულოდნელად გამოუძახა სილაბანდურაშვილს და ყოვლად მოურიდებლად გამოჰკითხა წუხანდელი ქალის ვინაობა.

მაგრამ პასუხის მომსმენი კაკაურიძე ყურებს არც კი უჯეროდა.

— ვი-ინ?!.

— ცოლია, ბატონო, ჩემი!.,

გაიმეორა თავისი პასუხი სილაბანდურაშვილმა.

— რას ამბობ, კაცო! მე არც კი ვიცოდი, თუ შენ ცოლიანი იყავი, მაპატიე, ჩემო ისიხი, ეს თავხედობა და საერთოდ ჩემი ასეთი დაუდევრობა...

ეს ისეთი მოთაფლული ენით გამოსთქვა კაკაურიძემ, თავი ისე მოიკატუნა გულუბრყვილო სილაბანდურაშვილის წინაშე, რომ, ამის შემდეგ, პირველისგან მისამართის გამოკითხვა თუ სხვა წვრილმანები ამ უკანასკნელს სავსებით მიზანშეწონილად და მართებულად მოეჩვენა თავისი ახალგაზრდა უფროსის ბაგეთაგან.

— ჩაიზე შენსას ვარ ამეღამ! უაპელიაციო დამაჯერებლობით დაატანა ბოლოს კაკაურიძემ, რითაც პირგადახსნილ ფელამუშივით მოღიმარ სილაბანდურაშვილს ანიშნა ათვისი მისდამი ასე უეცრად შემობრუნებული კეთილი განწყობილების დასაწყისი და ის კიდევ, რომ, ამის შემდეგ, ამ უკანასკნელს შეეძლო „უმტკივნეულოდ“ გასვლა „დროებით გამგის კაბინეტიდან.

პირველად თავის სიცოცხლეში მოდიოდა სილაბანდურაშვილი ასეთი კარგი შთაბეჭდილებით „ღვთის რისხვა“ კაკაურიძისაგან.

— რა კარგი კაცია ჩვენი კაუჭ კაკაბიჩი! ნეტავი, ეს იყვეს ჩვენი გამგეო,—ყველას გასაგებად განაცხადა იმ დღეს სილაბანდურაშვილმა კანცელარიაში, რამაც განსაკუთრებით გააოცა კანც-გამგე, მანას მინაიჩი, რომელსაც წინასწარ განდობილიც კი ჰქონდა სხვათა შორის გამგისა და მისი მოადგილის მტკიცე გადაწყვეტილება სილაბანდურაშვილის შესახებ.

— ალბათ, იმიტომ გაუწვა და გაუტკბა, რომ ადვილად მოანელებოს მაგ უბედურს თავისი ადრე მომავალში გაუბედურება-ო, პირზე გრძნეული ღიმილით გაიფიქრა მანას მინაიჩმა.

მაგრამ დღეები გადიოდა და მანას მინაიჩის ოცნებას კი განხორციელება არ ეტყობოდა. ბუნებით ბოროტი კაცი, რომელიც თვით მისთვის სრულიად უვნებელ სილაბანდურაშვილის სიავესაც კი ოქტომბრის დღესასწაულებივით შორიდანვე შეჰხარ-შენატროდა, პირდაპირ დაიწვა მოუთმენლობის ცეცხლში, როცა რეგისტრატორის დათხოვნის შესახებ მის მიერ უკვე სათანადო ფორმალური საბუთებით აღძრულ საკითხს ღასკვნა არ ეძლეოდა.

დაკვირვებული მოხელის თვალს არ გამოეპარა ის გარემოება, რომ თითქმის გამგის შვებულებაში წასვლის პირველივე დღიდანვე, კაკაურიძემ დაუწყო სილაბანდურაშვილს ათასნაირი საგანგებო მინდობილებებით „დატვირთვა“. გაჩნდა სალამოს საათებში რაღაც საგანგებო სამუშაოები. სილაბანდურაშვილი ზოგჯერ შუაღამემდე უჯდა დაწესებულებაში მაგიდას და ან კანცელარიის არქივში იქექებოდა, ან კიდევ ძველი სარეგისტრაციო დავთრიდან ცნობები ახალში გადაჰქონდა და ასე დაუსრულებლივ. ერთი სიტყვით, კაკაურიძემ ისე „დაიახლოვა“ სილაბანდურაშვილი, რომ თითქოს კაუჭი ღილს გადაესკვნაო.

მაგრამ იმავე დაკვირვებულმა თვალებმა და გონებამ შეამჩნიეს კიდევ ერთი რამ, სახელდობრ: როცა სილაბანდურაშვილი თავის საგანგებო მინდობილობებში თავჩარგულ ქექას შეუდგებოდა ხოლმე, დაწესებულებიდან იმავე წუთში უცბათ ქაფურივით გაჰქრებოდა კაკაურიძე, რომელიც უკანვე ბრუნდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სილაბანდურაშვილისთვის მიჩენილი საათების უკანასკნელი წუთები მოახლოვდებოდა ხოლმე. ყოველივე ეს ისეთი სისტემატიური სიმტკიცით ხდებოდა მთელი თვენახევრის განმავლობაში, რომ „ორგფინჩხის“ გამგის შვებულებიდან დაბრუნების დროს ეს მოვლენა უკვე დაწესებულების ცხოვრებაში გახირულ სოლივით იყო შეჩრილი და თანაც ხორცმეტივით შეზრდილი.

იმ წელს „ორგფინჩხის“ გამგის მოადგილეს, კაუჭ ყაკაბისძე კაკაურიძეს, ჩვეულებრივი შვებულებით არცვი უსარგებლნია. მოხდა ისე, რომ შვებულებიდან ახლად დაბრუნებულ გამგეს უცბათ ისევ მივლინებაში წასვლა შეხვდა. ამასობაში ზაფხული და აგარაკების პერიოდიც „გაიფურცლა“ და კაკაურიძემაც, შვებულების ნაცვლად, ხელში ზორბა „კომპენსაცია“ ჩაიყაჭა..

აღნიშნულმა „კომპენსაციამ“ რამდენიმე პირს მოუპოვა პირადი თუ საზოგადოებრივი ხასიათის ბედნიერება: თვითონ კაკაურიძეს — კარგი სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა და საერთოდ „თავის პატივი“; სილაბანდურაშვილის ლამაზ მეუღლეს — კრებდიშინის კაბა, ფაიდიშინის ზეწვითა ჩასაცმელი, ლაკის ტუფლები, ლაიკის ხელთათმანები თუ სხვა, რამ წვრილმანი; თვითონ სილაბანდურაშვილს — მტკიცე მდგომარეობა, ხოლო კანცგამგეს, ჭანას ვინაიჩს — ღირსეული თანაშემწე და სამში პრეტენდენტი, ივსიხი ივლიანესძე სილაბანდურაშვილის სახით, რომელიც, კაკაურიძესთან თავისი ლამაზი ცოლისათვის შინ რომ ხელი არ შეეშალა, თითქმის ყოველ დღე ადრე დილიდან, ვიდრე შუაღამემდე სულ დაწესებულებაში იქექებოდა, რადგან ყოვლის შემძლე უფროსმა კაცი ამდენათ „დაიახლოვა“, ამდენი ბედნიერება მიანიჭა და მასაც ხომ არ შეეძლო არ გამოეჩინა სამაგიერო მონდომება, საქმეში შესაფერი ერთგულება და ყაირათი.

ონისიმე.

## ყურძნის სიყვარულით ღობის მკოცნელი



— გთხოვთ გაცნობას: მე თქვენის გულისათვის თითქმის ყოველ ღამ აქ მოვდივარ და ამ კიბეებსა ვკოცნი!.

— მერე და მის შემდეგ გაცნობასაც მთხოვთ?!.

# პასუხი დედას

მივიღე შენგან, დედი წინეთ წერილი ვრცელი,
მაწყევლინა თავბედი: იყო ექვსი ფურცელი!
შენა მწერ მე, დედიკო, რომ დავცოლშვილდე დროზე..
(პასუხისათვის იყო გუშლამ რომანოზე!)

ჰი, პასუხსაც ვატან, და სიტყვითაც ვამბობ:
ვისაც კარგი აქვს მადა, ქადაც მან ჭამოს ბარემ!
რომ გაიძახი მაგრათ: „ითხოვე, თვალის ჩინო“!

ცი ვითხოვ, დედა, მაგრამ რითი უნდა ვარჩინო?!.
რომ მწერ: „მზითვი აქვს ბევრი, არ გეტეხო გული“,
რათ მინდა დედაბერი, ბევრიც რომ ქონდეს ფული?!

ფული გიბრმავებს თვალებს და არა პატარძალი,
შემოგელევა მალე და მერე ნაყე წყალი!..
„პრასავიცაა ქალი, ქე ჯობს ვაჩნაძე ნატას“,.

ოუშენდება კარი, ვინც მე მას გამომატანს!..
ნუ გამიმწარე ყოფა, რას ამბობ, დაუკვირდი!
მე ჩემი თავიც მყოფნის, არ ავიკიდო ტვირთი!..

რა ჭირს გადავეკიდე, ერთი მათხოვე ყური:
მადროვე ცოტა კიდევ: ვიშოვო სამსახური!

ბევრი მპირდება ალაგს, იქნებ, მოვეწყო სადმე,
ბოლოს ხომ ფეხიალაგს ვიშოვი მაინც საწმენდს!.
ჯერ ჩემი ცოლის თხოვა, რამ მოგაფიქრებინა

იცი, ვგევარ მათხოვარს და სულ არა მაქვს ბინა?!.
ორი თვე არის თითქმის, სასაფლაოზე ვწევარ,
სწორეთ რომ ჩემზე ითქმის: „ჰგავს დათეშაძის წევარს.

გამოწანწლული დავალ, აღარ მიდგია სული,
და გზა შარაზე მავალს მიწუხს სიმშილით გული!

ვისი არ გინდა, აქ მე რომ არ მემართოს ვალი?
არ არის არსად საქმე, მედება გულზე ალი!..
ბირჟაში ყოველ დილით, დავიარები მუდამ,
და დღემდეგ მკვება ტკბილათ ბირჟის გამგე დუდამ!..
ო! ეს „ბეზრაბოტნობა" გიფუჭებს ჭამის მადას!
(ჭამით, იცოცხლე, ვჭამო, მაგრამ საჭმელი სადარს?!)..
აღარ მაცვია ტანზე შარვალი, არც ხალათი,
უბედობასთან თან მდევს, ეს მტრობა და ღალატი:
სამი აბაზი ფულათ ემართა ჩემს მეზობელს,
იგი კი გაპარულა გუშინღამ თავის სოფელს!..
ეხ! კაცი ასეთ დროში არ უნდა ენდო ძმასაც,
თორემ იგი ღვინოში შემოგატყვილებს ძმარსა!..
წელს ამ ზაფხულზე პალტო გავყიდე ორ მანათათ,
როცა აცივდა, ვდარდობ; დღეს მიღირს ერთი ათათ!..
ზამთარი მოდის, ვხედავ, რა ჰქნას ცარიელ ჯიბემ
ქარიც გაათავხედა ამ ჩემმა სიღარიბემ!
შემოდგომის ცივ ქარად, ჩამოდგა გულში დარდი,
და ბოღმის გასაფანტად, კმარა სულ ორი კვარტი!..
ყველა იმედი ქრება, მზეც უგემურათ ჩადის;
ახლა მე მენატრება ნატეხი ცივი მჭადის!..
(როგორ არ გავიცინო, ბედი ჩამძახის ყურში:
„ამაღამ დავიძინოთ ვერაზე, ნაგვის ყუთში!..)
წინეთ ტალონი მქონდა და ვსადილობდი მუქთათ,
თავიც ჭე გამომქონდა, კისერიც გამისუქდა.
ყელამდე ვიყავ სავსე, და ვჭამდი რა გინდა რას,
ეხლა კი დავემსგავსე, სამკაპიკიან ტარანს!..

დონ—კიხოტი.

## კომბლე და ტარკორი „ელისოზე"



— ამხანაგო კომბლე, რას იტყვი იმის შესახებ, რომ „ელისოზე" ხალხი ასე აწყდება?!.

— (ჩიბუხის გაბოლებით) „ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაელეჯა"-ო!..

მოდი, ამოვკრა პანდური
ცხრამეტჯერ დავსვათ ბზიალად!
შიშით თმა ყალყზე დაუდგეს
ტანშიც ჩაუდგეს ზრიალად!..
ჯვარი აქვს, თვითონ არა სწამს,
ტრაპეზში იხმობს ქალებსა,
ქურდობაც მისი საქმეა:
იქვე ზედაშეს დალევსა.
ეხლა სწუხს: ვერვის შეაცდენს
განზე აცეცებს თვალებსა.
„საქმეს წაახდენს რეგვენი,
ფათერაკს დააბრალებსა!..
მე მინდა, რომ ყველა „ხუცებს",
ყელში გაუჩნდეს ხუნაგი,
გაჰქრეს მაგათი ხსენება,
მათი ჯიში და ბუნაგი.
რომ გლეხებს თავზე არ აჯდეს
ყველა ოხერი, მსუნაგი!
სულ იმის ფიქრში კვდებოდენ,
მუცელი კარგად გაეძღოთ,
როგორმე საწყალ გლეხისთვის
ტყავი ათასჯერ გაეძროთ,
„ვინ ასი წელი ეცხოვრათ,
გლეხს თუნდ ერთ დღეს არ გაეძლო!.
ერთ მღვდელს ვიცნობდი: შევგვრე
მასს.

სახელად ერქვა სევასტი,
მასთან კამათი მომიხდა,
ვეცი, კინაღამ შევასქდი!
არსად არაფერს უშვებდა:
ნათვლა-ქორწილი-ალაპი,
წირვა ლოცვაზე ჩნდებოდა
გამობრანცული, ნაყლაპი.
მთელი სოფელი დაავსო
თავის უსაზღვრო მადითა,
ეხლა კი ბრაზობს! ვერსტკბება
ძველი წესების ნადითა!..
არ იცის; ამ კომუნისტებს
გაუმასპინძლდეს რალათი!
სტირის ხუცესი შვილებით,
სტირის მეუღლე ალათი,
თან ბუტბუტებენ მოისპოს
სახსენებელი მაგათი!
ეხლა ეს დარჩა ალათის
ქმარს უყოს რამე სახათი:
ან ყელში დანა დასცეს და
ან ხელში მისცეს მახათი.

გულწითელა.

## გულწითელას ლექსები

არ ხნავს, არ თესავს, არ თოხნის
ცოხნის კი—ბარაქიანად!..
რასაც მოუტან შეყლაპავს,
თუნდაც ქვიშიან - ქვიანად.
ბევრის ოჯახში შეჭრილა
ქმრები გახადა რქიანად
არის იმდენად ტუტუცი:
ცოლშიც გიხდება ზიარად!
შეგხვდება, გიძლვნის კურთხევას
თავდასხრით, თავაზიანად...
ერთი ასეთი ხუცესი
სოფელს ეყოფა ზიანად!

# ვაი, ჩემო ფაცია

თუ არ გვედევირიე ამ კომუნისტების ხელში, კაია, თუ არა და, ანასუნი ჩემ საქმეს! მაინც და ყორისფელ გოუგონარს რომ ავენი გამეიგონებენ, ამისთანა გინახავთ? რა იყო ახლა, ვითამ, ამ სტანციებში ზარას რომ აღარ უკვრენ! რა ფოქუსია ახლა აგი! წინეთ სამი „ზვანოკი“ იყო პოეზდის წასვლის დროს, მერე ორზე დააყენეს და ახლა თელათ მოსპეს, მოუსპო ღმერთმა მაგენს სიცოცხლე! როცხა თითონ უნდათ, თელათ ააჭყვირებენ პარავოზებს, ზარებს, შუშტუკებს და ყორისფელს! აგიო, ტრევოგა იყოვო და, რა ვიცი, რას არ ბროდიალობენ! მისთვის ყორისფელს აყვირებენ ერთად და რაცხა პოეზდის დროს ორი კაკალი ზარა ჩამეირეკებოდა, ჩვენთვის იგიც ქე შეშურდათ!.. უწინ, პირველ ზარას რომ მისცემდენ, იცოდი კაცმა, რომ პოეზდი ჩამევიდა სტანციაში. მეორე ზარაზე— მოემზადებოდი და მჴსამეზე— შეახტებოდი ვაგონს და მიდიოდი ალხეინად. ახლა მოსვლას ვერ გაიგებ კაცი და წასვლას! რა ია, ახლა, ვითამ, იმ დიდ გზაზე რომ ქე უკრავენ ზარას ისტევლე, მარა აქანე: ჭიათურა- საჩხერე, ბორჯომ- ბაკურიანი, ტყიბული და ყველგან, ამ პატარა შტოებზე რომ მოსპეს ეს ზვანოკები, რავა, იმ დიდ „ლინიაზე“ ყველა ყრუი დეიარება, თუ რაშია საქმე- აპა, რავა, იქანე უკრავენ, აქანა არ უკრავენ. თელათ დევიბენი კაცი, რავარც ცერცვის მარცვალი, ისტე! მაინც და რომ ვერაფერს გოუგებ კაცი ამ ბალშევიკებს! მისთანას მეიგონებენ რაცხას, რომე ჭკუას დაკარგავ ადამიანი!

ვაი, ჩემი ცოდვა მიეცა იგენს, რავარც მე მომსპენ და მომჯაყეს კაცი! მიდღემჩი რომ ქალის თხოვა არ მეფიქრებია, არ მერჩია მე უბედურს! რაცხა ეშმაკათ, ქალი ვითხოვე! მოვაწერეთ ხელი და პრიამათ „მმაჩის“ კანტორიდან ჩაველით ჭიათურის სტანციაზე. მოუცადეთ პატარა და ქე შემოსრიალდა პოეზდი. ჩავაჯინე ჩემი ფაცია ვაგონში, დავაბინავე და მე გუფეტში შოუხვიე. ერთობ მორცხვი ვარ ფხიზელი და ვიფიქრე: ახლა, მოყვრებში რომ ჩევიდე აგი ახალი სიძე და რაცხა ორიოდე რიხიანი რეჩი არა ვსთქვა, გლახას დამიძახებენ თქვა და ამიზა პატარა მაკარიჩი ჩამოუსხი იქინე ბიჭებს და მინდოდა ცოტა შეზარხოშება. მე ალხეინათ ვარ, უყურებ აგერ და ვუცდი, რავარც დაკრავს ვტაროი ზვანოკი თუ არა და, მინუთში შევახტები პოეზდს-თქვა, ვფიქრობ, მაგრამ, [illegible] არ მომიკვდე, ვიღამ დარეკა! ეინძრა პოეზდი და [illegible] თურმე! აგი პარავოზის ფშვიტინ- ფშვიტინი რომ გევიგონე, დამეცეცხლა თავში და გამოვარდი, მარა კარებში ვინცხამ მტაცა ხელი და მქაჩავს! ამ სიჩქარეში გუფეჩიკიზა ნახარჯი არ მიმიცია, თურმე, და იგია, რომ მექიჩავება ჩოხის კალთაზე და არ მიშობს! იცის ღმერთმა, რომ ფულის მიცემა არ მეზარება, მარა ჯიბაში რომ ხელი ჩევიყო, მისი დროი აღარ მაქვს და მიტომაა, რომ მივრბივარ, მარა ვინ გიშობს! გუფეჩიკი იქით მექაჩება, მე— აქეთ და ამასობაში პოეზდი ქე წევიდა! დავაქნიე ხელი გამწარებულმა და გამოუსხლტი, რავარც იქნა, მარა ამ ჯვარნაწერ ჩოხამ რომ დეიწყო პრიწინ-პრიწინი, ჩოხის ორივე კალთები ქე შერჩა ხელში გუფეჩიკს! არ მესიამოვნა აგი, ბოლო დაგლეჯილ ქათამივით, რომ დავრჩი, მარა მაინც გავეკიდე გამწარებული პოეზდს! გავენთე, მაგრამ, არა, რა გავენთე! მოდი და ნუ გეეკიდები შენ! ხელი მოვაწერე, თვარა ქალთან ერთი ღამე არ გამითევია და ახლა აგერ ვინცხა წუწკი შამაძაღლი მაშინისტი მიარბენიებს საცალა ჩემს კვარაჭინა ფაციას! მივრბივარ, მარა ენა ერთ არშინზე მაქვს გადმოვარდნილი და გახელებული ძაღლივითა ვქელავ! მისთანას ვყვირი, რომე ცას არღვევს ჩემი კივილი, მარა ჩემ ჯინაზე მაშინისტი უფრო და უფრო უმატებს „ხოდს“! ის უმატებს, მარა მე თანდათან „ხოდი“ მაკლდება და ისტე ვარ, რომე, საცაა, გადმეიარს პირიდან ფიჟვები და წელები! უბედურმა ფაციამ, რომ ვეღარ მნახა მისული ვაგონში, გამოსულა პლაშჩატკაზე, გოუშლია ის წითელი თმები და უქნევს მაშინსტს, იქნება კრასნი ფლაგი ეგონოს და გააჩეროსო, მარა ის, ჩემი ცოდით სავსე, უფრო უმატებს „ხოდს“ და მიარბენიებს ჩემს ფაციას! იმე, რეიზა არ გაარბენიებს, რავა მისთანა ხაბურძაკივით გარგვალებული ქალი ჩაუვარდა ხელში, გააქროლებს, აპა, რას იზამს?! მაშინსტს რომ ვერა გააგებია რა ფაციამ მისი ქნევით, მერე ჩემსკენ ქნა ის ბახმაროს მთასავით წამომჯდარი გულმკერდი და მიქნია და მიქნია საწყალმა ხელები, მარა არაფერმა არ გასჭრა! მეც დოუწყე აქედან ქნევა: ხან ხელის, ხან— ბაშლიყის, მარა მიფრინავს ჩემი ბარიშნა— ფაცია და ჰა, თუ მოჩანს და ჰა, თუ არა! ერთი კიდო გოუჭვრიტე ფაციას და ქეც ამომივარდა მუცლიდან მაჭიკი და რავარც ბუღთი, ისტე დავასკდი მიწას! გამწარებულმა წამოვიძრე ჯვარნაწერი კალცო და დოუწყე კოცნა! ხან ამ თითზე წამოვიცვი, ხან იმ თითზე, და ასტე, ვითამ, მინდა ჩემი ფაციის სურვილი მევიკლა, მარა რას მიზამს ასეთი პაწია რგოლი, როცა იმ უშველებელ ფრანცუცკი დრედნოუტს,

# შალვა დადიანი, როგორც რომანისტი



— ჩემი რომანი, „უბედური რუსი“ სულ ასეთი რამეა, აი!., ვინც კი წაიკითხავს, უსათუოდ ატირდება... ატირდება და მოიგონებს თამარს.., თამარს, დიდსა და ბრძენს..

ჩემს ფაციას ვინცხა ცხვირმოუხოცელი მაშინისტი მიაქროლებს! მერე, რავალი ქალი! მისთანა გასუქებული, რომე საცხა უნდა გეპწკინა, ქვახივით გასკდებოდა! მომაგონდა მისი გულმკერდი, მისი ლერწამივით ფეხები, უშველებელი იგი... რაქვიანა.. და წამივიდა გული! ორი საათი ვეგდე, თურმე, საცხა გზაში! რავარც იქნა მოვსულიერდი! თელათ დამტვრეული და დალეწილი! რა ვქნა, ვის მივმართო მე უბედურმა, რომ აღარ ვიცი! დედაია, რა ქალი დავკარგე, რა ქალი დავკარგე, რა ქალი! ვაიმე, ჩემო ფაცია, შენ დაგენაცვლოს შენი კონდრატე! ვის ხელში ხარ, გენაცვალე, ვინც იცის, ვინ ოხერი გიფათურებს ხელებს და მასაჯს გიკეთებს! ერთი ღამე მაინც გაგეთია, ბოშო, ჩემთან! რავა მიმატოვე უპატრონოთ! ვაი, ჩემის ცოდვით დეიწვით, კომუნისტებო, და ამოაგდოს ღმერთმა თქვენი გვარი და ჯილაგი! ერთი ზარა რავა გაგიჭირდათ, თქვე ცოდვიშვილებო! ასტე მცოდნოდა, ერთ ზარასა მევიყიდიდი და ჩემს კაცს ვაკვრევინებდი! ორს კი არა, დილიდან— საღამომდე ვარაწკუნებიებდი, ოღონდ კი ეს უბედურება არ დამმართოდა! ახლა აღარც აქეთ ვარ და აღარ იქით! არც ცოლიანი და არც უცოლო! არც ქვრივი და არც „ხალასტოი“! ვაიმე, ჩემო ფაცია, ჩემო კუპატივით გატენილო გოგო! რავა უკვალოდ დამეკარგე! ეს ერთი ჯვარნაწერი კალცო დამრჩა შენს მოსაგონად! ვაი, შენ დაგენაცვლე იმ კალცოში...

დედა, რავა მევიჯაყე,
პატარძალი გამიფრინდა,
ჩემო ფაცი, მე უშენოდ,
ამ ქვეყანას რაღა მინდა!
ახლა მჯერა, რომ ამ ქვეყნად
არც ხატი და არც ღმერთია!
რა უჭირდა, რომ ჩვენ ერთად
ერთი ღამე გაგვეთია?!.
აღარა მყავს მე ფაცია,
ტურფა სამოთხის კარები,
ჩემი ცოდვა ედვას კისრად,
ვინც რომ მოსპო ეს ზარები!..

გოგია.

# თავმჯდომარესთან

**მეხანძრე**— (თავმჯდომარეს) ამხანაგო თავმჯდომარე! დეიშალა თელათ ის სახანძრო იარაღები და შეკეთება უნდა, ამხანაგო, შეკეთება! შე კაცო, გამომიწერე ფული, რომ შევაკეთებინო, თვარა დეიწვის ვინცხა და მე „ატვეჩაი“ ვერ გავხდები!

**თავმჯდომარე**— აი, შე ჭკუის კოლოფი! რათ გინდა, ბოშო, ეს სახანძრე იარაღები? ვერა ხედავ, რომ წვიმებმა წაგვლეკა თელათ! ამ ნიაღვარში ვის გოუგონია ხანძარი?!

**მეხანძრე**— კაცო, რავა ლაპარაკობ, იმ კვირეში წვიმები არ იყო, რომე კომპერატია კილამ გედიბუგა?!.

**თავმჯდომარე**— ვიცი, ამხანაგო, მესმის, მარა აშ წუთში ხომ არავინ იწვის, შე კაცო!

**მეხანძრე**—დედაია! ამ წუთში რომ არ იწვის, რავა მერე არ დაიწვის? აგერ უჯმაჯურიძეს ამ დღეებში ქორწილი აქვს, გონია, და იქანა ის მთვრალი ხალხი, ვინ იცის, რას არ გააჩენენ?!

**თავმჯდომარე**— მოდი ახლა და ჭკუა კითხე ამას! უჯმაჯურიძე რომ იმ უშველებელ ღელის იქითა სცხოვრობს, რავა, აგი არ იცი შენე! ქეც რომ გოუჩნდეს ცეცხლი, მე და შენ სახლებამდის მაინც არ მოუწევს და რისი გეშინია, შე ლენჩო, შენა!.

**მეხანძრე**—კაი, თუ გინდა, იქიდან ცეცხლი არ გადმოვა, მარა აგი ჩვენი გერასიმე და ილაკრი რომ წეიკიდენ, რავა, ამის მერე, იგენი დოუწვავს გოუშვებენ ერთმანეთს?!,

## უიაფესი „იმპ“-ორტი“.



— ნუ იხარჯებით, ყმაწვილო, ხელზე კოცნა—ეხ უიაფესი საქონელია!..
— მაპატიეთ, მაგრამ მაინც დიდი ფასი აქვს; როგორც არა საბჭოთა ნაწარმოებს!..

---

**თავმჯდომარე**— არაფერიც არ იქნება. ქეც რომ გააჩინონ ცეცხლი, კრამიტიანი სახლებია და საშიში არაა ჩვენთვის.

**მეხანძრე**— კაი, თუ გინდა: გერასიმეს და ილაკრიის ხანძარი არც თუ ისეთი საშიშარია, მარა იორდანე ჯანჯღავას რომ ქალი მოსტაცა სეფეია ხიჯაკაძემ, რავა, აგი საქმე ისტე ჩეიარს, დევიჯერო?!

**თავმჯდომარე**—რაიო, რაიო? მერე და ასე ხარ გაჩერებული, შე ლენჩო, შენა! აი, დურაქი! მიკვირს ამ ხალხის ამბავი, დედა ნუ წამიწყდება! რავა არ იცი ახლა შენ, რომე იორდანე ჯანჯღავა ამ საქმეს ისტე არ დასტოვებს უყურადღებოთ! უექველში ცეცხლს წოუკიდებს სეფეია ხიჯაკაძეს, არ უნდა ამას ლაპარაკი! მერე ჩემს მეზობლათ ცხოვრობს და თელათ არ გამხრუკავს ვირთხასავით! აჰა, მიწერილობა და ამ წუთშივე მიდი კასერთან, გამოართვი ფული და ახლავე შეაკეთებიე სახანძრე იარაღები, დაკვრითი წესით! თვალის დაპაჭუნებამდე უნდა გექნეს მზათ, თვარა კვახივით გაგთხრეშ შუაზე!,

**(მეხანძრე მიდის კასირთან)** ყურუმსალი! რავა ნელა ლაპარაკობს იმ იარაღის შეკეთებაზე!

**(მიაყვირებს)** ამ ნიმუშით იქნეს თელათ შეკეთებული!.. თვარა, იცოცხლოს გრამიტონმა, მე შენ გაყურყუტო პადვალში ვერ უყურებთ ამ გლახის პირს! სმოლოჩ!.

ძე.

# კითხვა-პასუხი

(სცენები სკოლაში)

მასწ:—ამხანაგო, რიჟამაშვილო, მიპასუხე: სად არის ქალაქი ბუენოს-აირესი?

მოწ.—ბუენოს -აირესი თუ არის, ისევ ქუთაისის მაზრაში!

მასწ.—ქუთაისში კი არა, იგი არის არგენტინაში.—აბა, ეს მაინც მიპასუხე: სად არის ადესა?

მოწ.—ადესა, ამხანაგო მასწავლებელო არის სამეგრელოში, იგი საუკეთესო ღვინოთ ითვლება მთელს სამეგრელოს შეერთებულ შტატებში, თუმცა ცოტა ბაღლინჯოს გემოც აქვს.

მასწ.—არ იცი, დაჯექი, —აბა, ბატიტვინაძე, შენ გეცოდინება: სად დაარსდა პირველი ინტერნაციონალი?

მოწ.— პირველი ინტერნაციონალი ჩემო ბატონო, ჩვენს ვოზურგეთის კლუბში დოუკრა თხილაძის დუხოვოი მუზიკამ.

მასწ.—ააა, თქვენ ჰიმზე მიპასუხებთ, არა? მე ხომ კავშირზე გელაპარაკებით?

მოწ.—ააა, ახლა კი მივხთი რაზედაც მეკითხებით, ბატონო მასწაელებელო, მაგაზე მე ვერ გიპასუხებთ, რადგანაც იმ დროს მე არ შევსწრებივარ.

მასწ.—არც იცი? მაშ, მიპასუხე: სად ხმარობენ ტრაქტორს?

მოწ.—ტრაქტორს ხმარობენ ლაპარაკში, მაგალითად, იტყვიან: „ნუ გაატრაქტორე საქმეო!".

მასწ.—აბა შენ, ყორანაშვილო, განმიმარტე სიტყვა: „მუნიციპალიზაცია"?

მოწ.— მუნიპილიზაცია ასე დახურდავდება: მუნი ნიშნავს კანის ავადმყოფობას, ცი—ნიშნავს როდესაც ცხვირს დაიცხიკინებ და წამოიძახებ „ცი"-ს, მაგალითად ჰაპ-ცი, ჰოპ-ცი და სხვა. პალიზაცია კი— ნიშნავს ბერძნულად „პალეზაის"— ანუ რუსულად შეძრომას..

მასწ.— რა არის სიტყვა: „აჯაფსანდალი", მიპასუხე, მძინარაძე!

მოწ. —აჯაფსანდალი, ამხანაგო მასწავლებელო, არის იგივე „ერთა ლიგა".

მასწ.— ვინ არის კელოგი?

მოწ.—კელოგი არის ამერიკული ჯიშის საპრეზიდენტო ორფეხა ცხოველი.

მასწ.— აბა, ბაჩიაშვილო, მითხარი: რა არის „ფაშიზმი?"

მოწ.—ფაშიზმი არის მიმართულება ფაშვების გამოსაყრევინებლად!

მასწ.—ყოჩაღ, შე უშნო! აბა, შენ, მანდ რევოლვერს რომ სინჯავ, ფაღარათაძე ხარ თუ რაღაცა, მიპასუხე: რა არის სიტყვა „ორიანტი"?—

მოწ. —ორიანტი არის დიდი და ლამაზი შენობა რუსთაველის პროსპექტზე!

მასწ.—აბა, ეხლა ამაზე მიპასუხე: რა არის პროტექცია?

მოწ.—სიტყვა პროტექცია არის, აი, ეხლა, ვსთქვათ, შენა ხარ ქალი და გინდა კარგი სამსახური იშოვნო რომელიმე დაწესებულებაში. ჰოდა, შენ შეგიძლიან ცალკე ინახულო გამგე, დაუწყო მას კურკური, დაჰპირდე კოცნას, დაჰპირდე „ისემე"-ს და სამსახურიც მზად გექნება!..

მასწ.— დაბრძანდით. დაეგდეთ! ხულიგანსკი ვირაჟენიებს თავი დაანებეთ, თუ შეიძლება. აბა, შენ მითხარი კახელო დიდყურაშვილო— რა არის სიტყვა „ფედერაცია".

## „სხვისი ჭირი--ღობეს ჩხირი"-ო



— ღმერთო ჩემო, ეს სარკის გატეხა ხომ ცუდი ნიშანია: აწი შვიდ წელიწადს სულ უბედური ვიქნები!..

— როგორ, განა ,შვიდ წელიწადს კიდევ სიცოცხლესა ჰფიქრობ?!

---

მოწ.—ეე, შე ჩემანალა, მაგაზე ადვილი რა არის, ფედერაცია არის პაპიროზი, რომლზედაც სამი ძმა-ბიჭი ახატია: თათარი, სომეხი და ქართველი. აი, ესეთი (იღებს ჯიბიდან კოლოფს).

მასწ.— სოვერშენო სწორეა! აბა შენ მითხარი როდის დაიბადა დიდი მასწავლებელი კ. მარქსი.

მოწ.— ის დაიბადა ჩემზე უფრო ადრე!

მასწ.— აბა, შენ ინბახაროვ, მიპასუხე— როდის მოხდა თებერვლის რევოლიუცია?

მოწ.— ფებრალსკი რევალიუცია მოხდა, უჩიტელჯან, მაშინ, როდესაც მამა ჩემი, ცაკანა, იარმუკაში მეთევზეთ იყო და მე იმისი დახლიდარი ვიყავი, ტავარიშჩ უჩიტელ!..

მასწ.— უჩიტელ კი არა, მუჩიტელ არ გინდა,— მითხარი რომელ თვეში მოხდა თებერვლის რევოლიუცია?

მოწ.— თებერვალსკი რევალიუცია, მოხდა! მოხდა! მგონი, მარტში.

მასწ.—ტუპიაკი, ბოლშე ნიჩევო. — აბა ეს მაინც მიპასუხე, რომელ სახელმწიფოშია დამჩაგვრელი და დაჩაგრული?

მოწ.—(იგონებს) დამჩაგვრელი... დაჩაგრული..: (აგრძელებს დაჩაგრული-ი-ი... (დანარჩენი მოწაფეები ბანს მისცემენ) ძმა-ბიჭებში დაჩაგრული მე ვარ სიმონა დოლიძე-ე-ე... ვაი! ვაი! ვაი! ვაი... მე ვარ სიმონა დოლიძე ოოო!: (მასწავლებელი გაოცებული შეჰყურებს მათ და სწრაფად გამორბის ოთახიდან)

დასასრული პირველი სერიისა. პროდოლჟენიე ბუდიტ.

მეფისტო.

# დირექტორი პროკლე ანუ ტრესტის შტატი—მოკლე

„ტრესტიყლაპეს“ დირექტორი
ზის, ცხვირ-მაღლა— აშვერილი,
და ფიქრობს, თუ მისი „შტატი“
მოკლეა თუ გაბერილი?
თვითონ მასზედ, მაგალითად,
ვინ იტყვის, თუ არის მოკლე
გაბერილიც ისევეა,
როგორც „მოკლე“— ჩვენი პროკლე!



ზის ის, ჰფიქრობს და თამბაქოს
იკლაკნება მის წინ ბოლი,
როგორც „შტატის შემოკლების“,
ანუ „ოცპროცენტიანი ზოლი“-.
იმავე ფიქრით დატვირთული



ზის იქით „ზამდირექტორი“
და აბოლებს სავარძელში,
მინდვრად ხვნაში—ვით ტრაქტორი!..
მანაც ხომ „კვალი“ შემოკლების
გაჰკრას უნდა ტრესტის ველზე,
თუ უნდა რომ სხვა ვერავინ
დაედაოს სავარძელზე.
ასევე და ამნაირად



ზის და ჰფიქრობს „სეკრეტარიც“:
შემოკლების კამპანია,
საზრუნავი მისიც არის!
და იმისი მარტო, განა?
„ზამსეკრეტრის“ ჰკვა- გონებაც



თვით გაზეთის კითხვის დროსაც
ამავ საკითხს ემონება!
თვით „გლავბუსიც“, როცა ფინჯნით
წინ დაუდგეს დილს ყავა,



დამლაგებელ ქალს ეცა და
გული მაზედ „მოიქავა“!..



„ზამბუხი“ კი ანგარიშებს
მიაჩერდა ისე მედგრად,
რომ ყავა თუ, მგონი, ჩაიც,
გაცივდა და, იქვე ედგა!..
„სჩოტავოდი“-ც კი საკითხის



წინაშე რომ ქედს არ ხრიდა,
ანგარიშებს დასტა- დასტად,
იღებდა და სტოლქვეშ ჰყრიდა...
„სჩოტავოდის" თანაშემწეს



ცხვირი თითზე ჩამოეყრდნო,
და სიმძიმე ამ საკითხის,
მოსჩანდა, რომ მასაც ეგრძნო!..
შემოსავლის „კონტროლიორს"



წინ დავთარი გაეშალა,
ისე კი, რომ ზედ ეჩინა
შემოკლების მთელი ძალა!..
და გასავლის თამასუქებს



„კონტროლიორ"— ჩიფუკაძე,
როგორც ზღარბი— ლობის ძირას,
შემოკლებით ეჯდა შვაზე!..

მემანქანე— კლეოპატრას,
წინ რომ ედგა „უნდერვიუდი",



უკვე ცხვირთან მიეტანა,
„პუხოვკიან" ხელით პუდრი!.
ხოლო სონა— მემანქანეს
დაეყენა „რემინგტონი"



და „პუხოვკა" პუდრით მასაც
ხელში ეპყრა, ვით „ბუტონი"!..
რეგისტრატორს, სიმონიკას,
(ეს გოცაძე არ გეგონოთ!)



გარს მოსული ქაღელდები
რომ ეყარა უპრაგონოთ,

ახალ რომანს ჩაჰკდომოდა
და გულს ვნება მოქარგული,
შემოკლების საკითხივით
წიგნში იყო თავ-ჩარგული!..
მარტო შიკრიკ— „კურიერებს“



გაჰქონდათ და გამოჰქონდათ:

გზაში ოფლს არ იშურებდენ,
გული თუ არ შეუღონდათ...
და „ყლაპტრესტის“ შტატის საქმე,
ის მოკლე ის მჩატე
მხოლოდ ამათ სირბილით და
ჯაფით იყო მოღაღადე,
რომ საკითხი შემოკლების,
მისი სიგრძე, მისი განი,
„კურიერთა“ ოფლით არის
მორწყული თუ განაბანი
და რომ მოხდეს შემოკლება,
მოხდეს შტატის შემცირება,
ცხადი არის: ორსავ თუ არ,
ერთ-ვრთს „დედა ეტირება“!..

**მაზირა.**

# ქაჯური ენა

კირილე ყლანწაძე ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ამიერ-კავკასიის რკინისგზის გამგეობის ერთ განყოფილებაში. აქა-იქ დარჩენილი ჭოჩორი ავვარცხნა და ფიქსატუარით გაპრესილი ულვაშები თაგვის კუდივით გაეწკიპა. საერთოდ კირილე ძველი „ხოლოსტიაკი“ იყო და ძალზე უყვარდა ქალები. ოცი წელიწადი გაატარა კირილემ სხვადასხვა დაწესებულებაში და ოცი რომანი მაინც კი ჰქონდა. ამგვარ რომანების წყალობით ის დარჩა უცოლშვილოდ და აღარც კი ფიქრობდა ცოლის შერთვაზე, მაგრამ ძველი ჩვეულებისთვის ჯერ კიდევ თავი ვერ დაენებებია და ყოველ წუთს მზად იყო არშიყობა დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ კირილე სულ რაღაც 67 მანეთს ღებულობდა ჯამაგირს, ის მაინც კოხტად იყო გამოწყობილი. ისე სამსახურში არ წავიდოდა, რომ მთელი საათი სარკეში არ ემზირა, ხან ღალსტუკს ისწორებდა, ხან ულვაშებს იგრეხდა, პუდრით სამართლებლით იფხეკდა პირის სახეს და ზედ პუდრს იყრიდა.

და იყო დღე იგი შაბათი. კირილე ძალიან ცუდ გუნებაზე იყო—ღრმად ჩაფიქრებული, რაღაც ქაღალდს მისჩერებოდა და დანაოჭებულ შუბლზე ოფლის კოკრები ადგა. ეტყობოდა: მეტის მეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო კირილე. ხუთი წელიწადია, რაც ის მთარგმნელის თანამდებობას ასრულებს და ასეთი დღე არ დასდგომია

— შეჩვენებულები! წყეულები. დაგვღუპა ამ კაკაბაძის და რკინისგზის სატერმინოლოლიო კომისიის ლექსიკონებმა. აგვირიეს ენა, გადაგვირიეს ხაზის აგენტებიც, რაც პირზე მოადგებათ, იმას სწერენ. მოდი და გაიგეთ ახლა, რა ოხრობა სწერია აქ!..

კირილემ დაწერილი ქაღალდები ხელში აიღო და ჩააშტერდა..

„24 სექტემბერს ტფილისის საყუდიდან გამოვიდა ორთქლმავალი, იქვე ფარეხიდან გამოვიყვანეთ 30 დატვირთული რონოდა და მივუბით ორთქლმავალი. ერთი რონოდა არის დატვირთული აიდრეშონდით, გამპრტყალით, ტიბჟირებით, ერთი ბანჭვინით, კეკეოებით, საცხით, ერთიც ჯირგინებით და ზელეკონიდით; ერთ რონოდაში შეფუთვილი თეეგბი აწყვია, ერთშიც ტიბჟირი, ერთშიც გრჭოები. ამის შესახებ წინად მივწერეთ ანგარანიდან, შემადგენლობა გასინჯეს და ყველაფერი რიგზეა — ჯახამრიდები, ჭინჭიკები, ამას წინად ურიგათი ჯალაყინები გამოგზავნეთ მიელსმინეთ მიიღეთ თუ არა. რონოდებში ელკუნა არის. გავსინჯერ რონეზი, თარაზო და ტარნარა—ყველაფერი რიგზეა. მიღება გვიელწერეთ. დს—ტფილისის დგუმაძე“.

კირილემ ბარე ათჯერ გადაიკითხა ქაღალდი. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, კალმის ტარი თითებში გაპოირჭო და შეუდგა ქაღალდის რუსულად გადათარგმნას. ორი დღე იწვალა, როგორც იქნა, გადალახა ყველა სიძნელენი და დაასრულა თარგმნა; ნათარგმნი სიამოვნებით გადაიკითხა და გაიღიმა:

— სწორედ ქაჯური ენაა. თუ მე არა, ეშმაკიც კი ვერ გადათარგმნიდა.

„ვსემ აჩ, ტჩ, დჩ, დნ, დყ, სყ; სჩ; შჩ;დს; ახლი დ. პ; ტ; პუტევოი კომიტეტ; უჩასტკოვი კომიტეტ დოოტჩპუ.

24 სენტიაბრ იზ ტფილისსკაგო (აქ დიდხანს ფიქრობდა კირილე, ბევრჯერ შუბლზე თითი მიირტყო, ვერ გამოეცნო, თუ რა იყო „საყუდი“, დაყუდებულს თოხი გაეგონა, დაყუდებული ბერი გაეგონა, მაგრამ ეს კი ვერ გამოეცნო, თუ ამ შემთხვევაში რა იყო საყუდი, ანუ დასაყუდებელი. როგორც მეგრული ჩამომავლობის კაცი, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საყუდი იყო მეგრული სიტყვა: „ყუდე“-დგან წარმოშდგარი, რაიცა ნიშნავს სახლს. კირილემ ასე სთარგმნა). იზ დომა ვიშოლ პარავოზ, ტამ ჟე (აქ კიდევ უფრო ღრმად ჩაფიქრდა კირილე: თავსატეხი გახდა „ფარეხის“ თარგმნა. ფარეხი რა იყო კირილემ აშკარად იცოდა, მაგრამ ვერ გამოეკვლია, თუ რა შუაში იყო აქ ფარეხი, ბოლოს იმ დასკვნამდი მივიდა კირილე, რომ უთუოდ ჯიშიან თხებსა ან ცხვრებზე იყო ლაპარაკი. კირილე დარწმუნდა, რომ სიტყვა ცხვარი აქ განგებ იყო გამოტოვებული, რა კი საქმე შერეულ ფარას ეხებოდა და ულვაშებში ჩაცინებით ჩაილაპარაკა: „ოხრები, დედანიც მე უნდა ვასწორო და კიდეც ვთარგმნო?“ და განაგრძო თარგმნა: ვიშლი რონოდსკიე ოვცი ი კოზი ი პრივიაზალი ნა პარავოზ ნა ოდნომ რონოდსკომ ჟივოტნომ ანდრე მონდ, გამბრტკალი ი ტიბჟირი (კირილეს თავი არ შეუწუხებია ამ.-კავ. რკინისგზის სატერმინოლოლიო კომისიის მიერ გამოცემულ ლექსიკონში ან კაკაბაძის ლექსიკონში ჩაეხედა და გაეგო, თუ რას ნიშნავდა ეს ქაჯური სიტყვები, არც აცივა, არც აცხელა, უცხო სიტყვები აიღო და პირდაპირ გადაასხლა. კირილე იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ეს სიტყვები ნიშნავდა ცხვრების ან თხების მოყვანილობის აღწერას). ნა ვტორომ ბანჩვილი კეკოსაცხი, და ოდნომ ბჟირჩინი ი ზელე კანილ, ნა ოდნომ რონოდსკომ ჟივოტნომ. (აქ კირილე შეაჩერა სიტყვა „შეფუთვილმა“ დიდი ხნის წვალების შემდეგ, კირილემ გამოიცნო, რომ აქ კორექტურული შეცდომა იყო: „შეფუთვნილი“-ს მაგიერ, ეწერა „შეფუთვილი“, და ასე სთარგმნა). ნადეტო ს გოლოვი დო ნოგ ტოპელოე პლატიე, პოდ ნაზვანიემ „ტეგი“. ნა ოდნომ „ტიბჟირი“ ი „გრჩოები“. ნა სჩოტ ეტოგო რანშე ელექტროპისალი (მიელწერეთ ორი სიტყვიდან სთარგმნა კირილემ: ელექტრონი და წერა). იზ (აქ დიდხანს შეჩერდა

კირილე, ჩააფიქრა სიტყვა „ანგარანვა“. რუსეთის ქალაქები უკვე ზეპირად იცოდა, მაგრამ ასეთი სახელი არ გაუგია. დარწმუნდა, რომ უსათუოდ გერმანიაში უნდა ყოფილიყო ეს ქალაქი და, რომ ენის ცოდნა გამოეჩინა, ანგარანს გერმანული დაბოლოება მისცა და ასე სთაგრმნა). იზ ანგარანბაუმა (აქ კირილემ მეტის სიამაყით ცალ ულვაშზე გაისვა ხელი და შავი ფიქსატუარით თითები გაისვარა). ვსეხ ასმოტრელი ი ვსე ზდოროვი (კირილეს სახეში ისევ ცხოველები ჰყავდა და ჩამოთვალა სახეელბი). დაჟახმრიდი, ჩანჩიკი, რანშე ეტოგო (აქ ცოტა შეჩერდა კირილე, ჩააფიქრა სიტყვა „ურიკა“-მ, მაგრამ მოისაზრა, რომ ალბათ, კორექტურულ შეცდომასთან ჰქონდა საქმე და სიტყვა: „გარეკა“-ს მაგიერ, ეწერა „ურიკა“. რა კი ცხვრებსა და თხებზე იყო ლაპარაკი, უთუოდ „გარეკა“ იქნებოდა და ასე სთარგმნა). პოგნალი დზალაკინი (ეს ცხვრის სახელი იყო). ელსმენირუიტე პოლუჩილი ილი ნიეტ? ზდეს რონოდსკიი ელსუნა ესტოსმოტრელი როკა, ტარაზო ი ტარნარა ი ვსიო ვ პორიადკე — დშგუშადზე“.

გაიგებდა ვინმე ამ ქაჯურ ენას თუ არა?

ამ.-კავ. რკინისგზის სატერმინოლოლიო კომისიის და კაკაბაძის მიერ შედგენილ ლექსიკონებში თუ ჩაიხედავდა, უეჭველად გაიგებდა.

ალმასხან.

# სიზმრის ახსნა

ალმასკომის თავმჯდომარე, ვანო ცხომელიძე, ნახოთ, სიზმარში, კარგია; მეორე დღეს აუცილებლად დაითვრებით!

დასის ხელმძღვანელი, ვალოდი და კლუბის გამგე ოლიფანტე ნახოთ სიზმარში, ცუდია: საღამოების გამართვას ვეღარ ეღირსებით!..

ფოსტის გამგე, ანდრო თავართქილაძე და მისი თანამგზავრი ნახოთ სიზმარში, ცუდია; მეორე დღეს ლოტოს სათამაშო ფული უნდა მოამზადოთ!

ირაკლი ხუნდაძე ნახოთ სიზმარში, ცუდია: შვილიან -თავიანად ნარდის თამაშში ჩაებმებით.

აკაკი სხვიტარიძე ნახოთ სიზმარში, კარგია: სამწერლო ასპარეზზე დოხონდორიკის სათაურით შექმნით „ტარტაროზი“-სათვის საჭირო მასალას.

სჭამია-სერის სასწავლებლის შენობა ნახოთ სიზმარში, ცუდია: გამოღვიძებისას აუცილებლად თქვენი სახლის ფანჯრები და იატაკი დამტვრეული დაგხვდებათ.

ჰიპრო ჰიპრინტილაძე.

# ქრონიკა

### დაშავება

გუშინ, 19 იანვარს, გარშოკის ქუჩაზე № 000 მდებარე შენობის მე-18 სართულიდან გადმოვარდა თილიბოყლო ლოყლოყაძე და დაუშავდა ცალი თვალი. იგი გადაგზავნეს ტარტაროზის ჯოჯოხეთში, მისი ჯანმრთელობა არა საიმედო მდგომარეობაშია.

### დაკარგვა

დავკარგე „დაჩაზე“ გაგზავნილი ცოლი. ნიშნები: ცალი თვალიდან „პახმელია“, ტანით ისევ იმ სიმაღლეზეა, ფერი ისემეს მიუგავს. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. ვ. კატაპარიაშვილი.

### დაჭრა

19 იანვარს, ამხ. ლ. სუხიშვილის სახელობის ბიბ-სამკითხველოში, ახლად მოსულ ჟურნალ „ტარტაროზს“, თავს დაესხენ ვიღაც ბოროტგაძრახველები და 4 ალაგას მიაყენეს ჭრილობა. თავდამსხმელები მიიმალენ სამკითხველოს საგიდას ქვეშ.

## უხერხულობის „დაძლევა“



— არ ვიხმარო მაკრატელი და ხელფასში 25 კაპეიკი დამაკლდება. მაგრამ ეჰ, რაც მომივა, მომივიდეს, ისევ ვიხმარ: ესეც ხომ თავია!..

### კიდევ დაჭრა

ბოყინაძის ქუჩაზე მდებარე საყასბოში უსიამოვნების ნიადაგზე ყასაბ ანტრიკოტაძემ სათულით დასჭრა მოქძროხი ხორცი, რომელიც იქავე გარდაიცვალა მყიდველის კალათში, მკვლელი ჯერჯერობით მგონი, არ უნდა იყოს დაპატიმრებული.

### დაჯახება

ვერის ხიდზე მიმავალ ბატონ მუტრუკ ეშაკაძეს დაეჯახა მოსკოვის ვაგონი. დაჯახება ისეთი ძლიერი იყო, რომ ვაგონი გადავარდა ფუნიკულიორზე, რის შემდეგ, მგზავრები გადასხეს ფუნიკულიორის ვაგონებში და ისე ჩამოვიდენ ქალაქში. მიზეზი მგზავრების დაუდევრობაა. ეშაკაძე უვნებლად გადარჩა. მისი ისევ აყროყინება უზრუნველყოფილია.

### გაქცევა

გუშინწინ ბორჯომის პლატოდან ახალგაზრდათა კოლონიიდან გაიქცა დამსვენებელი ობობა ტარაკანოვი. მიზეზი ლოგინის უსუფთაობაა. მიღებულია ზომები მის შესაპყრობად.

### თავდასხმა

ტრამვაის სახელოსნოების ადგილკომში გუშინ ერთ დიდ არაჩვეულებრივ თავდასხმას ჰქონდა ადგილი. მთელი ტრამვაის სახელოსნოების მუშა- მოსამსახურენი თავს დაესხენ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციებს და სულ მთლიანად შეიძინეს. სწარმოებს... სასწრაფო ხელის მოწერა.

### გამოტყუება

არშაკ აძალლებულიანცმა თავის მამას გამოსტყუა ფული და შეიძინა ინდუსტრიალიზაციის ობლიგაცია. სწარმოებს კვლევა- ძიება ობლიგაციის ნომრისა და სერიის გამოსარკვევად.

მე—სტო.

# აქეთ „ლოდინი“.



— ამხანაგებო! ცოტა ლოდინი მოგიწევთ, რადგან...

# სიმართლის ხმა

### ქ. ხონიდან

ხელმეორედ წერილსა ვწერ,
„კაველკოტი“, კრებდე შინი“?
იქნებ ცუდი გამოგადგეს,
გთხოვ მიიღო უკეთესად.

—:—

ქალაქ ხონის პირ-ვარამი
მსურს გაცნობო ეხლა კიდევ,
თუმცა ჩემი პირველ ლექსით
ხონში ბევრი გადვიკიდე.
როცა ველარ დამტყვილეს,
ვლარ შეხვდი ჭრვის სამათ,
მაშინ ჩემი ანაწერი,
ცოტა იყოს, არ იამათ.
სიმართლისთვის კიდევ ავწერ,
თუ გინდ სუსტს და თუნდ ღონიერს
და თუ ტყვილი გამოდგება,
პასუხს ვაგებ კანონიერს!

—:—

ჯერ მივმართავ ალექსანდრეს,
ვინც ნამამასახლისია,
მუშაობა მიატოვა:
სძულს თოხი თუ სახნისია.
აქ გაგვიხსნა საწვრიმალო,
ამით ელის თავის შველას,
რვა თუმანი რომ ივაჭროს,
მოგებათ სთვლის თითქმის ყველას!..

—:—

შემდეგ ვნახოთ გალდავაძე,
მეეტლეთა უსტაბაში,
ხონში ვერვინ ვერ აჯობებს
ქეიფობა, ღვინის სმაში.
ათ კაცს აჯენს თითო ეტლში,
საქციელით გაგაკვირვებს,
ხშირად გორდშიც კი აგზავნის
ქუთაისის „პასაჟირებს“?..

—:—

ეხლა ვნახოთ პიტახია;
მეეტლეა ისიც ხონში,
ისე არსად არ წაგიყვანს,
თუ არა აქვს თავის ხოში.
ცამეტ ფუთს რომ თვით იწონის,
მას სჭირდება ორი ცხენი,
და მუშტარს რომ მოიმატებს,
როგორ მიჰყავს დანარჩენი?
აი, როგორ: დილით ადრე
თუ გაგიყვანს ხონიდანა,
ღამით ძლივს ხართ ქუთაისში!..
თუ გინახავთ ამისათნა?!.

—:—

ბულიეშვილს მივაკითხოთ,
ბირჟაზე აქვს სადალაქო,
მე მსურს მისი საქციელი
არც ვძრახო და არც შევაქო.
როცა გპარსავს წვერს და ულვაშს,
სხვას დაუწყებს ლაპარაკსა,
მაშინ ეძებს გუშინდელ ვალს
და შარშანდელ დანაკარგსა.
პარსვას დილით რომ დაიწყებს,
იქნებ ღამით გაათავს,
უეჭველად გაწყევლინებს
თავის ბედს და სააქაოს!..

—:—

აბანოსაც მივაკითხოთ,
შენობაა ძველის-ძველი,
წყალს ხომ შიგნით ვერ იშოვი,
ცივი იყოს თუნდაც ცხელი.
წინეთ იყო „ზავოდი“ და
შემდეგ გახსნეს აქ აბანო,
მუშებს ძლიერ გაეხარდათ,
გახდა ხონის სათაყვანო.
მაგრამ მაინც არ ასრულდა
სრულად ჩვენი საწადელი:
დაკეტეს და არ მუშაობს,
არის თითქმის ერთი წელი!
აბანო აქ საჭიროა,
გაგვიხსენით იგი მალე,
დაპირება რას მიქვია,
აი, დღეს და აი, ხვალე?!.

—:—

გაიყვანეს ელექტრონი,
შევხაროდით ხონში ყველა,
მაგრამ მაინც ქალაქ ხონის
განაპირა კუთხე ბნელა.
ხან ინათებს, ხან ჩაქრება,
ვამაწამა მთელი ღამე,
ციცინათელა მგონია
ის წყეული, სავარამე.
თუმცა მისი გასწორება
ჩვენ დაგვპირდენ დიდი ხნიდან,
„ენერგიას“ თუ უცდიან,
ალბად, სადგურ აბაშიდან!..

—:—

ეხლა ერით მივაკითხოთ
ხონის განთქმულ სასაფლაოს,
მცველადა ყავს ორი კაცი,
მათ სულით ყველა გაგვატყაოს.
რაც კი იყო, ყველა მოსჭრეს
და წაიღეს თვითონ სახლში,
თანაც ფული შეაგროვეს
უვიცსა და ღარიბ ხალხში.
თაღლითობა არ შეგრჩებათ
ტარასო და ჩემო ლუკა!
აწი მაინც დაგვეხსენით,
რაც გვიყავით, კმარა „შტუკა“!..

—:—

საავადმყოფოს მივადგეთ
და შორიდან მოვიკითხოთ,
გამგე—ექიმს, ძოძუაშვილს
ერთი რამე ჩუმად ვკითხოთ:
რატომ იყო, რომ მან ერთხელ
შიგნით გიჟი მოათავსა
და ხონის საავადმყოფო
თვით საგიჟეს დაამსგავსა?!.
ალბად, ფულს თუ ღაეხარბა,
გიჟი მიტომ დააწვინა,
გიჟი გარბის შუა ქუჩაში,
უკან მისდევს ვერა, ნინა!..

—:—

ხონის ქალებს აგიწერავთ,
თუმც არა მაქვს მათი ენი,
სად იშოვეს მათ ამდენი
„კაველკოტი“, კრებდე შინი“?
მოკლე კაბას ჩაიცვამენ,
არ სჭირდებათ თავზე „შარფი“,
სურათს ასე გადაგიღებთ,
ვით მეპუკე — ფოტოგრაფი!

—:—

მოწაფეებს გადავხედოთ,
გინდ თამრიკო, თუნდა გრაფო,
ათი წლის რომ შესრულდება,
ყველასა ყავს თითო სატრფო,
როცა ერთად ბაასობენ,
უნდა უგდო იმათ ყური,

# იქით „ლოგინი“



ტრესტის გამგე ფრიად საჭირო საქმით არის დატვირთული!..

რუსულს ისე ჰქიკჰიკობენ,
ვით მე ვიცი ინგლისური!..

**

ეხლა წყალკომს მივაკითხოთ,
ტრაბახობდა ხონში წინედ,
თავის საქმეს რომ არ უცქერს,
იყოს ცოტა გულმოდგინეთ.
წვიმების დროს წყალს არ კეტავს,
ხონის წარღვნა მოისურვა,
გაფრთხილებაც კი მიიღო,
აღარ ვიცი: შვიდი თუ რვა.
წინედ ხონის კომისარო,
დღეს წყალკომო—კალისტრატე,
ქეიფობა არას გარგებს,
კაცო, შრომას მოუმატე!..

—:—

ეხლა ერთი მოვიკითხოთ
დიდებული ხონის „ტირი“,
შევედი და გადავხედე,
გული დამრჩა ანატირი.
„ვინტოვკები“ დაუწყვიათ
აქ სხვა თოფის მაგიერად,
„პოზიციას“ მოგაგონებს,
ვერ გამოხვალ მადლიერათ.
სად „ტირი“ და სად „ვინტოვკა“
მიპასუხე, ხონის „ტირო“!
„მგონი, მალე მეღირსება
„სულთათანი“-თ რომ გიტირო!..

თუმცა ხონზე ლექსის წერით
გადვიკიდე ბევრი მტერი,
მე მაინც ვწერ, „ტარტაროზ“-ო,
რადგან ვნახე მოსაწერი.
დამემდურა გაწერისთვის
კაკაბაძე კომისარი,
ასე მიცქერს ცუდი თვალით,
გამათაოს ლამის-არი!
კაკაბაძეს ვინ არ იცნობს,
რაც კაცია ის ხალხისთვის,
ორჯერ იყო გაწერილი
ღარიბ გლეხის გალახვისთვის-
ამ საქმეზედ კაკაბაძეს
ცრემლი უნდა დაექცია,
სულ არ ჯავრობს: ზურგს უმაგრებს,
ქუთაისის „პროტექცია“!
ხან მოხსნეს და ხან მიიღეს,
ალბად, გულში ეცინება,
„პროტექტორი“ და სიმართლე,
სჩანს, ერთმანეთს ეცილება!
მასთან ხონში ვერას გახდა
ალმასკომი, ველარც პრესა,
სჩანს, სიმრუდემ გაიმარჯვა
და სიმართლემ დაიკვნესა!
ეხლა შენ გთხოვ, „ტარტაროზ“-ო
გევედრები, გამიგონე,
ამ ვაჟკაცის მოქმედება
შენს სასწორზე ამიწონე!..

**იასონ ნაცისხარი.**

## ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანა

ამ აბრეშუმის ქარხანას
ბიუროკრატი განაგებს
მუშების საწინააღმდეგოს
მრავალ ხრიკებსა დააგებს.
ილარიონი გამგეა—
დათიკო ბუჰგალტერია
მუშების შემძულებელი
კეთილი საქმის მტერია.
ჯახუას ქალი უფროსობს
მაცოცაც მისი ტოლია
გვერდს შარაშიძეც უმშვენებს
რადგან პეტრუშას ცოლია.
კარგ მუშებს ცილსა სწამებენ
ყოველ ხრიკებსა ხმარობენ
აბრეშუმს ლაფსა და ნეხვში
თან ჰყრიან თან უარობენ.

**მსუბუქი არტილერია.**

### ცოლის და ქმრის მიმოწერა

#### ცოლის წერილი

სასიკვდილე ჩემო ქმარო,
დარდისაგან დავჭკნი ქალი,
ამ ყოფაში ჩავარდნამდე,
რა გიჭირდა, მოგეკალი!
ბავშები მთლად ტიტვლებია,
ეზო გაპინტრაშებული,
შიგ ღორები ნავარდობენ,
უპატრონოდ აშვებული.
მეზობლებმა მთლად დაკარგეს
ნამუსი და მორიდება,
მევალეებს რაღა ვუყო,
გულზე ცეცხლი მეკიდება!..
შენ არაფერს იწერები,
მაქ აგდიხარ ოთხი წელი,
ჩემი შენთან შეუღლება
გახდა მწარე, გახდა მწველი!
ჩამოდი და მიწა თოხნე,
ვერ დაგვცინებს მაშინ მტერი,
ვერ გახდები კომისარი,
გამგე და ვერც ბუჰგალტერი!.

#### ქმრის პასუხი

რა ვქნა, ქალო, ავადა ვარ,
ვიცი, მომკლავს კუჭის ქარი.
შენ მე ქლექი გამიჩინე,
შენ გაგიჩნდა თიაქარი!..
ქუჩა - ქუჩა დავჩერჩეტებ,
ფიქრებით თავ განახური,
ყველას ვსთხოვე, მაგრამ ვერსად
ვერ ვიშოვე სამსახური!..
მე მინდა, რომ მტრებს, ორგულებს
თვალები მთლად გავუშტერო,
გადავსწყვიტე: ამ ბოლო დროს
„მოხუც ფფაკში“ ჩავეწერო...
აქედან კი უმაღლესში
მოვადინო, მინდა, ფხეკა,
შემდეგ, ქალო არ მოგიწევს
კვერისათვის ნაცრის ჩხრეკა
მე ექიმი გავხდები და
შენ კი — ჩემი თანაშემწე,
ნუ გაიტეხ გულს დროებით.
სწავლისათვის ძალა შემწევს!
მალე „საპინჯს“ ჩამოვიტან,
მანამდე კი იყავ მარდათ.
დათვლილი ოთხი წელი
შეიცვლება ია-ვარდათ!..

**იანო.**

## უსაქმო ბაზიარები

**(ოზურგეთიდან)**

ტარტაროზ, მოინახულე
ოზურგეთისა ქალაქი,
იკითხე ტიტე თოხაძე
და მასთან ორი დალაქი
ის ძველი ბაზიარია,
ცნობილი მემიმინოე,
აქ იყრიან თავს ყველანი:
მიშა, სამსონი თუ ნოე.
დუქნის წინ ქანდარაზე ზის
მიმინო კაპუეტია,
აქ ხომ ხალხს ნახავ თავმოყრილს,
პურის დუქნებზედ მეტია!
ახლოს გამვლელს უნებურად
აგონდება ძველი დროი,
ოდეს გურიასა ფლობდა
თავად-აზნაურთა ხროი!

**წიწმატი.**



მიმდინარე საუკუნის 1926 წლის დასაწყისში ოზურგეთის რადიო - მოყვარულთა საზოგადოებამ დასვა საკითხი რადიოს მოწყობის შესახებ; რამდენიმე თვის შემდეგ შეადგინეს გეგმა; წლის ბოლოს აირჩიეს მომწყობი კომისია; 1927 წელს მუშაობა დაიწყეს, წლის ბოლოს საძირკველი ჩაუყარეს; 1928 წელს მთავარი კორპუსი ააგეს და წლის ბოლოს, საქმე რომ სრულდებოდა...



—...ერი წელიწადი იბრნავა თუ ავდარში—იბანავა ჩიორამ ზედ და ახლა კი...

# შ ა რ ა დ ა

დღეს შარადის ასაკანძად
პირველი სიტყვა მოვნახოთ,
წელიწადში თორმეტია,
ჩვენ ერთ-ერთი უნდა ვნახოთ,
და ამ ერთის ბოლო ასოს,
მოვკვეთ მხოლოდ მარტო ერთსა,
ორი ჩვენთვის მოვიტოვოთ,
რომ ელოდეს შესაერთსა.
ეხლა მეორე მოვსძებნოთ:
ფეხებზე, გინდა, ხელებზე,
იქ ის ხუთ-ხუთი გვასხია,
ჩვენ კი გავჩერდეთ ერთ-ერთზე.
და ერთის სახელწოდებას,
თავი და ბოლო მოვკვეთოთ,
და ორი ასო დანაშთი
რაც გვქონდა მას შევუერთოთ.
მოვსძებნოთ სიტყვა მესამე
სასმარი მშენებლობაში,
როგორც მასალა საჭირო
ხანდახან ტკბილნარობაში.
ვისთვის ახალი ქარხანა,
ამას აწ ამოცნობასა
არ უნდა თავის მოფხანა.
ამ სახელს, მოთეთრო საგნის,
ოთხი ასოსგან შემდგარსა,
მეორე ასო მოვსტაცოთ
ნუ დავაყოვნებთ დიდ ხანსა.
სამი ასოსგან შემდგარი
აქ მიღებული კრებული,
შენახულ ოთხს მივუმატოთ,
საქმე გვქნათ მით ჩინებული.
ეხლა მეოთხე მოვსძებნოთ,
საჭირო სიტყვა შარადის,
ყოველი ენის სისწორეს
მოწამეთაში შენდება
რომ იცავს ყველგან მარადის.
ესე საგანი ყოველთვის
ენას უსწორებს მოსწავლეს,
მართლ წერას დააწყებინებს,
თუ რომ იკითხავს, ისწავლის,
ქართულ ენისთვის წიგნები
ამა საგნისა სასწავლათ
„სილოვანს,“—„ნიკოლაიშვილს“
ყვლავც უნდა ჰქონდეს ამჟამად.
ამ სიტყვას აქ მთლად ვერ ვიხმართ,
თუნდ დაპახინჯდეს ქართული,
მას ხუთი ხმა წინ მოვსწყვიტოთ,
ნება გვაქვს მასზე დართული,
ეს უნდა სწორედ შარადას
ოთხი რომ დაგვრჩა ბოლოში,
ჩვენ შვიდ ხმას ის მივუმატოთ
და გავალთ სამშვიდობოში.
დიდი ხანია „ტარტაროზ“
მისდევს, მიჰყვება მის ლოზუნგს
სხვის და თვის ნაკლზე უთითებს,
და აფხანინებს ის ბევრს ზურგს!..
ტაშიელა.

# ცნობათა მიღება

### მრავალწყარო-ს

მართალია, თქვენი ფსევდონიმი „მრავალწყაროა“, მაგრამ თქვენი აფორიზმები კი ჩვენ მივიღეთ ერთად-ერთ წყაროდან, ესე იგი თქვენგან. ამასთან ცნობილია, რომ წყარო, თუ გარეშე წყალი შიგ არ შეერია, ვაგ-ლახად არ იმღვრევა ხოლმე, რასაც ჩვენ ვერას დიდე-ბით ვერ ვიტყვით აღნიშნულ წყაროზე.

თქვენს აფორიზმებს სათაურად აწერია: „სულელი და ჭკვიანი“. სულელზე თქვენ სწერთ:

„მან ის იცის, სხვამ არ იცის,
მისთვის ყველა ნათელია,
და გონია, ყველაფერი,
სულ ადვილი საქნელია“-ო.

ერთი ცნობილი კრიტიკოსი ბრძანებს: „ყოველი მწერალის ნაწარმოები ჩვენ ერთის მხრით შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მისი ბიოგრაფია“-ო.

ეს აზრი სავსებით შეეფერება ამ თქვენს „აფო-რიზის“. მართლაც და ალბათ რომ ამის დამწერმა ის იცის, რაც ამ „აფორიზიმში“ აზრი არის ჩაქსოვილი. სხვა ეს, აბა, რა უნდა იცოდეს!.. ავტორისათვის კი „ყველა ნათელია“ და გონია მას, ავტორს, ესე იგი, თქვენ, რომ „ყველაფერი ადვილი საქნელია“... მათ შორის—„აფო-რიზმების“ წერაც!

აი, სად მართლდება ის დებულება, რომელიც მე-ტყველებს: „სულელებისათვის კანონი არ იწერაბა“-ო!

ამის შემდეგ ჩვენთვის „ნათელია“, თუ როგორ „ადვილი საქნელია“ აფორიზმების წერა!..

ჭკვიანის შესახებ კი თქვენა სწერთ:

„მან ის იცის, რაც არ იცის,
თვით, სხვისთვის ვერ მოუცლია
და მას ფიქრობს, ყველაფერი
შესასწავლი, საცდელია“-ო.

რაც მართალია, მართალია. თქვენ, მაგალითად, ჩი-ნებულად „იცით აფორიზმების წერა, რაც, რა თქმა უნდა, „არც იცით“ იმავე დროს, მაგრამ „სხვისთვის მაინც ვერ მოგიცლიათ“ და ისევ აფორიზმებზე ხარჯავთ თქვენს მადლიანს ნიჭს, ჭკუას.

ეს ამბავი ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ამის შესახებ ტარტაროზი ასე მსჯელობს: ალბათ, რომ დიდი ეშმაკი კაცი უნდა იყვეს ეს მრა-ვალწყარო. მას, როგორც ეტყობა, მრავალ წყაროსაგან უნდა ჰქონდეს გაგებული, რომ აფორიზმებს ჭკუიანი ხალხი სწერს, აუღია და მასაც აფორიზმების წერა დაუ-წყია. მიზანი გასაგებია და მაგალითიც—მისაბაძი...

დიახ, ამ ქვეყნად „ყველაფერი საცდელია“, სანამ კოვზი ნაცარში არ ჩაგივარდება კაცს!..

### ა. ოუენ-ს

თქვენ გვწერ: „ეს ჩემი წერილები (რამდენიმეა) ყველა „ტარტაროზის“ № 162-ში დამიბეჭდეთო“ და საბუთად მოგყავთ ის, რომ მამათქვენი წერას არ გან-ბებთ თურმე: არ დაგიბეჭდენო — გეუბნებათ. თქვენ კი გგონიათ და თან იმედიც გქონდათ, რომ მისი, ესე იგი მამათქვენის „სიტყვა“ გაბათილდება.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მამათქვენის „სიტყვის“ გაბათილება ჩვენთვის პაინცადამაინც ხელსაყრელი არ დარჩა; ვინ იცის, ალბათ, გამოცდილი კაცია და ყველა-ფერს წინწინ ატყობს. ამ შემთხვევაში კი, როგორც ვხე-დავთ, ის პირდაპირ წინასწარმეტყველად არის ჩასათვ-ლელი.

მეტი გაუგონეთ და დაუჯერეთ მამას და ნაკლებათ სწერეთ ასეთი ლექსები. ბედნიერია, ვისაც თქვენი მამის-თანა მამა ყავს!..

### ყარამანის ბიძაშვილ-ს

ნეტარება იმ ყარამანს, რომელსაც თქვენისთანა ბი-ძაშვილი ყავს. ასეთი აღფრთოვანებით, როგორც თქვენ, ჯერ ლექსი სხვას, მგონი, არავის დაუწყია. მართლაც და თქვენი სოფლისთანა სოფელი სხვა არსად ყოფილა, თქვენისთანა საბჭო სხვა სოფელს არა ჰყოლია, საწუხე-ბელი და სადარდო არა გქონიათ რა. ყველაფერი ეს ძალიან შეეფერება ჩვენს საბჭოთა აღმშენებლობას, რო-მელიც, როგორც თქვენა სწერთ, „მილიონი თავით“ მი-მდინარეობს...:

ერთი სიტყვით, ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქო-ნდა... უკაცრავათ, არ ექნებოდა, რომ... უცბათ ამ თქვე-ნსავე ოპტიმისტურ ლექსში არ ამოგვეკითხა:

„მოსავალი კარგია,
პირნახული საყოფი
არ მაქვს დასადარდია
რა მაქვს მე გასაყოფი“-ო

ცხონებულ ლუარსაბ თათქარიძის შემდეგ, ასეთი თვითკმაყოფილება ჯერ არა გვსმენია. მთელ დასავლეთ საქართველოში, დიდი წვიმების გამო, პირნახულს და-ღუპვა მოელის და თქვენ კი კმაყოფილებით ხართ და-მთვრალი!..

მაგრამ არც თქვენ გადგიათ თურმე მაინცადამაინც კარგი დღე:

„მეკამბეჩეებმა აგვიკლო
გაგვინადგურა ყანები,
ყოველ ზაფხულში პილსუდსკის
ხმალებს ლესავენ პანები“-ო, სწერთ.

რა ეშველებოდა „პანებს“, რომ თქვენი „ყანები“ მეკამეჩეებს არ აეკლოთ. ვინ-ღა მიალექსავდა მათ ქარ-თულად და ვინ მიარითმავდა ყანებთან?!..

ჭეშმარიტად ყვავის პასუხია „ჯერჯერობით ჩვენს პატარა საქართველოში!“..

### პ. ლიახველ-ს

„ტარტაროზს“ მოეპოვება ურყევი საბუთები, რომ თქვენ თქვენს წერილში: „ორი დაია: „კოკორი“ და „კო-სლავოლცკა“ ხელმძღვანელობით პირადი ინტერესებით შეეცადეთ გაპფანტოთ ეს აზრი თქვენს შესახებ. წი-ნააღმდეგ შემთხვევაში მიიღებთ შესაფერ შეფასებას თქვენი საქციელისათვის თვით ძათი უტარტაროზისებუ-ლებისაგან.

### ყარსუბნის აფთიაქარს, ეპიფანე ოურაშიძე-ს

საკვირველია, თქვენი საქციელი: ჟურნალ „ტარტა-როზის“ №171-ში მოთავსებულ შარჟს, რომელიც თქვენ, როგორც პიროვნებას, თითქმის არავითარ შეურაცყოფას არ გაყენებს და რომელიც, როგორც აფთიაქარზე, სა-ვალდებულო ხუთი პროცენტით რომ მართალი იქნება, ამაში „ტარტაროზი“ ასი პროცენტით არის დარწმუნე-ბული. იმდენად აუღელვებიხართ, რომ ცნობის მომწო-დებელს ბოროტად თავფქვილაძეს უწოდებთ. ხოლო ვერ ამჩნევთ, რომ შარჟის დამადასტურებელ კიდევ ერთ ზედმეტ საბუთს იძლევით ამით ჩვენს განკარგულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში საიდან იცით, რომ ცნობის მომწოდებელს თავში ფქვილი აქვს? ალბათ, იქიდან, რომ ფქვილისაგან პური გინდ მჭადი ცხვება ხოლმე, ხო-ლო ეს უკანასკნელი კი ურემწვარ ქათამთან ერთად, აუცილებელია შიმშილის დასაცხრობათ, რ. დ. გ. ესე-გი, რის დამტკიცებაც გვინდოდა!.

### შაკო-ს

„ტარტაროზს“ № 172-ში მოთავსებულ თქვენი კორესპონდენციის გამო ძლიერ აღშფოთებულია ქუთაი-სის მესამე საგრენაჟო სადგურის გამგე, ამხ. ი. მაჭავა-რიანი. ეჭვია თქვენზე, რომ თქვენ ხართ ან „ბოროტი ადამიანი“, ან „უგუნური“.

შეეცადეთ ჩამოიშოროთ ეს არასასურველი „ვარ-ლიკები“.

„ტარტაროზი“.

# განა, ნაკლია ის, რაც აკლია?!



— თუ იცი, როგორი კაცია ეს ჩვენი ახალი გამგე?
— ნამდვილი ბიუროკრატია, მხოლოდ... უსათვალეებო...

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ.

კვირა 21 ოქტომბერი 1928 წ. № 175 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## წითელი აჩრდილი

„ლოძის რაიონში გამოცხადდა მუშათა საერთო გაფიცვა".

(დეპეშებიდან).

ნახ. ნადარეიშვილის.



# „აჩრდილი დაძრწის ევროპაში“

იყო და აღარ არის, იყო ინგლისის მინისტრი კერზონი, ყალბ დოკუმენტების გამომგონი. იცოდა ნოტები ხშირი; სძულდა საბჭოთა კავშირი. მაგრამ როცა ვერაფერს გახდა საბჭოთა კავშირთან—ამ გულად გმირთან,— ამჯობინა გამოეცვალა ბინა და საიქიოში გადასახლდა. (მარტო წავიდა, არავინ ახლდა). ჯოჯოხეთში ამოჰყო თავი. (ცოდვები ჰქონდა მას უამრავი).

ერთხელ მოიხმო ღმერთმა კერზონი (საქმენი ჰქონდა ალბად კერძონი) და უთხრა:

— წადი, გამიგე ამბები მიწის; ის შენებრ კარგად არავინ იცის!

და ის იყო კერზონმა გამოსვლა რომ დააპირა, ჯოჯოხეთის კარებთან მარიამ თეოდორეს ასული რომანოვისა *) გადაეხირა.

გაუკვირდა კერზონს: —ო, უფალო!?! დედოფალო, თქვენ ძალიან დაგაგვიანდათ! ნუ თუ ამდენხანს ცხოვრობდით კიდევ კომუნისტების გადამკიდე?! გული გქონებიათ ალბათ რკინისა, ანდა არა გაქვთ ნატამლი ტვინისა, თორემ ამდენხანს როგორ გასძლეთ, ქალი იყავით ისედაც ძველი?! „შენმა“ ქვეყანამ მე დამანელა და დამაჭლექა თანდათან ნელა. თქვენ ამდენხანს როგორ გასძელით,—აი ეს არის გასაკვირველი!?! მიბრძანდით მანდ და ყველა თქვენები, ჯოჯოხეთისა დამამშვენები, მანდა არიან, არ უხარიათ!

ამის შემდეგ კერზონი (უფრო სწორედ—მისი სული) უხილავად გადაცმული წამოვიდა აქეთკენა და უნდოდა საბჭოთა კავშირში ჩამოფრენა... მაგრამ გზა შეუკრა ქარხნების ბოლმა ცამდე ნასროლმა.

— ვაიმე როგორი შექმნილა საბჭოთა კავშირი?!— და კერზონის სულმა ჩამოუშვა ცხვირი.

გაქროლდა როგორც რაში და ჩაფრინდა ევროპაში.

— აი, დალოცვილი მხარე, მოწმენდილი არე-მარე, არსად არა სჩანს ქარხნების ბოლი. ბრწყინავს მიდამო, როგორც ბროლი. არ უბოლებენ ღმერთს მაღლა ცაში, როგორც ეს ხდება საბჭოთა ქვეყანაში. არა სჩანს არსად შავ კვამლის ბოძი... ეს არის ლოძი::: ეს გერმანია. დიდი ხანია არ მინახია... აქ გლადბახია... ეს ვესტფალია—თოფის ფალია... უკვე მზად არის გავარდეს მეხი და შეტრიალდეს პირიქით კეხი... ეს არის ჩეხო-სლოვაკია აქ რაღაც ხმამაღალი ლაპარაკია! კლადნოში არ სდგას ნახშირის მტვერი... სტოვებს მაღაროს შტრეიკბრეხერიც! —ამ დროს კერზონის სულმა დაინახა ორ ღიპიან ადამიანის ფიგურა და მიაყურა.

— თუ მწამს ღმერთი,—ამბობს ერთი,—სჯობს ლოკაუტის გამოცხადება, არ ღირს ამის გადადება, თორემ მუშები დაგვასწრებენ და გაიფიცებიან; ამაში ერთმანეთს უკვე ეფიცებიან!

— ოჰო! ცუდათ ყოფილა საქმე! რა მინდა აქ მე? ევროპა უკვე მომწყინდა!—და კერზონის სული ავსტრალიაში გადაფრინდა.

— ჩვენი ახალშენი ავსტრალია... ეს ნიუკასტრალია... მაგრამ საქმე რაშია, რომ განგაშია?! პოლიციას სცემენ მუშები ჯოხებს!.. წითელი დროშა ამშვენებს ქოხებს!— და სულს კერზონის გულს ეცა ელდა.

დაღამდა კიდეც და ჩამობნელდა.

ბევრი იხეტიალა თუ ცოტა იხეტიალა, მთელი ქვეყანა შემოიარა. გულზე გაუჩნდა ბევრი იარა.

— ისევ სჯობია უკან დავბრუნდე და არასოდეს აღარ დავბრუნდე, თორემ მოვკვდები ისევ ხელახლა!—და კერზონის სული აფრინდა მაღლა.

ენუქი.

*) ნიკოლოზის დედა, რომელიც ახლახან გარდაიცვალა. ჰოლანდიაში.



# კურორტ შოვის რამე-რუმე

რაჭის მთებში, ულრან ტყეში, სად ბუდობენ: დათვი მგელი,—
ცად აწვდილან მწვერვალები სად ძევს თოვლი ძველისძველი,
სადაც კლდიდან კლდეზე დაჰხტის ქედმაღალი ჯიხვი, შველი,—
შამშეს შოვი აუგია მტრებისათვის გულის მწველი.

აუგია, მაგრამ, ვაჰმე! საკურორტო სამმართველოს
დადგომია კრიზისები—კაცს ვერ სძებნის სასახელოს,
რომ გაგზავნოს დირექტორად, საქმე კარგად წაახელოს,
ჩვენ ამითი მოგვცეს შვება, ხოლო მტერი გაახელოს.

დირექტორად ოფიცერი მოვლენია შოვს ჭაბუკი,
მას ცხოვრება უყვარს კარგი, უყვარს ზურნა და დუდუკი.
შოვის ტყეში ხშირად დაჰქრის, გადუგდია ზურგზე ბუკი,
სატრფოები თანვე ახლავს (ბევრი არის მათში ქუკი).

ოფიცერი ძველი არის, უყვარს „მრავალ-ჟამიერი",
ის ქალებში თავს გრძნობს ღმერთად, ვითომც არის ზეციერი,
დალევს ბევრსა, ან სჭამს ცოტას კაცს ჰქონია სულ მშიერი,
ურტყამს ყველას ვინც მოხვდება ახალგაზრდა, თუ ხნიერი.

კურორტ შოვში წელს ზაფხულზე გაიმართა ნადიმობა,
დირექტორი თამადობდა, იყო „რეჩთა" დიდი თხრობა.
სუფრის თავში ბოკი იჯდა (გაგვიწია ჩვენ მან ძმობა).
ბოკის გვერდით ნემკა სკუპდა და მათ შორის იყო ტრფობა.

ალიოშა მოჰყვა მარჯვნით, ადღეგრძელა გულით ყველა.
სასმისები რომ არ ეყო, ვაზებიც კი მოიშველა.
თავად სვამდა, სხვებს ასმევდა აღარ იყო მარტო-ხელა.
(სმა არ „უყვარს", მაგრამ ტრფობამ ბაბიტოსის გაახელა).

შეზარხოშდა კარგად ყველა სუფრას მსხდომნი ქალი, კაცი.
ლეკურიც კი დაუარეს, ვანო ხტოდა როგორც ვაცი.
ინვალიდი დოლს უკრავდა, გამოფხიზლდა ის ზარმაცი,
პროფესორიც შეკვინტრიშდა, უშნოდ იწყო მან ბარბაცი.

ახვინტრიცდენ: ვერა, შუშან, ბუქნა ვნახეთ ბაბიტოსი.
სვანიძე კი ხოშზე მოდის, (გმირი არის ავგისტოსი).
ღონე ერჩის, მუშტებს იქნევს უფლება აქვს ასკვიტოსი.
კურზალი მან გაგვიხადა სამიკიტნო სემიტოსი.

ბუღალტერი გაგვილახა სულ უბრალოდ კაბინეტში,
სიბრაზისგან რევოლვერი პირს ჩაუდვა, შედის რეტში,
იქ ერმილეს გაეკიდა, ვაჟკაცობას იჩენს კეტში.
თავი ვერსად ისახელა მარტოდ-მარტოდ ამის მეტში,

ამ დროს ონმა ამოუსწრო, თავს დაესხა კომისია.
შეუყენა ოქმი ზუსტად გამსახლისა ჯდომისია.
სატრფოები შემოსცილდენ... ახე ხდება... სხვა—სხვისია!
ტარტაროზო, მისცხე ყველას, მოიხადე მით მისია.

— აკსი.

# შემოდგომის პასტორალი

(გრანელისებურად)

ის ჩემი სული სადღაც გაფრინდა,
მწამს, ყოველივე რომ სიზმარია.
არა მყავს ცოლი, არა მაქვს ბინა
და ირგვლივ შავი სიმწუხარეა.
ასე არ მინდა და ვამბობ დღესაც,
რომ ეს ლოდინი მეტად ძნელია:
ქუჩის კიდეში, იქ, ლამაზ ვაკეთან
შეჩერდა ქალი და სიბნელეა.
როგორც ყორანი, გაჩნდება ხვალეც
ღამე ასეთი და ჩემზე გრძელი.
შრომის ბირჟაო! მე დავიღალე,
რა არ მივქარე, რა არ ვიგრძენი:
გულ რომ დაქკნა წითელ ვარდივით,
რა ვქნა, კარები ყველგან დაკეტეს
ო მე წუმპეში გადავარდნილი
უმზერ ნოხებით მოფარულ კედლებს
ბაღში ეცემა ფოთლების გუნდი,
ეხლა ქარები დასდევენ იმას;
ხულიგნობიდან უკვე დავბრუნდი;
გომართელივით მიწყნარდა წვიმა...!
ვამჩნევ, თეთრია ქალთა კრებული
და უსმენ სულის ტანჯულ გოდებას
ვერისკენ მივალ დაფიქრებული
და ამღვრეულ მტკვარს უახლოვდე-
ბი...

უმუშევრების კრთიან ჩრდილები
და ვიცი, გამგე რომ ბოროტია.
გამოჩნდა ვირი სავსე ქილებით,
მევირეები ჩემსკენ მოდიან.
უმუშევრობა მე აღარ მინდა.
ბირჟავ ძლიერო და უწმინდესო!
მთელი ზაფხული ასე გავიდა
ხომ ხედავთ თვალი ცრემლით ამევ-
სო.

გარეთ ღამეა და გულში სიცხე,
ბალლინჯოები აღარ არიან.
ასე მგონია სამსახურს ვიწყებ,
ბავშივით ვხტუნავ და მიხარია!..

იანო.




—რა არის, რომ ერთი კვირაა სულ აქ მოვდივარ და შენ კი გამგესთან არ მიშვებ?
— არ შეიძლება! გამგე მოხსენებას ამზადებს საქმის წარმოების „რაციონალიზაციის" შესახებ.

# ორდერი

სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ცოლმა რამოდენიმე ორდერი გადმომცა. ეს იყო შეშის, თეთრეულის, ქურქლის, თბილი ტანისამოსის და სხ. ორდერები.

— კი მარა რით გამოვიყიდოთ ეს ორდერები?

— ჩემი საქმე არ არის. ესენი ოჯახისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მიპასუხა ცოლმა, თავზე დაიხურა ნისიად გამოტანილი ახალი მოდის ქუდი და გავიდა. — ფეხსაცმელების ორდერისთვის მივდივარ, — მომაძახა და მიიმალა.

— კი მაგრამ ფული? უფულობის გამო აგარაკზე ვერ წავედი და ამდენი ორდერი რით გამოვიყიდო?

უცებ ძველი მოვალე მასიკო მომაგონდა. ორი წელია რაც ფული მართებს და არ მოუცია. მაშინვე შევუდექი წერილის წერას.

— მივწერ, თავს შევაბრალებ, იქნებ დამიბრუნოს ფული!

კარის კაკუნი გაისმა. გავაღე. ფოსტალიონმა წერილი გადმომცა.

წერილში შემდეგი ეწერა:

„ძმაო ალლარ!

რამდენჯერ მითქვამს ინათი, რომ აგარაკზე აღარ წავალთქო, მაგრამ ჩვეულების მქონე ადამიანს, თუ იგი იმავე დროს მოდების მიმდევნო ცოლის პატრონია, აგარაკზე არ წასვლა გაუჭირდება.

პირველი ორდერი, რომელიც მე ავიღე გასულ 1927, — 28 წლის საოპერაციო - საანგარიშო - საბალანსო წელს, ეს იყო ორდერი სააგარაკო ოთახზე წაღვერში. როგორც საკურორტო სამმართველოს ორდერმა, ისე წაღვერში ყოფნამ დააცალიერეს ჩემი ჯიბის 50 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 15 პროცენტით ზრდას იძლევა.

მეორე ორდერი, რომელიც მე ავიღე (მართალია ცოლის დაჟინებით), იყო ისევ ოთახის ორდერი ქობულეთს აგარაკში. რას იზამ ძმაო, ასეთია მოდა; ჯერ მთა, მერე ზღვა, მერე კი ქალაქი გამოფხეკილი ჯიბით.

შემდეგი და მესამე ორდერი, რომელიც კვლავ ავიღე, იყო სპეც-მალარია ექიმის ორდერი, რადგანაც ქობულეთმა, ულტრა-იისფერ სხივებიან მზის ნაცვლად, მალარიის პლაზმოდიებით დაგვასაჩუქრა.

ახლა უკვე ოქტომბერია და აგარაკებზე ლაპარაკი გვიანია. მაგრამ ამ წერილის და ჩემი მსოფლიო პესიმიზმის მიზეზი აგარაკებში უნდა ვეძიოთ მედა შენ. საქმე იმაშია, რომ აგარაკებმა მთელი 100 პროცენტით გამოაცალიერეს ისედაც დეფიციტიანი ბიუჯეტი და ამჟამად დეფიციტი საგრძნობ თანხას აღწევს. დოტაცია შენც არ მომიკვდე: ჩვენი კანტორის გამგის გულთან შედარებით ცივი ქვა მდუღარე ლითონია. ხოლო ასეთ გულს, შენ თითონ იცი, ამ სიცივეში ვერაფერი გაადნობს.

შემოდგომის დადგომასა და ზამთრის მოახლოვებასთან დაკავშირებით, მე შევუდექი საჭირო ნივთებისა და სანოვაგის მომარაგებას, რისთვისაც გავაჩაღე ორდერების აღების კამპანია.

პირველი ორდერი, რომელიც ჩავიგდე ხელში, ეს არის შეშის ორდერი, რომელსაც ფული უნდა.

მეორე ორდერი, რომელიც ჩემდა დაუკითხავად აუღია ჩემ ცოლს, არის თეთრეულის ორდერი.

მესამე ორდერი, რომელიც ჩემ სიდედრს აუღია (ხომ იცი ჩასიძებულ კაცის ამბავი), გახლავს 20 მეტრით ფლანელის ორდერი, რამაც გულის მთავარი ძარღვი გამიწყვიტა.

მეოთხე ორდერით (ისიც ჩემდა დაუკითხავად) აუღია ჩემ სიმამრს, მე უნდა გამოვიტანო საჩოხე შალი იმავე სიმამრისთვის (ასე სცოდნია ჩასიძებას).

მეხუთე ორდერი, თუ გაინტერესებს, მე თითონ გამოვიტანე საზ-ბა „მკერავიდან", რადგანაც უტანისამოსოდ ვარ და ზამთარში ხომ იცი, ხან სიცივე იცის.

მეექვსე ორდერი, რამაც სრულებით გასტეხა ჩემი გაბზარული, მაგრამ შენი მოიმედე გული, არის ფეხსაცმელების ორდერი, რომელიც ჩემ ცოლს და სიდედრს გამოუტანიათ მუშკოოპიდან საერთო ძალ-ღონით.

მეშვიდე ორდერი.. მაგრამ საკმარისია. რამდენი უნდა ჩამოგითვალო?.. ერთი სიტყვით, ჩემი ჯიბეები, რომლებიც აგარაკზე წასვლის წინ სავსე იყო ფულით, ახლა ორდერებით არის გატენილი. ლამის არის მეც ორდერათ გადავიქცე. სამსახურში, საჭირო მიწერილობის ნაცვლად ორდერებს ვწერ. დღისით ორდერი მეჩვენება და ღამით სიზმარში ორდერებს იერიში მოაქვს ჩემზე.

არც იმდენათ გაუგებარია ჩემი წერილი, ჩემო ალლარ, რომ ვერ მიხვდე მისი დედა-აზრი, ანუ მთავარი მოტივი. ყოველივე ზემოთქმულიდან შენ უსათუოდ იმ დასკვნამდე მიხვედ, რომ მე, ორდერების გარდა არაფერი გამაჩნია. მართალია, კიდეც მეხათრება და შარშანწინდელი ვალებიც ვერ დაგიბრუნე, მაგრამ მაინც ვბედავ და გთხოვ, რამენაირად მომიწყო ხელი და ხუთი-ექვსი ორდერის გამოსაყიდი ფული მასესხო. ამას მით უმეტეს ვბედავ, რომ შენ წელს აგარაკზე არ წასულხარ და ტფილისში ბევრი არაფერი დაგეხარჯებოდა.

ამასთან გიგზავნი ორდერების სიას და მათ ღირებულებას.

**შენი ტერსიტი.**

წერილი ხელიდან გამივარდა. ორდერების გრძელი სია ნელ-ნელა გადაშრიალდა მესამე სართულიდან, სადაც მოთავსებულია ჩემი საკუთარი ბინა, რომლის ქირა 6 თვეა არ გადამიხდია.

**ალლარ-ალლარსან.**

---

## ზრუნავს



ვენაცვალე ჩემს მაშინას, სხვა შოფერებივით ისე კი არ გავილეშები რომ ის დავივიწყო: მეც დავლევ და ამასაც დავალევინებ!

# სემაფორთან



ლევარსი როხროხაძე სამილიციო საგუშაგოზე იდგა სემაფორთან და ქუჩის მოძრაობას აწესრიგებდა.

მასთან მივიდა სოფლელი და ჰკითხა:

— თუ შეიძლება, გვასწავლე, მთავრობა სად არის?

— სასახლეშია!—იყო ლევარსისაგან მოკლე პასუხი.

— სასახლე სად არის? —

— მუზეუმი რომ არის—იმის პირდაპირ.

— მუზეუმი სად არის?

— რუსთაველის პროსპექტზე.

— რუსთაველის პროსპექტი სად არის?

— ვერის ხიდზე რომ გადახვალ, აჰყვები ზემოთ...

— კი, მარა ვერის ხიდი სად არის?

— შე ოჯახ დაქცეულო, თუ არაფერი არ იცოდი, რას მოხვიდოდი ქალაქში? სახლში ვერ დიეტიე?—უთხრა ლევარსიმ და სემაფორის შემოტრიალებასთან ერთად თითონაც შემოტრიალდა და სოფლელს ზურგი შეაქცია.

**ზმუკი.**

## ს კ ო ლ ა შ ი

— პუდრაშვილო, აბა, მითხარი—საიდან წარმოიშვა სიტყვა კონტრაბანდა?

— ბათომიდან, მასწავლებელო.

— აბა, შენ მითხარი ნაგულაშვილო, რას ნიშნავს კულაკი?

— კულაკი რუსული სიტყვაა და ნიშნავს მუშტს.

— არაფერი არ იცი.

— კი ბატონო, კი... ვინც კულაკია, იმას მუშტი უნდა ვაჩვენოთ, თორემ...

— ჰო, მაგ მნიშვნელობით თუ ამბობ...

**მეფისტო.**

## ძახილი კლდეეთის თემიდან

### (შორაპნის მაზრა)

წკრრ.. წკრრ.. წკრრ.. — საიდან არის?—კლდეეთის თემია! — რაო? თავმჯდომარე ჯერ არ მოსულა?! — წუხელი სამსონ კვინიკაძისას იყვნენ ის და აკაკი ჩიხლაძე...

— რაზე, კაცო?..

— ვითომ ჩხუბის მიზეზის გამოსარკვევათ, ნამდვილად კი მთელი ღამე გაათენეს... სულ ქეიფობდენ...

— მერე მეორე მხარე რას ამბობდაო?

— კვინიკაძეს უნდა თავმჯდომარე რომ მოიქრთამოსო...

— ჰო... სხვა. ალმასკომს ვედრა კიდე არ უყიდია? რითი იღებთ, კაცო, წყალს? რაო? გრაფინკა ჩაუშვით და შიგ ჩაიმტვრა? აი, სეირი!.. ღვინო მაინც მოიტანოს, კაცო, მაგ თავმჯდომარემ, როგორც თვითონ სვამს, ისე ასვას ხალხსაც... არც ფეხისადგილის კარები გაგიკეთებიათ?.. რაში იფარავთ თავს, აპა... ორჯერ გაწერეთ კედლის გაზეთში და მაინც არ აკათებს? რა ამბავია, კაცო! ვინ არის ეგ, რომ ყვირის?

— გლეხია...

— მერე რა აყვირებს?..

— რაო და ცხენი დაგიბამსთ ჩემი ვენახის გვერდზე და შეგიჭმევიათო...

— მარტო ბალახი?

— არა, ბალახს ყველა გლეხის ვენახის და ყანის გვერდზე ვაჭმევთ, მარა მაინც არ ეღირსა იმ ცხენს გასუქება. მოტყაული აქვს ზურგი სამანიშვილის ცხენივით. ის შემოდგომას ველარ გადასცილდება (აფსუს ხალხის 330 მანეთო!). მაგრამ იქნება ვერც თავმჯდომარე გადაცილდეს შემოდგომას!..

— ჰო, წაშინ ცხენსაც ეშველება და გლეხებსაც!.. სხვა, თქვენ თავმჯდომარეს საჩივრის საქმე როგორ წაუვიდა?

— მოუგო პოლიკარპე გოგუამ!.. 15 მანეთი გადაუწყვიტეს! ეგეც დიდი სირცხვილია: ერთ თვეზე მეტ ხანს მოჯამაგირედ ყავდა და ფულს აღარ აძლევდა...

— სხვა, თქვენი საღამოს საქმე როგორ წავიდა?

— კარგად. მხოლოდ თავმჯდომარემ აუტეხა ყაილა ა. ფუტკარაძეს...

— რაზე, კაცო?

— მის ბიძაშვილს ცხენი აეშვა და წაეყვანა...

— მერე და — „აშელის პირობაში ბაშელი მოთხარესო“ — იმას რას ერჩოდა?

— შენმა ბიძაშვილმა როგორ გამიბედა, რომ ცხენი მომპარაო...

— მერე რა უქნა?..

— რაი და, წავიდენ ის და აკაკი ჩიხლაძე, იქეიფეს და ცხენი წამოიყვანეს?

— თუ მოიპარა, ღვინის დალევინებაში აპატივა? თუ არა და, რას ყვიროდა?

— დიდი ქინქილის მოყვარული კაცია თქვენი თავმჯდომარე. ჰო, ამბობ: შემოსავალი კარგი იყო საღამოდანო... 100 მანეთზე მეტი... სამკითხველოს საბჭოს მიერ ეს საღამო კლუბის და სამკითხველოს სასარგებლოდ იყო დადგმული, მაგრამ ფული გამოტყუა სამკითხველოს გამგეს თავ-რემ, სამი მაგიდის გადასაფარებელი იყიდა ალმასკომისათვის და დროშა? კლუბს კი ერთი გაცრეცილი ფარდა მოუთრია?.

— რა ამ ფულის საქმე იყო, კაცო, მერე ამათი ყიდვა? ეს ხომ ალმასკომის ბიუჯეტით უნდა ეყიდათ? რავა უკლმა დადის, კაცო, მაგ კაცი. იმასი არ იყოს, ალმასკომში რომ წინიდგან შელება. შიგნივ კი იატაკში ფეხები ჩაგივარდება... უკან ხომ ფანჯრების ჩარჩოების ნასახიც არა აქვს... აბა, მინებს ვინლა სჩივა... წკრრ.. წკრრ. მიეცი „ატბოი“... მიეცი...

**ძმუნტი.**

# აფსუს სიკოია

გული რაცხა გლახას კი მეუბნებოდა, მარა, რომ მომადგა ჩემი ელპიტა ბესარიონ ხუცესის ჯორივით, არ იქნა და აღარ მომშორდა: —„ტფილისში ცხოვრება მომწყინდა და გინდა თუ არა, ზესტაფონში უნდა წამიყვანო, რომ დედა ჩემი მევინახულო"-ო. ვეუბნები: „ბოშო, გაჩერდი, შენ შენი ღმერთი, თვარა გული რაცხა გლახას მეუბნება და იქინე ხლაფორთს არ გადამკიდო-თქვა". მარა, რომ შეჯდა უკუდო ვირზე, არ იქნა და ველარ გადმოვაჯინე!—„ყოველ მიზეზს გარეშე, უნდა წევიდეთო". ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვეარშიყე, მარა, არ შეგჭამოს ჭირმა, მე იგი ვერ დევიყოლიე! მაინცდამაინც ვერც ქე ვაწყენინე, რომე, ვინ იცის, მისთანა დროს გამიხსენოს ეგება ეგი ამბავი, რომე თელათ მომშალოს პრუჟინებში მეთქი. ვიფიქრე და რაღას ვიზამდი?—დავთანხმდი. შევკარით ხაბაკი, ჩავჯედით მატარებელში და გოუდექით გზას. მივდივართ, მარა სული კბილით მიკავია! რაცხა ამ ბოლო დროს პოეზდების კრუშენია დეიწყო და, მეშინია, ქალს არაფერი მეეწიოს თქვა! მოდი და ნუ შეგეშინდება! ქალს თუთხმეტი წელიწადი ვეარშიყებოდი, კაცი ქონის სანთელივით ჩამოვდნი, დღეი და ღამე იმის ხსენებაში ვიყავი, რავარც იქნა, ჩევიგდე ხელში და, ახლა რომ იმას რამე მოუვიდეს, ნამდვილ ჭკვას დავკარგავ, არ უნდა ამას ლაპარაკი! მერე ჩემ ხელში მაინც ისტე გაკეთდა, ისტე დეიბრაწა, რავარც ბრეწოული! ამ ორსულობაში ხომ პირდაპირ ტიტანიცკი პარახოტი გახდა! რომ დეიარება მიწას სულ ზანზარი გააქვს! ერთხელ ღამე რაცხა ეშმაკათ გადმობრუნდა ჩემსკენ და რაღმე პაპიროსის ქაღალდივით გამაპრტყელა! რომ დამაწვა ზევიდან ეს უშველებელი ქალი, კინალამ კატლეტსავით მიმასრისა ლოგინში! ქალი ნაინტერესნი რამეა, რაც მართალია, მართალია!

ახლა რომ იგი კრუშენიაში მოხდეს, სწორეთ რომ ცოდვაა ამისთანა ქალის გაფუჭება! რამდენი პარავოზი დეიყვირებს, იმდენი შიშით სული მეპარება! ჩავედით, რავარც იქნა მშვიდობიანათ ხაშურში. იქინე ელპიტამ პირაშკები მოითხოვა. ჩავვარდი უცებ ბუფეტში, გამოვართვი პირაშკები და მოვდივარ. ვინცხაის ხმა მომეყურა: „სიკოია, სიკოია, რავა, გამარჯვებას აღარ კადრულობო"! მოვტრიალდი უცებ და აგერ ჩვენი ბარბალე, სილიბისტროს მანჯგალაძის ქალიშვილი, აგი... ამბაკო სიპიტიჩ ყვახიჭამიაშვილის რძალი, გაჩერებულა, ჩემო ბატონო, და მისთანას მიპაჭუნებს იმ გიშერივით თვალებს, რომე თელათ ჟრუანტელმა დამიარა ტანში ზაგესის ელექტრიჩესტვასავით! მეც, ღვთის წინაშე, პატარა წუწკი ქე ვარ ამ ქალებში და ხელის მოფათურებაც კი მიყვარია, რაც მართალია, მართალია! გადავარდი უცებ, მევიკითხე, ხელი ჩამოვართვი, გვარიანათ ქე გამოუფხანე ხელის გული და ქეც დოუკრეს ვტოროი ზვანოკი! ერთი კიდო გამოსათხოვრად მოუჭირე ხელი-ხელზე ბარბალეს და ერთი ნიმუტი ვაქნიე... სულო ცოდვილო, არც ქე მინდოდა მოშორება, მარა რას ვიზამდი! ამ ჩემ ხელის ქნევაში პოეზდიც ეინძრა და მეც გავვარდი. რავარც იქნა, ნახადუ შევახტენი პოეზდს და ერთი ვაგონრით ჩემი ელპიტას წინ ჩავჯექი. მინდა ახლა, რომე გადევიდე უკანა ვაგონში, რომ მოვნახო ჩემი ქალი, მარა ვინ გიშვებს! მეცა კონდუხტორი და მიყვირის: „პროტოკოლი უნდა შეგიყენო: ნახადუ რომ შეჯედიო". ვეხვეწები: „კაცო, გამიშვი ჩემ ელპიტასთან და შენ, რამდენიც გინდა, იმდენი შეაყენე-თქვა, ამ ჩხუბში რომ ვარ უცებ რაღაცამ მრეხვა, ნამდვილად კრუშენია არის - თქვა და შიშით ვაგონის პლაშჩატკაზე გევიშხლართე! უყურე ასტე ერთხანს და რაღაი არაფერმა გამსრისა, ქე ავდექი ზევით. მინდა გადევიდე ელპიტასთან, მარა რა დეინახა ჩემმა თვალებმა! თურმე პოეზდი გაწყვეტილა, მე წინ მივქროლავ და ჩემი ელპიტას ვაგონი კი მოწყვეტილი სდგას ერთ ადგილას და უშველებელი წივილ-კივილი აქვთ პასაჟირებს! გამოსულა საწყალი ელპიტა პლაშჩატკაზე, გოუწეწია თმები და ღრიალებს! თანაც რაცაღას მიქნევს და მანიშნებს! მეც დოუწყე აქედან ხელის ქნევა, მარა ვატყობ, რომ მე და ელპიტა თანდათან ვშორდებით ერთმანეთს. ვეცი კონდუხტორს და დევიწყე ღრიალი! კანდუხტორმაც უცებ დოუფშტვინა მაშინისტს და, რავარც იქნა, გააჩერეს პოეზდი! ელპიტა იქით იპუტავს ყორისფელს და მე აქეთ ვღრიალებ!

ბოლოს, რავარც იქნა, მიაწვა მაშინისტი ზადნი ხოდით და მიგვაკრა ელპიტას ვაგონს. გადავვარდი მინუთში და ვეცი ელპიტას, მარა რას ეცემი! შიშით გული წასვლია უბედურს, წაქცეულა ეს ამხელა ქალი, დასევია ეს პასაჟირები და ვინც არ გინდა ასე კონტრაბანდათ უფათურებენ ხელებს და მასაჟს უკეთებენ ამ ჩემ კუპატივით გატენილ ელპიტას, ვითომ და ეხმარებიან! რავარც შევხედე და დამცეცხლა თავში! ამ ჩემ ნასუქ ქალს ისტე უსობენ ხელებს ეს ვინცხა ბიჭები, რომე თითქოს ჯვარი იგენს დაეწეროს ელპიტაზე და მე ტყვილა დიაკონი ვყოფილიყო საყტარში! მე ქალიზა ვაგლახათ ხელი არ ამისვია, რომე ბეწვი არ შეეხაროს თქვა დი აგენი კი ცხენის საურველივით უხახუნებენ ჩემს ელპიტას! ვეცი, მინუთში მივყარ-მოვყარე ხალხი, ლოყაზე ხელი ოუსვი, ცხვირი მოუჭყლინტე და, რავარც იქნა, მევიყვანე გონზე! საწყალმა ელპიტამ ძლივს წამეილუღლუღა: „არიქა, სიკოია ჩამადანში წამლები მაქვს და მაყლაპეო!" დავტრიალდი, მოვნახე წამლები, გადავაყლაპე და პატარა დაშოშმინდა. მერე გადაგვიყვანეს წინა ვაგონში და წევედით. ისეთია უბედური ელპიტა, რომე დანა პირს არ უღებს!

მერე, ორსული ქალი და ამისთანა შიში!..

შემეშინდა არ გაბერწდეს თქვა! კაცი ღმერთივით ველი ნასლედნიკს, ნათლობისათვის ყორიფელი გამზადებული მაქვს და უცებ ამისთანა უბედურებას კი წავაწყდი! ისტე ვარ, ისტე ვარ, რომ დანა რომ დამკრა; წვეთი სისხლი არ გადმოვა! ამასობაში ქეც მივაწიეთ ზესტაფონს. ელპიტამ ყურში ჩამიფუჩულა: „სიკოია, მუცელი მტკივაო!" შამევიკარ თავში ხელი, მარა რაღას ვიზამ-

გამოვიდა გადარეულის წიგნი
„გადარეული
სააქრთველოში"
ს. თოდრიას და ონისიმეს წინასიტყვაობით

დი! მიველით ზესტაფონში, ჩამევიყვანე ვაგონიდან ჩემი ელპიტა და მიველით ჩემ სიდედრთან. უცებ გავვარდი და ორი დოხტური და ერთი აკუშერკა მინუთში მევიყვანე. დაჟდენ, გასინჯ-გამოსინჯეს საცოდავი ელპიტა, რაცხა წეილაპარაკეს მისთვის და მითხრეს: „შიშისაგან მუცელი აქვს წამხდარი ჩემო სიკოიავო და ნამდვილათ ბოვში მკვდარი დეიბადებაო“. შიშისაგან რაღმე ენა მუცელში ჩამივარდა, მარა რას ვიზამდი! ვიფიქრე, ქალი მაინც გადავარჩინო-თქვა და შევეხვეწე დოხტურებს: „წეიღეთ მთელი ჩემი ქონება, ოღონდ ჩემი ელპიტა გადამირჩინეთ-მეთქი!“ ამ დროს ელპიტამაც იყვირა: მიშველე, სიკოია, მუცელში მჭრის რაცხაო“. დოხტურებმა დარიგება მისცეს აკუშერკას, დამიბარეს: „თუ საჭირო იქნეს, დაგვიძახეო“ და წევიდენ. იყვირა კიდო საწყალმა ელპიტამ და გადმომხედა. თურმე აქამდე უბედურს შიშით გრძნობა ჰქონია დაკარგული და ეხლა, ეს აკუშერკა რომ დეინახა, გოუკვირდა და მკითხა: „ეს ვინ არის?“ აგი, შენ დაგენაცვლოს სიკოია, მუცელი რომ გტკიოდა, იმიზა მევიყვანე-მეთქი!“ —„შე სულელო, საიმისოთ კი არ მტკივა მუცელი, ისტე მტკივაო!“ რავარც გევიგონე აგი თუ არა და უცებ გევისტუმრე აკუშერკა. დატრიალდა საწყალი ჩემი სიდედრი და აგი თბილი აგურები ფეხებშიო, აგი ესაო, აგი ისაო, მარა არ შეგჭამოს ჭირმა!.. არაფერმა არ უშველა. თურმე იმ ვაგონში რომ წამალი ვაყლაპე ელპიტას, შემშლია და სლაბიტელი არ მიყლაპებია უბედურისთვის! მისთანა დღეი დაადგა საცოდავს, რომე დედის რძეი აღარ შერჩენია! დედა, დედა, რავა ტყვილა ავტეხე ეს ვაი უშველუბელი, რავა შევრცხვი კაცი, რავა მევიჯაყე! რავა ტყვილა ვაცაცუნებიე ხელი ამ დოხტურებს ჩემს ელპიტაზე და თურმე უბრალო მუცლის ტკივილი კი ყოფილა უბედური, მე კი მოსარჩენი მეგონა! ვაი ჩემს უბედურებას! რავა შევრცხვი, რავა დევიღუპე კაცი! კიდო კაი, რომე აქანა — ზესტაფონში დაემართა აგი საჯაყი საქმე, თვარა ეს რომ ტფილისში მომსვლოდა, თელი ქალაქის მასხარა გავხდებოდი! მასხარად ამიღებდენ, აპა, რა ჯანაბა იქნებოდა! კაცო, ნეუქელი ახლა ჩემხელა კაცმა ბავშის დაბადება და უბრალო მუცლის ტკივილი ვერ უნდა გაარჩიოს!! აფსუს სიკოია ბიკენტიჩ!..

გოგია.

## ბათომის ქრონიკა

**გამოვიდა** ახალი წიგნი „ტრიბუნა სიტყვებიდან“. წიგნში მოთავსებულია ორმოცი მწერლის ნაწარმოები და ოთხმოცი ავტორის სურათი. სამწუხაროდ წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და საბედნიეროდ ღირს ერთი მანეთი.

—:—

**ლექსი 5 მანეთი.** მეცსანშრომის კავშირმა შეიძინა 6. ი—ლის 9 ლექსი, რომელშიაც კულტფონდიდან მისცა 45 მანეთი. ამბობენ ასეთი სიაფე არავის მოსწრებიაო; განზრახულია ამ ლექსთა კრებულის გამოცემა. შემოსავალი გადაიდება ბულვარში საღამოობით დაზარალებულთა სასარგებლოთ.

—:—

**გადასახლება.** აღმინგანს განზრახული აქვს გადასახლდეს ისეთ შენობაში, სადაც ჯერ არ ყოფილა; ხოლო, ვინაიდან ასეთი შენობა ბათომში არ მოიპოვება, ამიტომ მოსალოდნელია აღმინგანი მოთავსდეს სადმე ქალაქის გარედ.

—:—

**მისაბაძი მაგალითი** —ი—ძემ გაფლანგვის ნიადაგზე თავი მოიკლა.

პ. ობოლი

## ტრაღი-კომედია
### სამ სურათათ

„მუშკოოპიდან გამოტანილ შაღეულობის განაწილება მუშა - მოსამსახურეებს შორის ხდება ლატარიით“.

(ქრონიკიდან)



— აი, ღმერთო, მე თუ მერგოს!



— დაჰკა მავას, იშკილი გააკეთ ა!



— რაც ტანზე მეცვა ისიც შემომხიეს!

# ჩემი ავადმყოფობა

ამხანაგო ტარტაროზ!

შენ მწერ: „თუ ავადმყოფობის გამო იუმორისტულ მოთხრობას ვერ გამომიგზავნი, ის მაინც მოგვწერე, როგორ გახდი გრიპით ავად, როგორ მკურნალობ და როდის მორჩები“-ო აი ინებე: ჩემი ავადმყოფობის ამბავი ასე დაიწყო: ხუმარა მეგობრებმა თურმე ხუმრობით დამპატიჟეს ქალაქ გარეთ.

— სუფთა ჰაერსაც ჩავყლაპავთ, დროსაც გავატარებთ, ესა და ეს ქალები იქნებიან, ამა და ამ საათზე უეჭველად მოდი კოჯორის გზაზე, კლდის დუქანში... მწერდენ ისინი...

ხათრი არ გაუტეხე და წაველ. არც ერთი დამპატიჟებელი დანიშნულ ადგილზე არ დამიხვდა.

— ალბად დააგვიანდათ, დაუცდი,—გავიფიქრე და დაუწყე ლოდინი.

კლდის დუქნის სვეტებთან ატუზული გავცქეროდი გზას, მაგრამ „მასპინძლები“ არ გამოჩნდენ. ალბად მეორე დილამდეც არ დავიზარებდი ლოდინს, მაგრამ ღრუბლიანმა ამინდმა ამაჩქარა და იმედ გაცრუებული დავეშვი თბილისისაკენ. გზაში წვიმამ მომასწრო და მაგრა „დავლბი“, წვიმას ქარი მოჰყვა და სახლში გათოშილ ჭილყვავივით ძიგძიგით მოველ...

იმ ღამეს მაგარი სიცხე მომცა, სურდომ სუნთქვა შემიკრა, სახსრებმა ტეხვა დამიწყო და ყელის ტკივილმა ძილი დამიკარგა.

— როგორც სჩანს გავცივდი—ოფლი უნდა მოვიდინო,— გადავწყვიტე მე და რაც კი სახლში მომეპოვებოდა ყველაფერი ზედ დავიხურე. არ ვიცი როგორ გავათენებდი, რომ ჩემს ბოდვას მეზობლები არ აეჩოჩქოლებია და მათ ექიმისათვის არ დაეძახათ.

ექიმი რეცეპტაძე ერთობ სწრაფად გამოცხადდა — სულ რალაც ათიოდე საათის ლოდინი დაგვჭირდა (მას საერთოდ სჩვევია კლიენტებისადმი სწრაფი ყურადღება).

ექიმის მოსვლამდე კი ყველა მეზობელი ცალკ-ცალკე მაძლევდა სხვადასხვა დარიგებას და „სახელდახელო წამლებით“ ცდილობდენ ჩემი მძიმე ხვედრის შემსუბუქებას.

— უი ქა, ეგრე მამენტალნათ გაციება მაგისთანა კამეჩივით ჯეჰელს როგორ წაგაქცევდა? ეგ ალბათ ავი თვალი გცემია და იმისგნით არის, მაა‘შ! მაიტა თელეთის შანას შაგაბამ, ავი თვალისას შაგილოცამ და ჰამაც ეს წამალიც დალიე მამენტალნათ გაგივლის, შემომთავაზა ჩვენი ეზოს უხუცესმა მდგმურმა ქალმა, რომელიც ფერ-უმარილით ვაჭრობს, სოფლებში სამკითხაოდაც დადის და მაშასადამე „დიდი გამოცდილების“ პატრონად ჩაითვლება. ბუტბუტისა და მთქნარების შემდეგ, მთელი ჯამი რალაც მაზუთის მსგავსი მწარე სითხე დამალევინა, რომელსაც ჰვარტლისა და დამბალი ქალამნის გემო ჰქონდა...

— რა მბრძანებაა შენ არ მომიკვდე, კეთილშობილ ხალხში მაგითანა რამესა გულყაიმათს ეძახიან, მაგისი წამალი გახურებული აგურებია,— ემ ნიმუტაში გაგიხურებ აგურებსა, ზედ დაბრძანდი და თუ უმალვე არ მოგარჩინოს, ეგრე მიბრძანე, რო ოლოლო შენათქო,— ასე ჩამოძიკივკივა ჩემ გვერდით მცხოვრებმა ყოფილმა კნეინამ, რომელსაც მეტ სახელად „ხალიჩების საბერტყ, ხარიხას“ უძახიან და დღეში თხუთმეტიოდე სხვადასხვა ვარიანტის ჭორებს „უჯერიან“... აბა ესეთ ავტორიტეტს ჩემისთანა ხათრიანი კაცი უარს როგორ ეტყვის? ამიტომ რალაც თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მე უკვე გავარვარებულ აგურებზე ვიჯექი და მართალია, ვგრძნობდი როგორ უმოწყალოთ ვიდაღავდი სხეულის საგრძნობ ნაწილს, მაგრამ მედიცინისადმი პატივისცემა მაინც მათმენინებდა „ხარიხას“ მიერ დადებულ სასჯელს.

— რის აგურები, რის შანები, რას ბრძანებ—ეგ მოარულია, მაგისი უებარი წამალი თხის ნაღველაა,—თხის ნაღველა უნდა გახსნათ ერთ ჩაის ჭიქა ძმარში, შიგ უნდა ჩაყაროთ ერთი სტოლის კოვზი პილპილი. ზედ უნდა დაუმატოთ ნახევარი ჭიქა ზეითუნის ზეთი, და უსუნთქმებლივ დალიოთ... აბა მე დაგიმზადებთ, მიირთვით და თუ ხვალამოზე ფეხზე არ დადგეთ, რაც გინდოდეს ის მიყავი,—ასეთი დასკვნა გამოიტანა ჩემი ახალი მეზობლის მეღლემ, რომელსაც საკმაო გამოცდილებასთან ერთად ხელს უწყობს სანდომიანი გარეგნობა, რომ ერთგვარი გავლენა მოახდინოს თქვენზე... სწორედ ამ „გავლენის“ ქვეშ დავლიე მის მიერ შეზავებული სიბინძურე, „თხის ნაღველად“ წოდებული... ჩემი მდგომარეობა სწრაფად იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ „უებარ წამალს“ ვღებულობდი... რა თქმა უნდა, სულ უარესად ვხდებოდი, კუჭი სავსე მქონდა „სამკურნალო მედიკამენტებით“ და ჩემს საერთო უბედურებას დაემატა აგურების მიერ დამწვარი ადგილების დაწყლულება და თავის ტკივილი.

— ვახ, ბემურაზი ვიყო თუ რომ ნეპრემენ რამეს არ გებნებოდე, სიცივისაგან შაზუზულხარ, მაგას წამალი რათ უნდა?—მაგის წამალი აი რა არის: ერთი პრობის სტაქნით თხლაშორი მიირტყი და თუ რომ მამენტალნათ სალსალამათი არ გახდე, მიროსნი შამიგინე—აი! ასე მომართა ჩემმა ნათლიმამა სირაჯ გიგოლამ და თან ერთი სირაჯული ჭიქა ჭაჭის არაყი მომაწოდა....

ერთის სიტყვით, სანამ რეცეპტაძე მოვიდოდა, მე ორმოცამდე სხვადასხვა სახის წამალი და სამკურნალო ზომა მივიღე, და „უებარი მედიცინის“ ექსპერიმენტების დოლი გავმართე....

— აბა ენა გამოყავი... ისუნთქე, გადაბრუნდი, გადმობრუნდი... ტყაპ-ტყაპ, ტყაპ... ისმოდა რეცეპტაძის ბრძანება და საექიმო ჩაქუჩის ტყაპუნი ჩემს ბეჭებზე...

# „შემოუარა“



ექიმი:—თქვენი ცოლის მკურნალობაში 25 მანეთი მერგება და რატომ არ იძლევით?

— თქვენმა წამლებმა საიქიოს გაგზავნეს ჩემი ცოლი, და ამაში მთხოვთ ფულს?

— უკაცრავად... თუ ჩემმა წამალმა ვერაფერი არგო, სამაგიეროდ არც რამეს წაახდენდა... მე გასამრჯელო მეკუთვნის!

— ერუნდა, ისეთი არაფერია, ცალი ფილტვის ანთება გაქვს, მგონია ტიფის ნიშნებიცა გაქვს, მემკვიდრეობითი ქლექიც გეტყობა... ვოპრჩემ ინფულენცია... მაგრამ არაფერია, გაივლის... ოღონდ უეჭველად სასტიკი რეჟიმი უნდა დაიცვა—ფიზიკური მეთოდებით უნდა იწამლო: დღეში სამჯერ ცივი ვანა უნდა მიიღო, შემდეგ ათი წუთის განმავლობაში ტანთგახდილმა ოთახში იარო და დაწოლის წინ ტანი დაიზილო... ჰამე რაც შეიძლება ბევრი... ა ზავტრა პასმოტრიმ...

რეცეპტაძეს წასვლისთანავე მსახურს ცივი წყლით ავავსებინე აბაზანა და სიცხისაგან ნახევრად გრძნობადაკარგული ნახევარი საათს ვიჯექი გაყინულ წყალში... შემდეგ ფანჯრები გავაღე და სველი ტანით ნიავზე დავიწყე ბოლთა. ჰამითხომ ნუღარ იტყვი—რომ იტყვიან პირდაპირ თითით ვიტენიდი ათასნაირ საჭმელს.

როგორც სჩანს სამიოდე აბაზანის მიღების შემდეგ ჩემი მდგომარეობა უნუგეშოდ ჩასთვალეს მეზობლებმა. ალბად ამის შედეგი იყო, რომ ჩემი ცოლი სასწრაფოდ გამოეწვიათ დეპეშით.

აგარაკიდან დაბრუნებულ მეუღლის მზრუნველობა ვის არ მოეხსენება. მას ჩამოევლო და ოთხიოდე ექიმიც ერთად მოეწვია. პირველად გამოცხადდა ექიმი ტერ-მომეტრიანცი. მან პირდაპირ ცივ აბაზანში მომისწრო.

— ჩტო ზა ნევეჟესტვო!—შემომყვირა მან— სიცხიანი კაცი ცივ წყალში ჩამჯდარხარ, ეგ ხომ უარეს გიზამს? სასწრაფოდ აადუღეთ წყალი და ჩემს თვალწინ მიიღეთ ცხელი ვანა, ფიზიკურ მკურნალობის მეთოდის თანახმად გაციებულს ცხელი ვანა უნდა, ხოლო ცხელი ვანიდან ამოსვლის შემდეგ ცივ წყალში გავლებულ ზეწრებში უნდა გაეხვიოს და ისე დაწვეს...

ბრძანება და შესრულება ერთი იყო, რადგან მე ქვეყანაზე ბევრ რამეში დავკარგე რწმენა, მაგრამ ექიმებისადმი ნდობა და სიყვარული თანდათან იზრდება ჩემში. ამიტომ გასაგები უნდა იყოს ის იობის მოთმინება, რომელიც მე გამოვიჩინე ამ ვანების მიღების დროს. წყალი იმდენად ცხელი იყო, რომ ზოგიერთ ადგილას კანიც კი გადამძვრა, მაგრამ რახან საქმე „ფიზიკურ-მეთოდებში“ იყო, მეც მოვითმინე ფიზიკური ტანჯვა. ცივ ზეწრებში შეხვევის შემდეგ მე გრძნობა დავკარგე და მხოლოდ მაშინ მოვედ გონს, როცა ჩემს კუჭში ჯოჯოხეთური ამბები ხდებოდა, რაც გამოიწვია ერთი ნაჭერი სურავანდის საპონის შეჭმამ, (რომელიც ექიმის მოსვლის წინ ერთ ერთმა მეზობელმა შემომთავაზა, როგორც, „უებარი საშუალება“).

სწორედ ამ დროს მოვიდა ექიმი მედიკამენტიძე, რომელმაც გააბათილა წინანდელ ექიმების წამლები და ბეჭებზე კომპრესი გამიკეთა, ფეხებზე ხინა დაამადო, ხოლო თავზე ინა.

— დიეტა უნდა დაიცვათ, ერთი კვირის განმავლობაში არაფერი უნდა სჭამოთ—გამომიცხადა მან...რა თქმა უნდა, არც მისი ბრძანება დამირღვევია და ალბად ეს იყო მიზეზი, რომ შიმშილისაგან არაქათგამოცლილმა და სიცხისაგან გონდაკარგულმა მაგიდიდან გადმოვათრიე კომპრესისათვის მოტანილი ერთი მეტრი ახალი „კლიონკა“ და შევჭამე (მე თათრული ლავაში მეგონა). თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ რა შედეგი მოჰყვებოდა ერთი მეტრი კაუჩუკის შეჭმას!..

ექიმმა წამალაშვილმა თავის მხრივ ამიკრძალა კომპრესების გაკეთება და გამომიწერა დარიშხანის ნემსები,— ხოლო მისი ნემსებიექიმმა მკურნალაძემ „მინქსტურით“ შესცვალა. ეს მინქსტურა ფერშალაძემ გააუქმა „ელექტრიზაციით“ და სულ მოკლე ხანში, ჩემს ბუ...გზე გადაიარა მკურნალობის „მეთოდების“ წარღვნამ.

რასაკვირველია, ყველაფერმა ამან თავისი კეთილი შედეგის ბეჭედი დაასვა ჩემს ჯანმრთელობას და ამჟამად მხოლოდ ათიოდე მიმართულებით ვმკურნალობ... დღეგრძელობა ნუ მოუშალოს დამზღვევ სალაროს; გაეგო თუ არა ჩემი გაციების ამბავი, მაშინვე ერთი წლის შეღავათი... ბულება სახლში გამომიგზავნა, უფასოდ მომატარა კურორტების დიდი ნაწილი და თუ მშვიდობიანათ მოვკვდი, დასამარხ ფულსაც წინ არაფერი დაუდგება.

უნდა დავსძინო აგრეთვე, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი წამალი და სამკურნალო დარიგება უთუოდ სასარგებლო და უებარია და თუ მკითხველები მათ გონიერად გამოიყენებენ, ან მორჩებიან, ან ვერა.

**ფარსადან.**

# ხელი შეუშალა



— „ზატაპლენიე“!.. „ატაპლენიე“!.. „ნაპადენიე“!.. „აგრაბლენიე“!.. ვა, რაც ეს ვერანა დახურული ვაგონები შემოიღეს, მთელი დღე ასე ვუვირი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, გული ვერავის ვუქციე გაზეთებისაკენ!..

# თვითდაფასება



— რას ამბობ, ქალო?! როგორ თუ სირცხვილი დასაძრახისია?! განა მეც „იქ“ არ დავდივარ?

# კონტუათი (სოხის რაიონი)

კონტუათში გააშენეს
ახალ გეგმით კოხტა ბაღი.
აგრონომიც დაუნიშნეს,
მოსაზრება იყო საღი.
ბაღს მავთული შემოავლეს
დაქანგული, ეკლიანი;
მუშაობაც წარმოებდა,
(ალბად იყო გეგმიანი).
შუა ალაგას წრე მოაწყვეს—
ყვავილებით მოქარგული.
სასეირნო ბილიკებიც
ია-ვარდი გადარგული.
კარიც მაგრად ჩამოჰკიდეს,
ძალზე იყო ის მაგარი.
სადაც ღორმა მავთულს გაჰკრა.
იქ შეიქნა ბაღის კარი.
ბაღს სიმინდი ამშვენებდა,
არსად იყო უკეთესი.
(ყვავილები რომ გადახმა
იმის შემდეგ დანათესი).
„ბაღს ლამაზად მოუარეთ“—
აგრონომმა დაიბარა,
და შემდეგ კი არ გეინახავს,
სადღაც გაჰქრა, გაიპარა.
ბაღის „საცდელ“ სიმინდს ეხლა
ბატ-ღორები შეესია,
(ეს რომ ვნახე მომაგონდა
უპატრონო ეკლესია).
ღორებს შუაში ჩაერია,
კოპნო— ჯარი ქვები თხელში,
(გასავალში მას დაუხვდა
კოპნო—ჯარი ქვებით ხელში,
სამკითხველოს გამგე სერგომ
დაუნიშნა მათ ტერორი,
საიქიოს გაამგზავრა
ჯერჯერობით მხოლოდ ორი.
ეხლა კლუბიც ვინახულოთ,
მოვიკითხოთ მისი ფული.
სალამო რომ გაიმართა
იმისაგან შემოსული.
კომისიავ, გაიღვიძე,
ძილი არის უკვე სრული;
სამ წელიწადს რომ აშენებ,
როდის ვნახოთ დასასრული?

**გარდაქმანი.**

# ხონი

ეხ! რაც იქნება იქნება
უნდა გავბერო სტვირია,
უნდა გიამბო, ტარტაროზ,
მე ხონის გასაჭირია.
შეუშრობელი ცრემლებით.
ჯერ ხონის ფოსტას ვსტირია
ტარტაროზ! შენი რეცეპტი
გამგეს უთუოდ სჭირია.
ნუნუას ჩააკირკილებს,
საქმე ფეხებზე ჰკიდია,
მას ტელეფონი ფოსტაში
უმიზნოთ დაუკიდია.
ხოში მოუვლის ხაზს მოგცემს,
არა და გასკდი ძახილით,
რეტი დაგესხმის ყვირილით,
ამდენი გამოძახილით.
გაზეთებს დროზედ არ აწვდის—
მივარდნილ კუთხე თემებსა,
ჯიუტი არი, უნდა ჰქნას,
რასაც კი დაიჩემებსა.
პედაგოგიურ ტეხნიკუმს
ლადო ჩხენკელი განაგებს,
იგი გზას კვალდაკვალ მისდევს,
ბიუროკრატის ანაგებს!
მოწაფეები დააფრთხო,
ის მეტის მეტად ყბედია.
ახალმა სკოლამ ვერ შესძლო,
ვერ მოუდრიკა ქედია.
თუ არ შესცვალა „მარშრუტი“,
ეს გამგე ხონს არ არგია.
ვიტყვი, რომ მაშინ ვლადიმერ
ჩვენთვის ზედმეტი ბარგია.
კოოპერატივსაც ვესტუმრე,
ქალალდი მსურდა საწერი,
ხუთი საათის ცდის შემდეგ,
მხვდა „ჩეკი“ ამონაწერი.
მომცეს და სალაროსაკენ
გავსწიე ტანჯვით, წამებით,
(ალბათ, სხვებსაც ხვდა იქ ლოდნა
საათებით და წამებით!)
ხურდის მაგიერ კონვერტი
ხელს მომაჩეჩა მოლარემ,
—„ზდაჩი“ მიიღე— მომმართა
ლუზამ იდაყვზე მწოლარემ.
დღემდე ხურდაში ასანთებს
თუ კი აძლევდენ გლეხებსა,
აში კონვერტი აძლიონ,
მსგავს ხერხს ვინ დაიკვეხებსა?!..
დავნებდი მეც წესს, ტარტაროზ,
რაც იქ ჰქონიათ „ემო“-ში
და უმადური გავსწიე
იქ სასადილო „გემო“-ში.
სტუმარი მახლდა იასონ
შევედით სასადილოში,
მუნ მაღლთა ხროვა დაგვიხვდა,
კოტრიალობდენ გრილოში.
იეზეკ! ჩემო იეზეკ!
გამგე ხარ სასადილოსი,
თუ მეძებრების მგეშავი
თავადიშვილი ფილოსი?
აქ შეჩერდება დროებით
ჩემი ქამანჩა, სტვირია,
ვინ მოგვაცილოს, ნეტავი
რაც მავნე ზნე და ჭირია?!..

**შიხლინსკი ბომბ.**

# ალიმენტის საკითხი



— ახლა არა „მცალიან“ და.. საზოგადოთ.. უნდა ითქვას, რომ.. ჰამ!.. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ყველაფერი, რაც იყო...

— კი მაგრამ, ერთი ეს შლიაპა ასწი ცოტა ზევით და თვალებში მარჯვეთ შემომხედე!..

## ფ ო თ ი

ვნახოთ ფოთის ის ნაწილი,
სადაც კუნძულს ეძახიან,
ვნახოთ: ვინ ვის ეხმარება,
ან ვის თავზე ვინ ეხმიან.

შევაფასოთ მუშაობა
როგორც კერძო, ისე ჩვენი,
და სულ ყველას ჯილდო მივსცეთ.
რაც ეკუთვნის, რაც შეშვენის.
მივაკითხოთ სასადილოს,
მას რომ „წითელს“ უწოდებენ,
ჯერ რომ მუშებს მოიწვევენ,
მერე ჩირად არ აგდებენ.
სისუფთავეს, რომ არ იცვენ,
ვნახო სანამ მოითმენენ,

მუშა სტოლზე რომ დაჯდება,
გვერდში ძაღლებს მოუჩენენ,
ეს ერთი და სხვა მრავალი,

ეხლა იასონსა ვკითხოთ:
საინს რატომ არეცხვინებს

მუშებს, ერთი გამოვკითხოთ
თითონა, რომ მუდამ თვრება,
გაისივა მაგრად გავა,

ჩვენ ის გვითხრას: ამ მიკიტანს
ილიკომ რა დაუშავა?
ორი „ილიები“ არის
მიკიტანთან სამსახურში

და სულ ჯანი გააცალა
უბედურებს ამ ზაფხულში!
ეხლა ვნახოთ აქციების
ინსპექტორი ქავთარაძე,
ვაჟრებს გული რომ უკვდება
ყოველთვის მის დანახვაზე!
ცოტა „ხათრი“ რომ დაიწყო
ზოგ - ზოგებზე ამ ყმაწვილმა
და სრულებით რომ აუშვა
ამ კუნძულზე ღვინის „ფირმა“.
ისე, მაგრად იქაჩება,
ერთხელ პირიც დააფჩინა,
„ვაჭარ-ძმებთან“ მეგობრობამ
ბოლოს თავი თვარ იჩინა.
სხვას, ტარტაროზ, შემდეგ მოგწერ
ამ კუნძულის „უტოპის“
თქვენ ისე გერიდებიან
როგორც გამოსროლილ ტყვიას!..

გ. ტრანსპორტელიძე.

## ძ ი რ უ ლ ა

სადგურიდან ზევით
გზა წვრილი რომ ავა,
მარცხნივ მხარეს სუფევს
მეფურნე წვერავა.
თურმე ეს წვერავა,
რასა შვრება, იცი?
(მართალს გეტყვი, ძმაო,
აღარ მინდა ფიცი:).
თურმე, ცხელ ფურნეში
როცა აწყობს პურებს,
წყლიან ვედრას შიგ დგამს,
პურს ზედ დააპკურებს.
ხმას არავინ არ სცემს,
ღიღინებს ლამაზად,
და გირვანქა ცომ პურს
ყიდის ერთ აბაზად!
ტარტაროზო, ასე
შეიძლება, განა?
პურს გატეხავ და შიგ
ნახო ტარაკანა!
თუ შეჭამე, ორ დღეს
მოგკლავს მუცლის ფხანა.
ვერ გიშველის ოტკა,
ვეღარც ყავა-ხანა!..

ძირულელი თადა.

## ს ა მ ტ რ ე დ ი ა

ნეტა, რა უნდა ვუწოდო
ამ არეშიძის საქციელს?
(შორიდან რომ დამინახავს,
აცხელებს და ხან აციებს!)
ფაბკომი დაგვისნეულა—
ვერ გაიტანა თავისი!
აპრილის „მუშა“-მ დაღუპა
და „ტარტაროზ“-მა მაისის.

არ გვინდა არა, ელსადგურს
ასე, ამ სახით ვუყუროთ!
ვერ გააკვირვებს გუგუნით:
ყურიანს, ვერცა უყუროს.

ქალაქის ბაღში ისმება
ყითხვა მწარეზე მწარეა!
შეხედავ, გული ნათლდება,
მართლაც რომ მზე და მთვარეა.
შემთხვევით, ერთხელ ვიყავი,
(ახლაც ტკივილს ვგრძნობ გვერდისას)
განუწყვეტელი გინება
ისმოდა დის და დედისა,
უბედურებამ ჩვენს თავზე,
როდემდის ასე იაროს?!—
ხმა მილიციას ეკუთვნის
არ უნდა დაიგვიანოს.

რაჟდენ, ვაჟკაცი ყოფილხარ,
ვაჟკაცად დაგვიბერდები!
დაზღვეულები „გლოცავენ“,
რომ დაუსივდათ ფერდები,
ექიმობაში „ბრძენი“ ხარ
და უფრო ბრძენი ჯიბისა-
არ გეშინია საწუთროს,
აშენებული კიბისა.
იღბალზე თუ კი იელვა
და წამოვიდა წვიმები!
მაშინ გვიანღა იქნება,
თითზე კბენა და ფიქრები!

პაგნელი ბზიკი.

## მესტვირული
(სოფ. შემოქმედისათვის)

ჩვენი გლეხკომის შემყურე,
ცოცხლათ ვართ დასატირია,
საქმეს არაფერს აკეთებს
ის ღვთისგან განაწირია.
თავმჯდომარეც გვყავს გლეხკომის
მეტად ნაქები პირია,
მოქეიფე და მოწყალე
თან ხშირათ ფულიც სჭირია.
არ იქნა, ოხერ ჯიბესა
ველარ აუვსო ძირია.
ამბობენ: ჩვენს იპოლიტეს,
მგონი, მასაეიც სჭირია.
აქ სასადილო გაალეს,
სტუმართ მოყვარე ხშირია,
აქაც გლეხკომის გამგესა
მაგრათ ეჭირა პირია,
იქ გაიჩინა ბუნაგი,
უფასო, ვითა ჩირია,
დარბაისლობდა, მღეროდა,
ჰქონდა ხანგრძლივი ლხინია.
ამასაც წესი აეგო,
ჯამს გაუვარდა ძირია!..
კვლავ მიკიტნებსა გადასცეს
საქმეა დაუჯერია,
ორასი მანეთი დარჩა
მოგება, ვითა ქერია.
ეხლა ოთხმოცი მანეთის
მეტი არ შეუტიენია.
ფოსტის გამგეც გვყავს ნაქები
მოქეიფე და გენია,
საყვედურები მასზედა
მე ხშირად მომისმენია.
ამბობენ: ექიმ ბიკტორსა
დედაც აგინა ბევრია
(ავი ენები ამბობენ
მე კი არ დამიჯერია).
კლუბიც გაიხსნა ფარული,
ედემის ბაღის ფერია.
გამგეთ თოოდოს დანიშნეს,
თამაში—მრავალფერია!..
ამბობენ: თემის აქტივებს
უყვარს ნარდი და „ჩერეა“,
თამაშობენო მთელი დღე,
სანამ სინათლის ფერია.
მე კი ასეთი პირები
დღეს უსარგებლო მგონია,
ნიჩაბზე დავსვათ ქვევიდან
ქვეშ ამოუსვათ ქონია!..

„ჟანი“

## ტყიბული

მე ხელში გუდა ავიღე
და ავამღერე სტვირია,
ტარტაროზ, მსურს მოგახსენო
მე სიტყვა ორი წყვილია.
ტყიბული რათ გაივიწყე,
სწორეთ რომ გასაკვირია,
რვა ჩემ წერილს რად უჩვენე
მაგ შენი გოდრის ძირია,
ის გავიწყდება, რომ მარკა
ორი კაპიკით ძვირია,
და მალე ქაღალდის შონაც
ჩემთვის რომ გასაჭირია?!
მადაროებმა „ტარტაროზ“,
გაშეიცვალა პლანია,
კანტორა გადმეიტანეს
ბალნიცას დიდი ხანია!..
ბევრი კარგი რამ გაკეთდა,
ბევრიც ქე არის ნაკლია,
ელექტრონი ვერ მოგვარდა,
ცოტა სინათლე გეაკლია!.
ელსმენ სადგური ააგეს,
კოხტა რამ მშვენიერია,
მაგრამ გადაცემ-მოსმენა
ცოტათი არის ძნელია!..
რადიო რო გაგვიკეთეს,
ავერ ქე გადის წელია,
პირ დაღებული შევყურებო,
არ ისმის არაფერია.
რუსი ინჟინერი გვყავდა,
რუსი გვყავს ბუჰგალტერია.
ჩვენ მათი სიტყვა არ გვესმის
მათ სულ არ ესმის ჩვენია!.
სახლები ბევრი აშენდა,
მოგვაგონდება ტფილისი,
მაგრამ არ იქნა, ვერაფრით
ვერ მოვსპეთ ბინის კრიზისი!
ასეთი არის, „ტარტაროზ“,
მოკლეთ ეს ცნობა, ძამია,
და თუ აწი რა მოხდება
გეიჩვენებს მერმის ჟამია!..

ოკრიბელი „რქიანი“.

## სოფელი საწულუკიძო

საქებია ყველაფრით:
ხსენებული სოფელი,
სამკითხველოც არის შიგ,
მეტად შესამკობელი...
მუდამ დაკეტილია,
უპატრონო სახლივით,
და შიგ სიცარიელეც,
კერძო ვაჭრის დახლივით.
გაზეთები არ არის,
წიგნებით ღარიბია,
იქ მკითხველსა რა უნდა?!.
თუ შევა, „არიფია“!..
ამ სოფელში არსებობს
კომკავშირი, ქებული,
ერთი წევრიც არ არის
მისთვის თავდადებული.
დავალებას გაურბის
ყველა აქეთ-იქითა,
სახუმროა კავშირი,
მგონი, მათი ფიქრითა.
წევრებსა რომ იბარებს,
მდივანი დილაობით,
შუადღით ძლივს მოდიან,
არ სწუხან გვიანობით.
შემდეგ მოდის მდივანი
დაჩვეული ასეთებს,
ხუთი კაცი დახვდება,
მოხსენებას აკეთებს!..
სულ ორმოცი წევრია,
ორ-ოლობით მოდიან,
სანამ მოგროვდებოდენ
უკვე უკან მიდიან..
ყველას მისაწვდომია
მაგ სოფელში დუქნები
აქ ერთათ ნებივრობენ
ღარიბი თუ „მსუქნები“..
წამომჯდარნი დუქნის წინ
მუდამ ლანზღანდარობენ,
ზოგი პენტავს ტყუილებს,
ზოგნიც მეტიჩარობენ!..

კულომი.

## სამტრედია

რაუდენი მოვინახულოთ,
კაცი ექიმათ ცნობილი!
დაზღვეულების დევნაში
გამოქნილ - გამოწრთობილი.
მიხვალ ჭიშკართან შეგძახებს:
ვინ ხარ, საიდან ხმობილი?
რა გინდა ჩემგან, რას მეძებ;
ძმა ხარ, თუ პისი ძმობილი?!.
რეცეპტს ზეპირად დაგიწერს,
თუ კი ხარ გამოწყობილი!
და თუ კარგ ფეხზე არ შეგხვდა,
გახდები მისგან გმობილი!
არ გვინდა არა, ელსადგურს!
ასე ამ სახით ვუყუროთ!
ვერ გააკვირვებს გუგუნით:
ყურიანს, ვერცა უყუროს,
თანამშრომლებიც ვერ არის,
შერჩეული და ფხიანი!
ძალზე გვწყენია, რომ დადის
მასზე ამბავი ხმიანი.
(ალბად, ქალაქის აღმასკომს,
პოაქვს სალამი გვიანი!).
საბავშო ბაღი სამი გვაქვს,
არა ღირს ერთის ფასათა!
(ბაღს ჩრდილი, ალბათ, აწუხებს,
მზემ ველარ შემოანათა!)..
ოდეს კალამსა ხელს ვკიდებ,
ქარხანა თვალწინ მიდგება!
ფიქრები ჯარათ მესევა,
გულს ცეცხლი მომეკიდება.
ნინა—ფაბკომის მდივანი,
ლანდივით მომელანდება!
პზე უიმისოდ არ მზეობს,
თუ ვერ ვჭვრეტ, ისე ღამდება!
ქარხნის ფერშალი, ვერიჩქა,
კოხტა ტანისა ქალია!
ვარდისფერ კაბით და ქოლგით,
მოგვწონს და გვიყვარს ძალიან.
სამკურნალოში თუ გვიან
დადის, რა მისი ბრალია?!.
ალბად, საქმე აქვს და მიტომ
მუშისთვის აღარ სცალია.
ხმაური საპედისწერო,
გაისმის შინ და გარეთა!
ზამთარი დგება: ქუჩები
იყურებიან მწარეთა!..
თუ კიდევ ასე გაგრძელდა,
და დავრჩით მგლოვიარეთა,
ჩვენ სახლში დავწვეთ, აღმასკომს
ისევ ეძინოს გარეთა!..

ჰაგნელი ბზიკი.

# „დიდი მიღწევა“



— კეპე, ქა, იცი? ჩემს ქალს ბიჭი შეეძინა, მაგრამ მხოლოდ ხუთ გირვანქას იწონის, აი!..
— მერე, ქა... ქორწინების მეორე თვეზე კიდევ ამაზე მეტიცა გინდა?!.

# ვანი

ალმასკომის თავმჯდომარეთ
იყო მიშა ვანში,
ქეიფის და „ყლაპის“ მეტი
არ ეყარა მჭაში?!.
ღარიბები ისე ბევრა,
აღარ კითხა საბჭოს,
კულაკებიც ეძახოდენ:
„მიშას გაუმარჯოს!“.
გზების და ხიდის კეთება
მან დაიწყო სადა:
რას მიქვია მთავარი გზა?
მის ჭიშკართან სცადა!
კავშირისთვის მან სალამო
ერთხელ რომ გამართა.
იქ შემოსულ ას „რგვალ“ მანეთს
„ყლაპი“ უქნა რათა?!.
აგური და საფიცრე ხე
ალმასკომში ყრია,
მიშას ბუხარს და ოდა სახლს
სწორედ ის აკლია!
„ვაიო დავაი, ვეზი დამოი!“.
ამბობს მიშა ასე,
ვისარგებლებ, სანამდი ვარ,
ოჯახიც ავავსე!..
ვინ უჯრედი, ვისი საბჭო,
თუ მე მაზრა მწყალობს.
ბევრი სწერეს და მაგინეს,
მაინც ჩემი „გალობს!“,
მაგრამ ბოლოს რევიზია
ზედ მოადგა კარზე,
აქეთ ჩხრიკეს, იქეთ სწერეს,
მიშას ნაოხარზე!..
მიშა გამსახლს მიაბრძანეს,
— „ტაკ ი ნადა, ნადა!“.
ვანის თემში იმის თარეშს
გაუვიდა ვადა!.

კიკო.

# თხების პეტიცია ერთა ლიგას

## ჯუმათი

გასულ წელს ჯუმათში დაარსდა სასოფ. სამეურნეო ბაღი „გულაბი“, რომელსაც „ნათლობა“ გაუწია პროკობიმ.

— ამხანაგებო, შევეჩვიოთ კოლექტივიზაციას. მოვახდინოთ მიწის სოციალიზაცია. ჩავაბათ მუშაობაში მასები და საქმე გაიჩარხება. ათას მანეთს მთავრობა გვაჩუქებს!—დააბოლავა სიტყვა პროკობიმ, რომელიც ზარმაცია და თავის ყანაშიაც კი არ მუშაობს. სხვა გზით აპირებდა პროკობი შემოსავლის გაჩენას.

დაარსდა არტელი. მოვიდა ფული და დატრიალდა მუშაობა. დაიწყო ნერგების მოშენება, ჩააბეს მცირეწლოვანი ბავშები მუშაობაში (დღიური ქირა 25 კაპ.).

მიდიოდენ დღეები უდარდელად, მაგრამ...

ბაღში ეკალისა და ძიგურის ამოსვლამ ჭამის მადა გაუღვიძა „იმპერიალისტურ ზრახვებით აღსავსე“ ჯუმათის თხებს და ერთ მშვენიერ დღეს ბაღს დაეცენ.

დაფაცურდა პროკობი. მოიწვია არტელის კრება, სადაც ფართედ გააცნო კრებას თხების უკანონო საქციელი, რამაც ბაღს საგრძნობი ზარალი მისცა.

— არჩეული იქმნას ამხ. კირილე ხავთასი თხების თვალყურის სადევნებლად და მიიღოს მათ წინაამდეგ სასტიკი ზომები. გასამრჯელოთ მიეცეს თხაზე თითო მანეთი!—ასეთი იყო პროკობის წინადადება.

დაფაცურდა კირილე. მეორე დღეს შეამჩნია თხების ბაღში შემოპარვა.

აი, ერთი თხაც უახლოვდება. კირილემ ბევრი აღარ დააყოვნა და შეუტია:

— საითკენ მოძვრები ჩემბერლენის დამქაშივით?

თხა მაშინვე მოემზადა კირილეს დასაჯახებლად, მაგრამ კირილეს დანამ ის მაშინვე გამოასალმა სიცოცხლეს.

სამი თხა გახდა კირილეს მსხვერპლი.

გადარჩენილმა თხებმა იმსჯელეს, აცანცარეს წვერები და ასეთი ცნობა გაუგზავნეს ერთა ლიგას:

„ჯუმათის თემის თხები, რომლებიც აღშფოთებული არიან კირილეს ბოროტმოქმედებით, რამაც იმსხვერპლა ჩვენი სამი ამხანაგი, გთხოვენ: განიარაღების მორიგ კონფერენციაზე და თქვენს მორიგ სესიაზე დასვათ საკითხათ ჩვენი ამბავი და მისცეთ ცნობა ჯუმათის თემის ალმასკომს, რათა განაიარაღოს ჩვენი მტერი კირილე“.

თხებს იმედი აქვთ, რომ ერთა ლიგა შეიწყნარებს მათ თხოვნას.

დოლი.

# ზღაპარი სინამდვილეში



— არ გიკვირს, კომბლე, „კომბალას“ რეჟისორის თავი რომ გამობ-მია?!.

— (გაკვირვებით დააცქერდება აკაკი ვასაძეს და...) რათ უნდა მიკვირ-დეს?!. თუ კი ერთ ზღაპარში „ერთი მეწისქვილეც კი გამეფდა, ხოლო გა-მწყებულმა მეწისქვილემ შემდეგ სამეფო გააჩანაგა“...

# ქ უ თ ა ი ს ი

(ქუთაისი)

ტარტაროზჯან, ნობათს გიძღვნი,
ნობათს სასიამოს,
თუმც აქ ბევრი მიღრენს კიდეც,
თითქმის ბრაზიანობს.
ჩვეც ხომ მათი „ბატის წიხლი“
რას დაგვაკლებს, რასა,
მე კვლავ შენთან როგორც მუდამ
ვნიშნავ პაემანსა!
იცი, ერთხელ მომესურვა,
რომ მენახა „ზაგსი“,
იმის ირგვლივ გამემართა
მე შენთან ბაასი.
ვინ შესძლებს, რომ შიგ შევიდეს
ან და გამგე ნახოს,
ოჩერედი არის გრძელი,
ვინ მიგიშობს ახლოს?
შიგ გამგე ზის, ერთი—ქალიც,
ამას რა სჯობს, განა!?
მე იმ შტატის სივიწროვემ
მეტათ გამახარა.
სამისამართო ბიურო
იქვე გვეთრდით არის
და მეც ფრთხილათ გადავსწიე.
იქ ურდული კარის.
შეველ წყნარათ, შეველ ნაზათ,
ჩამოვჯექი იქვე,
ეს ხალხი აქ რას აკეთებს—
გულში გავიფიქრე.
ზოგი იდაყვ-დაყრდომილი
იცქირება ზევით,
ბარიშნა ზის და ერთობა
იქ მარაოს ქნევით...
ალექსანდრე რომ განახათ,
მოგაგონებთ მგოსანს:
დინჯათ უზის მაგიდას და
მარცვლავს კრიალოსანს.
თუ იქ „ზაგსში“ მუშაობა
არის მეტის-მეტი,
თუ იქ გამგეს მუშაობით
თავს ესხმება რეტი,
ნაცვლათ, იქვე ბიუროში
ხალხი ზის უქმადა...
ტარტაროზჯან, სკაქი დუშკა,
რისთვის ხდება, რათა?!.

**შაკო.**

# ჯ უ მ ა თ ი

დღეს ქარები ტყის ფოთლებთან ატირდა,
შემოდგომა ნერვიულობს, ფითრდება...
გლეხი ველად გასულია მარტიდან
და ველებიც შრომის ჯილდოს ჰპირდება,
ო, ჯუმათი ბრძოლის ველსა მაგონებს,
სადაც არის ბედის გმობა და ვნება.
თუ ბავშები აქ კამათლებს აგორებს,
ალმასკომო! უნდა თვალის დევნება.
ო, აქ ხშირად დადის ერთი რაინდი,
მოგზაური „ლამანჩელის რახტითა“,
მაგრამ მასაც უცუდდება ამინდი
და ბრუნდება უკან ცხვირ-პირ გახდითა.
აქ ქალებმაც იწყეს მუშტი-კრივია,
ლებს შეკრავს კაცი იმათ თმებიდან...
ისე მკაცრად და ცივადა ჰკივიან,
რომ მგლებიც კი გადარბიან მთებიდან.
ეჰ, ნეტავი, თუ რას ნიშნავს ზედ აზრა,
სასადილოს რომ ამშვენებს კარს ზევით;
თუ კერძოსგან განირჩევა არაფრით,
გარდა მხოლოდ ფასებისა აწევით.
თავისუფლად სადილს ვერ სჭამ კაცია,
ისმის „ურა“, სიმღერა და ტაშია.
როს ქეიფობს მკლავაძეთა „გრაცია“,
მივლის შიშის ჟრუანტელი ტანშია.
ო, ხამსია ვისაც გნებავთ, აქ მოდით,
დამმარული და გინდ ხმელი ხამსია;
ჩვენს „შრომა“-ში იყიდება გოდრობით,
არსად არის შრომა ამის მსგავსია!..
ყველა აქებს ზედმიწევენით და ესა
სურვილს აცხობს, რაცა მე მხდის ავადა,
ძლიერ მინდა, ვნახო ერთხელ ზაპესი,
რომ არ მოვკვდე იმის უნახავადა!

**ჩახუნდარიძე.**

# ცნობათა მიღება



„ტაბშალღენ"-ს (შორაპანი):— საავადმყოფოს შესახებ სწერთ:

„ავადმყოფი კი არა, მდევი რომ შეიყვანოთ შიგ, დაავადმყოფდება და მისი იქიდან ცოცხლად გამოსვლა საეჭვოა. სიცხე გამიშინჯეს. მადლობა ღმერთს, მქონდა ორმოცი გრადუსი და 8 ხაზი. ჩამეძინა. დამესიზმრა — თითქოს ავაზაკები დამეცნენ. გამომეღვიძა და... ბაღლინჯოებს მოეტანათ ჩემზე იერიში... გამიჩნდა ტიფი. გამომიცხადეს: „ყინვა უნდა იყიდოთ, თორემ საიქიოში ამოყოფთ თავსო".

სამაგიეროდ, თქვენმა წერილმა ამოჰყო იქ თავი (ოოლად გამოდით). ჩვენ გვგონია, რომ საშინელი სიცხე თქვენ ეხლაც გაწუხებთ. აბა, შე კაი კაცო, რატომ უნდა იყო ასე სულმოკლე? განა ღირს საავადმყოფოს საყვედური გამოუცხადო ასეთ წვრილმანებზე? ხომ ხედავთ ზამთარი მოდის. (ამას მხოლოდ ტყე-ტრესტი ვერ ამჩნევს). ზამთრის სუსხი თქვენს შემაწუხებელ ბაღლინჯოებს ყველას დახოცავს. ყინვაც ადვილი საშოვნელი იქნება მაშინ. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ფანჯრებში მინები არ არისო, ეს ალბად, ჰიგიენური მოსაზრებით (ავადმყოფობისათვის სუფთა ჰაერი მისწრებაა). იქონიეთ მოთმინება.

„ეკალ"-ს (ხონი):— ბლაგვია თქვენი ეკალი; ტყუილად ჩხვლეტავთ, ტკივილს მაინც არავინ იგრძნობს. ეცადეთ გაამახვილოთ და შემდეგ ვნახოთ.

**წიწმატს** (ოზურგეთი):—განა ის არ ეყოფათ, რომ:

„გაიმართა ჩხუბი „ეპო"-ს კანტორაში
მოგახსენებთ ეხლა საქმე იყო რაში;
დავით ბუღალტერსა სცემს დათიკო ყბაში,
და დავითმაც სტაცა ხელი მტერსა თმაში".

როგორ შეიძლება ამ ამბის საზოგადოთ გამოაშკარავება? შერცხვებათ მათ! თუმცა და თქვენ ამბობთ, რომ სირცხვილი მათ არ აწუხებთ, თორემ ასე არ მოიქცეოდნენო, ესეც მართალია, მაგრამ ალექსისა და ტიტეს გვეხათრება — მოზაეობის დროს ბლომად მოხდენიათ ზურგზე.

**ლიზაშვილს.** (ოზურგეთი):—ალბად დედათქვენს ლიზა ჰქვია და თქვენაც დედის საპატივსაცემოდ ამოგირჩევიათ ეს ფსევდონიმი. მშობლის სიყვარული და პატივისცემა მოსაწონია, მაგრამ ასეთი ლექსით არა გვგონია, რომ მშობლის პატივისცემა შეიძლებოდეს.

**ხორხოზას** (ყულევი):—თქვენი წერილი „ჩემი ბრალია" ასე თავდება:

„მაგრამ ვის უნდა დავაბრალო. ისევ ჩემი უტვინო გოგრის ბრალია"

ჩვენ სავსებით გეთანხმებით თქვენი თავის შეფასებასა და დახასიათებაში.

**დუბლიგატორს:** (საფიჩხია, ქუთაისი):—ბებია თქვენის სულს გაფიცებთ, ეს წერილი მართლა დასაბეჭდათ გამოგვიგზავნე, თუ ხუმრობთ?

**მარიეტას:**—ვერ უქნია კარგი საქმე, თუ „ლამეში თავის ხელით გულში დაირჭო დანა". (ასეთი ხუმრობა არ ვარგა). მაგრამ თქვენ კიდევ უარეს საქმეს შვრებით, როცა ასეთ ლექსებს სწერთ.

**ბორჯომის ჭინჭარს:**—აბა ეს რა მოსაწონია?:

„ბიჭი არის ახალგაზრდა...
ვერ ვატანეთ დროზე თვალი;
თურმე ჯიბეს პატივს სცემდა
და ყოველდღე იყო მთვრალი.
(კოლია ქვია სახელათ, —
მგალობლიშვილი გვარია),
უყვარდა ღვინო ყანწებით
და შებრაწული ვარია".

სულზე ხელი დაიდევით და მართალი სთქვით— განა თქვენ-კი არ გიყვართ?

**ვალ-ჯიმის:**—თქვენი ძლევნი მეორე შრომის სკოლამ არ მიიღო. წარმოიდგინეთ, არც უფსკერო გოდორი ღებულობდა, მაგრამ ბოლოს ხათრი დაგვდო და მოათავსა ყველა მასალები ქვემოდ.

**კაჭიას:**—თქვენი სცენა „ბირჟაში" ასე თავდება (ალბად თქვენც გასსოვთ).

„იძრობს ხანჯალს. გამგე გარბის. ყრინტაძე გინებით მისდევს".

სწორედ გამგის ამბავი დაემართა თქვენ წერილსაც.

**კოლა-ს:**—ერთ ალაგას ასე სწერთ ლექსში:

„ჩვენთვის შველა არხად არის,—
აღარ არსებობს ღმერთია".

გეტყობათ—ურწმუნო ყოფილხართ, თორემ ღმერთი რომ გწამდეთ, განა ასეთ ლექსს დასწერდით?!

„**პატარა ანკესი**"-ს: (ქუთაისი):—თუ გინდ დიდი ანკესიც იყოთ, მაინც არ წამოვეგებით თქვენს ანკესზე და ამ ლექსს არ დავბეჭდავთ.

„**ბურულ ბზიკ**"-ს:—წავიკითხეთ თქვენი „წერილი საყვარელს". შე კაი კაცო, საყვარელის გულის მოგება განა ასეთი წერილებით შეიძლება? პირიქით, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მთლად დაჰკარგავთ ფასს მის თვალში. ამიტომ შევდივართ რა თქვენ მდგომარეობაში, არ ვბეჭდავთ თქვენს წერილს.

**ნორა-რუისელს:** (ქუთაისი):—თქვენ ტყუილად უსაყვედურებთ და შარს სდებთ სკოლებში მიმღებ კომისიას:

„ჩატარდა გამოცდა, დამთავრდა კონკურსი,
განათლებამ თურმე მოაწყო ფოკუსი.
მეორე ჯგუფში იყო სტროგი გამოცდები,
ვხთქვი—კარგად ვაბარებ, გარედ არ დავრჩები".

ამის დამწერი, რომ გარედ დარჩეს, სრულიად სამართლიანია.

**მომღერალს:** კიდევ კარგი რომ თქვენი ნაწარმოებისთვის ფსევდონიმად „მომღერალი" მოგიწერიათ, თორემ ხომ შეიძლებოდა მოგეწერათ, მაგალითად: მოლექსე პოეტი, ან მწერალი, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად შეუფერებული იქნებოდა. ასე კარგია მწერლობაში კდემამოსილება. ახლა გაკლიათ თითონ მწერლობა.

# „მიზეზ-მიზეზ...“

ნახ. ნადარეიშვილის.




გამგე —წითელი მელნით დაწერილი განცხადება არ მიიღება... გადასწერეთ!
გლეხი: —განცხადება შავი მელნით არის დაწერილი, ხოლო ზედ რაც წითელია, სულ აქ წააწერეს თქვენთან!

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68

კვირა, 28 ოქტომბერი 1928 წ.

ფასი 15 კაპ.

№ 176

# ტარტაროზი




**ფაქტი კელოგის პაქტის შემდეგ**

„კელლოგის პაქტის შემდეგ ყველა სახელმწიფოები უფრო მეტად იარაღდებიან". (გაზეთებიდან).

კელლ(ოგი): ჩემი პაქტის შემდეგ, აი როგორ თავისუფლად ფრინავენ ყველგან „მშვიდობიანობის" ანგელოზები!




### პილსუდსკისთან)

— როგორ გრძნობთ თავს, პან პილსუდსკი, შევბულების შემდეგ?

— ძალზე დაღლილად.

— როგორ! თქვენ ხომ რუმინეთში ბრძანდებოდით დასასვენებლად?!

— „დასასვენებლად!“.. ერთი საათიც არ დამისვენია. წარმოიდგინეთ თქვენ, დედოფალთან გასეირნების დროსაც ლაპარაკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მქონდა. საბჭოთა კავშირს რაღაც ისეთი ჯადო და თილისმა აქვს, რომ მასზე მუდამჟამ ფიქრი ადამიანს ნერვებს უშლის და უძილობით აავადებს. უძილობა კი, კარგად მოგეხსენებათ, ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედობს.

— თქვენი აზრი პოლონეთის მომავალ ბედ-იღბალზე?,

— პოლონეთისათვის საჭიროა მეფე. ამის განხორციელებას კიდეც შევსძლებთ, თუ კომუნისტებმა ხელი არ შეგვიშალეს.

— მეფის კანდიდატათ ვინ გყავთ მხედველობაში?

— ბევრი ვეძიე სამეფო პიროვნება, მაგრამ როცა ვერ აღმოვაჩინე, თავი მოვითავმდაბლე და...

### ლოიდ-ჯორჯთან

— როგორია თქვენი სამზადისი მომავალ არჩევნებისათვის?

— ისეთი, როგორიც მუშათა პარტიის.

— მუშათა პარტიის როგორია?

— ისეთი, როგორც ლიბერალების.

— მისტერ. თქვენ კარგ ხასიათზე ბრძანდებით! ხუმრობის თავი გაქვთ!

— რატომ არ ვიქნები, ახლო ხანში დაქორწინებას გაპირებ.

— როგორ? თქვენ... თქვენ ხომ ცოლიანი ბრძანდებით?!

— ჰე-ჰე-ჰე-ჰე... ამ სიბერის ჟამს პრემიერობა, ანდა მინისტრობა ერთხელ კიდევ უნდა ჩავიგდო ხელში, თორემ საიქიოში უბრალო მოქალაქედ როგორ მივიდე? გადავწყვიტე დავქორწინდე მუშათა პარტიაზე. მაკდონალდიც თანახმა არის.—

— თქვენი პარტიის როლი და მდგომარეობა?

— ჩვენ ვართ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ (კარგი შედარებაც იქნება), გირები და სასწორიც იქით იხრება, რომელ მხარეზედაც დავდგებით. ამიტომ ჩვენ გვეარშიყებიან როგორც კონსერვატორები, ისე მუშათა პარტია.

— გმადლობთ, მისტერ ჯორჯ. ეხლა მაკდონალდსაც ვინახულებ და...

— ტყვილად დროს დაკარგავთ. ისიც იმას გეტყვის, რაც მე გითხარი.

— მაშ ჩემბერლენს ვნახავ და...

— ჩემბერლენმა მოგჭამათ ჭირი. ჩაქრა „მნათობი“ პოლიტიკურ ჰორიზონტზე. ის ახლა ამერიკაშია.

### მუსოლინითან

— არ შეიძლება. ხომ ხედავთ კარებთან ვდგევარ და პრემიერთან არავის ვუშვებ?!—შემოუყვირა მეკარემ რეპორტიორს.

კაბინეტიდან ისმოდა მუსოლინის ბოლთის ცემა და ლაპარაკი (თავის თავთან ჰქონდა მუსოლინს ინტერვიუ):

— დედას ვუტირებ ყველა მეზობლებს, რომლებიც ჩემი მორჩილი არ იქნებიან.. ალბანეთში ხომ წამოვასკუპე მეფედ ახმედ-ზოგუ! მაგრამ მე იმ ქათამსავით მემართება, რომელიც **„ჩვენსას კაკანებს და სხვისას კი ვვერცხებს სდებს“**. ო, ძველი რომის ტირანების აჩრდილნო და სულებო... ო, ნერონ, ნუ თუ მე თქვენზე ნაკლები ტირანი ვარ, რომ არ მფარველობთ, რათა თავზე დავიდგა გვირგვინი?!

### კელოგთან

— როგორია მსოფლიო მდგომარეობა თქვენი პაქტის შემდეგ?

— ჩინებული. ჩემი პაქტის ნამდვილი ფაქტი ყველასათვის თვალსაჩინოა. მშვიდობიანობის ანგელოსები, სამხედრო ჰაეროპლანების სახით, ზეცაში წეროებივით დაფრინავენ და ჰფარავენ სივრცეს.

— რატომ იარაღდებით თავიდან ფეხებამდე, თუ კი განიარაღების მომხრე ხართ?

— ეს ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ალბად, თქვენ გაგიგონიათ ბრძნული თქმულება: **„თუ გინდა მშვიდობიანობა, ემზადე ომისათვისო“**. ჩვენც ასე ვიქცევით.

— რატომ არავინ გამოდის განიარაღების ინიციატორად?

— პირიქით, ამჟამად ყველა ცდილობს განიარაღების ინიციატორობა მას ხვდეს წილად. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა სახელმწიფოები ასე იარაღდებიან.

— უკაცრავად, მაგრამ აქ რაღაც გაუგებარია ჩემთვის — თუ განიარაღების ინიციატორობა უნდათ, რატომ იარაღდებიან?. —

— ვინც ყველაზე უფრო ძლიერი იქნება, ე. ი. ვინც უკეთესი შეიარაღებული იქნება, ის დაამარცხებს სხვებს და გაანიარაღებს. ნუ თუ ეს თქვენთვის გაუგებარია?

### ჩემბერლენთან

— მისტერ ჩემბერლენ. მე თქვენ ინგლისში გკითხეთ, სწორედ კარგ დროზე შეგხვდით.

— დიახ, მე ინგლისიდან აქ წამოვედი ამერიკისათვის ბოდიშის მოსახდელად. დიდი უზრდელი ხალხი ყოფილა ეს ამერკელები. ისე შემხვდენ, თითქოს ერთი მწერი ჩამოფრენილიყოს ამერიკაში. მახლას, მართალი უთქვამთ: **„ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ წამოადგებაო“**... სისულელე და შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ ამისათვის კაცის ასე შეურაცყოფა შეიძლება?, განა მარტო ამათთან და მარტო ეს ერთი სისულელე მაქვს ჩადენილი, რომ ასე აბზუეს ცხვირი?

— ხელი როგორ გაქვთ?

— კიდევ კარგი, რომ დამბლა მარცხენა ხელს მოუვიდა. აქ თურმე ხმა გავრცელდა, რომ **„ჩემბერლენს ღმერთმა გაუხმო ის ხელი, რომლითაც ხელი მოაწერა ინგლის-საფრანგეთის საიდუმლო ხელშეკრულებასო“**.

ისელი.

# ტოლსტოი საკინმრეწვში

ნახ. ნადარეიშვილის




**ტოლსტოი** (საკინმრეწვის დირექტორს): ჩემი ასი წლის იუბილეზე მთელი ქვეყანა დაისაჟა, რათა ჩემთვის დიდი პატივი ეცათ. თქვენ კი რისთვის დამსაჯეთ ასე სასტიკად ამ სურათის დადგმით?!

## წერილი შვილს

ჩემს ამბავს თუ იკითხავ —
არც მკვდარი ვარ, არც ცოცხალი,
ვახშამს კვახზე გადავდივარ,
სადილზე მაქვს მკუპე მსხალი,
ორი თვეა, რაც წვნიანი
არ ჩამსვლია გამხმარ კუჭში, —
(შენ კი ალბად დედაკაცებს
შენებურად დასდევ კუდში).

დედაშენიც ავად არის,
გამოუჩნდა ბაცილები.
ჰკივის მშობიარესავით,
სტკივა „ქვედა ნაწილები“.
შაქარი რომ ყოფილიყო
ჩვენს ოჯახში ერთი კბილი, —
მაშინ იქნებ მოხდენოდა,
ამ უბედურს ჩაი ტკბილი.
მაგრამ როგორ მოგრჩებოდა
შაქრისათვის შენ მანდ ფული,
როცა შენი უტვინობით
ვალებში ხარ სულ ჩაფლული?!

შენი ცოლი ამ ბოლო დროს
მუავეს ჭამამ მოკლა თითქმის,
და მუცელზე წამოსუქდა,
(მეშინია მე ამის თქმის).
შენ რომ სახლში არ ყოფილხარ,
ქე იქნება ორი წელი, —
მიკვირს, ბიჭო, თუ ამდენზე
რად ეზრდება ქალს მუცელი?!

ამას გარდა, ჩვენს ოჯახში
ადგილი აქვს სხვა ბევრს საწყენს:
გოგომ კვიცი მოაწყვიტა
ბევრი ხედნით ჩვენ შავ ჭაკ ცხენს.

მასთან ჭადი ჩვენსას კეცზე
ექვსი თვეა, რაც არ ცხვება,
მაგრამ შენ ეს, როგორც ვიცი,
სრულებით არ გესირცხვება,
და განაგრძობ მაგ ხეტიალს
არ გაწუხებს ეს ქვეყანა.
ოდნავადაც არ გაშინებს,
რომ წალეკა წყლებმა ყანა.
აქ ვათავებ, შვილო, წერას,
მეტს კი ველარ გავაგრძელებ,
და ბოლოს დროს, როგორც შვა-
ლსა,
მაინც კიდევ გადღეგრძელებ!.
მამაშენი კოწია.

## შ ა რ ა დ ა

თუ გსურს, ძმაო, რომ შარადა,
ჩემი კალმის ნამოქმედი,
გაიგო და მან შენს წინა
მოიხაროს კრძალვით ქედი, —
დილით, სხვაგან რომ მიდიხარ,
ქარხნის მილებს შეაჩერდი,
რაც ამოდის, სტაცე ხელი,
მოუქირე ჭაპან-ღვედი.
ის შესდგება ოთხ ასოსაგან,
მოაჭერი ბოლოს ერთი.
(რაც დარჩება, იმისათვის
სხვა ვეძიოთ შემაერთი).

—:—

მეორე სიტყვას, საჭიროს
ძებნა არ უნდა ბევრია,
მაგარი არის სათლელად
და მძიმე დასაჭერია,
ქურები მისგან კეთდება,
(ზედ დადის ბევრი შტერია).
სამივე ასო პირველთან
მისადებ-მისაკერია.

—:—

მიღებულ სიტყვას სიტყვა „ძე“
ზედ მივაწეროთ კალმითა.
მივიღეთ გმირი შარადის,
ძველ დროიდან დადის ალმითა.
ტან-მორჩილი და ქერაა,
ავტოში ნახავთ ქალმითა,
სიქა გააძრო ვაჭრუკებს,
მუშკოპში მიდის სალმითა,
ჩამორთმეულსა სახლებსა
რემონტი უქნა წალმითა.
ბინის ქირასაც უმატებს,
ჩვენ დაგვალონა ამითა.
უკვე მიხვდებით სუყველა:
ოღონდ დაფიქრდით წამითა!..
აკსი.

# ვაჭარი თავაზიანი

## მუშტარს კი—თავში ზიანი

ნახ. დონის




— მობრძანდით, სულ ახალი სასეზონო საქონელი გვაქვს მიღებული!..

— სასეზონო საქონელზე რომ მეპატიჟები, ამის აქედან აწევის სეზონი კი ველარ შენიშნე?!

# არიელი-მარიელი, ანუ ვიტრინები ცარიელი

მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა კატების შეძენა თაგვებთან და ვირთხებთან საბრძოლველად.

1.

(კედლის გაზეთიდან).

რას ისურვებს, სანოვაგეს,
რომ არ იყოს ჩვენს მუშკოპში:
აქ ძეხვია, იქ ქათამი,
მოკოლადი, თართის დოში.
ტორტი-ჰორტი, რაც კი გინდა,
ვიტრინიდან უცქერ ყველას..
ნაბიჯს უკლებ, თვალს აშტერებ
და თან იწყებ ენებით ხველას.
დგები ჯიბე - გაფხეკილი,
უყურებ და ნერწყვი მოგდის.
ფიქრობ: „ერთი დააძეხი
და მერმე კი თუნდაც მოკვდი".
მხოლოდ ჩვენი თაგუნები
ქელეხობენ მასში მუქთად
და ვირთხებსაც ქონდრები და
გავა-ტანი გაუსუქდათ.
მიირთმევენ: ბრინჯის კაკლებს,
ხორბლეულებს, კარაქს, ერბოს,
არ სწამთ „ნეპი", „ხოზრასჩოტი",
არ იხდიან არც სალერბოს.
და წრუწუნა ბანდიტები
ქეიფობენ ლაღად, ძმურად,
და საქვეყნო სარჩო-დოვლათს
იტაცებენ ხულიგნურად.

2.

მუშკოოპს ჰართავს გამგეობა,
გამგეობამ იცის, ხვდება,
რომ თაგვების აშლილ მადით
მაღაზია იღუპება.
დიდხანს ბჭობდა გამგეობა
და თაგვების ჟინი ჰკლავდა,
შემდეგ ერთხმად გადასწყვიტეს—
შეეძინათ სადმე კატა.
მოიყვანეს კიდეც ერთი,
ვეფხვს უგავდა გამოხედვა,
ეგონათ, რომ წყეულ თაგვებს
ეტირებათ ახლა დედა!
კატა მართლაც დევ-გმირს წაგავს,
არავინ ყავს ბადალია,—
მაგრამ ვირთხებს რას დაგიდევს,
თაგვებისთვის სად სცალია?—
დაერია მსუქან ძეხვებს,
(ძეხვები ხომ არსად გარბის,
არც ძვალი აქვს ყელს დაგადგეს!)
გამოიძღო კუჭი ხარბი,
ქელეხშია ციცუნია;
მის ჰუცლისთვის დადგა რთველი
და შედეგიც კატის „შრომას"
მართლაც მოყვა საკვირველი:
თაგუნები მარცვალს ხრავდენ
მათ ვინ მისცათ კატის ძალა?
და კატამ კი მაღაზია,
ძეხვეებისგან გააწყალა!.

3.

ფიქრს მიეცა გამგეობა,
აყენებენ რთულ საკითხებს:
„ჰეტი ვნება რომელს მოაქვს:
მსუნაგ კატას, თაგვს თუ ვირთხებს?".
და ბორბალიც მათ მსჯელობის
იმ დასკვნამდე შემობრუნდა,
რომ მათ კატის წინაალმდეგ
გაიჩინონ ძაღლი უნდა.
„თაგვი, ვიცით, ზარალს გვაძლევს,
არც კატაა მთლად „უმანკო"..
ჰაგრამ მით, რაც შემდეგ მოხდა
განცვიფრდებით ამხანაგო:
თაგვი ძღება ნასინსვალით,
კატა კი სჭამს ქათმებს, ძეხვებს,
და ძაღლი კი ანადგურებს
ღორის ბაყვებს, ბეჭებს, ფეხებს.

—:—

დასასრული ასეთია:
არიელი, მარიელი
დარჩა მუშკოოპს სალარო და
ვიტრინები ცარიელი!

მედუზა.

# კოლლეგა წარსულიდან

ნახ. მარიამის.



**დირექტორი** (ათვალიერებს ძველის-ძველ ჟურნალს):
— აი, ძველად უწინაც ყოფილან ჩვენისთანა დირექტორები, და რაღა ეხლა ჩვენ გვისაყვედურებენ ხელგაშლილობასა და უყაირათობას?!


გაზ. „მუშა"-ს და „ტარტაროზი"ს

რედაქცია გადავიდა

შრომის სასახლეში

(რუსთაველის პრ. ‍და ჯორჯიაშვილის ქუჩ. კუთხე)

რედაქციის შესავალი ჯორჯიაშვილის ქუჩიდან


# ბრძანება

სალამი თქვენდამი
ტარტაროზკორებო!
მტრებზედა ძლიერნო,
ურთიერთის სწორებო!

ბრძანება გვიანი
ისმინეთ ჩვენია.
გვიგზავნეთ მალ-მალე
საჩვენო ძღვენია.

არც ერთი სოფელი,
დაბა და ქალაქი,
არც ერთი კუთხე და
არც ერთი ალაგი.

არც ერთი სოფელი,
თქვენს თვალთა გარეშე
და ყველა ამხილოთ,
მოძმე თუ გარეშე.

არის თვითკრიტიკა —
ეს თქვენი ხმალია.
გაჰკვეთეთ, ვისაც აქვს
ცოდვა და ბრალია.

მხოლოდ კი გახსოვდეთ:
სიმართლე... სიმართლე.
ფაქტები ნამდვილი
და წერის სინათლე!

ეს ასე... და ეხლა
საქმეა ასეთი, —
რომ უნდა გავრცელდეს
ჟურნალი, გაზეთი.

თუმცაღა რად უნდა
ამას თქმა და ზრუნვა.
(ამაზე გვითირებს
[illegible]

წავიდა ზაფხული,
მოგვადგა ზამთარი.
გაყვითლდა, გატიტვლდა
სივრცე და მთა-ბარი.

ცაზეა ღრუბლები
და გარედ ქარია,
დალუქეთ ფანჯარა,
დაჰკეტეთ კარია.

არ არის ხალისი.
ცუდია ტაროსი, —
მაგრამ თქვენ თუ კი გაქვთ:
„მუშა", „ტარტაროზი",

ვერაფერს დაგაკლებს
შემოდგომის გლოვა
და თქვენთან ოთახში
ხალისიც მოვა...

ტარტაროზი.

შრომის სასახლე.

(„ტარტაროზი"-ს ახალი რეზიდენცია).

# თავისიანებმა იმსხვერპლეს

— „სოფელი. ურმის ჭრიჭინი. ბალი, ინდაური, გლეხების სიმღერა, ქყინტი ყველი და ქყინტი სიმინდი“...

მართალია, ინდუსტრიალიზაციის ისეთი ტემპის დროს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, არ არის ლამაზი სოფლის ცხოვრების იდეალიზაცია, მაგრამ მელიტონს, ჩვენს საერთო ნაცნობ მელიტონს, რომელიც ერთდროულად ორ თანამდებობას ასრულებს, მაგრამ ჯამაგირს ერთს იღებს, ჩვენ სოფლის მონატრებას ვერ გაუმტყუნებთ.

მართლაც, მელიტონი საქმის მწარმოებელიცაა და რეგისტრატორიც. 6 წელი მან რეგისტრატორად იმსახურა და ბოლოს, დაწინაურების კამპანიის დროს იგი დააწინაურეს საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობაზე.

მუშაობით დატვირთულმა მელიტონმა შვებულებისათვის ვერ მოიცალა, მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა ორი კვირის შვებულების აღება.

ქალაქში ავტომობილებით დაყრუებულ მელიტონს, ცხადია, სოფელი მოენატრა ფაცისი ურმებით და მან გადასწყვიტა ორი კვირით მაინც განეხორციელებია დირექტივა—„პირი სოფლისკენ“.

წაიყვანა ცოლ-შვილი. დატოვა თავისი ორი პაწაწინა ოთახი. სხვათა შორის, რაღაი ოთახზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა დავიმახსოვროთ, რომ მელიტონს მართლაც ორი ოთახი ქონდა. პირველში მოთავსებული იყო სასტუმრო, სასადილო, სამზარეულო და დასასვენებელი ადგილი. მეორე ოთახი კი, ისიც ერთდროულად ასრულებდა საძინებელ და სამუშაო ოთახის (კაბინეტის) მოვალეობას. ორივე ოთახის საერთო სივრცე უდრის 25 მეტრს.

მელიტონს და მის მეუღლესაც ცოტა თავის ქება უყვართ და ამიტომ იყო, რომ ისინი, სოფელში ყოფნის დროს მეზობლებთან ხშირად იტყოდენ:

— ალმასხანი რომ ტფილისში ამოვიდა, პირველად სასტუმრო ოთახის კარები შემოაღო. ჩვენ იქვე ვიჯექით სასადილო ოთახში...

— ბინა მინდა გამოვიცვალო—იტყოდა ხოლმე მელიტონი,— მართალია, საძინებელი ოთახი და კაბინეტი ორივე კარგია, მაგრამ დასასვენებელი ოთახი არ არის კარგად მორთული...

ერთი სიტყვით, მთელმა სოფელმა დაიჯერა, რომ მელიტონს ვრცელი ბინა ეჭირა, ბინა, რომელშიაც რვა ოთახზე ნაკლები არ იყო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რაიონს.

ყველაფერი წარმავალია და, მაშასადამე,—შვებულებაც. მელიტონს შვებულება გაუთავდა და ტფილსში დაბრუნდა. ცოლი ქობულეთში გაგზავნა.

ეს იყო შემოდგომის დასაწყისი, სასწავლო წლის თავი. სამი დღის შემდეგ, როცა მელიტონი სამსახურიდან დაბრუნდა, მას კარებთან დახვდა მეზობლის ვაჟი თავისი ბარგით. ყმაწვილმა წერილი გადასცა მელიტონს.

„ჩემო საიმედო მელიტონ!“— ეწერა წერილში, — „ეს ბიჭი შენ თავიდანვე გიყვარდა და ახლაც გიყვარს. ამიტომ ვბედავ და გიგზავნი. ეს ორი-სამი წელიწადი შენთან იყოს, სანამ ტეხნიკუმს დაამთავრებს და მერე ქე წამოვა სახლში. რომელიმე ოთახის კუთხე დაუთმე, თუნდაც სასადილო ოთახი იყოს. მაგიერი პატივისცემა ჩემზე იყოს. გიგზავნი ამ ხაჭაპურს, თავიდანვე გიყვარს, ვიცი, ხაჭაპურის ჭამა. შენი გრიგოლ“.

მელიტონს საშინლად ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ რა გაეწყობოდა, ხომ იცით სტუმართმოყვარეობის გრძნობა.

გავიდა სამი დღე. მელიტონი ამდგარი არც კი იყო, რომ კარების კაკუნმა გამოაღვიძა. კარი გაიღო და განცვიფრდა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი დაინახა. ორივე ბარგით.

„ჩემო საიმედო ნათლია მელიტონ„ — სწერდენ მას, — აგი ბალანები შენი მონათლულია და შენთან გირჩევნია, ალბათ, ყოლა. რაცხა ნასტავლი ქი არიან და, აწი რასაც ასტავლი, შენ იცი. არ მინდოდა გამოგზავნა, მარა ქალმა არ დამაყენა: გუუგზანოთ მელიტონს, თვარა ეწყინებაო. რაცხა ჭად და ლობიას, იმედია, არ დაამადლი და ჭინჭის შეკერვაზე არ შეგაწუხეფ, თუ იშონო, მაქანაი რაცხა ამერიკის ბაზარიაო ,იქინე უყიდე. ერთი სიტყვით, შენ ჩემი სტავლება არ გჭირია, კამისრის დონი კაცი ხარ. სადმე კი დამიწვენ, ან სასადილოში, ან დასასვენებელი ოთახი რომ გქონია, იმაში. შენი მორდუ ივანე“.

მელიტონს თავბრუ დაესხა, მაგრამ გული შეიმაგრა, ყმაწვილები სახლში შემოიყვანა.

— ვაი ჩემს ენას, ამას რას გადავეკიდე, სად დავტიო, ან რა ვაჭამო ამდენ ხალხს,—ტირილით ამბობდა მელიტონი.

ერთი კვირა ამ ტანჯვაში იყო, ხოლო მეორე კვირას ახალი ჭირი შეემატა. სამსახურიდან დაბრუნებულს ნაცნობი სოფლელი ახალგაზრდა დახვდა სახლში, რომელიც მის საწოლზე მოკალათებულიყო.

— ოჰ! ჩემს მელიტონს—სიცოცხლე!—მიაძახა სტუმარმა,—რას იფიქრებდი ახლა, რომ მე ტფილისში ამოვყოფდი თავს, მარა ასეა საქმე. საბუხგალტერო კურსები რომ არის, იქ გამომგზავნა თემალმასკომმა. კურსები უნდა დავამთავრო და მერე თემს ვემსახურო.

—მმმ!.. კარგი საქმეა... ჩაილუღლუღა მასპინძელმა.

—საქმე დიდებულია კი! კურსები, მგონია, 6 თვიანია და ასე პატარა ვადიზა ქვეშსაგების წამოღებაც არ ღი-

## პირდაპირი გაგებით

ნახ. რევაზის.



მასწავლებელი:—რა ყრია მაგ პაპიროსში რომ ეწევი, ა?

—თუთუნი, მასწავლებელო!

—შე ბრიყვო, მე გეკითხები, რა გამოდის მაგ პაპიროსის წევიდან სასარგებლო?

— (ვითომ ვერ გაიგო):—ბოლი გამოდის, ბატონო!

# თავისებური შეფასება



—ჯან!.. ჯან!.. რა „საპროტექციო“ ნაჭერია!..

რდა, ისევ შენს საბანს თუ დამახურავ, თვარა სხვა გზა არ მაქვს.

მელიტონს ცრემლები მოადგა თვალებზე.

— რაცხა მოწყენილი მეჩვენები, მელიტონ!

— ოჰ! მოწყენილი არა, მაგრამ ცოტა ავათ ვარ, — ჩაილუღლუღა მელიტონმა.

მელიტონი და მომავალი ბუღალტერი ერთად იძინებდენ მელიტონის ლოგინში.

ერთი კვირის შემდეგ, სამსახურიდან დაბრუნებულ მელიტონს ასეთი საუბარი მოესმა თავის ბინიდან:

— აქ ადგილიც არ არის მეტი, თვარა რავა არ მიგიღებს, რომ ამბობენ რვაი ოთახი აქვსო, ორის მეტი არ ქონია.—

—ადგილი რას მიქვია, მე ცოლის ძმაი ვარ მისი, გეიქირვოს და მაცხოვროს, თვარა მამა ჩემს მივწერ—იმუქრებოდა ვილაცა.

მელიტონი ოთახში შევიდა და სოფლიდან ჩამოსულ ცოლის ძმის მკლავებში გაჩნდა.

— რა შობი, ძამია მელიტონ, ჩემი დაი როის ამოვა ქობულეთიდან? მე ქე მიმიღეს ტეხნიკუმში და აწი ნუ გეშინია, არ მოგანატრებ თავს, შენთან ვიქნები ოთახში საცხოვრებლათ. ქე მინდოდა დეიდასთან დადგომა, მარა ნენამ არ ქნა, მელიტონს ეწყინება, სხვისას რომ დადგეო..

— ღლურტულობდა ცოლის ძმა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, მელიტონს ბიძა და ბიცოლა მოადგენ.

—რავა ხარ, ბიძიავ? აგერ ბიცოლა შენი მოგიყვანე, რაცხა ტალახის ვანებიაო, რომ ჩივოდი, იქინე უნდა ვარონიო, ქარები აქ. მეც კბილები აღარ მაქ და მინდა ჩევიდგა. ამ ახალ წლამდი კი მუასწროფ, მგონია, საკალანდოთ ქე წავალთ შინ.

— მოდით, დამახრჩვეთ, დამწეწეთ!! სასოწარკვეთით ამბობდა პურისთვის წასული მელიტონი.—რა მეშველება, სად დავტიო ამდენი ხალხი, რა ვაჭამო, ან ცოლს რა უთხრა...

ცოტა ხნის შემდეგ ,მელიტონს აშოუეიდა უფროსი სიძე, რომელმაც თავისი ძმა და შვილი ამოიყვანა.

—აგია და შენი დის შვილია, აგიც ჩემი ძმაია, ორივე შენი სისხლ-ხორცია, და რავარც გინდა, ისე მოუარე, ჩემო ძვირფასო ცოლის ძმაო. სწავლიზაა ორივე ამოსული, ახლა მჭირია შენი მოყვრობა. მე თვითონ დიდ ხანს არ დავრჩები, ცოტა გიმარო მაქ და აქანე, მგონი, ბუასილს კარგათ წამლობენ.

მელიტონი საბოლოოთ გატყდა წელში. მუხლები მოუდუნდა, თმა გაუთეთრ და და ხმა ჩაუწყდა.

სამი დღე სახლში არ გამოჩენილა. სტუმრები შეშფოთდენ. გავიდა კიდევ ერთი კვირა, გავიდა მეორე. სტუმრები შიმშილით სულს ღაფავდენ.

ბოლოს მოვიდა... წერილი.

მშვიდობით ცოლო და შვილო, მშვიდობით ჩემო სტუმრებო, თქვენს ოჯახს დაანგრევს იესო ქრისტე. თქვენ ამიფორიაქეთ სახლი და დამაკარგვინეთ სამსახურიც.

მე ახლა მოსკოვში ვარ. ადრესს არ გწერთ, რადგანაც ერთ კვირაში ყველა კარზე მომადგებით.

აქედან ამერიკაში შივდივარ, იმედია, იქ ველარ მომძებნით. თუ დავიღუპე, ჩემი ცოდვა თქვენს კისერზე იყოს, თქვენგან გაუბედურებული, ყოფ. საქმის მწარმოებელი და დაწინაურებული რეგისტრატორი მელიტონი“.

ის იყო დღეს, მას შემდეგ მელიტონის გზა-კვალი არავის უნახავს. როგორც ამბობენ, უზბეკისტანში დასახლდა, რადგანაც იქ გაიწერა ოჯახობა. მისამართი, ცხადია, სასტიკი საიდუმლოებითაა დაცული.

ალლარ-ალლარსან.

# „სტატისტიკოსი“

ნახ. რევაზის.



მასწავლებელი: — როდის იყო საქართველოში ნაკლები მოსახლეობა?

— ზაფხულში იყო მასწავლებელო!

— რატომ?!

— იმიტომ, რომ ყველა საზღვარგარეთ იყო წასული.

პირდაპირი გაგებით

# კრიტიკა და ხორხოლაძე

ხორხოლაძე მელას არ ჰგავს,
ხორხოლაძე „ხორხოლს შვრება“,
სადაც მეტად საძგერია,
იქ ლობეში ის არ ძვრება...
(ეს ეხება „დაბალ ლობეს,
თორემ მაღალს თვით ეკვრება!).
და იერიშს ჯიქურ მიდის,—
პირდაპირ ჰკვეთს წყალს თუ ჰაერს,
მოსაზრებებს მოიშველებს,
ათასმაგს და ათასნაირს.
და თავისას რომ გაიტანს,



თავის წინ რომ „კლდეს გააპობს“,
ამას მუდამ ხორხოლაძე
თვით ძილშიც კი წინ-წინ ატყობს!
და ამაყობს, და ქედმაღლობს,
იბერება, ვით ჩინჩახვი,
ბიჭი ხარ და უზამ რამეს:
არ დაარტყა ყურზე ხახვი! —
ბედი სწყალობს?!. რას მიქარავთ?
რა შუაშია ბედი აქა?
თუ საგანზე ბჭობა მიდგა,
გამოჩნდება მზეზეც ლაქა!
და თუ მზეზეც ბედის ღიმილს
კი მოელის ერთხელ მარცხი,—
ხორხოლაძე რა მზე არის?
აგიწერო, აღარ მაცლი?!.



„ჩინჩახვტრესტის“ საბჭოს თავად
რომ გაეიდა ხორხოლაძე,
მან „სტუმრები“ შინ წაასხა
ერთი ვერსის მოყოლაზე...



რა სტუმრები? იგი იყო
არჩევნებში „მისი კერძი“,
რომ „არჩევის“ სანაცვალოდ,



არ შურს მათთვის „ოქროს ვერძი“!—
და თუმც „ვერძი“, ეს ზღაპრული,
დღეს არ არის, რაც რომ იყო,
სამაგიეროთ, „სტუმრებ“ შორის
ბევრი რამე სხვა გაიყო.—



თავის... „ზამი“, „ზამის“.. „ქამი“,
„ქამის“.. „სკამი“, „სკამის“.. „ფეხი“..
ზოგს წილში ხვდა ბედაური,
და ზოგს კიდევ—მისი კეხი!

მაგრამ... მაგრამ გასაყოფი
და შინ ნელა წასაღები,
აქ რომ რამე არ ყოფილა,
მგონი, არის გასაგები!
რადგან ის, რაც მათ გაიყვეს,
იქვე დარჩა „სათალ დუმად“,
როცა სთლიან, სხვას, გარეშეს
რომ არც ესმის ჩამი-ჩუმად!..
ჰო და... წელი წელს გაშორდა,
სხვამ წაიღო წელმა-წელი,
ხორხოლაძე ზის და ითლის,
არ ილევა მოსათლელი!..
მე ვახსენე თავში მელა,
უარვყავი თუმც მსგავსება,
მაგრამ ყოველს დებულებას
გზა სადმე ხომ ენავსება!..
„კარგი ფონი... ერთგან აზრჩობს!“ —
„კარგი კოკა... ერთხელ ტყდება!..“
შენც არ ელი, მაგრამ „მელა“
საიდგანმე გამოტყვრება!
ასე არის აქაც, საღაც
გამბრძანებლდა ხორხოლაძე:
„ტეხისა“ და „ხრჩობის“ ზვინი
დადგა ვერსის მოყოლაზე!
და ამ ზვინთან, როგორც მელა
არხეინად, ქათმით ხელში,
ვით იგავში წაგიკითხავთ,
ხორხოლაძეც იჯდა ხვრელში!
იჯდა, მარა იმ ხვრელის პირს
ხომ ავლებდენ სხვებიც თვალებს,
საშველი და სათვალავი
რომ არ ადგა ნაზრავ ძვალებს!..
და ეს ზვინიც იზრდებოდა,
და ეს ზვინიტ იდგა ქედათ,
სანამ ჰყავდა მას, ვით ბურჯი,
ხორხოლაძე დამცველ ყბედათ!
მაგრამ... „კაცმა მალა ჭირი,
ჭირმა თავი არ დამალა“!—
იგი ზვინიც ერთხელ ხომ უნდ
წასულიყო ყირამალა?!
„წასულიყო“ — დროს საქმეა,
დროს კი ჩვენში ვინ აფასებს,
დრო თუ ულირთ, ეს იშვიათ
გამოჩენილ საქმის კაცებს!
და ჰა, საქმის ამ კაცთაგანც
უცბათ იშვა ეს ლოზუნგი:
„საქმისადმი ყურადღება
რომ არ იქნას სადმე ჩლუნგი,
თვითკრიტიკა გაამეფეთ:
გაუზომეთ ურთ-ერთს კრიჭა,
რომ შევხედოთ: თუ საქმეში
ვინ ვის სჯობნის, აბა, ბიჭად!..“
— ახლა კი—სთქვეს: ხორხოლაძის
გამოჩნდება უკვე ზვინი!
განუკითხავ მის ქცევაზე,
თუ ვიყარეთ, ახლა—ყინი!...
მაგრამ ქცევა.. რისი „ქცევა“,
ერთ ვერსზე სდგას ზვინი მედგრად!
და იმ ზვინზე—ეს კრიტიკა,
გინდა—მთისთვის წიხლი გეკრათ!
— აბა, ბიჭო! აბა, საბა!..
„ღრიალებდა“ ირგვლივ მასა...
„ღრიალებდა“?!. მეტად ჭირიც
არ მოგჭამონ! ვინ სძრავს ხმასა?!.
— „ჩუ-ჩუ-ჩუ-ჩუ“.. „ჩი-ჩი-ჩი-ჩი“...
ისმის მხოლოთ ხმა კუთხეში,
თითქოს ნიავს ხის ფოთლებზე
გადეარნოს სადმე ტყეში...
„ჩუჩუჩუჩუ“-მ — კი არ უშველა,
ზვინი მეტად გაიბერა
და იმ ზვინთან ზის, ვით მელა,
ხორხოლაძე—გაიძვერა...
და რომ ჰკითხოთ: თვითკრიტიკამ
რა ნაყოფი გამოილო?
მიპასუხებს: „როგორ არა!..
ის არ არის, რაც რომ იყო!..



აქ—ეს იქნა, იქ—ის იქნა,
„გაიქნა“ და „გამოიქნა“!..
მიგითითებს, სადაც რამე
თუ კი ძლივს სჩანს თითო ციცქნა:
მხოლოთ თავზე, თავ. საქმეზე,
რაც ზვინში აქვს დამალულად,
კრინტს არ დასძრავს და მზად არის
რომ გაგიშვას გულ-ნაკლულად!
და შენც წახვალ, ცხადია, თუ
ხორხოლაძეს დაუჯერე,
და ის ზვინი გუმოდგინედ
თვალწინვე არ დაუზვერე!..

ჰაზირა.

## ქ რ ო ნ ი კ ა

**დაკარგვა.** სასადილო „ყლაპე“-ში ლოთიშვილს, დათრობის შემდეგ დაეკარგა გრძნობა და სიარულის უნარი.

**ჩამონგრევა.** რუსთაველის პროსპექტზე მარუსია პრანჭავას ჩამოენგრა „პრიჩოსკა“. უბედური შემთხვევას ადგილი არ ჰქონებია. ზარალი ერთი შპილკაა.

**თავდასხმა.** მუშკოოპის სასადილოში შშიერაძეს სადილობის დროს თავს დაესხა მზარეულის ძაღლი და მოსტაცა პური. ძაღლი გაიქცა.

**ჯიბგირობა.** ლაჩარაძეს ძილის დროს მისმა მეუღლემ პალტოს ჯიბიდან ამოაცალა ათი მანეთი და გაიქცა პარფიუმერიის მაღაზიაში პუდრისა და დუხის საყიდლად.

**ქურდობა.** რედაქციაში შეიპყრეს „პოეტი“ ბუზაძე, რომელსაც აღმოაჩნდა მრავალი ნაქურდალი ლექსები. ავტორებს შეუძლიათ მოიკითხონ რედაქციაში.

**მცირეწლოვანი ქურდი.** ყრუეთის ეკლესიის მთავარ დიაკვნის მამის ბაბუამ—წმინდა ჭინკათა მონასტრის ბერმა ფრუიძემ, მოიპარა და გაჰყიდა ნახევარი ფუთი საეკლესიო სანთელი. ღმერთის წინაშე ბოროტმოქმედების დასაფარავად ფრუიძემ ყველა ბერებს გაუნაწილა ფული.

**დაჯახება.** გუშინ, საღამოს, როცა ბარბაცაძე სარდაფიდან გამოსული სახლში მიდიოდა, მან უეცრად ვერ შეამჩნია მუშათა სასახლე და დაეჯახა. დაჯახება ისეთი ძლიერი იყო, რომ ბარბაცაძეს თავი გაუტყდა და საავადმყოფოში მოათავსეს. ქირისუფლების თქმით, ავადმყოფის მდგომარეობა უნუგეშოა—ბარბაცაძის განკურნება (ლოთობისაგან) შეუძლებელია.

# „პასუხად აკსი"-ს

გავიგე, რომ შოვს იყავი, შოვს მოწყობილს ძლიერ კარგად
(შამშეს იგი გაუხდია ძვირფას თვალთა ერთ- ერთ დარგად).
სურნელება ფიჭვს მოსტაცე, გა იხედე ჯანის მარგად
და ერთი თვე ულრან ტყეში არ ჩასთვალე დანაკარგად.

ისიც ვსცანი, რომ კურორტზე მოგემატა ღონე, ძალი;
(თუ ტფილისში სულ ტაფავდი, იქ გაგითბა ხორცი, ძვალი).
მე მეგონა — ისვენებდი, მიაყურე ყური, თვალი,
ვერ ხედავდი შოვში იმას, რაც რომ იყო დანამალი.

არ ხედავდი, თორემ შენს ლექსს ერთ ფაქტზე არ დააყრდნობდი
და სვანიძის ქეიფს, ტრფობას გონებას არ მიაპყრობდი;
ვერ ხედავდი, გიმეორებ, თორემ ლექსსაც დაალბობდი
და, მის ნაცვლად, ალიოშას: „ქებას-ხოტბას" მიუძღვნიდი.

სად იყავი, ძმაო აკსი, როცა შოვის დირექტორი
უნცაობით კარაქს ზიდდა, რეცეპტს სწერდა მუნ დოქტორი,
კვერცხებს ყიდდა ცხრა კაპეი კა, სილავისგან დანატორი,
არც სადილი უვარგოდა — ნარე ცხისა იყო სწორი.

სად იყავი, შოვი როგორ „სისუფთავით ძალზე კრთოდა"
და ღრუტუნა ცხოველები კურ ზალის წინ ხტოდა, რბოდა.
სად გეძინა, როს სვანიძე თავის საქმეს გაურბოდა
და კურორტის ოთხი ცხენითშამისონზე მუდამ ჰქროდა.

განა, შენ კი ვერ შენიშნე შტატი უშნოთ გაბერილი,
პროტექციის შესანხლილი, პრო- ტექციით შედგენილი,
მათში ბევრი უვარგისი, საქმისათვისძლიერ რბილი.
მთქნარებისა მოტრფიალე, ზმორებითა შეპყრობილი?!.

არც სინათლე, არც საჭმელი, არ ჰქონდათ მათ საყოფი,
თუმც დახარჯეს ყველამ ერთად შრომა ბევრი და სამყოფი.
(შუშანა კი რეკავს უშნოთ, მისი ხმაა უნაყოფი,
რადგან ონი ჯურღმულშია,— ღ...ვი მთებით განაყოფი).

ყველა ეს რომ აღგენიშნა, მუზას უფრო „დააცხრობდი"
და ერთ ფაქტზე გმირის ამბავს გონებას არ მიაპყრობდი.
ეს რომ ყველა აგენუსხა, ლექსს აქ უფრო „დაალბობდი",
და, მე ვფიქრობ, ალიოშას საყვედურსა მიუძღვნობდი.

იკაკა.

## გლახა ამპარტავანი

ნახ. დონის



— შაბათია, მოილეთ მოწყალება!.,
— შაბათი რომაა, მეც იმიტომ სხვა დღეზე ერთი საათით ადრე დავითხოვე თანამშრომლები.

# ცოლის საყვედური

მე შენისთანა უმარიფათო რად მინდა ქმარი? ბრიყვი ხარ, ბრიყვი, და მაგ თავში დაგიქრისქარი. რად წამოგყევი მე საბრალომ, დამიდგეს თვალი! უნდა ვიტანჯო მე შენს ხელში,—ვაი, ჩემი ბრალი!

ყველამ უყიდა თავის ცოლებს აბონიმენტი. შენ ისე წახდი, რომ უკვე გჯობს კესას დომენტი. გამოიტანეს აბონიმენტი: ოპერის, დრამის მეორე რიგის მესამე სკამის.

აი, კიდევ, კურიერი რომ არის, (ხომ იცნობ პარმენს?)... მე შინ ვიჯდე,— მან თავის ცოლით უსმინოს „კარმენს"?!

შენთან ლაპარაკით ჭკუა და გონება ამერია. ყველას ეჭვი აქვთ—თითქოს ქმარი გადამერია, (და, როგორც გეტყობ შენ იქამდე არც გიკლია მგონი ბევრია!).

საგურ-შტეინ.

# სამტრედიის დეპო

ტარტაროზჯან, მოდი ჩვენთან,
ინახულე დეპო,
წყლის წვეთებმა შეგვაწუხა,
რაც ვითმინეთ, გვეყო!
მუშებისგან საყვედურმა
შემაწუხა ძალზე,
როგორ არის ჩვენი საქმე,
ზამთარი დგას კარზე.
კარგი დარი თუ არ არის
და დარია მწყრალი,
სველათ მუშის მუშაობას
ველარ უძლებს თვალი.
დაწყებულს კი ვხედავ საქმეს,
რომ არ უჩანს ბოლო,
არ გველევა დღე და ღამე,
თვე და წელთა ბოლო!
ტარტაროზჯან, გელოდებით
გვინახულე მალე,
იქნება მაშინ ეღირსოს
ამ სახურავს რამე!

მნახველი.

# წკიპურტები

შორს არ არის, ვინახულე
საფიჩხის ბაქანია.
უპატრონოს სახურავი
აღარა აქვს რა ხანია!
(არ შეკეთდა, თუმც ამაზე
დიდი ხნიდან ქაქანია).
სადგურ გელაძს ნუ დავსტოვებთ,
ისიც გვყავდეს მადლიერი.
სიფრთხილეა აქ საჭირო,
ღონეც დიდი და ძლიერი.
კარს ობობას ქსელი ჰფარავს
(ცაცხვის შესწორება)
კურსებ-ორპირს ნუ დავსტოვებთ,
ვინახულოთ „ეპო" მისი.
საქონელი რომ არა აქვს,
მაქნისია მაშ ის რისი?!
(დროა მალე შეიძინოს
ყველაფერი დანაკლისი).

კოსტაიდი.

# ადათის მსხვერპლი

თუშებს ასეთი ადათი აქვთ: გასათხოვარმა ქალმა გათხოვებამდის განსაზღვრული რაოდენობის წინდა უნდა დაქსოვოს.

ნახ. ტაბატაძის



— შვილო, თინა, ასე ნელა თუ ქსოვე, შენს სიცოცხლეში ველარ ეღირსები გათხოვებას!

— რა ვქნა? ვინც მე მომწონს, იმას მაინც არ მიმათხოვეთ და ამას იქით სულერთია—ნელა ვქსოვ თუ სწრაფად.

# პ რ ო ტ ე ქ ც ი ა

იცით თუ რა სულიერი,
რა სულდგმული, რა მხეცია
ძველ რეჟიმის პირმშო შვილი,
ქალბატონი პროტექცია!
დაიჯერე, წამკითხველო,
მართალია, არა ჭორი:
პროტექციით ნაქებია
პირველი ამბულატორია!
ნათლიმამობით მიღება
გაუხთია ხელობათა,
თერთმეტი ყავს აყვანილი
პროტექციის შვილებათა!
და მკერავმა ფაბრიკამაც.
გაიკეთა მათი გული:
პროტექციით აიყვანა,
სრული ოცდა ორი სული!
და ამგვარათ დანავარდობს
პროტექციის შავი რაში:
ხუთმეტი კაცი აღმოჩნდა
სახელმწიფო ოპერაში!
ამ ოცნებით აღიჭურვა
ბავშთა კერის ორთა-ჭალა:
უბირჟოთ თვრამეტ კაცის
მიღებით ის გაიმსჭვალა!..
ერკოპის სამმართველოშიაც
მოიძებნა ოცდა ხუთი,
სთქვა: „რას ვაქნევ, რას მიქვია
ბირჟიდან თხოვნის საბუთი?!“.
იუსტიციის სამმართველომ
ისახელა თავი ცამდე,
მთხოვნელები „მოათავსა“,
პროტექციით — ორმოცამდე!
კიდევ ვეძებთ სადმე ბუდეს,
თუ არსებობს პროტექცია,
შრომის ბირჟამაც გამოყო
საკონტროლო კომისია.
ყველა დაწესებულება
ემბებიან ამ მახეში,
ოცდა ოთხი სული იყო
ახალშენთა კომიტეტში!.
და ფეხიზელმა შრომის ბირჟამ
მათ დაუწყო ყველას დრეკა,
პროტექციით მიღებული
ექვსასამდე გამორეკა.
და ამგვარათ, თუმც არსებობს
ძველ რეჟიმის პროტექცია,
მისი სულის ამომხთელი
არის გლეხთა ინსპექცია!..

კონტროლიორი გრიშა.

# ღია ბარათი

(სადგ. სვირიდან)

უპირველესათ ყოვლისა ბოდიშს ვიხდი, ამხ. „ტარტაროზ“, რომ ასე დავიგვიანე და თქვენთვის ალარაფერი მომირთმევია საკბილო, „ჩემდამი რწმუნებულ“ რაიონიდან. აგერ, რამდენიმე თვეა, რაც მტკიცეთ ვდგევარ ჩემს საღარაჯო პოსტზე (თენებოურის წვერზე), საიდანაც „ჰასიურიკრიტიკის თვალთახედვით“, მამაცათ ვადევნებ თვალყურს, სხვებთან ერთად, რევკანონების ცხოვრებაში გატარებას. თუმცა მეტათ სახიფათო და ძნელი სავლელია ეს გზა „ტარ-კორისა“ (რომელიც სულაც არ გავს ჩვენ სამხედრო გზას), მაგრამ დარწმუნებული ვართ რა, რომ დიად მიზნებსაც ვემსახურებით, ამ ჰომაელის იმედით ყოველივე დაბრკოლება ჩემთვის და ათას ჩემისთანებისთვის ალარაფერს წარმოადგენს. ვეყრდნობი რა სიმართლეს ყოველთვის, ალარაფერს წარმოადგენს ჩემთვის: მუქარა მასწ. ილ. ყორყოლიანისა 30 კბილის ამოლაგებისა და თავმჯდ. ლ. ჭელიძის დაპირება მაუზრით სიკვდილის შესახებ.

გარდა ამისა, ვიცი: გაინტერესებს სვირის ამბები და მეც ცოტა-ცოტას მოგაწვდი ყოველთვის.

სახეწოდება „სივირი“, რასაკვირველია, „ვირიდან“ არ წარმოსდგება, თუმცა ორ ფეხა კოლეგები, აქ ბევრი ჰყავს ამ „პატიოსან გვამს“. მე მიკიტნებზე მოგახსენებთ, რომელთაც მთელი სვირის „წარმოების“ 99 პროც. ხელში ჩაუგდიათ. ამის შემდეგ რა გასაკვირელია, თუ აქ ერთი „წითელი სასადილოც“ არსად იყოს. არც ის გაიკვიროთ, თუ სვირის ღვინო ტფილისში უფრო იაფათ იყიდოთ, ვიდრე აქ. ყოველივე ეს ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა ჩვენთვის და ამიტომ სრულიათ სამართლიანია პროექტი სვირისათვის „მიკიტნების რესპუბლიკის“ დარქმევის შესახებ.

გულგრილათ უნდა აუაროთ გვერდი აგრეთვე შუა ქუჩაში შეჯგუფებულ მონარდე ხალხს. მიტომ, რომ იქვე მდგომ მილიციელს რომ კითხოთ: „რატომ არ უკრძალავთ ნარდის თამაშსთქო, მოგიგებსთ: „ნარდში ფული არ იგებაო“. და როცა მოთამაშის ბაყვის ქვეშ ამოდებულ ათმაურიანს მოკრავთ თვალს, უსათუოდ გაიხსნებეთ შემდეგს: „ფიცი მწამს, ათმაურიანი კი მაკვირებს“-ო. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ თავი შემდეგი სიტყვებით inუგეშოთ: „მასწ. სილოვან წაქაძემ იკითხოს, რომ აგებს, თორემ სერგია ჭულუხაძეს რა ენაღვლება: ძველი გამოქექილი „კარტოჟნიკია“ და მაინც კი აიტანს მისი ჯიბე მოგებულ ფულების სიმძიმეს!

ქაჯი.

## ლევარსი როხროხაძე

— დღეს ივლიანესას კორწილია და დაპატიჟებული ვართ; უნდა წავიდეთ და მივულოცოთ. მარა ყანაც გაჭირვებულია და გათოხვა უნდა. რომელი თქვენგანი წახვალ ყანაში და რომელი კორწილში?—შეეკითხა ლევარსისა და ლევარსის ძმას მოხუცი მამა.

— ქრიწილში მე წავალ.—ორივე ძმამ ერთად წამოიძახა.

— თუ გირჩევნია შენ წადი ქორწილში.—უთხრა ლევარსის, ძმამ,—მარა, მე მგონია, უმჯობესი იქნება: მე ქორწილში წავეთრიო, ხოლო შენ კი ყანაში წაბრძანდე.

— კაი, მასე იყოს: შენ ქორწილში წაეთრიე მე კი ყანაში წავბრძანდებიl—ცხვირაწევით უხთრა ძმას ლევარსიმ, ამაყად თოხი მხარზე შემოიგდო, ჩიბუხი გააბოლა და დინჯი ნაბიჯით ყანისაკენ გზას გაუდგა.

ზმუკი.



## ადგილკომის ნაამბობი

— გამარჯობა, ამხ. ვერანო, იცი რა უნდა მოგიყვე?.. ამას წინათ, შეველი რესტორან „მოსკოვ“-ში. ყოველ დღე რესტორანში ვერ ვივლი, თორემ სიცოცხლე გაქვს, მაგის ნება რომ იყოს, მე იმას ჯიჯაძეს, მედსანშრომის კავშირის „ატჩოტში“ წარუდგენდი.

ჰო, იმას გეუბნებოდი, რესტორანში შეველი. იქ იყო საათითიაქო სამმართველოს თაიგული: გრიშა, სერგო, ალექსანდრე და ვილაც მანგლისელი ბიქტორა. ლაპარაკობდენ „ტარტაროზ“-ში მოთავსებული „სახმედვაჭრობიანი“-ს შესახებ. სერგომ თქვა, მაგის დამწერის ოჯახი ავაშენე, ასე ტოჩი-ტოჩ მართალი რომ დაუწერია. „გოსმედტორგ“-ზე ყველაფერი ახია, კაცო... ეს ჩვენი სანდრო რომ არ იყოს შიგ, უფრო კარგი იქნებოდა. იცი, კოწიას უთქვამს სანდროსთვის: „ვაზრაჟენიე“ დავწეროთო. სანდროს უთქვამს: „ლექსის წერა მე არ ვიცი და, პროზა რომ დავწერო, ვაი, თუ არ მიიღონო“. მერე ილაპარაკეს ნეტა ვისი დაწერილი იქნება, რომ კიდევ მიუტანოთ „სატარტაროზო“ ამბებიო. ყური დავიმახვილე და შემდეგი გავიგონე: — ყოფილი ხალხი რომ გამოცვალეს „გოსმედტორგში“, ვფიქრობდით: პროტექცია თუ არ მოსპეს, იკლებს მაინც თქვა, საქმე არ გაქვს? კანცელარიის გამგის ცოლი, არა კავშირის წევრი, მოანგარიშეთ დანიშნეს აბასთუმანის აფთიაქში. სახლში წვანილის ფულს ვერ ანგარიშობს და აფთიაქში რას იანგარიშებს, აღარ ვიცი. ამ დროს დაიღრიალა მანგლისელმა ბიქტორამ: „იმათი პატრონის შებიაც არ იყოს, ალექსანდრე! შენ ერთი ჰიქა ღვინო დაგვალევინე და ერთი „ჩემო ლურჯაც“ შემოსძახე!

ალექსანდრემ იქეთ-აქეთ გაიხედ-გამოიხედა და თქვა: „კაცო ყურს არავინ გვიგდებს, ტარტაროზში არ გამოგვქიმოსო“. ცოტა რომ დანაყრდნენ და ჩაის ჰიქები „დაუთულუზეს“, მუსაიფი განახლდა. — არა ძალიან სასაცილო ბუხგალტერი კი ყოფილა ამ—„გოსმედტორგში“, ამას წინათ სანდროია ღიპიანმა მომიყვა. (საწყალი ისიც მოხსნეს, მის ადგილზე ორი სავაჭრო განყოფილების გამგე მიიღეს. პირველის რა მოგახსენო, მეორე-კი მართლაც „ძველი გამოცთილი“ ვაჭარი ყოფილა!). ფულს ვეძებდით, მმართველმა „გლავბუხს“ გამოუძახა: არიქა ფული არ გვაქვს და, ვის მართებს ჩვენი ფული, გამოარკვიეო. „გლავბუხს“ გამოურკვევია, რომ საათითიაქო სამმართველოს მართებს 30.000 მანეთი. მისწერეს ფული გამოგვიგზავნეო“. სამმართველომ მოსწერა: „ჩვენ ეს ფული დიდი ხანია გადავიხადეთო“. „გლავბუხი“ დეიბნა (ისედაც არაა მაინდამაინც დალაგებული) გაქექ-გამოქექა და გამოირკვა: ფული მართლაც შემოუტანიათ, ხოლო ვალი კი ჯერ არ ჩამოუწერიათ. მეორე სინდიკატსაც ემართა „გოსმედტორგის“ 1.000 მან. „გოსმედტორგმა“ მისწერა სინდიკატს: „წეიღეთ თქვენი ათასი მან.“ სინდიკატმა აცნობა: „რა წევიღოთ, როდესაც ჩვენ გვმართებს თქვენი და არა თქვენ ჩვენიო“ მიუხედავათ ყველა ამისა, მაინც დიდი „პატრონი“ ყოლია თურმე „გლავბუხს“ და „გლავპროტექციის“ საშუალებით ისევ თავის ადგილზე ინახავენ“. ამის შემდეგ ძმა-ბიჭებმა ისევ შეუტიეს და ანგარიში მოითხოვეს. გრიშამ დახლიდარს უთხრა: „ჩემზე დაწერეო“. სერგომ არ დაანება: „არა, ჩემზე დაწეროსო“. დახლიდარმა, ვიქტორს ნაღდი გამოართვა, ვინაიდან გრიშაზე და სერგოზე ისედაც ბლომათ ყოფილა ძველი დაწერილები. მიველი იმათ ნასუფრალზე, ერთი ორი გადავცარი და შევნიშნე ორი ტელეგრამა, რომელიც ძმა-ბიჭებს დარჩენოდათ. ერთი სენაკიდან—„გოსმედტორგის“ სახელზე შემდეგი შინაარსის: „თქვენი რწმუნებული, მაქსიმე კალანდარია, აქ ყოფნის დროს, თავის „ბრიჩკით“ და ცხენით არც ერთხელ სოფლის აფთიაქების რევიზიაზე არ წასულა. ამბობენ: პირველ ცდის თანავე განიცადა „ავარია“ და ჩაეფლა ტალახში-ო. საჭიროა სასწრაფო დახმარება. გამოუგზავნეთ ტალახის მჭრელი „კონტროლიორიძე იოსები“ გადამწყვეტი ზომების მისაღებათ ამ დიდი მოღვაწის გადასარჩენათ“-ო. მეორე ტელეგრამმა შეეხებოდა ერთ რწმუნებულს, რომელიც სამ მაზრას აერთიანებს, აი მისი შინაარსიც: „ხერთვისის აფთიაქი დიდი ხანია მზად არის. საზეიმ ოგახსნა ჩაატარა ლაოდიკ პირველმა. მაგრამ ერთი წელიწადია არ მუშაობს. ბოოჯომის აფთიაქის გამგემ ბანკირობა დაიწყო: გაასესხა აფთიაქის ფული მოზრდილი თანხა. გაცემულ კრედიტების პროცენტები ჯიბეში ჩაიდო“.

გათავა ადგილკომის თავმჯდომარემ და დაატანა: „ჯერ-ჯერობით ეს. დანარჩენს, თუ რამე გავიგონე, მერმე მოგიყვები“.

ვერან

## ნახახულევი (ქუთაისის მაზრა)

ტარტაროზო, კალამს ვიღებ ხელშია,
გეხვეწები, რომ მოხვიდე ჩვენშია.—
ჩვენი თემი მოზრდილი და დიდია,
აქ არ ვარგა, არც გზა და არც ხიდია.
ვინღა არის აქ გულ-შემატკივარი,
გააფხიზლე: თავმჯდომარე, მდივანი!...
აქ შვიდ წლედში გამართულა ტირილი,
არის ერთი მოწაფეთა ყვირილი.
საჭიროა აქ ერთი პარალელი,
რომ არ იქნეს ამბავი, საზარელი.
კიდევ მინდა გითხრა მე ამბავია:
მიკიტნები „უპატრონოთ“ არიან!..
ვინც შიგ შევა. ყველა გებრალებოდეს
არ ზოგავენ, სულიც რომა ხდებოდეს!
ეხლა გეტყვი ფულის ანგარიშებზე:
რევიზია ბევრს დააწვა კისერზე,
დაიწერა თუმცა ბევრი ოქმები,
მაგრამ, სჩანს, რომ შეიმშრალეს ოფლები!..

ვახუშტი

# არჩევანი

ნახ. მარიაშის.



— რა მოკლე საცვალი ჩაგიცვია? განა ამდენად გაღარიბდი?!

— სიღარიბე რა შუაშია?! იქ გრძელ „კუდში“ დგომას და ლოდინს ისევ ეს „სიმოკლე“ მირჩევნია!

# საჯევახო

მინდა გაცნობო, ტარტაროზ,
თუ რას იქს ჩვენი გლეხკომი,
იონას არა უშავს რა:
ღვინო ბევრი აქვს და ლომი.
მხოლოდ სიმინდი, რომელიც
აპრილში ჩამოგვივიდა,
ასწია იგი გლეხკომმა
და ფულიანებს მიყიდა!
იქავ გვაქვს ეპოს საფართლო,
მართავს ყოფილი ვაჭარი,
ნაჩვევი მუქთა ცხოვრებას
და გლეხის ოფლით გაპძღარი.
შარშან ტფილისში ვაჭრობდა,
რომ ვთქვა, რა საკადრისია.
ტყავი გაგვაძრო წასულში,
დღესაც მადლობა მისია!..
მასთან გაბრიელ ნოქარი,
კაცია ახირებული,
ბევრი მინახავს გლეხები
იმისგან ატირებული!..
ახალი ბანკის გამგეზე,
ჯერ არაფერი ითქმება,
მხოლოდ საღამოს უთუოდ
სპაში აგენთან იქნება.
ცხვარაძის სამიკიტნოში
ხშირათ აქვთ აყალ-მაყალი,
ეხლა ვიკმაროთ, ტარტაროზ,
კვირისთვის იყოს ახალი,

ოხტომესპირელი.

# დეპეშები

„დავესკა“. ინვალიდების კოოპერატივში მიღებულია თეთრეული, რომლის „დავესკათ“ მყიდველებს ერთ წყვილ საცვალზე აძლევენ ნასევარ დიუჟინ საინებს.

**მუნჯი როიალი.** კინოს ადმინისტრაციამ შეიძინა მუნჯი როიალი, რომელიც „ხელს არ უშლის“ სურათის მსვლელობას. ეს გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ მაყურებლების ყურადღება მიქცეული იყოს მხოლოდ ეკრანზე.

### კლდეეთის თემი

**„ბაგა-ბუგის საზოგადოება“.** საზოგადოების აქტიურ წევრად ჯერჯერობით ითვლება გოგია ქავთარაძე, რომელსაც ძალზე განვითარებული აქვს მუშტები.

**„ლაი-ლაის კომიტეტი“.** ასეთი კომიტეტი დაარსდა გლეხკომში, რომლის უმუშევრობის ნაყოფი დამაკმაყოფილებელია.

**„ხუხე“.** ალმასკომის ზოგიერთ თანამშრომელთა ინიციატივით დაარსდა საპაიო ამხანაგობა „ხუხე“, რომლის რეზიდენცია მოთავსებულია გოცირიძის რესტორანში.

**ძმუნტი.**

### ტობანიერი

**კურსები.** კარტ-ნარდ-კამათლის თამაშის უცოდინარობასთან საბრძოლველად ფილიპე სულაბერიძის სამიკიტნოში გაიხსნა ლიკკურსები, რომლის მფარველობა იკისრა თვით ფ. სულაბერიძემ. ხელმძღვანელად მოწვეულია ნასირალის აგურის ქარხნიდან გალაქტიონი, მის თანაშემწედ—ილიკო მელაშვილი. ალმასკომი ჯერჯერობით არ ფიქრობს სხვის საქმეებში ჩარევას და ნეიტრალიტეტს იცავს.

**„ხლოპუშკა“.**

### ნიგოითი

**„მადლობა ღმერთს“.** ალმასკომიდან ქურდულად გაიტაცეს „უპატრონოდ დატოვებული“ 240 მანეთი. ალმასკომის თავმჯდომარე ვასოს მოლასავით ის უხარია, რომ იმ ფულთან თვითონაც არ იყო, თორემ ქურდები მასაც გაიტაცებდენ.

**კაფე.**

### ქუთაისი

**„თავის ალაგას“:** თვითკრიტიკამ საქმე უქნა
გამსახლს ერთობ ავი
და მის გამგე ბესარიონს
იქვე უკრა თავი.

**თავდასხმა.** სადგ. ქუთაისის კონდუქტორთა მოსასვენებელ ოთახში მძინარე გ. კლდიაშვილს თავს დაესხა 37 ბაღლინჯო და 28 რწყილი. შეშინებულმა კლდიაშვილმა დააპირა გაქცევა, მაგრამ მალე გონზე მოვიდა და დაერია თავდამსხმელებს. მათ შორის გაიმართა საშინელი ბრძოლა. ბრძოლის ველზე დარჩა მოკლული 20 ბაღლინჯო და 15 რწყილი, დანარჩენები გაიქცენ. ბრძოლაში გამარჯვებულმა კლდიაშვილმა იგრძნო სრული თავისუფლება და უდარდელად განაგრძო ძილი.

**გვამის პოვნა.** იმავე დღეს ქუთაისის პირველ კლასის ბუფეტში ბორშით სავსე თეფშში ნაპოვნი იქნა ტრაღიკულად დაღუპული 7 ბუზისა და 23 ტარაკანას გვამი. ბოროტი ენები ამ საქმეში ბრალსა სდებენ მზარეულებს და გაიძახიან: „ასეთი მოვლენა მათ მხრივ ძალიან ხშირად არისო“.

**ბაცანა.**

# ქრთამი



— დაჩუმდი, გენაცვალე, და მამა რომ მოვა, ვეტყვი: „ტარტაროზი“ გამოგიწეროს.

## აკაკის დიდინი

(ვანისქედისათვის)

აქაური ნუ გგონივარ,
მღვდელი ვიყავ, მთის პირული,
სანამ დროი ხელს მიწყობდა,
კაცი ვიყავ აქ პირველი.
ნაირ-ნაირ საკურთხებით
შევიჯერე ერთხანს გული,
მკვდრებს ვყიდდი და ცოცხლე-
ბისაც
არა მქონდა სიბრალული!..
ოამადობაც ჩემი იყო,
კიდეც მქონდა შნო და ყადრი,
დღითი გზას მზე მინათებდა
და ღამით კი—მთვარე, „ბადრი“,
იქ რომ ხალხი გავატყავე,
ვანისქედსა მოვავშურე,
ძველებური გარჯილობა
აქაც აღარ დავიშურე,
ორისიმეც გვერდით მახლავს,
ჩემი სულის მეგობარი,
ეკლესიის დიდი მცველი,
და ღვთის მტრებზე მეომარი.
და ამგვარათ, დაკოდილი,
გული ასე გავიმთელე,
კალანდა და ნათლიღება
წელს ოროლხელ გავითენე.
ახალი და ძველი „სტილი“
კარგათ დარჩა მოწყობილი:
მუდამ ვჭამ და, მუდამ ვსუამ,
მუდამ ქე ვარ კმაყოფილი!..

პომპოლიკი,

## ფოსტაში

### ჩოხატაური

— იოსებ, ერთი მარკა მომყიდეთ!
— ფოსტა დაკეტილია.

—:—

— მომეცით, ამხანაგო, ჩემი გაზეთი.

— გაზეთი შენს სოფელში მოგივა ოთხშაბათს.

— დღეს ხუთშაბათია. მთელი კვირა როგორ უნდა ვიცადო?!.

— მომშორდი, ნუ მაცდენ.

—:—

— აკაკი, ერთი ღია წერილი მომეცი.

— არა გვაქვს.

— მაშ, ისინი რა არის, მანდ რომ აწყვია?

— ფოსტა დაკეტილია და არ შეიძლება გაყიდვა. ასეთია წესი!.

—:—

— ერკეთში მინდა დავილაპარაკო და ტელეფონი თუ შეიძლება.

— სამი საათის შემდეგ მოდი.

— შე კაი კაცო, მე მეჩქარება, თორემ სამ საათში ერკეთში კი არა, ოზურგეთში ჩავალ.

— მერე და ვინ გიშლის; მასე ჰქენი, მიეწიე შენს გადასულს!..

ნუხტი.

## უპატრონო ქარხანა

მარელისის ქარხანაზე
რომ ვსთქვა რამე რაიქნება?
შემახვეწე ბრეგვაძესა
მართლის თქმაზე ნუ გაწყრება...
ავალიანს თვითონ ეტყვის—
თუმცა დიდათ არ შერცხვება,
ნუ თუ არც ერთს არ აწუხებს
რომ ქარხანა იღუპება?!?
ჯერე სირცხვილს რას უჩივა
თვით ჩხაიძე ბუხჰალტერი,
რომ ქარხნისა შემოსავალს
გაუჩინა განზე ხვრელი?
თუ მრუდი გზით სიარული
ბუხჰალტერის დევიზია,
ამ საკითხზე თავის სიტყვას
იტყვის მალე რევიზია!..
ამ ქარხანას, ატრიალებს
არა მცოდნე კაცი ორი
მუშებს კი გამოგვიცხადეს,
„ჩვენ გახლავართ დირექტორი“!..
ლიტვინოვის მობრძანებამ
რომანოვსკი გაადიდა.
ყველაფერს თვით აგვარებენ,
ჩვენ ჯერც ვკადრეთ, თუ რაც
გვინდა!..
ძველმა მუშამ გოგინოვმა
შეუტანა შესწორება,
მაგრამ დახეთ თავხედობას:
მიაყენეს დიდი ვნება!
რომანოვსკი გაგულისდა,
ადგა. მკლავი შეიზილა:
გოგინაშვილს უთავაზა
გაბედვისთვის კარგი სილა!
ტარტაროზო, გვეპატრონე,
შეიწყნარე, ჩვენი კვნესა:
„ნუ დაღუპავს ამ ქარხანას“—
გადაეცით ბრეგვაძესა!..

სიმართლის მაძიებელი.

## ოზურგეთისათვის

როგორც ვიცით, ეხლა მიდის
გამოცდები ჩვენს სკოლებში,
მასწავლებლები გვისხედან
ჩინ-გალეულნი თვალებში.
ალექსანდრე, ტელემაკი,
რაფიელ და ჩვენი კვანდრე
ერთმანეთს ეჯიბრებიან —
ხვალ რომელი მოვა ადრე,
გამოცდებზე დავესწარი:
იქ ზის მარტო ჩვენი სიდო,
მოწაფეებს ეკითხება:
„ვინ დაწერა „არაზინდო?!“.
გიორგი კი უფრო შორს ზის,
მათემატიკა აქვს დარგი,
ერთი კითხვა თუ არ იცის,
მოგახსენებს: „წადი, კარგი!“.
ეხლა შეიდწლედს მივაკითხოთ,
იქ უფროა საქმე როგზე,
ლალა, ბარნაბ და არეთა
გადმომჯდარან მოაჯირზე.
თუ ვინმე მათ რამე ჰკითხავს,
— იქ მიბრძანდი, გეტყვის სხვაო!
და ერთმანეთს დაცინიან:
„ეს რა ხათა შეგვემთხვაო?!“.

ალბე.

# ცნობათა მიღება



**მოხეტიალეს:** მოხეტიალე რომ ყოფილხართ, ეს თქვენი წერილიდანაც სჩანს. ყველას ეხებით, მაგრამ მიზანში კი მაინც ვერსად ვერ ხვდებით. ჭეშმარიტად სიტყვა „ხეტიალი“ „ხე ტიალი“-საგან უნდა წარმოსდგებოდეს. ეს ისეთი ხეა, რომელსაც ნაყოფი არ სჩვევია.

**დ. საფიჩხიელს** „დამზღვევ კასის მოლარეთ
ნინა სოფრომაძეა.
უყვარს ბიუროკრატობა
და მით კარგია ქალია“-ო, გვწერთ

კიდევ კარგი, თუ მხოლოდ უყვარს და ნამდვილად კი არ არის.

**ხუნდ-ს:** თუ ოზურგეთის „ზაკტპო“-ში ვაჭარი დასვეს რკინისგზელებმა და შეცდომა ჩაიდინეს, ვეჭვობთ, რომ მათვე არ გამოასწორონ ეს შეცდომა.

რაც შეეხება სადგურის შენობის დასოულებას, ტარტაროზმა ბრძანა: „პროლეტარული დიქტატურა და აღმშენებლობის ხანა საკმარისი თავდებია დაწყებულ საქმის წარმატებით დასრულების“-ო.

**კოლო-ს:** შე კაი კაცო, ერთი „კოლო“ უსამართლოლომსაც კი არ შეუშინდა, თორემ ქუთაისის ფოსტის გამგე ვინ არის, რომ მას, თუ კი ის დამნაშავეა ბინების მოგვარების საკითხში, ქედი მოუხაროს შენისთანა „კოლოთა“ მთელმა ლაშქარმა. ეკვეთეთ და სულ თავბედი აწყევლინეთ.

„სადაც წაველ, მუზაც
მე წამომყვა თანა,
ერთ წერტილზე რომ შევჩერდე,—
ვსცანი, მიჯობს ყელში ვიცე დანა-ო, გვწერთ.

თქვენც ნუ შეჩერდებით, იარეთ: ჩაეწერეთ რომელიმე საექსკურსიო ჯგუფში.

**ძმუნტ-ს:** „ჩემზე ჭკვიანად წელს არავინ მოქცეულა:
ცოლის ნაცვლად, ჩემი ლამაზი ხარები გავგზავნე საბალახო მთაზე“-ო, გვწერთ.

აბა, ერთი ცოლისთვის გეკითხათ, თუ წავიდოდა „საბალახო მთაზე“?-

წერილის დანარჩენ ნაწილს მოვათავსებთ.

**შაკოს:** „ძია ტარტაროზ, გახსოვს
გწერდი ერთხელაც ბარათს,—
ეხლაც ხალისით ვავსებ
სატარტაროზო კალათს“-ო, გვწერთ.

ჩვენს კალათს ისედაც არაფერი აკლია. შენ ის მოგვწერე, რაც ჩვენ მოგთხოვეთ. ამაზედ იტყვიან: „მწიფენ უსროდენ, მკვახე ცვიოდა“-ო.

**ანდის:** თუთხმეტი წლის ვაჟკაცი ვარ,
ცოხტა ლამაზ წერწეტ ბიჭი,
სეირნობა მიყვარს ძაან,
იცოდეთ, რომ მქვია ჭიჭი“-ო, გვწერთ.

განა ასეთ „ჭი-ჭი-ჭი-ჭი“ზე ვერ გატყობთ, რომ ჭიჭი გქვიათ?!..

—

**ურწმუნოს:** საოცარია თქვენი ფსევდონიმი, როცა ხედავთ, რომ სოფლად ფეხს იკიდებს ისეთი კულტმუშაობა, როგორიცაა „საღამოების მოწყობა“. რა ვუყოთ, თუ დილას გაშლილ სტოლის ირგვლივ გენძეხაძესა და ბასილაიშვილს შორის ცოტა ყბებისა და „აჩქების“ მტვრევიზაცია მოხდა: ორივე ხომ ახლოს თვალებთან, რომელთა მეოხებითაც აღნიშნულმა პირებმა, ალბათ, მძლავრად შეიცვნეს ეს კულტურული „წინ წაწევა“.

**ციხისძირელ ბზიკს:** გვწერთ კურზუს ფერშალზე:

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები,
ვინ შეამკოს „ფერშალ ანდროს“
მუშაობა, საქმეები“.

ჯერ სხვის ლექსს რომ თვალსა და ხელს შუა იპარავთ, დავიჯეროთ, რომ დანარჩენი სწორია თქვენი „მოთხრობა“?!

**—დამაკვირდის:** „როს ადიხარ ბახმაროზე,
აღარ ჰფიქრობ სამყარო“-ზე, გვწერთ.

თქვენ რომ ბახმაროზე ასვლამ სამყარო დაგავიწყოთ, განა, თქვენი ლექსი ბახმაროზე ჩვენც დაგვავიწყებს იმას, რომ ახლა აგერ თითქმის ზამთრის პირია და, მაშასადამე,—დაგვიანებულიც ბახმაროზე წერა?!

**ილმას:** „გადვვარდათ ცხენი, გიჟათ გამქანი,
საყვარლის ტუჩი, ვნებით დამწვარი,
მოქნილ წელზე—მძიმე ნაგანი
და ფართო მკერდზე—„გიორგის ჯვარი“-ო, გვწერთ

ძველ თავადების შესახებ ზოგადათ.

მერე რა, ყოველივე ამას ეხლა უკვე ხომ დაესვა უბრალო ჯვარი?! საკმაოა!..

**მარუშას:** თუ ყოფილ დიაკონს, ნესტორ ფრუიძეს სახლში ნაგანი აქვს, მით უკეთესი: ჰქონია ჩამოსართმევი საგანი!..

**კაჟს:** „ფული არ მაქვს ვერ ვიშოვე: ვერა
მუშაობის შიშით მომდის გულის ძგერა“-ო, გვწერთ.

ასეთ „კაცს“ ჩვენში აიღებენ და გადააგდებენ!..

**ქარხნის მუშას ბენია ზარიძეს:** გვწერთ

„ქინძარი, ზმუკი, ჭაზიოა
გადარეული, გოგია,
ხშირათ ხომ ნაბეჭდ გვერდებით
ნიჟიერებიც მოდიან...,
იანო, ალლარს-ალლარსან
კარგი ბიჭები არიან,
დანარჩენები, ტარტაროზ,
გოდორში გადასაყარია“.

მიუხედავათ იმისა, რომ ქარხნის მუშის აზრს ჩვენ დიდის პატივით ვეპყრობით, ამაზე მაინც ვერ დაგეთანხმებით. ჩვენთვის ყველა თანამშრომელი კარგია, რა თქმა უნდა, ყველა თავთავის ადგილას. აი, მაგალითად, თქვენ თქვენი აზრის მიხედვით, ამ თქვენი ლექსისთვისაც გოდორში უნდა გვეკრა თავი. ჩვენ კი ავიღეთ და ცნობათა მიღებაში მოვათავსეთ, როგორც საწარმოო თათბირზე გამოთქმული მუშის აზრი.

—

ნეტავი, ყველგან ასე ეპყრობოდენ ამ აზრს!..

# თბილისი

ნ. ს. ნადარეიშვილის.




ზოგიერთ უცხოელ მწერლების აღწერით

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 9

კვირა 4 ნოემბერი 1928 წ. № 177 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## საღათას ძილი

„სატყეო ტრესტმა წელსაც ვერ მოახერხა ქალაქის შეშით მომარაგება" (ქრონიკიდან)




ზაფხული:— მე მივდივარ... გეყოფა ძილი... გაიღვიძე... ვიღაც კარზე აკაკუნებს!
ზამთარი (შემოდის):—სსს! ჩუმად! არ გააღვიძო!

# საზამთრო ფიქრები

უნდა ვაღიარო, რომ მე მუდამ დიდი სურვილი მქონდა საზამთრო სამზადისი შეშის მომარაგების საქმეში ყოველს წელს ზაფხულში მომეხდინა. კარგია: ერთი, რომ შეშა ამ დროს ხმელია და, მაშასადამე, როგორც საწვავი მასალა, გაცილებით უკეთესი, ვიდრე ზამთრობით ნაუცბათევათ შეძენილი, ზოგჯერ წვიმისა თუ თოვლის წყლით გაჟღენთილი შეშა. ამ დროინდელ სიცხეებს თუ ვიგულისხმებთ, დუშეთიდან გინდ საგურამოდან წამოღებული თუნდაც სრულიად ახლად მოჭრილი შეშა ტფილისში ჩამოტანამდე იმდენათ მაინც გახმება, რომ იგი იმ დროს ზამთრის ხმელ შეშასაც კი არ ჩამოუვარდება. შემდეგ ხომ, რაც გინდა ნესტიან ადგილას არ მოათავსოთ ის, ხმობაზე ხმობის ჰომატებას, რომც მოისურვოს, ველარ შესწყვეტს. მეორეც—შეშა ამ დროს ბუნებრივად უფრო იაფია და, მაშასადამე, ჩემი დარეჯანის წუწუნს—რომ მე მიუხვედენარი კაცი ვარ, თორემ ჩემს მატერიალურ პირობებში ასეთ ხელსაყრელ ფინანსიურ უპირატესობას შეშის შეძენის საქმეში ხელიდან არ უნდა ვუშვებდე და შეშას ზაფხულობით უნდა ვიმარაგებდე—აი, ამ წუწუნს თავს დავაღწევ. მესამე და უკანასკნელი ის არის კიდევ, რომ ხმელი და მშრალი შეშა ზაფხულობით, სოლომონ ზურგიელიძის აზრს თუ ოდნავ მაინც კი ვსცემთ პატივს, უფრო მჩატეა და სხვა რომ არა იყვეს რა, საწყობში მაინც უფრო ადვილი შესაზიდი და მოსათავსებელი იქნება.

ერთი სიტყვით, ყველა მოსაზრება მე მილიმოდა ამ საქმეში, გარდა ერთისა: სახსრის უქონლობისა. მიუხედავათ იმისა, რომ წელს ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წელია, ეს ჯიუტი სურვილი მე თითქმის მაისიდანვე თან მომყვება, თუმცა ზაფხული ისე გამიდნა ხელიდან, როგორც — „ხტუნია ლეგა ჭრიჭინას“, და ახლა, როგორც ვიცი, ზამთარი არა მარტო ჩემს, თითქმის ყველას ცხვირ წინ არის წამოჭიმული მთელი სიგრძე-სიგანით, თუ თებერვლის სიმოკლით არ ვიიმედებთ თავს. მქონდა კიდევ ერთი იმედი. ვფიქრობდი: ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველო სახლებში ღუმელების ნახშირისათვის გადაკეთებას წელს ნაწილობრივ მაინც შეუდგება მეთქი და, ვინ იცის, თუ დღემდი ვისგან, ე. ი., „უქსიდან“ ბედი არაფერში არ მწყალობდა, ახლა მაინც, ამ წამოწყებაში—თუნდაც ერთგვარი ჯერის მიხედვით — უეჭველია მე უნდა მოხვდე პირველ რიგში და ჩემი ბინის ღუმელი, რომელსაც — არ ვიცი, სიცივით ემართება თუ უფრო შეშის სიძვირით არის გულმოსული — ზამთრობით სულ ბოლავს ხოლმე, იქნება წელსვე გადააკეთონ ნახშირის გამოსაყენებლად-მეთქი. მართალია, ამ შემთხვევაში, თუ მხედველობიდან არ გავუშვებთ დონბასისა და ტყვიბულის ისტორიას, საფრთხილოა, რომ ზოგი რამე საფრთხე ნახშირს ბუნებრივად ბინებშიც თან არ შემოჰყვეს, მაგრამ მე პირადათ ამ მხრივ მაინც დაზღვეული ვარ: არც ერთ სამთო ინჟენერს არ ვიცნობ, მით უფრო — არც ნათესავად მეგულვის—და მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ მახსოვს, რომ ინჟენერი საერთოდ ჩემთან თუნდაც უბრალო სტუმრად შემოსულიყვეს.

მაგრამ, როცა ღუმელების თუ სხვა ასეთი რამეების შეკეთება-გადაკეთების დროს ისევე „ჯიუტად“ გავიდა, როგორც მას თითქმის ყოველთვის „ჯიუტად“ ხვდება თუ თავიდან იშორებს თვითონ „უქსი“, ხოლო ზამთრის ნიშნებმა სადგისებივით მიწყეს გულ-ბოყვში ჩხვლეტა, მეც ზევით მოხსენებულ ჭრიჭინასავით თვალები გამოვაჭყიტე და ჩვენს რედაქტორს ცოტა „შაირიც“ კი გამოვუწნახე, შეშისათვის ფულის დაძვრენის ყოვლად საპატიო მოსაზრებით. ამა თუ სხვა გზებით, იმდენი ფული შევაქუჩე შეშისთვის, რომელიც სხვა წლებში ასეთ დროს სიზმრათაც კი არ მომელანდებოდა. თუნდაც ერთ მშვენიერ ღამეს ფუნთუშით გამძღარი ჩავწოლილიყავ ლოგინში.

„ევრიკა“ არ წამომიყვირნია, თორემ არქიმედის სიგიჟით გავსწიე შეშის საყიდლათ. ჯორჯიაშვილის ქუჩის აღმართში ერთ მეშეშეს დავეწიე და ფასი ვკითხე. მხოლოდ ახლა კი შევიგნე ორი ჭეშმარიტება: ერთი — რომ მე ჩემი ფული თითქმის ნახევარი ურემი შეშის ფასადაც არ მეყოფოდა, ხოლო მეორეც ის, თუ რისთვის არ აძლევენ შეშიან ურმების გატარების ნებას რუსთაველის პროსპექტზე. ხუმრობა საქმეა? შეშის ასეთი სიძვირის პირობებში, როცა ზამთარი ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა, განა, შეიძლება მათი გატარება რუსთაველის პროსპექტზე, სადაც იმდენი ხალხი ურევს? ჯერ ერთი—შური და სიხარბე რამდენად დაამძიმებს უიმისოდაც მძიმე ქვაფენილებს და მეორეც—ვაი, თუ თავი ვერ შეიკავონ ესოდენ „სამართლიან (რა თქმა უნდა, ზამთრის მოახლოვების საბუთით) შურით აღსავსე ბრბომ, მივარდეს ასეთ ურემს და იქვე თითო ღერად დაიტაცონ ურემზედ მოთავსებული შეშა.

და აქამდის, ზევით აღნიშნულ „შევიწროებისა“ გამო, მთელი ჩემი გულით თუ ფილტვებით მეშეშეთა თანამგრძნობმა. მე უცბათ შევიცვალე აზრი მათ შესახებ და, როცა, ჩემ მიერ შეძლეული ფასის საპასუხოთ, საგურამოელმა მეშეშემ ამაყად, თითქმის გულმოსულად გადაჰკრა შოლტი, აღმართისა გამო, ჩვეულებრივზე კიდევ უფრო დაზანტულ კამეჩებს, მეც თითქმის იმდენადვე გულმოსულად ვსტყორცნე ჩემი აღშფოთება მის ფარაჯიან ზურგს, რომელსაც, ვიცი, ჩემი ტყვიასავით გასროლილი ფინთიხოვანი ხედვა მის სისქეში მაინც ვერ შეატანდა.

თუმცა სულის სამართალზე რომ ვსთქვა, რას ვერჩი საგურამოელ მეშეშეს? განა, იქ ნაკლებათ მკაცრი იქნება ზამთარი? ვინ იცის, იქნება საგურამოელი უკანასკნელ კერძ შეშასაც კი იკლებდეს თავისთვის, რათა ამით თუმცა ძვირად, მაგრამ მაინც გაათბოს ჩემი მაზედ სრულიად უმიზეზოდ და უსამართლოდ გაცხებული გულის საჩივარი და სადაო მე ისევ აგერ „უქსთან“ მაქვს: მას, რომ ღუმელები გადაეკეთებია, ნახშირი შეიძლება მე მეშოვნა, ხოლო „შახტის ისტორიის“ გაუმეორებლობაში კი ოქტომბრის რევოლიუციით ხელ-ფეხზე ბორკილაყრილი პროლეტარიატი მყავს თავდებათ.

ონისიმე.

## „ტარტაროზი“-ს
## შემდეგი ნომერი
## სპეციალური საოქტომბრო
## გამოვა 7 ნოემბერს



ამხ. კალინინი:—პურის-დასამზადებელი!.. ალლო!.. პურის დასამზადებელი!..
მიბნედილი ხმა:—აპარატი წამხდარია—არ მოქმედობს!

„კროკოდილი"-დან.

# პლატფორმაზე

რომელიღაც სადგურში ზარს ორჯერ შემოჰკრეს და გამომელვიძა.

მატარებელი დაიძრა.

ვაგონში ისმოდა მძინარეთა ხვრინვა და ჩემს ქვეშ საწოლზე ლაპარაკი:

— „თუ კაცი ჭკვიანად იქნება და ცხოვრებას ანგარიშს გაუწევს, არაფერი არ გიჭირს! — ამბობდა ვიღაცა დინჯად.

— კი, ბატონო, სწორეთ რომ მასეა. უჭკუო კაცმა იკითხოს, თორემ ჭკვიანს რა უჭირს!

— ჭკუაზე უფრო კაცს ხათრი ესაჭიროება. თუ კაცი ხათრიანი და ამხანაგურია, მას ცხოვრებაში არაფერი გაუჭირდება.

— მაგიც მართალია, ჩემო ბატონო! — დაუდასტურა თანამოსაუბრემ, რომელსაც ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ სოფლელი იყო. — რა გვარი კაცი ბრძანდებით თქვენ?

— ფაფაძე.

— სახელი?

— კოწია.

— კოწია რავა გეკადრებათ სახელად პატიოსან კაცს?! კოწიას ჩვენში დაცინვით ეტყვიან კაცს! კოსანდილე, ბატონო, კოსანდილე! ასეთ ჭკვიან კაცს კოწია რაფერ დაგიძახო?! კოსანდილე, ბატონო, კოსანდილე... ჰო, მერე, რას ბრძანებდით, ბატონო კოსანდილე?

— ჰო, იმას ვამბობდი: ჭკუაზე უფრო კაცს ხათრი ესაჭიროება. კაცი ხათრიანი უნდა იყოს. ამ ხნის კაცი ვარ, უკვე შეჭაღარავებული ვარ, და მე ჯერ არ ვიცი რა არის ციხე, დატუსაღება, უმუშევრობა და გასაჭირი! — ამბობდა კოწია ფაფაძე.

— იმე, რა ბედნიერი ყოფილხარ, ბატონო კოსანდილე!

— ეს იმიტომ, რომ ჩემისთანა ხათრიან კაცს ვერსად ვერ ნახავთ, თუ გინდ მთელი ქვეყნიერობა შემოიაროთ! — და ფაფაძემ დაიწყო თავისი თავგადასავალი და დახასიათება.

— ცხრაას ხუთში ობერად ვმსახურობდი. მაშინ, ხომ იცი, მოძრაობა იყო. ამ მოძრაობაში თითქმის ყველა ღებულობდა მონაწილეობას; რასაკვირველია — მეც. მყავდა ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც განზე იდგნენ. ამ ამხანაგებმა მირჩიეს თავი შემეკავებინა და ჩემს ტყავში დავტეულიყავი. დამიწყეს მტკიცება, რომ „ეს მოძრაობა სულელურია... არსებული წესწყობილება უფრო უმჯობესიაო"... ველარ გავუტეხე ყადრი და მეც დავთმე ჩემი რევოლიუციონური მსოფლმხედველობა. იმათ ხათრის გამო, მეც განზე დავდექი, და მართლაც, როცა მოძრაობა დამარცხდა, მე კიდეც დამაწინაურეს!

— კი, ბატონო, კი; აბა, რას იზამდენ!

— მერე მოხდა კიდევ რევოლიუცია, ნიკოლოზი ჩამოადგეს. მართალი გითხრათ, მაინცადამაინც არ გამხარებია ეს ამბავი, მაგრამ რას ვიზამდი?!

— კაცო, განა ჩვენ მოგვწონს ეს ამბავი, რომ მენშევიკურ პარტიაში ჩავეწერეთ?! მაგრამ რას ვიზამთ! მოდი და შენც ჩაეწერე! — მეუბნებოდენ ამხანაგები. ველარ გაუტეხე ყადრი, ხომ იცი ხათრიანი კაცის საქმე, ჩავეწერე მენშევიკურ პარტიაში და გავიზიარე მათი პოლიტიკური მრწამსი.

— მერე ხელს ვინღა გახლებდა, ბატონო კოსანდილე!

— რა თქმა უნდა... მაგრამ, გავიხედე და მოვიდნენ ბოლშევიკები. ვიფიქრე: აწ თუ გინდ ქვეყანა დამესიოს, მაინც არ გამოვიცვლი რწმენას. წარმოიდგინეთ თქვენ, როცა კომუნისტებმა წარმოება - დაწესებულებების „ჩისტკა" დაიწყეს, მაშინაც კი მტკიცედ ვიცავდი ჩემს პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, მაგრამ აქაც შემიჩნდნენ ამხანაგები.

აქაც დამძლია ხათრმა და ამხანაგურმა დამოკიდებულებამ და გამოვიცვალე ჩემი პოლიტიკური მრწამსი, ახლა კომუნისტურ პლატფორმაზე ვარ და...

— პლატფორმა იანეთი! — დაიძახა კონდუქტორმა და მატარებელიც გაჩერდა.

— უკვე მოვსულვარ: ამ პლატფორმაზე უნდა ჩამოვხტე! — სთქვა ფაფაძემ, აიღო თავისი ყუთი, გამოემშვიდობა მოსაუბრეს და წავიდა.

— ხათრიანი კი არა, სინდის-ნამუსიდან გარეცხილი ყაცი ყოფილხარ! — ჩაილაპარაკა სოფლელმა და დაწვა დასაძინებლად.

ჭინჭარი.

# იაფი კუზოები

ეს ამბავი მოხდა რამდენიმე წლის წინათ. კოწია წერწეტაძე გამგე იყო ინვალიდთა სავაჭრო - კოოპერატიული არტელის დამკრძალავ ბიუროსი.

ის იყო შორაპნის მაზრის შრომაშინის თემის ცხრაწლედ - დამთავრებული ახალგაზრდა, რომელსაც განეზრახა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ „ბედს ემუხთლა“ მისთვის და გამოცდებში ჩაჭრილიყო (სხვათა შორის რუსულ ენაში ედინიცა მიელო).

მისთვის რომ გეკითხათ, ის გეტყოდათ, რომ გამოცდებში ის კი არ ჩაჭრილა, არამედ პროფესორებმა განგებ ჩასჭრეს პირადი ინტერესების ნიადაგზე. რომ მის სიმართლეში არავის ეჭვი არ შეეტანა, რუსული ენის ცოდნას ხშირად იჩენდა და მოყვებოდა ხოლმე ლაპარაკს:

Кто меня больше будиит знат по русскому языках

თავმომწონეთ ჩაუკრავდა ბოლოს, რადგან „ხ“-ს გამოთქმა ძალიან ეხერხებოდა.

По напрасному отрезали меня, ძმია по напрасну

ეუბნებოდა თავს ნაცნობ - მეგობრებს, რომლებიც განგებ, მისი გაღიზიანების მიზნით, შეეკითხებოდენ მას ისევ გამოცდების შესახებ.

ასე იყო, თუ ისე, წერწეტაძე უნივერსიტეტის გარეშე დარჩა, რაც მასში მაინც და მაინც დიდ მწუხარებას არ იწვევდა. პირიქით, მის შემდეგ, სამსახური იშოვა და კმაყოფილიც იყო ამ გარემოებით.

„ბაბუაჩემს ყურსები“ არ გაუთავებია, მარა ჩვენს „უეზდში“ პირველ კაცათ ითვლებოდაო“, ხშირათ ანუგეშებდა კოწია თავის თავს.

გამოცდებში ჩაჭრის შემდეგ, წერწეტაძე ან სოფელში უნდა დაბრუნებულიყო, ან და ტფილისში დარჩენილიყო და რაიმე სამსახური ეშოვნა. ის წინდაწინ გრძნობდა, რომ მამა მისი გორჯასპი მას „სათოფეზე“ არ მიიკარებდა. „როგორ თუ გაბედე და ეგზამინე ვერ დეიჭირეო“, ლანძღვა-გინებით „შეუკურთხებდა“ მას გორჯასპი და კეტით იფრენდა. ესეც, რომ არ ყოფილიყო, მისი აზრით, როგორ უნდა ეცხოვრა მას, „განათლებულ“ კაცს მიყრუებულს სოფელში, რომელმაც შრომაშინის თემის ცხრაწლედი „პირველ მოწაფეთ“ დაასრულა.

ამიტომ სოფელში დაბრუნებას ისევ ტფილისში დარჩენა არჩია. მართალია, რამდენიმე თვე უმუშევრად დადიოდა, მაგრამ კოწიას მაინც და მაინც უმუშევრობა არ ეტყობოდა, რადგან ხან ერთ ნაცნობს დაეპატიჟებოდა, ხან მეორეს; რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც იყო, „ძმა-ბიჭების“ დახმარებით კოწია ინვალიდთა სავაჭრო-კოოპერატიულ არტელში წევრათ ჩაეწერა და დამკრძალავ ბიუროს გამგეთ იქნა არჩეული.

ყველას უკვირდა კოწიას ინვალიდათ გახდომა, რადგან კარგად იცოდენ, რომ წერწეტაძეს არც ცხვირი აკლდა, არც თვალი, არც ფეხი და არც ხელი მართალია, ცოტა „უქროდა“, მაგრამ ეს ხომ ანგარიშში მისაღები არ იყო რადგან ქარის ანგარიშის გაკვეთილები ჯერ-ჯერობით ჩვენს ცხრაწლედებში შემოღებული არ არის. ისიც უკვირდათ, რომ კოწია არ იკლებდა თავისთვის არც ტანისამოსს, არც ფეხსაცმელს და ძველ თავადივით ჭამდა, სვამდა და ქალებშიაც ქეიფობდა. ეს იყო მიზეზი, რომ ზოგიერთებში წერწეტაძე ეჭვს ძრავდა.



—ალბად ის ქალიც კონტრაბანდისტკაა!

— რატომ გგონია?

— მსხვილი ფეხები აქვს; ალბად ჩემსავით ბევრი ჩულქები აცვია!

# დრო--ცვალებადი

## მეგობრული შარჟი



— ვ. გუნია: ერთ დროს მეც კარგი პეტრონიუსი ვყოფილვარ, მაგრამ ერთი დრო ხომ არც პეტრონიუს შერჩენია?!

# ახალ ძიებაში




ახმეტელი:—კრეისერებმა და ჯავშნოსან მატარებლე ბმა უკვე აიღეს ლოჟები და პარტერი. ქანდარის ასაღებად კი საჭიროა...

კოწია გრძნობდა, რომ მის გარშემო ატმოსფერა მძიმდებოდა. მან იცოდა, რომ ძველი დრო არ იყო და მის ოინებსაც კუდი სადმე მაინც გამოაჩნდებოდა. საჭირო იყო ზომების მიღება და ტაქტიკურათ მოქმედება. საჭირო იყო მის შესახებ საზოგადოებრივი აზრის დადებითად დამუშავება. კოწიამ პარტიაში შესვლაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

სარეკომენდაციო ფურცელზე ხელის მომწერი ვერავინ იშოვა.

ერთ საღამოს მას დაებადა ისეთი აზრი, რომელმაც მის სახეს სიხარულის ელფერი გადააკრა. მისი აზრით, საჭირო იყო მშრომელთათვის კუბოების გაკეთება და ამით მაინც სახელის მოეხვეჭა.

სიტყვა და საქმე ერთი იყო. იმ ღამესვე ეს საკითხი არტელის გამგეობის თავმჯდომარეს შეუთანხმა და მეორე დღეს კუბოების საწყობის კედლებზე ასეთი განცხადება გამოაკრა:

**„ინვალიდთა სავაჭრო - საწარმოვო კოოპერატიული ნადის დამკრძალავი ბიურო ამზადებს საუკეთესო ხარისხის კუბოებს, რომლებიც იაფათ დაეთმობათ მუშებს და გლეხებს“.**

ამ განცხადების გამოქვეყნების დღეს დილიდან-საღამომდე წერწეტაძე კუბოების საწყობის წინ იდგა და ყველას უხსნიდა კუბოების გაიაფებას. იმ საღამოს მან სიამოვნებით „არტოშიც“ ივახშმა. ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ კოწია სახლში დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ტკბილათ დაიძინა.

ისეთი სიზმარი მას არასოდეს არ უნახავს, როგორიც იმ ღამეს. მუშათა ცენტრალური კლუბი გირლიანდებით იყო მორთული, სათეატრო დარბაზი სავსე იყო ზღვა ხალხით, ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ.

— გამო, კოწია წერწეტაძე!—გუგუნებდა ხალხი.

მუშა ორატორმა, რომელმაც უკანასკნელად ავიდა ტრიბუნაზე მგრძნობიარეთ მიმართა მას.

— „ძვირფასო ამხანაგო კოწია! შენი დამსახურება მუშათა კლასის წინაშე დაუფასებელია. მშრომელი ხალხი არასდროს არ დაივიწყებს შენს ღვაწლს. კუბოების გაიაფება, რომელსაც თქვენ უნდა გიმადლოდეს მუშათა კლასი საგრძნობლად გაზრდის მუშის ბიუჯეტს, ადამიანურად ცხოვრების საშუალებას მისცემს მას. ამიტომ გაუმარჯოს ამხ. წერწეტაძეს!

— ვაშა! ვაშა!—ერთხმად უპასუხა ზღვა-ხალხმა.

უკვე დღის თორმეტი საათი იყო, რომ გამოეღვიძა.

ნახევარი საათის შემდეგ ის კუბოების საწყობის წინ იდგა და ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელთ.

— ვინ არის აქ კოწია წერწეტაძე?—შეეკითხა მას დამზღვევ სალაროს წარმომადგენელი, რომელსაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი ახლდა თან.

— მე გახლავარ!—მიუგო მას კოწიამ და სახეზე ნაცრის ფერი გადაეკრა.

— თქვენ უნდა წამომყვეთ!—უთხრა მას უცნობმა და რაღაც ქაღალდი უჩვენა.

კოწია დაიჭირეს და გამსახლში მოათავსეს, რადგან თავისი შეუფერებელი ტაქტიკით კუბოებზე ფასების საგრძნობლად დაწევის საქმეში ის დამზღვევ სალაროს შესაფერი განყოფილების პრესტიჟსა სცემდა და ამასთან ერთად ნივთიერ ზარალსაც აყენებდა, რადგან თუ კუბოების ასე იაფად გაყიდვა კი შეიძლებოდა, მაშინ რაღა აზრი უნდა ქონოდა სალაროდან, შედარებით უკვე მსხვილი დასაკრძალავი თანხების გაცემას.

გარდა ამისა, ისიც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ საკითხი აღნიშნულ განყოფილებასთან წინასწარ შეთანხმებული არ გახლდათ და, მაშასადამე, კუბოების ასე ხელმიშვერ დაკლებულ ფასებში გაყიდვას შეეძლო კლასობრივი ხაზის გაძრუდება ამ საქმეში: შესაძლებელი და მოსალოდნელი იყო კუბო შეეძინა ფიქტიურად გლეხს, ხოლო ფაქტიურად კი მასში მოკალათებული იყო ყოფილი თავადი ან კიდევ ნაპრისტავალ-ნასტრაჟნიკალი აზნაური. შესაძლოა, თვითონ კოწიას მეზობელიც.

**გადარეული.**

# უზადლო „ილუზიონი“

თუ ცხოვრება ზოგისათვის
ბრძოლაა და ტრაგედია,
ზოგისათვის ის ცირკია
ან უბრალო კომედია!...
აქ ჯამბაზი სულ ჯამბაზობს,
სცენა არის ეს თუ ქუჩა,
გრძნობას ფულზე ახურდავებს,
გული ფულმა გაუფუჭა...
და აცხადებს აფიშაში,
მაგალითად, — ცირკის გამგე:
„კაცს გიჩვენებ, გოლიათსო,
თუ ბილეთში მომცემ ამდენს!



გოლიათიც—ეს მავრია,
ეგვიპტელი ან ინდუსი,
ჩვეულებრივ კაცს და ქალთან
ის მოსჩანს, ვით იალბუზი!“.
მეესლავია ენა კაცის
და რეკლამაც — ტკბილი თაფლი
ბილეთს იძენ შენც ცირკისას
ისე, რომ სხვებს არც კი აცლი!



მიხვალ ცირკში და ნამდვილად
ხედავ: ვიღაც ჭია-მკვდარი
მოაბიჯებს ორჩოფეხებს,
კონკილაებრ ზედ შემდგარი;
და ჩოხოსან ქონდრის კაცთან
რომ დადგება ეს „ხულუზა“,
ვერც კი სწვდება ხელით, თუ
ოდნავ წინ არ დაეკუზა..
დამორცხვებით სდგანან ორნიც,
სურათია მეტად ზუსტი!
შენც ადექ და მიატოვე,
ასეთ ცირკში რაღას უცდი?
მაგრამ გახსოვს აფიშაში
განცხადება იყო სხვაცა:
შეგპირდენ, რომ გიჩვენებდენ
უჩვეულო ქონდრის კაცსა!



ქონდარს, სწორედ ბოსტნის ქონდარს;
ის სურათში ძლივს უდრიდა,
„გოლიათში“ თუ მოსტყუვდი,
ამის ნახვა მაინც ღირდა!
და რას ხედავთ? მაგიდაზე



წამომდგარა კაცი ქონდრის,
ორმოციან ღვინის კასრს ჰგავს,
უმსხვილესი არის გოდრის!

და ცხვირს ჰკიდებთ სევდით დაბლა
შენც და შენთან შენი ცოლი:
ქონდრის კაცი, „სასურველი“,
არის თითქმის თქვენი ტოლი!
ახლა კია წასვლის წუთი,
მაგრამ ისევ აფიშიდან
გაგონდებათ: ველურის წინ
თავ-წაწვდილი გველი ხიდან!



„უჩვეულო მახრჩობელა“!...
ასე იყო აფიშაში,
ამის ნახვა ხომ ღირს მაინც,
თუ მოსტყუედი შენ იქ სხვაში?...



და რას ხედავთ? ვიღაც ასულს,
ალბათ, ავსულს — ტიტველს მკლავზე
ჰყავს ანკარა ახვეული,
საცოდავი საცოდავზე!
და ველურსაც, აქვე ერთ-ერთ
მოჭრელსაც აქვე ერთ-ერთ
მოჰიდავეს, ცირკის „მასრას“.
ორი ჩხირი შუბებივით
ამ გველის წინ წაუბასრავს...

და გზარდება: ცირკიც, თავიც;
გამოქცევა გინდათ, მარა
შენს წინ ისევ აფიშა „სდგას!,
ისევ იგი მოგეხმარა.
და სურათი წინაპართა,



„ადამის და ევის“ სახეთ,
„წინ დავიდგათ“ და რას იზამთ,
აწ ის მაინც თუ არ ნახეთ?
ამ სანახავს უსათუოდ
მოეველება ყველა თავზე!
და კვლავ ჯდები... და კვლავ ილდი
ამ „დაბოლო-სანახავზე“...
და რას ხედავ? ღმერთო ჩემო,
სჯობდა—ადრე მოგეკალი:



მაგიდაზე გალიაა,
გალიასთან ვიღაც ქალი...
ეს ევაა! დიახ, ევა
სიუტიფრით თუა მხოლოთ,
თორემ როგორ გაბედავდა
შენს აგდებას უთავბოლოთ,
როცა მის წინ, გალიაში
ორს მაიმუნს გააქვთ ლეწა?....
და თქვენც გმინავთ: „ეჰ, ბილეთში
ფული მაინც არ მივეცა“!..

პაზირა.




№ 7 ტარტაროზის დამატება № 7

# რკ. გზებზე კატასტროფების მიზეზი

როგორც მკითხველებმა იციან, ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა რკ. გზებზე კატასტროფები. უმეტეს შემთხვევაში ხდება ორთქლმავლების ერთმანეთზე დაჯახება.

ამის შესახებ რკ. გზის კატასტროფის ზე-განყოფილების გამგემ—ლევარსი როხროხაძემ გამოგვიგზავნა შემდეგი

## განმარტება

საქმე იმაშია, რომ უწინ ორთქლმავლების გამოცდა ხდებოდა ამგვარად: გამოსაცდელ ორთქლმავალს მოაბამდენ მატარებლის მთელ შემადგენლობას და გაუშვებდენ ხაზზე. ორთქლმავალი, რომელიც მეტ ვაგონებსა და მეტ ტვირთს ზიდავდა, ის სხვა ორთქლმავალზე უფრო ძლიერად ჩაითვლებოდა. მაგრამ გამოცდის ასეთ საშუალებას ის უარყოფითი მხარე ჰქონდა, რომ ხშირად ხდებოდა კატასტროფა, იმტვრეოდა მთელი შემადგენლობა, რაც დიდ ზარალს აძლევდა რკ. გზას.

ეხლა სულ სხვანაირად ხდება ორთქლმავლების გამოცდა .სხვადასხვა სისტემის ორ ორთქლმავალს, რომლებზედაც არც ერთი ვაგონი არ არის მიბმული, გაუშვებენ ხაზზე და ერთმანეთს აჯახებენ. ორთქლმავალი, რომელიც გადარჩება და მეორეს დაამსხვრევს, ითვლება ძლიერად და მისი სისტემის ორთქლმავლებს მეტი მოთხოვნილება ექნება რკ. გზებზე.



გამოცდის ასეთი საშუალებით რკ. გზა მეტ სარგებლობას ნახულობს. რადგან იმტვრევა მხოლოდ ორთქლმავალი, და არა ვაგონები, რომლებიც შედიან მატარებლის შემადგენლობაში.

ასეთი ცდა ამას წინედ სადგ. ნავთლუხში მოხდა, რამაც იმსხვერპლა ორივე ორთლქმავალი („ნავთლუღის ცდამ“ დაამტკიცა შეჯიბრში მიმლებ ორივე ორთქლმავალის სისტემის თანაბრობა და ერთნაირი ძლეოსნობა).

აი, ეს არის მიზეზი რკ.გზებზე ამ ბოლო დროს ორთქლმავალთა გახშირებულ კატასტროფებისა, რამაც პრესაში გამოიწვია სრულიად უსაფუძვლო აურ-ზაური.

ლევარსი როხროხაძე.

# დეპეშები

# ი ა ვ ნ ა ნ ა

(სატყეო ტრესტისათვის)

იავ-ნანა უთავობავ,
იავ ნანინაო.
ტყისა ტრესტში მიგიგნია
შენ ტკბილი ბინაო.
და ის არის შენი სახლი,
ბუდე და ბინაო.
დაიძინე, ნანას გიმღერ,
რამ შეგაშინაო?!
გაიბერე ძილისაგან
ვით ავტოს შინაო.
მრავალი გაქვს სანავარდოთ
ავტო-მაშინაო.
უშიშობამ ნორჩი გული
რად აგატკინაო?
ასე არის ხომ ყოველთვის,
რამ მოგაწყინაო?!
ზაფხულშია დიდი სიცხე,
დნება თვით რკინაო.
მაშინ შენ არ გაგონდება
ზამთარი წინაო.
გირჩევნია სეირნობა
აგარაკს შინაო,
ვერ გაიგე, თუ ზაფხულმა
რომ გაირბინაო.
ასე მაგრათ, უდარდელად
რამ დაგაძინაო?
რად ვერ ხედავ ზამთარს ცივსა
შენ ცხვირის წინაო?!

ისელი.

# დ ე დ ა ი ა!..

ვაი, რეიზა არ დეიქცა ის დღე და წუთისოფელი, როცხა მე ვაჭრობას მოვკიდე ხელი! მაინც და ყველას სამასხარავო და ხელის საბიძგებელი რომ შევიქენით, ამისთანა გინახავთ! შთავრობამ ხომ გაგვიტეხა ხერხემლის ძვალი და ნალოგებით გაგვწყვიტა წელში, მარა ამ მჯღაბნელებს რაღა უნდათ ჩვენგან! რავა, კაცმა ხმა ვეღარ უნდა ამოიღოს, ამისთანა უბედურება გინახავთ! დუქანში შეგილდს ვერ გოუწყოები ისტე, რომე ორასი აპეკუნი არ გაუჩნდეს! მუშტარი რომ ჩაპივარდეს ხელში და ერთი ორი გროშის მოგება მინდოდეს, არევინ მანებებს. ხმა - მაღლა ვერ დამილაპარაკნია!... ერთი სიტყვით, ისტე ვერაფერი მიქნია, რომ ამ მჯღაბნელებმა არ გეიგონ! ნეტავი, მართალი მაინც დაწერონ, ჯანაბას იგენის თავი! ქინძისთავის ტოლა საქმეს, ვირისტოლას გახდიან და მთელ დუნიას გააგებინებენ ყოლისფერს! თუ რამეს მოჰკრეს ყური, მორჩა... ვინ იცის, რას არ დასწერენ! გამიწყრა გელათის მადლი და ამას წინეთ ერთ მუშკორს ჩემი შინაური სეკრეტები ვუამბე! მერე, ძმა კაცათ მეგულებოდა და რავა ვიფიქრებდი, თუ ამ ჩემს ნათქვამს თელათ შარაზე გამეიტანდა! მეც ვირი ვარ, რომ ჰოუყევი და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. არა, ვინ მაძალებდა! ამდგარა, ბატონო, და ეს ჩემი ნაამბობი თე- გამბადა იმ შერჩვენებულმა! ჯერ ისწუთ თვალები სცვივათ ჩემს მეზობლებს, რომ ერთ ლუკმა პურსა ვჭამ და ახლა ხომ აღდგომა გოუთენდათ თელათ! მეიტანებენ იმ „ტანტაროზს“ და მანდამაინც ჩემი დუქნის წინ კითხულობენ და მახელებენ! იძახოდენ: „ლედახტორი ჭკვიანი კაციაო“. არა, ჭკვიანი რომ იყოს, ამისთანა ფუსტიაკ საქმეს გაზეთში გოუშვებდა? მარა როგორიც დამწერია, ისეთივე ლედახტორია. ამისთანა გინახავთ, კაცო... ამ ნალოგებს ქე მაწერენ და რომ ვივაჭრო ჩემს გემოზე მის ნებას კი არ მაძლევენ! ეს—მუშტარს დვაინოი გადაახდევინეო, აგი—წონაში მოპარეო, ეს—ზომაშიო... კაცო, რა დიდი საქმეა, რომ ამ კრიზისის დროს კაცმა არშინში ჩარექი ოუსვას და გირვანქაში ჩეთვერი? რათა, ძამია, ყველაფერი ანგარიშითაა: მე, რავარც ხელს მომცემს, ისტე გავყიდი საქონელს და ისტე მოვიქცევი. არა, ვის რა დივა აქვს ჩემთან! არა, გასაწერი და „სატარტაროზო“ რა მაქვს, მარა რო ოუტყდებათ ტვინის ქავილი, რას სწერენ, თითონაც არ იციან. ახლა მეჩუქრება, რომე „ტანტაროზის“ კარიკატურცკი კარტიჭკაში უნდა დაგხატოვო. ვიცი ახლა გამიკეთებს ხუთარშინიან ფეხებს, სამ საჟენიან, ცხვირს და, ვინ იცის, იქნება თავიც ვირისა გამომაბას! რეიზა არ გამომაბამს, რა, ვინ დოუშლის? მთა-

მუშამდგომელთა ღვთის წინაშე

**საჭამიასერი.** ლონდონიდან მიღებულ რადიო- ცნობებით, მაკდონალდი ყოველდღე დადის ეკლესიაში და მუხლმოდრეკით ღმერთს სთხოვს ...ოებებში მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას".

## დასაჩუქრება

**ოჩემჩირე.** ბერლინიდან ეხლა მიღებულ ოფიციალურ ცნობით, ჰინდენბურგმა შეფობა აიღო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე და მისი ბელადები დაასაჩუქრა „საპატიო" სახელწოდებით: „გულის მეგობარი", აგრეთვე გულზე ჩამოჰკიდა ოქროს მედალი, რომელზედაც გამოხატულია მოჭრილი ყური. *)

## დამშვიდება

**ხრიალეთი.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ გუშინ კულიჯმა დაამშვიდა აღელვებული და დაშინებული იმპერიალისტები, რომლებიც პროტესტს გამოსთქვამდენ კელოგის „სამშვიდობო" პაკტის წინააღმდეგ.

პრეზიდენტმა მიმართა ნაზი და დამშვიდებული ღიმილით: „რატომ ხართ ასე გულუბრყვილონი, რომ ფიქრობთ, თითქოს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს კელოგის პაქტს?!

## ძაღლი იანუსს **)

**მოხისი.** ინგლისსა და ამერიკას შორის ამჟამად ხდება ნოტების გაცვლა-გამოცვლა იის შესახებ, თუ რომელ მათგანს ეკუთვნის დასადგმელად იანუსის ძეგლი. ამ საკითხის შესახებ ერთა ლიგის მიერ არჩეულმა კომისიამ ვერაფრით მათგანს ვერ მიანიჭა უპირატესობა, რადგან ამერიკა ამ ბოლო დროს ინგლისს აღარ ჩამორჩება ორპირობასა და ორპიროვნობაში.

## საფრთხობელა

**წუნეთი.** პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვარზე დადგეს პილსუდსკის ძეგლი, რომელზედაც მარშალი ისეა გამოხატული, თითქოს ამბობს: „ნა-

*) მედალზე მოჭრილი ყური ნიშნავს—ურჩობის ... მონობას.

**) მთიური ორპიროვანი ღმერთი.

შემოდგომის ბუზები

**კვირიკელი.** როგორც ბერლინიდან გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი, კელასია ქორაძე, ზამთრის მოახლოვებამ ჩააჩუმა შემოდგომის ბუზები, რომლებიც ამას წინედ მწარედ იკბინებოდენ და თხოულობდენ ყოფილ რუსეთის ძველი ვალების ანაზღაურებას.

# ადგილობრივი

## მოსეირნე ქვაბი

**ნიუ-იორკი.** ბაქოდან ბალაჯარიში გაგზავნილი ქვაბი № 339485 აღმოჩნდა ხაშურში, სადაც ქვაბს ჰყოლია შეყვარებული. როგორც შემდეგ ვაშოირკვა, ქვაბი მაშინ გაპარულა, როცა სამსახურის დროს ჩამოსძინებოდათ სადგ. ნავთლუღისა და ტფილისის ქმედებს.

## თავდასხმა

**რომი.** ტყიბულიდან მიღებულ ცნობებით, ყასაბ ბალდანაშვილს, როცა ეს უკანასკნელი დამხრჩვალ საქონელს ატყავებდა, მოულოდნელად თავს დაესხა სამი შეიარაღებული ძაღლი. ყასაბმა იმდენი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ ორი ძაღლის მიერ გატაცებულ საქონლის ასანაზღაურებლად მოჰკლა მესამე ძაღლი და ფიქრობს მისი ხორცის გაყიდვას—„სულ ერთია: ასეთი საქონლისა და ძაღლის ხორცს შორის მაინც არაფერი განსხვავება არ არის"-ო.

## თხების პანსიონი

**პარიზი:** დიდი ზეიმით გაიხსნა ნიგოითში ახალი სამკითხველო, რომლის ასაგებად გლეხებმა არაფერი დაიშურეს.

ვინაიდან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ზედმეტად სცნო ასეთი დაწესებულების საჭიროება, ამიტომ შენობა იჯარით აიღეს ცხვრებმა და თხებმა, რომლებმაც შიგ გამართეს უფასო პანსიონი, სადაც თავს აფარებენ ავდარში და ერთობიან გაძღომის შემდეგ.

მსოფლიოში ერთადერთია ასეთი სანიმუშო პანსიონი.

...რათ! ნეტავი, ნახევარი ყოფილიყოს მართალი და ვინ მამაძაღლი რაჲეს იტყოდა! ნამდვილი ბაზრის მაიმუნი კანონს გარეშე ვართ, ბიძია, არ უნდა! რაღა ვსთქვა, კი! ვაი, ჩვენს დღეს, რა სახელი გვქონდა უწინ და რავა ყველას სამასხარაო გავხდით ამ დროში!

გოგია.

## კ ი დ ე ვ   მ ი ზ ე ზ ი



— აი, შვილო, მოველით ii რაღაც „სპრავკას" რომ მპირდებით ერთი თვეა მოგცემთო!

— დაიცა, დედიჯან, ჯერ ადრეა—ნახევარი წამი კიდევ აკლია სამსახურის დაწყებას

მუდამ მტირალი, ცრემლშეუშრალი,
(თვალებს ჩამოსდის ცრემლი მქუხარე).
გულდათუთქული, (ვაი, ჩემი ბრალი!)
და ცხოვრებაში მუდამ მწუხარე.
ვაუწყებ ყველას ბრძახვაძის მართა
უბედურება რაც დამემართა:
ტრალ - კომიკურად გარდაიცვალა
(საცხოვრებელი გამოიცვალა)
ძვირფასი ძაღლი პატარა

ჯ ე კ ი

(აჰ რა ვქნა დარდით, თუმც ვცხოვრობ ჯერ კი?!)
ის გადმოვარდა სართულიდანა,
(ოი, ჩამეცით ამ გულში დანა!)
არ დაჰყოლია მიწაზე სული...
ის იყო ხვალი, და არ—ასული...
ჯერ მისვენია ლოგინზე სახლში,
დავასაფლავებ ხვალ ეზოს ბაღში.

# აბონემენტის გარეშე

სამსახურიდან წასულ აპოლონს ქუჩაში უზარმაზარი აფიშა გადაელობა წინ.

**ოპერის თეატრის დირექცია**

აცხადებს, რომ დაწყებულია აბონემენტების გაყიდვა"... შემდეგ ჩამოთვლილი იყო ყველა ის დაპირებები, რომლებმაც კანცელარიის გამგე— აპოლონის გული ააფორიაქა და უსაზღვრო ნდობით აატოკა.

— ვიყიდი, უსათუოდ ვიყიდი ერთს,— ამბობდა აპოლონი.

— აპოლჩიკ! გაიგე აბონემენტების ამბავი?— მიუალერსა ცოლმა სახლში მისვლისას.

— გავიგე და წავიკითხე კიდეც.

— მაშ, ერთი აბონემენტი მეც უნდა მიყიდო!

— ერთს ვიყიდი და ყველას გვეყოფა.

— შენც არ მომიკვდე! მე და შენ ერთად უნდა ვიაროთ და აბონემენტიც ორი უნდა გვქონდეს.

აპოლონი დათანხმდა.

— პაპოჩკა! აბონემენტი მინდა!— მოეხვია აპოლონს უფროსი ქალი.

— კარგი, თუ ღმერთი გრწამს!

— უნდა, მაშ! მაგასაც უნდა. გასათხოვარი ქალია და უაბონემენტოთ ხომ ვერ დავტოვებთ,— ჩაერია ცოლი.

ხანგრძლივი უარის შემდეგ, ოჯახის უფროსი ამაზეც დათანხმდა.

— ამხანაგო მამაჩემო! გეტრებზე უარს ვამბობ!— მიმართა აპოლონს უფროსმა ვაჟმა.

— ძალიან კარგი, შვილო, ფული მაინც ცოტა მქონდა...

— ოღონდ აბონემენტი უნდა მიყიდო!

აპოლონს დასცხელა.

— ხომ არ გაგიჟდი, რის აბონემენტია, რათ გინდათ ამდენი აბონემენტი, ოპერის თეატრში ჩასახლებას რომ არ აპირებთ?

— ის მე არ ვიცი! ვიცი მხოლოდ, რომ ამოდენა კაცი ვარ და ერთი აბონემენტიც არა მაქვს. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს, ჩემს ამხანაგებს ჯიბე გატენილი აქვთ აბონემენტებით, მე კი... ხელცარიელი დავდივარ...

— უყიდე, ბოშო ახალგაზრდა კაცი,— გამოექომაგა დედა.

— უყიდე, მამა, ჯამაგირს ხომ გიმატებენ მაინც!

აპოლონი აქაც მოსტეხეს და ოთხი აბონემენტი აყიდვინეს.

ოპერის სეზონის გახსნის დღეს აპოლონი მთელი ჯალაბობით გაემგზავრა თეატრში. გზაში საქმეთა მმართველს გადაეყარა.

— მოდიხარ, აპოლონ?!!

— მაშ! იმდენი აბონემენტი ტყუილად ვიყიდე?

— მე არ მიყიდია, მაგრამ მაინც მოვდივარ...

მეორე დღეს, საამსახურში:

— აპოლონ, მოგეწონა ოპერა?

— სუკეთესო იყო, ოღონდ მსახიობი ალტინსკი არ ვარგოდა.

— რას ამბობ, ალტინსკი სულ არ იყო: ავად არისო, გამოაცხადეს...

აპოლონი დაიბნა... სტყუოდა კიდეც: პირველი სპექტაკლი აბონემენტის გარეშე ჩატარდა, რის გამოც, აპოლონი ოჯახობით ოპერის მოუსმენლად უკანვე დაბრუნდა.

მეორე დღეს აბონემენტიანი ოჯახი „კარმენის" მოსასმენათ წავიდა.

— დღესაც მოდიხარ, აპოლონ?!— შეეკითხა წყეული საქმეთა მმართველი, რომელიც კიდევ შეხვდა მას.— მაშ, ერთად ვუყუროთ!

— როგორ მოგეწონა წუხანდელი ოპერა?—ეკითხებოდ საქმეთა მმართველი მესამე დღეს.

— რა უშავდა, ოღონდ მეცხრე აქტი იყო სუსტი.

— საიდან, ძმაო, მეცხრე აქტი სრულებით არა აქვს კარმენს!

— რას ვროშავ!—გაიფიქრა აპოლონმა და გამგის კაბინეტისაკენ გაეშურა: ზარმა იხსნა. აქაც ტყუოდა იგი: მეორე წარმოდგენა აბონემენტის გარეშე დაიდგა.

ჯავრით გახეთქილი აპოლონი თავისი ოჯახის წევრებით მესამე დღესაც გაემგზავრა ოპერისკენ.

— აღარ აკლდები, კაცო ოპერას? —დაცინვის კილოთი მიაძახა საქმეთა მმართველობა, რომელიც განზრახ უდარაჯებდა მას.

— რათ უნდა დავაკლდე, ეს აბონემენტები ტყუილად ვიყიდე?— არ შეიმჩნია აპოლონმა დაცინვა.

მეოთხე დღეს აპოლონი სამსახურში არ მისულა ჯავრით, რადგანაც მესამე წარმოდგენაც ყოველგვარ აბონემენტის გარეშე მოაწყვეს. მხოლოდ საღამოს გამოცოცხლდა აპოლონი. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა და ოპერისკენ გასწია ცოლშვილით.

ამაოდ! ის საღამოც აბონემენტების გარეშე ჩატარდა. საქმეთა მმართველი სიცილით კვდებოდა, როცა ხედავდა, თუ როგორი წყევლა-კრულვით ბრუნდებოდენ სახლში აპოლონი და მისი ოჯახის წევრები.

— შეგაჩვენებს ღმერთი! წელი მომწყდა მარტო კაბების გაუთოებით, ყოველ საღამოს ვაუთოებ და ყოველთვის წარმოდგენის დაწყებამდე ვბრუნდები სახლში. რომ დამიჩემე: აბონემენტს გიყიდიო, რა თავში ვიხლი ასეთ აბონემენტს? —ტუქსავდა ცოლი აპოლონს.

— მე დაგიჩემე ქალო?

— შენ, დიაღ, ვითომ არ გახსოვს!.,

— შენ ამოიჩემე პაპა, თორემ არც მე მინდოდა ეგ ოხერი აბონემენტი,— დაემოწმა ქალი.

— მართალია, მეც გეტრებს გთხოვდი, შენ კი რაღაც სულელური აბონემენტი შემომაჩეჩე! — უსაყვედურა ვაჟმაც.

აპოლონს ცეცხლი მოედო. უცებ მობრუნდა და თეატრისკენ გაიქცა.

— დაიჭირეთ, არ გაუშვათ!..

ვინ დაიჭერდა! ქარივით მიქროდა. თეატრში შევარდა და სცენაზე გაჩნდა. იქიდან ფარდაში გამოჰყო თავი. წარმოდგენა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

— მოქალაქენო! ეს წარმოდგენა აბონემენტების გარეშეა! აი, ჩვენი აბონემენტები! შემოუშვით აბონემენტებიანი ხალხი! აბონემენტი ხუმრობა ხომ არ არის, ფული მივეცი შიგ, გავიყიდე კაცი...—ყვიროდა სცენიდან აპოლონი.

— ალბათ, ასეთია კონსტრუქტიული დადგმის წესი, — ფიქრობენ ზოგიერთი მაყურებლები.

იმ ღამეს აპოლონს სამილიციო უბანში გაათევიეს ღამე.

მეორე დღეს, 6 ნოემბერს დაიწყო აბონემენტებიანი წარმოდგენებიც.

— ჰოი, ამოგაგდებთ ღმერთი, თუ აბონემენტიანი წარმოდგენებისთვის სამილიციო უბანში ღამის გათევა იყო საჭირო, ამდენხანს ცხრაჯერ გავათევდი,— იწყევლებოდა აპოლონი და აბონემენტიან ოპერისკენ მიეშურებოდა თავისი ჯალაბით.

**ალლარ-ალლარხან.**

გამოვიდა გადარეულის წიგნი
„გადარეული საქართველოში"
ფასი 30 კაპ.

# ჩვეულებრივი მოვლენა



ვირი:—ვა! შე ჩემთავიანო, მთების ხრიოკებიდან ქალაქში ნახშირი ჩამომიტანია და ერთხელაც არ დავმტვრეულვარ... შენ კი ქვაფენილზე იმტვრევი?!

# მგზავრობა

იმას რავა ვიფიქრებდი ჩემს დღეში, თუ მატარებელი გამასწრებდა. ბილეთი ნაყიდი მქონდა და ველაპარაკებოდი ჩემ ამხანაგს. ამ ლაპარაკში გამექცა მატარებელი. „შენ თუ არ დაგეწია, მოგიკვდეს ბიჭი. კონდრატიე-თქვა, — უთხარი და დავედევნე. რავარც იქნა მოვეფცქვენი კუდში და ხელად რიხინ-რიხანით ჩამომიყვანა ტყაბულში. ხელად გლეჯა მოვადინე მალაროში. ვთქვი დიდი ხანია არ ვყოფილვარ და ვნახავ ყველაფერსთქვა.

შევედი სასადილოში. რაღა დასაფიცია, ორი დღის მშიერი ვიყავი და ერთი კარგად გამოვსისინდები მეთქი, ვიფიქრე. მომიტანეს რაღაც აჯან-შანდალი ყოფილა, ვჭამე, მარა რაღა ვჭამე, აყროლებული, აქოთებული, გლახაზე გლახა იყო. მერე მოვატანიე სოუზი, მაგრამ თლათ ძვლებით იყო სავსე. ძვალი რომ მეჭამა, ძაღლი არ ვიყავი, თურმე სარდიონი რბილს თითონ სჭამს და ძვლებს მუშებისათვის ინახავს.

აქედან წასული შევედი კანტორაში. იქ ერთი კაცი ბიუროკრატი ყოფილა, მგონია, ონისიმე ქვია სახელათ. „ონისიმე, შენი ჭირიმე ეს გაგვიკეთეო“. — ეუბნება მუშა, მარა შენც არ მომიკვდე, ონისიმე ზის და აბოლებს პაპიროზს ორთქლმავალივით. ვიფიქრე—მუნჯია - მეთქი და პაპიროსი ვსთხოვე. შემომხედა, მაჩვენა სამი თითის კომბინაცია და მითხრა: — აი, ამას იცნობ?

აქედან რომ წამოვედი, გზაზე მომესმა ლანძღვა: „კვანტალიანო, შენ მოგესპო დღე, ჯამაგირს რომ დროზე არ იძლევიო“.

მერმეთ წავედი კავშირში, სადაც მოსეს (მდივანია) მაგიდაზე ჩამოსძინებოდა თავისი ღიპით. ვიფიქრე: გამოვაღვიძებ, მარა რომ ეწყინოს, რაღა ვქნა მაშინ... ახფუ! დავახველე მაგრათ. გამეიღვიძა უცებ და მიყვირა — გაეთრიე გარეთო. კაცო, რავა გევეთრიო, ძველი სიმინდის მეშოკე კი არ ვარ - მეთქი. მერე ძალიან რომ იყვირა, შევატყვე: მთვრალი იყო და ჩემთვის ვთქვი: — კავშირის მდივანი და ლოთი?- ეს თურმე გეიგონა და უფრო შემომიყვირა: — ატ, შენ მამაძაღლო-..., გამომეკიდა. გევიქეცი რაც ძალი და ღონე მქონდა. რავარც იქნა, გადაევასწარი სტრელკებს და საწირისაკენ ვქენი პირი.

„ზურნა“.

# რითმები

(შარი ონისიმეს)

ჩემო კარგო, ონისიმე,
სიტყვა გითხრა, მომისმინე,
(ნაცნობობა გვაქვს ჩვენ ძველი)
მე ზორბა ვარ, მეტად გრძელი,
სიმაღლითა, სამი მეტრი.
ამ ზამთარში, ვიცი, კეთრი
უსათუოდ მომდევს ანკესს
და მომაყრის თოვლის ტანკებს:
არც პალტო მაქვს და არც ბინა,
შიმშილისაგან კუჭი გმინავს,
ძმაო, ღმერთმა, შეარცხვინა
ამგვარი ახოვნობაცა
მაგრამ მაცა...

დაბარბაცდა
ეს ფეხები მაკარონის,
როცა ვნახე მხატვარ დონის
დახატული ჩემი სახე...
მოცახცახე...

ჩემო კარგო ონისიმე,
კიდევ ცოტა მომისმინე.
ამბობენ, რომ შენ ხარ კაცი,
ლამაზი და თვალწარმტაცი,
ხან მშვიდი ხარ, როგორც მტრედი,
(მომწონს ამ დროს ეგ პორტრეტი!)
ხან ავი ხარ, ხან კი „ბრატნი“
მძულს მეშჩანი-ბიუროკრატი.
არ მიიღო შენ ეს ქებად...

მაგრამ... რაც კი შეეხება;
ასეთია ჩვენი ხაზი,
გული დაგაქვს ფრიად ნაზი
კაცს ეგები ფიანდაზად.
მართალია, პროტექცია
ცეცხლის რკალში მოექცია,
თვითკრიტიკის მძიმე ტორი,
ვით ტრაქტორი,

გუგუნს იწყებს,
მაგრამ წუთით დაივიწყე
და მიქევი ისპოლკომში
(ქრთამათ მოგცე მუავე კომში!)
ვინახულოთ უქხის გამგე,
სახე რომ აქვს, როგორც დანტეს,
თვალიდან რომ ცეცხლებს ფანტავს,

ის დამნიშნავს კომენდანტად.
ფულიც ბუდიტ, ბუდიტ ბინაც,
და ვიმღეროთ გარეთ, შინაც...
მეც მოვმართავ ჩანგის სიმებს:
ხოშით თვალიც იციმციმებს.
მაგრამ...
მაგრად.
ჰეი, ბაგრატ,
ან და პროკლე.
გრძელი სიტყვა ითქმის მოკლეთ!
მე კი სიტყვა გამიგრძელდა
და თუ კიდევ გულზედ ელდა
„უქხი“-საგან მომემატა,
არ დამნიშნა კომენდანტად,
თავს დავიხრჩობ უმჭველად
არ იფიქრო, ეხლავ, ხელად
გადავვარდე აქვე მტკვარში:
ცივია და ნერვებს ამშლის!..

ზორბა

# ჩემი გაკომისრება

დაწინაურების რიგმა ჩემამდეც მოაღწია. აგერ ორმოცი წლის კაცი ვარ და ხეირიანი თანამდებობა არც ერთ დაწესებულებაში არა მქონია. მაგრამ ნათქვამია: „ადამიანი (საერთოდ კაცი და არა მარტო დედაკაცი) ბერდებოდეს და ბედს მაინც მოელოდესო". არც აცივეს, არც აცხელეს და კომისრად დამნიშნეს, ნამდვილ შტატნი კომისრად. რომელ უწყებაში, არ გამიგია და ახლაც არ ვიცი; ან რა საჭიროა ამის გაგება? მე ისეთი ბუნებრივი ნიჭის პატრონი ვარ, რომ, სადაც არ უნდა დამნიშნონ, ყველგან გამომოვდგები. ყველაფრის ცოდნა და გამოცდილება თუმცა არა მაქვს, მაგრამ რა საჭიროა, მთავარი საქმე ნიჭია, ამხანაგო, ნიჭი! მე კი ისეთი ნიჭი და უნარი მაქვს, რომ ხანდახან ასე მგონია პირდაპირ კომისრად ვარ დაბადებული! ესეც ცოტაა: თუ ლენინის თქმით, მზარეული ქალიც კი უნდა განაგებდეს სახელმწიფოს, მე ამ მზარეულის მზამზარეული შვილი უნდა ვიყვე! ჩემი პირველი ნაბიჯები ახალ თანამდებობაზე ბრძნული და ღრმა ცოდნის გამომხატველი იყო.

როგორც კი დანიშვნის ამბავი მაუწყეს, მაშინვე ვიკითხე:

— მეყოლება თუ არა მოადგილე ანუ თანაშემწე?!

— გყავს!

— მდივანი?

— ისიც გეყოლება.

„დანარჩენი მე ვიცი"—გავივლე გულში, თანაც ულვაშებში კომისრული მედიდურობით გავიღიმე, პადუის პრინციპით გადევჯგიმე ფიატის ავტოში და გაუდექი გზას.

რამდენიმე წუთის შემდეგ, კომისრის სავარძელში ვიჯექი. ჩემ წინ მორჩილი ბატკნის გამომეტყველებით დაესო მდივანი და განკარგულებას ელოდა.

— აბა, ჩასწერე, ამხანაგო, ჩემი მისაღები დღეები და საათები — სერიოზულ და მეტად საქმიანი კილოთი ვუთხარი მე: „კომისრის ნახვა შეიძლება: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—2 საათამდი.

— ასე ხშირად?—გაიკვირვა მდივანმა.

— ხშირად კი არა, კიდევ ცოტაა—ვუპასუხე მე: განცხადებას, აბა რა აზრი აქვს; ეს ისე, ქაღალდზე იქნება, სინამდვილეში კი არავისაც არ მივიღებ. ორშაბათობით თქვენ ეტყვით მთხოვნელებს, რომ მე სხდომაზე ვარ გაწვეული, ოთხშაბათობით — ცაკის საბჭოში.

— კი, მაგრამ ცაკის საბჭო, მგონი, არც კი არსებობს, ამხანაგო კომისარო!

— საჭიროც არ არის, თუ არ არსებობს. პარასკეობით—სცუსში, ან ზაკვოდხოზში ვიქნები—განვაგრძე მე და შემდეგ მოადგილეს მივმართე:

— სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით ჩემთან, ალბათ, ისეთი მთხოვნელები მოვლიან, რომლებსაც ვერავითარი მისაღები დროს დანიშვნით და წესრიგით ვერ გააჩერებ, გაპოგიტყდები, მეგობარო, რომ მე უბრალო ხასიათის კაცი ვარ. უარის თქმა არაფერზე არ შემიძლია. გარდა ამისა, უხერხულიც არის, რომ კომისარმა ხალხი უარით გაისტუმროს; ამის გამო, მე ყველა ქაღალდებზე წავაწერ: „თანახმა ვარ", „მიეცეს", „ვშუამდგომლობ" და სხვა, მაგრამ ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს რომ..

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ცხადია..; ყველაფერი მესმის! წააწერეთ, რაც გესურვებათ; ჩემი ან საერთო განყოფილების გამგის საბოლოო დასკვნის მიცემამდე მაინც არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

მართალი გითხრათ, უკანასკნელი ფრაზა არაფრად მომეწონა, მაგრამ სამაგიეროდ მე მოადგილესაც და მდივანსაც ძალიან მოვეწონე.

— თქვენ ისეთი გამოცდილება გეტყობათ, რომ ადამიანს ეგონება, თითქოს დაბადებიდანვე კომისრად ყოფილიყო.

მე გადავსწყვიტე დამევლო კომისარიატის განყოფილებები და გამეგო, თუ იქ რა ხდებოდა.

ჩემი აზრი სხვებსაც გაუზიარე.

სამაგიეროთ, სხვებმაც გამიზიარეს, რომ რიგიანი კომისრები ურიგო საქმეს არ სჩადიან.

— გამიგონეთ, ამხანაგო კომისარო, ყველა თანამშრომლებს დააფრთხობთ და მეტი არაფერი გამოვა. სად გაგონილა, რომ კომისრებს კომისარიატის განყოფილებები დაეთვალიერებიოსთ და მათი მუშაობა გაეცნოთ? თუ თქვენ რაიმე საკითხი გაინტერესებთ, შეგიძლიათ საერთო განყოფილების გამგე გამოიძახოთ და მას მოელაპარაკოთ.

მეც გამოვუძახე.

— რით შემიძლია გემსახუროთ?—ცივად შემეკითხა გამგე.

— საქმე შემდეგშია, მეგობარო,—ვუთხარი მე; ჩვენს კომისარიატში „ბიუროკრატიზმი" ბატონობს და საქმის გაჭიანურებას აქვს ადგილი! ბევრისგან ისმის საყვედურები.... მართალსაც ამბობენ: აიღეთ თუნდ ეს ქაღალდი: მან ოცდათორმეტი კაცის ხელში გაიარა და ოცდათორმეტი მინაწერი აქვს: თითქოს ფეხებ დასისხლიანებულ ქათამს უვლია ზედო. გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ!

საერთო განყოფილების გამგემ მხრები აიჩეჩა, და კოპები შეიკრა.

— ქაღალდს წესიერი მსვლელობა ქონია; სხვანაირად არც კი შეიძლება!

— როგორ არ შეიძლება? სად არის ასეთი ,კანონი? — უკმაყოფილოდ ვიკითხე მე.

— ავიღოთ, მაგალითად, „უქსის" სამმართველო. მე იქ რამდენიმე თვე ვიმსახურე ამხანაგ... გვარი დამავიწყდა!.. იქ ყველაფერი თავის რიგზეა: ვთქვათ, მოქალაქეს უნდა თავისი ბინის რემონტი; ამისთვის ცხადდება; განცხადება ჯერ საერთო კანცელარიაში უნდა შევიდეს, სადაც მარტო პირველი რეგისტრაციის დროს ოთხი კაცის ხელში უნდა გაიაროს; შემდეგ უნდა გა-



**იმერელი გლეხი** (კახელს):—კაცო, წრეულს პური დავთესე, მარა უამინდობის გამო ერთი კაკალიც არ მოვიდა!

**კახელი**:—რას ამბობ შენა; პური დაგითესია და კაკალი საიდან მოვიდოდა?

# საექიმო ექიმი

ამბროლაური (რაჭა)



ავადმყოფი:—სანდრო, სად გა იპიხარ? მიშველე რამე, ვკვდები კაცი

სანდრო (საექიმო პუნქტის ექიმი):—დაიცადე, დაიცადე, არა მცალია! სიმღერა ხომ გესმის? ალბად ქეიფია და უნდა დავესწრო!..

# მიღება ცნობათა. გამოთქმა ცოდვათა

როდესაც „ტარტაროზის" № 170 ცნობათა მიღებაში „ბურკას" წერილზე პასუხი წავიკითხე, ერთი, რომ ჩემი თავი შემებრალა და მეორე—„ბურკა". იმ კაცმა თავისი წერილით ბოდიში მოიხადა, მაგრამ მასაც გაუბითურეს და მე კი სულ დამანიავეს. თუ „ბურკა" სწერდა: „პ. ობოლს მოცლა არ აქვსო" —ეს მართალია. მოცლა რომ მქონდეს, აღარც წერილების წერას დავიწყებდი. დაწერილი ცოტაა თუ? დავჯდები და ვიკითხავ, რაღა მე ვიწუხო თავი! მთავლიტი პირდაპირ ლექსებმა ჩაყლაპეს. ისე შეეჩვია ლექსების კითხვას, რომ სალამსაც ლექსად ამბობს. მოთხრობები ხომ იწერება და იწერება. ასე, რომ ასეთ დროს, მოცლა რომ მქონდეს სატარტაროზო წერილის წერას დავიწყებდი?! ვიკითხავდი ჩვენს მწერლებს და ვიქნებოდი. ნუ გეშინია ძმაასე არ არის და „ბურკას" თქმა—„მოცლა არ აქვსო"— სწორია. ვიცი, ამ წერილსაც გოდორი და თქვენი ავტომობილით გატანა მოელის, რახან ასე გამიგრძელდა, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა ის „აზრი, რომელიც თქვენს რედაქციაში შემდგარა" ჩემზე, სწორია. მაგრამ არც მე ვარ დამნაშავე: ერთი ცოლი მყავდა, ყველაფერს მას ვაბრალებდი საცოდავს და მოკლე წერილს გამომდიოდა, მარა ეხლა, როცა სასტიკი პროტესტი გამომიცხადა და „ზაქსითაც" დამემუქრა, საწერი მასალაც გამომელია. ყოველ შემთხვევაში ნუ შეშინდებით, თუ გრძელი წერილების გადაზიდვამ ხარჯები გამოიწვიოს, მე ვკითხულობ. პ. ო.

# სოფ. კვირიკეთი

ტარტაროზჯან, გეხვეწები, ბიძია,
ტელეფონთან მოდი, თუ შეგიძლია.
ამბავს გეტყვი, გასაოცარს ძალიან,
არ გაცნობო, არ იქნება, ძამია!
სამკითხველო ღორმა დაისადგურა,
შიგ ნავარდობს: ტახი, ნეზვი, დიდ-ყურა.
წიგნთსაცავში ნავარდობენ თაგვები;
დაიტაცეს ძმა-ბიჭებმა წიგნები;
გამგეობის თავმჯდომარე, ილიკო,
არჩევის დროს მადლობელი კი იყო,
კეჯალმაძეც მადლობისა ღირსია:
ჩაატარა აქ ალეგრო—ნისია!..
სამკითხველოს თანხაც ქონდა, ძამია,
არ ხმარდება, ეს მაწუხებს ძალიან!..

**მზიკის ხორთუმი.**

დავიდეს თვით „უქსის" სამმართველოში, სადაც უნდა დაიწყოს მისი რეგისტრაციის მეორე სტადია: რეგისტრატურა მდივანი და „უქსის" გამგე, მისი თანაშემწე, შემდეგ—ისევ „უქსის" გამგე... თუ „უქსის" გამგის თანაშემწეს დრო იშოვა და, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რთულ აშენებლობის პერიოდში მას ამგვარი „წერილმანი" საქმეებისთვის არ სცალია, მაინც კეთილ ინება და წაიკითხა განცხადება შვიდი საფეხურის გავლის შემდეგ, გაბედნიერებულმა ქალალდმა შვიდი საფეხურით ისევ უკან უნდა დაიხიოს და „ჩვეულებრივი" წესით გადაეგზავნოს ტეხნიკურ სექციას. ამრიგად, მისი წესიერი მსვლელობის მეთოთხმეტე საფეხურზე ქალალდი უვარდება ტეხნიკური სექციის რეგისტრატორს, შემდეგ — მდივანს ან მისი მოვალეობის აღმასრულებელს, ტეხნიკოსს, ინჟინერს, ისევ ტეხნიკოსს, მდივანს, რეგისტრატორს, კონტროლიორს, შიკრიკს... ერთი სიტყვით, ყველაფერს თავის წესი აქვს და თავის რიგზეც უნდა იაროს... უამისოდ ანარქია გამეფდება, სახელმწიფო დაიღ...

— კმარა! ეს აშკარა „ბიუროკრატიზმია"! „ბიუროკრატიზმი" უნდა აღმოიფხვრას! შევამციროთ შტატი 31 კაცით და დასტოვეთ მხოლოდ ერთი თანამდებობის პირი, რათა აღარ იქნეს განცხადებაზე დანარჩენ 31 კაცის მინაწერი.

საერთო განყოფილების გამგე გაჯავრებული გაბრუნდა ჩქარი ნაბიჯით.

— დააბრძანებენ ვილაც რეგვენს, რომელმაც ქაღალდის მსვლელობის წესიც კი არ იცის და დაგიწყებს ჭკუის სწავლებას. ვნახოთ, ჩემს ადგილზე ვინ იმუშავებს. — მოისმა მეორე ოთახიდან.

— საერთო განყოფილების გამგე სამსახურს თავს ანებებს, ჩემ მაგიერი კაცი მოძებნეთო, — საყვედურითა და აღშფოთებით მიიხრა თანაშემწემ.

— მერე?! მოძებნე!

— გმადლობთ! მეც მივდივარ... სად ვიშოვი კაცს, რომელმაც ქაღალდების წესიერი მსვლელობა იცოდეს? მეც გამანთავისუფლეთ დღეის რიცხვიდან...

ეგეც ვითომ კომისარია! წესრიგს უნდა ამყარებდეს და თვითონ კი ყოველგვარ წესებს არღვევს... არ მინდა აქ სამსახური!.. — ჩაილაპარაკა მეჩანქანე ქალმა. განგებ ჩემს გასაგონად, როცა, სამსახურის შემდეგ, კომისარიატის კიბეზე ჩამოვდიოდი...

— შემამოკლოს, თვითონ დაგავოს, ფოსტაც მან ატაროს... ვნახოთ! — ზიზღით ჩაილაპარაკა ჩემი კომისარიატიდან გამოსვლისას დარაჯმა და გაჯავრებულმა კარი მაგრათ გაიხურა: მეორე დღეს კომისარიატში აღარ გამოვცხადებულვარ!..

**მ—ზა.**

# შეკითხვა შუბლზე თითის მიდებით

„ტყლაპ ტრესტისა“ სააგენტოს
საქმეები მიანდესა,
იმის გამგეს რომ არ შერცხვეს
და არ დააგვიანდესა,

საჭიროა ავტო ყავდეს
სამსახურში პობრძანდესა,
როდესაც შრომა მოსწყინდეს,
უკან სახლში წაბრძანდესა.

შეიძლება შაბათისთვის
გამგე ხასიათზე დადგეს,
და ორი დღით ის ავტოთი
სანადიროთაც წაბარგდეს.

იქნებ ვინმემ დაპპატიჟოს,
ის საქმეებს ვერ პოცდება,
ავტო უცდის: რომ „გაძღე-
ბა“,
ის კრებაზეც მოცოცდება.
ყოველგან და ყოველ წუთში
ავტო დააქროლებს მასა,
კ.თილ- მოუწყობელო..ი
მტვერიც მისდევს უკან ქარსა.

გამგე ჭუჭყსა ვერ აიტანს,
ამიტომაც ტანს დაიბანს,
აბანოში რომ მიცოცდეს
გზაში ერთ- ორს მგზავრს წაი-
იტანს.
ავტო მას ვერ მიატოვებს:
ხომ გაცივდა დანაბანი?
გადახურულ - შეფუთნულო,
გეგონება „ჰამადხანი“
ლულაქაბაბს მიადგება,
აქაც ავტო მყის დადგება.
„ტარტაროზ“-ჯან, ერთი მეთ
ხარ:
გამგე როდის გადადგება?- *)

ტარიელა.

*) ლულა ქაბაბს რომ მორჩება
და ავტოში ჩალაგდება,
სამსახურში თუ მიატანს,
მას თავისიც გარდახდება!..

პასუხი ტარტაროზისა.

# ო ზ უ რ გ ე თ ი

სადაც დიდებულ ქალაქ ოზურგეთს,
ბაზრის ღორები ვერ შეხებიან,
სად ტალახები მუდმივად მყოფნი
მზისგან არ ოდეს არაშრებიან.
სად ღამეები განათებულნი
კუპრის წყვდიადში ჩაიხშობიან,
სადაც ქუჩების უსუფთაობა
ალმასკომისგან დაიგმობიან.
სადაც მახლობელ ბაღის ბოლოზედ
მუდმივად ისმის კეგლის გრიალი
და იქვე ახლოს ქალ-ვაჟის ბრძოლა
ხან გულმოსული კეტის ფრიალი.
სადაც ჩვენს იმედს, წითელ ყაზარმას
ნილაბითაც ვერ გაეკარები:
დგას შემხუთველი მახშობი სუნი
და იქვე მისთვის ღია კარები.
ახლოს ფოსტაში ტელეფონისტკა
ლაპარაკობს და იწითლებს ტუჩებს,
და თავის სატრფოს ცხარე ლოდინში
გამუდმებულად შესცქერის ქუჩებს!..

მეგუკე.

# უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი

## რკინის გზის სამმართველოს

თვალცრემლიანი გაუწყებთ, რომ ჩვენ,მარელისის სადგურის ბაქანზე მუდამ მოსეირნე თხებს: ნიშანს, ნიკორას და ნაცარს, სამ ნეზვს და ორ ტახ ღორს ამ დღეებში დიდი უბედურება დაგვატყდა თავს: ორთქლმავალმა იმსხვერპლა ორი ჩვენი საუკეთესო პირმშო შვილი და ეს უბედურება მოხდა იმ დროს, როცა სადგურის მორიგე იქვე იდგა და არ შეეცადა თავიდან აეცილებია ჩვენთვის ეს აუწერელი უბედურება. ამაზე შორს, განა, ოდესმე კიდევ წავა გულგრილობა და დაუდევრობა? ან რა გულმა მოუთმინა ამ რკინის კაცს არ გადაერჩინა უდანაშაულო ჩვენი ოჯახის საუკეთესო წევრნი? მაგრამ ის არც ამით დაკმაყოფილდა: ტრაგიკულად დაკარგული ჩვენი შვილების მწვადით ჩაიგემრიელა პირი. ამ სადგურზე ყოფნა-ცხოვრების უფლება ყველაზე უფრო ჩვენ გვაქვს, ვინაიდან ჩვენ აქ ჩავისახეთ, დავიბადეთ და ალვიზარდეთ. ვინ იცის, ჩვენ ამ სადგურის რამდენი „ნაჩალნიკი“ და მისი „პოპოშნიკი“ გამოგვიცვლია!

ზემო ნათქვამის გამო, დიდი ხნის თათბირისა და აზრთა გაცვლა- გამოცვლის შემდეგ დავადგინეთ:

— დაუყოვნებლივ იქნას გადაყენებული სადგურის ადმინისტრაციის მთელ შემადგენლობა ჩვენდამი ასეთი გულგრილი და უპატივცემლო მოპყრობისათვის.

ახალ ადმინისტრაციას დაევალოს ყოველთვის წინასწარ გვაცნობოს მატარებლის მოსვლა, რომ დროზე მივიღოთ თავდაცვისათვის ზომები და დაევალოს ყველა მემანქანეებს ნელის სვლით შემოიყვანონ მატარებლები სადგურში, წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხს გავასაჩივრებთ ერთა ლიგაში.

ჯაგარა და ხუცისწვერა.

# შ ა რ ა დ ა

ვის არ უნახავს საგანი
სათბობ დანაწესია;
ხშირად ნედლს ვმხმარობთ,
თუმც ხმელი ათასჯერ უკეთესია.
ოთხი ასოსგან შესდგება
ბოლოს წავართვათ ორია,
(დანარჩენ ასოთა რიცხვიც.
ამისი თანასწორია)...
— ნაცვალ სახელის მხოლობით
რიცხვის პირველი პირია,
ბოლო ანბანის მოკვეთით
ის შარადისთვის გვჭირია...
ეხლა გვსურს სახლის სახელი,
იმერეთს ხმარებულია,
(ქოხის პატრონებს ვინ მისცათ
მის შესაძენი ფულია)!
მესამე ასო მოვკვეთოთ,
ორი დაგვრჩება მთელია...
აქ ჩვენს ალფაბეტს მივმართოთ,
საქმე არ არის ძნელია:
ასო მოვპაროთ მესამე,
შარადის მოსახდენია...
ერთი რამ სიტყვა დაგვირჩა
ეხლა აღმოსაჩენია:
— ნახვით, რა გითხრათ, სმენით კი
სუყველას გაგვიგონია;
„მის“ საფრთხეს ეხლაც გვიქნიან
გარე სახელმწიფონია.
ის არის წყარო სისხლის და
სამსხვერპლოს, მთელი სამყაროს;
მჩაგვრელი ცდილობს, რომ მითი
ჩაგრულთა სისხლი დაღვაროს.
ამ სიტყვის ასო მესამე,
იგივ უკანასკნელია,
შარადის ასაშენებლად
არ არის ხელსაყრელია.
მის ალაგს დავსვათ ასო „ა“,
ვნახოთ: შარადა სრულია.
სიტყვა მივიღეთ ცოტათი
ყვითელფერ გადაკრულია.
დრო არის წელიწადისა,
უხვი და ბარაქიანი,
თან სდევს ღრუბელი და წვიმა
ამინდი ნაკლებ- მზიანი.

ს. ოროკელო.

# ცნობათა მიღება

**ლევანს,** (ქუთაისი. ჭავჭავაძის ქ. №...): მივიღეთ თქვენი პოემა, დაწერილი „მეფის დროინდელ კაპიკიან" ქაღალდის ექვს ფურცელზე.

მართალია: თქვენ ჭავჭავაძის ქუჩაზე ცხოვრობთ, (ნომერს, თქვენს გვარს, მამის სახელს არ ვასახელებთ), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენაც პოეტი ხართ.

პოემას სათაური არა აქვს და მისი ამორჩევა ჩვენთვის მოგინდვიათ, ლევარსი როხროხაძემ თქვენ პოემას ასეთი სათაური მისცა: „აბდა-უბდა"

უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი პოემა ბოლომდე არ წაგვიკითხავს. ანდა რა საჭიროა ბოლომდე წაკითხვა და ტყუილ - უბრალოდ დროს დაკარგვა, როცა პირველი ორი კუპლეტი ასეთია:

**ზაფხულის დღეა, შუადღის ხანი.**
**ფანჯარასთან ზის ლამაზი ქალი.**
**გულმკერდით ბროლი, მკლავებ შიშველა,**
**ოცნებაშია ტურფა ქმნილება.**

—:—

**ამ დროს გაივლიხ ვიღაც კორნეტი,**
**მას სახაზინო მიაქვს ფულები.**
**როს დაინახა ლამაზი ქალი,**
**მან გამოსცქვიტა სწრაფად ყურები...**

ასეთი სტრიქონების შემდეგ განა ღირს თქვენი პოემის ბოლომდე წაკითხვა?

**„მ. პ. ტაბ"-ს** (ყვიბისი, ბორჯომის თემი): სკოლის შეკეთება უფრო იოლი საქმეა, ვიდრე თქვენი ლექსის შესწორება:

**სკოლაში წვიმა ჩამოდის**
**კუნჭულში ვიმალებითო...**
**ვხველდებით, თუ გინდ მოვიდეთ**
**ქოლგით, პლაშჩით და ლებითო.**



ჰა, მოვათავსეთ კარიკატურა, რაკი თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ „სკოლის ხსნა მხოლოდ ამაშია".

**ცუგრუშელას,** (საჯევახო): თქვენ ალბად გგონიათ, რომ როცა ლექსი დაიბეჭდება, შემდეგ ის უფრო ლამაზი და ჰარმონიულია. აბა, კარგად დააკვირდით თქვენ ლექსს:

**პი, პი, ჰერი, ჰერი,**
**აპრუტუნდა სტვირი ჩემი.**
**საჯევახოს ამბავს გეტყვი,**
**მომისმინე გევედრები.**

რა ვქნათ, ჩემო კარგო, ძალიან გვინდოდა თქვენი შებრალება, მაგრამ თქვენმა ლექსმა არ შეგვიბრალა თქვენ და ჩვენი რა ბრალია!

„ვ. ბაბ"-ს: (ინიციალები თქვენი სახელსა და გვარს ნიშნავს): შე კაი კაცო, ასეთ ლექსზე სახელისა და გვარის მოწერა რატომ არ გრცხვენია. ფსევდონიმი მაინც მიაწერეთ, რომ შეგვეძლოს პასუხის მიცემა. (ვერ მიბაძეთ თქვენს ქვემოდ „კითხვითი ნიშანს"?).

**„კითხვითი ნიშანს",** (ქუთაისი): ალბად თქვენც სათუოდ მიგაჩნდათ ამ ლექსის დაბეჭდვა „ტარტარო-ში" და ამიტომ აირჩიეთ ასეთი ფსევდონიმი

**თვითკრიტიკა ყველას მოსწონს**
**ქალია თუ კაცი;**
**კტო პადიმეტ გოლოს პროტივ**
**ხასჯელი მას მკაცრი.**

თვითკრიტიკა ამ ლექსის ავტორისათვისაც არის საჭირო.

**ტარკორს,** (ახალდაბა): თქვენ ამბობთ რომ:

**დიდი ხანია, რაც სძინავს**
**ჩვენს სანიტ-კომისიასა.**
**სამკითხველოში მუდამ წვიმს,**
**კარებსა ნახავთ ღიასა.**

„შეიყვანეთ თქვენი სანიტკომისია სკოლაში და როცა გაწვიმდება, წვიმა გამოაღვიძებს მას"-ო,—ასე შემოგითვალათ ლევარსიმ.

**„არგუს":** ჩვენ მაინც ასე მოვიქცეოდით. — ...რომ თქვენ არ მოგეწერათ:

**მიზეზს ნუ დასდებთ—ეს არ ვარგოდეს.**
**ისე რაც გინდათ ისა უყავით.**
**მე არგუსი ვარ, მაქვს ასი თვალი,**
**ვხედავ და ვარჩევ კარგსა და ავსა.**

არ გვჯერა თქვენი თქმისა, თორემ ამ ლექსს არ გამოაგზავნიდით დასაბეჭდათ. ასი თვალი კი არა, ერთი ფხიზელი თვალიც ნათლად დაინახავს თქვენი ლექსის უვარგისობას.

**ჭკუის კოლოფს:** ტყვილად გგონიათ, რომ თქვენ კარგ ფასში გაიყიდებით. ცარიელ კოლოფს არ... იყიდის.

**კუპატივით სავსეა**
**ჩემი თავი ჭკუით.**
**ქე ღირდა, რომ დედ-**
**მშობა ვაი-უით.**

კარგად გამოჰკითხეთ დედათქვენს მშობიარობის დროს რატომ ჰკივოდა ტკივილებისაგან, თუ თქვენ რომ უჩნდებოდით იმიტომ?

**„ჭუმჭუმა":** სურვილი კარგი გქონებიათ:

**მინდა გავხდე, ტარტაროზო,**
**შენი კორიო,**
**რომ ჩვენს მტრებსა თავს დავესხა**
**როგორც ქორიო,**

სინჯეთ: ცდა ბედის მენახევრეა.

**გულმაგარს:** სწორედ შესაფერისი ფსევდონიმი ამოგირჩევიათ. მართლაც გულმაგარი უნდა იყო კაცი, რომ:

**დიდი ხანია ვაგზავნი,**
**არ დამიბეჭდე ერთია.**
**მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ.**
**მოწყალე არის ღმერთია.**
**ნუ ამიკრძალავ წერასა,**
**რა გენაღვლება ვაგზავნო!**
**დღე-ღამე ვსწერო და შენ კი**
**გოდორში ყველა აგზავნო.**

ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს წერა აგიკრძალოთ და არც გამადლით თქვენი წერილების გოდორში გადაგზავნას. ხოლო თქვენზე უკმაყოფილებას გამოსთქვამს ჩვენი დარაჯი, რომელსაც უხდება სარედაქციო-გოდორის გასუფთავება.

**„ნორცხვა"-ს, (ხიზაბავრა ახალქალაქი):**—შე კაი კაცო, ერთი ხუცესის თავიდან მოსაშორებლად რაღა ტარტაროზს უხმობთ! განა ღირს ამისთვის მანდ ჩამოსვლა?!

# ამანათი ჩვეული—სისწრაფე უჩვეული




ჩამოდექით: — ფოსტა მოდის! ფოსტა... მოდის... მოდის...
მოდის, მაგრამ ის ადგილზე, დანიშნულზე მოვა როდის?!

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 18

ოთხშაბათი 7 ნოემბერი 1928 წ. ფასი 15 კაპ.




ნახ. ს. ნადარეიშვილის



# ერთი ბელადის დღიურიდან

რაც უნდა მომხდარიყო და რაც ჩვენ არა ერთხელ გვიწინასწარმეტყველებია: ბოლშევიკებმა უღალატეს დემოკრატიას, აჯანყდენ და ძალა-უფლება გადასცეს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს. ეს კი მოახწავებს მათ საბოლოოდ გაკოტრებას. ცხადია, ისინი ძალა-უფლებას ვერ შეინარჩუნებენ დიდხანს. დიდი-დიდი ერთი ან ორი კვირა იარსებოს მათმა „რევკომმა“ და შემდეგ ისტორიული აუცილებლობით უნდა დაენხოს და მისი ადგილი ხელახალა დემოკრატიამ დაიჭიროს. მაგრამ სინამდვილეში დღეს მათ ხელშია ძალა-უფლება. ამიტომ დემოკრატიას მართებს დიდი სიფხიზლე და გამჭრიახობა. მან უნდა თავი მოუყაროს ქვეყნის ყველა ცოცხალ ძალებს და დარაზმოს ის ბოლშევიკების პირისპირ...

**1918 წ. ნოემბერი.** ყოველივე ჩვენი მოლოდინის გარეშე, ბოლშევიკები კიდევ სათავეში უდგანან ქვეყანას რუსეთში. მართალია, მათი დღეები დათვლილია, მარა ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება. სულ სხვა არის ჩვენში. ჩვენმა დემოკრატიამ შემოიკრიბა გარშემო ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები და ამიტომ აქ არა აქვს გასავალი ბოლშევიკების იაფ დემაგოგიას, არც ექნება არას დროს...

**1919 წ. დეკემბერი.** ჩვენ არა ერთხელ გვიწინასწარმეტყველებია ბოლშევიკების საბოლოო გაკოტრება ადრე თუ გვიან. სწორედ ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. მოსკოვზე სამი მხრიდან აწარმოებენ შეტევას ბოლშევიკების მოწინააღმდეგეები, —მხოლოდ ერთი მხარე არის თავისუფალი მათ გასაქცევად უდაბურ ტყეებში. ახლოვდება ის დრო, როდესაც დემოკრატია ფეხიზლად უნდა იდგეს სადარაჯოზე.

**1920 წ. მაისი** მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რასაც ჩვენ დიდი ხანია ვწინასწარმეტყველებდით: დღეს ბრმაც კი ხედავს ბოლშევიკების გაკოტრებას. თუ ისინი მაინც ბოგინობენ რუსეთში, ეს იქაური დემოკრატიის სისუსტის ბრალია. მხოლოდ ჩვენმა დემოკრატიამ, რომელმაც შემოიკრიბა ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები თავის გარშემო, წამოაჩოქა ბოლშევიკები და აიძულა ჩვენთან ზავის ხელშეკრულების დადებაზე..

**1921 წ. თებერვალი.** მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: ბოლშევიკებმა უღალატეს დემოკრატიას, აჯანყდენ და გამოაცხადეს საბჭოების ხელისუფლება ჩვენშიაც. ამით ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი გაკოტრება. სულერთია, მათი არსებობის დღეები დათვლილია. ვერავითარი გაფართოება სივრცეზე მათ ძალა-უფლებას ვერ იხსნის დამხობისაგან.

**1922 წ. მაისი.** მიუხედავად ყოველივე მოლოდინისა, ბოლშევიკების ხელისუფლება ჯერ კიდევ არ დამხობილა, თუმცა დიდი ხანია, რაც მისი დღეები დათვლილია. ბოლშევიკების გაკოტრება და მათი აღსასრული აუცილებელი იყო, რომ შარშანდელ და წლევანდელ შიმშილობას ხელი არ შეეწყო მათთვის. მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ იგივე შიმშილი მოუღებს ბოლოს მათ არსებობას. დემოკრატია უნდა იყოს ფხიზლად და პირველსავე მოწოდების ხანს დადგეს სადარაჯოზე...

**1923 წ. მარტი.** მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რასაც ჩვენ დიდი ხანია ვამბობდით: გაკოტრებული ბოლშევიკები კიდევ შეეცადენ ძალა-უფლების გაფართოებით თავიანთ ბატონობის შენარჩუნებას, მაგრამ ვერ მიართვეს! გერმანიის დემოკრატიამ შესაფერი პასუხი გასცა მათ გამოსვლებს. ეხლა ქვეყანა ხედავს, რომ მათ არამც თუ ევროპის რომელიმე ქვეყანაში არ ძალუძთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, არამედ რუსეთშიდაც მათი დღეები დათვლილია. ვერც მტკიცე ოქროსა და ვერცხლის ფულებზე გადასვლა, ვერც გეგმიანი აღმშენებლობა, ელექტროფიკაციის, ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის აღორძინება ვერ იხსნის მათ დამხობიდან. დღეს თუ ხვალ დემოკრატიამ უნდა დაიჭიროს მათი ადგილი...

**1924 წ. აგვისტო.** ეხლა კი ყველასათვის ცხადია, რომ ბოლშევიკების გაკოტრებამ უკიდურესი წრეს გადააჭარბა თუ გაკოტრებული ხელისუფლება არა, აბა სხვა ვინ ჩააცხრობდა დემოკრატიის აჯანყებას? მაგრამ განწირულს ვერაფერი იხსნის. რაც არ უნდა გააჩაღონ აღმშენებლობა, თუნდაც ნამდვილი სოციალისტური, მათი დამხობის დღე მაინც მოახლოვებულია და დემოკრატიის გამარჯვება აუცილებელია...

**1925 წ. ნოემბერი.** გაკოტრებული ბოლშევიკები ჯერ კიდევ არსებობენ და სათავეში უდგანან ქვეყნის ერთ მეექვსედზე მართვა-გამგეობის საქმეს, დიდი ხანია, რაც დათვლილია მათი დამხობის დღეები, მაგრამ ჯერ კიდევ თუ ბოგინობენ, ეს მათ ბედს მიეწერება, საჭიროა მხოლოდ დემოკრატიის სიფხიზლე და ყველა ცოცხალი ძალების დარაზმვა ბოლშევიკების წინააღმდეგ...

**1926 წ. იგივე წელი.** მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რასაც ჩვენ დიდი ხანია ვწინასწარმეტყველებდით. გაკოტრებულ ბოლშევიკებში რღვევა უკვე დაიწყო. გარკვევით უნდა ითქვას, რომ მათი არსებობის დღეები დათვლილია. მართალია, შარშანდელმა და წლევანდელმა კარგმა მოსავლიანობამ რამოდენიმედ გაახანგრძლივა მათი არსებობა, მაგრამ დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ ეს კარგი მოსავალივე უქადის მათ აუცილებლად დამხობას. არავითარი ზავესი, აბგესი, აჭგესი, აბრეშუმის და შალის ქარხნები აღარ გაახანგრძლივებენ მათ არსებობას. ყველაფერი ეს გადავა დემოკრატიის ხელში, თუმცა ბურჟუაზიულის, მარა მაინც დემოკრატიის...

**1927 წ. მაისი.** ყოველ მოლოდინს გარეშე, გაკოტრებულ ბოლშევიკების ხელისუფლება უფრო ხანგრძლივი გამოდგა, ვიდრე ვფიქრობდით. მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი დღეები დათვლილი არ იყოს და დღეს თუ ხვალ ის არ დაემხოს. თუმცა ჯერ არ არის გამორკვეული მოსავლის პირი, მარა, როგორც არ უნდა იყოს ის, სულ ერთია, ბოლშევიკებს მაინც არ უშველის. მათ დამხობას ერთნაირათ ემუქრება მოსავლიანი და უმოსავლო წლეები. არც წარმოების განვითარება იხსნის მათ: რაც მეტი პროლეტარიატი იქნება ჩაბმული წარმოებებში, მით უფრო უარესი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამიტომ დემოკრატია მოუთმენლად უნდა ელოდეს იმ დღეს, როდესაც ბოლშევიკური ხელისუფლება დაემხობა და დემოკრატია გამეფდება მის ადგილას...

**1928 წ. 7 ნოემბერი.** მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რაც ჩვენ დიდი ხანია ვიწინასწარმეტყველეთ: ბოლშევიკები გაკოტრდენ. ვერაფერმა ვერ უშველა მათ: ვერც ცუდმა მოსავალმა, ვერც კარგმა, ვერც წარმოების გაჩაღებამ, ვერც სოფლის მეურნეობის აყვავებამ, ვერც მუშების და გლეხების კავშირმა და ვერც მათ შორის განხეთქილებამ. ეხლა ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ მათი დღეები დათვლილია: დღეს თუ არა—ხვალ უნდა დაემხონ... სამას სამოცდა სამო წმინდა გიორგი, შენ დააქციე და დაამხვე მაგათი თავი!., მთავარ ანგელოზო გაბრიელ, ძლიერო ლომის კარელო, თქვენ დასწყევლეთ და შეაჩვენეთ მაგათი დღე და მოხწრება!.. ყოვლად წმინდა ღვთის მშობელო, შენ მოხედე და შეეწიე დემოკრატიას!... წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს ძალი და დიდება უფლისა ღვთისა!.. ალილუილია, ამინ!..

ნოე რამიშ... უკაცრავად

ს. თ—ია.



# ოქტომბერი

ნახ. მარიაშინის




ასე ნატრობდენ
ყოველ გრგვინვაზე:
„ოი, გავარდეს
ნეტავი მეხი,

რომ მოვიშოროთ:
ფეხზე ბორკილი,
ზურგზე — მონობის
და ტანჯვის ქეხი".

...და თებერვალში
ღრუბლიან ცაზე
როცა შორეულ
გრგვინვით იელვა,

მილიონების
ტანჯულ გულებმა
სიხარულისგან
დაიწყეს ღელვა.

...მაგრამ სიხარულს
ფრთა მოეკვეცა —
გრგვინვამ „მშვიდობით"
გადაიარა

აღარ გავარდა
ნანატრი მეხი,
ხულს მოემატა
ცოდვა იარა...

...და, ჰა, მოვარდა
როგორც გრიგალი
ლენინ — ცეცხლოვან
სიტყვის მფრქვეველი

და მის სიტყვებზე
ეხოს იძლევა
ზარბაზნები და
ტყვიისმფრქვეველი.

ქუჩებში ყველგან
ისმის ყიჟინა:
„მშვიდობა ქოხებს...
ომი სასახლეს?"...

საფრთხეში არის
ყველას სიცოცხლე
და ქვემეხები
ანგრევენ სახლებს.

ბრძოლა გრძელდება
გამარჯვებამდე...
უკან მარქაფში
მილიონია....

დღეს პეტროგრადი
ძველი პარიზი
და ძველის-ძველი
ილიონია.

ჯვარი დაუსვეს
მტრებს და მათ იმედს
(„მორწმუნენია"
და სწამთ ეს „ჯვარი")

და დროებითი
მთავრობა დასცეს
ტახტის საწმენდი
ახალი ჩვარი...

(და მართლაც იყო
ის „დროებითი"
დასცალდა მხოლოდ
შვიდი თვე სრული;

მერვე თვეზე კი
მოაბეს უესტი
და ზღვის ნაპირზე
დალია სული).

უკან თერთმეტი
და წინ ამდენი
მთლად გააწითლებს
ამ ჩვენს პლანეტას

და ზედ რაც არის
ძველი ნაგავი
დავიწყებაში
სულ გადახვეტავს.

ი. ხინველი.

## ციფრები... ციფრები...

ყოველთვის, დაწოლის წინ, ჩვეულებათ დასჩემდა კედლის კალენდარიდან სადღეისო ფურცლის აგლეჯა.

სამშობლოდან გარდახვეწილს, უსაქმოსა და თითქმის სრულიად, უსახლკაროს, მას ილაჯი გართმეული ჰქონდა ცოლის ყოველ დღიური მოთხოვნილებების მოსმენით და... მოთმენით, რადგან უუსაჭიროესთა დაკმაყოფილებაც კი შეუძლებელი იყო, არა თუ ყველასი. ასეთ პირობებში კალენდარიდან ფურცლის აგლეჯა მასში ბადებდა უსიამოვნო, ნაჩხუბარ - ნავალალევი დღის თავიდან მოშორების სასიამოვნო ილიუზიას.

იყო შინაგანი რაღაც აუხსნელი ლტოლვაც: მას ეჩქარებოდა დღეების ჩქარა წარმავლობა, თითქოს სადღაც მიეშურებაო.

რამდენჯერ უსაყვედურნია ცოლს:

— საშუკ! რადა გაქვს ხოლმე ასეთი ცუდი ჩვეულება? რამდენჯერ ხვალინდელი რიცხვი დღევანდელში ამირევია?!...

მოხდა ასეც: თითქმის ერთი თვის განმავლობაში ყოველ რიცხვს ერთი დღით ადრე ითენებდენ; ქმრის მიერ ანაგლეჯზე ერთი ფურცელი ერთ მშვენიერ დილით ცოლსაც აეგლიჯა; რის შემდეგაც, წავიდა მიყოლებით, სანამ თვის ბოლოს ერთმა ნაცნობმა არ შენიშნა ეს და არ შეასწორებინა: იმ ერთმა ფურცელმა ორი დღე ზედიზედ ერთად გაითენა საშას ოჯახში.

ფურცლების აგლეჯა კედლის კალენდარიდან ყოველთვის ერთი და იმავე დაფანტულობით, გრძნობით და განცდით, ტრაფარეტულად კი არ ხდებოდა. იშვიათი ეკზემპლიარი — სასიამოვნოს, ხოლო უმეტესობა — საშძიმო თუ სამწუხარო მოგონებებს, განცდებს თუ ემოციებს იწვევდა.

შენიშნული იყო, რომ ყოველთვის ორი ფურცლის აგლეჯა მეტად მძიმე შთაბეჭდილებების ქვეშ მიმდინარეობდა: ერთი მათგანი იყო მისი დაბადების დღე, ხოლო მეორე...

იმ დროებში შამპანიურ ყურძნის აკიდოები, ჩამიჩი თუ სხვა რამ ბლომად აწყდებოდა პარიზის ხილით სავაჭროებს. ქმარს მთელი დღე არ მოუსვენია აბეზარი ცოლისაგან. ფული არ იყო, თორემ ასეთი რამეებით პირის ჩატკბარუნებაზე თვითონაც არ იტყოდა უარს.

საწოლს დაღლილ - დაქანცული და გულ - გაწყალებული მიუახლოვდა: მაშინალურად სწვდა კედლის კალენდარზე მორიგ ფურცელს და რისიმე მოაზრების უმალ აგლეჯილი ქაღალდი ხელში შერჩა. კალენდარმა „25 ოქტომბერი“ უჩვენა. შეკრთა: ეს სწორედ ის მეორე ფურცელი იყო, აგლეჯა რომ უმძიმდა.

ეს მოხდა შორეულ, ნესტიან პეტროგრადში. სადღაა ახლა ეს სახელი? ლენინგრადის გახსენებამ ლენინიც მოაგონა. ამან კიდევ საზამთრო სასახლეც... კედლის ჩაყოლებით წვიმის წყლის საწრეტი მილი...

— ო, როგორ ცივი იყო იმ წუთს ეს მილი!... მაგრამ... რარიგ „თბილიც“ იმავე დროს!.. დატყვევებას და მგონი, სიკვდილსაც სწორედ ამ მილმა გადაარჩინა... შემდეგ წოწვა - თრევა და, ვინ მოსთვლის, რამდენი უსიამოვნება!...

— ჰა, კიდევ არ იშლი, საშუკ!... მოისმა უკანიდან ცოლის უსიამოვნო ფალცეტი:

„რა გეჩქარება, თუ იცი, ჰა? დღეები გვაკლდება, ხომ არ გვემატება?!. იქნებ სამშობლოში მიგიხარია? პორტფელი და მინისტრობა არ დაგიბრუნონ ერთბაშად!... ესეც შენი კეთილი ნაცნობი „25“, კარგათ მოიგონე!...

მაგრამ ეს სიტყვები საკმაო იყო, რათა შელახული თავმოყვარეობა ისევ ალაპარაკებულიყო, თითქოს მტკივან ფეხზე ფეხი დაადგესო:

— სრულიადაც არა! შენ რომ 25-ს გულისხმობ, ის, მხოლოთ 7 ნოემბერს გათენდება; 13 დღე ჯერ კიდევ წინ არის!...

— 13 დღე კი მართლაც კაი მანძილია — გაიფიქრა მან, უკვე ლოგინში ჩალაგებულმა და პასუხი რომ ვერ მიეცა იმისათვის, თუ ისეთი რა უნდა მომხდარიყო ამ 13 დღის განმავლობაში; რაც მას იმედათ გამოადგებოდა, კედელს თვალიერება უწყო, თითქოს იქ საბედისწერო ნიშნებს ეძებსო.

მაგრამ „სასწაულები“ არც თუ ალარა მეორდება, არც კი ხდება.

არ ვიცით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ეს მდგომარეობა. ვიცით მხოლოდ, რომ, როცა მეორე დღეს გამოეღვიძა, თვალები ისევ კედელს მიავლ ვლო და იქ კედლის კალენდარზე თვალი მოჰკრა, ზევით მსხვილი ციფრით რომ ეწერა: „7 ნოემბერი“, ხოლო ქვეშ ფრჩხილებში მოთავსებული იყო: „25 ოქტომბერი“.

— 13 დღე ძილი?!.. წარმოუდგენელია... ნუ თუ ყველაფერი რიგზე მაქვს ან რიგზეა საზოგადოთ ქვეყანაზე?!..

გამოირკვა: იმ ღამეს ქმარს რომ ხვრინვა ამოეშვა, ცოლს ჯავრის საყრელად კალენდარიდან 13 ფურცელი ერთბაშად აეგლიჯა.

არც მეტი, არც ნაკლები...

საბჭოთა კავშირში კი ამ დროს, თუ მე-11 ოქტომბრის საზეიმო შეხვედრისათვის ემზადებოდენ, სულ სხვა ციფრებით „ირთობდენ“ თავს:

ეს იყო ახალ სოციალისტურ აღმშენებლობაში დამკვიდრებული, ემრეწოდებული „საკანტროლო ციფრები“!..

ონისიმე.

## გამოუნენელებელი „ქარი“

ნახ. დონის.



— რა ამბავია? ნიკრისის (რევმატიზმი) ქარს ხომ არ გრძნობთ?

— რა ნიკრისია, ყოველ წელს სწორედ ამ დღეს ამ თერთმეტი წლის წინად ამოკრული პანღურის „ნაძალი“ ხელახლა დამივლის ხოლმე და... ვაი!.. ვაი!.. ვაი!!!

# საოქტომბრო შენიშვნები

## 1. საგარეო და საშინაო მდგომარეობა

წინააღმდეგ ჩვენში გავრცელებულ ყალბ აზრისა, უნდა ითქვას სიმართლე, რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ვერ არის მაინც და მაინც საშური. ამის დამალვა ეხლა უკვე შეუძლებელია. — ცხადია, რაც დრო გადის მით უფრო ვსუსტდებით და გველევა ძალღონე. სალაა ამოგვძვრება კიდეც სული. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს საზღვარგარეთის ყველა ბურჟუაზიული და მენშევიკური გაზეთები. წაიკითხეთ და დარწმუნდებით... რაც შეეხება ჩვენს შინაურ მდგომარეობას, არც აქ არის კარგად საქმე. შეიძლება ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცოდეს, თუ რა გრანდიოზულ აჯანყებას ქონდა ადგილი ამას წინად უკრაინაში. ვინ იცის, შეიძლება ეს ისტორიული მოვლენა მთლად შეუნიშნავიც დარჩენილიყო, რომ საზღვარგარეთიდან არ მიგვეღო ამის შესახებ ცნობა (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი მოვლენა ადასტურებს იმასაც, თუ როგორ ცუდათ არის დაყენებული ჩვენში უბრალო კავშირ - გაბმულობის საქმე და ეს ერთის მხრით რევოლიუციის 11 წლის თავზე, და მეორეს მხრით, როცა ამ.-კავკასიის ფ. ტ. სამმართველომ ოქტომბრის მიწურულში კილამ რადიო-სადგური ააგო თვით მყინვარის კენწეროზე. მხოლოდ ამინდის შეუგნებლობამ შეუშალა ხელი).

საწინააღმდეგოთ ჩვენი ასეთ სუსტ მდგომარეობისა, სულ სხვა სურათს ვხედავთ; ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ამას უკანასკნელი გაფიცვების ტალღაც ამოწმებს. მართლაც თუ სახელმწიფო მდიდარი და ძლიერი არ არის, როგორ შეუძლია მას დროის მოსაკლავად ისეთ ძვირ გასართობებს მიმართოს, როგორიც არის გაფიცვები.

## 2. ელექტროფიკაცია

რაც შეეხება ელექტროფიკაციას. ამ მხრით მეტად დიდი მიღწევები გვაქვს: ზაჰესი. რიონჰესი, აბჰესი. აჭჰესი, და სხვა ასეთი ჰესები მრავლად მოგვეპოვება. მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია. ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევა, პატარა, მაგრამ უძლიერესი, ეგრედწოდებული — „ტუესი“. ამ უკანასკნელის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება, ჩქარა და ძირში შეაკვეცოს ფრთები ყოველ მოქალაქის ალვირ-ახსნილ ოცნებას ელექტროფიკაციაზე. რადგან გადაჭარბებული არაფერი არ ვარგა. მით უმეტესი ოცნება. და თუ ხანდისხან ტუესიც აჭარბებს, ეს შეტის მეტ მუყაითობით და გულუბრყვილობით მოსდის და, მაშასადამე. საპატიებელიც არის.

## 3. აღმშენებლობა

აღმშენებლობა რომ ჩქარი ნაბიჯით მიდის ჩვენში ამას ყოველდღე წაიკითხავთ გაზეთებში. სად გინდა, რომ არ აგებენ ქარხნებს. მაგრამ ქარხნების შესახებ სიტყვა სპეციალისტებს მივანდოთ. საშარო საქმეა. ლაპარაკში ადვილად შეიძლება წაგვცდეს. რომ ეს და ეს ქარხანა სჯობს ამა და ამ ადგილას იქნას აგებულიო. შემდეგ, რომ აილონ და ეს ქარხანა მართლაც იმ ადგილას ააგონ, მერე, მარელისის ქარხნის არ იყოს. საყვედურებს ვერ აუხვალ. (თუ კი საყვედურებით დაგაკმაყოფილეს.) საბინაო აღმშენებლობის შესახებ კი ვიტყვით, რომ ეს ახალი სახლები სოკოებივით რომ ჩნდებიან. — კარგს არაფერს მოასწავებს. მართლაც. თუ ეს აღმშენებლობა აწიც იმავე ტემპით გაგრძელდა, როგორც დღეს მიდის, ხომ გაუსკდა ერთ მშვენიერს დღეს გული იოსებ გრიშაშვილს—ძველი ტფილისის მოტრფიალეს. აი ეს ერთ-ერთი მთავარი საშიშროება, რომელიც ჰოელის, ჩვენს საბინაო აღმშენებლობას მომავალში; რაც შეეხება ქართულ სტილს, ამ მხრით, მხოლოდ ერთი ნიმუში უნდა იყოს დარჩენილი. ციხე-კოშკები უკვე ამოწურულია და ამოწოვილი, დარჩა მხოლოდ ტაძრები, და რა უშლის ხელს ჩვენს აღმშენებლებს მათ აგებაში, ამის თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში არა სითამამის უქონლობა.

## 4. სახკინმრეწვი

ყველამ იცის, რომ სახკინმრეწვი პირმშო შვილია ოქტომბრის რევოლიუციისა. თუმცა, როგორც ხმები დადის, მშობლების დაუდევრობის გამო, სხვის ოჯახში უნდა იყოს აღზრდილი და ისიც უთვალყუროდ. ის ჯერ კიდევ ბავშია. დეფექტიან ბავშის გამოსწორება კი არ არის ძნელი, თუ სწორი იქნება მიდგომა. მიუხედავად თავისი სინორჩისა, სახკინმრეწვის მიღწევები მაინც თვალსაჩინოა. მაგრამ მთავარი მიღწევა არის ის, რომ **ჩვენი თავი ჩვენ თვითონ შეგვაძულა.** რაც სახკინმრეწვის ეკრანზე სისხლი და ცრემლი დაიღვარა, ოთხთვალიან წისქვილს აბრუნებდა. რაც შეეხება კულტურულ გავლენას მაყურებელზე, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. საკმარისი იყო სახკინმრეწვის მხოლოდ ერთი სურათის ჩვენება სოფლად, რომ იმ სოფელში სამუდამოდ გადავარდნილიყო ქალების მოტაცება, გაუპატიურება. ხანჯლების ტრიალი, ქეიფი და წარმოიდგინეთ ლეკურის თამაშიც კი. ისე უზომოდ, მაშასადამე მოსაბეზრებლად, იყო ყველაფერი ეს სურათში.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, რევოლიუციის მეთერთმეტე წელზე სახკინმრეწვში თურმე რაღაც გარდატეხას აქვს ადგილი. აქ უცნაური არაფერია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ახმეტელის აკადემიური დრამა ისე თავგამეტებულად გადაეშვა რევოლიუციის ტალღებში, რომ შეიძლება კიდევ შეემთხვეს რამე, თუ არავინ გამოუჩნდა მშველელი.

## 5. კულტურული რევოლიუცია

ყველა საკითხებში, ეს საკითხი ყველაზე უფრო რთული და გამოურკვეველი საკითხია. განსამარტავად კმარა ერთი მაგალითი. თუ, მაგალითად. სოფელში გლეხმა ექიმბაშს გვერდი აუხვია და პირდაპირ ექიმისაკენ გაქუსლა, ეს უკვე კულტურული რევოლიუციაა. მაგრამ საკმარისია ექიმმა გლეხს კვერცხი, ინდაური ან გოჭი მოთხოვოს, კულტურული რევოლიუცია უკვე კულტურულ მყვლეფელობად იქცევა. ამათში კი განსხვავება დიდია. ასეთივე სიბრტყეში სდგას შეფობის საკითხიც, მაგრამ ამ საკითხზე სჯობს მომავალ ზაფხულში ვილაპარაკოთ, რადგან დღეს როცა უკვე სიცივეები დაიჭირა და კარზე ზამთარია მომდგარი, შეფობის საკითხის სინათლეზე გამოტანა არავითარ სიამოვნებას არ წარმოადგენს. ყველაფერს თავისი სეზონი აქვს და ნუ მოვიქცევით ისე, როგორც ამას მუშკოოპი სჩადის, როდესაც საზამთროდ თბილეულობის ნაცვლად ვიტრინებში ჩითეულობა აქვს გამოფენილი. მაგრამ ისევ კულტურულ რევოლიუციას დავუბრუნდეთ. საკითხავია, გვაქვს თუ არა ჩვენ რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე რაიმე მიღწევები ამ სფეროში?... უთუოდ გვაქვს. მაგალითად ტფილისში ერთ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. წარსულ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა რომელიღაც სამხეცე და მოთავსდა ჟოკეი - კლუბის შენობაში. თუმცა წარსულ ზაფხულში ჟოკეი-კლუბი ისედაც სამხეცეს წარმოადგენდა, სადაც შეუიარაღებულად შესვლა სახიფათო იყო. მაგრამ დღეს - დღეობით იქ მოთავსებული სამხეცე უთუოდ გაცილებით უფრო მშვიდობიანი ხასიათისაა. ყოველ შემთხვევაში იქ შესვლა შესაძლებელი იქნება უიარაღოდ. თითქოს მცირე მიღწევაა, მაგრამ ჟოკეი-კლუბისთვის კი ეს ნამდვილი კულტურული რევოლიუციაა!....

სინემატო.

# ღმერთი და ოქტომბერი

(პოემა ოთხ სურათად)

ჯაბ. მარიამიძისა. ტექსტი მაზნიაშვ.







ილიმოდა მამა-ღმერთი...
(მისი მადლი შეგვეწიათ,
ცა რომ მაღლა ტახტად ედგა
და ქვეშ მიწა—ეკლესიათ!)
ილიმოდა და სათვალე,
გუტაპერჩის, — ეგო ცხვირზე,
რომ არა-რა გაჰპარვოდა
იქით-აქეთ ცის გამზირზე!..
აქ ყოველი რიგზე იყო,
არ სწვდებოდა მიწის სევდა,
ქვეშ — ღრუბლებში, ზევით — წვერში
მეტარების ცრემლს აფრქვევდა...
იქ კი, სადღაც, მიწის მკერდზე
თუ ჰბოლავდა ქარხნის მილი,
იმ ბოლს თავზე მტვერს აყრიდა
ციდან ღმერთის ეს ღიმილი...
და ქვეშ ქარხნის ბატონ-პატრონთ
აცვივოდა იგი ოქროთ,
რომ ეყაჰათ ჯიბეებში
კვლავ საჰნევად და საოხროთ!
და თუ იქვე მუშა ხალხი
ჰკვნესდა ამ დროს ქარხნის მურში,
ღმერთს არც სურდა ამის სმენა,
"ჭგვერი"*) გეკრათ თუნდაც ყურში!
მაგრამ ათას ჩვიდმეტი წლის
რომ ჩამოდგა ოქტომბერი
და აიჭრა მიწით ბოლი,
ცამდე მუშტად მონაღერი, —
შეკრთა უცბათ მამა-ღმერთი:
რაც იცინა, სჩანს, ჩამწარდა
და ცხვირიდან ის სათვალეც
ლამის ძირს ჩამოუვარდა...
(ვაი, ეს რომ მომხდარიყო,
დადგებოდა წარღვნა ქვეყნის!
ამ ძნელ საქმეს, როგორც ვიცით,
ღვთის სათვალის დაფშვნაც ეყვის!..)
მაგრამ, ვმადლობ ქაჯს, გადავრჩით:
ღმერთმა იკრა შუბლზე ხელი
და სათვალეც ძეწკვით ყურზე
აღარ მორჩა გადუსკვნელი!..
მხოლოთ პირი, ეს ღიმილით
გაბადრული თვისი პირი,
იმან რისხვით რგოლად შეჰკრა,
გამოთქმა, ვით საყვირი!.
სწორად იმ წუთს წყნეთის გზაზე
აყროყინდა ჩვენშიც ვირი!...
ღვთის ხმის ჩენა ვირის ყბიდან
სულ არ არის გასაკვირი.
მიწა ადრეც მოსწრებია
ამისთანა მაგალითებს,
მაზედ ცნობილ ვალაამის
ისტორიაც მიგვითითებს!
აბა, სამსონ მსაჯულს, ძლიერს,
და წმინდასაც, მგონი, მასთან,
ვინ არ იცის, რა კავშირიც
ჰქონდა გამხმარ ვირის ყბასთან!
და ქრისტეც ხომ, ვირზე მჯდომი,
ერუსალიმს შიშით სძრავდა!..
დიახ, ვირი ხმით თუ შრომით
ღვთის სამსახურს ბევრჯერ რთავდა!..
ჰო და, როცა ხმა ამოხდა,
როცა ხელი შუბლზე შერჩა,
როცა მხრები ამნაირად
მან კვლავ ცისკენ შეიჩეჩა,
იმის შემდეგ, ღმერთიც ცაში
არ უნახავს არვის მშვიდათ...
და ის დღეც იმ წლის ნოემბრად
აღიბეჭდა ცის ქვეშ შვიდათ!
წელი განხდა, სხვა გამოხდა,
მოხდა... ხშირად რაც არ ხდება:
ცისკენ მიწით აგრაგნილად
გოლოლივით რაღაც სდგება...
მწყობრად, დინჯად, შეგნებულად
აწებებენ აგურს - აგურს.

*) ჩხირი.




და აგებენ: სახლს, ქარხანას,
სადგურს თუ ელექტრო-სადგურს...
რას არ სჩადის შრომის ქვეყნის
ხალხი, ძმურად შენაერთი?
სათვალავი რომ დაიწყოს,
ჯანს გაიცვეთს მაზედ ღმერთი!
თორემ აგე ბერიკაცა,
სათვალეებ - მორჭმით ცხვირზე,
სად გასწვდება ანგარიშებს
რკინა - ფოლად - ქვა - ნახშირზე?!.
მაგი ღაფას უნდა სჭამდეს,
უკბილობით ყბა-მოშლილი,
მაგის საქმე უნდა იყვეს
სმა-ჭამა და ტკბილი ძილი....
და საბჭოთა მშენებლობას
რომ ხედავდა ასე ჭარბათ,
ღრუბელთ თავზე იგი ციდან
გადმომდგარი სჩანდა ზლარბათ!
და მის ზურგში ცის ლაჟვარდი
ჯერ კვლავ იდგა თითქოს მშვიდათ,
თუმც წელი წელს შეეცვალა
ათჯერ ნოემბრის შვიდათ!...
მაგრამ აი, მეთერთმეტე
რომ გამოჩნდა ოქტომბერი,
როცა ღვთის წინ აღიმართა
ნაგებობა ბევრზე ბევრი;
როცა კოშკს თუ საკვამლეებს
აღარ ჰქონდა სათვალავი,
წყლებს, რომ ცეცხლად გარდაქმნიდა
დალოცვილი მუშის მკლავი,
(წყლის გარდაქმნა ცეცხლად ღმერთსაც
არ მოსწონია სასწაულად,
მხოლოთ ქრისტე მოციქულებს
ატარებდა წყლებზე ბრძნულად;
ისიც მოკლე მანძილზე თუ
რთავდა საქმეს, მას, ჭკვიანურს,
როცა ზღვები გრაგენით მიაქვს
დღეს ქვეყნად გემს, ოკეანურს;
„კრასინმა“ კი თვით ყინულთაც
შესძლო ჭრა და ასე ცურვა,
როცა მარცხი „ნობილესი“
განწირულთ ხსნით ამოსწურა...
აბა, ღვინოდ გარდაქცევას
წყალის ისე ხელ-დახელად
სასწაულის რა აცხია?
მიკიტნებიც რთავდენ ძველად!...)




ჰო და ამ ცეცხლს, მზებრ ბრწყინვალეს,
ჭოთვარესავით მოკამკამეს,
გულში სცემდა მუშა ხალხი
ავსულთ სარბენ შავ-ბნელ ღამეს!...
და ეს იყო თვით ღვთის გულში
დაურიდლად ლახვრის ცემა,
ეს ის იყო, რასაც მოსდევს:
„ღვთის რისხვა“ და „ანათემა“.
რაც ღმერთს მართლაც აღარ სურდა,
რა რომ გაჩნდა კომკავშირი,
რაც დაიწყო ჯვართა მსხვრევა
და საყდრების რბევა ხშირი,
რაც ღვთით ნაკურთხ ეკლესიას
შეესია „კლუბის ხალხი“,
განათლების კერად იქცა
ეგ სიბნელის ადრე ჩარხი,
და უკულმა მოტრიალემ,
მან იქ წალმა იწყო ბრუნვა;
მღვდელ - დიაკვნის ნაცვლად, ხალხზე
პოლიტგანმა იწყო ზრუნვა!...
ღმერთს არ სურდა, დიახ, რისხვა,
ღმერთს არ სურდა მაღლით მეხი,
მხოლოთ აი, თვით ღრუბლებში
აუცურდა უცბათ ფეხი!...
აუცურდა!... თურმე ზურგით
მოეარნა მისთვის მტერსა,
ცას გუგუნით აყრუებდა,
ღმერთს აყრიდა ბოლს და მტვერსა..
და ღრუბლებში მისი „კრახის“
გამომწვევიც იყო ამით;
სამარცხვინო დასასრულის
საფრთხე დადგა ღვთის წინ წამით!
და სათვალეც დასძვრა ყურებს
გადალახა ცხვირის კეხი
აღარც ხედვა—ღმერთს, მის შემდეგ,
არც ღრუბლებზე—მტკიცედ ფეხი;
და კოტრიალ-კოტრიალით
წამოვიდა დაბლა, მარა;
რადგან ისე უსაზღვროა
დალოცვილი ცის კამარა,
რომ ღვთის თავ-ქვე დანარცხებას
ჯერ კვლავ უნდა ბევრი წელი.
მეც მას ვხვდები მზად ამისთვის,
თუ „ატანაც“ შევიძელი!...

# საოქტომბრო

ნახ. ნადარეიშვილის.



რაზედ ოცნებობს ემიგრაცია

# ფიქრები

ნახ. მარიაშის.



რაზედ ოცნებობს მუშათა კლასი

# „ამხანაგი" ოქტომბერი

ოქტომბრის დღესასწაულის წინადღეებში მაცნობეს, რათა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყავი ს. ნაყოფიანში და მთავრობის სახელით მიმელოცა ადგილობრივი მშრომელი გლეხობისათვის პროლეტარიატის გამარჯვების დიადი დღესასწაული.

უნდა გამოგიტყდეთ, ამ ამბავმა კიდეც გამახარა და კიდევაც გამამწარა. სასიხარულო იყო ის, რომ ბავშობის შემდეგ ქალაქს არ მოვშორებულვარ და სოფლის ჰაერის ჩასუნთქვა ძლიერ მენატრებოდა. სამწარო და სამწუხარო კი იგი იყო შემდეგი მიზეზით: მართალია, მიწადმოქმედების კომისარიატის ერთ-ერთი დაწესებულება, სადაც დღესაც მე ვმსახურებ, ს. ნაყოფიანის შეფად ითვლება, მე კი საშეფო კომისიის თავმჯდომარეთ, მაგრამ ჩვენ შორის საიდუმლოთ დარჩეს და, ხსენებულ სოფლისათვის ჯერ-ჯერობით არავითარი დახმარება არ გაგვეწევია და, წარმოიდგინეთ, კომისიის არც ერთმა წევრმა არ იცის, თუ რომელ მაზრის სოფელია ნაყოფიანი. ასე გასინჯეთ, მეც კი ის ქუთაისის მაზრაში მეგონა, როცა ნამდვილად ოზურგეთის მაზრაში ყოფილა.

მეორეს მხრივ ეს ამბავი არ გამხარებია იმიტომ, რომ ცოტა არ იყოს სოფლის ცხოვრებას მაინც და მაინც კარგად ვერ ვიცნობ, თუმცა, როდესაც ზევით მოგახსენეთ, მიწათ-მოქმედების კომისარიატის ერთ-ერთ დაწესებულებაში პასუხისმგებელ მუშაკათ ვითვლევი. ეს გარემოება მაფიქრებდა. და ჩემთვის ვამბობდი ვაი თუ იმ პირთა მდგომარეობაში ჩავარდი, რომლებიც ქალაქიდან, ხელცარიელი ესტუმრებიან სოფელს, დილიდან საღამომდე ილაპარაკებენ, ყველაფერზე, მიედ-მოედებიან, და ერთი სიტყვითაც არ შეეხებიან სოფლის დღევანდელ მდგომარეობას მეთქი. — „წავიდე, არ წავიდე, წავიდე, არ წავიდე.. ვეკითხები თავის თავს. ბოლოს გადავწყვიტე წასულიყავი. შუა-ღამე იყო, როცა სოფლის შუა გულში რკინის გზის სადგურზე გაქაფებული ცხენი „შევაჯირითე". წვიმიანი დარი იყო და სოფლის გზაც — ტალახიანი. მე კი თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი, მხარზე სანადირო თოფით ვიჯექი ცხენზე. ვინმეს რომ შეეხედა, სწორედ „დონ-კიხოტს" მიმამსგავსებდა. ჩემი მასპინძელი გიორგი მხიარულაძე, მიუხედავად თავის ჰალარამოსილებისა, მხიარული ადამიანი აღმოჩნდა.

— აბა ჩქარა, ჩქარა საჭმელი, ხომ იცით, სტუმარი „მომშიებული" იქნება, აჩქარებდა ქალებს სახლში მისული გიორგი.

— ო, თუ ღმერთი გწამს, ნუ შეწუხდებით ბოდიშის მოხდით ჩავილაპარაკე ჩუმად, რათა ჩემი სიტყვები არავის გაეგონა.

— რაგორ, რა თქვით: „თუ ღმერთი გრწამსო"? თქვენ პარტიული ხართ? შემეკითხა ის.

დიახ, პარტიული გახლავარ! გაკვირვებით უპასუხე მე.

— მაშ, თქვენ ღმერთი გწამთ! განა, კომუნისტებს ღმერთი სწამთ?!

— ო, არა, მე ისე, ვთქვი, თქვენ რომ მესიამოვნებიეთ. — მიუგე მას და თან ენაზე ვიკბინე.

— რაო, თქვენ გგონიათ, მე ღმერთი მწამს? ცდებით! მე ღმერთი, ჩემო კარგო, ნიკოლოზის დროსაც არ მწამებია. ჩვენი ეკლესიის დანგრევაში პირველობა მე მეკუთვნის...

„ამხანაგი" ოქტომბერი ჩვენს სოფელში პირველათ მე შემოვიყვანე, მაშა!.. ამბობდა მხიარულაძე და თან ცეცხლიან ბუხარს შეშას უმატებდა.

— ამხანაგი? ჰმ, თქვენ ხუმარა კაცი ყოფილხართ... ვთქვი მე.

— დიახ, ამხანაგი ოქტომბერი, მაშა! დაბეჯითებით დაატანა ჩემმა მასპინძელმა და ბუხარში ცეცხლი გააჩხრიკა...

შემდეგი საუბრიდან გამოირკვა, თუ როგორი წარმოდგენა, ჰქონდა მას ოქტომბერზე. მისი წარმოდგენით, ოქტომბერი იყო დიდი კაცი, რომელმაც უკვე შესძლო ქვეყნის ნახევრად გადატრიალება, მეფე ნიკოლოზისა და მისი მომხრეების ჩამოგდება, სოლო ახლა მეორე ნახევრის გადატრიალებას ამზადებდა.

გუნებაში მეცინებოდა, როცა ეს გულუბრყვილო გლეხი, რომელიც ცალი ხელით მამაპაპათა ტრადიციებს ისევ ებღაუჭებოდა, ვახშმობის დროს უბრალო სადღეგრძელოებ შორის უეცრად ღვინით სავსე ჰიქას ხელს წამოავლებდა და გზიდან ნაუცბათევად გადახვეულსავით წამოიძახებდა ხოლმე: „ეს ამხანაგ ოქტომბერს გაუმარჯოს"-ო!...

— ამხანაგი ოქტომბერი ჩვენ გვავალებს... „ამხანაგი ოქტომბერი ასე ამბობს"... „ამხანაგი ოქტომბერი ისე გვირჩევს"... არ ისვენებდა ჩემი მასპინძელი, თითქოს უკვე შეიგნო ჩემი გულის ამბავი და უნდა ერთი ლაზათიანი სიცილი დამტყუოსო...

მაგრამ მისგან ღავალებული სტუმრის მდგომარეობა მე მაიძულებდა თავის შეკავებას. მხოლოდ გადავსწყვიტე; მეორე დღეს მელაპარაკა ისე, რომ ჩემი მასპინძლის ყალბი წარმოდგენა ოქტომბერზე მაინც გამეფანტა...

არ ვიცი შევიძელი თუ არა მე ეს მაშინ?!.

მაგრამ დღეს, ოქტომბრის მეთერთმეტე წელს, არა თუ ასეთ უვიცობას, ბევრს „დიდ-დიდ ნასწავლ" ხალხის ჯიუტ აზრებსაც გაეფანტათ საფანელი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად!..

გადარეული.

# ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

ჰაიდ-პარკში ქურდზე ჩუმად მისრიალებს „როლ-როისის" ავტო. შიგაზის მედიდური ლორდი. უძრავია შელოცვილივით. მხოლოდ ფიქრობს:

— რა მშვენიერია შემოდგომის ეს დრო... ოქტომბერი რომ არ ერქვას სახელად! მართლადაც „ოქტომბერზე" საძაგელი სახელი ნუ თუ კიდევ მოიძებნება რამე დედამიწის ზურგზე! ოო, რომ შეიძლებოდეს ამ სახელის ყველგან მოსპობა—ხვალვე გამოვსცემდი საამისო კანონს...

„ოქტომბრის" გახსენებაზე გუნება ერთიან გაუფუჭდა ლორდს. ავტოში ველარ ეტევა. მაგრამ რის ლორდია, თუ ფეხითაც არ გაისეირნებს, როცა მას მოესურვება!

გააჩერა ავტო პარკის ერთ კუთხეში. თვითონ ჩამობრძანდა, მიმოავლო თვალი დაწყნარებულ არე-მარეს და მედიდურის ნაბიჯით მისეირნობს შემოდგომის მზით დაგლეჯილ ხეივნის ჩრდილში. ლორდი სიგარის სურნელოვანი ბოლით მიიკვლევს გზას...

უცებ:

**ლოძში, მარსელ-ჰამბურგში!**

**ჯაფიცვები ყველგანა!**

**დასწყევლოს და მოისპოს!**

**ბურჟუების ქვეყანა!**

ლორდმა მრისხანე თვალით გაჰხედა მონოკლში ირგვლივ ხეივნებს:

იქით, საიდანღაც პატარა ბიჭი მოხტუნაობს და მოაფრიალებს ცხელი ლავაშივით ახლა-ახალ გაზეთს. იღლიაშიც უჭირავს მთელი დასტა.

ლორდმა დაუძახა ჯოხის აქნევით. პატარა ბიჭუნა მოვარდა. მისთავაზა გაზეთი. თან მოუსვენრად ცმუკავს ცალ ფეხზე, წითელ გალსტუკს ისწორებს და ღიღინებს დარდიმანდულათ:

**ლოძში, მარსელ-ჰამბურგში!**

**ჯაფიცვები ყველგანა!**

**დასწყევლოს და მოისპოს!**

**ბურჟუების ქვეყანა!**

ლორდმა მრისხანე თვალით ჩაჰხედა ბიჭუნას მონოკლიდან:

— ვინ ხარ შე სალახანა?

— მე სალახანა არა ვარ!

— მაშ ვინ ხარ?

— მე პიონერი ვარ! თერთმეტი წლის პიონერი!

— ვისი ხარ?

— ვისი ვარ?... ვისი ვარ?..

— უპატრონო დალუპული ხარ, მე ვპატრონობ. სახელი რა გქვია?

# პილსუდსკი და ოქტომბერი

ნ.ჭ. ლონის



წინ ოქტომბერს ის თვით უქნევს
„ბუნჩუკსა“ და გასრ ხმალს აწვდილს,—
მაგრამ... ვაი, ზურგში თვით გრძნობს
ამავ საფრთხის საშიშ აჩრდილს.

— ოქტომბერი, ლორდ!

ლორდი აენთო, განრისხდა. ჯოხი მოიმარჯვა დასარტყმელად, მაგრამ პატარა ბიჭუნა გიჟურად მიხტის და ჩარიკით გაისმის მისი ხმა—ჰაიდ-პარკის მყუდროებაში:

**ლოძში, მარსელ-ჰამბურგში!**
**გაფიცვები ყველგანა!**
**დასწყევლოს და მოისპოს!**
**ბურჟუების ქვეყანა!**

ლორდის გაშმაგებას აღარა აქვს საზღვარი:

— პოლისმენ! შოფერ! ჩქარა!

და თვითონვე მიეშურება ავტოსაკენ.

— — სამინისტროში საჩქაროდ!

რამდენიმე წუთის შემდეგ ლორდი უსასტიკეს ბრძანებას აძლევს პოლიცეი—დირექტორს:

— სადაც იყვეს და არ იყვეს, იპოვეთ „ოქტომბერი“, დაიჭირეთ და აქ მომიყვანეთ! არ გაბედოთ არ პოვნა! ჩემი თვალით ვნახე ის აქ რამდენიმე წუთის წინ! ჩქარა! უსიტყვოთ!

პოლიცეი—დირექტორიც დაფაცურდა. საუკეთესო აგენტებს გადასცა სიტყვა-სიტყვით ლორდის ბრძანება.

აგენტებიც მოედვენ მთელ ლონდონს და გაფაციცებით ეძებენ ყველგან „ოქტომბერს“.

— მაგრამ რა კაცია ნეტავ ეს ოქტომბერი? რა ხნისაა? რა მოხელეა? სად იმყოფება? როგორ იპოვონ?

აქ ერთ გამჭრიახ აგენტს მოაგონდა მისამართი მაგიდა.

იკითხეს. ოქტომბერი დიაღ ყოფილა. მათი სიხარული ენით არ ითქმის. მხოლოდ იმ ხტუნაობით გამოიხატება—ოქტომბრისაკენ რომ გაექანენ.

ლონდონის მივიწყებულ კუთხეში, დანგრეულ სახლის ერთ ჯურღმულში ნახეს კიდევაც:

ოთხმოცდა ხუთი წლის დედაბერი. ტურტლიანი, დაგლეჯილი, დაღრეჯილი, დაკუტული, რომელიც ყოველ წუთს სიკვდილს ელის და სკოტლანდის აგენტები კი ეწვიენ.

— ააა! მაშ ეს არის ოქტომბერი!

— დიდათ პატივცემულო ლორდ! „ოქტომბერი“ უკვე თქვენ განკარგულებაშია.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! თქვენ ჯილდოზე და წარმატებაზე იქნებით წაყენებული.

— გმადლობთ მოწყალეო ლორდ!

— აბა ეხლა საჩქაროდ ანკეტა შეავსებინეთ, როგორც უყვართ „იმისთანებს“.

„პირველი: დედ-მამა ჰყავს თუ არა? თუ არა ჰყავს და—რატომ?

„მეორე: როდისხანია ინგლისში ცხოვრობს და რატომ?

„მესამე: რამდენი წლისაა იგი? და თუ მეტის არ არის ან ნაკლებისა—რატომ?

„მეოთხე: სახელად მართლა „ოქტომბერი“ ჰქვია თუ არა? და თუ მართალია—რატომ?

„მეხუთე: უნდა თუ არა გამოიცვალოს სახელი? და თუ არ უნდა—რატომ?

(პოლიცეი-დირექტორს განცვიფრებით ყურები უთამაშებენ).

„მეექვსე: უნდა თუ არა საბავშო სახლში მივაბაროთ, ან შვილად ავიყვანოთ? და თუ არ უნდა—რატომ?

(პოლიცეი-მეისტერს სიტყვა უნდა სთქვას. ვერ ბედავს. ლამის ყბა მოუღრიცოს).

„მეშვიდე: ვისთანა აქვს კავშირი! და თუ არავისთან—რატომ?

მაგრამ ამ დროს ქუჩაში გაისმის ფოლადისებური ხმა:

**ლოძში, მარსელ-ჰამბურგში!**
**გაფიცვები ყველგანა!**
**დასწყევლოს და მოისპოს!**
**ბურჟუების ქვეყანა!**

ლორდს მონოკლი ჩამოუვარდა და ნაჭუჭებათ იქცა იატაკზე.

— — ჰა თქვე მატყუარებო! კარიერის გულისთვის გინდათ თვალებში ამიბათ? იგერ ოქტომბერი ისევ ქუჩაში გაჰკივის და თქვენ კი მარწმუნებთ—დავიჭირეთო! აბა, თუ სიცოცხლე მაინც გინდათ შეინარჩუნოთ, ჩქარა გაბაწრეთ იგი!

პოლიცეი-დირექტორი მთელი აგენტურით მოსწყდა ქუჩაზე, სადაც მუშების დემონსტრაცია უძლეველი გველეშაპივით მიიზლაზნება.

ლორდს ფანჯარა გაუღია და სულ გამწარებით უყვირის იქიდან პოლიცეი-დირექტორს:

— დაგითხოვთ! ციხეში ჩაგსხამთ! არ გაუშვათ! უეჭველად დაიჭირეთ! იგერ მუშებში შეერია! მიჰყევ ფეხდაფეხ! დაიმალა? გაგიწყრათ ღმერთი?

მთელ ქუჩაში კი წითელი დროშების ზევით ისევ გაისმის წკრიალა ხმა:

**ლოძში, მარსელ-ჰამბურგში!**
**გაფიცვები ყველგანა!**
**დასწყევლოს და მოისპოს!**
**ბურჟუების ქვეყანა!**

ნადირი.

# მეთერთმეტე ლურსმანი ჩაერჭო

1917 წელში ელოდებოდნენ ბალშევიკების წასვლას საათობით. მეორე წელს შიმშილი გაიხადეს მდიდრებმა მოკავშირეთ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დადგა 1921 წელი. ბალშევიკების ტალღამ მოუსვა საქართველოს განთქმულ ყბედებსაც—მენშევიკებსაც კონკრომპოსტოში და ტყაპა-ტყუპით ჩაყარა ისინი შავ ზღვაში

გადატაკებული ვაჭრები, გაქუცული თავადები, მექრთამე ჩინოვნიკები, ღიპდაფუკული „სულის მამები“ და სხვა ნაგვის ყუთში მუშების ცოცხით ჩაყრილი „ყოფილი ადამიანები“ ევედრებოდნენ ღმერთსა, ინგლისელ ფაბრიკანტებს, საფრანგეთის ბანკირებს და პოლონელ ხოტორნაკებს მოსულიყვნენ და გაენთავისუფლებინათ თავიანთ მეგობრები ბალშევიკების ხელიდან. მაგრამ ამაოთ—ამათ ყველამ იგრძნეს მუშის ძლიერი მუშტი და ხოში დაკარგეს დახმარებისა.

მაშინ ბურჟუებმა და ყოფილ მემამულეებმა საზღვარგარეთელ კაპიტალისტების დახმარებით შეეცადნენ ციხე შიგნიდან გაეტეხათ. შეისყიდეს ძველი ინჟენერები და სხვა ძველი სპეცები. და, იწყეს იმის ნგრევა, რაც რომ მუშის ოფლით და სისხლით შენდებოდა სოციალისტურ სამშობლოში. აქაც ჩვენ მტრებს ბითური გამოუვიდათ. ჩეკამ ესენიც „გამოჩეკა“.

დღეს კი იმედ გაწყვეტილნი ეს წყალწაღებულები „ხავს ეჭიდებიან“. ჯერ ოპოზიციაზე ამყარებდნენ თავიანთ იმედებს, ეხლა კი კულაკს და სპეკულიანტს ალმერთებენ და თანაც იმედი აქვთ საზღვარგარეთელ კაპიტალისტების ჩვენ კავშირზე ხელახლად თავდასხმისა.

მაგრამ აქაც ეირი ტალახში ჩაუწვათ ქონიდან განთავისუფლებულ ჩვენ ყოფილ ბატონ-პატრონებს. კულაკს მუშის და ღარიბ გლეხის „კულაკი“ მოხვდა ცხვირპირში და ცოტა სისხლი დაუდინჯდა, სპეკულიანტები ბუტერბროდივით შუაში მოაქციეს კოოპერაციამ და ფინინსპექტორმა და გაჭყლეტილ ბაყაყივით დააჭყეტინეს თვალები. ინგლის-პოლონეთ-რუმინიის კაპიტალისტებს კი მადას უკარგავს „საკუთარ“ მუშების ძმური განწყობილება ჩვენთან. არც ჩვენი წითელარმიელის პოპლოზინა ქუდი აძლევს მათ მოსვენებას.

რაღა დარჩათ? ვისზე ამყარებენ თავიანთ იმედებს? რუსის თეთრ-გვარდიელები საზღვარგარეთ სამიკიტნოებს ხსნიან და ფოქსტროტებით ილხენენ დარდიან გულს. ქართველი მენშევიკები, საქართველოდან გატაცებულ ქონების გადაყლაპის შემდეგ, ყალბ ფულების ზეჭდვას შეუდგნენ. დაშნაკელებს წვრილი სპეკულიაცია არც აქ აკლდათ და არც იქ აკლიათ.

იყო დრო, როცა იძახოდნენ, რომ ბალშევიკებს ნგრევის მეტი სხვა შნო არა აქვთო. ეხლა ბრმებიც ხედავენ ჩვენ ქვეყნის გადახალისებას. ძველის ნანგრევებზე საბჭოები აშენებენ ახალ სალ ქვეყანას. ახალი ელსადგურები, ფაბრიკა-ქარხნები, მუშათა სახლები, ტრაქტორები, მატყლის, აბრეშუმის და ბამბის ბარდანები მძიმე ლოდივით აწვებათ გულზე მუშების და გლეხების კბილებ ჩამტვრეულ მტრებს.

თერთმეტი წელიწადი საბჭოთა კავშირის მშრომელები, მტრის ალყა შემორტყმული, აშენებენ და ამაგრებენ თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს. ბევრი მუშის ოფლი და სისხლი ჩაიღვარა ამ საქმეში, კიდევ ბევრი საძნელე გადაელობება ახალ ცხოვრების მტკიცე კალაპოტში ჩადგომას, მაგრამ მაინც საბოლოოდ გამარჯვება ჩვენია.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენი სუყველაფერი ახალი და ნორჩია და დღე და დღე იზრდება, თქვენი კი სიძველისაგან ჭკნება და ლპება.

ხვალ მეთორმეტე ლურსმანს ჩაგირჭობთ მაგ ტვინში და არც თავს დაგანებებთ იქნობამდის, სანამ ძირიანათ და ფესვიანათ არ ამოგაგდებთ დედა-მიწის ზურგიდან.

დღეს ჩვენ ქუჩაში ლხინი და სიხარულია, თქვენ ქუჩაში კი პანაშვიდია.

ისტორიამ ასე მოინდომა და თვალიც მოგთხარათ.

დერციკ სანდროს შვილი.

# შ ა რ ა დ ა

წინათ მეც ვწერდი შარადას,
ვყოფილვარ შარადიანი,
(შარადიანთა მოდგმაში
მეც მისვამს ღვინო წყლიანი!)
დღეიდან მეც ძველ ხელობას
სიახლით დაუბრუნდები,
რომ მწერლობაში აყვავდეს
შარადა—აკროსტიხები.
ამ შარადისთვის ჯერ ერთი
მონახეთ სიტყვა ქართული:
მოიწვევთ სხდომას და სიტყვაც
გექნება გამონახული.
უამისოთ კი სხდომები,
იცოდეთ, რომ არ ივარგებს,
პასუხს მოსთხოვენ მდივანსა,
თუ სწორათ მას არ შეადგენს!
ამ სიტყვის პირველ ნახევარს
შარადას შემოუნახავთ
და შემდეგ მეორე სიტყვასა
მოძებნით ჩქარა და ნახავთ.
გვარია პოლიტბიუროსი
წევრის და კომუნარისა,
მშრომელი ხალხის ბელადის,
„ვეცესპეს“ თავმჯდომარისა!
ამ სიტყვის პირველ სამ ასოს
ნახულს ორს მიუმატებთა,
კიდევ მოძებნით ერთ სიტყვას
თუ კი არ დაიზარებთა.
მამაკაცია (არ ცხოვრობს
არც სოფლათ და არც ქალაქში)
ღვთის მსახურია, დღე-ღამეს
ათრევს მონასტრის „ტალახში“
შავია, შავადვე იცვამს,
თმა და წვერ-ჩამოშვებული,
თუ არ ჭალარა, იტყვით თუ
კუპრშია ამოვლებული!
ბევრის თქმა რა საჭიროა
ამ სიტყვას ვინ არ მიხვდება;
შარადის ბოლო ნაწილათ
ის ჩვენთვის დღეს გამოდგება.
თორემ ურგია ამ ქვეყნის,
ქცეულიც დღეს მასხარადა,
არც ვახსენებდით მას დღეს, ჩვენ
რომ არ ითხოვდეს შარადა!
ვინც მშრომელია ან მშრომელთ
ბრძოლა და წინსვლა ახარებს,
გარწმუნებთ, რომ ეს შარადა
ყოველთვის თავს შეაყვარებს!..

წიწაკა.

# უიმედო იმედი

ტექსტი ჭინჭარის.

ნახ: დონის.

1

მიდიან საუბარით:
ოცნება და ვიკენტი:
,,არ გამოვიცვლი რწმენას,
თუნდ დავრჩე მარტოდ, კენტი“...
და აგერ დიდ შენობის
საძირკვლის ჩაყრა ხდება.
ჯერ ,,შეუკურთხებს“, — მერე
ვიკენტი ჩაფიქრდება:
,,ჩაჰყარონ საძირკველი,
ჩვენ დავასრულებთ შემდეგ...
საძირკველს როცა მორჩეთ
მერე, ჰოპ!... კმარა; შესდექ!“



2

იმედს არ უჩანს ბოლო.
გავიდა დრო და ჟამი,
მაგრამ ჯერ კიდევ წითლებს
ალარ გაუჩნდათ ჟამი...
ვიკენტი სეირნობით
გულში დარდს დააყუჩებს.
სად დადის თვით არ იცის,
მოივლის ყველა ქუჩებს...
,,ოი, დალახვროს ღმერთმა
არიან ლომის სწორი;
ააგეს ასე მალე
სართული უკვე ორი, —
მაგრამ... ჰმ! არა უშავს,
მათ მაინც არ შერჩება!
ზემოდ ჩვენ დავასრულებთ,
შენობა ჩვენ დაგვრჩება!“



3

...და იქით მოდიოდა
ვიკენტი ერთხელ როცა,
სანახაობამ იგი
გაანცვიფრ - გააოცა:
ამაყად აღმართულა
შენობა ცამდე მაღლა.
ბინებს აძლევენ მუშებს,
ესახლებიან ახლა.
უცბად ვიკენტის გულზე.
ეცა ლახვარი, ელდა;
მუხლები მოეკვეთა,
თვალები დაუბნელდა...
მაგრამ; ,,ჰმ! არა უშავს!
დრო დიდი აღარ რჩება,—
ესენი უკვე წავლენ, —
შენობა ჩვენ დაგვრჩება.





4

დადუმდა სამუდამოდ
ვიკენტის გული ,,ნორჩი“.
რომელსაც დარდმა უთხრა
,,შენ, აი, ეხლა მორჩი!“.
მიასვენებდენ... ახლდა
კუდმოკლე პროცესია.
გალობდენ სულთათანას,
(ადათი და წესია).
უცქერიან აივნიდან
იმ სახლის ყველა მდგმური;
(წინ გამოცვივდენ, როცა
ბავშებმა მოჰკრეს ყური).
ვიკენტი თითქოს ამბობს
და თვალი რჩება სახლზე:
,,ეჰხ, გვიან მივხვდი, გვიან!
ახია ჩემფერ ძაღლზე“...

ჭინჭარი

# გამოხმაურება

რედაქციაში ვიჯექი და ახალი წერილის თემაზე ვფიქრობდი, როცა კარები გაიღო და შემოვიდა აჩრდილი.

ნუ შეკრთებით და ნურც გაგიკვირდებათ: ეს იყო ნამდვილი აჩრდილი, რომელმაც მოკრუნჩხული თითებით გადმომცა წერილი და დაუმატა:

— დაბეჭდვას არ მოვითხოვ, რადგანაც სულ ერთია, მაინც არ დაბეჭდავთ. მართალია ქვეყნის მოსატყუებლათ თვითკრიტიკაზე გაიძახით, მაგრამ ამის დაბეჭდვას მაინც ვერ გაბედავთ, რადგანაც აქ სალი და მიუდგომელი კრიტიკაა.

— ვისია ეს წერილი?

— ჩვენია, ჩვენი.

— თქვენ ვინა ხართ?

— ვინა ვართ!—მწარეთ ჩაიხისინა აჩრდილმა.— ახლა ჩვენ არარაობა ვართ, მაგრამ ერთ დროს ყველაფერი ვიყავით...

— მაინც ვინა ხართ?

— მაინც? მე ვარ იმ ხალხის წარმომადგენელი, რომელთაც თქვენ „ყოფილ ხალხს" ეძახით.,. წერილს თუ არ დაბეჭდავთ, წაიკითხეთ მაინც...

აჩრდილი გაქრა.

წერილი გავშალე. ეს იყო გამოხმაურება საგაზეთო წერილებზე.

— „ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავი სრულდება,—ეწერა წერილში,—თქვენთვის ეს დღე საზეიმოა, ჩვენთვის პირიქით. რა უყოთ, ასეთი ყოფილა ბედი.

— მიუხედავად ამისა, შეუძლებელია არ გამოვეხმაუროთ იმ დებულებებს, რომელთაც თქვენ აყენებთ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის გამო.

**დებულება პირველი. თქვენ ამბობთ, რომ პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზია და თავისი დიქტატურა განამტკიცა.**

ეს მართალია, მაგრამ კარგია განა? გაუნათლებელმა მუშებმა განათლებული ხალხი გადმოყარეს და თითონ ავიდენ საბრძანებლო სიმაღლეებზე. რატომ? სად არის ლოღიკა? თუ ბრძანების წინაალმდეგი იყავით, ახლა თქვენ თითონ რაღას დიქტატორობთ? დაგვჯაბნეთ განა?

თქვენ წერთ, რომ **გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო საწარმოო საშუალებები.**

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ნამდვილი ყაჩაღები ხართ, რასაც მუდამ ვამბობდით. ჩვენგან აგებულ ფაბრიკა-ქარხნებს თქვენ დაეპატრონეთ და იქამდე მიხველით, რომ ჩვენ საკუთარ დონბასში ჩვენი სპეციალისტების ყოლის უფლებასაც აღარ გვაძლევთ.

თქვენ გაიძახით, რომ **ოქტომბრის რევოლიუციამ გაანადგურა ძველი სამყარო და ახალი დაარსა.**

მერე და ვინ გთხოვდათ სამყაროს დანგრევას? თუ ისევ ასაგებათ გინდოდათ, რაღას ანგრევდით? ეს არის რაციონალიზაცია?

ამბობთ იმასაც, რომ **აჩქარებული ტემპით მიდის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმე.**

რას ნიშნავს ეს? ნიშნავს იმას, რომ თქვენ ყველგან ფაბრიკა-ქარხნებს აგებთ, სადაც აუარებელი მუშა-ხელი დაგჭირდებათ. იქ წაიყვანთ სოფლის მუშებს, მოაცდენთ შინაურ სამუშაოს და გააპროლეტარებთ. ამ რიგათ მთელი მოსახლეობა გაპროლეტარდება და სულ დაანგრევს ქვეყანას.

წერთ, რომ **მიწის საკითხი სწორად გადიჭრა და ღარიბ გლეხებს მიწები დაურიგდა.**

მერე და ვის ხარჯზე? ცხადია, მემამულეების, მდიდარი გლეხების, საეკლესიო მიწების და თავადაზნაურობის ხარჯზე. თქვენ პატიოსან ხალხს, კეთილშობილ პირებს მამულები წაართვით და ლატაკებს დაურიგეთ და ამას იკვეხნით კიდეც. ამაზე მეტი თავხედობა არც გაგონილა.

**სოფლის კოლექტივიზაციის, მექანიზაციის და რეკონსტრუქციის საქმე წარმატებით მიმდინარეობს,**—ამბობთ თქვენ.

უბედურებაც იმაშია, რომ თქვენ მამაპაპურ გუთანს ართმევთ საწყალ გლეხებს და მის მაგივრათ ტრაქტორებს უგზავნით, რომ ტრაქტორების ღრიალმა გლეხებს გონება დაუკარგოს, გამოაყრუოს, გააგიჟოს, თავისი ქონება სხვას გაუზიაროს და კოლექტივში შევიდეს. რა საჭიროა მექანიზაცია? განა ნიკოლოზის დროს ტრაქტორები რომ არ იყო, გლეხები მიწას არ ამუშავებდენ? პაი, პაი, რომ ამუშავებდენ და დღე და ღამ ყანაში იყვენ... თქვენ კი, ლამის არის იქაც 8 საათის სამუშაო დღე არ შემოიღოთ.

**იწყება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა,**—გვესმის თქვენგან.

დიაღ იწყება. ჩვენ 12 საათს ვამუშავებდით მუშებს, თქვენ რვამდე ჩამოიყვანეთ. მაშასადამე მუშები დღიურათ 4 საათით გააზარმაცეთ, ახლა კიდევ 1 საათით აზარმაცებთ. ბოლოს იქამდე მიიყვანთ საქმეს, რომ მუშები არაფერს აღარ გააკეთებენ.

**მუშათა მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება,**—ამბობთ თქვენ.

რა გიჭირთ შეიღოსა! ამოდენა სახელმწიფო თქვენ და თქვენი მუშების ხელშია, როგორც გინდათ ისე მოიქცევით, ჯამაგირსაც მოიმატებთ და ავტომობილებშიაც ჩაბრძანდებით. ჩვენი დრო იყოს, განახვებდით როგორ უნდა ჯამაგირის მომატება.

— **ოქტომბრის რევოლიუციამ საბოლოოთ მოაგვარა ეროვნული საკითხი,**—ასეთ გაქვთ ამოჩემებული.

იმდენი რა გითხრათ! მთლიანი და განუყოფელი რუსეთი მოსპეთ, აფხაზეთს და თურქმენისტანს თავისუფლება მიეცით, რუსეთი დააქუცმაცეთ და საზღვრები დაშალეთ... ყველას თავის ენაზე ალაპარაკებთ, ყველას ცალკე სკოლებს უხსნით! ეს არის ჩვენი ძველი რუსეთის ნაციონალურ საკითხის სწორი გადაწყვეტა?

— **საბჭოთა-კავშირის პროლეტარიატის გავლენით იზრდება მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობა,**—ეს არის თქვენი თეზისი.

უბედურებაც მაგაშია, რომ სხვა ქვეყნების მუშებს გული აუცრუეთ, ღმერთი და ხელმწიფე დაავიწყებინეთ! და იცოდეთ, თუ პილსუდსკი და მუსოლინი კარგათ გვეყოლა...

— **მედგარი ნაბიჯით წინ, სოციალიზმისაკენ!**—ყვირით თქვენ. დამაცადეთ, ეს პაპიროსებიც გავყიდო და თუ სამგზავრო ფული შემიგროვდა, ევროპაში ამოვყოფ თავს. იქიდან კი, მიფრთხილდით თქვე საძაგლებო.

გწერთ ყოფილი ღენერალ-მაიორი და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ახლა კი პაპიროსებით მოვაჭრე ვიცმუნდიროვი".

ასე თავდებოდა გამოხმაურება.

ალლარ-ალლარსან.

# ცნობათა მიღება

**მოლი-ს.** თუ სოფელ საწულიკიძეოში კოოპერატივში ნოქრად არის ისევ წულუკიძე, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელი „პირნათლად“ ასრულებს თავის „დანიშნულებას“. რაც შეეხება იმას, რომ ნოქარ წულუკიძეს „პრაქტიკანტ“-დამხმარეებათ ჰყავს თავისი ცოლი, ვაჟი და ასული, ეს სავსებით მიზან-შეწონილია პირადათ მისთვის და ტარტაროზისაგანაც საერთოდ გამართლებული ეგრედ წოდებულ „ნათესავიზაციის“ პრინციპის მიხედვით. მხოლოდ რაღაც არ გვჯერა, რომ ასეთი „კომპანია“ წონაში თითონ „აყოლებდეს“ იქით. დავიჯეროთ, რომ ამით აიხსნება სოფლის ზევით მოხსენებული „წონაც“ ამ ოჯახურ კუნწულასადმი?!

ჩვენ რომც დავიჯეროთ, ოქტომბერი არ დაგვეთანხმება ამაზე: „მაშ, სისხლი ამისთვის დავღვარეთო“.— შეგვეკითხება.

**ნორცხვას.** ვიღაც სოსი-პატრის შესახებ სწერთ:

**„ერთხელ კარგათ მოისაზრა**
**უნდა დავდგათ წარმოდგენა“**-ო და შემდეგ:
**„ამ საქმის მოგვარებას**
**მაგრათ სოსი ჩაეჭიდა**
**სამი ლირა ხელში იგდო**-ო და სხ.

ჩვენ ჯერ გაგვიკვირდა, თუ აქ რომელ ლირებზე იყო ლაპარაკი. მაგრამ როცა ქვევით ამოვიკითხეთ, რომ ამის შემდეგ ხუთი წელი თურმე გასულა, დავსკვენით: იუმორისტი, რომელიც „ბიუროკრატიზმსა“ და ყოველგვარ საქმის გაჭიანურებას უნდა ებრძოდეს, თვითონ გადაქცეულა ამ შემთხვევაში ყოვლად უვარგის „ჭიანურად“-თქო. დღეს, აბა, ის სამი ლირა რა ნაირად უნდა ზლოს იმ თქვენმა სოსი-პატრიმ?

ამაზე ოქტომბერი ბრძანებს: „ასეთ „ჭიანურს“ (ლაპარაკია თქვენზე) ერთი ჭიანი ჭანჭურიც კი სჯობია“-ო.

**კვინტრაძეს.** თქვენ სიმღერაში სწერთ:

**„მყვიშო, მიყვარხარ მაინცა**
**ჩვენი მგოსნების აკვანო“**-ო.

ალბათ, თქვენ თუ ბრძანდებით ჭყვიშელი. მაშინ უნდა კითილ გენებებიათ და „მგოსნების“ ნაცვლად, გეხმარათ სიტყვა: „მგოსანი“, ეს გასაგებიც იქნებოდა და მიზან-შეწონილიც.

რაც შეეხება ლექსის ბოლოში მინაწერს: „მართალია, მაინც და მაინც ჟურნალისთვის არ არის მიზან-შეწონილი, მაგრამ, თუ შესაძლებელი იქნება დაბეჭდვა კარგი იქნება“-ო, ამას, როგორც ხედავთ, თავის ადგილზე ერთად-ერთი „მძიმე“ აკლია. ამ „მძიმემ“ კი საქმე გაგვიძნელა. მართალია, **ოქტომბერი** იძლევა დირექტივას: „მძიმე ინდუსტრიას, რაც შეიძლება, ხელი შეუწყვეთო“, მაგრამ „მსუბუქი ლექსების“ შესახებ იქვე სწერია: „გადაუძახეთ გოდორში“-ო.

**შანც-მანცს.** გვეკითხებით: **საკვირველია, რაშია საქმე, რომ ჩემი წერილის არც პასუხი სჩანს და არც დაბეჭდილიაო.**

**აი, სწორედ ამაში!** ალბათ, თუ დარჩა ოქტომბრის რევოლიუციის ყურადღების გარეშე!

**ამერიკას ანუ შვიდ-წლედ დამთავრებულს.** გვწერთ:

**„მოვიცალე დასაწერად,**
**რადგან დავრჩი გარეთ,**
**ძერვე ჯგუფში არ მიმიდეს,**
**ნიშნებს დავატარებ“**-ო.

არ შეიძლება თქვენი ნიშნები ააშოროთ ჩვენი რედაქციის სანაგვე გოდორს?!

**მარიეტა-ს.** გვწერთ:

**„ბევრჯელ მოგწერე, ტარტაროზ,**
**შე აქაური ამბავი,**
**მაგრამ არამც თუ პასუხი გამეცი,**
**არც კი შეიფხანე თავი“**-ო.

სად ჩვენი თავის შეფხანა და სად თქვენი თავის საკითხი?!

**ნ. უსტიშვილს.** გვწერთ:

**„ბატონმა მუზამა ბრძანა**
**არ შეიძლება არა და...**
**მათრახის ცემით გაგბერავთ**
**თუ არ დასწერე შარადა“**-ო.

როგორც სჩანს, თქვენი მუზა თქვენზედ ზიზღობს. ალბად, იცის, რომ „დაწერის შემდეგ“, ამ საპატიო საქმეში ჩვენ მას დიდის სიამოვნებით შევეცვლებით.

**შაშიშარს.** გიორგი ბელთაძე იწერება, რომ თქვენ კერძო ინტერესებით სწერდით მაზედ. მართალია?

**უთვისტომოს.** გვწერთ:

**„რა გულია ეგ უხეში,**
**რედაქტორი ეგრე ავი,**
**რაც წერილი გამოვგზავნე,**
**მან გოდორში უკრა თავი“**-ო.

რას იზამთ? თქვენი თავის ბრალია!

**ჯოჯოხეთის მაშხალას.** თქვენს სცენაში სწერთ:

**„მეხამე საუკუნემ წარმოშვა შესანიშნავი თეთრი ცხენი, რომელზედაც წმინდა გიორგი ჯდებოდა; მეთორმეტე საუკუნემ წარმოშვა ასეთივე შავი ცხენი, რომელზედაც „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირი ავთანდილი ჯდებოდა“**-ო.

ამის შესახებ რომ შევეკითხეთ „ვეფხის ტყაოსნის“ გამოჩენილ მკვლევარებს, პ. ინგოროყვას და სარგის კაკაბაძეს, მათ თითქმის ერთხმად აღიარეს, რომ იმ შავს ცხენზე ტარიელი ჯდებოდა და არა ავთანდილიო. ამ აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია თქვენი სცენის გადადება... სარედაქციო კალათში.

**ფანტაზიას.** თქვენს სცენას: **„უეცარი მარცხი“**-ს შემთხვევა ფრიად ჩვეულებრივი მარცხი: „ჩავარდა სარედაქციო კალათში!

**ს. ამაღლებისელს.** მივიღეთ თქვენი „გურული სენა“. სენა მდინარეა საფრანგეთში და ვიფიქრეთ: გურულები „მოდის ხალხია“ და, ვინ იცის, იქნება გურიაშიც შემოიღეს ეს სიტყვა, რომელიმე მდინარის სახელად-თქო. წავიკითხეთ რამდენიმე **გრძელ** ქაღალდზე ჩამოწერილი ამბავი, მაგრამ, მიუხედავათ ნაწერის წყალწყალა შინაარსისა, მაინც ვერ გავიგეთ, თუ რაზედ გსურდათ წერა.

**ძალათ გაშავებულს.** მივიღეთ თქვენი პოემა „მუშკოოპი“, სადაც სწერთ:

**„უნდა გითხრა, ტარტაროზო,**
**რაც არის ბევრი მართალი,**
**ცეკავშირმა გამოგზავნა**
**ჩვენს „მუშკოპს“ ბევრი ფართალი“**-ო.

რითმა კარგია, მართლწერა—ნაკლები, ხოლო შინაარსი აკლია. სამაგიეროთ, სანაგვე კალათს გამოადგა შინაარსად.

**ბუმ-მანს.** თქვენს ლექსებში მოყვანილი ფაქტების შესახებ, სჯობია, პირ-ზათ მოგვწეროთ, თორემ, გეტყობათ, ლექსის ტეხნიკას მისდევთ და ფაქტის სიმახვილე კი ხელიდან გიძვრებათ. ამის შესახებ ასეთი ანდაზაა: „ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო“.

# ტკბილი საუბარი მწვავე საკითხზე

ნახ. ნადარეიშვილის.



**კერენსკი:**—ბაიბე, ძია კოკო, კომუნისტებს უკვე „მემარჯვენე გადახრა" გასჩენიათ?..

**ნიკოლოზ ნიკოლოზისძე:**—ჰმ!.. სანამ მაგ ოხრეებს „მემარჯვენე" ან „მემარცხენე" გადახრა რასმეს დააკლებდეს, მე ეს „წინ გადახრა", ალბად, უკვე თავისას მიზამს!..

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 28

№ 179 კვირა, 18 ნოემბერი 1928 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## ახალი მმართველი

ნახ. ლონის.



(იხ. წერილი მეორე გვერდზე).

# გულშემატკივარი მმართველი

— სია გამოაკრეს!

— მართლა?

— მე თუ ვარ შიგ?

— ღმერთო, მომხედე!

ამბობდენ ელდანაცემი მუშა-მოსამსახურეები (ზოგი მათგანი პირჯვარსაც იწერდა) და დერეფანში გარბოდენ, სადაც გამოკრული იყო ახალი მმართველის განკარგულება, რომელშიაც ეწერა:

თანახმად მთავრობის დირექტივისა მომჭირნეობის და რაციონალიზაციის შესახებ, ამა თვის ხუთმეტიდან დათხოვნილი არიან:

1. **ჩათლახაძე მართა,**
2. **ცხვირაძე კესარია,**
3. **ბეჟითაძე სოფრომ,**
4. **წელგაწყვეტაშვილი თებრონე,**

**შენიშვნა**: ამ უკანასკნელის მოვალეობა (ე. ი. დამლაგებლის სამუშაო) დაკისრებული აქვს სირბილაძეს (შიკრიკს).

და კიდევ სხვებიც იყვნენ მოთავსებული შემცირებულთა სიაში.

—ı—

როცა დერეფანში გამოკრულ განცხადების წინ ცრემლი იღვრებოდა და ტირილი გაისმოდა, მმართველი თავის კაბინეტში გაქვავებული იდგა და ყურს უგდებდა შემცირებულებს, რომლებიც საყვედურობდენ:

— გაგონილა ასეთი ულმრთო შემცირება?!

— აბა, ნახავ, თუ ჩვენს შემდეგ თავისიანები არ მიიღოს!

— რაო?!—შეკრთა მმართველი.—ჩემი საიდუმლო სია ხომ არ უნახავს, რომ ასე ამბობს?!—გაიფიქრა მან და მაშინვე ყუთი გამოაღო.

ყუთიდან ამოიღო ოთხად მოკეცილი ქაღალდი. ეს მუშა-მოსამსახურეთა უწყება იყო. ალაგ-ალაგ ზოგიერთები წაეშალა და მათ ზემოდ წითელი მელნით სხვების სახელ-გვარი დაეწერა ჯამაგირის რაოდენობის მომატებით.

— რა ვქნა? რამდენი მოკეთეები მყავს! თუ ისინი სამსახურში არ მოვაწყვე,, მოსვენებას მაინც არ მომცემენ. როგორც კი გაიგეს, რომ მმართველად დამნიშნეს, მაშინვე დაიძრა მთელი სოფელი და ყველა კარზე მომადგა..., თანაც ისეთი მშვენიერი შტატი უნდა შევქმნა, რომ მთელ ქალაქში ჩემისთანა ლამაზრი თანამშრომლები სხვას არ ჰყავდეს. დამლაგებელი ქალიც ისეთი მომხიბლავი უნდა მყავდეს, რომ სხვებს მისთანა მემანქანეც არ ჰყავდეს! — ფიქრობდა მმართველი და თვალწინ ეხატებოდენ: კოპწიაშვილი შარუსია, კობტაძე ლიუბა, ჟუჟუნაძე მადლენა და სხვები, რომლებსაც უნდა დაეკავებინათ შემცირებულთა ადგილები.

სწორედ ამ დროს კარები გაიღო და ერთდროულად შემოვიდნენ: აცრემლებული წელგაწყვეტაშვილი და წარბშეკრული სირბილაძე.

— რას გვიბრძანებთ? რა გნებავთ? დაბრძანდით! — მიუთითა მმართველმა სავარძლებზე.

— ბატ.. ბატ.. ბატონო! — ძლივს ამოილაპარაკა დამლაგებელმა ქალმა — რას გვერჩოდით?! ერთი საწყალი წვრილშვილებიანი ქვრივი ვარ და ეს იყო ჩვენი ლუკმა პური!.. — და ისევ ამოესკვნა გული.

— ოჰ, ღმერთო, რა საშინელებაა?! დაიქცეს მისი ოჯახი, ვინც ეს მომჭირნეობა და რაციონალიზაცია მოიგონა... ძალიან მეცოდები, ქალო, მაგრამ რა ვქნა? მთავრობიდან მაქვს ნაბრძანები. აი, ხომ ხედავ ამოდენა



დერეფანში ცრემლი იღვრებოდა და ტირილი გაისმოდა.

ქაღალდებს? სულ მთავრობიდან არის... დამშვიდდი... ჯერ ასე იყოს, და შემდეგ ვნახოთ, შევეცადოთ! — მმართველმა ცხვირსახოცით ამოიწმინდა მშრალი თვალები და შიკრიკს მიმართა: — ამხანაგო, შენ რა გაწუხებს? შენ ხომ არ მოჰყოლიხარ შემცირებაში?

— არა, მაგრამ მე როგორ შემიძლია ორ საქმეს გავწვდე?

— შე კაი კაცო, მე თუკი ვასრულებ სამ თანამდებობასა და მეტსაც, — ვარ: მმართველი, შევდივარ კრუხკვერცხტრესტის კოლეგიაში, თავმჯდომარე ვარ საქანქარო კომისიისა და ამავე დროს — შინამრეწველ სამმართველოსი, — და მიუხედავად ამდენი საქმისა, მაინც კი ვუძლევები საქმეს, — შენ შიკრიკობასა და დამლაგებლობას ვერ მართავ? მაშ ტყუილად ხარ დაწინაურებული მუშა და ტყუილად მოათავსეს შენი სურათი გაზეთში როგორც ენერგიულ მუშისა? ჩემო კარგო, ხომ გაგიგონია: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელებით იჭმევა“-ო.

— როდის უნდა შევასრულო, როცა დრო არ მეყოფა? — წუწუნებდა შიკრიკი სირბილაძე, რომელიც თანდათან სთმობდა პოზიციებს და შეტევის ნაცვლად მოგერიებასაც ვერ ახერხებდა.

— მე გასწავლი, თუ როგორ შეასრულო: ცხრა საათიდან სამამდე იშიკრიკებ; შემდეგ, როცა აქ მუშაობა შეწყდება, დაალაგებ და დაასუფთავებ; მორჩა და გათავდა. რა ვქნა, ჩემო კარგო, ასეთია მთავრობის მოწერილობა. თუ გინდა ამ პირობებში მუშაობა, დარჩი, თუ არა და, — შენ იცი, ჩვენ სხვას ავიყვანთ; მადლობა ღმერთს შრომის ბირჟაში ბევრია უმუშევრები და სიამოვნებით შეასრულებენ ორივე სამუშაოს. დღეს მშრომელთა ხელისუფლებაა. მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ. თუ ჩვენ არ დავეხმარებით საბჭოთა რესპუბლიკებს, აბა პილსუდსკი და პუანკარე დაგვაყრის ხეირს?! უნდა შევიგნოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოსათვის საჭიროა დახმარება. როცა ჩვენი სახელმწიფოს ხაზინა გამდიდრდება და მას ბევრი ფული ექნება, მაშინ დამლაგლებლის სამუშაოს ჩამოგაცილებ, სხვას ავიყვან, — ხოლო ჯერ კი, ხომ ხედავ, მთავრობა ასე თხოულობს ჩემგან. შენ მუშა ხარ, ისიც დაწინაურებული მუშა და შენ უნდა შეუწყო ხელი მუშურ-გლეხურ მთავრობას!

შიკრიკმა მხრები აიჩეჩა, ამოიოხრა და დაღვრემილი გარედ გამოვიდა ბუზღუნით:

— მე მიკითხავს ლექციას! თვითონ კი, ვინ იცის რამდენ ალაგას ღებულობს ჯამაგირს! თუ გული შესტკივა ჩვენს სახელმწიფოზე, ერთი ჯამაგირით დაკმაყოფილდეს!

— ასე იცის ყოველთვის ახალმა ცოცხმა! — უსამძიმრებდენ ერთმანეთს შემცირებულნი.

— ნახავთ, თუ მუშლგეხინის ცოცხი მალე არ გახვეტავს აქედან მაგ ნაგავს! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა სირბილაძემ!

მართლაც: მუშგლეხინს რომ ხელი არ შეეშალა, მმართველი ეხლა გამსახლში კი არ იქნებოდა, არამედ — თავის კაბინეტში.

ისელი.

# ერთმანეთის გაძითაო...

ნახ. ნადარეიშვილის.



— ვერა ხედავ — სახლს ბოძები გამოლპობია? შეაკეთე, თორემ ჩამოინგრევა და მთელი ზემო სართული თავზე დაგაცვივათ!

— თქვენ იკითხეთ, თორემ ჩვენ რა გვიშირს? — გაქცევას მოვასწრებთ!

# „პრელიუდიები“

## 1. „სანატრელი სტუმარი“

მზე გადაიხარა... აგერ ნახირიც
უკვე მაძღარი სოფელს ბრუნდება,
ისმის ყიჟინა, ხმები, ძახილი
და ჟრიამულით შარა ყრუვდება.

---

სდგას მენახშირე — გიგლო კარაეთან,
გაოცებული და განაკვირი,
ათვალიერებს მარცხნივ და მარჯვნივ,
მაგრამ არა ჩანს იმისი ვირი!

---

უცებ მოისმა ცხენის ფეხის ხმა,
ვინ უნდა იყოს თუ არ სტუმარი!?
წუთიც კიდევ და გიგლოს გვერდს ედგა
მისი ცოლის ძმა და მეგობარი.

---

„ოჰო! სპრიეზდომ! — შესძახა გიგლომ. —
რა „გამეხარდა“... შენ რომ ხარ თადე?!
მე ნახირიდან ვირს მოველოდი,
და, აი, კიდეც გამომეცხადე!.,

## 2. „რომანტიკა“

არც იყო ბინდი, არც იყო დილა
(დღესაც მგონია მე ის სიზმარი),
როს შემოვაღე კარები ფრთხილათ
იმ დროს როცა შენ არ გყავდა ქმარი.
შეჰკრთი, ძვირფასო ჩემო ფოტინე,
როცა მე ხელი წაგიპოტინე
მითხარ: „რუკი პროჩ აბა, კმარაო“
და ჩამაფერთხე თავში მარაო.

---

დედაო ღვთისავ, მზეო ფოტინე!
ვით ჩემბერლენის ბოლმა და დარდი,
მეც გადამექცა შენსკენ ლოდინი,
ვით რესტორანში ლოდინი კვარტის!
ვნებათა ღელვით გატაცებულსა
რემენგტონივით მიძგერდა გული,
დავემხვე შენს წინ და გაგიმჟღავნე
გულის წადილი უხმოთ დებული!

---

ისე შეშფოთდი, ისე გაცხარდი,
რომ მე გავქვავდი ისე ვით ლოდი.
„არა გრცხვენიათ? ეგ რა მითხარით?!
განა, მე თქვენგან მას მოველოდი?!
ახ, ბოუე მოი, ქმრის მეგობარი!..
ქვეყანა რათ არ გადაბრუნდება,
კიდევ კარგი, რომ ამეღამ ქმარი
გათენებამდე არ დაბრუნდება.
ფანჯარაც ღია?.. ღმერთო მომკალი,
ახლა გვაკლია, რომ მოგვკრან თვალი.
ლამპოჩკაც გარიტ.... და გაექანა
მის ჩასაქრობათ, როგორც გრიგალი!..

დონ-კიხოტი.

# ფკიპურტები

## სახკინმრეწვს

ფუტურისტობა ყაზბეგმა
აქ იწყო ნელა-ნელაო.
შენატემ თვისა ჯანყურსა
დასძახა დელა-დელაო.
კოლშენგი მექილს ინალდებს
შივლინებთა მოსკოვში.
თვისი ფაფუა გაგზავნა
მუღდაკოდილი მოზდოკში.

ყორამ გაქურდა ქარხანა,
(მდივანი არის გვარათა).
მოსკოვისაკენ მოჰკურცხლა
მატარებელით ჩქარითა.
გიორგსტურს თემა წაართვა,
მოსკოვი შემოატარა.
არტისტკებს ფული აჭამა,
ფული არც ისე პატარა.

ცისკარა.

შემდეგ ნომერში გამოცხადებული იქნება კონკურსი

## ამაო ცდა

ნახ. მარიაშის.



**პუანკარე:** — თუ ეს პორთფელი ჩემს ყაიდაზე არ გამოვკვანსალე, საშველი ეხლაც არ იქნება!

# ბეჭდის დასმით გაუქმებული

— კაძახო, ხომ ხედავ დავშიშვლდით, ზამთარი კარზე მოგვდგომია, რატომ არაფერს ფიქრობ?—დამიწყო ერთ დღეს ჩემმა ქალბატონმა.

— რაღა არ ვფიქრობ, ქალო, ვფიქრობ,—უთხარი მე.

— რას ფიქრობ, რას? მითხარი: რას ფიქრობ?

— რას ვფიქრობ და ვფიქრობ, რომ ჩვენ დავშიშვლდით და ტანზე არაფერი გვაცვია.

— შე ამოსაგდებო, მარტო ფიქრი გეყოფა?

— აბა, რას ჩიკვეთ, ქალო? „თუ ფიქრობო“ და მეც გითხარი, რომ ვფიქრობ-მეთქი—უთხარი მე და წამოსასვლელად მოვემზადე.

—. მოიცა, მოიცა,—შემაჩერა მან.—როცა საქმეზე გელაპარაკები, ყური მიგდე, თვარა რომ გამოგართმევ მაგ ძაღლის ტყავს (ჩემ პორტფელზეა ლაპარაკი), სულ თავზე დაგაფხრეწ.

— რა გინდა, დედაკაცო, რომ ვქნა? ფული არა მაქვს და გასაყიდი არაფერი მომეძევება. ერთი მითხარი: რა ვქნა—ვუყვირე მეც და გამოვქვარდი გარედ.

— არა, თუ კი ამ ხალხს ყველაფერი აქვთ, მე რა კვიმატ დღეზე დავიბადე, რომ არაფერი მეშველა — ვთქვი მე გულში. მეეზოვე ვიყავი, ასე ვცხოვრობდი, მილიციელობა მივიღე, მაშინაც ვერ მოვითქვი სული; ადგილკომში გავხდი, ვერც მაშინ ვივარგე, გამგე ვარ და მაინც არაფერი მაბადია. რა მომივიდა, რა დამემართა, რა შემწვარი გველი ვჭამე ამ ფულებს, რომ არ მეკარებიან. — განვაგრძე ფიქრები.—ცოლი შიშველი, შვილი—შიშველი, მე—შიშველი, აბა, ასე ცხოვრება როგორ შეიძლება. რამე გამოსავალი უნდა მოვნახო — ვთქვი და დავიწყე წყაროების გამონახვაზე ფიქრი:

— ურთიერთ დამხმარე სალარო?, —არაფერს დამეხმარება.

—კავშირი? ისიც არაფერს მომცემს. დამზ. სალარო? სულ არაფერ შუაშია. მაშ, რა?—ამ ფიქრებში რომ ვიყავი, უეცრივ თვალი მოვკარი მუშკოოპის აბრას

იმედის სხივი მომეფინა გულზე.

— თუ გავხდი რასმე, ისევ აქ.—ვთქვი მე და მუშკოოპის გამგეობაში შევუხვიე. სხვაგან რა გითხრათ, თორემ იქ ძაღლივით მიცნობს ყველა. მოლაპარაკება ნისიის მისაღებად ადგილკომის მდივნიდან დავიწყე. მან რჩევა მომცა და გზა მასწავლა, თუ ვისთან უნდა მივსულიყავი. საქმეთა მმართველიც ჩვენი ბიჭი და იმასაც გავაცანი ჩემი იდეა. აქიდან—ბუხგალტერ, იქიდან—მისი მოადგილე და ასე თანდათანობით, მივედი თავმჯდომარესთანაც. მანაც მოიწონა ჩემი იდეა და შემპირდა სათანადო საბუთების შემდეგ მოცემას. ეს საბუთები, ვიცი, სადაც იბეჭდება და დავიწყე ისევ კავშირიდან. ერთ საათში კავშირის მიმართვით გამგეობის თავმჯდომარესთან ვიყავი. მან რეზოლიუცია დააწერა და გავსწიე ბუხგალტერთან; მანც დააწერა და წაველი მეორესთან; იმანაც მიაწერა, ამოწერა და ბეჭდის დასასმელად მეოთხე მაგიდაზე გამგზავნა. ვინაიდან მეხუთე მაგიდის მოხელე რაღაც საქმეს აკეთებდა, ათი წუთიც მას მოუცადე, ბოლოს შევეხვეწე და ყოვლის შემძლე ბეჭედი დაარტყა ზედ. ორდერზე არც დამიხედავს, ისე სიხარულით გამოვიქეცი სახლში. ჩემი ცოლი ბრაზისაგან კბილებს კრეჭდა, მაგრამ დავასწარი და სიცილით ორდერი გავუწოდე. ერთი კი შემომწყრა, მაგრამ მალე მოლბა და ორდერი გამომართო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მეორე დღეს მუშკოოპის მაღაზიაში ამაყად შევედით მე და ჩემი ცოლი.

— მოგვეცით: ის ჩითი, ეს ნარმა, ის შალი ის ფანელი, ის ფეხსაცმელი, ის ჩულქი ის ძაფი, ის.. ის;;; და მთელი მარაგი გადმოვალაგებინეთ.

— აბა, იანგარიშეთ? — იანგარიშეს, 85 მანეთი შედგა. — აბა, ინებეთ — უთხარით ჩვენ და ორდერი გაუწოდეთ. ნოქარმა ორდერი გამოგვართვა და ზედ დააცქერდა.

— ამ ორდერით ფართლეულობის წაღება არ შეიძლება, ამხანაგო, გვითხრა მან.

— რაო, როგორ თუ არ შეიძლება? ხომ ხედავ გარკვევით აწერია ზედ: „ფართლეულობა, შალეულობა, შუშეულობა და სხვა“?— უთხარი მე.

— ვხედავ, ამხანაგო, ვხედავ, მაგრამ შეხედე ერთი აქ ბეჭედზე რა აწერია, — მითხრა მან და ზედ დასმული ბეჭედი მაჩვენა: „ფართლეულს გარდა“, ეწერა ბეჭედზე.

— აი, დეიქცა თქვენი ოჯახი, თქვე ოჯახქორებო რა თქვენ დაღუპვათ გინდოდათ მასეთი ბეჭედი. ვთქვი მე. — არა მე სულელმაც რომ ნახევარი საათი ვუცადე ამ ბეჭედიზა იმ კაცს? რაღას ვიზამდით, დავიწყეთ სხვა რამეების არჩევა.

— მოგვეცით ფეხსაცმელი?—ვუთხარი მე.

— თქვენი სარგო არ გვექნება.

— მომეცით ბავშვის.

— არ არის.

— მომეცით „ნასკები“.

— კაცის არა გვაქვს!

— მომეცით ბავშვის.

— ბავშვის არ არის!

— მომეცი, მაშ, ის „ჩაინიკი“ მაინც.

— ის გახვრეტილია, ამხანაგო.

— მაშ, რა ჯანდაბა წავიღო, კაცო? — გავბრაზდი.

— ინებეთ: თეფშები, ჭიქები, დანა - ჩანგლები, უთო, დედოფალები, ბავშვის ბურთები. რაც გსურდეს, ის წაიღეთ — ზედმეტ თავაზიანობით მეპყრობოდა ნოქარი, რომელიც გამწარებული დაქროდა აქეთ-იქეთ და ყველას თავაზიან პასუხს აძლევდა.

— თეფშებზე რა ოხრობა დავაწყო, კაცო, ან უთოთი რა დავაუთაო, როცა არაფერი მაქვს. მეტი გზა აღარ იყო, შევთანხმდით მე და ჩემმა ცოლმა: 15 საპონი, ორი უთო, ხუთი შუშა ოდეკალონი, ხუთი გირ. კანფეტი და სხვადასხვა წვრილმანები შევარჩიეთ და წამოვიღეთ.

სანამ კამფეტები არ დაულევიათ, ჩემი ბავშვები არაფერს მომთხოვენ, ვიცი, მაგრამ მერმე რა წყალში ჩავარდე, ეს კი აღარ ვიცი. არა სულ ჩემი ბრალია, თორემ, რატომ დავაკარგვინე იმ კაცს ის ბეჭედი, რომელმაც სიმწრით აღებული ორდერი გამიფუჭა?!..

**პ. ობოლი.**

# ორი მძორი
## ანუ
# სპილო და ჯორი

თუმცა უცნაური იქნება
ეს ამბავი, მკითხველო,
არ დაიჯერებ, მე ვიცი,
იტყვი: — „აშიბკათ“ მოხველო:—
მაგრამ გარწმუნებ: რა ვუყო,
ფაქტია ნაღდი, საღსაღა;
ვფიცავ მიწის და ცის ძალას.
აქ მოჭორილი არა მაქვს

—

სპილო და ჯორი ვაშინგტონს
ურთერთს შეებნენ კამათში:
— რომელი არის მთავრობის
შესაფერისი ამათში?
სპილომ სთქვა: „ჯორო სულელო,
ნუ თუ არ გყოფნის გონება,
რომ შენი უშნო სიფათი
არავის მოეწონება?!
უთვისტომო ხარ, მახინჯი,
რაზე ირჯები ამაოდ?
ღმერთს მადლი უთხარ, თუ თივას
წამოგიგდებენ საკმაოდ.
აბა რას გარგებს, შე ბრიყვო,
ჩემთან შებმა და ცილობა?!
თუმცა ჯორი ხარ, ხოლო ჯორს,
აბა, ვინ მოგცა ზრდილობა?!“

—

ჯორი განრისხდა ჯორულად,
ჯორმა წიხლები შეჰყარა;
შეჰყვირა სპილოს ყროყინით:
„უშნოს მეძახი შენ არა?!
სხვა რომელია მიწაზე
შენებრ უშნო და მახინჯი?
ჯერ ცხვირი ნახე, რას გიგავს
და სხვები მერე გასინჯე.
მეფობას ლამობ, უტვინოვ,
მეცილები — ჯორს განა?!
აბა ... ვი ერთი, რა ძალგიძს,
რა სარგებლობის მოტანა?!“
სპილოს და ჯორის საუბარს
გაეხმაურა კამეჩი:
„ჯორო, რას ლანძღავ შენ სპი-
ლოს?
ან, სპილო, შენ ჯორს რას ერჩი?
მუქთახორა ხართ ორივე,
გაუმაძღარი, მცონარე;
დრო მოვა — ძირით ამოგგლეჯთ
როგორც რომ მავნე მცენარეს!“

—

„აქ უცნაური რა არის,
ხოზიკჯან?!“ — შემეკითხებით.
არაფერია ისეთი;
ისე კი... თვითონ მიხვდებით:
სპილოა ერთი პარტია,
და მეორე კი—ჯორია *)
ვაშინგტონშია ორივე,
ესეც უდავო, სწორია.
ერთს რესპუბლიკელს ეტყვიან,
დემოკრატია მეორე.
სმიტი ჯორობას ჩემულობს,
სპილობას ვითომ—გუვერი:
ხალხს ჰპირდებიან რას არა,
ვის მოსთვლის აბა ენითა
არაყის ნებას აძლევენ
ლოთებს დატანჯულთ თმენითა.

—

სპილო იძახის:—ოღონდ კი
მე მერგოს პრეზიდენტობა,
ისეთი გამოვიჩინო
ჩემს ყმებისადმი მეფობა:,
„აბა, მე მარგეთ, მე მარგეთ! —
ჯორის ყროყინიც გაისმის.—
და ვფიცავ თითონ ლინდბერგსა **),
რომ ნებას მოგცემთ ღვინის სმის!“
ასეთი დავა-ცილობა
ლუკმაა მეტად მსუქანი,
ხუმრობთ — ხუთი წლით ხელთ
იგდოს
კაცმა „თეთრ სახლში“ ***) დუ-
ქანი?

—

ჩვენ. რაში გვარგებს, მკითხველო,
ჯორისა და სპილოს კამათი!
კარგა ხანია გავიგეთ
უკვე მგზავრობა მაგათი.
ჩვენ ჩვენი წესი შევქმენით
და საკუთარი ადათი;
ვუსურვოთ — იქაც ჩვენსავით
აუკრან გუდა-ნაბადი.

ხოზიკა.

*) ამერიკაში დემოკრატიულ პარტიის ემბლემა არის ჯორი, ხოლო რესპუბლიკანური პარტიის — სპილო.
**) ლინდბერგი ცნობილი მფრინავია, რომელმაც მხარი დაუჭირა სმიტს.
***) თეთრი სახლი ამერიკის პრეზიდენტის სასახლეა.

## „ბულუბრყვილობა“

ნახ. ნადარეიშვილის.



— როგორ ნაფერებად ჰყოლია. გამოზრდილი — ამოდენა ქალია, და მუხლებზე უზის!

# მათი საშუალება

„ევროპის ბევრ სახელმწიფოებში ისევ გრძელდება გაფიცვები“. (გაზეთებიდან).

ნახ. დონის.



პოლიციელი: — თქვენო ალმატებულებავ, ყოველივე საშუალება და იარაღი მზადა მაქვს იმათ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად!



ოთხი წელიწადია, რაც საზღვარგარეთ მივლინებული ვიყავი ჟურნალ „ტარტაროზი“-ს რედაქციის მიერ ჩემი სპეციალობის „ნიანგიზმის“ ზედმიწევნით შესასწავლად და დახელოვნებისათვის.

ამ დღეებში დავბრუნდი ტფილისში.

12 ნოემბერს, დილის 9 საათზე მოსკოვის მატარებელი ქლოშინით შესრიალდა ტფილისის სადგურში, სადაც პირველად თვალი მოვკარი ამხანაგ გადარეულს, რომელმაც დამინახა თუ არა ვაგონში შემოვარდა, გადამეხვია და დიდხანს ვეამბორებოდით ერთმანეთს. მატარებელი გაჩერდა. ვაგონში შემოვიდენ ს.თ-ია, ონისიმე, სინემატო, ჰაზირა, ისელი, ენუქი და სხვები. მისალმების და „მოკითხვა-მიკითხვის“ შემდეგ ავტოებში ჩავჯექით და „ტარტაროზი“-ს რედაქციისაკენ გავეშურეთ. გზაში ამხანაგ გადარეულს ცრემლიანი თვალები შევამჩნიე.

— კაცო, ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა? — თითქოს ნაწყენი კილოთი შევეკითხე მას.

— აბა რას ამბობ! შენი მოსვლა მეწყინა კი არა, სიხარულით „ცას ხელს ვავლებ“.—მომიგო მან.

— აბა რა დაგემართა, არ მეტყვი?

— უთხარი კაცო, უთხარი, ეგებ გიშველოს! — წამოიძახეს ს. თ-იამ და ონისიმემ.

— რაღა უნდა უთხრა წამხდარ საქმეს რა გამოაკეთებს? — და გადარეულმა ცხვირსახოცით ცრემლიანი თვალები მოიწმინდა.

— თქვი რაღა, ნუ შეჯექი ვირზე! — მუჯლუგუნისწაკვრით შეუბღვირა მას ონისიმემ.

— ალბად წაიკითხავდი ჩემს წერილს „ტარტაროზ“-ში „იაფი კუბოების“ სათაურით! — დაიწყო გადარეულმა.

— დიახ, წავიკითხე, ბერლინში წავიკითხე. ამხ. პავლემ წამაკითხა, სხვათა შორის, ამხანაგებო, ამხანაგ პავლემ მოგიკითხათ. უკაცრავად, განაგრძეთ! — მიმართა გადარეულს.

— ჰო და, ის წერილი ერთი ჩვენი სიმპატიური ორგანიზაციის მიერ სხვაგვარად იქნა გაგებული. ინვალიდთა არტელს გაუგია ისე, თითქოს მე ჩემი წერილით „წყალს უსხამდე კერძო მესაფლავეების წისქვილს“. ეს ხომ მართალი არ არის!

ამ დროს ავტო უკვე მიადგა „ტარტაროზი“-ს რედაქციას. ჩვენ ყველანი რედაქციის ოთახში შევიკრიბენით. ყველა მე მომჩერებოდა. ალბად ფიქრობდენ, თუ რას ვიტყოდი. მე ხელში ავიღე ტელეფონის მილი:

— მომეცით ინვალიდთა არტელის დამკრძავლობიურო.

— მესმის

— მე მინდა დამკრძალავ ბიუროს გამგე.

— მე გახლავარ.

— მე კი ნიანგი ვარ. თქვენ მე ალბად მიცნობთ.

— გიცნობთ, გიცნობთ, ამხანაგო ნიანგო სპრიეზდომ, სპრიეზდომ!

— გმადლობთ, მე თქვენთან საქმე მაქვს, როგორც გავიგე, დღეს თქვენ აპირებთ ამხ. გადარეულზე თავდასხმას. გადარეული ჩემი მეგობარია, მე გავიგე რაში ყოფილა საქმე, თქვენ სცდებით ამხანაგო, გადარეულის წერილი ვერ გაგიგიათ: ამიტომ გირჩევთ თქვენი განზრახვა უარყოთ.

— თქვენ, ამხანაო ნიანგო, როგორც სჩანს ყალბ ცნობებს ემყარებით. ჩვენსა და კერძო მესაფლავეებს შორის სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს, ან ჩვენ ან ისინი!

— ჩვენ ვმოქმედობთ ცოცხლების და მკვდრების სახელით. კერძო მესაფლავეები როსტომოვის მეთაურობით დიდი ხანია ტყავს გვაძრობენ, ჩვენ ამის მოთმენა არ შეგვიძლია. გადარეული თავის წერილში მხარს უჭერს მათ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ გადარეულისათვის როსტომოვს ერთი მოოქრული კუბო ქრთამათ მიუცია. ეს ჩვენ ვიცით! — აღელვებით და ხმა-მაღლა ლაპარაკობდა თავმჯდომარე.

— მე კიდევ გიმეორებთ, რომ თქვენ შეცდომაში ხართ შესული. გადარეული კუბოს არ საჭიროებს, რაც შეეხება თქვენსა და კერძო მესაფლავეების შორის ბრძოლას, მე და გადარეული თქვენს მხარეზე ვართ და თქვენთან ვიბრძოლებთ. გესმით?!

— დიახ, გვესმის, ამხანაგო ნიანგო. მე მჯერა თქვენი სიტყვა. ვერ დაგიმალავთ — გადარეულზე თავდასხმა გადაწყვეტილი გვაქვს, რაც დღეს უნდა მოგვეყვანა სისრულეში. დაუყოვნებლივ მოვიწვევ ბიუროს სხდომას და ვეცდები დადგენილება სისრულეში არ იქნას მოყვანილი, მხოლოდ ერთი პირობით: თქვენ და გადარეულმა უნდა დაგვეხმაროთ მათთან ბრძოლაში. ეს ჩვენი საქმე იყოს. მშვიდობით! — და ტელეფონის მილი ჩამოვკიდე.

სახეზე ყველას სიამოვნება აღებეჭდათ.

გადარეულს თვალები გაუბრწყინდა.

— აბა, ეხლა კი საქმეს შეუდგეთ! — მივმართე იქ მყოფთ.



ყველამ ყურები დაცქვიტა.

მე თავს მოვისიკვდილებ, ვითომ უეცრად გარდავიცვალე. როსტომოვი გაიგებს, თუ არა ამ ამბავს, იმ წუთშივე აქ გაჩნდება და გთხოვთ ჩემი დასაფლავება მას დაავალოთ. თქვენ განგებ უარს ეტყვით. როსტომოვი ეცდება ქრთამი შემოგაძლიოთ. (ამაში ის დახელოვნებულია). ბოლოს თქვენ დათანხმდებით, მხოლოდ ჩამოართმევთ შემდეგ პირობას: მან უნდა გათხაროს ჩემთვის იმხელა საფლავი, რომ შიგ შეიძლებოდეს ყველა კერძო მესაფლავეების ჩატევა. თქვენ კი წინდაწინ შეიტყვეთ — კერძო მესაფლავეების რაოდენობა ტფილისში. კუბოც საფლავის ოდენა უნდა იყოს. ჩემს დასაფლავებას ყველა კერძო მესაფლავეები უნდა დაესწრონ როსტომოვის ხელმძღვანელობით და ჩემი ნეშთი უნდა მიასვენონ საფლავამდე. იმოქმედეთ ფრთხილად და დაჩქარებით. აბა ჩქარა!

ჩემი სიტყვა და მეგობრების ამოქმედება ერთი იყო. რამოდენიმე წუთის შემდეგ „ტარტაროზი“-ს რედაქციის



ოთახში, სადაც მე ვესვენქ, კარი შემოაღო როსტომოვმა, მან ამხანაგი გადარეული განზე გაიხმო და ნელი ხმით ლაპარაკი დაუწყო. მე გულში მეცინებოდა. ცოტა ხნის შემდეგ როსტომოვი მხიარული სახით გავიდა ოთახიდან. მე სიცილი ველარ შევიკავე, რამაც გამოიწვია საერთო სიცილი. შუადღის პირველ სათზე, ჯორჯიაშვილის ქუჩა სავსე იყო ხალხით. მესაფლავეებს მოქონდათ უზარმაზარი კუბო, რომელიც კინო „მინიონი“-ს წინ დადგეს, რადგან რედაქციის ოთახში მისი სიდიდის გამო შეტანა შეუძლებელი იყო.

საჭირო იყო ჩემი ოთახიდან გამოტანა და კუბოში ჩასვენება.

— აბა მოემზადეთ. მიცვალებული უნდა გამოვასვენოთ და კუბოში ჩავასვენოთ! გესმით! — ბრძანების კილოთი გადასძახა როსტომოვმა კერძო მესაფლავეებს, რომელთა რიცხვი ასზე მეტი იყო. იმ წამსვე შემომეხვიენ მესაფლავეები, გადამიტანეს ქუჩაში და კუბოში ჩამასვენეს, პირველ საათზე და ათ წუთზე სამგლოვიარო პროცესია დაიძრა რუსთაველის პროსპექტით და ნახევარი საათის შემდეგ ვერის სასაფლაოზე მიმიტანეს. ჩემთვის გამზადებული სამარე პირდაღებულ ვეშაპივით გამოიყურებოდა.

— აბა, ჩქარა ჩავასვენოთ, ჩქარა, თორემ საცაა მზე დაბნელდება. — ამბობდა როსტომოვი. — ბატონო ჭირისუფლებო, მობრძანდით, ცხედარს გამოეთხოვეთ. „ჭირისუფლები“ კი წინასწარი მოლაპარაკების თანახმად განზე გავიდენ. მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და კუბოდან გადმოვსკუპდი. ჩემი კუდის გაქნევა და როსტომოვის უსულოდ გადასრიალება საფლავში ერთი იყო. ამის შემდეგ დავერიე ყველა კერძო მესაფლავეებს. რამდენიმე წუთის შემდეგ მათი გვამებით სავსე საფლავი იყო. როსტომოვის უკანასკნელი სიტყვები გავიგონე: „ვაი ცოლშვილო, ვაი ჩემო კუბოებო“..

მზემ გამოანათა, საფლავის შორი-ახლოს იდგენ მეგობრები და მუცლებზე ხელმოჭერილი იცინოდენ, ინვალიდთა არტელის წევრები კი ერთმანეთს ულოცავდენ კერძო მესაფლავეთა დასაფლავებას.

ინვალიდთა არტელის დამკრძალავ ბიუროსგან საჩუქრად მივიღე კუბო შემდეგი წარწერით: „ამხანაგ ნიანგს ყველა ჩარჩ-სპეკულიანტებისა და კონტრ-რევოლიუციონერებისათვის“.

ნიანგი.

# ფინია და გამვლელები

ერთი „კრიტიკის“ გამო

ტექსტი ონისიმესი.

ნახ. დონის.

ერთ საღამოს ტარტაროზს რომ
მიჰყვებოდა ონისიმე,
მე იმათი ლაპარაკი
გარკვეულად მოვისმინე.
მუსაიფი ჰქონდათ ტკბილი,
მეგობრულიც— მასთან— კილო,
ბევრი რამ სთქვეს ამ მთის, იმ ბრის
საძრახი თუ სასაცილო,—

გამვლელსა თუ გამომვლელსა
შორს სწვდებოდა ყეფის ექო!..
ნამეტანი თავგასულისგან
მოუვიდა ლამის ბნედა,
მაგრამ არ ვინ, ზიზღის მეტად,
ფინას ზედაც არ შეხედა.
მხოლ... ...ის ხრინწიან ღრენას
რომ არ ... დახასრული,



რომ უეცრად ეზოს კარით
გამოიჭრა ციცქნა ფინა,
კუდი განზედ გამოეგდო,
ყბაც უზომოთ აეფჩინა.
შეუყეფა ონისიმეს,
ტარტაროზიც არ დაზოგა,
მეტის ჰინთვით ხმა ჩაუხლჩა,
ჭირის ოფლად გაიწურა.
მეგობრული მუსაიფი
მათი ლამის დაარღვია,
მოცინართ და მოლაღობეთ
თავს ესხმოდა, როგორც ტყვია!
ეტყობოდა, ყურადღება,
სურდა, მათი რო მიემხრო;

ონისიმე ხელით ქვას სწვდა,
რომ ისძაღლი, თავგასული,
ჭოედენა, მოერეკა,
მოეტეხა თუნდაც კბილი!..
ამ საქმეში ონისიმე
მასტია და გამოცდილი!
მიიწია, მოუღერა:
— უნდა მოვკლა! მოვსპო უნდა,
თორემ გული მაგის ყეფით
მკერდში ლამის გადმობრუნდა!..
— არა—უთხრა ტარტაროზმა:
სჯობს განვაგრძოთ კვლავ გზა ჩვენი,
ერთი ციცქნა არსებაა,
ყეფითაც თავ-შენარცხვენი;

---

## დალაქის წერილი ამხანაგთან (წერილი საიქიოდან)

ძმაო, გერასიმე, რავა გამიწყრა ღმერთი, რომე შენ გაგეყავი და აქით წამოველი! ვყოფილიყავით ერთად და პატარა გემრიელი ლუკმა ჩვენც გვექამა, მარა ხომ იცი, გაუმაძღრობამ მე კი არა ჩემზე უკეთესები შეაცდინა და თავზე ტალახი დაასხა. ვიფიქრე: მილიონობით ხალხი დეიხოცა ამ ვაენში და რევოლიუციაში, წავალ საიქიოს, ერთ სადალაქოს გავხსნი და ფულის პატრონი გავხდები-თქვა. თქმა და ქნა ერთი ვქენი და წაველი საიქიოს. გავხსენი პატარა სადალაქო და უცდი მუშტარს, მარა ვინ გეკარება! თურმე არტისტების უბანში მოვყოლილვარ, ჩემო გერასიმე და აპა ამ წვერ-ულვაშ მოტვლეპილ ხალხში რა ხეირი იქნებოდა! მაქანე თმა მაინც ქონდათ თავზე, მარა აქანა იგიც აღარა აქვთ. ნახარჯი რომ არ მიუციათ, მიკიტნებს სულ ღერ-ღერ გადოუგლეჯიათ თმები და გაშვლეპილი დეიარებიან!

რაკი აქანა, ამ უბანში გლახათ წამივიდა საქმე, გადავწყვიტე ხუცების უბანში გადამეტანა ჩემი სადალაქო. ვიფიქრე; ამ ქვეყანაში ხომ თავისუფლები არიან და ვინ დოუშლის გახუჭვას თქვა. მომეწონა ეს აზრი და პირდაპირ გავსწიე ხუცების უბნისაკენ. მიველი, მარა რა ვნახე! რაც ქვეყანაზე ხუცები ყოფილან, ყველა აქანა მოგროვილან! ვიფიქრე, ალბათ, ალაპი თუა და გასამლომათ მოუყრიენ თავი-თქვა. ჩამეცინა ულვაშებში. ამდენი ხუცესი, თუ ყველა მე გავკნაჭე, ნამდვილ მილიონჩიკი შევიქნები თქვა, მარა არც აქანა წამივიდა კარგათ საქმე! თურმე დამდგარა პეტრე მოციქული სამოთხის კარებში, აგი ხუცები მისევიან და უნდათ შევიდენ სამოთხეში, მარა უკაცრავად ,ასტე ალა-ალა- როდი უშვებს პეტრე! უკითხავს ყველას ალსარებას და არჩევს ცოდო-მადლს. თუ აღმოჩნდება მადლიანი ხუცესი, იმას ქე გოუშვებს, თუ არა და ჟესტის საჭრელი, დიდი მაკრატელი უჭირავს და ჰკრეჭავს ყველას. მანდამაინც არაფრად არ ჩამიგდია. ვიფიქრე: აგენში ბევრი, ბევრი, ორი-სამი კაცი იყოს ცოდვილი და გაკრიჭოს, რა მენაღვლება-თქვა: იმდენი მადლიანი კიდო დარჩება, რომე ათი ჩემისთან დალაქი კიდო ვერ ოუვა ერთ წელიწადს ამათ გაკნაჭავს-თქვა. მარა აქაც არ მოესტყუილდი, ჩემო გერასიმე! მეცხვარე რომ დუარს მთელ ფარა ცხვარს და ხელაღებით გადაპარცავს ფარას, ისტე გადა-

და მაგაზე ხელს გაისვრის,
აბა, კაცი, შეგნებული?!.
— ერთი ციცქნა რომ ასეა,
გაზრდილი და შეძლებული.
მთლად ქვეყანას ამოაგდებს,
თუ მიეცა გასაქანი!..
— მაგის ფიქრი ნუ გაქვს: შენზე
უფრო ვიცი ეს საგანი!..
— არა, ეხლავ უნდა მოვკლა,
დეე, ნულარ გაიზრდება!..
— არა! დასთმე: მაგის ჯიში
არ იზრდება, ისე კვდება!..
მაინც სჩანდა, რომ არ ჰქონდა
დასასრული მათს ჩხუბს, ხმიანს;
დრო იხელთა ონისიმემ,
ძაღლს ქვა მაინც მოუქნია:::

მას ქუჩაში ლანძღვის, თრევის
იმ თავითვე არ რცხვენია.
აბა, კარგათ დაუკვირდი,
რომც მიმართო შენ ამ ზომას,
იგი ნაყოფს გამოიღებს,
არ დაჰკარგავს ფუჭად შრომას?!.
ის ხომ ჭკუას ვერ ისწავლის,
ასეთია მაგის ჯიში!
მას არც სიტყვის გაგება აქვს
და, მგონია, არც ქვის შიში!
არ იფიქრო გონივრული
ქნას რამე და გაათაოს,
მას სურს მხოლოდ ქვეყნის თვალში



მაგრამ ამ დროს ტარტაროზმა
ხელი ხელით გაუკავა,
ჯერ—შეჩერდი— მიაძახა
და კვლავ ასე დაუყვავა:
„ეს ფინია—გამიგონე—
ზოროტია, ავ-ყბა, ავ-ხმა,
მაგის ყეფის მიზანი და
აზრი იცის უკვე ხალხმა-
აბა, ქვა რა საჭიროა?
დააკვირდი კარგათ ყეფას,
სასიკვდილო განაჩენი,
თუ თვის თავზე თვით არ ეთქვას!..
მისთანა სხვას ვის უნახავს?
მისთანა სხვა ვის სმენია?

ვინმე ყეფით გააშაოს!
შინ თუ გარეთ პატრონს არ გრძნობს:
რაღათ უკლოს, აბა, ყბეზსა?
და ქვეყანაც იცნობს იმას,
ვით ავყია მოლაყბესა!
ქვა აქ სულზე მისწრებაა,
თუ სტყორცნე ან დაჰკარ თავში,
ქვეყნის აზრი მაშინ მასზედ
ხომ ჩაივლის მის „ჰავ-ჰავ“-ში!
და მეტი ხომ მასაც, აბა,
რაღა უნდა, რაღას დაობს?
მისთვის არის ის ქუჩაში
ამ ყეფით რომ დაკოხტაობს!..

**ონისიმე.**

---

პარცა ყველა ეს ხუცები პეტრე მოციქულმა! კაცო, ამხელა ფარა ხუცებში ერთი მადლიანი არ გამოდგა, რომ მე გამეკრიჭა და პურის ფული მაინც მეშოვა! სუყველა პეტრემ დაკნაჭა და გოუშვა! ერთობ გამიკვირდა იგი ამბავი და შევეკითხე პეტრეს: „ბატონო პეტრე, რავა, ვითომ ხუცებსაც აქვს ცოდვები თქვა! რა ვიცი, ლოცვებს მაგენი კითხულობენ და ღმერთს ლოცულობენ და დევიჯერო ახლა მაგენი ყველა გასაკნაჭი იყო-თქვა! მართალია, ზანდახან დრამის ფულისათვის თუ არბევდენ გლეხებს, რა უყუოთ, მაგენსაც ქე უნდათ ჭამა თქვა! ან და ალსარების დროს ქალებს თუ უშვრებიან თვალს, რავა აგი ცოდვათ ჩაეთვლებათ, დევიჯერო-თქვა!—„არაა, მაგი შენი საქმე, გაჩუმდი, თვარა ახლავე კუპრში გადაგიძახებო“ ვიფიქრე: კაცი ფულის საშოვნელათ წავოვსულვარ და ამან აქანა ჯოჯოხეთში რომ გადამაყუდოს, ვერაფერი კაი შვილიათქვა და ჩევიგდე ენა. ვდგევარ გაჯავრებული და აღარ ვიცი, საით წავიდე! უცებ გევიხედე და დევინახე, რომ ორი ხუცესი მოდის. ვიფიქრე, სანამ პეტრემდის მოვიდოდნენ, მოდი წინ შევხვდები: ეგებ თავი გამაკრეჭინონ და პურის ფული ვიშოვო-თქვა. ცოტა ნაბიჯებს მოუმატე და მივრბივარ, მარა რა დეინახა ჩემმა თვალებმა! წოუშინეს ერთმანეთს თავში და შეიქნა ქიჩავ-ქიჩავი! თურმე მაგ ქვეყანაში მრევლზე ჰქონებიან ჩხუბი და აქანე პირისპირ რომ შეიყარენ ველარ მეითმინეს და დოუშინეს ერთმანეთს! პირდაპირ შტურმის ვაინა შეიქნა! თელათ დააგლიჯეს ერთმანეთს: თმა და წვერი! მივრბივარ და ვყვირი: „მამა რეიზა ჰპუტავთ ერთმანეთს საახალწლო ღორივით? თუ გაკრეჭა გინდენ, აგერ ვარ დალაქი, ორივეს გაგხუჭავ-თქვა, მარა სანამ მე მივიდოდი, მანამ სულ გაატყავეს ერთმანეთი. მივედი ახლოს, მარა აღარც ერთს აღარა ჰქონდა: არც წვერი და არც ულვაში. აგენის იმედი მქონდა, აგენს გავხუჭავ და რაცხას ევიღებ-თქვა, მარა აქაც მიმტყუნა ბედმა! ოხ, გერასიმე, რომ იცოდე რა დღეში ვარ... ე, ბიჭო მეიგონე ჩვენი ძველი პურ-მარილი და გამომიგზავნე გზის ფული, რომ წამოვიდე და მოვცილდე აქოურობას, თვარა მოვკვდი სიმშილით კაცო, ესაა!..

**ბოგია.**

# გლეხის მოგონება ფანდურზე

(საოქტომბრო ლილინი)

გლეხი კაცისა ცხოვრება —
ძველად იყო ტანჯვაო...
თუმცა დღე და ღამ არ შურდა
მას შრომა და გარჯაო...

სახლ-კარი არ გვივარგოდა,
სხვისი იყო ველიო...
სიღარიბე სულსა გვხდიდა, —
ვიყავით შიშველიო...

ვენახი ჩვენ არა გვქონდა,
ტყე, ველი, სახნავიო...
თავადისგან გვქონდა ზურგზე.
გადამძვრალი ტყავიო...

მთავრობა სულ არ გვინდობდა,
ვყავდით მონად ხელშიო...
„პრიპტავი“ და „ტრაენიკები“
ჩვენ გვიჭერდენ ყელშიო...

ვერაფრით ვერ გავახარეთ:
ოჯახი, ცოლ-შვილიო...
სიღარიბე წელსა გვწყვეტდა
თან გვდევდა შიმშილიო...

ჩვენ დაგვაწვა, შესანახად,
მღვდელი და საყდარიო...
ჩვენი სატირალი იყო:
ცოცხალი თუ მკვდარიო...

კისერზე წურბელად გვაჯდა:
ჩარჩი და ვაჭარიო...
თავენში ხარები წაგვართვა,
სარგებლად — მაჭარიო...

აღარც სწავლა იყო ჩვენთვის,
და გვბურავდა ბნელიო...
გვაწვა ცრუმორწმუნეობის
უკუნეთი სქელიო...

პიტომ მუდამ გვატყუებდა,
ექიმბაში — მკითხავიო...
აღარც „მენშევიკობის“ დროს
გვყავდა გამკითხავიო...
მაგრამ, როცა ოქტომბერის
აგუგუნდა ქარიო...
ჩვენთვისაც გამოჩნდა, ცაზე,
ბრწყინვალე ცისკარიო...

რევოლიუციის ქუხილმა
აქაც მოაღწიაო...
თავისუფლების სიმღერით
ჩვენც მაღლა აგვწიაო...

და, შევუტიეთ სუყველას,
ვინცა გვყავდა მტერიო...
ეჩაგვრელები არ დავინდეთ,
ავადინეთ მტვერიო...

თავადს ამოვცხეთ ქიტლაყი,
და ვაჭარს პანღურიო...
ბერ მკითხავი ხმას ვერ იღებს,
შიშით შენახურიო...

მღვდელს მუცელი ეფუკება
და ბოქაულს —ჩუმპეო...
ყველა იმათ ავან-ჩაეანს,
ახლა ითრევს წუმპეო...

ფოფოდიამ რა სახლში ვერ
ნახა მუქთა ტაბლაო:
შიმშილით ველარ დაძრულა,
დასცემია დამბლაო...

საბჭოთა ხელისუფლება
მხოლოდ მშრომელთ იცავსო;
და, მტერი, დამარცხებული,
სტირის, შავებს იცვამსო...

სოფელსაც უკვე ეტყობა:
წინსვლა, განახლებაო...
მეურნეობას ამაღლებს,
უნდა განათლებაო!...

ტარზან.

# მოზარდთა თეატრი

მეგობრული შარჟი.



ელ. პოლუმორდვინოვი (დირექტორი): — განა სხვა საქმე არ მეყოფოდა, რომ ეს თეატრიც არ მოეხვიათ თავზე?!



ალ. თაყაიშვილი (რეჟისორი): —მე ქართული არ ვიცი, მაგრამ „ნიჩეო“ — ვისწავლი „სრედი“ მსახიობებში. მარტო „ადნო ნე ნრავიტსია“, რომ მუდმივი „მესტო“ არა გვაქვს „დლია“ რეპეტიციისათვის.

# კინო-მსახიობი

**სამკითხველოში** იჯდა და ჟურნალს ათვალიერებდა. ორი სურათი იყო ჟურნალის ერთ გვერდზე მოთავსებული. პირველი — ქალის, რომელმაც ცურვის შეჯიბრში პირველი ჯილდო მიიღო; მეორე — ვაჟის, რომელმაც სირბილში უმაღლესი რეკორდი დაამყარა.

— ცურვასა და შეჯიბრში მე ვინ მაჯობებს?! როცა წითლებმა შემოგვიტიეს, მწევარივით გავრბოდი და ვერ დამეწიენ. გადარბენილი მაქვს მთელი რუსეთის სივრცე... ცურვაშიაც არ ვარ ნაკლები. როცა წითლებმა ხმელეთიდან გადაგვრეკეს, ზღვაში შევცურდით და ცურვით გავედით სამშვიდობოზე! — ამ ფიქრებით გამოვიდა ყოფილი პოლკოვნიკი სამკითხველოდან ქუჩაში.

—:—

**კინო - რეჟისორი:** დასადგმელ სურათისათვის მთავარი როლის ამსრულებელს ეძებდა. (სხვა როლები განაწილებული იყო). სად არ დადიოდა რეჟისორი „სანადიროდ". შრომის ბირჟაშიაც გადახედა უმუშევრებს. არც ბაღი დაუტოვებია დაუზვერავი, მაგრამ შესაფერი ტიპი ვერსად ნახა.

ერთ დღეს (და ეს ის დღე იყო, როცა ყოფილი პოლკოვნიკი სამკითხველოდან გამოვიდა ქუჩაში) რეჟისორი გასტრონომიულ მაღაზიაში შევიდა სურსათის საყიდლად.

როცა ვიტრინაში სანოვაგეს თვალიერება დაუწყო, გარედან ვიტრინას მოადგა ჩვენი ნაცნობი ყოფილი პოლკოვნიკი.

რეჟისორმა, როგორც კი თვალი მოჰკრა მას და ერთხელ უცბად ახედ - დახედა, მაშინვე გაიფიქრა:

— ევრიკა! ეს არის მე რომ ტიპს ვეძებდი!

პოლკოვნიკი ათვალიერებდა ვიტრინაში სხვადასხვა საჭმელ - სასმელებს. შემწვარ გოჭს კბილები დაეკრიჭა, თითქოს პოლკოვნიკს დასცინისო. ჩამწკრივებული კონიაკის ბოთლები პოლკოვნიკს სალდათების გუნდს აგონებდა.

— ვაი, დედასა! იყო დრო, როცა თქვენ ჩემს სუფრას ამშვენებდით, მაგრამ ეხლა!...—ფიქრობდა პოლკოვნიკი და ნერწყვს ყლაპავდა, რომ ამ დროს რეჟისორი დაუდგა წინ და სახეში ჩააცქერდა.

— დავიღუპე! ალბად ჩეკისტია და მიცნო! — გაიფიქრა პოლკოვნიკმა და გაშეშდა. თავის გახუნებულ და დახეულ მუნდირის ფერი დაედო მის სახეს. გაბურძგნული თმა და წვერი შეშინებულ ღორის ჯაგარივით აუდგა ყალყზე. მიმქრალ თვალებში მთლად ჩაჰქრა მკრთალი სინათლე. რეჟისორმა რამდენჯერმე




ახედ - დახედა ყოველ მხრივ და წაღმა - უკუღმა შემოატრიალა.

— გიჟი ხომ არა ხართ? დამცინით თუ რა არის?! — ველარ მოითმინა პოლკოვნიკმა.

— ხვალ დილით კინო - ატელიეში მოდით. მე რეჟისორი ვარ. სურათს ვსდგამ და მთავარ როლში სწორედ თქვენისანა ტიპი მჭირია. გთხოვთ მობრძანდეთ ხვალ. თუ სადმე მსახურობთ, მიატოვეთ სამსახური, ჩვენ თვიურად 200—300 მანეთს მოგცემთ! — მისცა მისამართი, ხელი ჩამოართვა და გამოემშვიდობა.

—:—

— აბა, თქვენ რა გეგონათ!? ეხლა ხომ მომერიდებით და დამაფასებთ ძველებურად? აწ ხომ წარამარა აღარ დამიწყებთ ჩხუბსა და საყვედურს!? მე კინო - მსახიობი ვარ. 200—300 მანეთი მექნება თვეში. ჩემი სახელი მოედება მთელ მსოფლიოს. მილიონი თვალები ყოველ საღამოს მე დამიწყებენ ცქერას... აი, ასე ვიცი მე. თქვენ კი მეჩხუბებოდით ყოველ დღე: მაგრამ რაც იყო, იყო. ამიერიდან ისე გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც უწინ გვიყვარდა, როცა მე პოლკოვნიკი ვიყავი! — ეუბნებოდა ყოფილი პოლკოვნიკი ცოლ - შვილს, რომლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— განა სიძულვილით მოგვდიოდა ეს? არა, ჩემო კარგო. კეთილ ცხოვრებას ვიყავით დაჩვეული და, როცა ასე გაჭირვებულ გზუდავდით, იმიტომ გისაყვედურებდით! — ეალერსებოდა ცოლი.

— ჰო, ჩემო კარგო, ჰო... ეხლა თქვენ ასე უნდა მოიქცეთ: ეს საათი, შენი ბეჭედი, აბრეშუმის კაბა და ეს სკამები უნდა გაყიდოთ. ჩემთვის უნ და იყიდოთ კარგი კოსტიუმი და ყოველგვარი საცმელი. აბა, ასე საწყლად ხომ ვერ მივალ კინო - ატელიეში? ასე რომ მივიდე, ვინ შემომხედავს? მსახიობად კი არა, შიკრიკადაც არ მიმიღებენ... გამოვეწყობი კარგად, გავიპარსები, ჩავჯდები ეტლში და ჩემბერლენივით მივალ ატელიეში. მთავარი როლი მაქვს, ხუმრობა ხომ არ არის!

—:—

— ძლივს-ღა ვიპოვე და თუ არ მოვიდა, ხომ შეფერხდა საქმე? ნეტავი მისამართი მაინც გამოერთმია! — ნერვიულობდა რეჟისორი და წარა-მარა საათს უცქეროდა.

— ვიღაც თქვენთან არის; თქვენი ქაღალდი აქვს! — მოახსენა მეკარემ რეჟისორს.

— მობრძანდეს! მობრძანდეს! მადლობა ღმერთს, ალბად ის არის! — და რეჟისორი თვითონ შეეგება.

— გამარჯობათ! — თავაზიანად მიესალმა პოლკოვნიკი რეჟისორს და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— რა გნებავთ! — ცივად უთხრა რეჟისორმა.

— აი, მე ის ვარ, გუშინ, რომ გასტრონომიის სავაჭროს წინ შემხვდით და მთავარი როლი მომეცით სათამაშოდ თქვენს სურათში!

— ოი, შე ბრიყვო! მე შენ ისეთი მჭიროდი, როგორიც მაშინ გნახე, თორემ ასეთი რა ოხრობად მინდიხარ?! რატომ გაიკრიჭ - გაიპარსე? ფუ, ასეთ საქმესა და ჭკუას!—და გაბრაზებულმა რეჟისორმა კარები გაიხურა.



— ა? როგორო?!— მიდიოდა და ეკითხებოდა თავის თავს თავზარდაცემული ყოფილი პოლკოვნიკი. — ეხლა მე სად წავიდე?. სახლში ვინ მიმიშვებს! „იშკილო გაგვიქეთე და რაც გაგვაჩნდა ყველაფერი გაგვიყიდეო" — მეტყვიან... ა? როგორო? რაო, რა სთქვა?

ზმუკი.

# ორმაგი

ნახ. დონის.



მექისე: — ისე დაგბანო ტანი, რომ სულ ტყავი გაგძვრეს!
— ტყავი ისედაც გამაძრეს ამ აბანოში; შენ ტანი დამბანე კარგად!

# კოვერკოტის კოსტიუმი

ყველას მოეხსენება ეხლანდელი ქალების მოდის ამბავი და ჩემი ცოლიც ხომ გამონაკლისი არ იქნება. ოცი წელიწადია, რაც ჯვარ დაწერილი ვარ და უკანასკნელი ოცი ათასჯერ მაინც ექნება გული შემოყრილი. წარმოიდგინეთ, მე ცოტა სტატისტიკის მოყვარული კაცი ვარ და ყველა ამ გულის შემოყრის ისტორია აღრიცხული მაქვს: ცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი გულის შემოყრა გამოწვეული არის მოდის საკითხის ირგვლივ გამწვავებული მდგომარეობა. ყოველთვის წამოუყენებია ჩემთვის სხვა და სხვა საყიდლების მოთხოვნილება, რომელნიც მოდის შეცვლასთან ყოფილა დამოკიდებული, და, ვინაიდან მე, ქანქარის უქონლობის გამო, ფასი გამიცხადებია, ამის გამო, ნერვიულ მდგომარეობას გულის კანკალი გამოუწვევია, გულის კანკალს სხეულის ძიგძიგი და შემდეგ — გარინდება რამდენი მიტანჯვია, რამდენი წყალი მისხამს, დანით პირი ძლივს გამიღებინებია და ძლივს გრძნობას მომიყვანია. ამ ოცი ათას შემთხვევაში მხოლოდ ერთი შემთხვევა არის, რომ მას გული ჩემი შარვლის თაობაზე წასვლია. მკითხველს აუცილებლად გაუკვირდება, ეს ამბავი, რა შუაშია ამის ცოლი და შარვალი, ალბათ, იკითხავს ის და ამიტომ შარვლის ისტორიაზე უფრო ვრცლად უნდა შევჩერდე. ისტერიკის და გულის შემოყრის საშუალებით ცოლი ძალიან გამინებივრდა. მე ცოტა წყნარი კაცი ვარ, არ მიყვარს საეროოდ „სკანდალი“ და ისიც — ცოლ-შვილში. ამით ისარგებლა ცოლმა და ისტერიკის საშუალებით თითქმის ყველაფერს მაყიდვინებდა ხოლმე. ისე მომაბეზრა თავი ამ გულის შემოყრამ. წყალის შხაპა-შხუპმა და დანით პირის ღებამ, რომ გვერდის სვრელში ვძვრებოდი ხოლმე და ცოლს ყველაფერს უსრულებდი. რა მოდა გინდათ, რომ ჩემ ცოლს არ ქონდეს, რა ახალი „მატერია“ მოიძებნებოდა, რომ მას არ შეეკეროს. ერთხელ სრულიად მოუელოდნელად, ჩამაცივდა: გინდა თუ არა, კოვერკოტის შარვალი უნდა შეიკეროვო. მე, მართალი გითხრათ, ძალიან გამაკვირა მისმა ჩემს შარვალზე ზრუნვამ, არასოდეს არ უზრუნვია ჩემი ტანისამოსისთვის და რატომ დაჭირდა მაშინ ზრუნვა, ვერ გავიგე. მე ყოველ დღე ვაიმედებდი ხოლმე: აი, დღეს ვიყიდი და, აი, დღეს მეთქი. გადიოდა ხანი და ჩემი შარვალი დავიწყებას არ ეძლეოდა.

— რა არის ჩემი ცხოვრება, ერთ შარვალს გთხოვ და ისიც ვერ გიყიდია, ბოლოს და ბოლოს მეც თავმოყვარეობა მაქვს თუ არა, რატომ მაროს (ჩემი ცოლის ამხანაგია) ქმარს უნდა ეცვას კოვერკოტის შარვალი და შენ კი არა, მითხრა ერთ საღამოს ცოლმა და ის იყო კინაღამ სცენა არ გაიმართა, რომ პატიოსანი სიტყვა არ მიმეცა: ხვალ აუცილებლად ვიყიდი მეთქი.

იმ საღამოს უკვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე ჩემი შარვლის ისტორია, თურმე ისევე ცოლის თავმოყვარეობის საქმე ყოფილიყო. ამ მდგომარეობამ ძალზე დამაფიქრიანა. ან და ნუ დაფიქრიანდებით თქვენ: ოცი წელიწადი ვიტანჯე იმისათვის, რომ მის ტუალეტზე მეფიქრა, ვალებში ჩავარდი იმისათვის, რომ მას მოდები არ შემოკლებოდა, არასოდეს ჩემ ტანისამოსზე არც მე და არც იმას არ უფიქრია და, ეხლა თუ მეც მოდაზე მატარა რაღამ უნდა გამიძლოს მეთქი. მაროს ქმარს ათასი სხვადასხვანაირი კოსტიუმები ეწყო, ეს სპეცი იყო და სად მქონდა იმისი თავი, რომ ცოლისათვისაც ნაირნაირი მეკერა და ჩემთვისაც. მთელი ღამე არ მძინებია, ერთ შარვალს კაცი მაძლევდა, გამგრავ რამდენიმე დღის შემდეგ, რომ მასაც მოდის კოსტიუმება მოეთხოვა? ინათა თუ არა, გავედი ჩემს ოთახში, ვითომ სამაცადინო მქონდა და დავიწყე ფიქრი, თუ როგორ გამოვსულიყავი შექმნილი მდგომარეობიდან.

ამ ფიქრში ვიყავი, რომ გაზეთის გამყიდველმა „კომუნისტი“ შემოაგდო ღია ფანჯრიდან.

დავიწყე გაზეთის ფურცვლა.

უეცრად სუნთქვა შემეკრა, თვალები ერთი - ორათ გამიდიდდენ და უნებლიეთ რაღაც დავიყვირე.

ეს დაყვირება ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ცოლს გამოღვიძებოდა და შეშინებული შემოვარდა. ცოლის დანახვაზე ძალაუნებურად დავდინჯდი და ორივემ წავიკითხეთ: გამოქვეყნებული იყო პარტიის დადგენილება კოვერკოტის და შევიოტის ტარების აკრძალვის შესახებ.

— გადავრჩი, მოვისვენე, აღარ მეღირსა კოვერკოტის შარვალი, ჩავილუღლუღე მე.

ცოლს შევაბრალე და უცრემლო თვალები ამომიკოცნა. — არა, მე მაინც არ ვათქმევინებ კუდრაჭა მაროს, რომ ჩემს ქმარს კოვერკოტი არ ცმია, მე ვიცი, რასაც ვიზამ, ჩაიკისკისა ცოლმა და თავის ოთახში ჩაიკეტა. ერთი საათის შემდეგ, გამოიტანა ჩემი ძველი შარვალი, რომელისთვისაც საჯდომზე კოვერკოტის დიდი ნაჭერი დაეკერა და მითხრა: აი, ეს უნდა ჩაიცვა, რომ მარომ თქვას ოდესღაც მაინც ქონია კოვერკოტის შარვალიო.

თავს ზევით ღონე არ იყო, სცენებს და ისტერიკებს ისევე დაკერებულ შარვალის ჩაცმა ვამჯობინე, მაგრამ...

თურმე რაზე ვიტანჯავდი თავს, მეყიდა შარვალი. და მეთქვა ძველი ნაყიდიათქო, ვინ გამცემდა ხმას. დღესაც ბევრ კომუნისტს აცვია კოვერკოტი, მაგრამ ვიღას ახსოვს მაშინდელი დადგენილება?!.. ასე გათავდა ჩემი შარვლის ისტორია...

შ. გორისელი.

# „ომი და ზავი"

ნახ. დონის.





მრევლის გულისთვის შეიბნენ
ქუთაისელი მღვდლებიო.
კოლიამ სცემა მიხეილს
და დაურბილა ძვლებიო.
„ჩემს მრევლში შენ ნუ ნადირობ.
აწ არ შემოდგა ფეხიო,
თორემ, იცოდე, ჩემგან
თავს დაგეცემა მეხიო.

მაგრამ ისევე შერიგდენ
და დაადგინეს ასეო:
დღეიდან რაც კი ვიშოვოთ
ძმურად გავიყოთ შუაზეო".

ტარტაროზის შენიშვნა

„ძაღლი არ დახრავს ძაღლის ძვალს"
თქმულება არის ბრძნული.
ძაღლი მღვდელსა უარესი.
ერთ დიაკვანზე კრულია.

# ველისციხე

— ვიცი, რომ გიყვარს სოფელი, მყუდრო,
და ნადირობა წვავებზე ტყეში;
ლექსების წერა კიდევ—მით უფრო,
სოფლის ავ-კარგი გამოგაქვს მზეში.
შენ ნიგვზიანზე ხშირად სწერ ლექსებს
და „ტარტაროზი" კიდეც გისტამბავს;
თუმცა არავინ „მომიალერსებს",
მაინც გაგაცნობ აქაურ ამბავს:
დღეს აქ ქუჩები განიერია,
არ იჩრდილება ის ჩარდახებით;
გლეხობა, ვფიქრობ, მადლიერია,
ალაზნის პირის სარწყავ არხებით.
დღეს ბევრი სწყევლის „ზემლემერ" გრი...
გვარად ბახტაძეს, თუ არა ვცდები;
ის კი იცინის—ამბობს: რა მიშავს,
მე მათ წყევლაზე, ვატყობ, ვსუქდები!
ეპოს შენობა აქ არის დიდი,
მაგრამ სავსეა ისეთ ნივთებით,
რომელთაც გლეხი არც კი იყიდის,
აბა, რათ უნდათ „კერასინკები"?!
აქ კლუბის ეზო სავსეა ქვებით,
მადრაკის წრესაც ისევე სძინავს,
(ალბად, ამაში დამეთანხმებით,
მოჭადრაკენო: მიშა და მინას!).
აქ გააშენეს კოხტა ბაღნარი,
მას აგრონომის ხელი ეტყობა;
დაკეტილია მუდამ დღე—კარი,
რისთვის?—ამისი მინდა შეტყობა!
თავდასხმის არის ხშირი შემთხვევა
აქ, ხან ქურდულად, ხანაც—ნაგანით
ცდილობს კი, მაგრამ ვერ დაატყვევა,
ჯერ ალმასკომმა იმათთაგანი!
მიკვირს ბაგრატა „დიდ სტაჟიანი"
ამ სოფლისათვის ვინ გაიმეტა?
არ ინდობს, თუ გინდ იყოს რქიანი,
მან შემოიღო ძაღლების ხვრეტა;
(„ბაზარნიკია" ამჟამად ისა,
ოდესღაც იყო ვატმანი თურმე.
„სკლადიც" რომ ჰქონდეს პურის ფქვილისა
ალბათ, ექნება თორნე ან ფურნე!).
ეხლა ნახვამდის, ჩემო ჩახუნდარ,
მოგწერ მე წერილს შემდეგში, კვალად;
ამას მტკიცება, მგონი, არ უნდა,
რომ არ დარჩება ეს შენზე ვალად!

**ლანძელი.**

# მორწმუნე ურწმუნო

ნახ. დონის.



„ურწმუნო" — მომხედე, ისესო მაცხოვარო, —ხვალ შესზე ანტირელიგიური მოხსენება უნდა გავაკეთო ჩვენს წრეში!

# სცენა ტელეფონთან

## (ჭიათურიდან ერთ-ერთ მახლობელ თემში)

სადგური!.. სადგური!.. საადგურიიი.. აა, სადგური? ჰომეცით ქვაციხის თემი!...

ტელეფ.—მზათ არი, დაურეკეთ.

— აა. ქვაციხეა? ააა? კაცხი? გამიშვით ქვაციხეში (რეკავს) ააა, ქვაციხეა? აჰ... ვინ არის ტელეფონთან? აჰ.. დარაჯი? სთხოვეთ თავმჯდომარეს!.. რაო? არ არის? სთხოვე მდივანს...—კაცო! არც მდივანია? სად არიან, თუ ძმა ხარ, მითხარი? რაო? ინდუსტრიალიზაციის ობლიგაციებს ყიდიან სოფელში? რა სთქვი? მოვიდნენ? მიეცი, თუ ძმა ხარ ,ხელში ტელეფონი. შენ ხარ, კაცო, ტატო? გამარჯობა, შენი!... გამარჯობა.—რავა ხარ, ჩემო ტატო, ხომ ასაღებ ობლიგაციებს... რაო? ორასი თუმნის გაყიდე?... შენი გამჩენის ჭირიმე, მალადეც, ბიჭო, მალადეც! სხვა როგორაა საქმე? რთველი თუ დეიწყეს. რაო? წვიმების გამო, ვერაფერს აკეთებთ? ეჰ, რა გაეწყობა, ძმაო, ნამდვილად საბოტაჟნიკია ის ღმერთია თუ რაცხა მჭადის ნატეხი!.. აბა, კაცო, ამდენი წვიმა ალარ გამოელია?.. მართლა, ტატო... რა გითხრა, იცი? თუ ძმა ხარ, მაქანე გადაძახე ჩვენსას—რაო? ჰო-ჰო, ჩვენსას და უთხარი, რომე-თქო, ყურძნის კრეფა რომ დაიწყონ, აუცილებლად დამირეკონ ტელეფონით, აჰ.. აჰ—ყურძნის კრეფა, ყურძნის.—ასე, თუ ძმა ხარ. გესმის, ტატო, ბიჭო არ წახვიდე, თვარა თუ გაგვაერთა ჩვენმა ტელეფონის სადგურმა, მერე, მთელი დღე რომ ურეკო, მაინც აღარ გაგაგონებს.—ბიჭო, რა მინდა გითხრა, იცი, ჩემ ბიჭს უთხარი ელიზბარს: „შე დურაკო-თქვა, მაგ ხარები რომ ბღუა მაქანე და ყურები გამომიჭექა მაგათმა ბღუილმა, რომ აქანე მესმის, ჭიათურაში-თქვა, აჭამე რამე და წყალი დაალევინე თვარა, რომ ჩამოვალ, შენს მოსამზადებელ ფულს აღარ მივსცემ უჩიტელს-თქვა... რაო? მომზადება სჭირდებააა... მომზადება მაგას კი არა, თუ სადმეა კაი ნასტავლი უჩიტლები ჭიათურაშია, მაგრამ მაინც ვერაფერი ისწავლეს აქოურმა უჩენიკებმა და ნახევარზე მეტია კარში დარჩენილი. რაიო?... დარჩა ვინმე? დარჩა კი არა, ნახევარია კარში დარჩენილი... რატომ? რატომ, ჩემო ძმაო, და ვერაფერი ვერ შეითვისეს და თანაც ცოტა ადგილის სივიწროვეც იყო..

რაო? ქალიშვილებიო? ქალიშვილებიც ბევრი დარჩენ და ვაჟებიც. ხოო—იცოცხლე ისინი ერთმანეთს სიქას ართმევენ!... ბიჭო ტიტო, ამ სასწავლებელში, რომ ამეილებენ ეს ქალიშვილები პუდრის კოლოფებს და ისობენ პუდრს, რომ შეხედო, კაკალ გულზე გასკდები. რაო? ამერიკლები? წევიდენ კი არა, მოჰკურცხლეს, ბიჭო, მოჰკურცხლეს. რაო? აჰ? მუშაობის საქმე როგორ იქნება? რავა და კარგათ. აწი სულ აღარ იქნება მუშაობაო?!.. ბიჭო, იქნება კიარა, რაც გაციებული ზავოდები იყო ამ ათ წელიწადში ან ამერიკლების ხელში ეყარა, ყველა ამუშავდა. რა ამბავია ახლა, იცი, აქ? მთლად გეივსო ხალხით ჭიათურა. რაი? ააა? გრიშაშვილი? ამერიკლების ლაქია? გრიშაშვილმა და მისმა ამქრებმა უხლაი, ბიჭო, უხლაი, მოგჭამენ ჭირი!... რაო? ვინ ამუშავებს ეხლა? ვინა და, მთავრობა. აჰ? კარგი მუშაობა იქნება?, იქნება კი არა, არის, ძმაო, არისუკვე, გესმის? იმისთანა მუშაობა არის, რომ ქვას ველარ შოულობენ და რაც ტალახის გამსაღებლები იყვენ ძველად, ყველა ამოძრავდენ ჰო-ჰო... ქვათ რომ ჰყიდდენ... რაო?

ჰა? ჩამოხვალ და შრომის ბირჟაში უნდა გატარდე?, ბიჭო, ეგ მართალია, ბირჟაში უნდა გატარდე, მაგრამ ბირჟის გამგეს დაკარგვია კარების გასაღები და ფანჯრებიდან ძვრება ხალხი. რაო? ნოტარიუსი? კაცო, იმასაც ფანჯრიდან უხდება შესვლა კაბინეტში... რატომ? რატომ და—სასამართლომ დაკეტა მისკენ გასავალი კარები, რომელიც აერთებდა ნოტარიუსის კანცელარიას. რატომ?, რატომ და სასამართლოში სიარული სხდომის დროს ხომ არ შეიძლება, ხო და ასეა... საავადმყოფო? ხუნდაძე თუ მოვიდა? არა, არ მოსულა, მაგრამ მისი შოადგილე ძალიან სპეცი ყოფილა. გეიგონე, რა გითხრა! საავადმყოფოში რომ კოწია არის, სანიტარი, ისიც პროფესორი გახდა და ექიმებში და პრაქტიკაზე ყოლია რამოდენიმე ექიმი აყვანილი. სად ისწავლა? პროფესორობა? სადა და მელიტონა კურტანიძის სასადილო დუქანში. ბიჭო... კი არ ვმასხრობ, მართლა გეუბნები.. კაცო, გესმის? საწყალი რეჯიბა რომ იყო, რეჯიბა, ჰო, თათარი... ის მოკვდა და კოწიას მეთაურობით ექიმების ექსპერტმა გამოარკვია შემდეგი: კვდარი აღმოჩნდა ას ოცდა ათის წლის და, პროფესორ ჭოლაძის სიტყვით, რომ არ მომკვდარიყო, იცოცხლებდა კიდევ ორმოცდა ათ წელიწადს... ე.. ე.. რა გითხრა, იცი, ტატუა, გავათავოთ სჯობია, თორემ საქმეებზე დაგვაგვიანდება.

**თექლეს ბიჭი.**

# ცნობათა მიღება

**ბნელ ხევ ელს.** ლექსად გვწერთ:

„ტარტაროზო, შენ მოგმართავ,
გაჭიქარვებ, ალბათ, წყლულსა,
მას განდევნი მოაშორებ,
ჩვენს სოფელსა ვინცა სჭულსა"-ო.

ქვევით კი არკვევა, რომ თქვენ რაღაც პირადი ინტერესი უნდა გალაპარაკებდეთ იმ ვიღაც ლევანზე. ასეთ „წყლულს" ტარტაროზი მართლაც აქარვებს! გულზე ხელი დაიდეთ და სთქვით: მართლა გაქვთ თქვენ იქ ეს „წყლული", თუ არა?!.

**ვ. ხონელს.** თქვენ სწერთ:

„ტარტაროზო, წერილსა გწერ,
რომ ურქინო ასეთ ოხრებს,
შენი რისხვა მიულოცო
კოოპერატივში მყოფ ნოქრებს"-ო.

განა, ყველა ნოქრები ასე „ერთი ჯოხით" გასადენია? რქენაზე თუ საქმე მიდგა, მაშინ ჩვენი „რქა" პირველად იმას მოხვდება, ვინც ასე განუკითხავად მსჯელობს.

**ხუშანდარეს.** თქვენ ასე იწყებთ ლექსად:

„დიდი ხნიდან ქალაქში ვარ,
ახლა დავიწყე გულავი,
ზოგან კარგი რამე ვნახე,
ზოგან კი გულ-შემზარავი"-ო.

ეს ცოტაა. როგორც ყველა დაინახავს, მეორე ხარისხის ნახულთაგან, ცოტა რამ ჩვენთვისაც გიწილადებიათ თქვენი ლექსის სახით.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, რომ თქვენს ლექსსაც არ დაეწყო „გულავი" სანაგვე კალათისაკენ.

**ფანტაზიას.** თუმცა ჩვენ ერთი საკითხის შესახებ ცნობას ერთხელ ვიძლევით, მეტად არა, მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებრობის გასაფანტავად იძულებული ვხდებით ჩვენ მიერ უკვე მოწოდებულ ცნობას დავურთოთ ეს მცირე განმარტებაც.

თქვენი სცენის: **„უეცარი მარცხი"-ს** შესახებ ჩვენ გეიცნობებია, რომ „მას მოუვიდა ფრიად ჩვეულებრივი მარცხი: ჩავარდა სარედაქციო კალათში-თქვა".

ამას აუღელვებიხართ თქვენ და გვწერთ:

„რას ჰგავს ეს?! ასეთ შემთხვევას, თუ იცი, რა უნდა ეწოდოს?! ასეთი პასუხით მე, როგორც **ნიჭიერი ქართველი მწერალი** (ხაზი ავტორისაა! ალბათ, ნიჭიერების დასამტკიცებლად ერთი ხაზი არ იკმარებდა!) თავს შეურაცყოფილად ვგრძნობ! შენს დასაწუნს რომ მე არაფერს დავწერ, ეს ცხადზე უცხადესია"-ო და სხვ.

თითს ვკაკვავთ, თქვენი ნიჭიერების წინაშე და ვემორჩილებით იმ თქვენს აზრს, რომ ჩვენს დასაწუნს თქვენ არაფერს დასწერთ!

მაგრამ ეს ლიტონი მტკიცება მომხდარ ფაქტს მაინც არას უშველის. ფაქტი კი, ჯიუტი ფაქტი „უეცარი მარცხის" ფრიად **ჩვეულებრივი მარცხის** შესახებ რჩება ყოვლად უცვლელად და განუმეორებლადაც, თუ გნებავთ. ესე იგი, რაც ერთხელ გადავარდა სარედაქციო კალათში, იგი მეორეჯერ აღარ გადავარდება, იმიტომ, რომ ჩვენ იმას იქიდან უკან აღარ ვიღებთ. ხოლო ეს რომ **ჩვეულებრივი** ამბავია ჩვენს რედაქციაში, ამაში თქვენც დაგვეთანხმეთ.

ჩვენ სრულიად არ დაგვიწუნია თქვენი დანაწერი, მხოლოდ გვთხოვედით მის ჟურნალში მოთავსებას და ჩვენ ეს ვერ შევძელით, მხოლოდ და მარტოოდენ ჟურნალის ინტერესების მიხედვით. გარწმუნებთ, რომ თქვენი დაწუნების შესახებ ჩვენ აზრიც კი არ მოგვსვლია თავში.

**მიშ—კოტ-ს.** გვწერთ, რომ საწულიკიძეოში ძველად წულიკიძეები ბატონობდენ, მათ ფერი შეიცვალეს და ახლა გაახშირეს მიწის ყიდვა-გაყიდვა, დავაზედ და სხვა.

კარგი იქნებოდა, რომ კონკრეტიული შემთხვევა დაგესახელებიათ. თითქმის ასევეა დაწერილი თქვენი ლექსი სამიკიტნოებსა და დრამწრეზეც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიგ ჩართულ ცოცხალ სურათს. როცა წარმოდგენების დარბაზში გინება და არევ-დარევა სუფევდა, მაშინ:

„იმ დროს ვიღაც მაყურებელს
მოეტანა კილო ხორცი,
დარბაზში ძაღლი აუტყდა,
საქმე იყო გასაოცი"-ო, სწერთ.

ყოველ შემთხვევაში ძაღლი აქ ცამდის მართალია და მისი შერევა შეუძლებელია იმათში, ვინც დარბაზში აურ-ზაურს იწვევდა ან იგინებოდა.

**ბარიტის მუშას.** თქვენ გვწერთ ლექსად:

„ეხლა ამბავს მოგახსენებ
ვითარებას თავისასა.
ქუთაისის ბარიტის წისქვილში
გამოდის კედლის გაზეთი,
თუ რამე გაზეთში დასწერეს,
დაეძებენ მის დამწერსა"-ო.

მერე თქვენ რა? დავიჯეროთ, რომ საგულისხმო რამე დასწერეთ?! ესთქვათ, დასწერეთ. მერე ჩვენ რა? ჩვენ რაც მოგვწერეთ, იმაში ხომ საგულისხმო თითქმის სრულიად არაფერია.

**ახალ მოსულს.** ახალ მოსული რომ ყოფილხართ, თქვენი ლექსიდანაც აშკარაათ სჩანს: რასაც კი გვწერთ, სულ წყალ-წყალა ამბებია. მაგალითად!

„ჯერ ვეწვიოთ ჩვენი სკოლას
და მის დარაჯ ჩვენ პოლიკოს,
ისეთს ყვირის „ტარტაროზო"
მგონი ყური მთლად წალიკოს"-ო, სწერთ.

თუ თქვენისთანა შეუსმინარ ხალხთან აქვს საქმე, დარაჯი კი არა, ბრძენიც იყვეს, ისიც უყვირალად ვერ გადარჩება.

სამკითხველოზე იწერებით: ;

„ეხლა შიგნით ნახავთ რამეს
პატარძლივით მოწყობილსა
სურათს ისე ვერ ნახავთ
თვარ მიიპერთ თვალზე ხელსა"-ო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ ყოველ შემთხვევაში თვალზე ხელის მიპყრა არ დაგჭირდებათ, ხოლო ჩვენ კი ამას გვერდს ვერ ავუვლით, თქვენი ლექსის გადამკიდე.

ნახახულევის სამიკიტნოზე გვწერთ: :

„სამიკიტნოში იშოვით
ყოველ ნაირ სავაჭროსა,
ერთი ღვინოს, საწვრიმალოს
და კიდევ საკასპოსა"-ო.

აგი ამბავი თუ „სატარტაროზოა", ცხადია, მხოლოდ იმის შესახებ, ვინც ამას სწერს.

ასეა საპირფარეშოს შესახებაც და ბოლოს მთავრებთ აქ:

„ეხლა ვათავებ ლექსის წერას
რადგან თვალები მენაბება,
შემდეგ მოგწერ უკეთესსა
თუ კი მუზა დამეთანხმა"-ო.

უკეთესი, რაღა თქმა უნდა, არც ჩვენ გვაწყენს, მაგრამ, რადგან ჩვენ თქვენი მუზის იმედი მაინცა და მაინც არა გვაქვს; ამიტომ იმ „უკეთესის" შესახებ წინასწარ ვერავითარ პირობას ვერ მოგცემთ. ვნახავთ და ვიტყვით ჩვენს სიტყვასაც.

# ზვინი ღობის გადაღმა

ნახ. მარიაშის,

ძღვნად ჩვენს „ძველ მევალეებს“



— რა არის ეს აგერ იქით, რომ იბუგება?
— ეს ძველი ჩამქრალი ვულკანია...

[illegible] სტამბა, კამოს ქ. № 28